

1946 / 4

F



მნათობი

5-6

თბილისი
1946



მნათობი

114/4

სრულიად-საპარტიზო საზოგადოებრივ-მეცნიერულ-კავშირის ურველთვიური სალიბერატორო-სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკულტურული შურონი

წელიწადი ოცდამეცამე

4134

5-6

სარედაქციო კოლეგია

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ბაშაბაშვილი კონსტანტინე
კალაძე კარლო
მავაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე ბალატიონი
ჭიჭელი ლეო
შენგელაია ლევან

ბეღლიშვილი დასაბეჭდად 23/VIII-46 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. № 01570-
შეკეთის № 1017. ტირაჟი 5000.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქ. № 13, შწერალთა კავშირი, ტელ. 3-04-64.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის
საჭმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი. თბილისი, ვარკის ქ. № 5.

ზარზმის ზმანება

პოემა

„... ხან იფიქრებდა, უღედოდ
გაზრდა ვინა თქვა შეილისა,
იქნება ვეფხის დედაი
ჩემზე შწარედა სტირისა...“
ლეჩო ვეფხიჭა და მოყმასა

I

სოფელი იყო გასაოცარი,
გზას მიჰყვებოდა ყანა მომცდარი.
წამოზრდილიყო შარაზე მოლი,
არ ანათებდა არც ერთი სახლი,
არ სჩანდა ბუხრის თავებზე ბოლი
და ორღობეში არ ჰყეფდა ძალი.

ძლივს სცნობდა ნაცნობ სამოსახლოებს,
შემოსეოდა შამბი ახოებს.
მიდამო სდუმდა ნასაყდრალსავეით,
მყუდრო ღამეში თვალმიზუჭული,
არ იყო გვიან, მაგრამ არსაით
არ მოისმოდა კაცის ჩურჩული.

არავინ ახლდენ თანამგზავრები,
ნელა მისდევდა გზას დაზარებით.
ჭიშკრებს ურდული ჰქონდა აყრილი,
ჩაბნელებული სჩანდენ ოდები,
ქლივს მიდიოდა ლანდი დაღლილი,
დაღლილი ფიქრით და შეშფოთებით.

თუმცა შიშს იყო გადაჩვეული,
მაინც უკრთოდა ვაეკაცს სხეული,
მაინც ნაჩვევი სოფლის გზაკვალი
ეგონა უცხო და საშიშარი.

შედგა უხმოდ და ხელის კანკალით
მძიმედ შეაღო მგზავრმა კიშკარი.



ხმაურზე ძაღლმაც კი არ შეჰყეფა,
ვერვინ გაიგო კიშკარის შეღება.
ეზოში თითქო მუხებიც თელემდნენ,
ქადრებიც—ფართო ფოთლებიანი.
თავის სახლის წინ, სამი წლის შემდეგ,
პირველად იდგა გოლეთიანი.

II

ეზოში შამბი იდგა წელამდე
და თითქო ცელით ფეხს უცელავდნენ,
თანდათან სცვლიდა შიშს განსაცდელი,
თვალთ აკლდებოდა მუხლებ მოცელილს,
ეზოში აღარ იდგა საბძელი
და ცარიელი იყო ბოსელი.

აღრინდებურად ჩალის ზვინებთან
დაბმული ცხენი არ ჰიხინებდა.
აღრინდებურად ჰყვაოდა ზეცა,
ჰყვაოდა ატმის ტოტების მსგავსი,
დახედა კიბეს და ელდა ეცა,—
დაფარულიყო ლოდები ხავსით.

ჩახედა ოთახს ჩამტყდარ სარკმლიდან
და ერთი წუთით სუნთქვა გაკშიდა.
ცარიელ სახლში არავინ ჩანდა,
მიმოაბარა თვალი ერთხელაც,
პირდაპირ კედელს გაჰკროდა ლანდად,
მისივე ლანდი ვეებერთელა.

არ მოისმოდა არსიდან ჩქამი,
ცარიელ სახლში არ იდგა სკამიც.
გაძარცულს ჰგავდა დარბაზი ვრცელი,
სოცალიერემ დასცა თავზარი,
კერაზე კუნძიცი არ ეგლო ძველი
და მიწისფერად სჩანდა ნაცარი.

რეტდასხმულივით მოსწყდა სხეული,
ფეხზე ძლივს იდგა გონწართმეული,
არავინ სჩანდა სახლის დარაჯად,
ოთახი სდუმდა ვით სატუსოლო.
დიდი არა სჩანს, ბავშვი არა სჩანს,
უკაცურ სახლში ვის დაუძახოს?!

დგას ჯარისკაცი ბევრისმნახველი,
სახეზე ადევს ფერი ნაღველის.
ბევრი უნახავს ბუნავი მხეტთა,
მიტოვებული სახლი მრავალი,
როცა ცეცხლოვან ზღუდეებს ლეწდა
ბერლინისაკენ გზადმიმავალი.



რამდენი ახსოვს მტრების ცოლშვილი
ბუდეაყრილი, სახლკარმოშლილი.
რამდენი ახსოვს მტრების სოფელი,
მტრისგანვე ხანძრით გადაღრუბლული,
სუფრა ბოლომდე გაუწყობელი
და წამოშლილი ახლად ბუმბული.

თავათაც ბევრჯერ გადაეთელა
მტრის კარმიდამო, მაგრამ ერთხელაც
წამწამმა ცრემლი არ დაიგორა,
წამით არ შედრკა მათი მხილველი,
იქ, ომში უცხო არა იყო რა
და არაფერი გასაკვირველი.

მაგრამ საკუთარ სახლში მოსული
იღგა დუმილით გარემოცული.
ირგვლივ ყოველი გავდა ჩვენებას,
ნუთუ სიცოცხლე გაჰქრა სრულიად,
იქ რა უნდოდა გადაშენებას?
იქ გერმანელებს არ გაუვლიათ!

დიქრიც კი აღარ შეეძლო დადლილს,
დაღუმებული დასტოვა სახლი.
დაადგა შარას ისევ თავიდან,
უხმოდ დასტოვა სახლი ფიცრული,
თავის სახლიდან ისე გავიდა,
თითქოს შეცდომით იყო მისული.

III

ბნელ შარას ისევ მარტო მოსდევდა,
შეჩერდებოდა ნაცნობ ოდებთან,
შეჩერდებოდა ნაცნობ ეზოსთან,
მასპინძელს სახელს გადასძახებდა,
მაგრამ პასუხი არ მოესმოდა
და სახლიკაცი კარს არ აღებდა.

ბოლოს სინათლე შენიშნა ერთგან
და გაბრწყინებულ თვალებით შედგა,
ერთი შეხედა, ერთი გასძახა,
ერთხელ მოესმა მხოლოდ ჩურჩული,

სახლში კრაქს მისწვდა ხელი ცახცახა
და ძირს დაეცა მძიმე ურდული.



ნელი კრიალით გაიღო კარი,
და ბნელ ღამეში ეინელილით მდგარი—
ზღურბლზე გამოჩნდა თმებდაბურდული,
წელშიმოხრილი ლანდი თეთრწვერა
და მაღალ ჭიშკარს, როგორც შურდული,
ყალყზე შემდგარი ძაღლი ეძგერა.

IV

ბეუტავს სანთელი, არ სძინავთ ჯერაც,
ჩაფიქრებულნი ჩასცქერენ კერას.
ძილმოპარული, მაგრამ ფხიზელი,
ცეცხლთან ორი ზის, ორივე მდუმარი,
სრუტავს ჩიბუხის კვამლს მასპინძელი,
თამბაქოს ახვევს ოხერით სტუმარი.

ზის მასპინძელი დევი ცალთვალა,
ოდაში ცეცხლი ჯერ არ გამკრთალა.
ზის და ჩაპურებს თვალდაშრეტილი,
კერაზე ცეცხლის ფარტენებია,
აურჩევია რაღაც წერტილი,
დაესილი თვალით ჩაშტერებია.

ზის ახალგაზრდა მაზარიანი,
სახე კუშტი აქვს, ხმა — ზარიანი,
მაგრამ რად გასცქერს შორს სევდიანი,
რა სადარდელზე ფიქრობს სტუმარი?!
სმენად ქცეულა გოლეთიანი,
მოხუცი ჰყვება ტკბილმოუბარი:

V

„გატეხილები შრომით და გარჯით,
სოფელში სამი კომლიდა დავერჩით.
მოხუცებს აყრა აღარ შეგვფერის,
შეჩვეულს ხელი ვეღარ ავაღეთ.
სოფელში სამი დარჩა ბებერი,
სხვა გადასახლდა ყველა ჯავახეთს“.

ისევ დუმილი ჩამოდგა ერთხანს,
მოხუცი ჩამჭრალ ყალიონს ფერთხავს,
ჰაბუკი ჩასცქერს ჩაფერფლილ კერას,
ნაკვერცხლებს, ფერფლის ქვემოთ მიჯრილებს,
უცებ მოხუცზე გადიტანს მზერას,
სინათლის მხრიდან ხელს მოიჩრდილებს.

და სხვათა შორის იკითხავს ცალკეად:
— გოლეთიანებს იცნობდი, ალბათ?
სახეზე ჩრდილმა გადაჰკრა უმაღ,
მოხუცმა მძიმედ თავი ასწია,
მწარე ღიმილით მიუგო სტუმარს:
— როგორ არ ვიცნობ, საზლიკაცია!

ჩვენს სოფელს, უნდა გითხრა მართალი,
არ გაუზრდია მისი ბადალი,
მისი სიმღერა სამი წელია,
რაც აღარ იღბენს ამ ჩვენს მთავორებს,
შენ არ ვაღარებ, ჯვარი გწერია,
მაგრამ შენი ხმა მის ხმას მაგონებს.

ჯარისკაცს შუბლი გაეხსნა უცებ,
მაგრამ ღიმილი მოსწყვეტა ტუჩებს
და სცადა სიტყვის ბანზე აგდება:
„გზად დამალამდა ასე კვიმატად,
შემოდგომის დღეს აღრე აკლდება
და გასაოცრად ღამემ იმატა“.

მოხუცი ისე წაელო ფიქრებს,
ვერც გაიგონა ნათქვამი იქნებ.
ისევ განაგრძო: „ჩვენში არც წინათ
გაზრდილა ვინმე ვაჟი მისთანა,
მაგრამ რას იზამ!

მე მერგო წილად
დედასთან შეილის ამბის მიტანა.

მერე რა ამბის! უბედურ დედას,
ნაწილის შტაბი ფრონტიდან სწერდა.
სწერდა: მოსისხლე თუ როგორ ჰხოცა,
ვიდრე არ დასცეს მის შეილს ლახვარი,
სევასტოპოლთან მოეკლათ, როცა
მტერს ზღვაში ჰყრიდა ჩვენი ლაშქარი.

VI

ერთიც არ ჰქონდა დედას ქალარა,
იმ დღიდან უცებ თეთრმა დაჰფარა.
და მაინც სხეებთან თავს იმაგრებდა,
თითქო მის ირგვლივ არა მოხდა რა,
თუმცა ფარული დარდი ანგრევედა
და საშინელმა ჯავრმა მოხარა.

მაინც არ იყო სასომიხილი,
მაგრამ კვლავ უთხრეს შეილის სიკვდილი.

შემთხვევით ნახა ვიღაც ცალხელა,
ჩაძოვგლოჯა მკლავი ყუმბარას,
თუმც არ ნდომია დიდხანს გამხელა,
მაგრამ სიმართლე ვერ დაუფარავს.



ეამბნა: რაც ამ ომში ჩაება,
ბევრი ენახა ტანჯვა-ვაება...
... არ ყოფილა, ხმალდახმალმჩხებელს
რამდენი რამ არ გადახდომია..
სევასტოპოლის ბრძოლის დროს, ერთხელ
მომაკვდავ ქართველს თავს წადგომია.

მკერდს თურმე სისხლი სდიოდა ღვარად,
გოლეთიანი ყოფილა გვარად,
თვალი ჰქონია, როგორც საცერი,
თურმე უთრთოდა ბაგე ჩურჩულით,
და წაბლისფერი ხშირი თმა-წვერი
ცეცხლით ჰქონია მთლად შერუჯული.

თურმე ტკივილით ხელფეხშეკრული,
წვეთ წყალს ქართულად სთხოვდა ბედკრული.
შეეხო წყლიან ქურჭელს წვალეებით,
შეუწყდა თურმე საფეთქლის ფეთქვაც,
ისე დახუჭა თურმე თვალები,
ველარ მოასწრო სათქმელი ეთქვა.

მაგრამ უთქმელად მიხვდა მუდარას,
სამარე იქვე, თვით გაუთხარა.
შვილის სიკვდილი ტყუილს არ გავდა,
მნახველის პირით თვით გაიგონა,
შვილი დაკარგა, ჰმარიც არ ჰყავდა,
სიკვდილს ნატრობდა ჰვრივი თვითონაც.

VII

მაგრამ ჰქონია სხვა ნატვრაც დედას,
ოჯახის უღელს მისთვის-ლა სწევდა.
ვით საიღუმლო, დიდი ამბავი,
ჩუმჩუმად გვითხრა და სათითაოდ:
— უნდა მოეძებნო შვილის საფლავი,
სევასტოპოლში წასვლა მინდაო.

ჩვენთაგანს არვის შეეძლო შველა,
ღარიბი იყო სოფელში ყველა.
ჩვენ არ ვცხოვრობდით ჰვრივივით საპყრად,
მაგრამ გვიჭირდა განა ნაკლებად?..

ეს ის დრო იყო—გვირჩიეს აყრა
და ძველ ზარზმასში გადასახლება.

ვინც ნახა, იყო თავბრუდღასმული,
ჰაერიც აქეს, მიწაც ზარზმული:
ირგვლივ აკრავსო ზეგანი რუხად,
შიგ ბალები დგას შემორაგული,
ცოვ წყლებს კალმახიც სცოდნია უხვე:
არანაკლები ზემორაგულის.

ჯაფა და ოფლი ნუ გინდა ბევრი,
ბზესავეით მოდის პური და ქერი.
მოსავეალს მოსეღა უხვედ სცოდნია,
ოლონდ იშრომე, არ იზარმაცო,
ღებვიეთ მაღლა თუმცა როდია,
მთავორიანი არის ზარზმაცო.

იმ წელს მეორე თვალშიც მომაკლდა,
არ მქონდა აყრის თავი მომაკვდავს.
ჩემებრ მოხუცი და უსინათლო,
მიწისთვის აღარ წავა სხვა მხარეს,
მიწა რისთვისღა უნდა ვინატრო,
მიწა მცირედიც კმარა სამარედ.

გრძელ ვზას დაადგა ურმების მწკრივი,
პირველი იყო ურეში ქერივის“.

VIII

გარეთ გამტყდარა ღამის წყედიადი,
შუქი შემოდგა მკრთალი სარკმლიდან,
მოხუცს თვალები მოუწყლიანდა,
და მძიმე ოხვრით თავი ჩაჰკიდა.

ჰაბუქმან თვალი მოსწყვიტა კერას,
ღიმილით ამბობს: „როდღი-ღა მჯერა
გოლეთიანის მოკელის ამბავი,
აღრე მოგსვლიათ ცრემლი და გლოვა,
არ დაუჯეროთ ჰორი არავის,
სულ მაღე, აღბათ, ცოცხალი მოვა“.

„შვილო, შენ მითხარ სხვა საოცრება,
თორემ მოკლული არ გაცოცხლდება.
შეცდომა ხდება ცოცხლებში ნბოლოდ,
რაც ადამიანს ახსოვს გაჩენა...
ღეღამ ზარზმიდან ყირიმი მოვლო,
შვილის ცხედარი ჩამოასვენა!..“

თითქო დარეკა ათასმა ზარმა,
ჩიტების ხმაზე იღვიძებს ზარზმა.
მზე ქვეყანაზე გულს მოიბრუნებს,
სამცხისკენ სხივებს დაგზავნის ჯარად,
ყოვილ-ხივილი გააქვთ ჩიტუნებს,
ისევ ხნაურით ივსება შარა.



მინდვრისკენ ზანტად მიდის ნახირი,
მწყემსი ბიჭების ისმის ძახილი.
ყველგან ქართული საუბარია,
გზად მგზავრი მოდის ფიქრით გართული,
მოდის ქართველი და უზარია,
მესხეთში ისევ ისმის ქართული.

მესხეთში ისევ ქართველებია,
მგზავრს ბედნიერად ვათენებია.
ცაზე არ მოსჩანს ნისლი მაღალი,
ქალა არ მოსდევს სოფელს ტყიანი.
მოსულა სამცხის მკვიდრი ახალი
ომგადახდილი გოლეთიანი.

X

აკვირდებოდა გარემოს ხარბად,
და იგონებდა რაჭის მთებს, ალბათ.
მდინარე ვაკეს მოსდევდა ზანტად,
ისმოდა ნელი წყალთა ჩურჩული
და ჯავახეთის ზეგანი სჩანდა,
ულაბნოსავით გადატრუსული.

არც ასწლოვანი წაბლარ-მუხნარი,
არც წყაროები ვადმომქუხარი,
ზეგანს ბუგავდა სიცხე ზღაპრული,
ხეც არსად იდგა საჩრდილობელი,
მაგრამ მწყევანში იყო ჩაფლული.
მდინარის პირად მღგარი სოფელი.

წყლისპირს მისდევდა ჯარად ხეხილი,
ნაყოფით წელში გადაზნექილი.
ხან ახალშენი, ხან ძველებური,
იდგენ ჯგუფ-ჯგუფად მიმორგულები
და გულაბები ჩაგრძელებული,
ტოტებს ეკიდა ვით ჩონგურები.

სიოს მობერვით მომწყდარი მსხლები
დნებოდნენ ხელის ოდნავი ხლებით.

მტკვარს უთვალავი პაწაწკინტელა
რუ დაეფანტა ბალში წვრილადა,
და ფოთლებიდან ლოყებწითელა
აბალციხური ვაშლი ბრწყინავდა.



ირწყვოდა არხის წყალთა თქრიალით
ფართო ყანები ბარაქიანი.
განზე იწევდა ყანა და ველი,
და თავდებოდა მთასთან მისული,
მთას შეჰფენოდა ტყეები ბნელი,
ნათელი ნისლით გადანისლული.

და ერთ მტკაველზე, ცის დაშორებით,
ტბად დამდგარიყო მთის საძოვრები.
იქ, ცისკიდურთან, დასაკარგავთან,
მწვერვალზე მწყემსებს ცეცხლი დაენთოთ,
თუმცა მესხეთი რაქას არ ჰგავდა,
მათ მაინც ჰქონდათ რაღაც საერთო.

XI

ზარზმის გუმბათი მოსჩანს აწვდილი,
მოდის ვაეკაცი ომგადახდილი.
აქ ყველა მისი საკუთარია,
ამიტომ მოდის წელგამართული,
მოდის ვაეკაცი და უხარია,
ზარზმაში ისევ ესმის ქართული.

მომრავლებულა ქართველთა მოდგმა,
მაგრამ ზარზმაში რა უნდა მოთქმას?
ნუთუ თან მოჰყვათ საფლავის ლოდიც,
სად თქმულა ახალ მდგმურთა გოდება!
გაოცებული ვაეკაცი მოდის,
ზარზმის გუმბათებს უახლოვდება.

XII

ზარით ვის სახელს მოუხმობ ნეტავ,
ზარზმაში მოთქმად მოსულო დედავ?
როგორ გამტყდარხარ, ქცეულხარ ლანდალ,
ვინ გაგიგმირეს, ვინ დასცეს ლახვრით?
—დედას, რომელსაც ცხრა შვილი ჰყავდა,
ერთის სიკვდილიც მიწამღე დახრის.

მაგრამ შენს წუხილს არა აქვს ბოლო,
ვაი, თუ ერთი გაზარდე მხოლოდ,

ვია, თუ მხოლოდ ერთი პაწია
წამოფრენილა შენს თბილ უბეში,
ისიც თუ სიკვდილს წარუტაცნია,
არ ღარჩენილა შენთვის ნუგეში!



XIII

მკვდრის გლოვა იცის ქართველთა მოდგმამ,
მაგრამ ზარზმაში რა უნდა მოთქმას?
ხმა მოიტანა შორით ნიაემბა,
თუ მოტირალი რატომ არა ჩანს...
ტაძრის გალაგანს გოლეთიანმა
გოლიათივით გადმოაღაჯა.

ტაძართან ისხდნენ ბაღლები გუნდად,
წამოდგნენ, თითქო საღამი სურდათ.
სულ ერთი წამით ახედეს ცერად,
მაგრამ თავები წამსვე დახარეს,
თუმც გულთ სურდათ უცნობის ცქერა,
იხედებოდნენ საღლაც სხვა მხარეს.

შეჩერდა უცხო, ფეხს არ აჩქარებს,
მიეყვავილა შემკრთალ პატარებს.
ბავშვებმა სახე იბრუნეს მწყურალი,
მზერა დაუწყვეს ჯერ ეჭვიანი,
მოსულის მკერდმა მოსტაცათ თვალი,
მედლებს გაჰქონდა მკერდზე ბრკვეიალი.

— საიდან ხართო,— აღერსით ჰკითხავს,
მაგრამ ხმას არ სცემს არცერთი დიდხანს.
ბოლოს წინ ერთი წამოდგა ყინჩად;
გაბედვა ეყო გასაუბრების,
უცნობს პასუხი მიუგო დინჯად:
„ზარზმელები ვართ, აქაურები“.

მოსულმა იცნო კილო „ზარზმული“,
ნათქვამი ნელი და ხანდაზმული.
მაგრამ მეორემ დროზე დასძინა:
„ჩუნი სოფელი არ არის ახლო,
ლებიდან მოველ სულ პაწაწინა,
ორი წელია ზარზმაში ესახლობ“.

ვაჟკაცმა თვალი მიმოატარა
და თითქოს ერთი იცნო პატარა.
თითქოს ენიშნა ნაცნობი რაღაც,
ალბათ, ენაბა საღლაც, უწინაც,
ცნობისმოყვარედ შეხედა ბაღლმაც,
თვალი მიაპყრო და გაუცინა.

ჯარისკაცს სადღაც ენახა ძველად —
ბავშვს წინდა ეცვა ნაქსოვი ჰრელად.
მთლად მის ხელთათმანს ჰგავდა ის წინდა,
ნაქსოვი-ნაქსოვის დიდხანს ადარა,
დაფინებული ცქერა თუ სწყინდა,
მეშინებული იდგა პატარა.



ქვეშქვეშ უცქერდა ერთხანს ბიჭუნა,
მერე უეცრად პირი იბრუნა,
გაიქცა ტაძრის მეორე მხრისკენ,
ატირებული, „დედას“ ძახილით.
ახალ საფლავთან ქალები ისხდნენ,
მიეპრა მათ და შედგა ყმაწვილი.

ხმამალა გაბმით მოსთქვამდა ერთი,
დამხობილიყო საფლავზე მკერდით.
მეორე უფრო ჩუმად ჰგოდებდა
ცრემლით დამხრჩვალი, სიტყვაუთქმელი,
იჯდა დამტვრეულ ტაძრის ლოდებთან,
ფერგაცრეცილი, როგორც ფურცელი.

თმაჩამოშლილნი და შოსანნი
შორიდან სჩანდნენ გასაოცარნი.
და იდგა განზე გოლეთიანი,
იდგა უხმოდ და ხედავდა ძრწოლით:
სახემწუხარნი, გაშლილთმიანნი,
მასვე მოსთქვამდნენ დედა და ცოლი.

XIV

რა სიხარული ნახეს ამ დღით,
სოფელს რათ უხმობს რძალ-დედამთილი?
რატომ ამოდის ალი თონიდან,
მოზვერი რატომ დაკეღეს სახარე?
„შვილი გაცოცხლდა!“
„ქმარი მოვიდა!“
შარაზე ყველა გამვლელს ახარეს.

მოსდის და მოსდის შვილს მნახველები,
ცამდე უწვდება დედას ხელები.
რატომ მთელ სამცხეს ვერ დააპურებს,
პური ზარზმის და ღვინო ბაღდადის!
ხმლებივით გააქვთ ელვა შამფურებს,
ვეება ქვაბებს ნისლი გადადის.

ღრეობენ, სხედან სმად და ჭამადა,
თვითთულ სიტყვას ხატავს თამადა:

„ეს კაცი ორჯერ ამდგარა მკედრეთით,
ორჯერ დამარხეს, ვითომ მზეზნელი.
არცერთ კიჭაში არ დარჩეს წვეთი,
გოლეთიანი იყოს დღეგრძელი!



უნდა დაცალოს ყველამ მზედრულად,
ახლა ბიჭებო ქვე ვთქვათ ქვედრულაც!“
ერთ დამწეებს მიჰყვა გუგუნი ასის,
ცაში ისერიან ყანწებს ცალიერს:
„დალიე და დადგი თასი,
სულ დალიე, დალიე!..“

მსმელებმა სვეს და მოიკლეს ეინი,
შუალამემდე გაგრძელდა ლხინი.
ვინ იფიქრებდა, ღვინოს თუ მაგდენს
ასე შესვამდნენ სვენებ-სვენებით,
თამადას მაინც ვერ გაუმაგრდნენ,
თუმც გამოცდილი იყვნენ მსმელები.

თამადა მტკიცედ იჯდა ქალარა,
სუფრას ცოლშვილმა ძლივსლა გაჰყარა.
იძახდა: „ენახე, ვინც რა კაცია,
ჩემთან დალევა აღარ გაბედოთ!“
და ყოვლად წმინდა როცა ასწია,
კაცი არ დარჩა საალავერდოდ!

XV

ნაშუალამევს მიწყნარდა ზარზმა,
ძილს მისცა თავი ყოველმა არსმა.
კიჭებში აღარ ბრწყინავდა ლალი,
დოქები თვლემდნენ გამოცლილები,
დედამ დალოცა შვილი და რძალი,
როგორც ხელახლა ნაქორწილები.

მერე დაიგო თავის ლოგინიც,
აღარ შეეძლო დაღლილს ლოდინი.
არც თადარიგი ახსოვდა ხვალის,
არც საზრუნავი არავეთარი,
დაწვა და როგორც დახუჭა თვალი,
გასაოცარი ნახა სიზმარი.

ნახა უდაბნო გადაბუგული,
კაცი არავინ სჩანდა სულდგმული.
უდაბნო იყო მზით გადამწვარი,
ღათხრილი სჩანდა მიწა ყუმბარით,
საკირის ცეცხლში იდგა ტაძარი
და ჰგავდა ზარზმას, ვით ნატყუბარი.

ცაც თონეს ჰგავდა ცეცხლისმოთველი
გახვეულიყო ცეცხლში ყოველი.
ხანძრიან ტაძრის ეზოში ზანტად
იზმორებოდა კვამლის ღრუბელი,
ახლადგათხრილი საფლავი სჩანდა,
ისიც მხურვალე, როგორც ღუმელი.



საფლავი იყო უზარმაზარი,
და მიწის ნაცვლად ცხელი ლაღარი,
ორივე მხრივე იდგა მაღალ გორებად
აბალი მკვდრისთვის ზედწასაყრელი,
არსად ტირილი, არსად გოდება,
მკვდრის ვერ გაიგო დედამ სახელი.

მაგრამ ჩახედა სამარეს დედამ
და დაუბნელა თვალეზი ელდამ.
შიგ ვაეი იწვა რუხი მაზარით,
ტანდაცხრილული იწვა ერთიან,
მხარბუქი ჰქონდა უზარმაზარი,
ფართო სამარხში ძლივსლა ეტია.

იწვოდა, ჰკლავდა ვაჟკაცს წყურვილი
და ღრუბლებივით გადმოზურვილი
უკანასკნელი საჩრდილობელი
გადმოზურვოდა შავად წარბები,
უხმოდ, ცრემლის თუ წყალისმოხოვნელ
იწვა ვაჟკაცი განაწამები.

იწვა ვაჟკაცი ხმლითაქუწული
და ძუძუსთავთან, როგორც კუნძული,
როგორც დაჭრილი გულის საჩემელი,
ყუმბარას ხორცი ამოეკვეთა
და ერთადერთი სულისჩამდგმელი
ზედ ეცემოდა ცრემლი წვეთ-წვეთად.

ცრემლებსლა სთხოვდა, ცრემლებს მიწილად
დედისკენ დამწვარ ხელებს იწვდიდა,
ცდილობდა, მაგრამ თავს ვეღარ სწევდ
ვერ ეთქვა ცრემლის სამადლობელი,
თვალეზში ედგა უსაზღვრო სევდა —
ნაღველი დედის დამადნობელი.

XVI

უცებ ძლიერმა ჭარმან დაჰბერა,
კვამლი აჭრელდა სხვადასხვა ფერად.
წამით განათდა ზეცა და მიწა
ცამდის ავარდა ცეცხლი ყუმბარის, —

ცხელ სამარეში ვაფი რომ იწვა,
მის ვაჟკაცს ჰგავდა, ვით ნატყუბარი.



ცეცხლი უხურებს სახის ნაოქებს
და დედას მხოლოდ ერთი აოცებს,
რომ ზმანებაში ცხადივით ჰხედავს
საკუთარ შვილის წუთებს უძნელესს,
თვით უზის თავით და თითქმის ცხედარს
ზედ აფრქვევს ცრემლს და სუნთქვას უგრძელესს.

XVII

თვალეზი ჰქონდა, ვით ნაწვიმარი,
წამით გაუწყდა მძინარს სიზმარი.
ამოიოხრა, მხარი იცვალა,
მძიმე ძალს თავი ვერ შიანება,
თვალმიხუტულმა ერთხანს იწვალა,
მაგრამ განახლდა ისევ ზმანება:

საფლავში შვილი სწუხდა დაჰრილი,
ცეცხლზე დნებოდა, როგორც აჩრდილი.
თვალს გაახლდა ოდნავ, ხანდახან,
წვიმას ნატრობდა იქნებ შხაპუნას,
დედას ცრემლები მოსწყდა თვალთაგან
და ნატყვიარზე მიესალბუნა.

დედას სულ ცრემლად დაფრქვევა სურდა,
მაგრამ შვილის ხმა ჩაესმა ყურთან.
სწორედ მისი ხმა იყო ნამდვილი,
არ უჯერებდა თვალს ეჭვიანი:
შვილი ცოცხალი და ხელგაწვდილი,
დედის წინ იდგა მხარბეჭიანი.

ძლივს დგება დედა, მუხლები უთრთის,
მაგრამ სამარეს დახედავს წუთით.
კედლები თითქოს გალაენებია,
განზე გასულან გამოსაჩენად,
დაჰრილი მის შვილს არ მგვანებია
და უკვირს, შვილად რამ მოაჩვენა?!
მობრუნდა, ზურგი აქცია უცხოს,
ცრემლისმთხოვნელმა ვედრება უწყო,
გულის შემძვრელი შექმნა ლაღადი,
მიმავალს ფეხი რომ მოუცელოს:
„აქ რად მოგყავდი, აქ რად მმარხავდი,
თუ დამტოვებდი ბოლოს უცრემლოდ!“

დედამ მას ყური აღარ ათხოვა,
გადაეხვია ვაჟკაცს ახოვანს.

იკრავდა მკერდზე შეიღს და ეტყოდა:
„შეცდომით ცრემლი სხვისთვის მიღვრია“.
სწრაფად გავიდნენ ტაძრის ეზოდან,
სამარე მარტო დარჩა პირღია.



XVIII

მაგრამ უეცრად რა მოხდა ნეტავ,
მძინარი უკვე სხვა სიზმარს ხედავს:
ყირიმის ზეცა ბროლივით ბრწყინავს,
შემოდგომაა, ცვენა ფოთოლთა,
და როგორც ერთხელ, თრი წლის წინათ,
ღედა კვლავ მოხვდა სევასტოპოლთან.

გაოცებულმა მიაპყრო თვალი,
საფლავთან იჯდა მტირალი ქალი.
ფერი წაერთო უეცარ ზაფრას,
ფრჩხილით იხოკდა სახეს მზებნელი,
ჩაშტერებოდა ცალიერ საფლავს,
მიბარებული შეიღის მძებნელი.

ხედავდა ღედა ქვეგამხედვარი
საფლავში აღარ იყო ცხედარი.
მტირალი გავდა აჩრდილს საშინელს,
სახეშეშლილი იჯდა ქალარა.
ღედამ სამარე იცნო მაშინვე,
ორი წლის წინათ თვით გადათხარა.

ორი წლის წინათ, იმ სიშორიდან,
შეიღის საქებრად ისიც მოვიდა.
აქ მოასწავლეს, აქ მიუთითეს,
რას იფიქრებდა მაშინ შემცდარი,
რომ სჩადიოდა ცოდვას უდიდესს,
როცა მოთხარა სხვისი ცხედარი.

მაშინ საბრალოს სხვა რა ეღონა,
შეიღი იპოვა მართლა ეგონა.
შეიღი ცოცხალი ჰყოლია ბედად,
რა პირით სთხოვოს ამ ქალს შენდობა,
მკვდარს დაუკარგა ნამდვილი ღედა,
არც გაუწია თავათ ღელობა.

რით გაღიხადოს, რა საწყაულით,
ღედის წინაშე დანაშაული!
თავს რით იმართლებს, რა საბუთს ეტყვის,
ღღე განკითხვისა მართლა თუ არი?
შეიღს დაუკარგა ცრემლები ღედის,
საკუთარ ცრემლზეც უთხრა უარი.
როგორ შეხედავს ღედას პირშავი,

სჯობს გამობრუნდეს შეუნიშნავე.
მაგრამ მტრიალმა უცებ, თავხედად
ახედა, თვალი თვალს გაუყარა,
თვალს არ დაჯერდა, სულში ჩახედა,
მანც უკმეხად არა უთხრა რა.



ჰკითხავს და თითქო უყვება ამბად:
— „შენც შვილის დედა იქნები ალბათ,
იქნება შვილი შვილიც გაზარდე,
ღმერთმა გიმრავლოს ერთი ასადა,
შენ ვერ გაიგებ დედის სადარდელს,
რომელმაც მხოლოდ ერთი გაზარდა.“

მე რა ვქნა, ერთი შვილის დედა ვარ,
მასაც სიკვდილი შემომედავა.
მაგრამ ბედკრული მას უფრო ვჩივი,
ჩემს გულში ცეცხლად უფრო ეგ არი:
გადაუთხრიათ სამარე ცივი,
ამოუღიათ შვილის ცხედარი.

ვაი, სად გდისხარ, დედის იმედო,
ნეტავ შენს მკერდზე თავი მიმედო.
რომ შეეწყვიტა ღიღი ხნის მნატრეღ,
სიკვდილის მნატრეღ ჩემს გულსაც ძგერა,
ზედ დაგკვდომოდი, რომ შენზე აღრე
მე დავეფლითე სეაესა და ძერას“.

თვალცრემლიანი თავს მძიმედ იღებს,
გულზე ძალუმაღ დაიცემს მჯიღებს.
და ცდილობს ხეყნით შესცვალოს ზარი:
— „დედა-შვილობით დასაფიცარო,
უჭირისუფლო თუ ნახო მკვდარი, —
ცრემლის დაფრქვევა არ დაიზარო.“

მაგრამ რას ვამბობ, რას ვთხოვ მზებნელა
შენ არ ხარ ჩემი შვილის მძებნელი.
იქნებ ცოცხალმა ვეღარ გიხილო,
შვილო, მოკლულო მტრისგან ორგვარად,
ვინ გაგიმეტა შენ სასიკვდილოდ,
ან სამარიდან ვინ ამოვთხარა?!

ვინ იცის, შვილო, ვინ დაგკრა ბარი,
ვინ ამოგაგლო მიწიდან მკვდარი?
დავდივარ, მტკივა ძუძუ და გეძებ,
ცრემლმა ტკივილი არ დამიამა,
იქნებ ტყუილად ვაბრალებ მხეცებს,
იქნებ მოვთხარა აღამიანმა.

ღმერთმა მისმინოს მაშინ ეს მოთქმა:
შენს ხელის შემხებს, თუ ჰყავდეს მოდგმა...“
„—შეჩერდი!“—ღედამ შეჰკივლა უცებ
და ჩაუვარდა ფეხქვეშ ფიცხელი,
ემუდარება, უკონის მუხლებს:
„ერთი შეილი მყავს, ნუ დამიწყევლი!“



მაგრამ პირქუშად ადგა მწყევარი,
და როცა წყველა თქვა ნახევარი,
როცა მრისხანედ გამოისახა
აცახცახებულ ხელით პირჯვარი —
„ვაიო!“ ერთი ამოძახა
და უცებ შესწყდა ღედის სიზმარი.

XIX

წამწამი გახსნა ცრემლებით საესე,
მზე დადგომოდა მძინარეს თავზე.
წამოდგა წამსვე, ხელის ცახცახით
მისწვდა კაბას და გადიცვა სწრაფად,
ის ქალი ყურში ისევ ჩასძახის:
„შენც შეილის ღედა იქნები ალბათ!

მე ერთადერთი შეილის ღედა ვარ,
მასაც სიკვდილი შემომეღავა!“
შორიდან ისევ ჩაესმის ზარი:
„ღედაშვილობით დასაფიცარო,
უჭირისუფლო თუ ნახო მკედლარი,
ცრემლის დაფრქვევა არ დაიზარო!“

წამსვე წაიღებს სხვა მოლანდება:
თვალწინ სამარე წატორტმანდება
და განწირულის აღწევს ღალადი,
ულონოს მუხლი რომ მოუცელოს:
„აქ რად მოგყავდი, აქ რად მმარხავდი,
თუ დამტოვებდი ბოლოს უცრემლოდ!“

ღედას თვალთავან ცრემლები სცვივა,
გამოიჭრება ოდიდან ცივად
და როგორც გუშინ, და როგორც წინათ,
ტაძრის ეზოში შედის მწუხარე
და ცივ საფლავზე ხელახლა ბრწყინავს,
ცის ნამთან ერთად ღედის მღულარეც!

მზე დადგომია ზარზმის სანახებს,
დამშვენებია ნამი ბალახებს,
მესხეთს ლაქვარდი გადახურვია,
წამლილან ღრუბლის ბაირალები,

გაზაფხულია, გაზაფხულია,
აყვავებულან ზარზმის ბაღები.



ქლიავებს, როგორც მტრედის ხუნდები
დაჰფრენს ყვავილთა თეთრი გუნდები.
მზე აღგას ახლადგამართულ ოდებს,
შრება მინდორი და ნაფუძარი,
ურიცხვი კვირტი ბებერ მსხლის ტოტებს
ზედ მიხვევია, როგორც ფუტკარი.

ვაშლის ხეების თეთრი მტევნები
ცად აფრქვეულან, ვით შადრევნები.
ყაყაჩომ წითლად თავი იჩინა,
ატმის ყვავილებს ასდის აღმური,
ზარზმაში ბავშვებს გააქვთ ყიფინა,
ისმის სიმღერა და ჟრიაშული.

კვალი აღარსად სჩანს ნათურქალი,
გამრავლებია ზარზმას დურგალი.
აკენის, თლას ველარ აუდის დანა,
საღლაა შიში მტრისგან აკლების!
ზარზმაში ისმის ქართული ნანა,
დედებს ბაღებში უდგათ აკვნები.

კურთხევა ბავშვს და აკვანს თვითეულს!
— თუ კიდევ იყავ ზარზმაში წლეულს,
ზარზმის ტაძართან კიდევ თუ ნახე
უცხოვს სამარე ოხერტიალი?
— ვნახე, ზედ ცრემლებს აფრქვევს მუდამდღე
მოხუცი დედა გოლეთიანის.

გოდება მოჰგავს ჩუმ ქვეთინს უფრო,
სხვის ვაჟკაცს სტირის უჭირისუფლოს.
ვინ იცის უცხო ვაჟკაცს რა ჰქვიან,
ვის სტირის დედა მარტო მისული,
იქნებ მას მოხვდა ანაზღად ტყვია —
მისი შვილისთვის გამომიზნული.

— დედა რომ სხვის შვილს ჰგლოვს ცრემლიანი-
ცილი რას ამბობს გოლეთიანის?

— ცოლი? ქართველი კაცის ცოლია.
მკვდარ ვაჟკაცს როგორ არ დაიდარდებს!
ვითომ საფლავში მაზლი ჰყოლია,
ისე დაჰზრუნავს საფლავის ვარდებს.

— თავათ რას ამბობს გოლეთიანი —
ვაჟკაცი მრავალმოკეთიანი?

— თავათ რას იტყვის? ომგადახდილი
მუდამდღე დასცქერს საფლავს მდუმარი,
თითქო ძმა ჰყავდეს ლოდქვეშ ნამღვილი,
ოშში მოკლული ძმა საკუთარი.



— უცხოს შვილისთვის როცა სწევს სასმისს,
თუ ილოცება ტაძარც ზარზმის?

— ზარზმაც მათ ძმობას ეთაყვანება,
გაურღვევია შავი ღრუბლები,
ზარზმა ზარს რეკავს, ზედავს ზმანებას
და ესიზმრება თავის ტყულები.

მას ესიზმრება ოშკი და ბანა,
მიწა ქართველთა სისხლმა რომ ჰბანა;
აოხრებული ტბეთი და ხანძთა,
დაუღიწყარი მარად იშხანი,
სისხლის ლანჭერი, სიკვდილის განცდა,
ნგრევა, ხანძარი და ქარიშხალი.

რა დაავიწყებს ძველისძველ ზარზმას
სამცხის დაცემას, ცეცხლსა და ჯვარცმას!
მაგრამ ზეცას რომ გააქვს ზანზარი, —
სხვა ესიზმრებათ ფესვებს მესხურებს,
სიზმარს ცხადივით ზედავს ტაძარი,
გოლეთიანებს როცა შეჰყურებს.

როცა ქართული ჩაესმის ნანა,
როცა ნიავეთ ირწევა ყანა,
თურმე ამაზე ჰფიქრობს ნიადაგ,
ლოცავს აკვანს, თუ ახალ ზარაჩოს:
როდის ექნება გოლეთიანმა
ზარზმის გადაღმა გადაალაჯოს!

აკაკი ბელიაშვილი

თავბადასავალი ბესიკ გაბაშვილისა

ნაწილი მეორე

სიონის პირდაპირ, ხარაზების რიგის დასაწყისთან, პატარა შეუკა ადიოდა. ამ შეუკის ერთ მხარეზე ხარაზების ქუჩის კუთხეში სასამართლოს შენობა იდგა. მის პირდაპირ კი მწიგნობარ იასეს ორსართულიანი სახლი. ზედა სართულში იასეს საცხოვრებელი ბინა მოეწყო, ხოლო ქვემო სართულის ერთ ნახევარში წიგნებისა და ქალაღდის საეპქრო ჰქონდა გამართული და მთელი დუქანი დახლსა და წიგნის თაროებს ეჭირა. მეორე ნახევარში გრძელი მაგიდა იდგა, რომელსაც დიდიდან საღამომდე, იასეს შეგირდები უსხდნენ და განუწყვეტლად წერდნენ. ზოგი რაიმე წიგნს იწერდა, ზოგი — უფრო დახელოვებული — თარგმნიდა, ხოლო ოსტატობის ასაკს მიღწეული შეგირდები არზებს უწერდნენ მომჩივან-მოპასუხეთ. ასეთები კი იასეს გამოუღვევლად ჰყავდა, რადგან სასამართლოც მისი შენობის პირდაპირ იდგა და მსაჯულ-მდივანბეგი იესე ოსესძე არზებს არც კი დახედავდა, თუ კი ის იასე-მწიგნობარის შეგირდების მიერ არ იყო დაწერილი. ამაზე ქალაქში კიდევაც იტყოდნენ ხოლმე ზუმრობით: თუ სასამართლოში გინდა ბედი შენკენ მობრუნდეს, იასესთან ეზიარე და იესესთან ეკურთხო.

მართალია იასე, შთამომავლობით უძველესი თავადი იყო და იმ დროში არა თუ თავადის, არამედ გლეხის ვაჭრად გახდომა დიდად სათაკილოდ ითვლებოდა, მაგრამ იასე, ჯერ ერთი რომ ძმებისაგან განსხვავებით კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდა და მერე, იმ ხანაში, წიგნის ან ქალაღდის ყიდვა-გაყიდვა ვაჭრობას არ ნიშნავდა და ეკლესიაში სანთლები-სა ან ლოცვანების გაყიდვასავე, სასულიერო საქმედ ითვლებოდა. ამას კიდევ ხელს უწყობდა ისიც, რომ იასე განუწყვეტლად ზრდიდა შეგირდებს, ასწავლიდა მათ არა მარტო ქართულს, არამედ სპარსულს, არაბულს, სომხურს და ლათინურ ენებს. ენათა ცოდნით და უამრავი წიგნების კითხვით (ზედა საცხოვრებელი ოთახებიც და დუქნის თახჩებიც გაჭვდილი ჰქონდა წიგნებით) ის სახელმწიფეკილ ფილოსოფოს-ბრძენად და სამომლოუბარ ადამიანად ითვლებოდა მთელ თბილისში. იშვიათი იყო ისეთი საღამო, რომ მასთან სასაუბროდ არ შეკრებილიყვნენ პაექრობის მოტრფიალე დარბაისელი თბილისელები. აქ მოდიოდნენ: ფილოსოფოსი, დეთისმეტყველი, ვარსკვლავთმრიცხველი, ფიზიკოსი და არითმეტიკოსი ბუნების ისტორიის მცოდნე და რიტორი მდივანბეგი იოანე ორბელიანი; საერო წიგნთა და სახუმარო ამბავთა მოყვარული მდივანბეგები: თეიმურაზ ციცი-

შეილი, ქაიხოსრო ავალოშვილი და იასე ამილახვარი; ფილოსოფოსი და ზუმარ-სიტყვაობაში მარჯვე პასუხისმიშვები მდივანგებ-მსაჯული მჭეჭიბუკ ორბელიანი; მრავალთა წიგნთა დაუღალავად გადაშწერნი, ფილოსოფოსნი: მიხაილ თბილელი, ტრიფილე არქიმანდრიტი, სიონის დეკანოზი იოანე ოსეშვილი; მრავალთა ქართველთა განმანათლებელნი სომეხნი მეცნიერნი: ზაქარია ვარდაპეტი მადინაშვილი, ანტონ კათალიკოსთან მოღვაწე მთარგმნელები: ტერ-ფილიპე, ტერ-პეტროზა და ტერ-დავითა; მდივან-მსაჯული იესე ოსესძე, რომელიც დილიდან სადილობამდე სასამართლოში საქმეებს არჩევდა, ხოლო ნასადილევს განჩინებებს სწერდა, ყოველ საღამოს იასე მწიგნობარის სტუმარი იყო და ან საამო საუბარით ერთობოდა ან კიდევ უცხო წიგნებს ათვალიერებდა. მოდიოდნენ აგრეთვე კათოლიკე მისიონერები, სოფდაგრები, მუსულმანი მწიგნობარნი და მრავალი საერო ან სასულიერო მოღვაწენი.

თითონ იასე მუდამ ფეხმორთხმით იჯდა ხალიჩადაფენილ ტახტზე. თეთრი წვერი სარტყელზე სცემდა. ხელში კრიალოსნით მუთაქაზე იდაყვდაყრდნობილი, ის ან გადაშლილ წიგნს ჩაჰკირკიტებდა, ან მოსულ სტუმართან საუბრობდა და მხოლოდ იშვიათად თუ უბრძანებდა რაიმეს დახლში მომღშავე ნოქარს, ან შეგირდებს შეკითხვაზე თუ გასცემდა პასუხს. სწავლების თავისებური წესი ჰქონდა. მისი აზრით შეგირდისათვის ნახევარი უნდა განგემარტა და მეორე ნახევარს თითონ შეგირდი უნდა მიმხვდარიყო. შემდეგ ძალიან თუ გაუჭირდებოდა, მხოლოდ მაშინ მიშველებოდა. ტვინი უნდა გაეხსნას შეგირდსო, იტყოდა იასე, თორემ ბევრი ჩიხინით სულ ვერას ვერ ისწავლისო. მართლაც ასეთი სწავლების შედეგი იყო, თუ თითონ შეგირდები იყენენ შერჩევით უნარიანი და ნიჭიერები, იასეს მოსწავლენი მართლაც სასახელონი იყვნენ და მათ ვერც ანტონ კათალიკოსის შეგირდები და ვერც სემინარიის, ან ლათინთა სკოლის მოსწავლენი შეედრებოდნენ. წერა ხომ ისე სწრაფად, თანაც სუფთად და ლამაზად შეეძლოთ, რომ ერთხელ სტამბის ხელსწინებთანაც კი სურდათ გაჯიბრება: სანამ თქვენ დავითს ააწყობთ, გაასწორებთ და ხუთას ცალს დაბეჭდავთ, ჩვენ მანამდე მაგდენს ხელით ვადაწერთო.

კვირაობით შეგირდები თავისუფალნი იყვნენ. დაცარიელებულ სახელოსნოში საღამოობით იასე მწიგნობარის სტუმრები გროვდებოდნენ სამასლათოდ. ასეთ მასლაათებს შეჩვეული იასე ყოველ კვირა საღამოს ბინიდან ქვემოთ ჩამოვიდოდა, ბუხარში ცეცხლს დაანთებინებდა, შემდეგ სხვადასხვა წიგნების დასტებს მიატანინებდა, გვერდით ტახტზე დაიწყობდა და მოსაუბრეთა მოლოდინში, სათითაოდ ათვალიერებდა. როგორი წიგნები ჰქონდა შერე იასეს! ზოგი უზარმაზარი, კარების ოდენა, ზოგი კიდევ ისე პატარა, რომ ფრჩხილის ოდენანი თუ იქნებოდნენ. ყველაზე ლამაზი და ძვირფასი, მათ შორის, არაბული და სპარსული წიგნები იყვნენ. ბევრი მათგანი მოოჭრულ, ვარაყიან ფურცლებზე ნაწერი, ისე წმინდად, ისე სუფთად, ასჯერ რომ გენახა ასჯერვე გაცოდებოდი. ყველაზე უფრო იასეს ამ წიგნების კითხვა და თვალიერება უყვარდა. განსაკუთრებით ერთი წიგნი ჰქონდა ამოჩემებული. ომარ ჰაიამის რუბაიები. ბევრი ევედრებოდა, ოღონდ ეგ დაგვითმე და რაც გინდა სანაცვლოდ გეტხოვეო. ირანის ელჩმა შაჰის ნაბოძები ოქროს საათიც კი შესთავაზა სანაცვლოდ, რაკი ფულზე არა ყიდის იქნებ ასეთ იშვიათ ნივთზე მაინც გაცვალოსო: ეს საათი მართ-

ლაც იშვიათი რამ იყო, რადგან მას, ჩვეულებრივი საათისა და წუთების მაჩვენებელ ისრების გარდა, წამების მაჩვენებელი ისარიც ჰქონდა და ამის მაგვარი საათი მხოლოდ ერეკლე ბატონს ებოძა შაჰისაგან.

წორედ ამ წიგნის კითხვით იყო გართული იასე კვირა საღამოს, ზაფხულსა და მის მდივანბეგი იოანე ორბელიანი ესტუმრა. იასე ფეხზე უპატივით მოწიწებით მიეგება დიდსა და საპატიო სტუმარს.

— მშვიდობა თქვენს მობრძანებას, მართლა და თქვენი ნახვის მონატრული გავგზადე თქვეთ ბრწყინვალეზე, — დაბლად თავის დაკვირვით მოახსენა იასემ იოანეს და ტახტზე მიიპატიჟა, შემდეგ ტაში დაკრა და მსახური იხმო, უსიტყვოდ, თვალთ ანიშნა სუფრა გაეშალნა და ისევ იოანეს მიუბრუნდა, — დაგვიფიქვით, სულ დაგვიფიქვით, თქვენო ბრწყინვალეზე, თუცა ეს დღეები, ბედნიერებით აღსავსენი იყვენ და აბა ბატონთან ლხინის სანაცულოდ მე როგორ გავებედავ ჩემი მასპინძლობა შემოგთავაზოთ, მაგრამ...

— ეჰ! კარგი ერთი შენმა დღეგრძელობამ, — ხელი ჩაიქნია იოანემ. ტახტზე დაჯდა და წიგნებს გადახედა. — ახალი წიგნები მოგსვლია გატყობ. ამბობენ ალა იბრეიმმა ბევრი რამ უცხო საკითხავი წიგნები მოიტანაო. შენს იქით ის წიგნები ხომ არ წავიდოდა?

— ყველას გაჩვენებთ. გუშინ ერთი წიგნი კი ბესიკმა წაიღო.

— რა წიგნი?

— „ეილ ბლანი“ ლესაქისა. ის ხომ წიგნების მუსუსია, თქვენო ბრწყინვალეზე. თუ ახალი რამ წიგნი გაჩნდა, ხომ იმან უნდა წაიკითხოს პირველად. ქეშმარიტად მაკვირვებს, ისეთ ღვთისრისხვას, როგორც მამამისი ზაქარია იყო, ასეთი კარგი და ყოვლის სიკეთით აღსავსე შვილა როგორ გაუჩნდა!

— კარგი მეღუჭსეა?

— ოჰ! ნულარ იტყვიოთ. თუ დასცალდა, ქართველთ მეორე რუსთაველი ეყოლებათ. ეგ არის ცოტა ბედოვლათია. აქაო, კარგა ხმა აქვსო, ყოველ ლხინში ეზიდებიან. გათენებამდე ამღერებენ, აქეთ კიდევ ქალებიც იბნელებიან მაგის შვენებით და, თუ ასე გაგრძელდა, დიდი დღე არ უწყრია არც მაგის ნიქს და არც მაგის მომავალს.

— ეგ ყმაწვილობის სენი ჩვენც გავგივლია, ჩემო იასე! — უთხრა დიმილთ იოანემ, — არა უშავს რა, მაქარი დაიდულებს. ახლა დროც აღარ ექნება ბევრი ლხინებისათვის. მდივნის სახელი ებოძა და თუ აგრე იარა, ვინ იცის რა სიმაღლემდე ავიდეს.

— ღმერთმან ქნას აგრე იყოს. სხეა, თქვენ ძალზე მოილხენდით? მოგახსენებენ, სამი დღეა ბატონის სუფრა არ აშლილა, განუწყვეტელი ლხინიაო. ასეთი გამარჯვება...

— ვაი ამ გამარჯვებას, ჩემო იასე!

— მე თქვენი ვერა გამიგია რა? ეგ როგორ?

— როგორ და ისე. გამარჯვებას განა მარტო მტრის ლაშქრის გაელეტით მოიმიქი? ათასს გაელეტ, ორი ათასი კვლავ მოვა. გამარჯვებას შემომტყიცება ქირღება. ლხინი კი არა გლოვა გვმართებს, ისეთ დღეში ვართ! ამას საქვეყნოდ სალაპარაკოდ არ გეუბნები. ჩვენს შორის დარჩეს და საიდუმლოდ გულში ჩაიპარხე. მთელი ქალაქი ლხინს მისცემია, ბატონს გაუმარჯვნიაო და ვინ რა იცის რა ამბები ტრიალებს. ლხინი ლხინია და ბატონი, რაც

ლაშქრობიდან დაბრუნდა, თავის ოთახიდან არ გამობრძანებულა, მიზეზს კი არავეს კითხულობს.

— აბა ეგ რა მოსახსენებელია, თქვენო ბრწყინვალეებავ! იქნებ შეუძლოდა, ან კიდევ საქმენი ნებას არ აძლევენ.

— კარგი ერთი შენმა სიცოცხლემ! თავიდანვე ვეუბნებოდეს დალოცვებს, მაგ რუსებთან დამეგობრება ჩვენ ხელს არ მოგვცემს-შეთქი. მოდი, ჩვენ თათრებთან მოერიგდეთ და იარაღალი იმერეთს წაიღიეს, ჩვენ მაგათ საქმეში ნუ გავერევით-შეთქი. არ დამიჯერა და აბა, ბოლოს ისე არ გამოვიდა! იარაღალმა აწყურთან ბატონი ღვთის ანაბარად მიატოვა. ჩვენს ბატონს ღმერთმა ხელი მოუშართოს. კიდევ ბედი, თათრებს მუსრი ვაავლო, მაგრამ შედეგად რა მივიღეთ? თათრები საბოლოოდ მტრად მოვიციდეთ და რუსის იარაღალიც ომს გვიბირებს. წადი ახლა და ასეთი გამარჯვება იზეიმი.

— როგორ თუ ომს? ჩვენ გვიბირებს ომს?

— ესე გამოდის. განა არ იცი, რა დღეში ვიყავით, სანამ ბატონის გამარჯვების ამბებს გვაცნობდნენ. ჩვენს ციხეებში თავისი ჯარები ჩააყენა და ხალხს რუსეთის ქვეშევრდომობაზე აფიცებდა. ახლა კიდევ გადაუწყვეტია ბატონი ტახტიდან ვადააყენოს და საქართველოში მეფობა მოშალოს. სწორედ ორ ცეცხლ შუა ჩავცივდით.

იოანეს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს მსახური შემოვიდა და ტახტზე სუფრის გაშლა დაიწყო. იოანემ ხელში რომელიღაც წიგნი აიღო და სანამ მსახური ოთახიდან არ გავიდა, ხმა არ გაუღია. შემდეგ წიგნი ისევ თავის ადგილას დადო და განაგრძო შეწყვეტილი საუბარი:

— კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო, სწორედ ჩვენზე უთქვამს რუსთაველს. რაც ჩვენ ბოლოხანებში გაჭირვებას ვწახულობთ, საკვირველი კი არა არის რა, მაგრამ ერთხელაც ბოლო აღარ უნდა ექნეს? რა ექნათ, რა ვიღონოთ? ამ გაზაფხულზე ბატონის ბრძანებით სოფლების აშენებას მიეყავით ხელი. მართლა რომ კარგი საქმეა. ამდენ ხარაბა მამულებს მართლაც რომ პატრონობა კვირდება. მართა ჩემს მამულში ათი ათასი კომლი უნდა ესახლოს. ხალხიც აღარ არის, ვინდა დავასახლო? ჩვენ რომ სოფლებს ავაშენებთ, ეგ რა სოფლები იქნება. ხუთი კომლი სოფელია? ხუთი კომლი რომ ას კომლად იტყეს, რამდენი წელიწადი უნდა გავიდეს. მერე ვაცლით, განა, მოშენებას?! მოშენებელი არ ვიყავით, რომ არ დაგვაყენეს?! შაჰთამაზმა მუსრი გაგვავლო, შაჰაბასმა კიდევ უარესი გვიყო, ან რომელი ერთი ვთქვა. ახლა რაღა ვართ? ვისღა უნდა გავუშკლავდეთ? სულ მუდამ ვალითა და ვახშით ლაშქროს დაჭირვება იოლი საქმეა?! ისე ლაშქარს რამდენს მოაგროვებ, რომ თათარსაც პასუხი გასცე და იარაღალსაც შენი შიში ჰქონდეს. ჰოდა, ახლა შენ იანგარიშე ჩვენთვის ამგვარად საქმის წარმართვა რა ხეირს დაგვაყრის.

— ეგ რა მითხარით, თქვენო ბრწყინვალეებავ? — ვაოცებით წამოიძახა ისევ, ვერცხლის ყაფადანს მისწვდა, ფაიფურის ფილა აავსო და იოანეს მიაწოდა. — შაქარი თქვენს გემოზე ჩაჰყარეთ. ტკბილს ხომ აღარ ერიდებით? მახსოვს, კბილები გტკიოდათ.

— არა, სამი კბილი ამოვალდებინე ექიმს. დაჩრულები მქონდა. ჯერჯერობით, რაც დამჩნა, მაგრამა მაქვს. ჩემო ისე, კბილის დარდი ვისა აქვს. ოღონდაც თავები შეგვარჩეს!

— უფსკრულის პირად ვყოფილვართ და ეგ არის.

— მერე როგორ! ერთი ბიჭი და... ძორჩა! — იოანემ ყავა მოსვა და ჩურჩულით უთხრა იასეს: — ყოველ წუთში მოსალოდნელია რუსების მოსვლა...

— მერე? — ასევე ჩურჩულით ჰკითხა იასემ.

— მერე და ის, რომ შებმით ვერ შევებმით. ბატონმა ჯარისკაცებმა სულ ხუთასი კაცი თუ ეყოლება. მოვლენ, და კიდევაც რომ გეძლევენ.

— მაშ ჩვენი აღსასრულიც მოახლოებულა! — იასემ თავისი ფიალა განზე გადადგა. — ეგ რა ამბები მოიტანეთ, თქვენო ბრწყინვალეებო. მე აქ გამარჯვების სიხარულით დამთვრალი ვნეტარებ, ლხინს ვეძლევი, თქვენ კიდევ მეუბნებით...

— მოიცა, არავეინ გაიგონოს რა. ქალაქში ათასი მტერი და დუშმანია შეფარებული. ხმადაბლა ილაპარაკე, არავეინ გაგვიგოს რა, თორემ ორთავეს ცუდი დღე მოგველის. ბატონის რისხვა არ აგვეცდება. ხალხი, ზომ იცი, ეს ამბავი რომ გაიგოს, ფარასავით დაფრთხება და ვეღარ ვუპატრონებთ. ჩვენმა ბატონმა ეს თვისება ხალხისა ძალიან კარგად იცის და ამისთვისაა, რომ მაგის შუბლზე ვერასოდეს ვერ ამოიკითხავ, ან როდის უჭირს, ან როდის უღბინს. რაგინდ გასაჭირიც არ ადგეს, წარბსაც კი არ შეიხრის. იცის, რომ ყველანი მაგას უცქერიან და მაგის იმედით სცოცხლობენ. მართალიც არის, აბა რას ეგვანება ეგ რომ კუმუნვასა და შიშს მიეცეს. ახლაც, აქაო და ყველაფერი რიგზეაო, პირველ მაისს, რადგან თამარობაა, ჩვენის ქალის თამარის და დავით სარდლის ქორწინება გეგმობდნენ. ისეთი ამბავია სასახლეში, ისეთი მხიარულება და საქორწილო მზადება, სიცილისკისი მნახველი იფიქრებს, ღმერთს სამოთხე ბატონის სასახლეში გადმოუტანიაო.

— ეგ მართლაც სასიხარულო ამბავი მოთხარით. მიკვირს, ეჯობმა რად არ მაუწყა? თავგარდასავლების თადარიგს დროზე შევეუდგები. ჩემმა ჯალაბმაც რომ არა იცის რა, ეგ სულ ახალი ამბავია. დღეს აპრილის ოცდარვაა, კვირა, პირველი მაისი, ოთხშაბათი დღეა. ვაჰ! მარხვის დღეს ქორწილო იქნება?

— ღამით იქორწინებენ. თორმეტ საათზე. ნაშუალამევს ზომ უკვე ხუთშაბათი იქნება.

— ჰო, ეგ კი აღარ გამახსენდა. ნეტავ ჩემთვის მარტო ეგ ქორწილის ამბავი მოგახსენებინათ და სხვა არა გეგმობდნენ რა, დარდით აღარ დამეძინება.

— ეჰ! შენ რა გიშავს ჩემო იასე, მართალია თავადი ხარ, მაგრამ მოქალაქედ სწერიხარ და შენის მწიგნობრობით სკამ პურსა. ჩვენ უნდა ვიკითხოთ, ვინც მარტო ჯამაგირზე ვართ და თუ რაიმე უბედურება მოხდა, პირველად ჩვენ დაგვატყდება თავზე. მოქალაქეთ კიდევაც უხარიათ, თუ სხვა ვინმე დაგვეპატრონება. ჩემ ზემად კიდევაც გაიგონებ, სულ ომი და შფოთი მოგვებრდა, ნეტავ ვინმე მოვიდოდეს და გვიპატრონებდესო. სომხობა ზომ რუსების მოსვლისათვის სულსა ლევს და ასე ამბობს, თუ ისინი არ მოვლენ, ჩვენ ავიყრებით და გადავსახლდებით, ან მოზღოკს, ან ყინლარს და იქ შევადარებთ თავსო.

— ეგ მე არავისაგან არ გამიგონია, სულ ტყუილი მოუხსენებიათ. ისე კი, ბატონი რომ რუსეთის მფარველობას განიმტკიცებდეს, მართლაც სანატრელი საქმე იქნება. სხვა არა იყოს რა, ამ ლეკობას მაინც მოვუღებთ

ბოლოს. შიშით ჩემს მამულებს ვერ მივკარებოვარ და ყოველ წელიწადს ჩემივე ყმების ტყვეობიდან დახსნამ გაპალატა.

ქუჩიდან დახილი მოისმა: „იასე შინა ბრძანდება?“ ზემო აივნიდან უპასუხეს: შინ არისო, და მაშინვე კარები დაუკითხავად შემოაღო ყველმანაც. ბივით გრძელულვაშებიანმა ეზოს მოძღვარმა. დაინახა თუ არა იოანე, მაშინვე მოწიწებით მიესალმა.

— თქვენც აქ ბრძანებულხართ, თქვენო ბრწყინვალეობა?

— რაო, მამუჩა? — ჰკითხა იოანემ.

— ბატონი სასწრაფოდ გიხმობთ. ხალვათხანაში თათბირი აქეთ. თავად მოურავოეს ვილაც რუსი პომპოლიკის ბარათი მიუღია ჯარი მომყავს, ნება მომეცით გეახლოთ და იარანალი ტოტლებენი დავატუსალოო.

— ეგ რა მითხარ? — წამოიჭრა ზეზე იოანე — ეგ რა სასიხარულო ამბავი მომიტანე. ჩემმა მზემ, მღვდელი რომ იყო, ხელზე გეამბორებოდი. ქეშმარიტად ბედი გვეწყალობს. ღმერთმა დღევრძელი ამყოფოს ჩვენი ბატონი!

იასე შაქარს მისწვდა. ერთი მსხვილი ნატეხი ააღო და მამუჩას ტუჩებზე მაიღო:

— დააღე პირი, დააღე-მეთქი. ამისთანა ამბის მოტანისათვის შენს პირს შაქარი!

— დაიცა იასე! — ძლივს მოასწრო ამის თქმა მამუჩამ და შაქარი უკვე მის პირში აღმოჩნდა. — თქვენთან...

— ჰამე, ბევრს ნუ ლაპარაკობ. მოდი, ყავაც მიირთვი. აგერ ტკბილეული, შენ რომ გიყვარს.

მამუჩამ შაქარი ააბრამუნა, იასეს ყავით სავსე ფიალა ჩამოართვა, რამდენიმე ყლუპი მოსევა და ისევე იოანეს მიუბრუნდა:

— ახლავე უნდა წაბრძანდეთ, თქვენო ბრწყინვალეობა. თავკუდმოგლეჯილი დაგეძებენ.

— აი მივდივარ. განა შენც იქეთ არ მოხვალ?

— მე იასესთან გეახელით. თამარის მზითვის სიგელისათვის გრაგნალი ქალაღი გვინდა. ათი აღლი უნდა ჰქონდეს სიგრძეო და ერთმანეთზე მიწებებული კი არ ვარგაო, მთლიანი უნდა იყოსო.

— ათადლიანი ქალაღი. — შედგა იასე. — მგონი უნდა მქონდეს. დაიცა, ნოჭარი ვიხმო.

— მაშ მე მივდივარ, — სთქვა იოანემ. — იასე, შენი წიგნების ჩხრეკა ძალიან მინდოდა, მაგრამ როგორც დროს ვიშოვი, მაშინვე გინახულე.

— მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალეობა, როდესაც გენებოთ. თქვენთვის მრავალი კარგი წიგნი მაქვს შენახული. — მოწიწებით უთხრა იასემ მდივანბევს, კარამდე მიაცილა და შემდეგ ეზოს მოძღვარს მიუბრუნდა. — აბა, ჩემო მამუჩა, შენი თხოვნაც შევიწყნაროთ. ათადლიან ქალაღს, ქვეყნადაც რომ არ იყოს, მაინც გავაჩენ.



ბატონის სასახლის ფრანგულ დარბაზში საღამოს, თავი მოიყარეს თბილისის წარჩინებულმა ქალებმა. პატარძალი უნდა გაერთოთ. მთელი დარბაზი აპრელებული იყო სხვადასხვა ფერის ფარჩა-აბრეშუმით მორთული

ქალბით, აბრწყინებულა წმინდა წყლის აღმასებით და გაქვნილი ფრანგულ ნელსაცხებელთა მძაფრი სურნელებით. ლერწამიფია ტანწერწერა ქალბს კოჭებამდე სცემდათ თხადდაწული თმები, უცხო ტომის ადამიანს აუცილებლად გაოცებაში მოიყვანდა ნაწნავთა ერთნაირი კრიტიკით. მთელ დარბაზში ქალი არ იყო, რომელსაც სხვებისაგან განსხვავებით ოდნავ მაინც მოკლე თმები ჰქონოდა. თითქოს ერთ ყალიბში იყო მოჭრილი ყოველი ნაწნავი. ასევე ერთნაირად იყვნენ მოკაზმულნი ყველანი, ასაკის მიუხედავად, ფერითა და უმარილით.

ახლად მოსულს ვარდების თაივული და რაიმე მოსაკითხი მოჰქონდა თამართან, ულოცავდა ბედნიერებას, მერე გვერდით მიუჯდებოდა და სანამ მეორე მიმლოცველი არ მოვიდოდა, მუსაიფითა და შექებით ართობდა. შემდეგ ამ მეორეს უთმობდა თავის ადგილს და თითონ მხიარულ მასლაათში გართულ ქალთა მირაქას უერთდებოდა.

მაღე დარბაზში ლეონ ბატონიშვილიც შეიქრა მთელი ამალით. მას ოცდაათამდე ჰაბუკი ახლდა, დიდებულთა მეშვეილდრენი. ჰაბუკებმა თავისებური სიხალისე შეიტანეს ქალთა კრებულში. ჯერ თამარ ბატონიშვილს მუხლმოდრეკით მიესალმენ, სათითაოდ ხელზე ეამბორნენ, შემდეგ კი ლეონის ბრძანებით, — რომელიც დას გვერდით მიუჯდა, — რიგრიგობით იჩენდნენ ნიკს, ზოგი მჭერმეტყველებაში, ზოგი ლექსების კითხვაში, ზოგი ცეკვათამაშში. მდივანბეგ ავალიშვილის ვაჟმა გამოცანები შესთავაზა მხიარულ კრებულს და ხმამაღლა დაიძახა:

— აბა ვინ იტყვის რა არის: ერთ სოფელში ორთა ძმათა ორთავ ერთი ტახტი აქვსო, ერთი მუდამ სიყრმეზე დგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო, ერთს მრავალი ჯარი ახლავს, ერთს კი მარტო ტახტი აქვსო.

— უი, ქა, ეგ რა ამოცანაა! — დაიძახეს აქეთ-იქედან და შემდეგ გაისმა პასუხები.

— ცოლქმარი.

— ნეფე და დედოფალი.

— არა, დაიცათ, მე მივხვდი, — დაიძახა სიტყვამოსწრებულმა ციციანთ ანასტასიამ. — ეგ მეფე და კათალიკოსია, ორივეს ხომ ტახტი უდგათ. ერთი ჩვენი ბატონი ხომ სულ მუდამ სიყრმეზე დგას და ბევრი ჯარიცა ახლავს, იმას კიდე მარტო ტახტი უდგას.

— არა, ვერ გამოიციან — შეაწყვეტინა ლეონმა. — ჯარიმა გადაიხადე. ეგ მზე და მთვარეა.

— ჰოო, სწორია! — დაუდასტურა ავალიშვილმა.

— ეგ როგორ ვერ მიხვდით!

— განა არ ვიცოდით, მაგრამ აღარ მომაგონდა.

— აბა კიდევ მოგვახსენე. — უბრძანა ლეონმა ჰაბუკ ავალიშვილს. — ისეთი რომ ვერც მე გამოვიცნო.

— თქვენი ნებაა, ახლავე მოგახსენებთ: სახლი ხმაურობს, პატრონნი ჩუმად არიან, ქურდები შევიდნენ, სახლი ფანჯარაში გაძვრა.

— ოჰო, ეგ მართლა ძნელი ამოცანაა! — დაიძახა ლეონმა. — წისქვილი ხომ არაა.

— არა! — დიმილით უპასუხა ავალიშვილმა.

— ეგ პატარძალი უნდა იყოს! — სთქვა ისევ ციციანთ ანასტასიამ.

— როგორ, საიდან? — გაუკვირდა ლეონს.

— როგორ და პატარძლის ფარჩის კაბა ხმაურობს, შრიალებს, შრიალი განა ხმაური არ არის? პატარძალი ხომ პატრონია, ის კიდევ ჩუმადა.

— მე როდისა ვარ ჩუმაღ? — სიცილით უთხრა თამარმა.

— დაიცა, მე შენისთანებზე არ მოგახსენებ. სიძე, რომ მარტალი ვეჭვით, ქურდია, პატარძალს იპარავს და პატარძლის სახლი ანუ ~~ფარჩის~~ ~~კაბა~~ კიდევ, როცა დრო იქნება, გაიპარება...

სიცილმა დაძვარა ანასტასიას უქანასკნელი სიტყვები. ახსნა, რასაკვირველია, სწორი არ იყო და საბოლოოდ ამოცანა ისევ მთქმელს აახსნევინეს.

— გეითხარი მაინც რა არის? — ჰკითხა ლეონმა, — თორემ, აქ ვატყობ, მაგას ვერ ახსნიან.

— თეეზაობა გახლავთ, ბატონიშვილო!

— პოო, ხედავთ! — გადახედა ლეონმა ქალებს, — თქვენ კი, რაც გესიზმრებათ, მელიისა არ იყოს, იგივე გელანდებათ. ზოგი გაიძახის პატარძალიო, ზოგი სიძეო, ზოგი ქმარიო, მიჯნურის გულიო. აბა ერთი კიდევ მაგისთანა ამოცანა მოგახსენე.

— იყოს ნება თქვენი! — შევირცხლად უპასუხა ავალიშვილმა:

უცხოდ მოვიდა ლაშქარი, უცხოდ მისითა სახითა,
ხან არის უანგარიშო, ხანაც ვერაინ ვნახითა,
არც მოედების მას ბადე, არც დაიკრვის მახითა
ბრძენი, იმათი მცნობელი, ბევრი ვერაინ ვნახითა.

— ოო, ეგ კი ჩვენი ტურფა ქალები უნდა იყონ. თქვენ რას იტყვიოთ ჰაბუენო? — მიპართა ლეონმა ტოლებს. — არა?

— არა, ბატონიშვილო. ვეჭვ რომ არ შეიძლებოდეს ტურფა ასულთა ან მახით დაქერა და ან ბადეში გახვევა. — მორიდებულად მოახსენა ჰაბუენმა სოლომონ ლეონიძემ, რომელიც დარბაზის კართან იდგა აქამდე ჩუმაღ და საერთო მზარულებაში მონაწილეობას არ ლებულობდა.

— ხედავთ, რას ამბობს ნალიაკენარი! — გაიცინა ლეონმა. — აბა მაშ გვიხსენ ეს ამოცანა.

— ეგ ვარსკვლავებზე გახლავთ თქმული. — უპასუხა თავდახრით სოლომონმა.

— სწორია, ავალიშვილო? — მიუბრუნდა ლეონი ჰაბუენს.

— სწორად მოგახსენებთ, ბატონიშვილო, სოლომონი.

თამარმა ყურში წასჩურჩულა ლეონს, ამოცანები გვეყოფა, მოდი „ანზე სით მოხვალ“ თამაშობა გავმართოთ, ქალებს თავიანთ მიჯნურთა ან საყვარელთა სახელები მინდა წამოვაცდენინოო. ლეონმა მაშინვე ტაში დაჰკრა და დაიძახა:

— შაბაშ, ამოცანები არ გვინდა. აბა „ანზე სით მოხვალ“ დაეიწყეთ. ანასტასიავ, ჯერ შენ მიპასუხე: ანზე სით მოხვალ?

— აწყურდიან, — უპასუხა ანასტასიამ და ნაწინაეები შეათამაშა. — მაგაში კი ისე ვარ გაწაფული, ვერ დამიჭერთ.

— სად მიხვალ?

— სადა?.. — შედგა ანასტასია.

— ჰაა; უკვე წაჰკარ ფეხი.

— ანანურს, დაიცათ ქა, აღარ მეკლიათ?

— ვისი მოყმე ხარ? — ჰკითხა ლეონმა და თამარს ოდნავ თვალი ჩაუკრა. თამარმა კი ნიავევით წასჩურჩულა „მაგისტრის ყარზე უნდა გეკითხა, ყაფლანი წამოცდებოდა“.

— ვისი მოყმე ხარ? — გაუმეორა ლეონმა — ჩქარა მიპასუხე, ამოდენა ფიქრი გაგონილა?

— ამირინდოსი.

— სახელი რა გქვია?

— ანასტასია, აბა ეგ კი არ შემეშლება და არც დავაყოვნებ მაგის პასუხს.

— მშვილდი რისა გაქვს?

— მშვილდი?

— ჰო მშვილდი, ჩქარა მიპასუხე, თორემ მოვიდა ჯარიმა.

— ა... ა... — დაიბნა ანასტასია — ქალებო, მიშველეთ. ჰო ასკილისა.

— ისარი?

— ისარი?... — გააგრძელა კითხვა ანასტასიამ.

— კიდევ ერთხელ შეკითხე. შორჩა, ჩაიჭერ! ჯარიმად ხეალ თბილელის დიაკვანს უნდა ეამბორო ხელზე. აბა, თეკლე, — მიუბრუნდა უცბად ლეონი მდივან სულხან თემანიშვილის ასულს. — ფარზე სით მოხვალ?

— ეაი, შე გიპასუხო? — დაიბნა თეკლე და აღუღებვისაგან თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ჰო, შენა. ჩქარა მიპასუხე!

— ფარზე... ფ... ფოთიდან, — უპასუხა თეკლემ და სიამოვნებისაგან ლოყები ვარდისფრად აეტყეცა.

— სად მიხვალ?

— ფშაეს.

— ბარაქალა. მშვილდი რისა გაქვს?

— მშვილდი?

— ჰო, მშვილდი. იცოდე თუ კიდევ შეორეჯერ გიკითხავს ჩაჭრილი ხარ. მიპასუხე ჩქარა!

— ფშატისა.

— ისარი?

— ფ... ვაიმე... ფითრისა.

— რას მოჰკლავ?

— ფრინველსა.

— ფრინველსა არ ვარგა. სახელი უნდა სთქვა რაიმე.

— რატომ, განა სულ ერთი არ არის? — იწყინა თეკლემ და გაბუტულივით განზე გაიხედა.

— კარგი. ჩავთვალთ ეგ სწორ პასუხად. სად მოარტყამ?

— ფეხში! — უპასუხა სწრაფად თეკლემ. — აი, ხომ გიპასუხე.

— სწორია, თეკლეს ეკუთვნის პირველი გამარჯვება. ვინ არის შემდეგი? ლეონმა ის იყო დააპირა ნიშანში მესამე ვინმე ამოელო, რომ ამ დროს დარბაზში დედოფალი დარეჯანი შემობრძანდა, ანახანუმის, ანას, სეფექალებისა და სასახლის მდივნების თანხლებით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბესიკი.

ყველანი ფეხზე წამოიშალნენ. დარეჯანმა საერთო სალამი მისცა დარბაზში მყოფთ, მიგებებულ თამარსა და ლეონს სათითაოდ შუბლზე აკოცა,

შემდეგ საეარქელში ჩაჯდა და ყველას უბრძანა დამსხდარიყვნენ. ქალები კაბების შრიალთ დასხდნენ. მამაკაცები კედლების გასწვრივ ჩამწკრივდნენ.

— აბა ერთი ჩვენც მოგვიღებინეთ! — ბრძანა დარეჯანმა. — განაგრძეთ, რითაც ერთობოდით.

— ჩვენ „ანზედ სით მოხვალს“ ვთამაშობდით, დედაც ბატონიშვილს ლეონმა. — თუ ნებას მომცემთ...

— არა, დაიცა! — ცხარედ შეედავა ანასტასია. — აქ ქალები რომ ამოვიღე მიზანში, აბა, ერთი კაცებმაც სცადეთ და გვიპასუხეთ.

— სწორია, ვაყებმა გვიპასუხონ, ვაყებმა! — ახმაურდნენ ქალები.

— ბესიკმა გვიპასუხოს, ბესიკმა! — წამოიჭრა ზეზე ანასტასია, კარებთან მორიდებულად მდგარ ბესიკს ხელი დასტაცა, შუა დარბაზში გამოიყვანა და ქალებს მიმართა. — აბა, ქალებო, თქვენ იცით. ერთი ამის ჯარიმებით გული ვიჯეროთ. მე ვიწყებ. ბესიკ, ანზედ სით მოხვალ?

ბესიკმა ღიმილით გადახედა ქალებს და ლეონ ბატონიშვილს თვალით ანიშნა, ვუპასუხო თუ არაო.

— დაიცათ, დაიცათ! — წამოიჭრა ზეზე ლეონი. — ანასტასიაე, ჩვენ თანახმა ვართ ერთის პირობით. ბესიკმა თუ სწორად უპასუხოს, მკითხველს, როგორც თითონ ისურვოს, ისე ეამბოროს...

— უიმე!... — იუარეს იქედან ქალებმა, მაგრამ წინადადება, ეტყობოდა დიდად არ სწყენიათ.

— თუ ბესიკი ჩაიჭრა, მკითხველმა თავში უთავაზოს.

— ეგ რა საკადრისია! — სთქვა ანასტასიამ. — თუ ბესიკი ჩაიჭრას, ჯარიმად ერთი თასი ღვინო დასცალოს.

— კარგია თანახმა ვარ. ეჯიბო, ღვინო. — დაიძახა ლეონმა და შემდეგ ანასტასიას მიუბრუნდა. — დაიწყე, ანასტასიაე!

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ქალები ღიმილით და ალტაცებით უკეპროდნენ ბესიკს, რომელსაც ოდნავი დაღერება ემჩნევოდა და ეტყობოდა მაინცდამაინც გუნებაზე ვერ იყო.

— ანზე სით მოხვალ? — ჰკითხა ანასტასიამ.

ბესიკი მხოლოდ ერთ წუთს შეჩერდა, თითქოს რაღაც უნდოდა მოეგონებინა და შემდეგ ჩვეული ტყბილი ხმით, შეუჩერებლად უპასუხა ანასტასიას:

ათინად ბრძენად განზრდილი აზიად ემგზავრობ არესა,
ამირბარს ეყემე აეთანდილ ამოდ რა ღმობიარესა!
აღვისა შშვილდი შემშვენდა, ისრად არყისა მხმარესა;
არწიეს აფსკასა შეფაჯენ, ჰაირ მოფრინვა-მკმარესა.

არაეინ არ მოელოდა ასე მოხდენილად, ისიც ლექსად პასუხს და დარბაზში მყოფთ, ერთის ყრიაშულით და შექებით გამოხატეს თავიანთი აღფრთოვანება. განსაკუთრებით ლეონი იყო ალტაცებული, თითქო თითონ ეთქვას ასეთი მოხდენილი პასუხი. გაექანა და ბესიკს გადაეხვია.

— აბა მიდი! — უბიძგა ხელი ლეონმა და შემდეგ ყურში წასჩურჩულა. — ანასტასიას შუბლზე ეამბორე. იცოდე, მე მიბრძანებია.

ბესიკი ღიმილით მიუახლოვდა ანასტასიას, ხელზე ეამბორა და უკანვე გამობრუნდა.

— არა, ხელზე არა! — იყვირა ლეონმა. — ჯარშია. მშვიდარა ნუ ხარ. აბა ვინაა შემდეგი. ჰკითხეთ.

— დაიცა, ნუ იყვეხნით, — სთქვა ახლა ოდნავ შეთამამებულმა თუმანოვანთ თეკლემ. — აბა ერთი ბანზე გვიპასუბოს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჰკითხე, თუ გული გერჩის! — წააჭეზა ლეონმა.

თეკლეს ლოყებზე აღმური აედო. დარბაზში უცბად გამეფებულმა დღემილმა უფრო დააბნია და აკანკალებული ხმით ოდნავ გასაგონად ჰკითხა:

— ბანზე სით მოხვალ?

ბესიკმა ისევ ლეონს გადახედა, ლეონმაც კვლავ ოდნავი ღიმილით და ფეხის ჩაყერით ანიშნა: აბა შენ იციო, და მანაც უფრო ნაზი ხმით, თითქოს უფრო ახალგაზრდა ქალთან ასე იყო საჭირო, გასცა პასუხი:

მაბილანით მრეებელმან ბასრა ეხილე მსუროდა,
ზარამის შეყრა მომესმა, ბეჯან ვემონე ყმუროდა.
ბიისა შეილდი ფიცხელი, ბარდის ისრისა მმუროდა.
ბრანგვსა შევტყორცე, ბაყეს ეცა, ვის ჩვევით სისხლი სწყუროდა.

თეკლე უცბად ფეხზე წამოიჭრა, გაიქცა და თამარს ამოეფარა, ვითომც იმის შიშით, ბესიკმა ჯარიმად მართლა არ მაკოცოსო. ამ ამბავმა კი თავ-შეუთქავებელი სიცილი გამოიწვია დარბაზში. და თემცა ლეონი ცდილობდა ბესიკს დამსახურებული ჯარიმა გადაეხდევინებინა თეკლესათვის, მან მხოლოდ ღიმილით გადახედა ახალგაზრდა ქალს და ზელით ანიშნა, ნუ გეშინიან, ჯარიმას არ გარდაგახდევინებო.

როდესაც სიცილი და ხმაური მიწყნარდა, ბესიკმა დაუწყაო ლოდინი: აბა შემდეგი ვინ მომცემს კითხვასო, მაგრამ ცხადი იყო ქალები უკვე ვეღარ ბედადუნენ თამაშში მონაწილეობის მიღებას, ამიტომ ანასტასია ფეხზე წამოიჭრა და ქალებს გადასამხა:

— რას დადექით? იქნებ გგონათ ყოველ ასოზე მოახერხოს ბესიკმა პახუხის გაცემა. თქვენ გინდათ, ქალები რომ დაემარცხდეთ?

მოულოდნელად ანა შეირბა და თავისდა უნებურად აღმოხდა კითხვა:

● — დონზე სით მოხვალ?

ელვის სისწრაფით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმემ ანა უფრო შეაკრთო. თავისთავს აჯერებდა, რომ ეს დღეილი მისი, როგორც ბატონის დის, პატივისცემით იყო გამოწვეული, მაგრამ ამავე დროს გრძნობდა ამ დღეილის სრულიად სხვაგვარ მნიშვნელობას. ისე უცნაურად გაჩუმდნენ ყველანი, თითქოს ყოველმა მათგანმა იცოდა ბესიკისა და ანას მიჯნურობის ამბავი და ამ დღეილით უნდოდათ ეთქვათ ანასათვის — „იცოდეთ ორთავემ, ჩვენ ყველაფერი ვიცითო.“ გულის ჩქროლა იგრძნო ანამ. „აბა, შენ ჯარიმად გინდა, ბესიკი რომ გეამბოროსო,“ ესმოდა ანა ამ მღუმარე დარბაზში იღუმალი ხმა და გრძნობდა, როგორ ეკეროდა სუნთქვა, თითქოს უხილავ არსებას მისთვის ყელში წაეჭიროს ხელი.

კიდევ წუთი, და ანა გრძნობას დაჰკარგავდა, მაგრამ ამ დროს გასწავა ბესიკის მომხიბლავი ხავერდოვანი ხმა და დაირღვა დარბაზის საზარელი მღუმარება. უხილავმა აღქაჯმა ხელი უშვა ანას და მან შვებით მოითქვა სული.

დღგორის გადმომრებელმან დეინსა მივმართე ვანებად,
ღმიტრის თავი ვამონე...



ანას ქმრის სახელის ხსენებაზე, დარბაზში თავაზიანად გაიღიმეს, ერთმანეთს გადახედეს. ქალები ცდილობდნენ, ანას შურთა დაეჭირათ და თუალოით ენიშნებინათ: რა კარვად ამბობს ბესიკი პასუხსო.

ღმიტრის თავი ვამონე, დარბაზს ვახლდი ყმა ნებად;
დარბაზისა მშვილდს ზედან, დაუნდს ისარი კმა ნებად;
ღვეი შემაკედა; დაყვს შიგან დავასვი დასანანებლად.

ალტაცებულ შეძახილებში და ხმაურში მიუახლოვდა ბესიკი ანას, დაიჩოქა და გამოწვდილ ხელზე ეამბორა.

ახლა უკვე ყველას სურდა ბესიკისათვის კითხვა მიეცა. ყოველ კუთხედან გაისმა: „ვინზე სით მოხვალ?“, „ზენზე სით მოხვალ?“, „კანზე გვიპასუხე!“, „ლასზე სთქვი თუ შეგიძლიან!“, „შინზე თუ იტყვი?“ და ბესიკმა უკვე აღარ იცოდა პირველად ვისთვის ეპასუხნა. ბოლოს ისევ ლეონი ზაერია. ყველა გააჩუმდა და თითონ დააწესა, რიგრიგობით, თუ ვისთვის გაეცა პასუხი ბესიკს.

— დაიცათ, ქალებო, მანდილოსნებო! — იძახდა ლეონი. — ახლაც ყველას მოგარიგებთ. რაო, მაიავ? შენც გინდა ჰკითხო? ბესიკ, უპასუხე!

— ცანზედ სით მოხვალ? — ჰკითხა მინაზებული ხმით მაიამ.

ციმბირს ყინვა, ძაღლებს ღრინვა ვერ ვიგონე ცუცხვასს მივე.
ცერცვაძემა ციცი მნაბა, თითო პურს მაქმევეს გამატვოვე,
ცაცხვი მშვილდად შემეხარნეს, ისრად ცირცელს შევეცნოვე;
ცოყვთა ცხვირად დავასობდი, ტყავნი სყიდვად შევიგროვე.

— ხანზე სით მოხვალ? — დაიძახა იმ წამსვე პატარა ანამ, როგორც კი ბესიკმა დაამთავრა მაიას პასუხად თქმული ლექსი.

— ჩემს ანიკოს არ აწყენინო, უპასუხე, — მიაძახა ლეონმა.

ხვარასნით მალცხემს მჯდომელი აწ ხრესილს მოველ მდგომელი,
ხვარაზმშას ყმობის მდომელი ხოსროვ-შირ მე ვარ ჯომელი.
ხელთუღღის მშვილდის მრთომელი, ხართულის ისრის მზომელი,
ხადის გვარ ხელუტრომელი, ხერხემალს შეუცთომელი.

ყველას მოუთმენლად უნდოდა ბესიკი როგორმე ჩაეჭირა. თითქმის სულ მოუთქმელად თავიდან ბოლომდე ყველა ანბანზე ათქმევინეს ლექსად პასუხი.

— ჰაეზე რალას იტყვი, ჰაეზე? — დაიძახეს ბოლოს აქეთ-იქედან.

— მართლა და ჰაეზე რომ არც მცენარის სახელი იწყება არც ფრინველის ან ცხოველისა! — ღმილით სთქვა დარეჯანმა. — აბა ერთი ჩვენც მოგახსენე, შვილო, ჰაეზედ სით მოხვალ?

დარბაზში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ბესიკმა დედოფლის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და თავდახრით მოახსენა:

პასურეთით ჰაერმონად მიველ — მაკლდა, იგიც ვნახე,
პასრათს ვეყმე, კაცსა ტაბილსა, ჰაერონობით ვავეშურახე.
დავრიშულად მოვიჩმახე, მშვილდსა ხელი აღარ ვახე,
მოაველ-წყალი სრულ დავლახე, მიკვირს შემრჩა კაცის სახე.

დედოფლის თამაშაში ჩარევამ და მესიკის მოხდენილმა პასუხმა კიდევ უფრო გაამძიარულა დარბაზი. დარეჯანი შეუბღვრე ეამბორა ბესიკს და ჯილდოდ მარჯნის კრიალოსანი უბოძა. ბესიკმა მოკრძალებიან ჩამოაოთვა საჩუქარი, კალთაზე ეამბორა, შემდეგ, რადგან დედოფლისათვის ხურგის ჩვენება უზრდელობად ითვლებოდა, უკუღმა ბოჯებით გაიარა დარბაზი და კედელთან აიტუზა. ლეონმა ახლა მესაქრავენი იხმო და თქვა: „კიდევ უბრძანა ქალებს სამა ეცეკვათ, რომ ამ დროს დარბაზში ეზოს-მოძღვარი შემოვიდა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— მდივნებს სოლომონ ლეონიძეს და ბესიკ გაბაშვილს ბატონი მჭევ ხალვათხანაში ვიხმობთ!

ბესიკმა და სოლომონმა დედოფალს მღაბლად თავი დაუქრეს და მაშინვე, ვაეიდნენ დარბაზიდან.

ერეკლე გაცოფებულევით დაამბოჯებდა ხალვათხანაში. ხან ფანჯარასთან შეჩერდებოდა, ხან დარბაზის ბოლოში, ხან თავის საეარძელთან და ასე ლაპარაკობდა. ეს უდიდესი მძენეარების ნიშანი იყო და მდივანბეგები გარანდული შესცქეროდნენ ბატონს. ვერცერთი ვერ ბედავდა ხმის ამოღებას.

მეფის საეარძელთან ახლომჯდომი მოურავოვი თავდახრილი დასცქეროდა იატაკზე დაფენილ ხალიჩას და ისიც მღუშარებდა.

— მტერი მრავალი გვინახავს,—ამბობდა ერეკლე და ხელში კრიალოსანს ისე ათამაშებდა, თითქოს მის დაწყევტას ლამობდა,— შავრამ მტერიც არის და მტერიც. მე და ნეტარხსენებული მამაჩემი თეიმურაზი ერთხელ ქრცხინვალს რომ გახლდით მარტოოდენ ოცის მხლებლითა, ხუნძახის ბატონს ხუთიათასი კაცით ახალციხიდან გამოველო და ქრცხინვალს შემოადგა. ერთმა უგვანმა გვიმტრა, ქრცხინვალიდან გაიპარა და ხუნძახელ ბატონს მოახსენა, თეიმურაზი და ერეკლე აქ არიან, ჯარი არა ყავთ და ახლა შეგიძლიათ ბოლო მოუღოთო. ჩვენ ხუნძახელთან სასისხლო მტრობა გვქონდა და მაშინ მართლა უღონონი ვიყავით. აბა ოცი ან ოცდაათის კაცით ხუთიათასთან რას ვავაწყობდით. ხუნძახელ ბატონს ებრძანებინა: „ბატონი თეიმურაზი და ერეკლე ჩვენი მოსისხლე მტრები არიან, შავრამ არც ჩვენ თავს ეაკადრებთ, არც თეიმურაზს და ირაკლი ხანს, რომ მათ ჯარი თან არა ჰყოლიათ და ჩვენ ვებრძოლოთო.“ ამბის მომტანს თავი მოჰკვეთა, ჩვენ მოგვართვა, თითონ აიყარა და წავიდა. ასეთ მტერს მტრობა ეთქმის?!

ერეკლე ფანჯარას მოსცილდა. შავიდის ბოლოში რამაზ მღაეანბეგის ახლო შეჩერდა და განაგრძო:

— ახლა მოყვარესაც დამიხედეთ. აწყურთან მიგვატოვა მისმა ბრწყინელებამ (თურმე ამ ქვეყნად ვერავიც ბრწყინავს, რა ვაეწყობა!). მიგვატოვა მტრის პირისპირ, მობრუნდა და ჩვენი საბრძანებლის დაპატრონებას ლამობს. ერთი გამაგებინეთ, თქვენმა დღეგრძელობამ, ვინ არის მტერი და ვინ არის მოყვარე. ხუნძახის ბატონი მტერია და ტოტლებენი მოყვარე?! სად ვინახავთ, სად ამოგოციტხავთ ასეთი ამბავი! იქნებ რომაელთა ისტორიაში სწერია, ან ელინთა, ან ფრანგთა, ან არაბთა, ან თვით რუსთა მატიანეში. ვამაგებინეთ, მითხარით ღვთის გულისათვის? იქნებ ცოდვა რაიმე ჩაეიდინეთ

ყოველის შემძლებელის ღმერთის წინაშე და ისიც ასე გვსჯის, რომ მტერს მოყვარედ გვივლენს და მოყვარეს კიდევ მტრად. განა შეიძლება ასეთ მოყვარეს კაცი დაენდოს? თუ ასეთ მოყვარეს დროზე არ მოჰკვეთე მარჯვენა და თავი არ გაავდებინე, ბოლოს სანანებლად დაგიჩრება. *ერეკლე*
ერეკლე ახლა თავის საგარძელთან მივიდა და ისევ ფეხნუშტგარმა განაგრძობ:

— ამ უბედურებას ადვილად ვუშველიდით, მაგრამ ჩვენ ერთი რამ გვადარდებს. საქარია მღვდლის უსტარა ახლა სარწმუნოდ მიგვიჩნია და ვეკვობ, რომ ტოტლებენი მარტოოდენ თავისი ჯიუტი ხასიათის გამო ვერაგობდნენ. ეს ვერაგობა მას ან იმპერატრიცამ ან ღრამმა ნიკიტა პანიჩმა შთაუნერგა. თორემ ისე როგორ უნდა გაებედნა, ერთ დროს ლალატისათვის პატივბაყრილს, დილეგში ნაგდებ ლენერალს, ასეთი ვერაგობა! თუ იმპერატრიცას ჩვენთვის კეთილი სურდა, განა ლენერალი, რომელმაც ახლა საქმით უნდა დაამტკიცოს ეკატერინეს წინაშე ერთგულება, ჩვენს სასარგებლოდ არ უნდა მოქმედებდეს? თუ ასე იყო, ჩემი მიტოვება ბრძოლის ველზე და შემდგომ, ჩემსავე საბრძანებელში ცახეების დაჭერა. რუსეთის იმპერატრიცის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება, მას არ შეეძლო. თუ ოდესმე ვსმენიათ ასეთი რამ? ამ ვერაგობას თვით მისნი ქვეშევრდომნიც კი ვერ ითმენენ და ჩვენთან გამოზბიან. მრავალი აოხრება უნახავთ ქართველთ სპარსთაგან და ოსმალთაგან, მრავალი სისხლისღვრა, ცრემლი და ვება, მაგრამ არაოდეს ვესმენია, რომ თუკი რომელსაჲმ მათგანს მივეწოდობოდით, ასეთი სიმუხთლე ჩაედინა ჩვენს მიმართ.

— ნება მბოძეთ, თქვენო უმაღლესობაჲ, მოგახსენოთ, — მძიმედ აიღო თავი მოურავოვმა და ერეკლეს შეხედა.

— ანტონ, მწამს შენი ჩვენდამი ერთგულება და ვიცი, რომ ჩვენთვის კეთილი გსურს, მაგრამ აბა შენ რა უნდა მითხრა ისეთი, რომ აზრი შეგვიცვალო.

— არა, მეფეო. მე გულახდილად უნდა მოგახსენოთ, თუ ნებას მომცემთ.

— ბრძანე! — ერეკლე მოსხლუტით დაჯდა საგარძელზე და მოურავოვს დაეინებით მიაცქერდა.

— არ იფიქროთ, მეფეჲ, რომ აქ ჯარი იმპერატრიცამ იმისთვის გამოგზავნა, რომ ჩვენი ქვეყანა უყვარდა ან მისი საუკუნოებრივი ტკივილები აწუხებდა. ეს, რასაკვირველია, ფუჭი აზრი იქნებოდა. იმპერატრიცას თავის დარდი აწუხებს. თურქეთთან აქვს ომი და მისი მთავარი სააზებდრო მოქმედება ევროპის ბალკანეთისაკენაა მიმართული. საქართველოში მათ მცირეოდენი ჯარის გამოგზავნით და თქვენისა და სოლომონის დახმარებით სურდათ ერთგვარი დივერსია ჩაეტარებინათ თურქების წინააღმდეგ და რაც შეიძლება მტრის მეტი ძალები დაებანდებინათ ამ ჩვენს ქვეყანაში. ამით რუსთ საშუალება ეძლევათ დაასუსტონ ბალკანეთში მყოფი თურქთა ძალები. ცხადია, ასეთ დროს საჭიროა თქვენთან და სოლომონთან მჭიდრო კავშირი, რაც შეიძლება უფრო მტკიცე მოქმედება. ამიტომ, თქვენო უმაღლესობაჲ, არც იმპერატრიცის, არც პანიჩის სურვილს არ შეადგენს თქვენთან მტრად მოკიდება, რადგან თქვენი განდგომა და, ვთქვათ, თურქებთან დამეგობრება, პირიქით უარეს დღეში ჩააყენებს რუსთა ლაშქარს და მტრისკენ მადერებული მახელი თითონ მათვე მოხვდებათ ზურგში. მე კვლავ ვფიქრობ, თქვენო უმაღლესობაჲ, რომ ტოტლებენის მოქმედებანი აქ თვითნებლ-

რია და, როგორც კი პეტერბურღს ამ ამბებს წერილად გაიგენებ, მაშინვე ზომებს მიიღებენ. ამ უკვანო ღენერალს სასჯელი არ აცდებია.

— შეიძლება შენ მართალი იყო, ჩემო ანტონ, — უპასუხა ერეკლემ, — მაგრამ სანამ პეტერბურღს სწორი ამბავი მივა და იქედან კიდევ უკანს ვივლინებთ, კარგი საბი თვე გაივლის და მანამდე რა მოვიმოქმედოთ? ასე ვატაროთ ტოტლებენი სხვის ბოსტანში, როგორც შენ ამბობდი, უპატრონო თხასავით? მერე რა ვიცი, როგორ პასუხს მივიღებთ. იქნებ ტოტლებენს საყვედურიც კი უბრძანონ, რატომ ერეკლეს აქამდე ბოლო არ მოუღევო.

— აი ამისთვის ჩავთვალე სასურველად, თქვენო უმაღლესობავ, რატიევი თავის ხუთასის ჰუსარით აქ დამებარებინა. იმის ერთგულებაში ხომ ეჭვი არ გვბარებათ. ისიც თქვენს აზრს იზიარებს და ტოტლებენს მოლაღატედ სთვლის. ჩვენ შევეცადნეთ, როგორმე ღრაფიც თბილისში მოვიწვიოთ, შევეურიგდეთ, დაუყვავოთ და შემდეგ, როგორც მდგომარეობა გვიჩვენებს, ისე მოვიქცეთ. იქნებ მოვირგდეთ ტოტლებენთან, იმასაც გული შეეცვალოს და ქვეყნის საკეთილდღეოდ ზოგჯერ, შესაძლებელია, იუღას პატიება უწყალობო.

ერეკლე ჩაფიქრდა. მას ეტყობოდა მოურავოვის აზრი მოეწონა და ფიქრებში წასული ფანჯარისკენ იტყირებოდა. მართლაც, თუ კი შეძლებდნენ რუსის ჯარებს თბილისში მოწვევას, ტოტლებენის ხელში დაჭერა იოლი საქმე იყო. ჯარი ღენერალს არ თანაუგრძნობდა. მას უკვე სამასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი გაქცეა და ერეკლესთან მივიდა. ცხადია, დანარჩენებიც, თუ გაქცევას ვერ ბედავდნენ, ტოტლებენის კმაყოფილნი მაინც არ უნდა ყოფილიყვნენ და მათთვის, ალბათ, საკმაო იქნებოდა ერეკლეს ერთი ნიშნის მიცემა, რომ მაშინვე განდგომოდნენ თავიანთ ღენერალს და მთლიანად ერეკლეს მხარეზე გადბოსულოყვნენ. რატიევიც თავისი ხუთასი კაცით თბილისში აპირებდა მოსვლას, ამგვარად საკმაოდ დიდი ძალა, რეას კაცზე მეტი, ერეკლეს თავის განკარგულებაში ეყოლებოდა, ეს კი სრულიად საკმარისი იყო ამ საჭირბოროტო მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაშინ, ალბათ, თვით ტოტლებენი შევედრებოდა ერეკლეს, როგორმე ამ უბედურებიდან მიხსენიო.

— აბა ერთი, შენს დღევგრძელობას, წავვიკითხე—რასა გწერს რატიევი!— მიმართა ერეკლემ მოურავოვს.

— მე იმის ბარათი ქართულად არ მითარგმნია, თქვენო უმაღლესობავ, — უპასუხა მოურავოვმა და უბიდან ოთხად გაკეცილი ბარათი ამოიღო. — მაგრამა, აქვე სიტყუასიტყუით მოგახსენებთ ამ უსტარის შინაარსს. შემდგომ, ამის ქართულ პირსაც გაახლებთ. აი რასა მწერს პოდპოლკოვნიკი რატიევი: თქვენო კეთილშობილებავ ანტონ რომანოვიჩ. ვისწრაფვი გაცნობოთ ჩემი მდგომარეობა. ამა წლის აპრილის ოცდა ხუთს, მოვემართებოდი რა ხუთასის ჰუსარით საქართველოსაკენ სიკურსით: ფასანაურსა და ანანურს შორის, მომეგება სამი ოფიცერი: მაიორი კარპი, როტმისტრი ცორნაი, ბიკსპერი და ოცდაერთი ჯარისკაცი, რომელთაც ხელთ ეპყრათ ბრძანება ჩემს დსაპატიმრებლად და ჰუსაროა წასაყვანად. მაგრამ ჩემის ერთგულის ოფიცრებისა და ჰუსართა დახმარებით თვით მე დავატუსაღე ისინი, მხოლოდ მაიორი კარპი და ერთი ჰუსარი სროლის დროს გაგვექცა. დანარჩენი მყავს კანვონსა ქვეშე. ახლა გთხოვთ, რათა ევედროთ ჩვენს მეფეს, მის უმაღლესობას. ერეკლეს, მიგვიღოს თავის მფარველობისა ქვეშე. ტოტლებე-

ნი ჩვენი ერის, ქართველი ხალხის მტერია, მას ჩვენ ვძულვართ და ამისათვის მოქმედებს ამგვარად. ყველაფერი, რაც მე გავიგე ლენერალის შესახებ, ცხადსყოფს, რომ ის მოღალატეა. მას ვერაგულად მიუტოვებია ბატონი მეფე ერეკლე, ბრძოლის ველიდან გამოპარულა, და რაც კიდევ უნდა ვთქვათ — თავის შტაბ-ოფიცრებს აპატიმრებს და გადასახლებაში გზავნის; ჩვენ და დანაშაულისათვის, არცინ კი არ იცის. მე ვფიქრობ რომ მის უდიდებულესობას იმპერატრიცას ძალზე შეაწუხებენ ასეთი მოღალატე, ყოვლადუსინდისო ლენერალის ყოლა და მისთვის ფრიად სასიამოვნო იქნება ამ ლენერალს ჩვენ დროულად თუ დაეპოვებოდა, სანამ მას კიდევ მრავალი უბედურება რამ არ დაუთევია. ვთხოვთ, ანტონ რომანოვიჩი, ყოველივე ეს ბატონს ერეკლეს, მის უმადლესობას, მოახსენოთ და სასწრაფოდ პასუხი გვაცნობოთ. პოდპოლკოვნიკი გიორგი რატივევი, ქალაქ ანანურს, აპრილის ოცდაექვსს, ათას შვიდას სამოცდაათ წელს.

ბარათმა შესამჩნევი შთაბეჭდილება მოახდინა ერეკლეზედაც და მდივანბეგებზედაც. სიამოვნებით გაიღიმეს და ერთმანეთს გადახედეს.

— თქვენმა სიცოცხლემ, — წამოიძახა ქაიხოსრო ავალიშვილმა, — ეს რა ბედნიერ ფეხზე დაბადებული ადამიანი მოგვევლინა.

— ეგ რომელია? — ჰკითხა იოანემ. — იარანალს რომ ახლდა აღოს მინდორზე შარშან, განა ისაა!

— ის გახლათ! — მიუგო მოურავოვმა.

— მე ვფიქრობ დაყოვნება შეუძლებელია! — მიმართა ქაიხოსრომ ერეკლეს, — ახლავე უნდა უბრძანოთ, თქვენო უმადლესობავე, რატივეს, თბილისს გვეახლოს. მერე მოურავოვს ვთხოვთ, როგორმე ტოტლებენი აქ მოვიტყუოთ და განაჩენს ჩვენ დაეუწერთ.

რამაზ მდივანბეგმა იღუმლად მუხლზე ხელი წაყრა ქაიხოსროს და თვალთ ოდნავ ანიშნა, შეჩერდიო. ქაიხოსრომაც იგრძნო, რომ გულის ხეაშიაღი ქარბად გამოამტლავნა და მაშინვე შეეცადა თავისი შეცდომა გაესწორებინა.

— არა, უპატიურს კი არა ვკადრებთ ღრადსა, თუმცა მართალი რომ ვთქვათ, უარესის ღირსია, მაგრამ ჩვენ ნურას გვაგნებს და ისე ღმერთმა მშვიდობა მისცეს. რატივეს კი, ნეტავ აქ მოვიდოდეს და დანარჩობი ჩემზედ იყოს.

— იქნებ დაემოყვრო კიდევაც. — სიცილით ჰკითხა ერეკლემ ქაიხოსროს და შემდეგ მოურავოვს მოუბრუნდა. — რატივეს მეც გაუუგზავნი ბარათს, ხოლო ტოტლებენს თქვენ უნდა გაუგზავნოთ ვრცელი უსტარი. წვრილად აღწერეთ, რაც ასპინძას გარდაგვხვდა. დაე იცოდეს, რომ ვერაგობით ვერც რაიმეს დაგვაკლებს და ვერც ფონს გავა. მერე კიდევ მისწერეთ ისიც, რომ ჩვენ მშვიდობით დავბრუნდით ტფილისს და კახეთის ლაშქრის გარდა ჯარი მთლად დავითხოვეთ (თორემ შეეშინდება და შეიძლება არ მოგვეკაროს, ამისთვის მართალი მისწერეთ). მისწერეთ, რომ ჩვენ განზრახული გვქონდა მტერთან ბრძოლა, მაგრამ საჭიროთ ვცანით უკანდაბრუნება, რათა თქვენი ლაშქარი მოვამარაგოთ სურსათსაანოვავით და ყოველივე აუცილებელის მასალით ან საქონელით, ვინაიდან ყოველივე ამის გარეშე, ჩვენ რიდი გვაქვს, რათა არ დაეკარგოთ წყალობა და კეთილგანწყობილება მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცის ეკატერინესი, ამისთვის მივატოვეთ რა მტრის მიწა, სადაც ჩვენ დავეყავით თქვენი

გრაფობრივი ბრწყინვალეობასთან განშორების შემდეგ ექვსი დღე, დაებრუნდით ქალაქს, დავითხოვეთ ქართლის ლაშქარი გზიდანვე, და ამჟამად ვინაიდან არ ვიცით ზუსტად თქვენი ბრწყინვალეობის ადგილსამყოფელი, ვუბრძანებთ რატივეს გეხლებოდა თბილისს და ამასვე გვედრებით თქვენც. მობრძანდეთ ჩვენთან, დაიბანაკოთ ქალაქის ახლო. ხოლო სურსათისა ან სხვა რაც საჭირო იქნება, ხათრიჯაში ბრძანდებოდეთ, ყოველივეს თავზე საყრელს მოგართმევთ. მუხრანს ნუ წაბრძანდებითო, ასე მისწერე, ის სრულიად უხერხული ადგილი ვახლავთ, ჩვენთან მობრძანდით, აქ უმჯობესია.

— შავ ბარათს ხვალვე გავუგზავნი, თქვენო უმაღლესობაე. ბარათის პირსაც თქვენ გაახლებთ.

— კარგი, ჩემო ანტონ, კადევ ერთხელ გავისარჯნეთ ჩვენის მამულის საკეთილდღეოდ. ასევე მისწერეთ პანინსაც და...

— ასპინძის ტყვეებს და დროშებს როდის ჰგზავნით პეტერბურღს, თქვენო უმაღლესობაე?

— ხვალ.

— მე ბარათები უკვე მზადა მაქვს. იმპერატრიცასთან ჯერ კი არ დამიწერია. თუ ნებას მომცემთ, — წამოდგა ზეზე მოურავოვი, — მე გეახლებით. ბარემ, რაც დასაწერი მაქვს, ამაღამვე დავამთავრებ.

— კარგი. მხოლოდ ვახშმად ჩემი სტუმარი ხარ მთელის შენი ამალით.

— აღსავე ვარ, მეფეე, თქვენის პატივისცემით.

მოურავოვი ერეკლეს გამოეთხოვა და წავიდა. მდივანბეგებიც წამოიშალნენ. ერეკლე ადგა, ფანჯარაში გაიხედა.

— ცა მოწმენდილია, ღვითთ ამ დღეებში კარგ დარებს დაიჭერს.

მერე უცბად მობრუნდა და ზარი დარეკა. დარბაზში ეზოს-მოდღვარი შემოვიდა.

— სად არიან მდივნები? — ჰკითხა ერეკლემ.

— აქვე ვახლავან მეფეე. უთქვენოდ ვერ გავბედე შემოსვლა და მოხსენება. ვუბრძანო გეახლონ?

— მოვიდნენ! — მერე მდივანბეგებს მობრუნდა. — ღვითთ, ვგონებ საქმე კარგად წარემართოთ. დავითის და თამარის ქორწილში იქნებ მართლა გულით მოვიღბინოთ.

— რასა ბრძანებთ, თქვენი ჰირი მოსცეს ღმერთმან ჩემს თავს, — კრინვით წამოიძახა იოანემ. — ღბინი გემართებს და ეგვთი!

დარბაზში სოლომონი და ბესიკი შემოვიდნენ. მეფეს თავდაბლა მიესალმენ.

— მოღით, შვილებო, ცოტა რამ დასაწერი გვაქვს, აქ ჩემთან ახლო დასხედით. ბატონო მდივანბეგო, თქვენ აღარ შეგაწუხებთ. სასახლეში თამარი გელოდებათ. ჰაბუავ, თქვენი მოსწრებული მუნასიბები და ივანე დიად უუბარი იქნება. უნდა ვეცადნეთ ჰმუნეა და დარდი არ შევიმჩნიეოთ. გულის სიმგრე მუდამ საჭიროა, მტერთან ბრძოლაშიდაც და სახლსა შიგანაც. თქვენ ზემოთ აბრძანდით, მეც მალე მოვალ.

მდივანბეგები წყნარი ნაბიჯით გავიდნენ დარბაზიდან. სოლომონმა და ბესიკმა კალმებს წვერი წაუთალეს, ქალღღები წინ დაიწყეს და საწერად მოემზადნენ. ერეკლე ჩუმათ იჯდა სავარძელში და კარნახს აგვიანებდა. შემდეგ მშვიდი ხმით იკითხა:

— თამართან დედოფალი მობრძანდა?

— დიად — მოახსენა სოლომონმა.

— დავითიც იქ არის? — ერეკლემ ბესიკს შეხედა. მას ეკითხებოდა.

— ჯერ არ გხვდებით. — უპასუხა ბესიკმა. — ახალ სამოსს ისინჯავდა ტანზე, მკერავები თავდადებით ზუსაობდნენ.

— ლეონიც იქ არის? — ერეკლემ თვალით ზედა სართულზე ანიშნა.

— დიად, დარბაზში გახლავთ. ისე მზიარულია, ვერ წარმოჩნდვით.

— ხომ არ დაგენანათ, ასეთ მოღონებას რომ მოგაშორეთ, კაბუტები? — გაუღიმა ორთავეს ერეკლემ.

— არა, რასა ბრძანებთ! — თითქმის ერთად უპასუხეს ბესიკმაც და სოლომონმაც.

— განა არ ვიცი, — ერეკლეს ეშმაკურად უყინოდა თვალები, — კაბუტებს ამდენ ტურფა ქალებისკენ უფრო გეზიდებათ გული, მაგრამ არა უშავს რა, ყველაფერს მოესწრებით.

— ბესიკს მრავალი მუნასიბი ლექსი ათქმევინეს, — ვათამამდა სოლომონი, როდესაც ერეკლეს სახეზე ღიმილი შეამჩნია. — „ანზე სით მოხვალ“ თამაშა გააჩაღეს და ბესიკმა კიდევ მთელ ანბანზე ლექსად გამოსთქვა პასუხები.

— ვერ დაიჭირეს?

— ვერა! ბოლოს დედოფალმაც კი უბრძანა ჰეზედ სით მოხვალ.

— მერე უპასუხე? — მოუბრუნდა სწრაფად ერეკლე ბესიკს.

— ეუპასუხე, როგორც შევიძელ, თქვენო უმალღესობავე.

— ჰო, მაგრამ ჰეზედ ან მშვილდი რისა გქონდა ან ისარი?

— ცოტა ვიეშმაკე, თქვენო უმალღესობავე.

— როგორ? აბა ერთი მეც მითხარ, როგორა ხტქვი!

ბესიკმა გაიმეორა დედოფალთან ჰეზედ თქმული ტაეპი. ერეკლემ გაუღიანად გადაიხარხარა.

— ჰა, ჰა, ჰა! ეგ კარგად ვითქვამს. შენმა დღეგრძელობამ ეგ შენი პასუხები თავიდან ბოლომდე დასწერე, ერთხელ კიდევ წაეკითხოთ. — ერეკლემ შედგა, კერს შეაცქერდა, თითქო ოცნებაში წავიდა. — კარგია, მგოსნობის ნიჭი რომ კაცს ბედად დაეყვება. მამა ჩემიც ცდილობდა და ბევრს სწერდა, მაგრამ მის ლექსებს მადლი და სიტურფე აკლდა. რუსთაველის შაირის შემდეგ ამ ხმაზე თქმული ლექსი არავის არ უეარვა. მიბამეიდ მგოსანი მარად უფერულია და მდარე. აი, სპარსთ მგოსნებში ბადალა არა ჰყავთ. ეპ, დავანებოთ ამას თავი, საქმეს მივხედოთ. ბარათები ბევრი გვაქვს საწერი და დროულად დავამთავროთ საქმე. რატიევთან გასაგზავნი ბარათი, ბესიკ, შენ დასწერე.

ბესიკმა კალამი მოიმარჯვა. ერეკლემ ნელა, ხანდაზმით დაიწყო კარნახი და ბესიკის კალამს თვალს აყოლებდა.

— ათას შეიდას სამოცდა ათ წელს აპრილის ოცდა რვა, — ერეკლე ცოტა შედგა, დაწერილს დახედა, შემდეგ სავარძელის ზურგს მიეყრდნო და განაგრძო, — მის კეთილშობილებას თავადს რატიევს მრავალს მოკითხვას მოვახსენებთ. მერე შენი ამბავი ბატონმა მოურავოვმა ყოველივე გვაუწყა და ვირწმუნეთ. თქვენმა დღეგრძელობამ იარანალზე რაც ჩვენ გავისარჯენით და მაგის სიკეთეს ვცდილობდით ყოველივე ამოდ დაშთა. ყოველის ღონით სცდილობს ჩვენი სახიანო მოიმოქმედოს. აწყურს ზომ ვერაგულად დაგვტოვა, ახლა ჩვენს ციხეებში თავისი ჯარი ჩაუყენებია, ჩვენ არას

გვეკითხება და ვეღარა ვამიგია რა, თურქებთან საომრად ჩამოვიდა აქა თუ ჩვენ დასამზობად, ახლა ჩვენი თხოვნაა ამ ბარათის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ წამოდი შენის ლაშქრით თბილისს. ღვთით თქვენი მოსვლით ჩვენი ქვეყანა ვაიხარება. სურსათზე დარდი ნუ გექნება და დანარჩენს წერილად, აქ რომ ჩამობრძანდებით, მაშინ მოგახსენებთ. თუ საქართველომ დაიკავა და არ დაიშურებთ, ახლავე წამოდი, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

კარნახი დაამთავრა და მოთმინებით დაუწყო ლოდინი სანამ ბესიკი წერას დაამთავრებდა. შემდეგ თითზე ბეჭედი წაიძრო, სოლომონის მიერ მიწოდებულ სანთლის ალზე გაახურა და წერილის ბოლოზე დაუსვა. თეთრ ქაღალდზე ნათლად გამოისახა ოთხკუთხედიანი ხარჩოში „ერეკლე“. ზარს ხელი მოკიდა, მსახურის დასაძახებლად, მაგრამ შედგა და შეყრილ წარბებზე ეტყობოდა, სხვა რამ გადაწყვიტა.

— შეილო ბესიკ, ეგ ბარათი შენ თითონ წაუღე რატივეს. ორი იასაული და ოცი მხედარი იახლე. ახლავე შესხედით ცხენებზე და გზას გაუდქვით. თუ ერთ საათში ვაეზგზავრებით, ზეალ საღამოს ანანურს იქნებით. მიშკარბაშს უთხარით და ყოველივეს გაგმზადებთ. დროულად ვაემგზავრეთ, ნულარ დააყოვნებთ. რატივესაც იქედან შენ წამოუძეღ. ეცადე დავითის ქორწილზე არ დაიგვიანო.

მაიორი კარბი ხელცარიელი ბრუნდებოდა უკან თავის ერთი ჰუსარის თანხლებით. ანანურსა და დუშეთს შორის ის გზაზე შეეჩეხა კაპიტან ტოტინს, რომელსაც ხუთი ჰუსარის ბადრაგობით მოზღოკისაკენ მიჰყავდა დატუსაღებული ჩოგლოკოვი. ამ ოკაზიას ახლდა კარლ დეგრალიეც, რომელიც თუმცა დატუსაღებული არ იყო, მაგრამ ტოტლებენმა იგი დაითხოვა და, ვინაიდან მაშინ მარტო მგზავრობა შეუძლებელი იყო, ამ გუნდს თან გაჰყვა. ტოტინს სასტიკი ბრძანება ჰქონდა ტოტლებენისა, არა თუ არავეინ გაჰკარებოდა ჩოგლოკოვს ან გასაუბრებოდა, არამედ ხმის ამოდების უფლებაც კი არ მიეცათ მისთვის. პირველად ტოტინი იშვიათი გულმოადგიენობით ასრულებდა ამ დავალებას, მაგრამ გზადაგზა, როდესაც ჩოგლოკოვმა ხელგაშლით დაუწყო მასპინძლობა ყველას, სწრაფად დაიმსახურა მთელი შებადრაგეთა პატივისცემა და როდესაც დუშეთიდან არაგვის ხეობას გადაშოადგენ, ჩოგლოკოვს გაქცევის გეგმა უკვე შეთანხმებული ჰქონდა ტოტინთან. ვინაიდან დეგრალიეც ჩოგლოკოვთან ერთად აპირებდა თბილისისაკენ გაბრუნებას, მათ ასე გადასწყვიტეს: დეგრალიე უნდა დაწინაურებულიყო და პირველ სოფელში ორი ცხენი ეყიდა ან ეჭირავებინა, შემდეგ არაგვის პირას ჩასაფრებულიყო და ტოტინის ბადრაგის მოახლოების ეამს დამბახები დაეცალა. შებადრაგენი ჩაუწყებოდნენ სროლის მიმართულებით, თითონ სროლას ატეხდნენ, ამ დროს ჩოგლოკოვი ეითომ დროს იხელთებდა და არხეინად გაუდგებოდა გზას.

ყველაფერი ეს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდათ. დეგრალიე უკვე დაწინაურებული იყო და, ალბათ, ცხენებიც მზად ჰყავდა, გუნდი უკვე უახლოვდებოდა დანიშნულ ადგილს, როდესაც მათ წინ შეეფეთათ მაიორი კარბი.

— ვერტაი, ბრატოკ! — მიაძახა შორიდან კარპმა ტოტინს, — წინ ველარ წახვალთ. იქ ახალი შეამზოხე გაჩნდა.

— რა მოხდა, თქვენ რატომ დაბრუნდით, თქვენო კეთილშობილებავ? — ჰკითხა ტოტინმა.

— ეჰ, ღმერთს მადლობა უნდა შეეწიროს, რომ ცოცხალი ვიქნა. ახლა უნდა ვიჩქარო, თორემ შეიძლება კიდევაც დაგვედევნენ.

— არ იტყვიოთ მანც — რა მოხდა?

— პოლბოლკოვნიკმა რატივემა კინაღამ ამიგო ანდერძი. მთელი რაზმი დამიტუსალა, იარაღი აპყარა მე კი გამოვიქეცი, მაგრამ ცორნაი და ბირკსკე-ლი ტყვედ ჩავარდნენ. მე დრო ვიხელთე და გამოვიქეცი, მაგრამ ისე დამიშინეს, რომ ტყვიებს ჩემს ყურთან სულ ზუზუნნი გაჰქონდა. ასეა, ძმაო, საქმე.

— მაშ გამოდის, რომ ჩვენ ანანურ-ფასანაურის გზით ვერ გავვივლია, — შედგა ტოტინი და მიმოიხედა. — თუმცა ჩვენ რას გვერჩის?

— როგორ თუ რას გერჩის! ხომ არ გინდა, შეამზოხეს პირდაპირ ხელში ჩაუვარდე! — შეუტია კარპმა. — მაგათი მეთაური, მთავარი შეამზოხე მიგყავს და ისე გაგატარებს?

ტოტინი დაიბნა. მისთვის ახლა უფრო ხელსაყრელი იყო გზას გასდგო-მოდა და თუ რატივევი ძალით გაანთავისუფლებდა ჩოგლოკოვს, მაშინ ტოტინს არავითარი ბრალი არ დაედებოდა და ჩოგლოკოვის შეპირებული ასი თუმანი ჯილდოც შერჩებოდა. უკან დაბრუნება კი სრულიად ფუშავდა მის გეგმებს.

— აბა, წამოდით, წამოდით! — უთხრა კარპმა და ცხენს დეზი ჰკრა. — ნულარ ვაგვიანებთ, თორემ მღვერები თუ გამოიყენეს, ალბათ დაგვეწევიან.

— რა გაეწყობა! — ზანტად შებრუნდა ტოტინი და მეზადრაგეემს უბრძანა — უკან დაბრუნებულიყვენ.

ტოტინი შეიძლება კიდევ შეეცდებოდა არ დაეჯერებინა კარპისათვის და პირდაპირ განაგრძობდა გზას, მაგრამ იცოდა, ეს ყოველად სულთ ხორცამდე გაყიდული ოფიცერი, ისეთ ამბავს მიუტანდა ტოტლებენს, რომ ტოტინს ციმბირი არ აცდებოდა.

მაიორ კარპს მთელი თავისი ქონება გაეფლანგა და ამ ქონებისთვის თავისი სინიდიცი და ადამიანური თვისებებიც თან გაეყოლებინა. ლოთობის, ქალებისა და ქალაღის თამაშის მოყვარულს, არაოდეს ჯიბეში გროში არ გააჩნდა და არც არაოდეს არ ჰქონდა იმედი რომ იშოვიდა. ცხოვრებაზე გაბოროტებულს, ერთადერთ იმედად სამსახურში დაწინაურებაზე ოცნებალა შერჩენოდა და ყოველგვარი ხერხით ცდილობდა უფროსების პატივისცემა და ყურადღება დაემსახურებინა. ყველაზე უფრო ენისმიტანა და ჯაშუშობა ეხერხებოდა. საკმარისი იყო სრულიად უმნიშვნელო ამბისათვის მოეკრა ყური ან უმცროსის მიერ თავის უფროსზე თუნდაც კარგი მოსაზრება გაეგონა, ამ ამბავს ისე ოსტატურად გადაამუშავებდა და უამბობდა იმას, ვისაც ეს შეეხებოდა, რომ გულზე გახეთქავდა. უგულითადეს მეგობრებსაც კი მტრად მოჰკიდებდა ერთმანეთს. სწრაფად დაიმსახურა ტოტლებენის ყურადღება კარპმა და პოროზნიკობიდან მაიორის თანამდებობამდე ასევე სწრაფად აიბრძინა. მას შემდეგ, რაც რემენნიკოვის შეთქმულება გასცა, მისთვის ტოტლებენი სულსაც აღარ დაიშურებდა, უხვად ასაჩუქრებდა და ამდებდა ასეთი ერთგული სამსახურისათვის: სანამ კავკასიის კამპანია დამ-

თავრდებოდეს, პოდპოლკოვნიკობასაც მივალებინებ და ორდენებითაც გულს ავიჭრელებო. კარბიც მთელი ძალონით ცდილობდა ტოტლებენისთვის ეამებინა და თუცა ამხანაგთა ზიზღს იმსახურებდა, იხტიბარს მაინც არ იტეხდა. ერთხელ პლატოვმა ისე მაგრაღ მიბეგვა, რომ გვერდებში ჩუქღუნა მათელი-ლავა, ზუბოვი კი დაემუქრა, თუ ეგ ენატანიაობა არ მოგწონია, მათგან გაგაგდებინებო, მაგრამ კარბი სულ გულზე მუშტის ცემით და ცრემლების დაბალღობით ამტიციებდა:

— ვინ, ძმებო, მე? მე ამხანაგს ვუღალატო? მე ხომ უპატოსნისი ადამიანი ვარ, მაგრამ ამავე დროს უბედური. არავის არ სჯერა ჩემი პატოსნება. რაღა? რისთვის? რა უცნაურ ვარსკვლავზე დაიბადება ზოგიერთი. პატოსანია და ყველას უპატოსნო ჰგონია. ზოგი კი გაიძვერაზე გაიძვერაღ და ანგელსად საღდება. ასე ყოფილა ეს ქვეყანა მოწყობილი.

სასაცილო იყო, ეს უღვაშებიანი ვაჟაკი რომ აზღუტუნდებოდა და ისე გულამომჯდარი მოსთქვამდა, თითქოს მთელი ქვეყნის უსამართლობას ერთად მოეყარა თავი და მას დასტეხოდა. გულუბრყვილო მაყურებელს შეიძლება კიდევაც დაეჯერებინა ეს ამბავი, რომ კარბის სლოკინსა და ზღუტუნს, არაყის ხრაცის სუნი არ ამოჰყოლოდა თან, რომელიც არა თუ ასეთ გულუბრყვილო ადამიანს, არამედ თვით კარბის საკუთარ ცხენსაც კი უსიამოვნოდ შეაბრუნებინებდა ხოლმე თავს. ამიტომ ყველამ კარგად იცოდა, რომ კარბთან სიფრთხილე იყო საჭირო. ტოტინმაც ამის გამო არჩია უკანდაბრუნება.

ოციოდე ნაბიჯის გავლა ვერც კი მოასწრეს, რომ ქალიდან ზედიზედ დამბაჩის სროლის ხმა მოისმა. ტოტინის მებაღრავენი მაშინვე ჩაუწყვენ გზის პირად და სროლითვე უპასუხეს. დამფრთხალმა კარბმა გადააკრა მათრახი თავის ცხენს და ისე გაქტუსლა, რომ მისი ჰუსარიც კი ველარ დაეწია. ჩოგლოკოვმა დრო იხელთა, თავის ჩანთას ზელი დაავლო, თხრილში გადაბტა და თვალთაგან მიეფარა.

ტოტინმა ერთი აღრზაური ასტეხა, დამბაჩა დასცალა, ხმალი იშისველა და ვითომ ჩოგლოკოვს დაედევნა. აქეთ ეცა, იქით ეცა, და როდესაც დარწმუნდა, რომ კარბი უკვე შორს იყო წასული, ხოლო ჩოგლოკოვი და დეგრალიე ცხენებზე ამხედრებულნი ანანურისკენ მიჰქროდნენ, გულდაწყვეტილმა ხელი ჩაიჭნია და უკან გამობრუნდა. მას უკვე აღარ შეეძლო ხელსაყრელი მდგომარეობით ესარგებლნა, ჩოგლოკოვს დასდევნებოდა, შეპირებული ჯილდო მიეღო. კარბი ექვს აიღებდა და ამიტომ იძულებული გახდა კარბს კვალდაკვალ მიჰყოლოდა.

ჩოგლოკოვმა და დეგრალიემ კარგახანს აჭენეს ცხენები, სანამ თავი სამშეიდობოს არ დაიგულეს. შემდეგ ნაბიჯი შეანელეს. დეგრალიე ოდნავ გაოცებული მისდევდა თავის მეგობარს, რადგან განზრახვის მიხედვით მათ თბილისისაკენ უნდა გაექტუსლათ, მაგრამ როდესაც ჩოგლოკოვმა პირიქით ანანურისაკენ შეაბრუნა ცხენი და მათრახი გადაკრა, დეგრალიემ ფუსფუსათ მიამახა:

— მოიცა, სად მიხვალ? გზა აქეთაა.

ჩოგლოკოვმა მოიხედა, ცხენს კიდევ გადააკრა მათრახი და თავის მოძრობით ჩრდილოეთის მხრისაკენ ანიშნა:

— მომყე ჩქარა, აქეთ უნდა წავიდეთ.

დეგრალიე იძულებული იყო უკან დასდევნებოდა უკვე საკმაოდ წინ წა-

სულ მხედარს და როდესაც დაეწია, რამდენჯერმე ჰკითხა, გამაგებინე სად მიედივართო. ჩოგლოკოვი კი ხმაამოუღებლად მიატუნებდა ცხენს და პასუხს არ იძლეოდა.

როდესაც აქაფებულ ცხენებს სადაცეები დაუჭირეს და ნაბიჯი შემანცლეს, დეგრალიემ კვლავ მიმართა კითხვით ჩოგლოკოვს:

— ახლა მაინც გამაგებინე—რატომ თბილისისკენ არ წავედით და ანანურს მივაშურეთ?

— მოიცა, რა გეჩქარება, ყველაფერს გაიგებ.

— რა მოხდა?

— ბევრი არაფერი. განგება ხელს გვიწყობს. მეტი რა გინდა?—უთხრა ჩოგლოკოვმა და შეტლზე ოფლი მოიწმინდა, რადგან თითონაც თავისივე ცხენით ოფლში სცურავდა.—აი ბედი ეს არის სწორედ.

— ღმერთმანი, არაფერი არ მესმის.

— პოდპოლკოვნიკი რატიევი, რომელსაც მე ძალიან კარგად ვიცნობ...

— მას მეც ვიცნობ...—შეაწყვეტინა დეგრალიემ.

— პოდპოლკოვნიკი რატიევი, ერთი კორპუსით ანანურთან დგას და ატუსაღებს ტოტლებენის მიერ მიგზავნილ რაზმს. როგორ მოგწონს ეს ამბავი?

— დაიცა, დაიცა. როგორ?

— აი ასე, ჩემო მეგობარო. ტოტლებენმა მოისურვა რატიევის დატუსაღება, იმან კი... გული კი მწყდება, რომ მაიორი კარპი გაქცევია. იცოდა მაგ წუნკალმა, რომ რატიევი თავს გააგდებინებდა და მოქუსლა, მაგრამ იმასაც მიეწვედებით. შენ ნახე რა ამბები დატრიალდეს. ჩვენი დიადი გეგმების განხორციელებას ფრთები ესხმება. ამისთვის სულ მცირე რამაა უკვე საჭირო. ამ არამზადა ტოტლებენს ქურდსა და ჯამუსს კისერს მოვეუგრებთ, ჩვენს ჯარს ერეკლეს ლაშქარს შევეუერთებთ და ჰაიდა ოსმალეთისკენ. შენ გესმის თუ არა, ერეკლე რომ ჩვენს ჯარს მეთაურობდეს, თვით ხონთქარს დატყვევებულს მიეგვრით იმპერატრიცას. მაშინ ვნახოთ, ვინ აღმოჩნდება ისტორიის წინაშე მართალი, ჩვენ თუ ტოტლებენი. მაგ ბრწყინვალე არამზადას იმედი ჰქონდა ჩვენი დატუსაღებით და ერეკლეს ლალათით მიზანს მოაღწევდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ერეკლემ თურქებს მუსრი გაავლო, ჩვენ კი თავი გავინთავისუფლეთ და აბის შემდეგ ვნახოთ—ვინ ვის? კიდევ მოვაგონებ თავს მაგ ოსტზეელ გაიძვერას.

ჩოგლოკოვი კიდევ კარგახანს განაგრძობდა თავის გეგმის შესახებ აღფრთოვანებულ საუბარს, სანამ მოსახვევიდან არ გამოჩნდა ანანურის მაღალგალავნიანი ციხედარბაზი არაგვის ერისთავის სასახლით და დიდი ტაძრის გუმბათით. მაშინ კი ორთავემ ცხენებს მათრაზი გადააკრეს და რამდენიმე წუთის შემდეგ ციხესთან დაბანაკებულ ჯარის შუაგულში იყვნენ. ცხენებიდან ჩამოხტნენ და რატიევი იკითხეს.

— არაგვის ერისთავთან არის.—უპასუხა მათ ახალგაზრდა ქერაულვაშებიანმა პუსარმა და ცხენები ჩამოართვა.—მიბრძანეთ, მოვახსენო?

— მოახსენეთ, რომ პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი და პორუჩიკი დეგრალიე...

ვერ მოასწრო ჩოგლოკოვმა სიტყვა დამთავრებინა, რომ ამ დროს მოულოდნელად გაისმა მორიგე უმცროს ოფიცრის რიხიანი ხმა:

— პოლკ სმირნაა!..

და უეცრად თავთავიანთ ადგილებზე გარინდულ ჯარისკაცებს შორის, მოწიგე ოფიცერი მტკიცე ნაბიჯით და ღეზების ჩხარუნით მიუახლოვდა ჩოგლოკოვს, ხელი მარდად აუღო, ფეხები სხაპუნით ერთმანეთზე მიადგა და მოახსენა:

საქონესული

— თქვენო ბრწყინვალეებავ, რაზმის მორიგე ოფიცერი კორნეტმა დაგინდოვი.

— თავისუფლად!—უბრძანა ჩოგლოკოვმა.

— თავისუფლად!—მიუბრუნდა კორნეტი ჯარისკაცებს, რომელნიც ისევ თავთავიანთ საქმეს დაუბრუნდნენ და კარვებს შორის აფუსფუსდნენ, ხოლო კორნეტმა თავაზიანად ჰკითხა ჩოგლოკოვს:—ნება მომეცით მოვახსენო მის მაღალკეთილშობილებას.

— ჰო, ჩემო კარგო. წინ გაგვიძელ. მე ანანურის გუბერნატორს კარგად იციანობ. მოახსენე, პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი გეახლათ-თქო. ახლავე უნდა ვნახო თავადი რატიევი.

კორნეტი ორთავეს წინ გაუძღვა. ციხის ბჭეებთან ერისთავის გუშაგები იდგნენ, რომელთაც ოფიცრებს მოწიწებით სალამი მისცეს. შემდეგ მათ ერისთავის ბოქაული და ციხისთავი შეეგებნენ, სტუმრები სასახლის დარბაზში მიიყვანეს და ერისთავს წარუდგინეს. დარბაზი სავსე იყო რუსი ოფიცრებით და ერისთავის მოხელეებით. მათ გაცხოველებული საუბარი ჰქონდათ. ჩოგლოკოვმა რაღაც თავისებური ვუმანით იკრძნო, რომ ნადიმი მზადდებოდა და ყველანი მალე სუფრას უნდა მოსხდომოდნენ, თუმცა დარბაზში არაფერი არ იყო ისეთი, რაც ნადიმის სამზადისს მოვარგებდათ.

რატიევი გახარებული შეეგება ჩოგლოკოვს და გაცხებით ჰკითხა:

— თქვენ, როგორ? საიდან? მე მითხრეს ტოტლებენმა დაატუსაღო.

— იყო ასეთი საქმე თავადო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ახლა ფრინველივით თავისუფალი ვარ. ჯერ კიდევ ვნახავთ ვინ ვის დაატუსაღებს. — შემდეგ ერისთავს, როგორც მასპინძელს, თავაზიანად ჰკითხა.—თქვენ როგორ გიკითხოთ, თქვენო ბრწყინვალეებავ?

— მობრძანდით, აი აქ ჩემს გვერდით დაბრძანდით.—უთხრა ერისთავმა ქართულად ჩოგლოკოვს და მუთაქაბალიშებით მოფენილ ტახტზე მიუთითა, მერე რატიევს მიმართა.—გეთაყვა, ეს ვინაა გამაგებინე, ეს თქვენი ოფიცრები სულ ერთმანეთსა ჰკვანან, ერთმანეთისაგან ვერც კი ვარჩევ. ეს მგონი კიდევაც მინახავს.

სამივენი ტახტზე დასხდნენ, დანარჩენებიც—ზოგი მერბებზე, ზოგი საკარცულეებზე დალაგდნენ და საუბარი განაგრძეს.

რატიევმა აუხსნა ერისთავს ჩოგლოკოვის ვინაობა და უამბო მისი თავგადასავალი. ერისთავს მოაგონდა, როდესაც მოზდოკიდან სურამს მიმავალი ლეოვი და ჩოგლოკოვი მთელი თავისი ამალით, მასთან ლამის გასათეიად შეჩერდნენ, ჩოგლოკოვს მაშინ თან ახლდა ნაზაროვიც, რომელმაც უამბო ერისთავს, თუ ვინ იყო ჩოგლოკოვი და ან რუსთავის მიდიოდა იგი საქართველოში.

— მოპიტევეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ.—მიუბრუნდა ერისთავი ჩოგლოკოვს.—ველარ გიცანით!

ჩოგლოკოვმა, ცხადია, ვერ გაიგო, რა უთხრა ერისთავმა, მაგრამ თავაზიანად გაუღიმა და მადლობა გადაუხადა. მერე რატიევს მიუბრუნდა.

— როდის მივდივართ თბილისისაკენ?

— მე პასუხს ველოდები.

— პასუხს?—გაიცდა ჩოგლოკოვი.—რა პასუხს? ახლავე უნდა წავიდეთ. თქვენი კურიერები შეიძლება ტოტლებენს ჩაუვარდა ხელში და პასუხი იქნება სულაც ვერ მიიღოთ. იმ მელიამ თავისი რაზმები დაგზავნა ყველგან და ცდილობს მთელი კომუნიკაციები ხელში ჩაიგდოს, დაყოფებზე შეუწყობდებლია.

გენერალი მონანი

— არა უშავს რა. მე კურიერი მოკლე გზით გაეგზავნენ. ბატონმა ერისთავმა თავისი ეტიკები მომცა. პასუხს ხვალ საღამოს აუცილებლათ მივიღებთ, მანამდე აქ კი არა გვიშავს რა.

— გზაზე? ხვალამდე შეიძლება ტოტლებენმა მთავარი გზა გადაგვიჭრას, კავალერიას მოკლე გზით ხომ ვერ გადავიყვანთ.

— ნურც მაგ გადარდებთ.—დაამწვიდა ჩოგლოკოვი რატიევმა.— ერთი მინდა ვნახო, როგორ შესძლებს ტოტლებენი გზა გადამიჭრას. რა! ერთი მაგას ეცდებოდეს და მეტი არა მინდარა, მაგრამ განა არ ვიცი, დედალივით მზღალია. იცის, ვისთანაც აქვს საქმე. მაგ არაფერია, მთავარია ბატონ მოურავოვისაგან ერეკლეს დასტური მივიღოთ და იმ წამსვე გზას გაუვადგებით.

— სურსათი? ცხენების საკვები?—არ ეშვებოდა ჩოგლოკოვი.—ხუთასი ცხენი ამ გიგანტურ მთებს შორის რით გინდათ შეინახოთ. აქ ხელის გულს ოდენა საძოვრებიც კი არ არის.

— ყველაფერი გათვალისწინებულია. ბატონმა ერისთავმა ყველაფერზე იზრუნა, თბილისამდე უზრუნველყოფილი ვართ.

— მამ შე გულდამწვიდებით შემოძლია კიდევაც ვიძინო. მინდა მგზავრობის წინ ცოტა დავისვენო. უძელო ღამეები, ამოდენა გზა, მებაღრაგებებს ფეხით მოვყვდით...

— რა დროს ძილია, სადაცაა სუფრა გაიშლება, მერე კი მართლა არ გეაწყენს ცოტა წაძინება.

— მართლა რემენიკოვის შესახებ ხომ არა გაგიგიათ რა? ის ყველაზე წინ გაგზავნა ტოტლებენმა.

— შე მას არ შეეხვედრივარ გზაში, თორემ გაეთავისუფლებდი. ლარსის კომენდანტმა მიაშხო მის შესახებ. წინაღობით ჩაეტარებინათ.

— არც ნაზაროვი შეგხვედრიათ? ჩემი თარჯიმანი?

— როგორ, განა ისიც დაატუსაღა ტოტლებენმა?

— რასაკვირველია. დაატუსაღა და ყველაზე მკაცრი პირობები შეუქმნა. თითქოს დიდი ავაზაკი ვინმე ჩაეგდოს ხელში, ჯერ ბნელ ორმოში ჩააგდო და შემდეგ ოცდაათი კაცის ბაღრაგით, გათოკილი გაგზავნა მოზდოკს. ჩვენ დაგვირდებოდა მისი უმაღლესობის დახმარება, რომ ორთავენი გაათავისუფლონ, მაგრამ ჯერ საჭიროა გრაფი გავთოკოთ.

რატიევმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია ჩოგლოკოვს და კარლ დეგრალიეს მიუბრუნდა. გამოჰკითხა მისი სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი. დეგრალიემ დაწერილებით უამბო, თუ როგორ ასრულებდა იგი ტოტლებენის საიდუმლო დავალებებს და აღგენდა საქართველოს ისეთ აღწერილობას, სადაც ლაპარაკი იყო ამ ქვეყნის დაპყრობის აუცილებლობაზე.

— ტოტლებენმა პირდაპირ მიბრძანა დამეწერა, თითქოს ჩვენ ნამდვილ ველურებთან მოვხვდით, სადაც აღამიანები კი არ ლაპარაკობენ, არამედ ყვეფენ და მათ არაერთი წარმოდგენა არა აქვთ აღამიანთა უმარტივეს ზნეობრივ თვისებებზე. მიბრძანა დამეწერა...

— და თქვენ ეს დასწერეთ?—ჰკითხა სწრაფად რატიევმა და მის სახეს სიბრაზისაგან სიფითრემ გადაჰკრა.

— მიბრძანა და დავწერე, მაგრამ ამის შესახებ რემენნიკოვს ვუამბე ყოველივე.—სწრაფად დაუმატა დეგრალიემ, როდესაც რატიევს სახეზე შეხედა და მიხედა, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა იმაზე, რომ რატიევმა ტოტლებენმა რემენნიკოვის დაკითხვის დროს გამოარკვია, რომ ზოგი რამ ჩემი გამელაგნებული იყო და...

რატიევს რალაც უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ერისთავმა შეაჩერა და თავაზიანად სთხოვა მეორე დარბაზში გასულიყვნენ. იქ უხვი ხორაგათ სავსე სუფრა ელოდებოდათ. ყველანი წამოიშალნენ და მეორე დარბაზისაკენ გაემართნენ.

— აჰ, რა შესანიშნავია!—წამოიძახა ჩოგლოკოვმა, როდესაც სანადიმო სუფრას გადახედა.—შეხედეთ, ბატონებო, ნუთუ ამას ჰგულისხმობს ტოტლებენი, როდესაც ამბობს ველურებთან მაქვს საქმეო.

სუფრა მართლაც თვალისმომკრელად იყო გაწყობილი და სიუხვესთან ერთად სიმდიდრითაც ბრწყინავდა. ფაიფურის საინები, ვერცხლის სინები—ვერცხლისავე ხუფებით, ბროლის სასმისები, მოჭრული აზარფეშები, ყანწები, მინანქრიანი თასები, მოჭარგული ხელსახოცები, ყველაფერი ეს ისე ბრწყინავდა და ელვარებდა სისუფთავით, რომ ოფიცრებმა ძალაუნებურად დაიხედეს ხელებზე და ოდნავ უხერხულობაც კი აგრძნეს, მაგრამ მათ ოცამდე ფარეში შეეგება. ყოველ მათგანს ხელში თუნგი, თითბრის ტაშტი, სურნელოვანი საპონი და პირსახოცი ეჭირა.

როდესაც სტუმრებმა ხელი დაიბანეს და უმცროს-უფროსობის მიხედვით სუფრის გარშემო დალაგდნენ, დარბაზში ეპისკოპოსი შემობრძანდა. მას ფეხზე აღგომით შეეგებნენ. ეპისკოპოსმა საერთოდ გადასახა ჯვარი ყველას და შემდეგ, ალბათ, სტუმრების პატივსაცემად, რუსულად წარმოსთქვა ლოცვა „მამაო ჩვენო“.

დავითისა და თამარის ქორწინებისათვის მზადება ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობდა. მზადდებოდა მზითვეი, რომლის სიის შედგენას და ათ აღლის სიგრძე ქალაღზე წერას მთელი დღე მოუწოდნენ. იკვლებოდა ურიცხვი საკლავი. დიდოელებმა ჩვეულებისამებრ ბატონს ორასი სული თონლი მოგვარეს. დიდოელების ცხვარი განთქმული იყო თავისი გემოთი და მას ვერ შეედრებოდა ვერცერთი კუთხის მთაში ნაკვები ცხვარი. ამილახვარმა მალაქქუდიანი და ქრელჩითებიანი * დიდონი ექვსასი სული ჯავახური ცხვარი და უამრავი ქსოვილებით დაასაჩუქრა, ხოლო მათ მიერ მოდენილი ფარა ეზოს მოძღვარს ჩააბარა. ცხვებოდა სხვადასხვა სახის თორნეული, მრავალნაირ ფლავისთვის არჩევდნენ ბრინჯს, ქიშმიშს, ბროწეულს, დარიჩინსა და ყარამფილს, მალალსა და ქალებივით ტანწერწეტა როდინებში ნაყავდნენ სხვადასხვა სანელებლებს. მეფის დიდ სამხარეულოში ისეთი ბუდი ტრიალებდა, რომ გაბრუებული ეზოს მოძღვარი მთვრალივით ლასლასებდა. მას ყველაფერი თითონ უნდა შეემოწმებინა, ლეინოებიც, დამ-

*) ჩაით — დიდოური წინდის მაგვარი შალის ნაჭოვი ფეხსაცმელი, ძალზე სქელი შალისავე ლაჩით.

ცხვარი ბურებიც, სანელუბლებიც, საკლავიცა და ნანადირევეიც. გორაკებად დახეიწული ხოხბები და დურაჯები სათითაოდ უნდა დაეთვალაო რებინო და დაეყნოსა, თორემ მიშკარბაში მეფეს მოახსენებდა ამდენი და ამდენი ხოხობი მოგართვით, იმათში კი შეიძლება ნახევარზე მეტი სუფრასზე მისატიანად აღარც კი ვარგოდა.

ყველაზე უფრო, საქორწინო სამზადისით აღტაცებული იყო რვა წლის ბატონიშვილი ვახტანგი. დილიდან საღამომდე ცნობისმოყვარეობით უკირკიტებდა ყველაფერს, სასახლის დარბაზების შორეთვასაც, სამზარეულოში ფუსფუსსაც, საქორწინო ტანსაცმელის მკერვალთა საქმიანობასაც და ყველას ფეხებში ებლანდებოდა. ვახტანგს უფროსებიც არ ჩამორჩებოდნენ და არა ნაკლებ განიცდიდნენ საქორწინო მზადების სიხარულს. განსაკუთრებით ფუსფუსებდა დიდი ანა. მას ბევრი რამ ახარებდა. დავითისა და თამარის შეუღლება მისი დაწყებული საქმე იყო. სასახლის კარზე ორბელიანთა გვარეულობის მდგომარეობის განმტკიცება ასუსტებდა დარეჯანის გავლენას, რომელმაც რატომღაც ყორღანაშვილები და ბებუთაშვილები დაიხალოვა, ზოლო სამეფო სისხლის თავადობას სრულიად უპირებდა განდევნას. დარეჯანს, გარდა ამისა, თამარი საერთოდ უნდოდა მოეშორებინა თავიდან და მთელი ძალონით ცდილობდა, სანამ დავითი რუსეთში იყო, თავისი გერი ზენძახის ბატონისათვის გაეტანებინა. ამის გამო ერეკლესთან რამდენჯერმე ლაპარაკიც კი მოუვიდა, მაგრამ ვერა გააწყო რა და ახლა იძულებული იყო ბედს შერიგებოდა. გულში თუმცა უკმაყოფილების გრძობა უღვიოდა, მაგრამ გარეგნულად ცდილობდა არა შეემჩნია რა და თანაც იმის შიშით, დედინაცულობაში არ ჩამოპართონო, განსაკუთრებულ ხელგაშლილობასა და გულუხვობას იჩენდა. სახლთუხუცესი დაიბარა და ქორწინების მთელი ცერემონიალი უკარნახა. თამარის მდადედაც ანა დანიშნა, ზოლო სამზითვო ავლადიდების არჩევა-გადაღაცებას თითონ ხელმძღვანელობდა. დედოფლის მოღარეთუხუცესი ოსეთა ყორღანაშვილი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა და რამდენჯერმე კიდეცა უსაყვედურა დარეჯანს.

— ვა, ესეც ვითომ გულუხვობაა! ცუდი გამცემი ღმერთსაც კი სძულდაო. მთელ ავლადიდებას რომ ჰვანტავ, მითომ რაო.

— ეპე, შეილს ვუმზითვებ, მტერს ხომ არა, ჩემო ოსეთავ! — ღიმილით ეუბნებოდა დარეჯანი.

— ვიცი, ვიცი თქვენი ქართული ბედოვლათობის ამბავი. აქაო და არავინა თქვას გერს ცუდად ებყრობაო, მგონი მზითვეს მეც თან გამაყოლო. აგრე არ იქნება, თქვენო უმალღესობავ. ჩვენც უნდა დაგვიჯეროთ. აბა შეზე, ეს აღმასისთვლებიანი გილანური გულქანდა შეიდასი თუშანი ღირს.

— ათასიც რომ ღირდეს, კიდეც მცირედ მეჩვენება.

— ვაჰ! ვაჰ! — უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი ოსეთამ და მსახურს თვალი გააყოლა, რომელმაც გულქანდა სოლომონ ლეონიძესთან მიიტანა და მაგიდაზე დადვა. ოსეთამ ვერ მოითმინა და ისიც მივიდა მაგიდასთან, რომელზედაც სამზითვო ნივთები იყო დახვავებული. ემიკალასბაში გიფი ასლანიშვილი სათითაოდ იღებდა ყოველ ნივთს, ათვალეირებდა და დაწვრილებით უკარნახებდა სოლომონს მზითვის სიგელში ჩასაწერად.

წოდესაც ოსეთა მათ მიუახლოვდა გივის ხელში ოქროს ხატი ეჭირა:

— საყდრის იარაღი, — განაგრძობდა კარნახს გიფი, — მაცხოვრის ხატი მურასა ოქროთი მოქუდილი, ოცდაათი პატიოსნის იავუნდითა, თოთხმეტი

პატიოსნის ბადაშხოვანის ლალითა, ოცდაოთხი ნიშაბურის ფირფიტა... ჩას-
წერე... დაიცა, ზედ რამდენი მარგალიტია, ისიც დავითვალო. პო. ასოცი
სოშრის მარგალიტითა და ოქროსავე ბუდით შემკობილი: ეს კაჟი ფეხს...
მეორე ხატი...

ოსეფამ თვალი გადაავლო ხატებს და თელა დაუწყო. ოცდაათზე მეტი
აღმოჩნდა, მათ შორის რამდენიმე ოქროს ხატი იყო. ერთ მათგანს, რომელ-
ზედაც კაკლისოდენა ზურამუხტი ბრწყინავდა, ხელი დაავლო და გოცებით
წამოიძახა:

— ეს ვინ მოიტანა? თამარ მეფის ხატი ჯერ ბაგრატოვანთა სახლიდან არ
გასულა და თქვენ მშითევეში ატანთ? ბატონმა რომ გავგიგოს, ზომ თავებს
დაგვყრევიანებს. თქვენო უმაღლესობავ...— მოიხედა ოსეფამ და შემდეგ ხა-
ტით ხელში დედოფლისკენ გაემართა, რომელიც თალებს შორის არ მოჩან-
და.— თქვენო უმაღლესობავ, განა ესეც უბრძანეთ სამშითეოდ გადაედოთ?
— უი, ღმერთო მიშველე, მაგ ხატს იქ რა უნდოდა? — განზრახ გოცდა
დარეჯანი, თუმცა ძალიან კარგად ახსოვდა, რომ თითონ უბრძანა ფარე-
შებს ეგ ხატიც სამშითეოდ წაიღეთო.— ვინ მოიტანა?

ფარეშებს და მოახლეებს გადახედა, რომელნიც შემინებულნა ერთ ად-
ვილზე გაირინდნენ და ხმას არ იღებდნენ.

— გეთაყვა, ჩემო ოსეფავ, შენ თითონ გადასჩხრიკე ყოველივე თავიდან,
ისეთი რამ არა გააყოლონ რა, რომ ბატონი განვიარისხოთ. ამდენ დავადარა-
ბაში თავგზა დამებნა. სათითაოდ ყოველი ნივთი გასინჯე და თუ რამ ისეთი
ნაზო, ჩვენ მოგვახსენე! — უბრძანა დარეჯანმა თავის მოლარეთუხუცესს.

ამგვარად დარეჯანმა და ოსეფამ ოსტატურად დაამყარეს ურთიერთ თან-
ხმობა. დედოფალს ახლა ევლარავან დააბრალებდა ძუნწობას, ხოლო ოსეფა
ბატონის ერთგულებას ამტკიცებდა და დარეჯანის მიერ გადალაგებულ ნივ-
თებიდან ერთი მესამედიც აღარ დაუტოვებია თამარის მშითევეში. მიუხედა-
ვად ამისა, დღის ბოლოს მაინც იმდენი ავლადიდება დაგროვდა, რომ, რო-
დესაც ოსეფამ მუშრებებს მათი საფასური შეაჯამებინა, მთელი ერთი მი-
ლიონის, ანუ ძველი ქართულით ბევრის-ბევრი მანეთის ქონება აღმოჩნდა.
ოსეფა კიდევ დიდხანს ტრიალებდა ნიყარებით, ზღვის კენჭებით, სარკვე-
ბით და მხატვრულად გამოსახულ ხისტოტებით შემკულ სალაროს თალებიან
პალატებში, რომ როგორმე კიდევ შეემცირებინა სამშითეო ქონება. ყოველ
ნივთს ხელახლა ათვალიერებდა: რომ რაიმე მიზეზი მოენახა და დაესაბუ-
თებინა: ამ ნივთის მშითევეში გატანება არ შეიძლებოდა.

სამშითეო ქონებას დიდ ზანდუკებში აწყობდნენ და ყოველ ზანდუკს
თავთავისი დანიშნულება ჰქონდა. ერთში საყდრის იარაღი ეწყო: ხატები,
ჯვრები, სახარება-ლოცვანები, ბარძიმ-ფეშხუმი, საეკლესიო სამოსელი; მე-
ორე ზანდუკში წიგნები და გასართობი სათამაშოები: ქადრაკი, ნარდი, გან-
ჯაფა, სავში-სურხი, კურდღელი და ავაზა, თავგ-ფიშივი და მრავალი სხვა
წერილი სათამაშოები. მესამე ზანდუკში მარტო თავის სამკაულები ეწყო:
მარგალიტის ქუდები, ზურამუხტით, ლალით, იაგუნდებით და აღმასებით შემ-
კული ოქროს იალქნები, პირის მარგალიტები, გულქანდები, ოქროს მურასას
ჯაჭვები, საყურები, ჯიღები მრავლის იაგუნდით, ლალით, აღმასით, ზურ-
ამუხტით და ობოლი მარგალიტებით; მესამე, მეოთხე და მეხუთე ზანდუკი
სავსე იყო ძვირფასი კაბა-ჯულებით, ქურქებით და საწვიმარებით. მეექვსე
ზანდუკში აბრეშუმის თეთრეული, სუზანები, რუსული ტილოს სუფრის

საფენები და ხელსახოცები ელავა. ნოხები და ხალიჩები ცალკე მადრაშებში შეკრეს. უფრო მომცრო ზანდუკებში სამზითო აპლის, შოხლები, პირისფარეშების, მსახურების, მეჯინიბეების, მეჯოგეებისა და სხვათა სამოს-საჭურველი ეყო.

გვიან ღამით დამთავრდა განუწყვეტელი ფუსფუსი. ოსეთა შინაც უკმყოფილოდ იცემდა მუხლზე ხელს, და როდესაც ღამით საღაროდან ყველანი გაიკრიფნენ, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი შეკრულ ბარგიბარხანას და ერეკლეს ეახლა. კრელი ხელსახოცით შუბლი მოიწმინდა და ბატონს ამოხვრით მოახსენა:

— თქვენი რისხვა ნუ მომეცემა, ბატონი დედოფალი ძალიან გულუხვობს. დალოცვილო, ანგარიში საჭირო აღარ არის?!

— რაო, ოსეთავ?—ღიმილით ჰკითხა ერეკლემ და ქალაღლებს თავი ანება.—მორჩით საქმესა?

— მოვრჩით რომელია! ჰარაქათი აღარა გვაქვს. მუშრიბებს დავათვლე-ვინე. მილიონის ქონება გამოდის.

— მერე რა? განა ბევრია?

— დალოცვილო, ეს საღარო დაუღვეელი ხომ არ არის, გვისაყვედურებთ, სომხები რატომ ყველაფერს ანგარიშობთო. მაშ როგორ იქნება. ახლა, მართალია, რუსებს ვუვზნებით, შემოსავალი ბატონს წელიწადში ათი-ათასი თუმანი აქვს-თქო და ყასიდად თავს ვიღარიბებთ, მაგრამა, განა მართლა ამტოლი გვაქვს, რომ მზითევი ერთი მილიონის ქონება ქალს გაატანო ერთგულუმბისთვის ნუ გამირისხდები და უნდა მოვახსენო, რომა თუ შემოსავალი არა ჰარბობს გასავალსა, ისე ჩვენი საქმე ბოლოს კოტორი იქნება.

— ეგ მართალია, ჩემო ოსეთავ, მაგრამ ეს ქონება ჩვენი ჭვეყნიდან ხომ არ მიდის. აქვეა. მერე და ახლა ქალის კაბა-სამკაულეზა გინდა მათვლე-ვინო?

— მაპატიე კადნიერება, მეფევ, მაგრამ ეგ ხომ ყველაფერი ფული ღირს. ოცდაათი ოქრო-ვერცხლის ხატი ამტოლი ლაღფირუზებით შემკული, სად უნდა დასტიონ? კაბაო, ბრძანებთ და ერთი კაბაა, ზედ თხუთმეტი ათასი ხოშორი მარგალიტია ასხმული და ოცდაათი თხალის ოღენა მარგალიტი კიდევ გულისპირზე აქვს. ხუთი კაბა ხუთთუთათასი მარგალიტითა, სამი კიდევ სამსამი ათასი მარგალიტით. მარტო სისამურის ბეწვეულია იმტოლი, აქ შეიდანზე რომ დააწყო, თელავში ძაღლები ყეფას ასტეხენ, ნადირი ეგონებათ მოვიდაო. ჯერ პირველ ქალს ათხოვებთ. დანარჩენებს რომ ნაკლები მისცეთ, იტყვიან გამოგვარჩიოთ. ასე არ არის?

— არ ვიცი, ახლა მაგეებისთვის არა მცალიან, ჩემო ოსეთავ. დედოფალს მოახსენე და როგორც იმან ბრძანოს, ისე მოიქეც.

— თქვენთან იმისთვის გეახელით, რომ დედოფალთან ჩემი სიტყვა არა სჭრის. განა არ მოვახსენე.—ოსეთა შედგა, მერე ულვაშებში ჩაიციანა.—ესეც კი არ ვიცი, ამოდენა ქონება სად უნდა დასტიონ. ბატონმა დაეითმა თავის სასახლეში რომ მთელი მზითევი შეზიდოს, თითონ გარეთ თუ მოისვენებს, თორემ დარბაზებში ადგილიც კი აღარ ექნება დასაწოლი.

ერეკლე მოიღუშა. ჩვეულებრივად ხუმრობის ამტანს და ლაღი საუბრის მოყვარულს, რატომღაც არ მოსწონდა ოსეთას ასეთი შინაურული კილო. დაეითის ასე ქილიკად ხსენებამ კი გული ატკინა. თავისი მეუღლის ხათრა

რომ არა ჰქონოდა, ძვირად დაუჯენდა ოსეფას ამ თითქოს უნებებელ ხუზრობას.

— დიდი დარბაზები ვაჭრებს უფრო შეჰყვარის, — უთხრა წარბებშეკრულმა ერეკლემ, შემკრთალ ოსეფას. — ქონების საწყობად გამოყენებით — მხოლოდ მარმა ხმაღზედაც რომ გააშალოს ლოგინი, არ ეზრახვის.

— მაშატივით კადნიერება, მეფევ, თქვენმა ერთგულებამ მათქმევინა ასეთი ხუმრობა. თორემ... — დაბნეულად წაიდუღუნა ოსეფამ, მკერდზე ხელი მიიღო და თავი შიშველ დახარა, შემდეგ ნელა ისევ გაიმართა და განაგრძო. — თქვენი და ელისაბედი გიორგი ამილახვარს რომ გააყარეთ და კაცია დადიანს მიათხოვეთ, იმოდენა მზითვეი ჩაეზიდეთ სამეგრელოს, ცა და ქვეყანა ჰქვირობდა. ხუმრობად არ ჩამითვალთ და ალბათ მაშინაც მოგახსენებდნენ, დადიანის ეზოში რომ შევედით, ჰეშმარიტად ჰუმუნვამ შეგვიპყრო, ამოდენა მზითვეი სად უნდა დააწყონ მეთქი. მეგრელნი დაურიდებლად იძახდნენ, ამოდენა ქონებისთვის მართლაც ღირებულა კაცია დადიანს შერევაშაძის ძალი ვაეგლო და საქართველოს მეფის ერეკლეს და ცოლად შეერთო. ერთი პატარა, აი ამ მუშტის ოდენა, სახლი ედგა ტყრუშულით შემორაგულ ეზოში და მეტი არაფერი. აბა წნული სალორე-საქათმეები ხომ შენობად არ ჩაითვლება. ერთი წელიც არ გასულა იმის შეჰდეგ და ელისაბედი ხომ მიიცვალა, კაციამ კიდევ პატა წულუკიძის ასული ანა შეერთო და თქვენს შორ თქვენი დისთვის ბოძებული მზითვეი აღარ დაგიბრუნათ. განა აღბულას, გინდა ეპატანვის, გინდა სოლომონის კანონში არა სწერია, რომ თუ ქალი ქმრის მიზეზით უშვილოდ მიიცვალოს, მზითვეი შობლის ოჯახს უკან დაუბრუნდესო.

— ეჰ, ახლა გვიანაა მაგაზე დარდი. აგერ ოთხ წელზე მეტია მას შემდეგ და დროა დაეიწყებას მივცეთ მაგ ამბავი, კაცია დადიანი თავს იპით იმართლებდა, უშვილობის სენი მე კი არა, თქვენი სახლის ქალსა ჰქონდაო, თორემ აგრე რომ ყოფილიყო. ამ მესამე ცოლთან ხომ შემეძინა შვილიო.

— ვა, შითამ ჩვენ არ ვიცით, როგორ შეეძინა. ეს ამოდენა ქონება არ წამერთმასო და... ეჰ. მე ხომ მაგისტვის არ მოგახსენებდით. იმ კაციას ვამო კიდევ რამდენი უხედურება დაგვატყდა თავს. გიორგი ამილახვარის მამამ დიმიტრიმ აქაო და შვილი ცვედანად გამომიცხადეს, რძალი წამართვესო, გულს სირცხვილად დაედო, დიდებულები გადაიბირა და პატა ბატონიშვილის გამეფება მოინდომა. ეს სულ კაციას გულსათვის შეგვემთხვა. იმან კიდევ, აქაო და მეც მართლა კაცი შევიაო იტყვის რაღა, განა იმას შენედა, რომ ბატონს ერეკლეს ჩემი გულსთვის ეს რა ამბები დაატყდა თავსო, თქვენი ქალი უშვილო იყო და ამტოლ ქონებას ვერ დაგიბრუნებთო. ვაიტიცა და თავია ახლადნათხოვ ცოლს წულუკიძის ქალს, ვიდაც მიუწვინა, ოლოლო თქვენ, აბა ნახეთ შვილი მყაეს თუ არაო. ახლა ამისთანებს რომ ჩემის თვალით ვნახავ და ჩემის ყურით გავიგონებ, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ აგრერივად უნდობლად რისთვის ვუცქერი ამ ქვეყანას, თქვენო უმალ-ლესობავ. მე ხომ თქვენსავით ყველგან ხმლით ვერ მოვჭრი სამართალსა. ამისთანებში ჩემი სომხური ჰკუა უფრო სჭრის. მცირე ოქრო კაცს თვალის სინათლესა ჰმატებს, ბევრი კი აბრმავებს.

— ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ სამეფო საქმეთა მართვისათვის მარტო-ოდენ შენებური ანგარიშთანობა იყოს საკმაო. — გაიცინა ერეკლემ. — ხიდის ბურჯი შარშან ასი თუმანი დაგვიჯდა, მაგრამ მეორე დღეს წყალო

ადილდა, ძირიანად დააქცევა. აღარ უნდა აგვეშენებინა? ან იქნებ უფრო იაფად გამოვიდოდით? მეორედ ასსამოცი თუმანი დავხარჯეთ და მინც აღვაშენეთ.

— ბურჯი სხვაა, თქვენო უმაღლესობავ.

მარტოხუცი

— დავითიც ბურჯია ჩვენთვის. ასპინძას რომ არ გეხლებოდნენ, თქვენმეშენ თავი ახლა თურქის შუბზე იქნებოდა აგებული. კაცია დაღიანიც ბურჯია ჩვენთვის. მართალია შორსაა, მაგრამ ჩვენდამი იმის სამსახური უფრო ძვირი გვიზის. თქვენა გგონიათ ანგარიში მარტო სომხებმა იცით. თავის ტყვილის აბს როდესაც მყლაპავ და ზედ წყალსაც აყოლებ, ის წაპალი კუჭში ჩადის, მაგრამ თავს კი შველის. აბა სად თავი და სად კუჭი, მაგრამ თურმე მათ შორის კავშირი ყოფილა. ქვეყანას რომ სასარგებლოდ უწყალო, ვინ იცის რამდენს უნდა მიაღებინო ასეთი აბი. რას ვიზამთ, ბატონო ოსეფავ. თქვენი მოხსენებული ყოველივე მესმის. შხითვის წიგნი ჯერ არ დაგვიმტკიცებია. როდესაც დედოფალთან ერთად წაფიქითხავთ, თქვენს მოხსენებულ აზრებსაც ვიგულისხმებთ. მართლაც, მართალია: მეფეთა შორის სიუხვე ვით ალვა ედემს რგულია, რასაცა ვასცემ შენია, რაც არა დაკარგულია, — მაგრამ ახლა უფრო სიფრთხილე გემართებს, რადგან ბევრი რაც გავეცით დიად დიაკარგა.

— თქვენმა დღეგრძელობამ, ხუთი ტომარა მარგალიტიდან, სალაროში ორი ტომარაც აღარ დარჩა. ეპ, ქვიშაა?! ეს ქალები ერთმანეთს ეჯობებინ, იმან კაბაზე ხუთმეტრიათასი მარგალიტი აისხა, მე ოციათასი უნდა მქონდესო. დალოცვილებს, აღარ უნდათ, ზიდონ? თითო სიონის ზარის სიმძიმე გამოვა.

ერეკლემ გულიანათ გაიცინა. ოსეფავაც შევებით ამოისუნთქა, რომ ბატონის გამხიარულება შესწლო და საუბარი ასე კარგად დააბოლოვა. კიდეც უნდოდა რაღაც ეხუმრა, მაგრამ ბატონმა თავის დაკვრით ანიშნა, რომ მიღება დამთავრებული იყო და ოსეფა გაღიმებული სახით გავიდა მეფის სამუშაო ოთახიდან.

მეორე დილას უკვე შეუდგნენ საქორწინო ცერემონიას, რომელიც ჯვარის წერამდე ხშირად ორ კვირას გრძელდებოდა, მაგრამ ახლა დროის უქონლობის გამო მხოლოდ ორ დღეს უნდა გაგრძელებულიყო.

ათი საათისათვის სასახლეში დავით ორბელიანის ნათესავეები გამოცხადდნენ და თამარს ნიშნად ოქროს სინზე დაწყობილი ძვირფასი სამკაულები და დიდ ვერცხლის ლანგრებზე დალაგებული, შაქრით დამზადებული ტკბილფული მოართვეს. ნიშნის პირთმეფას სასახლის მთელი დიდებულები დაესწრენ, ბატონის ერეკლეს და დედოფალ დარეჯანის გარდა, რადგან წესის მიხედვით მათი მოვალეობა მდიდეს უნდა შეესრულებინა.

ანა შუა დარბაზში მიღება დავითის ეჯიბს და ოქროს სინი ჩამოართვა. ის გულისცემით მოელოდა ამ დილას, რადგან იცოდა რომ დავითის ეჯობად ბესიკი იყო დანიშნული და ახლა ერთ წუთს გაცივებით შედგა, როდესაც ბესიკის ნაცვლად მის წინ რუსული ოფიცრის ტანსაცმელში მორთული, არტილერიის პოლკოვნიკი თავადი ჩოლოყაშვილი დაინახა. ანას სრულიად შემთხვევით არც ის გაუგია, რომ ბესიკი ანანურს იყო წარგზავნილი ერეკლეს მიერ და არც ის, რომ წინააღმდეგობით რუსეთიდან ჩამოვიდა პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი, რომელიც ბატონის თოფხანაში სასწრაფოდ უნდა შესდგომოდა ზარბაზნების ჩამოსხმას. ის ბინად დავით ორბელიანთან

დადგა, რადგან ორთავე რუსეთიდანვე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. დავითმა საპატიო სტუმარს მაშინვე დააკისრა ასეთივე საპატიო მრავლობა თავის ქორწილში და თავის საცოლესთან წარგზავნა სანიშნო სამკაულებით. ანამ გოცებით შეათვალა ეს უცხო სტუმარი, რომელიც იმდენად ტანს საოცრად აწმვენებდა რუსული საპარადო მუნდირი. ჩამოტყდა ახლა სინი, მაშინვე მივიდა თამართან და როდესაც სანიშნო სამკაულებით დაუწყა მორთვა, ყურში წასჩურჩულა:

— ნეტა ეს უცხო ეგვიპტის ვინ არის? — შემდეგ რომ არაფერს შეემჩნია ფსუნფუნით ხმამაღლა დასძინა. — ღმერთმა გაგაბედნიეროს, ჩემო თამარ. ასეთი ძვირფასი ნიშანი ჯერ არც კი მინახავს.

სანიშნო სამკაულები მართლაც ძვირფასი იყო და თავისი ელვარებით საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. დარბაზში მყოფი დიდებულები და სეფეპალები ჩურჩულით უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ აღტაცებას, როდესაც ანა სინიდან რომელიმე ძვირფას სამკაულს აიღებდა და თამარს, ან გულზე დაჰკიდებდა, ან თმებში დაუმარებდა, ან მაჯაზე გაუკეთებდა. ყველას სული მისდობდა ახლოს დაეთვალა თვინა ყოველი სამკაული, მაგრამ არცერთი ადგილიდან არ იძროდა და მხოლოდ შორიდან თვალთვალთ კმაყოფილდებოდა.

როდესაც ანამ თამარის მორთვა დაამთავრა და ტკბილულობით საცხე სინი პატარა ექვსკუთხიან მაგიდაზე წინ დაუდგა, დავითის მოგზავნილ სტუმრებს მიუბრუნდა:

— ეგვიპტის მოახსენეთ... თარჯიმანი სად არის? — მიმოიხედა ანამ. — ალბათ ბატონმა ეგვიპტე ქართული არ იცის.

— როგორ არა, თქვენო ბრწყინვალეებო, — თავდახრით მოახსენა ჩოლოყაშვილმა. — ბედმა, მართალია, რუსეთს ცხოვრება მარტუნა, მაგრამ ქართველობა ჩემთვის არ წაურთმევეია.

— მაპატიეთ ღმერთის გულისათვის. — უთხრა ნარნარი, ახალგაზრდული ხმით ანამ. — თქვენმა ჩაცმულობამ დამაეჭვა. მოახსენეთ ბატონ დავითს, ჩვენს სიძეს, რომ ამ საღამოს ნატრული ვართ მისი ხილვისა.

სტუმრები თავდახრით გამოეთხოვეს დარბაზში მყოფთ და ზურგშეუბრუნებლად უკუღმა ბიჯებით გაიკრიფენ დარბაზიდან.

მამაკაცებმა ისინი კარიბჭემდე მიაცილეს, ხოლო ქალები ერთის ქრიაშულით შემოესივნენ თამარს, ულოცავდნენ დანიშნას და თანაც დაურიდებლათ ათვალაობდნენ ნიშნად მორთმეულ ძვირფას სამკაულებს.

საღამოს სტუმრები და სასახლის ჯალაბი კვლავ შეიკრიბნენ რუსულ აუდიენც-ხალაში, სადაც გაშლილი იყო გრძელი სუფრა. ვინაიდან ერეკლე და დარეჯანი ამ „ერთად ჭამას“ არ ესწრებოდნენ, დავითი პირველად მათ ეახლა ჩინურ დარბაზში, მიიღო მშობლიური ლოცვა-კურთხევა და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა სანადიმოდ მორთულ დარბაზისაკენ.

ანა კარებში შეეგება სასურველ სიძეს, შუბლზე ეამბორა და თამარს წარუდგინა, რომელიც საქმროს მიერ მორთმეულ სამკაულებით მორთული, დარცხენით იდგა თავდახრილი და ტუჩებს იკვნეტდა.

ეზოს მოძღვარმა სტუმრები სუფრასთან მიიწვია. ჩვეულების თანახმად ქალები ერთ მხარეზე დასხდნენ, ხოლო მამაკაცები მეორე მხარეზე, თანაც სასტიკად იყო დაცული წესი, რომლის მიხედვით ყოველი ქალის პირდაპირ ან ქმარი, ან მამა, ან უახლოესი ნათესავი უნდა მჯდარიყო. დავითიც თამარს

როს პირდაპირ დასვეს, კარის დეკანოზმა სუფრა აკურთხა და ვახშამს შეუდგნენ. თამადად იოანე ორბელიანი დასვეს და როდესაც რამდენიმე საღღეგრძელის შემდეგ მზიარულების ეშხში შევიდნენ, დავითს თავაზიანად მოახსენეს, რომ მას ადგილი დაეჭირა თავისი საცოლეს გვერდით.

როგორც კი დავითი ადგა და მისთვის მიჩნეულ ადვალისაქენ გაეშართა, თამარმა იღუმლად ზელი ჩაავლო ანას და ჩურჩულით უთხრა:

— ვაიმე, აქეთ მოდის. შენ გენაცვალე, ანავ, არ მიმატოვო.

ანამ გაიცინა და ასევე ჩურჩულით უპასუხა:

— გაგივდი? რა მოგივიდა? ხომ არ შეგჭამს!

— რა ვიცი, გული ისე მიცემს, რომ ლამის ბუდიდან ამოვარდეს. სხვებისთვის რომ მიცქერია, სიცილით მოვმკვდარვარ და თითონ მე არ ვიცი, რა მომდის.

საერთო შეძახილებით გამხნეებული დავითი ღიმილით მიუახლოვდა თავისუფალ სავარძელს თამარის გვერდით, დაჯდა და ახლა უცბად გამოჩნდა მისი ვაჟკაცური ახოვანება. ბეჭებგაშლილი, მაღალი, უკანგადავარცხნილი ტალღისებური თმით, ის ისე მოჩანდა ფერად აბრეშუმებში მორთულ ქალებში, როგორც იალალებზე აშლილ ყვავილნარში წამომართული ჯეირანი. ყველა აღტაცებაში მოჰყავდა დავითის ლაღ და ამავე დროს ზედმიწევნით თავაზიან ყოფაქცევას. მას სრულიად არ ეტყობოდა ის თავისებური მორცხვობა და ქირთა ოფლის წურვა, რაც ახასიათებს ასეთ დროს ყოველ ნეფეს ნიშნობაზე ან ჭორწილში. არასაკვირველია, არავინ არ იცოდა, რომ დავითის ეს შეიძლება ოდნავი გულგრილი დამოკიდებულება თავის ასეთ მდგომარეობისადმი გამოწვეული იყო სულ სხვა მიზეზით. დავითმა მშვენივრად იცოდა, რომ მისი და თამარის ქორწინების დანიშვნა ერეკლეს მიერ, ერთგვარი ფარდა იყო იმ საოცრად დამაბული მდგომარეობის დასაფარავად, რომელიც ასე მოულოდნელად შეიქმნა საქართველოსათვის. დავითიც ამიტომ ერეკლეს მსგავსად ცდილობდა გარეგნული სიმშვიდე და უღარდებლობა გამოეჩინა, თუმცა, ფიქრით, და ყოველ თავისუფალ დროს, საქმით ის მუდამ საქართველოს ბედიბაღზე ზრუნვით იყო გატაცებული. დღესაც, როდესაც ჩოლოყაშვილი თავისი დავალების შესრულების შემდეგ უკან დაბრუნდა, მაშინვე გაეშართა მასთან ერთად კლდის უბნისაკენ, სადაც ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა იყო და მთელი დღე იქ გაატარა. ერთად დაათვალიერეს ქარხანა, ლითონის სადნობი ღუმელი, შესაზავებელი ბრძმედები, გრაფიტის ციხეები და სპილენძის, კალის და მზა თითბერის მარაგო. დავითს იმედი ჰქონდა, რომ რამდენიმე დღეში შესძლებდნენ სულ ცოტა, ოცდახუთი სააღყო ზარბაზნის ჩამოსხმას, მაგრამ პოლკოვნიკმა იმედი გაუცრუვა. ჯერ ერთი ლითონის მარაგი იმდენად მცირე იყო, რომ დიდი დიდი ათი ან თორმეტი ზარბაზანი ჩამოსხმულიყო. მერე, თითო ლულის განარხვას, სხვა დანარჩენი ნაწილების, ლაფეტების, ბორბლების დამზადებას, ოსტატების სიმცირის გამო დიდი დრო დაჰქირდებოდა და დღედაღამე რომ ემუშავნათ, ათ ზარბაზანს სამ თვეზე აღრე ვერ დაამზადებდნენ. ზარბაზნების ჩამოსხმაც მერე ასე ზეპირად ხომ არ შეიძლებოდა. საჭირო იყო ნახაზების მიხედვით ყოველი ლითონის ნაწილისათვის ხის ყალიბების დამზადება, გაჩარხვა და ესეც საკმაო დროს მოითხოვდა. ყველა ის ყალიბი, რომელიც საბელოსნოში ჰქონდათ, უკვე აღარ ვარგოდა, რადგან ამ სახის ზარბაზნე-

ბი აღარც რუსეთში და აღარც ევროპის სხვა სახელმწიფოებში აღარ მზადდებოდა.

ამ მოულოდნელმა სიძნელემ დავითი ისეთ ცუდ გუნებაზე დააყენა, რომ ქორწილიც დაეიწყა და საკუთარი თავიც. ნაშუადღევს მეღმეტი და შუადღეების ამქრის უსტაბაში დიბარა და უბრძანა: რაც ქალაქში თითბრის, სპილენძის და კალის მარაგი მოიპოვებოდა, სულ აღერიცხათ და მისთვის მოეხსენებინათ. მეღვიქმა იქვენულად გაიქნია თავი და როდესაც დავითმა მრისხანეთ შეანათა თვალეები, მორიდებით მოახსენა:

— ვეცდები, თქვენო ბრწყინვალეზე, მაგრამ ექვობ. ამ საქმიდან არა გამოვა რა.

— რისთვის?

— იმისთვის, რომ ხელოსნები სულ გადამალავენ, რაც გააჩნიათ.

— როგორ თუ გადამალავენ?

— როგორ და დავიწყებთ თუ არა გამოკითხვას, მაშინვე ექვს აიღებენ, აქ რაღაც სხვა ამბავიაო და შენი მტერია, მაშინვე მიწაში ჩაძვლავენ ყველაფერს.

— რაღა, რისთვის? განა უფულოდ გვინდა? რაც ელირება, უკლებლად მიეცემა.

— არ დაიჯერებენ, შენი ქირიმე. აგრე კი არა, შესყიდვაც რომ დავიწყოთ, როგორც კი ერთისაგან ვიყიდი, დანარჩენები მაშინვე კარგი შეძებრებივით მოყნოსავენ ამბავს, საქონელს დამალავენ, გამოიტანენ ხელის გულის ოდენა სპილენძის ნაჭერს და თავის წონა ოქროს დააფასებენ. წადი და იყიდე.

— მაშ აგრე! სწორედ უთქვამთ: ვაჭრისაგან სიკეთეს ნუ ელიო. კარგი. თქვენ წადით, დაიარეთ და თქვენის თვალთ შეამოწმეთ — რამდენი შეიძლება მოგროვდეს. დანარჩომისა მე ვიცი. ვისაც თავი მოსძულებია, უჯობს ახლავე ეზიაროს.

მელიქი და უსტაბაში წავიდნენ, ხოლო დავითი ისე გააბრაზა ხელოსანთა ამ თავისებურმა ზნეობამ, რომ ვერ შესძლო დამშვიდებულობა. საღამოსაც ამ განწყობილებით წავიდა სასახლეში და ამიტომ იყო, რომ გარეგნულად თუმცა თავაზიანად უღიმოდა ყველას და ცდილობდა უდარდელა საბე მიეღო, გუნებაში ბოღმის ალი უტრიალებდა, როგორც კი მელიქთან საუბარი მოაგონდებოდა.

როდესაც თამარის გვერდით დაჯდა, კარგახანს არ გახსენებია რომ მისთვის თითზე ბეჭედი უნდა გაეკეთებინა და საგანგებოთ ნაჭედი აღპასის თვლებით მორთული ოქროს ვაშლი მიეწოდებინა. ისევე ანამ მოაგონა. დავითმა ფრთხილად მოჰკიდა მაჯაში ხელი თამარს და როდესაც თითზე ბეჭედს უკეთებდა, სუფრაზე ერთ წუთს საოცარი სიჩუმე დამყარდა. თამარის თბილი და საოცრად ნაზი ხელის შეხებამ დავითს უცნაური ფრუანტელი მოჰგვარა და მხოლოდ ახლა განიცადა ბედნიერების ტკბილი ნეტარება. თამარმა თამამად ახედა დავითის ნუშისმაგვარი თვალეებით და გაუღიმა. მერე ოქროს ვაშლიც ჩამოართვა და ორთავე ისე გაიტაცა ერთმანეთისადმი ყურადღებამ, რომ სრულიად ვერ შეამჩნიეს მთელი სუფრის დაძაბული გარინდება. მხოლოდ მაშინ გამოერკვენ, როდესაც თამადამ ხმამაღლა დაიძახა: „ამბოარი, ამბოარი“ და ყველამ ერთხმად დასტური დასცეს. დავითი ჯერ უარზე იყო, რადგან ეუხერხულებოდა საჯაროდ გადახვეოდა, და ისიც პირ-

ველად, თავის საცოლეს, მაგრამ ეს ისეთი სავალდებულო წესი იყო, რომელსაც ვერ აუხვევდა ვერცერთი ნეფე.

— აბა, ჩემო ტარიელ, გადაეხვიე შენს ნესტანს, — არ ეშვებოდა თამადა. — ტუჩი ტუჩსა შეაწებე, გადააქდე ყელი ყელსა!

— გაბედე, დავით...

— არ გშენის შედრკომა...

— თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მიპყე, რაცა სწადლეს. შენ მაინც ვამბორე, დაო, თორემ ხომ ხედავ, წაგვიბდა ვაჟაკი! — სიცილით გასძახა ლონმა თამარს.

— ცუდია იგი მამაცი, დიაცმა შეაშინოსა! — წამოდგა ზეზე ჭაიხოსრო ავალიშვილი და ხელუბგაშლილი გაკვირვებული შეაცქერდა დავითს, თითქოს ეკითხებოდა, ეს რა შოგდის, რომ ამდენ ხანს აყოფნებო.

— გვაკმარე ლოდინი!..

— ამბორი, ნეფევი!..

— გული გაგვიწყალდა ამდენი ლოდინით!..

მთელი სუფრა ახმაურდა. სიცილისკისი, შეძახილები, ზმადოქმული ხუმრობები ერთმანეთში აირია, ხოლო როდესაც ქალები ზეზე წამოიშალნენ და დავითს დაემუქრნენ, აქედან გაგაგდებთ, თუ ამბორით არ დაგიმტკიცებია შენი სწორის საყვარელი და პატივისცემაო, დავითმა უცბად მოხვია ხელი თამარს, დაიხარა და უხერხულად საფეთქელთან აკოცა. შემდეგ, როდესაც სუფრაზე მხიარული ქრიაშული მიწყნარდა, დავითმა სხვების შეუმჩნევლად თამარს თავისი ხელსახოცი შეუცვალა, ადგა და მაშინვე შინისკენ გაემართა. მას უკვე უფლება აღარ ჰქონდა მეტ ხანს დარჩენილიყო სუფრაზე.

(გაგრძელება იქნება).

იგავ-არაკები

იგავი ზოგიერთზე

გაასინჯეს ერთხელ ბრმას
ლალი, იაკინთები.
და თან უთბრეს: „თუ ეს გაქვს,
მდიდარ კაცად ითვლები!“

ბრმამ ძვირფასი თვლები
ჩხრიკა, გულში სთქვა:
— „მე თუ არ ვცდები,
ამისთანა ქვა
ერთგან ვიცი მრავალი,
არც შორია საველი!“

მეორე ღღეს, ჯობით ხელში,
გაღვიდა იქვე ხევეში
ხეინჭის გროვა
ბლომად ჰპოვა,
და რაც შეხედა მრგვალი,
ეგონა, თუ იყო იაკინთი, ლალი!
უხაროდა...

გული ხტოდა,
გული თავის ბუდეში.
ჩაიყარა ჯიბეში,
ჩაიყარა უბეში.
ბარე ორჯერ ასა!
იციის მათი ფასი!

როცა ბრმებთან დაბრუნდა, ბევრი აღარ ახანა,
ეს ამბავი ახარა:
— გესმით, ჩვენზე მდიდარი
ახლა აბა, ვინ არი?
აი, ჯიბე საესე მაქვს ლალით, იაკინთებით!
ჩემით, მხოლოდ ჩემს გამო, ბედნიერი იქნებით.
დაუჯერეს ბრმას

კარვად ცნობილს, გვირავს,
 რომ ჯიბეში აქვს
 თვალი მრავალ-ფერადი,
 რომ საესენი არიან
 განქულებით ყელამდის!
 თვალხილულმა სცადა შეეტანა ეჭვები,
 რომ ცდებოდნენ ბრმები, ამაყობდნენ კენჭებით.
 მაგრამ ბრმები აღელდნენ:
 „ვინ გვიბედავს? ვინ გვეწვია ღღეს!“
 მოიძარჯვეს მკლავი
 და სიმათლის მთქმელს
 გაუტეხეს თავი



ზოგიერთი ცრუ მწერალი კალამს აწრიალებს.
 ლალის ნაცვლად სადღაც ნაპოვნს კენჭებს აჩხრიალებს.
 და თუ ამხელ მას საჯაროდ, ვაი შენი ბრალი!
 გირჩევენია შენც ბრმად იქვე, დაითხარო თვალი!

იბაში ფარშევანგში და სხვა ხურდა ფრინველებში

კოსალამ, ბუმ და ყვანჩალამ,
 ჩხიკემა, კაჭკაჭმა ჩანჩალამ
 ტყეში ასტეხეს ხმაური
 და დიდი აურ-ზაური:
 „ვინ არის ფარშევანგიო!
 გაგეშორდეს, გადაიკარგოს,
 ქვეყნისთვის შეტი ბარგიო!“
 არწივმა ეს რომ გაიგო,
 ბრძანა: მოვიდნენ აქ ჩქარა
 კოსალა, ბუმ და ყვანჩალა,
 ჩხიკევი, კაჭკაჭი ჩანჩალა.

მოვიდნენ, მწყობრად დალაგდნენ...
 თან გულში ზრახვებს ჰმაღავდნენ.

დარბაისელმა არწივმა
 თავი რო მადლა ასწია,
 ჰკითხათ: „რას ერჩით ფარშევანგს,
 რად შეიძულეთ ყველამა?“

წამოდგა ჩხიკევი ჩხაკუნა,
 ასე სთქვა ნაცრის ყელამა:
 — რას ბრძანებ, ჩვენო მფარველო?
 ოთხი ხომ ორჯერ ორია!
 ჩვენც ასე ვზუსტობთ... რომ გვტულდენ,

მტყნარი სიცრუე, ქორია!
ჩვენ ვამბობთ: ახლოდ ბუმბული
უძნო აქვს, შეუსაბამო.
გაიძროს, გახდეს გუგული,
ყვოს ყველასთვის საამო!



თანხმობის ნიშნად კაქკაქმა
ქლესურად შეიცმაყუნა,
ბუმ მოთვრიხა კისერი,
ბრძენს დაეღარა ფხაყუნა;
ტაში და ტუში, თან ვაშა
კოსალამ დაარაყუნა.

არწივმა ახედ-დახედა,
არ აპყვა გულის ძვერასა;
უთხრაათ: მიგზედით, ვაყებო,
სხეანაირ ჰანგზე მღერასა!

თქვენ იმას ითხოვთ, წავართვა,
რაც მოუცია წერასა.
პირიქით, მომწონს ბუმბული,
შეეხარი მრავალ-ფერასა!
გიბრძანებთ, თვითონ მონახოთ,
როცა მიხვიდეთ კერასა,
ჩაიცივით ფარშევანგული,
თორემ მოგისევთ ძერასა!

ჩხიკეების ხელში ფარშევანგს
სიყეთე მოეშლებოდა,
რომ მას არწივი მფარველად
ღროზე არ მიშველებოდა!

ხანდახან დიდი მოღვაწე
იმ ფარშევანგის ბედშია;
ჩხიკეი თუ გააჩხაყუნებს,
მუდამ მფარველიც გვერდშია!

ვეფხვი, მელიაქ და მგელი

ვეფხვმა, მგელმა, მელიამ მოახდინეს ყრილობა.
დასდეს მტკიცე პირობა:
ინადირონ ერთად ტყეში,
თანასწორად გაიყონ, რაც მოთვლონ ხელში!

კარგახანი იარეს,
ცხრა მთა გადაიარეს.

დადგა უკვე მარტი.

ბოლოს წყალთან დაიჭირეს ერთი სუსტი ბატონი,
მელიამ სთქვა ორჭოფულად:

— ერთი ლუკმაც არ იყოს,

განა ღირს რომ გაიყოს

ეს პაწია ლაბუა?

მოდი, იმას ერგოს,

ვინც ჩვენს შორის იყოს წლოვანებით ბაბუა!

პოეწონა მგელს ბრძნული წინადადება:

იმედი აქვს, იცრუებს, არ აქნება წაგებას!

და დაიწყო: „იცით, მე მეტად დიდი ხნისა ვარ!

ქრისტე როცა ბავშვი იყო, მას მოჰგვარეს ცხვარი!

მეტის მეტად წყნარი!

იმ ღამესვე პირი ესტაცე,

ულრან ტყისკენ გაეიტაცე!

აბა, ახლა დაასკვენით, მე რამდენი წლისა ვარ!

ო, მე დიდი ხნისა ვარ!..“

აქ მელია მოიკუნტა,

ოდნავ თვალი მოიჭუტა,

წამოაგდო ენა,

იწყო კულის ტნევა,

სალაქუცოდ ქშენა.

სთქვა: „მოგეცეს ლხენა!

შენ ჰყოფილხარ ბავშვი,

ვერ წამოგდე თავში.

მე ოცის წლის ვიქნებოდი, სანამ წარღვნა მოვიდოდა,

რომ მოვიდა, ვაი იმ დღეს, ნოე ჩემკენ გამოვბოდა.

ჩამსევა კილობანში,

შემაცურა ზღვაში,

ორმოცი დღე მარჩინა!

ნოემ გადაპარჩინა!

აბა, ახლა შენ დასკვენ სიბრძნე ჩემა ლექსის!

მცირეწლოვანს შენ ვინ მოგცა რიბი მზეტთა მეფის?

გესმის, მგელო, გესმის?“

ვეფხვმა თათი ბატს დაადო...
ერთი მაგრა დასძახა.

ყოლის შიარჯობახა.

წამოვიდა მეხი ღრუბლით დანაკვეთი:

„— მე ვარ მხოლოდ ექვსის!

აბა, ერთი გაბედეთ,

თავი მალლა აიღეთ
და ეს ბატი წაიღეთ!
ბიჭები ხართ, მიმართეთ:
ძალას, გინდა კვანტს.
სულ რომ სცროლობთ, ვერ მოგართმევთ
ამ საბრალო ბატს!"



შეუბღვირა, შეუყვარა,
გადავიღნენ ყარა-ყირა!

ამ იგავის გამოცნობა, არც თუ ისე ძნელია:
ამის შემდეგ ვეფხვს სულ მტრობენ ის მგელი და მელა.
ვეფხვისათვის მათი მტრობა სულაც არაფერია...
ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერია!

მეზვრა, ძვევირი და მამარი

გაღიხადა მეზვრემ რთველი,
ჭქონდა შვება, ჭქონდა ლხენა;
თბილი, ტკბილი, ყურძნის წვენი
ერთს დიდს ჭვევრში ჩააყენა.

მესამე დღეს ამოდულდა
ჩურჩულებდა, თითქოს სწუხდა,
მეზვრემ სთქვა თუ: დაეაწყნარებ!
ნიავეს აღარ მივაკარებ!

და სარქველი დააფარა,
ბლომად მიწა დააყარა.

მაჭარს სული შეუგუბა,
რა დასტკეპნა მაგრად ფეხით;
შუალამეს შემოესმა:
გავარდაო თითქოს მეხი.

ჭვევრი გასკდა, დაიღვარა
ყურძნის წვენი, მაჭრად მდგარი;
შრომამ მუქთად ჩაუარა,
დაელუბა მონაგარი.

ეს იგავი ჭკვას გასწავლის,
ქი არ მითქვამს გამოცანად:
კაცი თავის მტერი არის,
თუ არ იცის საკმის ძალა!

ველური ხარი



იყო დიდი დღეობა,
ქეიფი და ღრეობა.
ხალხი ცეკვით გართული,
მოკაზმული, დართული
ტკბილი მღერაც ისმოდა.
სადღეგრძელოც ისმოდა.
იქვე იყო ბაზარი.
მოიყვანეს რქიანი
ხარი ბარაქიანი,
მაგრამ თვალად საზარი.
ულრან ტყეში გაზრდილი,
მსუქანი და გავსილი!
ხალხი მას არ ენახა,
თვალებს აბრიალებდა,
არც გაეგო ზურნის ხმა,
კისერს ატრიალებდა.
ფერად ტანსაცმელებზე
მან ყურები აცქვიტა.
დაფრთხა, თოკი გაწყვიტა
ბარგი ქისტის, ოსისა
ყველა მისრის-მოსრისა.
იქით ეცა, აქეთა,
მალაყებიც აკეთა.
მეზურნეებს ეკვეთა,
მოსპო მათი ღრეობა,
ჩაუშწარა დღეობა.

გაუზრდელი ავს შეგამთხვევს,
ვიციტ კარგა ხანია,
ზოგიერთი ჩვენს შორისაც
სწორედ ვიფი ხარია!

მენჯი-რობუ*

რომანი

— 0 —

ფარნა ბელაასთან ვახშმად ისხდნენ, როდესაც ვამეხი კარზე დაუკაკუნებლად მათთან შემოვიდა და მხიარულის კილოთი მიმართა მასპინძელს:

— ხიზანო! ამაღამ შე უნდა შემოგეხინო, მაგრამ...—თვალი შეავლო მანა ჯგერენაიას,—უკვე უცხო სტუმარიც გყოლია..

ვამეხის სიტყვებზე ყველა იქ მყოფი საჩქაროდ ფეხზე წამოდგა და ღიმილით მიეგება მათთვის საამურ სტუმარს.

— მობრძანდით, ბატონო ვამეხ, დაბრძანდით! — გულდიდად შესთავაზეს ფარნამ და მისმა მეუღლემ. მაგრამ ვამეხმა თავი უკმაყოფილოდ გაიქნია:

— გაუფრთხილებლები ჰყოფილხართ... მე ვამჩნევ, რომ, ყმაწვილო, — მიმართა მან ჯგერენაიას,—თოფი მუხლებ შუა გიყუდია, მაგრამ... დაუკეტელ კარებში თქვენი ჯდომა ამ ემად ვერ არის კარგი...

ფარნას უნდოდა რაღაც ეთქვა, ვამეხმა განაგრძო:

— ეს ყმაწვილი ვიცანი, ვინც არის... ჯგერენაიააა ხომ?... მართალია, მაგას არც თუ ისე ფიცხად სდევნიან, რადგან აბრაგად არც კი მიაჩნიათ, მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივია... კნენია ნექტარინასთან ათასი ხალხი ირევა, კარგად იცით, რომ ხშირად მაზრის უფროსიც მოდის, პრისტავებიც, მამასახლისმაც ხშირად იცის გამოვლა... ვინმემ რომ შენიშნოს მაგისი აქ ყოფნა... არ გამოვა კარგი საქმე...

ფარნამ მაინც გაბედა:

— მართალს ბრძანებ, ბატონო, მაგრამ თითქმის წამდაუწყებ ხან ჩემი ბიჭი გატანტალდება ეზოში, ხან თვითონ ჩემი მეუღლე, ეზოს და მისადგომებს მუდამ ათვალიერებენ. თქვენ მოსვლამდისაც ჩემი ბიჭი იყო გარეთ და საეჭვო არაფერი შეუმჩნევია... კარები კი დარჩენია მაგ შერცხვენილს...

— ჰო და თქვენმა ბიჭმაც უნდა ისწავლოს სიფრთხილე... ვინ იცის რა დრო დადგება... შეიძლება ძალიანაც დაგჭირდეთ საიღუმლოდ თავის შენახვა... ასე კარ-ღიად ვერ იბოგინებთ მაშინ...

— შენი ჰკუის დარიგება ნუ მოგვეშალოს, ვამეხ! — ჩაურთო ფარნას მეუღლემ და ხელ-ახლა შესთავაზა დაბალი, სამ-ფეხა სკამი, რომ ვამეხიც ტაბლას მიჯდომოდა.

ვამეხი ჩამოჯდა. ფარნამ კარებს ურდული გაუყარა.

— გამიკვირდა საწყალ ოსეს დატირებაზე, რომ არც ერთი არ იყავით... შენ, ფარნა, სათევზაოდ მეგონე წასული, მაგრამ ფანთა რომ არ იყო, ეს კი უფრო მაკვირვებდა...

*) გაგრძელება იხ. „წათობი“ № 4.

— აბა, საწყალი იოსებ! ღმერთო მომკალი...— შეწყუხდა ფანთა.
ვამეხმა აღარ დააცალა:

— აარა! ახლა მიხვედრილი ვარ... ამისთანა სტუმარს როგორ დატოვებ-
დით, მხოლოდ... ამაღამ მეც თქვენთან მინდა ღამე გავათირო...
— კი, ბატონო, კი, შენი კირიმე! — წამოიძახა ორივე ცოლქმარმა. —

მანამდე კი ცოტა რამე მიირთვი, ბატონო — გეშეება...
— მართალია, ცოტა მოყმეული ვარ...

— აგერ, ბატონო, აგერ... მოხარშული თევზი... ყველი, ღომი...

— ოო, თქვენ უწვნოც გქონიათ, უწვნო, ჩემი საყვარელი საკმელი... მე
რომ მკითხო, საციეს ეს მირჩევნია... მეტად გემრიელი რამ არის...

და ვამეხი შეუღლა ბურად-ღებას. თან გაიცინა:

— საკვირველი ის არის, რომ უწვნოს ეძახიან და უამრავი წვენი კი
აქქს!..

— ეგ ბატონო, — ეცადა ფანთა განმარტებას, — თითქოს უწყლოდ არის
ქათამი თავის საცაზმით გაკეთებული, მარტო თავის წვენში და იმითმ გე-
ძახით უწვნოს...

— ვიცი, ჩემო ფანთა, ვიცი... შენ გგონია მე ვერ გავაკეთებ უწვნოს?
აი, ციმბირში რომ ვიყავი, ზოგჯერ ვიშოვიდი ქათამს, საცაზმავებსაც, მხო-
ლოდ ეს ყვითელი კოჭი მიჭირებდა საქმეს, მაგრამ მაინც კარგად ვამზა-
ღებდი...

— უი, ნანა, ნანა! სი ქოგალეე! — თანაგრძნობით წარმოსთქვა ფანთამ შე-
გრულად და თან გულში უკვირდა — როგორ იოლად იხსენებს მის ციმბირ-
ში ყოფნას, თითქოს აქ სადღაც ყურის ძირში ყოფილიყოს და ისიც თავის
ნებით წასული. მაგრამ ის კი არ იცოდა ფანთამ, რომ საზოგადოდ იტაურ
თავის ცხოვრებაზე ლაპარაკი არც თუ ისე უყვარდა ვამეხს და იშვიათად
თუ ვისმე გაუზიარებდა თავის თავგადასავალს. ფანთამ ეს არ იცოდა მი-
ტომ, რომ ამაზე საუბარი ვამეხთან არასდროს არ ჰქონია.

ვამეხი გემრიელად შეექცეოდა, მაგრამ, როდესაც შეინდისფერი ღვინოც
პატარა ჭიქით ივება, დიდად მოიწონა:

— ეს საიდან, ფარნა? იზაბელის ღვინო ამ გამოზაფხულზე, ესე შენახუ-
ლი, გადაუბრუნებელი, მერე ასე გემრიელი?.. შენია თუ პეპუსი? ამბობენ,
იმან იცის კარგი შენახვა...

— ჩემი გახლავთ, შენი კირი შემეყაროს. ნაქუჩულორუტუს დობილო ხომ
ჩემი გაშენებულია, კენინა ნექტარინას ადგილზე... მაგრამ ახლა მისი მოლ-
რავი გუტატი მეღავება... ხომ იცი ჩვენი ხიზნების საქმე, — ვადა გაგივიდა და
ვენახი ადგილის პატრონს, კენინას უნდა დაუბრუნდესო.

— ტყუილი უთქვამს! ეგ, ჩემო ფარნა, კიდევ შეიძლებოდა მანამდე, სა-
ნამ 1891 წ. ივნისის 3-ს კანონი გამოვიდოდა ხიზნების შესახებ: მებატონეს
შეეძლო ხიზანი გაეგდო თავის ადგილიდან, როდესაც მას მოესურვებოდა,
მხოლოდ ხიზანი კი უნდა დაეკმაყოფილებინა ცოტა რამეთი მაინც თანახ-
მად იმ დროინდელი ჩვეულებისა და ადამისა.

— ვიცი, ბატონო, თავის დროზე თქვენ არ აგვისენით, მაგრამ გუტატი
მეუბნება ეგ კანონიც მებატონის სასარგებლოთ ლაპარაკობს, მებატონემ
თავის დროზე უნდა გამოგიცხადოს თავის ნება-სურვილი, მეც კანონისა-
მებრ, ერთი წლით ადრე, შარშან გამოგიცხადე. შენ დანახარჯს ავინაზლ-
ურებთ ისე, როგორც ორივე მხრით არჩეული კაცები შეთანხმდებიან და წა-
დი, მოგეშორდიო.

— ეგ მართალია, ფარნა! ამის ნებას 91 წლის კანონი მებატონეს აძლევს.

— მე კი, ბატონო ვამეხ, ცოცხალი თავით არ დავანებებ ჩემს ნაწევანაკვდავს...

ამაზე ვამეხმა არაფერი არ უთხრა, უკმა მიატოვა და ეტყუა დიკვირებით შეხედა. შემდეგ რაღასაც ღრმად ჩაუფიქრდა.

სიჩუმე აქამდე მდუმარედ მყოფმა მანჩამ დაარღვია:

— მართლა საკვირველია ამ ჩვენი ხიზნების საქმე... ბატონო ვამეხი ხიზნები, ასეთი მდგომარეობის გლახობა, გამიგონია, რომ მხოლოდ საქართველოშია...

— ა?—თითქო გამოერკვა ვამეხი ფიქრებისაგან.—დიად, ხიზნები მხოლოდ ჩვენშია.

— მე.ის მინდა მოგახსენოთ,—განაგრძო მანჩამ,—რომ ეს ჩვენი ხიზნები თითქოს პირადი თავისუფლებით სარგებლობენ და სარგებლობდნენ თვით ბატონ-ყმობის გადავარდნამდეც კი, მაგრამ იმის შემდეგ რაც ყმები განთავისუფლდნენ და დროებით ვალდებულ გლახებად გახდნენ, ხიზნებს პირადი თავისუფლების გარდა მაინც არაფერი არ შერჩათ. საკუთარი არაფერი არა აქვთ, მაშინ როდესაც დროებით ვალდებული გლახები თუ თავს დაიხსნიან, ასე თუ ისე საკუთარი მიწა-წყალიც გაუჩრდებათ, ეზო-კარ-მიდამოც და სხვა. ხიზანი კი მუდამ სხვის ადგილზე მუშაობს, ისიც რაღაც ვალდებით და მებატონეც თუ მოისურვებს გააგდებს. ამას გარდა ხიზანს მებატონის ბეგარა კიდევ შერჩა, ეს ღალათი, ეს კულუხიო და თან ბატონის ყანაში თუ ვენახში დახმარება, თესვა, მოყვანა, მოკრეფა, დაწურვა და სხვა.

— აგრეთა, ჩემო მანჩა, აგრეთ... მანჩა გქვიათ, არა?.. ჰო და სწორედ ამისთანა უსამართლობას უნდა გამოსწორება, მაგრამ ამის გამოსწორებას სულ სხვაგვარი შეტევა უნდა, ჩემო მეგობარო!..

მანჩას თითქოს რაღაც ენიშნათ, უღვაშებში ჩაეცინა და არაფერი კისოტევა.

ფანთა ვამეხს შეეკოხა:

— ეს მიბრძანე, რა არი თვითონ ეს სიტყვა ხიზანი? ამდენი ხანია ამ ხიზნის ცოლი ვარ,—ლიმილით გადახედა ფარნას,—და მდგომარეობით კი გავიგე რასაც ნიშნავს ხიზნობა, მაგრამ თვითონ სიტყვის მნიშვნელობა არ მესმის..

— დედაკაცო!—თითქოს უხუმრად, თითქოს ზუმრობითაც შემოწყრა ფარნა.—რამდენჯერ ამიხსნია შენთვის, რა ღმერთი გაგიწყრა, როგორ ვერ დაიხსომე...

— დედამ რომ იცის, მე არ ვიცი, სკოლაში ჩვენთვის არ განუმარტავთ—წამოიძახა ფარნას პატარა ბიჭმა.

— ჰა, ჰა!—ფართოდ გაეცინა ვამეხს.—ჰმ... სკოლაში? შენ სად სწავლობ? ჩვენს სამრევლო სკოლაში?

— დიად, ბატონო!—ცქვიტად მიუგო პატარამ.

— ჰო და ამისთანებს ვინ გასწავლის, ბიძია, სკოლაში?.. ეპეჰე!—გულიანად ამოიხრა ვამეხმა და მანჩას კარგა ხანს შეაჩერდა.

მანჩაც ჩაფიქრებული, თითქოს თვალებით დაეთანხმა:—მიგიხვდი მაგ ამოხვარაში რამდენი გულის ტკივილიც ჩაატანე არსებულ დუხვირ წესწყობილებისადმიო.

ვამეხს კვლავ ღიმილი მოუვიდა:

— მერმე და სამრევლო სკოლაში შენ თედორე-მღვდელი ვასწავლის ამისთანა რასმეს? ან რა იცის ამისი, რა ესმის! ის უთუოდ უფრო ღოც-ევებს გაზებირებინებს.

— დიად, ბატონო!— ევლავ სხარტად მიუფო პატარამ. — „მამათა ჩვენთა“, „მარწამისი“, „თვალნი ყოველთანი“, „გმადლობ, შენ უფალო, რამეთუ გან-მამდე მე“ და სხვა.

— ჰო, შევილო — ევლავ ამოხენეშით წარმოსთქვა ვამეხმა. — ხიზნების საქმე მამაშენმა ბევრად უკეთ იცის, ვიდრე ჩვენმა პატიოსანმა ბუცესმა... სიტყვა ხიზანი კი, ფანთა, ნიშნავს შევრდომებულს, თავ-შეფარებულს. აი მე... ჰა, ჰა! ამაღამ თქვენი შევრდომილი ვარ, თქვენთან თავ-შეფარებუ-ლი, თქვენი ხიზანი...

— რას ბრძანებ, ბატონო! — მოუბოდიშა ფანთამ.

— არა! როგორც ხედავ ხიზანი ცუდი სიტყვა არაა: მინდობილს ნიშ-ნავს, ზოგჯერ რაიმე უბედურებისაგან განრიდებულს. როდესაც მტერი მოადგებოდა ქვეყანას, მაშინ ხალხი მთებში, ან რომელიმე საიმედო ალა-გას გაიხიზნებოდა. ან რაიმე გადამდები სნეულება რომ ჩამოფარ-ღება სოფელში, მაშინ წინდახედული ადამიანები ოჯახს საღმე გახიზ-ნავენ, განარიდებენ ფათერაკს...

— ჩვენც, ბატონო ვამეხ, თავს ვარიდებდით „ფათერაკს“. დამთხვეულ მებატონის სისასტიკეს გამოვექცეოდით და სხვას შევაფარებდით თავს. — ჩაერია ფარნა.

— სწორედ, ჩემო ფარნა, სწორედ. ჩვენში ხიზნები შესდგებოდნენ რო-მელიმე მებატონისაგან გამოქცეულ გლეხების მიერ, ან ისეთებისაგან, რომ-ლებიც თავდახსნილები იყვნენ და საცხოვრებლად ეძებდნენ უფრო ნაყო-ფიერ და სასარგებლო მიწა-წყალს, ეს ის გლეხები იყვნენ, რომელთაც ან სრულიად არა ჰქონდათ დასამუშავებელი მიწა, ან თუ ჰქონდათ ისეთი, რომ საცხოვრებლად არა ჰყოფნიდათ და ამიტომაც ერთი მებატონისაგან მეორესთან გადაინაცვლებდნენ ხოლმე...

— დიად ბატონო, დიად! და... „ვასი გაეყრებოდნენ და ვუის შეეყრებო-დნენ“ ხოლმე...

— მართალი ხარ, ფარნა, მართალი. ეგ ძალიან ძველი ანდაზაა საქართ-ველოში და ჩემის ფიქრით სწორედ ასეთ შეჭირებულ გლეხების გამოთქ-მულია, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ეს ხალხმა იმ გარემოებას მიაწერა, როდესაც ერთი გარეშე მტერი დაიჭერდა ქვეყანას და იყო ერთი ვაი-ოშვე-ლებელი, როგორც იყო ამისგან თავს რომ გაინთავისუფლებდნენ, შემდეგ მეორე მტერი იპყრობდა საშობლოს და კიდევ უფრო მეტი „ვეის“ მომ-ტანი იყო თურმე.

— ჩვენ, ბატონო, გამოქცეულები ვართ.

— ვიცო, ფარნა! თქვენ ფაღავების ნაყმეები ხართ და გვირგვილიანებს მოგვაშურეთ... ეს ასეა, მაგრამ ხიზნები საერთოდ კიდევ ისეთ ხალხისაგან შესდგებოდა ცოტა უფრო ძველად, როდესაც, ვთქვათ, ქართლში ომი იყო გარეშე მტერთან და იმავე დროს, ვთქვათ, ოდიშში მშვიდობიანობა იყო, აი მაშინ ზოგი ქართლელი ოჯახი აქეთ მოაშურებდა და აქ ესახლებოდა, ან პირუკუ: როდესაც სამეგრელოს ოსმალო შემოიხიოდა და ხალხს გაუჭირ-ღებოდა, ჩვენებური გლეხები ქართლსა და კახეთს მიაშურებდა...

— შეხედე, რა ყოფილა! — გაიკვირვა ფანთამ.

— ამის დასამოწმებლად თუნდა ისიც გაიხსენეთ, რომ სამეგრელოში თქვენ აბლაც შეხვდებით გვარებს „ქართველიშვილს“, „ქორთვას“ და სხვა.

— აგრე უნდა იყოს, — წარმოსთქვა მანჩამაც. — მე ყოველთვის მავტირებდა სამეგრელოში ესეთი გვარის ხალხი. მაგრამ ასეა თუ ისე საქმე მაინც ისაა, რომ ხიზანბ თითქოს უფლება-მოსილია, პირადად თავისუფალია ვითომ, არავისი ყმა არ არის და არც არავის ვალდებული, მაგრამ სინამდვილეში კი სხვა ფენის განთავისუფლებულ ვლებებთან შედარებით მეტად შეზოკილიც არის და მეტი დაბეგრილიც.

— ჰო, აგრე გამოვიდა. — წამოიწყო ფარნამ. — მამა ჩემი თავის მებატონე ფაღავას გამოექცა. ეს ფაღავა მეტად ჯუჯლურა კაცი იყო თორმე და სულ უბრალო მომიზეზებით ძალიან გაუჭირვა საქმე მამაჩემს... მამაჩემმაც ერთ ბნელ ღამეს დაავლო თავის ცოლ-შვილს ხელი, მეზობლების შემწეობით თავის „პიწფიცარა“ ქოზი დაარღვია, დაუღვა ურემს და ბანძიდან ბერთმს გამოსწია.

— ოჰ, ძალიან შორს არ წამოსულა? — შეეპრა მანჩა. — ბანძიდან აქამდე, კაცო, რაღაცა რვა ვერსტი თუ იქნება.

— არა, ვერსტზე არაა საქმე... გვირგვილიანებზე ხმა დადიოდა, რომ სათნო ხალხი არიო, მერმე კიდევ გავლენიანი და ფაღავა ისე ადვილად ვერ შემოედევბოდა, ეს იცოდა მამა ჩემმა და ამიტომაც წამოვიდა აქეთ...

— მერე დამ რა გამოვიდა, ფარნა! — კვლავ ჩაურთო მანჩამ. — შენგან გამიგონია: აქეთ გვირგვილიანების სამსახური დამჭირდა და იქით ფაღავა მართმეფდა ჩემს მონაგარს, რადგანაც გამოტყულები ვიყავით, მაგრამ თავდასსნილი კი არაო...

— ოო, ამ ხიზნების საქმემ გადაიტანა ჩვენი გვირგვილიანების ოჯახი, — წარმოსთქვა ვამეხმა. — თავის დროზე ბევრ სხვის ვლებებს შემოუფარებიათ ჩვენთან თავი და ჩვენი ხიზნები გამხდარან. ამიტომაც აგერ ორმოცი წელიწადია დიდი დავა გვაქვს ფაღავეებთან, აფაქიძეებთან, დადიანებთან ამ ხიზნების საქმეებზე და ჯერ კიდევ არაფერი არ გასაშვალბულა. ვინ იცის, რამდენი ენერგია და ფული დაიხარჯა ჩვენი მხრიდანაც და სხვა მებატონეების მხრიდანაც. დავამდიდრეთ უხეირო აბლაკატები, სასამართლოს მოხელეები, რადგან ჯერ საქმე ადგილობრივ, ქუთაისის ოლქის სასამართლოში ირჩეოდა, შემდეგ თბილისის „სუდებნი პალატაში“, შემდგომ პეტერბურგში სენატმაც გაარჩია, მაგრამ საქმე კიდევ უფრო დაიბურდა: ხან ჩვენ მოვივეთ, ხან ჩვენმა მოწინააღმდეგე მებატონეებმა და თვითონ ხიზნების მდგომარეობას კი მაინც არაფერი ეშველა...

— ვითომ თავადებიც შეაწუხა ამ ხიზნების საქმემ? — დაეკვებით შეეკითხა მანჩა.

— წარმოიდგინე! — მაშინვე შეაგება პასუხი ვამეხმა. — ხიზნებს ბევრა და ჯახირი ლუკმა-პურის მოსაპოებლად, თავადებს — ხარჯი და დავიდანობა სასამართლოებში. შენ გიკვირს უთუოდ, ჩემო მანჩა, რომ კანონი თავადების შხარუხა და მაშ სხვა რაღა უნდა ნებადდეს, მაგრამ ასეთია თვითმპყრობელური რეჟიმის კანონი, რომ ვერც იმას ამაგრებს, ვისი გამაგრებაც უნდა და დამაგრულს ხომ უფრო ჩაგრაეს და ჩაგრაეს.

— კმ! თვითმპყრობელობა!.. როდის მოვიშორებთ ამ მაჯლაჯუნას? — ნელა წარმოსთქვა მანჩამ.

— ეკვი შეგლის? — სათნო ღიმილით მიუბრუნდა ვამეხი.

მანჩა თითქოს წელში გასწორდა და მუხლებ შუა მიყუდებულ ოფის უფრო მარჯვედ წაავლო ხელი:

— მეტად ღუნელ იქცევა ბატონო, რუსის მოწინავე ხალხი. ალექსანდრე II-ს მოკვლის შემდეგ, ჯერ ვერაჟინ მოსპეს გველშაპთაგან.

— ჰოო! — აქ მწარე ღიმილი დააყოლა ვამეხმა. — შენ, ცხადმა, ტერორის მომხრე ხარ... ვიცო, შენც გაქვს შესრულებული ტერორისტული აქტი, მაგრამ...

აქ შედგა ვამეხი და არ თქვა, რაც გულში ჰქონდა, იფიქრა ვერ გამოიგებნო და არჩია უფრო უბრალო და გასაგები რამ ეთქვა:

— რუს-ხელმწიფეს ნუ ეხუმრები, ჩემო ძმაო!

თან დაუჯვარდა — როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს რუს ხელმწიფის ხსენება: ხომ არ შეაშინებთ, ან ხომ არ ათქმევენებს რაიმე თამამს და გაბედულსო. მაგრამ უეცრად ფარნას ვაჟმა გაიწყრილა:

— ხენწიფე?.. ხეჭიფე! — ჩაათავა მეგრულად.

ვამეხმა გადაიხარხარა. მანჩამ ჩაიღიმა და ფანთა და ფარნა შეშფოთდა. ფარნამ შეუბღვირა კიდევ:

— გოდინი იშო! მუს-რე ჩვარჩვალანქ! თი ხეჭიფეს ფერი ხე ულუ — ათაქი, ოდიშის გითმაშქვანა მადოსი...¹

ამ დროს კარებზე ძლიერი კაკუნი მოისმა.

ყველანი შეცბუნდნენ. მანჩა სწრაფად წამოიქრა და თოფ-მომარჯვებულ უკან საკუქნოსაკენ გავიდა, ფარნამ მოინდომა კარის ვალემა, მაგრამ ფანთამ არ დაანება. ძალით დასვა თავის ალაგას და თვითონ გასწია კარის გასაღებად.

გაალო და მაშინვე მხიარულ გუნებაზე დადგა:

— უჰ, შენ შემოგველე, ტაია ბრძანებულხარ... მობრძანდი, ბატონო... კი ბატონო, ვამეხიც აქ ბრძანდება.

განიცადენი

VI

ციბედულ!

შენ ხედავ, რომ შორიდან ვიწყებ ჩემ თხრობას. დღეინდელ დღემდე კი მიხდა მოვიდე.

— ოჰ, რა დიდ საქმეს ვეჭიდები!

გამიფონია — თუ ვადმოვარდნაა, ბედსურიდან ვადმოვარდნა სჯობიანო და აი მეც...

ამეამად ამ თავებში ვიწყებ იმის მზობას, რომ იმ ხანებში ის იყო ქართელი მშრომელი ხალხი თვალუბს იფშენეტდა...

ქედლადრეკილი გლუხობა სულიერად თითქოს წელში სწორდებოდა და ყელს იღერებდა.

მას აღვიშებდა ყვივლი და საყვირები ქარხნის მუშებისა ბათუმიდან, თბილისიდან, ჭიათურიდან, და საერთოდ იმ ადგილებიდან სადაც უკვე ღვივდებოდა მომავლისთვის ჩალმქრალი რევოლუციის ნაბერწყლები რომელთა ამვიზგიზებელი მოწინავე მუშები და ინტელიგენცია იყო.

¹ ხეჭიფე — ხელწერილი.

² დიიარე იქით! რას არი რომ ჩმახე? იმ ხელწერილს ისეთი ხელი აქვს, რომ მე და შენ აქ გვარტყამს.

თავად-აზნაურობა და იმ დროის მდაბიო მოქალაქეები და მათი მიმყო-
ლები, ავან-ჩაფანი ყურებ-აცქვეტილები იყვნენ, თითქოს კურდღლები ბუნ-
ქნარში ჩამჯდარი და მათ უკვე მეძებრებმა შემოუყუფესო: საცაა მწვე-
რებიც მოვლენ და გაიგდებენ და გამოიგდებენ. «კურდღელმა კარგა ჩირგვ-
ში ვზივარ, ვერინ მოვა ჩემზედაო!»

გენა ცეცხლი

ორივე მხარე რალაციის მოლოდინში იყო.
ზოგს სწამდა, რომ ხალხი-გოლიათი ერთს მძლავრად გაიზმორებს და
დაგლეჯს მის შემბოქველ თასმებს, დაიმტერებს ბორკილებს. ზოგი კიდევ
ნალელიანად შესცქეროდა პორიზონტს და ამჩნევდა, რომ მათ თავზე საეჭ-
ვო ღრუბლები ირეოდა: ვაი თუ გაეპარდეს მენი და სულ ერთიან გაიად-
გურდეს ჩათბუნებული ბუნაგებო.

ელოდნენ, ელოდნენ!
ეს ამბები ჩემი რომანის მსვლელობას გადახლართვია ისე, ციბედულ,
როგორც დასავლეთ საქართველოს ვაზი დობილოებზე შეფენილ აშოლ-
ტილ თხმელისა და ზურმის ხეებს.

ამებზეც ცოტა რამ მინდა ვთქვა, გენაცვალე!

— 01 —

შუალამე კარგა გადასული იყო, რომ ფარნას ოჯახსა და მის სტუმრებს
ჯერ კიდევ არ ეძინათ.

პატარა ბიჭიც კი ფხიზლობდა, რადგან ბევრი რამ უცნაური ესმოდა მო-
საუბრეთაგან მის მახვილ ყურებს. განსაკუთრებით — ახლადმოსულ ტაიასა-
გან. ბევრი რამ არ ესმოდა მისგან თქმულისა, მაგრამ ეს სიტყვები მაინც
ძალიან ჩაჩნდა მის ხსოვნას:

„პატარა წრე ღიდი საქმისათვის გამზადებული“.

ასე თქვა ტაიამ. ქუთაისში დაარსდა პატარა წრე ღიდი საქმეებისათ-
ვისო და ჩვენც, უფროსი კლასის გიმნაზიელებიც ამ წრეში მონაწილეო-
ბას ეღებულობთო. თუმცა თვითონ თურმე გიმნაზიელი აღარ არის, გამოუ-
რიცხავთ. რა არის ეს გამორიცხვა? პატარას გონება მიხვდა, რომ ეს არის
გამოგდება. აჰი თვით შავსაც ხანდახან ცელქობისათვის ხუცესი თედორე
ემუქრება—გაგაგდებ სკოლიდანო. ნეტა რა იცელქა ტაიამ? პოო, „ხეჭიფე-
ზე“ ლაპარაკობს ხშირად... რალასაც უწუნებს, რალაზეც კიცხავს... საკვირ-
ველია! თვითონაც რომ არ მოსწონს ეს „ხეჭიფე“! რატომ? ჰა, ჰა, რამ-
დენი იცინა ვამეხმა, პირველად „ხეჭიფე“ რომ წამოცდა... მერმე და მამამ
რატომ უთხრა: ისეთი ხელი აქვს, აქაც მოგვწვდებაო? საიდან? როგორ?
ოო, ამას ჰკითხავს უთუოდ... ვის ჰკითხავს? ვამეხს? ვერ გაუბედავს. მან-
ჩას? მანჩა საცაა გაქრება. გაქუსლავს, აბრაგი კაცია; არ დაეფგომება. ეს
კარგად იცის. მამას? მამამ შეიძლება ყურებიც აუწივლოს არამკითხეობაზე.
ისევ ტაიას! ტაია უთუოდ ეტყვის. ტაია კარგი ყმაწვილი ყოფილა. აქამდი-
ნაც უნახავს, მაგრამ უფრო შორიდგან. ასე ახლოს, ასე გაშინაურებულად კი
არასოდეს. ან და რა მშვენიერი სიცილი სცოდნია. სულში ჩაიძვრენ კაცი.
ან რა თვალები აქვს, ფართო, ლამაზად მოყვანილი, მიმზიდველი საოცრად.
მხოლოდ როდესაც გაფიცდება, ოო, თითქოს ცეცხლს აფრქვევს თვალები-
დან ზღაპრული რაშივით. თან საოცარი! როგორ უგავს თვალები ვამეხს!
მხოლოდ ვამეხსის თვალები უფრო წყნარია, უფრო დინჯად გამოიყურებიან.
ტაიასი კი სრიალებს, დაუდგრომლობს, ხან ღიმილით აციმციმდება, ხან რა-

ლაც ნადველი მოებურება. ამეებს კარგად ვერ არჩევს ფარნას ვაჟი, მაგრამ ზედაეს, გრძნობს და იხიბლება. თვალი ვერ მოუშორებია. რა ვაჟეცური მოყვანილობისაც არის, მხარ-ბეჭიანი, მაღალი. ჩვენ კარებში კინალამ ვერ შემოვტია. წვერ-ულვაში კი? წვერებს ეტყობა იპარსავს. მხოლოდ მომცრო ულვაშები ბოლოებში ცოტა აპრეხილან ცხვირისაკენ. ან რა თეთრი სახე აქვს, მრგვალი, ლოყებ-სავსე. ოპ, საუცხოო ვინმეა. მაგან რომ მიბრძანოს, წყალში გადავარდები... ეგეც ხომ აქაური მებატონეა. ამიყვანოს, რა იქნება, ხელზე მოსამსახურედ. ჩემზე ერთგულს ვის იშოვნის? მაგრამ, დაიცა, ყური დავუგდოთ, რას ლაპარაკობს ახლა ტაია?

— დიდკაცობა არ არსებობს, არ უნდა არსებობდეს, ეს შენ კარგად იცი, ბიძა. მაგრამ აგერ ფარნამ რომ თქვა, ბიძა ჩემ ბარამზე, დიდა კაციო, ამის საპასუხოდ ვამბობ. დიდიკაცი მხოლოდ იმას ეთქმის, ფარნა ვინც ჰქუთ, გონებით, განათლებით და მომზადებით არის დიდი კაცი ჩამომავლობით დიდი კაცი არაფერს არ წარმოადგენს...

— მართალია, რუსთაველმა სთქვა: თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო.

— ეგ ცოტათი მესმის, ბატონებო, მაგრამ ჩამომავლობით დიდიკაცი იმითა დიდი, რომ გავლენიანია, შეუძლია კაცის წახდენაც და გაკეთებაც.

— ჰო და ეგ არის სავალალო, ჩემო ფარნა, — კვლავ მიუბრუნდა ტაია. — სწორედ მაგას უნდა ვებრძოლოთ. ამ უსწორ-მასწორობას. ბარამიც ისეთი კაცია, როგორც შენ. ცხოვრების პირობები ორთავეს ერთი უნდა გქონდეთ.

— კაი დაგეშართოს კარგი ეს იყოს. ჩვენ, გლეხებმა სამეგრელოში ვიცით, რომ ადამიანი ადამიანის ბატონი არ უნდა იყოს, ეს ჯერ კიდევ თავის დროზე უტუ მიქამ ვეასწავლა, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? წავაგეთ და ისე წავაგეთ, რომ აქამდის სული ვერ მოგვითქვამს.

— ის სხვა დრო იყო, ფარნა! მარტო გლეხობა ვერ გააწყობდა იმას, რაც უტუ მიქას უნდოდა. ახლა კი თქვენ გაგიჩნდათ წინამძღოლად მძლავრი მუშათა კლასი.

— ჰო, მაგას მანჩაც ამბობს. ბათუმში ნამყოფია ხომ...

— ცხადია, ეცოდინება. ბათუმის მუშები დიდი მოწინავეები არიან, რადგან მათ ამას წინათ ხელმძღვანელობდა ისეთი კაცი, რომ მან ერთსხეულად ჩამოასტა მუშები დარაზმა, შეამჭიდროვა და გაერთიანებულეს ისეთი დიდი საქმე გააკეთებინა, რომ...

— მართლა, მართლა, ერთი გვიამბეთ, როგორც იყო, ბატონო ტაია! — აღტაცებით შესძახა მანჩამ — მე იმ დროს უკვე ბათუმში აღარ ვიყავ...

ყველანი სმენად იქცნენ. მხოლოდ ფარნას ვაჟი ცოტათი დანადვლიანებული იყო:

„თუ დიდკაცობა არ უნდა იყოს, თუ ადამიანი ადამიანის ბატონი არ უნდა იყოს, მაშინ არც ხელზე მოსამსახურე იქნება საჭირო... მაშასადამე, ტაია მე არ ამიყვანს მოსამსახურედო“.

გული დაწყდა. ამასობაში კი ტაია უამბობდა 1902 წლის ბათუმში მომხდარ დიდ დემონსტრაციების და შებრძოლების ამბებს.



ღეჭსები

ამის დამწერი

წარწერა მეგობარ პოეტის წიგნზე

ამის დამწერი, თუ მოკვდა, ცბონდეს...
მაგრამ სიკვდილით არ დაგვიღონდეს,
ალამაზებდეს მკედართა ქვეყანას,
როგორც ყაყაჩო ამშვენებს ყანას...
ცისკენ ეჭირა მას ცალი თვალი,
ძმებო, დავლოცოთ ცადმიმავალი!
ღე, ცალი ფეხი მიწაზე ედგას,
ცოცხლობდეს, ვგრძნობდეთ მის გულის ფეთქებას!

იქაც და აქაც, სადაც არ იყოს,
გარიყოს ბედმა, თუ არ გარიყოს,
მოკვდეს, სამარის ქვას დაეწეროს:
„აღსდექ, იცოცხლე... ესეამთ სადღეგრძელოს!“

წალეკოს ბედმა თუ არ წალეკოს,
სალექსო გული ჰქონდეს სალექსოს;
სალხინო გულიც ჰქონდეს სალხინოს,
ჯიშთან ლექსებს აკუროს ღვინო —
იღვეს ქვევრის წინ ის მუხლის ჩოქით,
ილოცებოდეს და სვამდეს ღოჭით.

თუ ცოცხალია ამის დამწერი,
დაიჭერს გულებს ლექსის ფაცერით,
ის დაიჩოქებს და იტყვის ამბავს
მის ლამაზ სიტყვებს არ უნდა სტამბა!

მაგრამ, ვაჲ, ერთხელ თუ მოკვდა, ცბონდეს,
იმ ქვეყანაშიც არ დაგვიღონდეს!
იქაც და აქაც ამის დამწერი
გულებს იჭერდეს ლექსის ფაცერით...
სიკვდილის შემდეგ ქვას დაეწეროს:
„ტკბილი სიცოცხლის ვარ სადღეგრძელო!“



მე ის ლექსები ვინ მამაბრძოლს,
 გონგად ნაშობნი სიჭაბუკეში,
 ცხოვრების ღამე სად გაათიონ,
 ჩემგან განწირულთ ვინ სცეს ნუგეში?!
 ჩემგან განწირულს ვინ შეივრდომებს,
 მათს ჩუმს ვედრებას, მოთქმას და ყივილს?
 მათ წამოფრენა აღრე ინდომეს,
 აღრე ინატრეს ფრთები გაშლილი...
 შეილნი, პირველი ცოდვის და თრობის,
 ჩემი უმანკო საყრამის შეილები —
 დაუბრუნებელ ახალგაზრდობის
 ჩრდილში რომ დგანან, თაყდახრილები!
 იქნებ რცხვენიათ: ოცნების ლაყვარდს
 რომ ვერ შეუწვდათ ხელი ბავშვური?
 ვერ შესძლეს ფრენა და მხრების გაშლა
 და შორს მიმავალს მიმზერენ შურით!
 წავიდეთ, ვკითხვით ოცნების დედას,
 იყო დგას ლექსთა და ფიქრთა ზედა:
 — იქნებ ვშრიადებ, როგორც ხენეში —
 ხე მარტოხელა და ხე უხილო,
 იქნებ ამ დიად საუკუნეში
 თვალი ერთ ლექსსაც ვერ აფუხილო?!
 წავიდეთ ვკითხვით ოცნების დედას:
 იქნებ მიმიღოს უთქვენოდ ზენამ,
 დგას აგი ფიქრთა და ცათა ზედა,
 მწამს, თქვენს გამოთქმას შეუნდობს ენას!

მეც მისი ვიჟავ...

მეც მისი ვიჟავ, განთქმული
 მარჯვენით ხმლით და ნაბადით,
 ფესვი იქა შაქვს გადგებული,
 გახლავართ იქ დანაბადი.
 ლხინში მოლხენა ვიცოდი,
 ჯამებზე ჯამის ჯაბება,
 მხედრულის შემოძახება,
 შებმა და შეგაგაბება!
 ვერ დავრჩი ხელშეუხებში:
 მომწედა ხონთქარის ჭანგები,
 ფხრიწა მესხური ნუსხები,
 მიმსხვრია ტუბილი წანგები.
 ცეცხლით გადაწვეარ მიწაზე
 ბარბაცით გზას მოჭიკვლევი

მტრის ჩეხვით გამოვიტაცე
შატბერდს ნაწერი წიგნები...
თქვენს წინ დაპროლი დაცეცი,
თქვენი ალერსი მელირსა,
ვიძინე... მუხლისთავეებზე
წამოვდექ, გამომეღვიძა.
განა სამღერავს გავბედავ,
თუმც ბედად მე დაჰბედავ:
მტერთა სიმრავლე შეგებდად
და სიყვარული მეფეთა...
აქა ვარ, მაგრამ ის მიწა,
ისევ მეძახის, მიმელის!
მე თქვენი სისხლის, მისხის ვარ,
ძმა ამერის და იმერის...
წამოდით, წინ წაგიძღვებით,
მე დროშის ქერა მიყვარდა,
ჩანების კერა, მკლავი მრისხველი,
მესხობა მით გამიგვარდა!

შუალე

რატომ დაღუპდა ყოველი ირგვლივ,
რად შეწყდა ფრინველთ მოთქმა და ზილი?
ტყისპირას მჯდარი პატარა ჩირგვიც
თითქოს იძინებს მარადი ძილით.
დილით ველრებით ამართულ რტოებს,
ხეები, დაბლა, მიწისკენ ზრიან,
ერთად არიან და სიმარტოვეს
ამ იღუმალ წუთს რისთვის უფროთხიან?
ასწლოვან ფესვზე მიცოცავეს ხავსთ,
კვირტებს ეღება ბინდი ყვითელი,
რალაც, სიკვდილის თუ ძილის მსგავსი,
ამ დიად შუქში ღვას დამშვიდებით...
მხოლოდ ხის წვერზე მჯდარი კრიჭინა
მოსთქვამს, არ აკრთობს ღუმილი სხვისი,
გაოგნებული ქცეულა ყინად...
წყარო კი... წყარო იკავებს სიცილს!
მზე წამომდგარი მთებიდან დილით
ბარბაცით აღწევს სამზეო წერტილს,
ველარ პოულობს თავისთავს ჩრდილი,
გაურბის მიწას და საგნებს ერთვით...
ეს წამით... უცებ ძახილი სირთა
შეარხვეს, დასძრავს ბუნების ენას.
სამალაეიდან იწყება ჩრდილთა
გამოსვლა წყნარი და ქვიშნად ფენა.



დიდ ხელებს, ჩემი ცხოვრების მგზავრებს...
 განა ქალურთა, მათ თითქოს მძურთა,
 ოდეს ცახცახით მიიტან გულთან,
 ან იფიცები, ან იწყებ სიცილს —
 ხან განსაცდელის ეპს გამომიწვდი,
 დიდ ხელებს, ჩემი ცხოვრების მგზავრებს;

ეუმზერ, ვადარებ... მებრამ არ ვიცი,
 ხან ცაღაწვდილნი, ვით კიპარისნი,
 ხან შენს გულმკერდზე მხატველნი ჯვრისა,
 მსასოებელნი არიან რისა!

იქნებ, ფარული კეშნით საესე,
 სიტურფის გამჩენს შესთხოვ სინაზეს?

შავ ხელებს, იცი, რას დაევალებ?
 — სხვათა სინაზე ნუ ავალალებთ!
 იქნებ არ გრძნობენ, რაოდენ ნაზი
 გულის მფარველნი არიან, ოდეს
 აცახცახებულთ და მოალერსეთ
 ფიცის დროს წრფელად დაიწყობ მკერდზე!

ზღვის პირას

ის არ მოვიდა... დაეჯექ ზღვის პირას,
 თურმე ამდენხანს ტყვილად ვუცდიდი;
 ჩემსაეით ბნელში ჩამგდარი მზირად,
 ბუჩქნარში წივის უცნობი ჩიტი...

რას შემაწუხა ნეტავ ამ ჩიტმა?
 ზღვას ფარავს მისი უსაზღვრო ეშხი,
 ვით აბეზარი, კვიპატი რითმა,
 კენესის და ეძებს ტოლს სიბნელეში.

იგიც, ბუდიდან აფრენის აქეთ,
 უხმობს, მოელის მხსნელს და მეგობარს;
 ზღვაო, მაშორე მის დიად ნაღველს,
 შე ჩემი მცირე სევდაც მეყოფა!



ნიკო. ლორთქიფანიძე

მოთხრობები და მინიატურები

ტლანქი იზივე ნაზია

თავხელი, უზრდელი ვაჟების მეტი რა არის! აი ამასაც, ამ განხორციელებულ კრთომას და მორცხვობასაც უბედავდნენ, მაგიდის ქვეშ ნაზად შეხებოდნენ ფეხით. ყელამდის, ყელამდის გაწითლდებოდა; თვალები, ეუუუნა თვალები დაეხრებოდა, ნელა აღგებოდა, ეშინოდა მამის; ერიდებოდა დედის; რცხვენოდა, ხალხმა ყბად არ ამილოსო; ჰფარავდა გულმოსულობას, რომ ამპარტავან ძმას უსიამოვნება არ მოეხდინა.

მაგრამ აი მაგიდას ოთხიოდე ვარს უზის, ყმაწვილი ოდნავ წყნარად შეეხო პატარა ფეხს. ქალი ერთბაშად გაიწია, ნაცრის ფერი დაედო. ვაჟი შეკრთა და რალაც მუდართი წამოიძახა:

— მომიტევეთ, უნებლიედ მომივიდა!

ნათქვამ სიტყვაში იმდენივე აზრია, რამდენიც წერტილია დაწერილ სიტყვის ასოებში. მთელი ლექსიკონი მკვდარ სიტყვებისა ვერ გადმოგვცემს საიდუმლო აზრს ყოველი სიტყვის გამოთქმაში ჩაფარულს.

ქალმა წაიკითხა ამ სამს სიტყვაში ჩაქოვილი წინადადებათა გროვა. ქალი მიხვდა, რომ ჩვეულებრივ, უნებლო მოქმედებაზე არ იყო ლაპარაკი. ქალმა იგრძნო, რომ ყმაწვილის გრძობა, გონება წამით ჩააჩუქა.

ნაცრისფერი გადავიდა. სახეს არაჩვეულებრივმა სხივმა გადაჰკრა. ქალმა თვით მიმართა ტლანქ, უზრდელ საშუალებას. სინაზე გულისა გადასცა ტლანქმა ფეხის დაჭერამ.

იოგლოვ, კი ისხდენ; პატოცემულს, მოხუც ქალს ვაჟი „ქალაღდის“ გაწყობას ასწავლიდა. ქალი მწყერივით სულგანაბული შეაჩერებოდა (ნეტავი თუ ისმენდა?) მობაასეს, რომელიც ამტკიცებდა ინგლისის პარლამენტის ძლევა-მოსილებას. მაგიდის ქვეშ-კი ორი წალა კითხულობდა მოსიყვარულე გულთა აღგზნებულ წერილებს.

ბ უ ხ ა რ თ ა ნ

კბილთხარაძე

ზეაი წამოწვა. გზა დაიკეტა. ჩვენი ექსპედიცია მოემწყვდია მიყრუებულ სოფელში. ბევრმა მოიწყინა. მე მიხართდა კიდევ: აღარავინ გვიყურებდა არამკითხვ გამოძიებელათ, პირიქით, სიამოვნებით მიდიოდნენ მეზობლები — ქალი და კაცი და ყოფილი დიდი მემამულის ვეებერთელა სახლში, ბუხრის წინ მასლაათში მოურიდებლად ამტკიცებდნენ თავის გულის ნადებს, იმედებსა და მწუხარებას. ჩვენ ბევრი გვქონდა ჩაი, შაქარი და თამბაქო და მეზობლებიც არ გვაკლებდნენ ჭაღს, ყველს, ზოგჯერ ხაჭა-

პურს და ადგილობრივ მხატვ ლვინოს. და ყველა ისე გრძნობდა თავს, თითქოს თავის საკუთარ ბინაში ყოფილიყოს, რადგან ყველას შექმნიდა თავისი წვლილი სულიერი და ხორციელი წვლილისა: ბაასითა და მსჯელობით, სანოვაგითა და შეშით...

და ასეთი ბაასის საშუალებით ჩვენმა გეოლოგმა სადღაც ^{საქონის} სადგამი ნივთიერება აღმოაჩინა, დენდროლოგს უჩვენეს ძელქვის იშვიათი ნიმუში, ხოლო მრავალი იწერდა საეთნოგრაფიო მასალას.

მასხოვს ერთ საღამოს რაღაც მუსაიფი ჩამოვარდა და მოხუცებულმა გლეხმა მითხრა:

— ჩვენში ყველას აქვს რაიმე შეთქმული სახელი. აი ამას ექვთიმობოცორი ჰქვია, ამას — ლენტორა-გობი; ამ დილას რომ გაქვავებული თევზი მოვართვათ, იმას გოგია-კბილთხარაძე.

გამელიმა:

— რატომ, რად უფონებთ ასეთ სახელებს?

— სახუმროდ, სასაცილოდ... მეტი რომ არაფერი ვიცი, ამით ვირთობთ თავს...

— მაგი კი არა, ჩვენში უფრო ის არის საკვირველი, რომ სამგვარად ვლაპარაკობთ: უფროსთან — დამცირებით, უმცროსთან — ამაღლებით, ტოლთან კი — საშუალოდ, — შენიშნა სოფლის მასწავლებელმა.

— როგორ, ვერ გაგიგე?

— აი, მგალთადა, თუ ვინმე თავის ცოლზე ლაპარაკობს უფროსთან ეტყვის „თქვენი მოახლე“, „ჩემი დედაკაცი“, უმცროსთან ეტყვის „ჩემი მეუღლე“, ხოლო მეფეები ამაზედაც შორს მიდიოდენ და ამბობდენ „თანამეცხედრე ჩემი“, ტოლთან კი ამბობს „ჩემი ცოლი“, „ჩემი მართა“ და სხვა... ისე თუ ვინმე პეტრეზეა ლაპარაკი: უფროსის წინაშე ეტყვის — „პეტრა“, უმცროსის წინაშე: „ბატონი პეტრე“, პირში ეტყვის „პეტრე“ და ზურგს უკან „პეტრიკლა კვეფოსაც“ კი დაუძახებს.

გაეციანეთ.

გაეცინა ყველაზე მოხუც გლეხსაც; ხმაშაღალმა სიცილმა, რაღაც უხერხულობა აგრძნობინა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაგვეკითხა:

— იცი, გოგაას რატომ ჰქვია კბილთხარაძე?

— არა.

— მაგისი მამა, სოსია, კაი მოგეცს ღმერთმა, კაი ყაძახი იყო — თვალთ, ტანით, ჭკუით; და მუშაობით ხომ ორ კაცს არ ჩამოუვარდებოდა. ოჯახიც ისე ჰქონდა მოწყობილი ჰხარაქივით... ხელმოკლედ იყო, მარა ყველაფერი წესრიგზე: ცოლშვილი გაგიყვებით უყვარდა. ცხონებული მარიკელაც, მისი ცოლი ღირსი იყო: ქმარშვილზე უღამდებოდა და უთენდებოდა... და ეს ყაზახი ერთ დილას დევინახეთ ჩიფჩიფობს რაცხა უხერხულად. ბიჭო, რა ამბავია ვკითხეთ, რა დაგემართა-თქვა. არაფერიო, გვითხრა, კბილი ჩამოვარდაო. იმე, რატომ უნდა ჩავარდნოდა... — ქე გვეიფიქრეთ ერთი, მარა მისი კბილებისთვის ვის ცალოდა.. ქე მიგვაფიწყდა მერე. გვეიდა ბატონი ჩემი ხარ, ერთი თვე და ეს სოსიკა გადაბრუნდა და მოკვდა. ჰო და ტირილი, ვაი და უბედურება. ერთ ხანს ქე იყო გაქვავებულივით საწყალი მარიკულა... ცრემლი რომ მოაწვებოდა, კალთით ამოიწმენდა, მარა დედაკაცები შეუჩნდენ, — ხომ იცი, ჩვეულება — თავს ნუ გვჭრი, იმთქმე, იმთქმეო, სიტყვით იტირე, თვარა უგულობას დაგწამებენო... დეიწყო

საწყალმა ტირილთ რაეც იციან ჩვენში: „~~ეს~~ მიშობი, სად მიდიხარ, ჩემო მარჩენალო, შეილები არ გეცოდებაო“ და სხვა, რაეც ვაგროვით... იტირა ასე ერთი დღე, იტირა მეორე დღე, მარა სიტყვაც შემოეღია, დედაკაცები კი უჩუჩხუჩებენ: „თავი ტირილია, მოყვრები მდღიან, მოთქმით შეხვდიო“... და დაიწყო საწყალმა, რაც კი ენაზე მოადგებოდა, ხან პირსტავი უძახა, ხან მამასახლისი, თუმცა მამასახლისი თავის დღეში არ ყოფილა და ბოქაულობას ხომ ვინ მიაშავებდა... ბოლოს ასეთი სიტყვაც წამოცდა: „ჩემთვის რომ კბილებს იგლეჯდი, ახლა რა დაგიშავეო?“ მოეწონა ეს თავისი სიტყვები, თუ რაცხა იყო, ათასჯერ მაინც გაიმღერა: „ჩემთვის რომ კბილები დაიძვრე, რამდენ ხანს არყვედი, აბრეშუმის ძაფი დამაგრეხე, ახლა რა დაგიშავეო“. მაშინ ვერაფერი გაეფიქრებოდა, რას რომავდა გაფოფრილი დედაკაცი, მარა მერე, რაეც ეტყობა დედაკაცებმა გამოკითხეს, აბა ჭალს რა დაემალება, ტირილის დროს რას ამზობდი, კბილების დაძრობაზეო და აი თურმე რა ყოფილა: ცხონებულ სოსიკოს დასიზმებოდა, ვითომც ცოლი მოუყვდა... ეწუხა, ეფიქრა და ბოლოს მარჩიელთან წასულიყო და ეკითხნა რას მოასწავებს ეს ჩემი სიზმარიო. მარჩიელსაც ეთქვა სიზმარში ფოთლების ცვენის ნახვა დიდ დანაკლისს ნიშნავს და თუ არ გინდა ცოლი მოგიკვდეს, კბილი დაიძვრო.

სოსიკოსაც აეღო და ორი წინა კბილი დაეძრო.

მარა არ უშველა; ცოლი არ მომკვდარა, მაგრამ სოსიკომ თქვენი ჰირი წაიღო. ქე გავარდა სული ერთ თვეზე.

ნ ა მ ლ ა ლ ი

(ი ა ბ ო ნ უ რ ი ლ ე გ ე ნ დ ა)

ბათუმის მშენებლს ქალბატონს X

— ნამლალი! ნამლალი! — იძახდენ შუა სოფლის გზაჯვარედინზე სეირნობიდან დაბრუნებული ქალიშვილები და ყმაწვილი ვაყები; აქ შეჩერდენ. მოაგონდათ მეგობარი, მოიკითხეს, მიიხედ-მოიხედეს: მაგრამ ბინდი ჰყარავდა თვალწვედნელ სივრცეს და ტყის ქალივით თმააყრილი ტორტმანობდა ზღვა.

— ნამლალი! ნამლალი! — არ სცხრებოდა გროვა.

— აქა ვარ, აქა!

— რას შეებოდი? სად დაიკარგე? — შემოეხეიენ ამხანაგები.

— აღქაჯივით ფაფარაყრილი ტორტმანებდა ზღვა. თვალი ვერ მოვაშორე... აი რა გამოჩიყა.

ვარდისფერ თითებს ძლივს შეახებდენ ქალიშვილები და შორიდან კითხავდენ:

— რა არის? რად გინდა?

— ნერგებია, დავრგავ.

— შენ გქონდეს, ღმერთმა მოგახმაროს!.. უი, რა ეკლებიანია, რა შავია და ულაზათო.

ნამლალი შეწითლდა, შერცხვა, ნერგები მაინც შინ მიიტანა, დარგო, მოუარა, მორწყო. ხშირად სასოწარკვეთილება აიტანდა — ვაი თუ უხაშირამ აღმოცენდესო...

პატარა სამყურა ფოთლებმა რომ მიწიდან ამოიხედეს, იმედი მიეცა...
თავს ევლებოდა: აღარც კი მიდიოდა ჩვეულებრივ სვირნობაზე.

— ნამალაღი დაჰკუიანდა, დაბერდა — იტყოდენ პატარა ქალების გეს-
ლიანი ენები.

მწვანე ფოთლები ყლორტებად იქცენ, ყლორტები ბუჩქებად და მათში შეიმკენ ვარდ-ყვავილებით.

— ნამალაღი! მომეცი ერთი ძირი, — ეხვეწებოდენ მეგობრები — ერთი
ყვავილი მაინც!..

მაგრამ ნამალაღს არავისთვის ემეტებოდა არც ყვავილი და არც შტო,
ისე სურნელოვანი, ისე მოხდენილი და ისე საყვარელი იყო ყოველი ფო-
თოლი ნერგისა.

— რათ დამიწუნეთ, წინათ რომ გთხოვეთ მოგველოთ, — თავის საყვარ-
ლების მაგიერ შეურაცყოფილი ეუბნებოდა ნამალაღი.

— რა ეჭნათ ისე უშნოები იყო მაშინ... ახლა კი მივხვდით. ჩემო ნამ!
ეხლა რაღა გვეშველება?

— თქვენ თვით იშოვეთ ნერგი, მოუარეთ და გექნებათ — ეტყოდა ნამ-
ლაღი.

როცა ვინმე სთხოვდა: შენს ბაღში დავრგავთო — გაწითლებოდა და
უარს ეუბნებოდა:

— ცალკე დარგი შენთვის, არავინ შეგეცილება, უკეთესიაო.

— მაშა რომ გამოჯავრდება?

— დამალულ ადგილს ჩარგი, კიდევ უკეთესია — არავინ დაგიშლის
ვალერსო, დასტკბე.

და ქალიშვილები ათასობით მიდიოდენ და ზღვის პირიდან თავისი პატა-
რა ვარდისფერი თითებით კრძალებით კი არ წამოიღებდენ, გულში იხუტე-
ბდენ, ჩუბად ჰკოცნიდენ და იღუმალი, პირველი ზილეა, რომ არავის მოე-
პარა, რგავდენ მივარდნილ ადგილს უშნო, ეკლიან, შავ თესლებსა და
ნერგებს.

ასე დაიფარა იაპონია ვარდ-ყვავილებით.

ბუნება

ნურაფერს მეტყვით, ქალბატონო, თქვენი ჭირიმე, ბუნების გულკეთი-
ლობაზე.

გაცვეთილია!

თანაც სიყალბეა!

თქვენ არ შეგეფერებათ!

პირიქით ბუნება თითქოს დასცინის ადამიანს:

მთელი წელი, მთელი დღე, წლის ყოველი დრო.

გაზაფხულდება, მოირთვება ბუნება; ადამიანი გულის კარს გააღებს,
ტყბილად ამოისუნთქებს, რბენა სწყურია; ცეკვა, მღერა, ყნოსვა ყვავილთა
და სწორეთ ამ დროს იღვევა ბედელში პური, ჭურში ღვინო; სამხიარულო
კრებების მაგიერ ადამიანი ხარივით ებმება უღელში, რომ არ დარჩეს
უკმელ-უსმელი.

ზაფხულში, როცა ჩრდილი უნდა ეძიოს, — მიწა ოფლით მორწყვო, —
უბრძანებს საჭიროება.

აი მოიხდის ვალს, ჭაპანწყვეტით შეკრებს სანთავებს, სავსეა ყოველით... მაშინ სიცივე და თოვლ-ჭყაბი დააბამს სახლში, ალერსის მაგიერ უშაბდებს ძილს.

და მთელი ტექნიკა, ზელოვნება, მეცნიერება, რელიგია, მხოლოდ იმის ცდაში არ არის, რომ აღამიანი განათავისუფლოს ბუნებრივ სწავლებას ბრწყალბისაგან?!

„ეს გეგმაში არ ყოფილა“

(მულტატლიდან)

საავადმყოფოში ერთი მეზღვაურისათვის დაშავებული ფეხი უნდა მოექრათ.

თბერაციის დროს მეზღვაურს კრინტიც არ დაუძრავს, საშინელ ტკივილებს მხოლოდ ყალიონის წვეით იჭარებდა და დროგამოშვებით კბილებს აკრაჭუნებდა.

ექიმი დიდაც გაკვირებული იყო იშვიათის სიღინჯით და ქებით იხსენიებდა ვაჟკაცურ მოთმენას და ამტანობას.

სწორედ ამ დროს მეზღვაურმა საშინლად შეკივლა, თურმე ექიმს, წყლული. შეხვევის დროს, ნემსით ვაჟკაქრა.

— როგორ? — გაიკვირვა ექიმმა, — ნემსის ჩხელეტაზე ჰყვირით, მაშინ როდესაც უმწვავესი ტკივილები ზმამოუღებლივ აიტანეთ!..

— მართალია, — მიუგო მეზღვაურმა, — მაგრამ, ბატონო ექიმო, ეგ ჩხელეტა გეგმაში არ ყოფილა.

მეზღვაური მართალი იყო.

წერილი

(დედანი ლეჰადა დაწერილი)

ჩემს ხელს რომ დაინახავთ, უეჭველია, გაგვიკვირდებათ; დიდ ხანი გავიდა, რაც წერილი არ მომიწერია.. მგონი, ეს თქვენთვის სულერთია. მდიდარს სამხრეთში, სადაც თქვენ ცხოვრობთ და, მაშასადამე, განცხრომაში ხართ— შეიძლება, კიდევაც დაგავიწყდით. მეც მზად ვიყავი ყოველივე დაგეგნიყვნა... საკვირველმა შეხვედრამ, საიდუმლო ძალით, წარსულის წყვედადიდან თქვენი სახე თვალწინ დამიყენა.

დღეს, რადგან ახლოს გავლა მომიხდა, NN-თან შევედი. სუფრაზე ისხდენ. ზაის სვამდენ; კნენა, ოდესღაც თქვენი სატრფო, იქ იყო. გამაცნეს. ორი-სამი სიტყვა ვთქვით და ზარბის თვალებით ჩავაცქერდით ერთმანეთს. უხმო ცქერით თითქოს ერთმანეთს გულის სიღრმეში ვუძვრებოდით.

მსურდა ყელზე მოვხვეოდი და დიდხანს, დიდხანს მასთან ერთად მეტყირნა. მსურდა შეთქვა მისთვის: „ჩემი სულის ახლობელი ხარ, ერთი გვაქვს სევდა. ჩვენ ერთგვარად გვექვინის და გვრღნის სინდისი. თუ უფრო არ მოიწყენ, მე გეტყვი შენი ტანჯული სულის ამბავს:“

„პირველად შეხვდი მას ბალში: მასზე წარმტაცი ჯერ არავინ გენახა. ლამაზი იყო, ვით ღმერთი, ნაზი და ენამოსწრებელი. შენთან სიარულად იწყო. შეყვარებული იყო და პატივისმცემელი. მის გონებას დაემონე; მტკიცედ გადასწყვიტე, არ დანებებოდი და... უღრტენავად მისი შეიქმენ.“

„ბედნიერების დღენი, როგორც სიზმარი, წაიღენ. დადგა სხვა დღეები. იქვის, ცრემლების დღეები, დღეები გულის გაგრილებისა და მოწყვეტისა! — რომელს ჩვენგანს არ ახსოვს ისინი, როცა მორჩილად შეხედებოდა, სიყვარული გაიძულებდა ყველაფერი გეპატიებინა. შენს მწუხარებას იგი მოგონილს უძახდა და შენ კი — მსახიობს.“

„როცა მოვიდოდა შეხვედრის დანიშნული საათი და სახლში სიჩუმე გამეფდებოდა, მოსაწყენ მოლოდინში ბნელ ფანჯრის წინ ჩამოჯდებოდი ყმაწვილი; თავს ჩაღუნავდი, ასწევდი მძიმე ფარდებს და უძრავად ცისკრის ამოსვლამდის შესცქეროდი ცარიელ ქუჩას.“

„ყოველ ბაიბურს გაფაციცებული უსმენდი. ეტლის ხმას ღროგის ხმაში ზღვილად არჩევდი. აი ახლავა — აი ჭიშკართან ვიღაცა კიდევ გაჩერდა... წამოხტი, თვალის ერთ დახამბამბებაში კარებთან ხარ... ტყიულია: შეცდი და კიდევ შეცდი! ოხ, რა სასჯელია!“

„კიდევ რამდენიმე ხნით გამეფდა სამარისებური უტყუი სიჩუმე, მხოლოდ ნათურები მკრთალად ციმციმებენ. მოსაწყენი საათები გულსაკლავად მილოლავენ... გავიდა ღამე, დატრიალდა ისევ დღის სიცოცხლე.“

„მაშინ მიხვიდოდი შენს ოთახში, ვარდებოდი ბალიშებში და ცეცხლით ანთებული გული სისხლად დნებოდა სიბრაზით, მწუხარებითა და სიყვარულით!“ ასეთი არაფერი მითქვამს კნენინასთვის. ჩვენ ზანტად ვმუსაიფობდით სხვადასხვა უმნიშვნელო საგნებზე და ორივესთვის ძვირფას სახელს ვერცერთი ვერ ვამბობდით.

მოლოდინელად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. კნენინა ადგა. მინდოდა მხურვალედ ხელი ჩამომერთმია; ყოველივე მეგობრობით გათავდებოდა, მაგრამ მის დატანჯულ სახეში წაიკითხე ისეთი მძულეარება, რომ უნებლრედ შემეშინდა და ჩუმად გაეშორდი ერთმანეთს: მე — მძიმედ თავი დაუქარ, მან კი ოღწავ დახარა თავი...“

წერილი თქვენობით დავიწყე, მაგრამ აღარ შემიძლია ამ კილოზე გავაგრძელო, მსურს გითხრა, რომ ყველგან, ყოველთვის წინანდებურად შენი ვარ; რომ ჩემთვის ძვირფასია ეს საიღუმლო, რომ ქალი რომელიც შემთხვევით გყვარებია, თუნდაც ერთის წუთით, თავის დღეში ველარ დაგივიწყებს; რომ დღე და ღამ მას მოგონებანი ღრღნიან, როგორც ჯალათი, როგორც საყვარელი მბრძანებელი; რომ ის არ ათრთოლდება ქვეყნის ხმაზე: შენს ბირველ ნიშანზე მიატოვებს საზოგადოებას, ოჯახს, როგორც შეხუთულ სამყრობილეს და თავისი სირცხვილით ბედნიერი იქნება!

იგი მისცემს უკანასკნელ გროშს, რომ იქმნეს შენს მონად, მოსამსახურედ, ან და შენ ერთგულ ძალად დიანკად, რომელსაც ხან ეფერები და ხან კი სჯობ!

P. S. აღელვება, ღამე, აი რა მიკარნახებდა ამ წერილს... ახლა დღის სინათლეზე იგი მარტო სასაცილოდ მეჩვენება, მაგრამ დახევა შინც დაშენანა. გამოფრინდეს თქვენკენ ნევის ნაპირებიდან, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ გული მოგაყვანიოთ! რა თქვენი საქმეა, რომ თქვენ იქ, სადღაც უყვარხართ! ვინც გვერდში ვიდგათ, მხოლოდ ის გიტოვებთ სისხლს!.. იცოდეთ, რომ არ ველი პასუხს არც წერილზე და არც სიყვარულზე. ყოველი გრძნობა თქვენ, ყოველთვის მონობად მიგაჩნიათ. წერილებზე პასუხის მიცემა — ოხ, ღმერთო ჩემო! — თქვენს ზოგჯერ ასე ზრდილობიანს ენაზე უძახდი „დედაბრობას“...“



თქვენც გაგიკვირდებათ, როცა ჩემს ხელს დაინახავთ. თანის დღეში არ მომიწერნია ბარათი, — ახლაც ქებას ვერ დავემსახურებ, მაგრამ სიმბარათლისათვის ნუ განიკისხვებით.

ჩემი წერილი საყვედურია. ნების ნაპირებიდან ერთი მეგობარი მატყობინებს, რომ თქვენ წერილი საზოგადოებაში ვაგივრცელებიათ.. ნითხარით — რისთვის? ნუ თუ სასიამოვნოდ და რიგინად მიგანიათ სჯა-ბაასი იმის შესახებ, რაც უკვე დიდი ხანია სულის ძირშია ჩამარხული? ერთ სალაპოზე ვახშამი ყოფილა. ჩემთვის უცნობ ვილაც ტლანქს ზეპირად წაუკითხავს. საკმაოდ უხუმრიათ თქვენს აღფრთოვანებულ წერილზე!.. შემდეგ გაგვარჩიეს და ვაგივიხილეს ორივე (რასაც ოჯახიც ხელს უწყობდა). ორს სანდომიანს, თვალწარმტაც ქალს მოუსურვებია სცოდნოდათ, ვინ ვაროგორ პასუხს მოგცემთ... და ყველა წერილმანი საიდუმლო დრამისა.

გთხოვთ გადასცეთ, რომ, თუ გნებათ უსულო ეგოისტი ვარ, მართლა კი გულკეთილი და უბრალო აღამიანი ვახლავარ, რომ ბევრი სისულელე ჩამიდენია წუთიერი თავდავიწყებით. რაც შეეხება ჩვენს დაშორებას — თქვენ თითონ მოისურვეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში — ღმერთია მოწმე, — ახლაც კი თქვენს საყვარელ ფეხებთან ვიქნებოდი.

P. S. მომიტყევე მოურიდებელი, აგდებული კილო წერილისა. ახლა ყველაფერს სძინავს: ნაზი, მომხიბვლელი შენი სახე მშვიდად შემომყურებს. შიატოვე შენი სულის შემხუთველი საზოგადოება, დივიწყე ყოველი მწუხარება, მოდი, მოდი ჩემთან და მიიღე ყოფილი უფლება ჩემზე! აქ გელის ზღვა, უსაზღვრო ვით გულისთქმა, და გულისთქმა უსაზღვრო, ვით ზღვა!.. აქ ჰპოებ მთელ ბედნიერებას წარსული დღეებისას, ალერსსაც, სიყვარულსაც და იმ ტანჯვასაც, რომელიც ხანდახან სიცოცხლეს ამწარებს, მაგრამ ურომლისოდაც მთელი ცხოვრება — უშიზრო ბოდვია.

თუთიყუშის აღმაბევა

ბრამინებს დაკვირვების ახირებული ნიჭი აქვთ. ერთი მათგანი ბზის ტყეში მიდიოდა. გზაზე მიწაზე მოსიარულე თუთიყუშს მოჰკრა თვალი.

— თუთიყუშიაო, — თქვა ბრამინმა და დააკვირდა. თუთიყუში ზევით იყურებოდა, თითქოს რაღაცას ეძებსო; მერმე მიახტა ერთ-ერთ ბზას და აცოცდა ზევით. შუა გზაზე შეჩერდა.

— თუთიყუშიაო, — თქვა ბრამინმა. ჩიტი უფრო მაღლა აცოცდა და მიაღწია ხის მწვერვალს, ირგვლივ მიმოიხედა.

— იქაც მხოლოდ თუთიყუშიაო, — თქვა ბრამინმა.

ნ ა ქ ა რ გ ი

არა, ამ ნაქარგის დავიწყება უსამართლო იქნება: ძეგლი აქვს დამსახურებული!

მოახლემ ქეთევანს მორათვა ნაცეხვი ღომით სავსე თასი; ახალგაზრდა ქალბატონმა ღრმად ჩაყო ხელი, შიგ ატრიალა თითები, მერმე ხელი პირსახოცზე შეიწმინდა და მორათვა გაათავებული იყო.

— ქარგა დამიდგი...

ფერპკრთალი გრძელი თითებით ყაისნალმა დინჯად დაიწყო სიბრუნული მოჭიმულ წითელ მუდზე.

— გამართე, ვარდისა ჩემო, — მიმართა ქალმა იქვე ჩაცულს ახალგაზრდა ქალს.

და დაიწყო ზღაპარი მშვენიერ ასულზე, რომელიც მშვენიერ კოშკში დგას... მოდის მშვენიერი მეფისწული და სხვა.

ეს იყო ათასპირველგერ ნაამბობი რამ, რასაც ახალგაზრდა ქალი მაინც სევდიანი ყურადღებით ისმენდა, რადგან იქ იყო წინასწარ ნაგრძნობი გზა პატარა ქალბატონისა.

— და თქვენ ესპანელ ქალწულთა გვარად გნებავთ შეეკროთ ესე მოსასხამი თქვენი? — შეეკითხა ახალგაზრდა პატრი, რომელიც თავს დადგომოდა და პატივისცემითა და ღიმილით დაჰყურებდა.

ქალს უნდოდა მოკლედ მოეპრა, ასალს ეპარგავ ჩემი ცხენისთვისო, მაგრამ მის მაგიერ უპასუხა დედამ, რომელიც ოთახში შემოყოლოდა უცხოელ კაცს.

— დიად, წმინდაო მამავ, გესმენია სიკეკლუცე ვენეციის ასულთა და გვინდა მათებრ მოვიკაზმოთ ქვეყნისა მეორესა კიდზე, ხოლო გვეშინია, გამოვა კი ისეთი სახარბიელო, როგორც განზრახული გვაქვს?..

— რატომაც არა ქალბატონო — გამოცდილი პატრი მიხვდა, რომ მოხუცი ქალბატონი ცდილობს შეილი როგორმე უკეთ აჩვენოს ქვეყანას, მაგრამ არ იცის, რა ვააკეთოს, იცოდა, რომ ჩვეულებათა გადმოღება რომელიმე ქვეყნიდან საფეხურია დაახლოვებისა და ამიტომ ხანგრძლივი ბაასი გააბა:

— შესრულებული რომ ისე კარგი გამოდიოდეს, როგორიც სიბნელეში წამოწოლილ ხელოვანს გულის სიღრმეში გაუსაზრებია, კაცობრიობა ხელოვნების გარდა სხვას აღარაფერს მიაქცევდა ყურადღებას და ქვეყნიერება დაილუბებოდა. „ღვთაებრივი კომედია“ დანტესი და შიქელ ანჯელოს ქანდაკებანი მხოლოდ ნაწილია — და იქნება მცირედიც მოფიქრებულისა! მხოლოდ ჭრინტეს მცნება და მოციქულთა ქადაგობანი არიან სრულნი და აკი იზონებენ მსოფლიოს.

— თქვენ საუცხოოდ დაგიწყიათ — მიმართა ქალიშვილს პატრმა ოდნავი შეჩერების შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ დედა უკვე საკმაოდ დაიმორჩილა მჭერმეტყველებით. — ქვევით გამოუფენთ ლურჯი აბრეშუმის სარჩულს, ზევიდან დაადებთ თეთრ გამჭვირვალე ნაქარგს, რომ წითელი ფერი მკრთალი იქნეს — წითელი ფერი არ შეფერის თქვენისთანა ქალწულს, იგი ფერი, ქალთა ურიგოთა ფერია — ირგვლივ კი შემოაველებთ წაბლისფერ ბეწვს და იგი დაგიმშვენებთ მხრებს, თუმცა ნაკლებ, ვიდრე თქვენ დაამშვენებთ მას.

ქალი შეწითლდა, მაგრამ რომ არ შეეშინია პატრს, ყაისნალი საქარგავში ჩატოვა, ძალდატანებით ზევით ამოხედა და ჰკითხა:

— და არ ჩამოვარდება?

— თქვენ გაუყრით სხვილ გრებილს და საყვლო კისერს შემოებევა, როგორც სურაში ჩადგმულ თაიგულს მისივე ფოთლები...

და მცირე ხნის შემდეგ საჭორწილო ზეიმზე მეფე-დედოფალი ხელჩაკიდებულნი მიმოდოდნენ სტუმართა შორის პირმცინარენი; ქეთევანს უღწნავდერი დაკარგოდა და შუქი მოსასხამის დანაცლისს ავსებდნენ.

— რომელთა დიდსა ქალაქსა ვენეციასა გინა ფლორენციასა შინა მიწახავს ჩემსა სიყმაწვილეში ეგვეთარი მოხდენილობითა მხარს გადაგდებული მოსასხამი, ჩვეულება ესე დღესაც არსებობს? — შეეკითხა იქვე სტუმართა შორის მყოფ პატრს შეახნის დიდებული.

— გახლავთ, დიდებული, და ასულნი თქვენნი იქნებოდნენ დამამშვენებელნი ჩვენთა წარჩინებულთა სასახლეებში... მეტად სამწუხაროა, რომ ორ ქრისტიან ერთა შორის დიდისა მანძილისა გამო მცირე არს მიმოსვლა და შეგობრობა, ხასიათიცა ჩვენი ჰგავს ერთმანეთს. — დიპლომატიურად ისარგებლა შემთხვევით პატრმა.

— თქვენზეა ყოველივე დამოკიდებული... ჩვენ მზათა ვართ...

და გავიდა ეპი.

ქმარი მიდიოდა სალაშქროდ.

მინაზებულ ქეთევანს მის მხარზე დაედვა თავი.

პატრმა ბიჭუნა მათ შუა გაჩერებულიყო, მშობლებისათვის კალთებში ხელი ჩაეჭიდა და ხან ერთს შესცქეროდა და ხან მეორეს.

— ახლა კი წავალ, ჩემო ნესტან, — ეუბნებოდა ქმარი, — ოღონდ მომეცი რამ, რაც მუდამ თვალწინ მჭონდეს და სხვებისგან განმარჩევდეს. ავგაროზი რამ.

— ჩემი გული, ჩემი არსება, მერმე ბეჭედი...

— კიდევ, კიდევ რამ, რაც მაგონებდეს პირველ ჩვენს შეხვედრას, პირველს დღეებს ბედნიერებისას...

ქალმა მიმოიხედა, სტაცა ხელი თავის საყვარელ მოსამხამს და გადასცა.

— ეს მოვიხურო თუ?

ქალი ოდნავ შეკრთა, მაგრამ გაიქცა, მეჯინიბეს უბრძანა ბატონის ცხენისთვის უნაგირი მოეხსნათ, თვითონ გადააფარა ცხენს მოსასხამი ასალად და მოსართავ ღვედებს თვით დაუწყო შესკვნა — ქმარმა ნელა ჩამოართვა მოსართავი, გაასწორა უნაგირი და მეუღლეს ყურში ჩაუფუჩუნა: ასეთი აღერსის შემდეგ სხვა სიტყვას რაღა მნიშვნელობა აქვსო, — მოახტა ცხენს და აღელვებული, ბედშიერი, ქენებით მიიშალა.

გავიდნენ წელიწადი მრავალნი, ვინ იცის, იქნებ, საუკუნოები. ასალი იგი თეთორ ზედსაფარსავსებით ამოხეული, მაგრამ სარჩულ და საპირე მაგარი, ბეწვემთებლებული ეკიდა ქართველ მწიგნობრის კედელზე, და როცა ჰკითხავდნენ, საიდან ჩაუვარდა ხელში, იგი მხრების აჩეჩით ამბობდა:

— დედა ჩემს, ბებიაშისის სიკვდილის შემდეგ რომ გაუხსნია ძველი ხანდღეები, იქედან ამოუღია, მტვერით დაფარული და ოდნავ დაჩინჩული. წამაჩემს — იგი ხომ უცნაური კაცი იყო! — ბაიბაღად ჰჭონდა, როცა სახლში იყო, ეს სახლის თავზე მიმაგრებულ მაღალ სვეტზე ფრიალობდა, და როცა ის სახლიდან სადმე წაივლიდა, შინ შეიტანდნენ და აქ დაკიდებდნენ. მისი

გარდაცვალების შემდეგ, რა თქმა უნდა, მე ბაირალებს სახლის თავზე ვერ
დავტოვებდი, და აი აქ არის, და მე თვით არ ვიცი, ასალაის, მოსახლამი
ქათუ ახირებულ გვარის ახირებულ დროშა...

სტენისმოყვარეთა მიერ „სამშობლოს“ წარმოდგენის დროშა დასწორდათ
დროშა და აქ ქვეყანას ეჩვენა ეს საკვირველებდიანი ნაჭარგი.

და იქვე დარჩა იმ სტენაზე.

შეატრ მსაჯულთა შაგიდას ჭვარაუდა იგი „აკოსტას“ გასამართლების
დროს. მეფისტოფელი იხვევდა მას ტანზე სარკაზმების ფრქვევის გასამა-
ხეილებლად. კოტე ყიფიანი მის ჩრდილში კითხულობდა სვიმონ ლეონიძის
მონოლოგს:

„ღედაო ლეთისაგ, ეს ქვეყანა შენი ხვედროია!“

და ლაღო მესხიშვილი წელზე შემოირტყამდა ნიშნად საქართველოს ბაი-
რალისთვის სამსხვერპლოდ განმზადებისა.

შაგრამ ხშირად ეს ოქრომკედით ნაკერი მალე და მისი აბრეშუმის წი-
თელი სარჩული ეფინენ მეფის ტახტზე, სიღიადისა და შარავანდედის ელ-
ფერის მისაცემად, თუ რომელიმე კარდინალს მხრებზე არ ჰქონდა მოხუ-
რული, როგორც ფორმა კარდინალობისა.

ახლა სად ხარ?

ვინმეს ბაირალად გახდი? ვინმეს ისევ ასალად ემსახურები, თუ ქუთაისის
მეთულუბნებმ თოფრად შეგკერა, და ჯახრაქა ცხენის ლაშები ქატონარეგ
ჩხვს ეტებს შენს ნაჭარვ ჯვერდებზე?

ან დაწეწილი „იქვე მიწად, მიწად ყოფილი“ და ანოყიერებ ბულვარის
ვარდ-ბალახის ფესვებს.

ბედნიერი!

5 — 6 იანვარი 19... წ.

თბილისი.

ი ს ხ ვ ი რ კ ლ ი

(ტრაგედია)

უღაბნოში ვართ. სილაა ირგვლივ, ფეხი იფლება და იხარშება. ცაც შე-
ლესილა ტყვიისფერ სილით. მზე მიშალული წითლითა ღებავს ამ უღაბნოს
ერთადერთ მგზავრსა. არსით ცხოველი. არ მოსჩანს ბუნჭი. ნამათაც წვეთი
არ დაეარდნილა. მწვანე ბალახის ძირი გამხმარა. სილის სამეფოს საზღვარი
ჩრ აქვს, რასაც კი მხედავ სილაა, სილა.

მგზავრს მიზნისაკენ გზა დაეკარგა, მარჯვნივ მიდის, მარცხნივ კი სურს
სელა, წინ მიდის—უკან კი იხელება... ეტებს და შინჯავს და დაიქანცა.

იმედმიხდილს და ქანცგამოლეულს მუხლთ ეკეცება, ხელზე ეყრდნობა,
მაგრამ არ ყვირის, არ ტირის, გოდებს; გულში კი ამბობს: კიდევ მადლი
ღმერთს, რომ უღაბნოში ჩემთან არა ხარ, შენ, ჩემო, ჩემო! რომ ისე
ღრმათვე შენ დამაუიწყებ, როგორც მახსოვხარ შენ ჩემო, ჩემო!

და მიღუღულ თვალების წინ, სიკედილთან ბრძოლის უკანასკნელ წამს სულ სხვა სურათი ეხატება; სოფლის დიდ ბაღში მუხის ტოტებზე მჯდომი გლეხი წყნელის საეარძელზე ზის. ნიაფი ცელქობს. მკრთალად ანათებს ბინდგადაკრული ცის დედოფალი.

მკერდს უზის სატრფო, ყელმოღერილი, ვით ნაპრალს შორის უცრის სტვენით შველი შემკრთალი, ჩაფიქრებული.

და ეუბნება მგზავრი თავის სატრფოს.

შენ ჩემო, ჩემო, უდაბნოში ვართ, სილაა ირგვლივ. ფეხი მესღება და მებარშება. ცაც შეღვსილია ტყვიისფერი სილით. მზე მიმალული წითლადა მღებავს ამ უდაბნოს მე ერთადერთ მგზავრს. არსით ცხოველი. არ მოსჩანს ბუჩქი. ნაშათაც წვეთი არ დავარდნილა. მწვანე ბალახის ძირი გამხმარია. სილის სამეფოს საზღვარი არ აქვს, რასაც კი მხედავ სილაა... სილა.

იმედმიხდილს და ქანცგამოლეულს, მუხლი მეკეცება, ხელზე ვეყრდნობი, მაგრამ არ ვყვირი, არ ვტირი, ვგოდებ და ვინუგეშებ, ამ უდაბნოს თუ გადავარჩენ, შენ ჩემო, ჩემო და ისე ღრმათვე შენ დაჰვიწყებ, როგორც მახსოვხარ შენ ჩემო, ჩემო.

20/11 1916 წ.

ჭ. ქუთაისი

მეჩხვალს

შენ ისე ჩუმად ჭიკჭიკებ, გალობ,
რომ არც კი ისმის შენი გალობა.
მოფრინდები და ხანდახან მწყალობ,
მაგრამ ცოტაა ეს მოწყალება.

რა საჭიროა ჩუმად მოგქონდეს,
გაზაფხული და ქვეყნისთვის სითბო.
მეც მინდა, შენი ენა რომ მქონდეს,
მუდმივ გაზაფხულს ქვეყანა ითხოვს.

უფრო ხმამაღლა უნდა მესმოდეს,
გამუდმებული შენი გალობა.
გაზაფხულების გუნდი მესხმოდეს,
წუთით არ მქონდეს ეს მოწყალება.

რახან მოდიხარ გქონდეს ულევო,
ქვეყნისთვის სითბო და სათხრობელი,
თორემ ვის უნდა გაზაფხულების
ასეთი ჩუმი მახარობელი.

თუ შენ არა სთქვი, შენს სიტყვას ყოველს,
მერცხალო ჩემო, ბევრი სხვა იტყვის.
გაზაფხულები უშენოდ მოვლენ,
დარჩები მარტო უბრალო ჩიტი.

შენ ისე ჩუმად ჭიკჭიკებ, გალობ,
რომ არც კი ისმის შენი გალობა.
მოფრინდები და ხანდახან მწყალობ,
შე კი არ მყოფნის ეს მოწყალება.

სიბოცხლისათვის *

რომანი

თავი მეთვრამეტე

ვოლგის სანაპიროებზე სიწყნარე იყო.

ღრუბლები სივრცეში უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდნენ.

გაყინული ვოლგის სარკეში ზამთრის საღამო იხედებოდა. მუქდებოდნენ. მძიმდებოდნენ ფერები, — ღამე აძევებდა სინათლის წვეთებს და ღრუბ-ლიანი ცა ხუჭავდა თვალს. სამაგიეროდ ქვევით, მიწაზე, რაღაც დიდი ალტყინება სუფევდა, თუმცა ოჯი უნაპირო სიძუმის ფრთებს დაეფარა.

აქ, სტალინგრადის ჩრდილოეთით, ვოლგის ვრცელ ნაპირებთან, მიწაში ჩასახლებულ ადამიანთა სუნთქვაც არ ისმოდა, მაგრამ მათ გულებს მოლო-დინის შუქი ათბობდა.

ვის შეეძლო გამოეთქვა რამდენად დიდი იყო მტრის თავხედობა, მის მიერ მოყენებული ზარალი, თუ შეურაცხყოფა! ვის შეეძლო აქ საკუთარ სიცოცხ-ლეზე ეფიქრნა, როდესაც მოთმინების ფიალა აივსო, როცა სამაგიეროს გადახდის სანატრელი წუთები დადგა.

აქ, ყინულების სამფლობელოში, თითქოს გაზაფხულის კარი სულ ახლოს მოსჩანდა, — მოუთმენლად ელოდნენ შეტევის მალეწყებელი მერცხლების ქიკვიკს.

სტალინგრადში ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, აქ შევსებაზე გადმოყვანილი დივიზიაც ახლა მზად იყო. მიწის ქვაბში სანადიროდ გამოსულ ვეფხვივით ჩასაფრებულები და სუნთქვაშეკრული ელოდებოდა.

მეთაურთა მხოლოდ ერთი მცირე ჯგუფი მიმოდითა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ყველაფერი მზად არის! — გაისმოდა ხან იქ, ხან აქ.

ამ ჯგუფმა მთელი დივიზია შემოიარა.

— ახლა თქვენც შეგიძლიათ წახვიდეთ და მოისვენოთ, ელოდეთ! — გამცილებლებს უთხრა ვახტანგმა. ბლინდაეში რომ ჩავიდა, სმირნოვს მოუწოდა:

— დაწეკით!

სმირნოვი არ განძრეულა, ეტყობოდა, დაწოლას არ აპირებდა.

ვახტანგმა ოფიციალური კილოთი განუყოფა:

— სმირნოვ, დაწეკით!

სხვა გზა არ იყო. დაემორჩილა. თუმცა, ნაძალადევად დახუჭულ თვალებს ძილი არ ეკარებოდა.

ვახტანგის ოღნავ გამხდარს, მაგრამ ენერგიულ სახეზე სიმწვიდე სჩანდა. სტალინის ბრძანება ერთხელ კიდევ გადაიკითხა. ნოიგონა ბელადის ყველა-

*) დასასრული იხ. „მნათობი“ № 4.

ბრძანება თუ სიტყვები, სამამულო ომზე რაც დღემდე ეთქვა და ვაიოცა სიზუსტემ, სრულნა თანხმობამ სინამდვილესა ზა აზრებს შორის.

„ბელადი ერთნაირად ჰხედავს წარსულს, მომავალს, მოვლენებსა და შედეგებს. ეპიურის სიმშვიდით და გაუტეხელი ძალით დიდებმა იქნენ შიშსავეს ქვეყანა!..“ კარგა ხანს მისდია ფიქრს. მარტო გავიდა.

აქ ჰმაგაკმედილი ღამე დაუხვდა. ზანგამოშვებით ცხენების ჰიხვინი არღვევდა სიჩუმეს. „ყველაფერს მოსდევს თავის უარყოფა და თვითონ უარყოფაც დასასრულს ელის“, გავილო გულში. ღამემ ვერ შეაკრთო, თვალი გაუსწორა, ყური დაუგდო. ახლა უსასრულო წყვილადის ზღვას ზოგჯერ მანქანების სუნთქვა, თუ ხრიალი აღმოხდებოდა. ეს ყოველივე ზანმოკლე იყო, იქვე წყდებოდა. თითქოს თვით ღამეს შეეხუთა აქ ყოველივე. შორს, ვოლგის ვალმა მხრიდან ღამით შეწუხებული ძაღლის ყეფაც გაისმა. ძაღლი ღამეს უყუფესო, იფიქრა. გაეხარდა. — სადღაც, ამ წყვილადის უღამნოშიც ყოფილა სიცოცხლე, ყოფილა სოფელი და თბილი კერა, რომელსაც ერთგული ძაღლი სდარაჯობს. კერაზე მოგონებამ ამ ქვეყნისადმი სიყვარულით აუფსო გული: რამდენი გმირისათვის ჩაუღვამს სული ამ ღიად კერას, გაუთბია, გამოუზრდია, რომ შემდეგ აზროვნებისა და გმირობის მწვერვლებზე არწივის ფრთებით აფრენილიყო. საექიმო პუნქტისაკენ გაემართა.

შესასვლელში მამაკაცის სიცილი მოესმა.

შევიდა და მის წინაშე შემცბარი ზურაბი გამოიქიმა. მას აქ მუსიასთან გაება ბაასი. ექიმო ქალი, ლილია მოშორებით იდგა, რაღაც საქმეს აკეთებდა, იღიმებოდა.

— შენც აქ ხარ, ზურაბ?

— მკლავი შემიხვიეს, ამხანაგო პოლკოვნიკო, და მივედიოდი!

— აჰა, კეთილი. მოიცადეთ! — მოუწოდა პოლკოვნიკმა. შემდეგ სახეწამოწითლებულ მუსიას გადაჰხედა, არაფერი არ უთხრა, მხოლოდ გაიღიმა. ბოლოს ექიმ ქალს, ლილიას მიუახლოვდა. გაუკვირდა, — უეცრად შეცვლილიყო ლილია. გამქრალიყო ღიმილი, ვახტანგს მინც გაუსწორა თვალები და რაღაც უთხრა, თუმცა საკუთარი სიტყვები თვითონაც არ გაუგონია.

— კეთილი. მამ თქვენ მზად ხართ? — წარმოსთქვა ვახტანგმა.

— დიახ ამხანაგო პოლკოვნიკო!

— სანიტრები ხომ არ გაკლიათ?

— შევსებულაია.

— კეთილი!

შემდეგ პოლკოვნიკმა ისევ ერთად შეჩერებულ მუსიასა და ზურაბს გადაჰხედა. კვლავ ექიმ ქალს მიუბრუნდა, ღიმილით უთხრა:

— ქორწილი როდის იქნება, ექიმო?

— ბერლინში! — მოკლედ სთქვა ლილიამ, წამოწითლდა, თავი დაჰხარა.

— კეთილი, კეთილი! ხელს აღარ შეგიშლით. კარგად იყავით! — სთქვა პოლკოვნიკმა და სწრაფად გავიდა.

დაბრუნდა ბლინდაეში. იმ დღეს მიღებული თენგიზის ბარათი ხელმეორედ გადაიკითხა. თენგიზი სწერდა:

„მშაო ვახტანგ! სტალინგრადელების გმირობა მომისმენია. შენი ვაჟაკობაც გამიგონია. საჭიროა ჩვენიც იკითხო. ლენინგრადის, მოსკოვის, სევასტოპოლისა და სტალინგრადის უკვდავი სული აქაც გვამაგრებს. კავკასიის მთებიდან ჩამოვრეკეთ ყორნები. იმასაც მოვესწრებით, უკან გაფრენაც ვეღარ მოასწრონ. ამ ბარათს ბლინდაეში ვწერ. ვჩქარობ. უცნაური კაცი ხარ.

ვერაფერი ვერ გამიგია, რა გემაართება: დარეჯანი შეტად განიცდის არა-
ერთხელ მომიწერია; რატომ ერთი სიტყვა მაინც არ აღირსე. — არც კარგი,
არც ავი, არც საყვედური და არც მაღლობა! სწორედ დღეს მივიღე შეთქეა-
ნის ბარათი, ისევე დარეჯანის შესახებ მწერს. მხოლოდ ის ^{ანარქისტ} დარე-
ჯანს, რომ ცოცხალი ხარ და შენი ხმა ისმის. ამოდენა გულცილობას მაინც
ვერ უძლებს. რა მოხდა, ვერ გაუგია. შენ კი, ალბათ, ბლომად მოგდის და-
რეჯანის ბარათები. კითხულობ, ერთობი და არხეინად ხარ. ასეთი თამაში
იქ, სადაც გრძნობაა, სახიფათოა. იქნებ ეს ყოველივე შემთხვევით ხდება,
მაგრამ გული თუ გატყდა, ვერ გაამართლებ...“

აქ ბარათის კითხვა შესწყვეტა. აი, ხედავს მას, ცქრილა გოგონას. სკო-
ლაში მისდევს და ცრემლებს აფრქვევს. აი, ეზოში მოღზე პირადმა დაგო-
რებულა. ფუნთუშა ლეკვები შემოსევიან და ეთამაშება. კისკისებს. ლეკვე-
ბიუ აღერისის ნიშნად შეჰყეფენ, ლოყას ულოკავენ. ამ დროს თვითონაც
მიიბრუნს, დარეჯანს ხელში ხელს ჩაჰკიდებს და ერთად გარბიან. ერთხელ
პატარა დარეჯანს ხბოსათვის კუდში ჩაველო ხელი. ხბო დაფეთებულიყო,
გაქცეულიყო. დარეჯანს ხელის გაშვება ვერ მოეხერხებია, — მისდევდა
ხბოს და მისტიროდა. როცა მოიქანცა, ხბომ გაათრია მიწაზე. მაშინ თვითონ
ისკუბა ღობეზე, ხბოს გზა მოუჭრა და შეაჩერა. მუხლებდასისხლიანებული
დარეჯანი წამოაყენა, სიცილ-ტირილით შინ წაიყვანა. შემდეგ — სიჭაბუქე-
დარეჯანის დაქალება, დამშვენება, ახალგაზრდობის პირველი გრძნობა.
ზღაპრული საღამოები. პირველი სატრფიალო სიტყვები. ერთად სეირნობა
და ერთად სუნთქვა!

შეუბღზე ხელი მიიღო. თითქოს ამით სიმწარედ ქცეული მოგონებების
შეჩერება უნდაო, მაგრამ არა. ეს აღარ ძალუძს. შეუძლებელია პასუხი არ
გასცეს თავისივე საქციელს. არ გაარკვიოს თუ აქ რა მოხდა.

და საკითხი პირდაპირ დასვა: როგორ უნდა მოქცეულიყო? ის რაც საკუ-
თარი თვალით იხილა, როგორ შეუძლია დაივიწყოს. დახუტოს თვალი? მერე
რას შესცვლის თვალის დახუტვა? სინამდვილეს ვერ დააბრმავებს. მაგრამ იქ-
ნებ სინამდვილე არც ისე საგულისხმოა? არა. ამის უარყოფა თვით დაგა-
მკირებს და ბოლოს ყოველგვარ სისაძაგლეს შეურიგდება! ღირს თუ არა
ისეთი სიცოცხლე როდესაც კაცი ყველაფერს შეურიგდება და უგულუბელ-
ჰყოფს? არა. „ასეთი კაცი ცხოვრების მჩვარია და უნდა მოკვდეს!“ ან რა
ფასი ექნება ასეთ სიცოცხლეს? მაშინ ხომ შეუძლებელი იქნებოდა ნამდვი-
ლი გრძნობა, სულიერი სიმაღლის შენარჩუნება, როგორც ეს ადამიანის
ღირსებას შეეფერება და რაც წარმოადგენს სიცოცხლის ინტერესს! „მაშ,
სწორად მოქცეულვარ და სხვანაირად ფიქრიც არ შემეძლო“. იქნებ წუთი-
ერი იყო გატაცება და იქვე დასრულდა, იქნებ მხოლოდ სურათის ერთად
გადაღებით დასრულდა მთელი ამბავი? და ამ უმნიშვნელო სისუსტეს არ
აპატიებ? თითქოს ვიღაც სხვა შეეკითხა და ახლა თვითონაც გასცა პასუხი:
როგორ შეიძლებოდა სისუსტე იქ, სადაც გრძნობაა, თუნდაც ერთის წუთით,
თუნდაც ერთის წამით! განა ღალატის მნიშვნელობა დროის ხანგრძლივობით
განისაზღვრება? სისუსტეც ხომ გრძნობის გაცივებაა, სხვანაირად სისუსტეც
არ იქნებოდა! მაშ მე შეემცდარვარ? არა! — გადასწყვიტა. თუმცა ასეთ გა-
დაწყვეტილებაში სანუგეშოს ვერას ჰხედავდა. პირიქით, ასეთმა გადაწყვე-
ტილებამ უფრო დაამძიმა პაერი და გაამძაფრა. აქამდე მივიწყებული გრძნო-
ბები უფრო გაუღვივა და აამხედრა!

დადიოდა. ფიქრს განაგრძობდა. როგორ შეეძლო დამარხა ყველაფერი, რაც დარჩენილი იყო აკავშირებდა. მაგრამ თუ დამარხავდა, რა დარჩებოდა? — ვის შეეძლო შეეცვალა ის, ვინაც მხოლოდ გულში კი არა, სისხლშიც ცხოვრობდა. „თენგიზი მართალია, დარეჯანის ბარათებს მაინც ეკითხულობ და ზოგჯერ მგონია, რომ ის იგივეა, რაც იყო. რომ აგრე ჩემს რამდენიმე ვარსკვლავი წარმოშობდა ჩემზე ბედნიერს“. გრძობები იქვე კი არ შეანე-
ლა, უფრო გაამწვავა და დღემდე უხილავი ბრწყინვალეების მწვერვალები გამოაჩინა. ყველა ამ მწვერვალებს ჰხედავდა ახლა და გულიც გაუბრუნდა იქითკენ: მთის განათებული ყელი გამოჩნდა. ლაქვარდები ციმციმებენ გარ-
შემო, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთად მიდიან. მიდიან სიმღერით და მთის მუშუნა პაერით ევსებათ სული! აქ დრო თითქოს აღარ არსებობს, — არ აგონდებათ, ის წაშლილია, დავიწყებულია. სივრცე ის არის, რასაც ხედა-
ვენ, და რაც მათ ეყოფათ!

ვინ იცის ცხოვრების რამდენ ასეთ მწვერვალებს გადაივლიდნენ! განა შეიძლებოდა ყოველივე ამის უარყოფა? და მერე რისთვის! „დარეჯანს ყო-
ველივე ეს რომ წარმოედგინა, მაშინ სისუსტეც ველარ დასძლეოდა. რატომ ჩააქრო ეს ბრწყინვალეობა, რატომ ჩააქრო!“ ცოტა ხნის შემდეგ საწინააღ-
მდეგო აზრი გამოსთქვა: „რატომ მგონია, რომ მხოლოდ მე შემიძლია ასეთი რამ წარმოვიდგინო? ყოველ აღამიანს აქვს თავისი სამყარო, ალბათ უფრო მიმზიდველიც კი, სადაც მისი სული თავსდება, სიხარულს ჰპოებს, რითაც ის ცოცხლობს. ვის აქვს უფლება ხელი შეუშალოს და საკუთარი თავს მოახვიოს“.

ბევრი ეცადა, მაგრამ პირვანდელი დასკვნები ვერაფრით ვერ დაარღვია და ვერც შესცვალა.

შემდეგ ბარათი მისწერა თენგიზს:

„მშაო თენგიზ! გარშემო სრული მყუდროებაა. ბნელმა ღამემ ცეცხლ-
საც კი ხმა ჩაუწყვიტა. შიგ გრიგალია დადუმებული. ის ჩვენ შეგვქმენით. ჩქარა სუნთქვას დაიწყებს და ჩვენც თან გაეპყვებით. ეს იქნება არა მარტო გრიგალის შებრუნება დასავლეთისაკენ, არამედ დასაწყისი გამარჯვებისა. ეს მოამზადა ომის ყველა დღემ, მილიონების სისხლმა და გმირობამ. ეს მოამზადა დიდმა გონებამ, ქვეყანას მზის გვირგვინით. რომ ადგას თავზე. მოახლოვდა საათი, კმარა! დროა ომის ბორბლები ისევ გერმანიას მიადგეს კარზე. ახლა დავრწმუნდი: აღამიანს ცეცხლშიც შესძლებია იცხოვროს. გილოცავთ გადარჩენას. აქედანაც ვხედავ ჩემს კავკასიას, საქართველოს. ამირანის სიმღერაც მესმის. ღამეა. ისევ სიჩუმეა, ჩქარა ყველაფერი ერთად უნდა დასრულდეს: ღამე, მოთმინება, შეურაცხყოფა! ქვეყანას ერთი სიტყვა უნდა აღმოხდეს: „წინ!“ საათს დაეცქერი. ახლოა მიჯნა. გულმა იგრძნო ეს სიბზლოვე, თითქოს კარს აკაკუნებს — მაღვიძებს, კალამი აღარ მემორჩილება. უნდა დავასრულო ბარათი. მშვენიერად ვარ. მაინც ერთი რამ კიდევ ვერ დავძლიე ჩემში, თუმცა ჩავაჩუმე. ამაზე სხვა დროს. სალამი ყველას, ვისაც ვახსოვარ“. — წერა შეაჩერა და გაიტრუნა. ზარბაზნების სროლა გაისმა. მაინც დაასრულა ბარათი: „უკვე დაიწყო! არტილერიის ცეცხლი ორ საათს უნდა გაგრძელდეს! ნახვამდის, თენგიზ! — შენი ვახტანგი“.

მოიხედა: ფეხზე დამდგარი სპირნოვის გაფართოებულ თვალებს წააწყდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, განა ეს ჩვენ ვართ?

— დიალ. — მოკლედ სთქვა პოლკოვნიკმა.

რამდენი რამ იყო ამ მოკლედ თქმულ პასუხში.

თვითონ ზარბაზნები იძახდნენ გერმანელთა შემოტევის სამუდამო დისასრულს, და ეს ხმები ყოველ ადამიანს მოესმა დედამიწაზე, რადგან მათი ბედ-ლი აქა წყდებოდა.

გამალიზიანებელი, ძნელად ასატანი იყო არტილერიის მკაცრი გრესი, მაგრამ ასეთი, — ალტყინებაში გადასული გალიზიანება, შურისძიებისა და თავგანწირვის გრძობას კიდევ უფრო ამძაფრებდა, ამახვილებდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, დაინგრა ქვეყანა! — როგორღაც თავისთავად დაიძახა კაპიტანმა სპირნოვმა.

— ქვეყანა კი არა გერმანია ინგრევა, კაპიტანო! შეტევა დაიწყო.

თავი მცხრამეტი

გავიდა დღეები. სტალინგრადის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან დაძრულმა საბჭოთა ჯარებმა გერმანელთა სტალინგრადის დაჯგუფება რკალში ჩაჰქცა, დონიც გადალახა, როსტოვისკენ დაიძრა.

მტრის ჯარები რკალის გარღვევასა და თავის გადარჩენას ლამობდნენ. გარემოცვას კედლებს ხან აქ მიაწყდებოდნენ ხან იქ, მაგრამ ამ ცდების შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ რკალი ყოველ საათობით იკუმშებოდა, გერმანელთა ბანაკის კუნძული საბჭოთა ჯარების ზღვაში იძირებოდა. გერმანელები მაინც უარს აცხადებდნენ ჩარადის დაყრაზე. ამიტომ საბჭოთა ჯარებმა იერიშები განავითარეს და გერმანელთა სამასათასიანი არმიის უკანასკნელი წუთები დადგა.

ჰყინავდა. სუსხიანი ქარი ჰქროდა სტალინგრადის ტრამალებში. ყინვები ხესაც ბზარავდა, მაგრამ საკუთარ ძლიერებაში სამუდამოდ დარწმუნებულ საბჭოთა ჯარებს ვერავითარი დაბრკოლება ვერ აჩერებდა.

ვახტანგის დივიზია იყო ერთი იმ პირველთაგანი, რომელმაც გერმანელებს უკანდასახევი გზა გადაუჭრა, საბჭოთა ჯარების სამხრეთის დაჯგუფებისაკენ გაემართა და შეუერთდა.

ახლა კი ისევ სტალინგრადს მიღებრუნდა.

ერთ დასახლებულ პუნქტთან გერმანელებმა წინააღმდეგობა გავაძლიერეს. ხან მარჯვენა ფლანგს დაარტყამდნენ, ხან კი მარცხენას, მაგრამ მთავარი დარტყმის ადგილი ჯერ არავინ იცოდა. აცნობეს:

— გერმანელები მეორე პოლკის პოზიციებთან კონტრიერიშზე გადმოდიან.

— მაშ, საქმე კარგად ყოფილა. რადგან აგრეა, მესამე პოლკი გავაძლიეროთ, — უბრძანა ვახტანგმა.

ფოტა ხნის შემდეგ ისევ აცნობეს:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მტერმა მეოთხე პოლკს შემოუტია.

— საუცხოვოა! მაშ ისევ მესამე პოლკი გავაძლიეროთ!

მართლაც, ალიონისას გერმანელებმა მთავარი იერიში მესამე პოლკის რაიონში დაიწყეს. აქ, მძიმე ზარალის გარდა, ვერაფერი მოიგეს და უკუიქცნენ.

დივიზიამ არ დააყოვნა: ახლა ფლანგებიდან გაიჭრა წინ. მტერი რკალში მოამწყვდია და გაანადგურა.

ვახტანგი ამ დასახლებულ პუნქტს კარგად იცნობდა. ეს იყო ზაფხულში, როცა მტერი სტალინგრადის მიმართულებით უტევედა. მაშინ ის დასახლებუ-

ლი პუნქტი აღმოსავლეთის მხრიდან აიღო, ახლა კი დასავლეთიდან, ამიტომ ამ დასახლებულ პუნქტში შესვლისთანავე ის სახლი მონახა, სადაც მშვენიერი ქალის სურათში უკბილო დედაბერი აღმოაჩინა. იქით წავიდა.

შესვლისთანავე ნაცნობი დედაბერი შემოეგება. შემოსულს მღერსმღერით წვეტიანი თვალებით მიაშტერდა.

— ღმერთო, რას ვხედავ! მე ეს კაცი მინახავს! — წარმოსთქვა დედაბერმა. — ისა ხარ, შვილო?

— ის ვარ, ბებია! როგორ მიცანიო?

— ვერ გამიგია, — აღმოსავლეთით წახვედით, დასავლეთით მოხვედით, — ეს როგორ ხდება?

— დედამიწას შემოვუარეთ, რომ ისეე თქვენთან მოვიდეთ!

დედაბერმა თავი გაიქნია და დაუმატა:

— კი, მაგრამ, შვილო, გერმანია საითკენ მიდის?

— გერმანია დამარცხებისაკენ წავიდა, ბები.

დედაბერი ჩამოჯდა, შვებით ჩაითქვა სული:

— იცოცხლეთ, შვილებო!

ცოტა ხნის შემდეგ, იმავ ოთახში ორი ტყვე გერმანელი გენერალი შემოიყვანეს.

შეშინებულმა დედაბერმა ზეზე აუღვომლად სკამი უკან დასწია და დაიძახა:

— ღმერთო, რას ვხედავ! მე ეს გერმანელებიც მინახავს აქ! მტრები არიან!

— ნახავდით, ბები! ახლა ცოტა მოწყენილნი არიან მხოლოდ, — უთხრა ვახტანგმა. „დასხედითო“, მოუწოდა გენერლებს და სკამი დაუდგა.

დედაბერი წამოდგა, ჯოხი იატაკს ბრაზიანად დაუეკუნა, ბუტბუტი დაიწყო და გარეთ გავიდა.

თავიქანდრული გენერლების თვალებში კატასტროფა მოსჩანდა. სკამზე ისე დასხდნენ, თითქოს ამითაც სავალდებულო მოთხოვნას ასრულებენო.

— ასეთი ახალგაზრდა და პოლკოვნიკი? — იკითხა შეჭადრაგებულმა გენერალ-ლეიტენანტმა და ვახტანგს გაკვირვებით შეხედა. — როგორ გვაჯობეთ?

— საბჭოთა ქვეყანაც ახალგაზრდაა, — მიუგო ვახტანგმა.

— თქვენ ქართველი ხართ?

— დიაღ, საქართველოდან.

— მე ვყოფილვარ საქართველოში. ეს იყო თერამეტ წელს. მენშევიკებმა გაგვიღეს კარი. ბოლოს ინგლისელებმა იქაც არ მოგვისვენეს. შემდეგ ბოლშევიკებისა შეეშინდათ და თვითონაც გაიქცნენ. საქართველო სამოთხეა!

— სამწუხაროა „საბატიო სტუმრებს“, სტუმართმოყვარე ქართველები რომ ასე უხეშად დაგიხდნენ ახლა! — მოუგო ვახტანგმა.

— დიაღ, დიაღ, — სინანულის გრძნობით სთქვა გენერალმა, გაყინული ხელების სრესა დაიწყო.

ვახტანგმა დასტოვა ისინი და წავიდა.

მალე ის დასახლებული პუნქტიც უკან მოიტოვეს.

დივიზია ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად გაჭრილიყო წინ, დაეძლია მტრის უკანასკნელი წინააღმდეგობა და სტალინგრადის დამცველ ჯარებს პირველი შეერთებოდა.

... სალამო იყო. სტალინგრადის გარეუბნებს მიუახლოვდნენ.

აქ ვახტანგის ყურადღება სასტიკმა საპაერო ბრძოლამ მიიპყრო. ერთმა წითელეარსკვლავიანმა გამანადგურებელმა მტრის სამი თვითმფრინავი იმსხვერპლა, ბოლოს თვითონაც დაზიანდა, ცეცხლი მოედო. აქ მფრინავმა დასტოვა იგი, პარაშუტით დაეშვა, მაგრამ ტანზე ცეცხლს მიიღო და დაღუპილი.

როცა ძირს ეშვებოდა, პარაშუტის ზონარიც გადასწვა ცეცხლმა და მფრინავი მოწყვეტილ დაეცა თოვლზე.

ვახტანგს ძლიერ უნდოდა გაეგო იმ გმირი მფრინავის ბედი, მაგრამ ახლა მასთან მისვლა არ ხერხდებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მაინც შესძლო გაეგო, თუ სად იყო მოთავსებული. სანიტარს გაჰყვა. მიწურში შევიდნენ და პირაღმა გაწოლილ მფრინავთან შესდგნენ.

— ვახტანგ!

— ვინა ხარ?

— კაკო ვარ!— მიუგო მფრინავმა, რომელსაც სახე და მარჯვენა მხარი დამწვარი ჰქონდა.

— კაკო! შენ ჩვენი კაკო ხარ?! — ახლა ქართულად შესძახა ვახტანგმა, დაიხარა და ხელი მოხვია — ეს. შენ იყავი?!

კაკო თვალებით იღიმებოდა. შემდეგ თვალებიც მოხუჭა, მშვიდად წარმოსთქვა:

— შენთან ვარ, თავი შინ მგონია... სალამი გადაეცი საქართველოს... — ეს თქვა და დაწყნარდა. ხუთი წუთის შემდეგ აღარ სუნთქავდა.

— რა სასწაულმა შეგვახვედრა ამ სასტიკ წუთებში! — ჩასძახა, მაგრამ კაკოს ეს აღარ ესმოდა.

ღილით დივიზია იერიშზე გადავიდა. იმ უბანზე მტრის უკანასკნელი წინააღმდეგობა გაანადგურა და სტალინგრადის დამცველი ჯარისაკენ გაიჭრა.

უეცრად შესწყვიტეს სროლა. სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ორი მხრიდან წამოსული საზეიმო ყიყინა შეერთდა. ერთნაირი ალტაცებით ჰყვიროდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს.

სტალინგრადის მხრიდან თოფიანი ქალი ვახტანგთან მიიჭრა.

— პოლკოვნიკო, ველარ მიცანით? მე ვარია ვარ!

— ვარია! საიდან, აქ როგორ გაჩნდი?

— ქმართან ერთად ვიბრძოდი! აი, აქ არის, წამო გაგაცნობთ! — უთხრა ვარიამ. სახეზე შეიცვალა, ტუჩების თრთოლვა კბილებით შეაჩერა, პოლკოვნიკს ხელი ჩასჭიდა, თან წაიყვანა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შესდგა, თოვლში გაშხლართულ მამაკაცის წინაშე მუხლებზე დაეცა.

— გაიცანით, ჩემი ქმარია! — დაიძახა და აქვითინდა. — ტროფიმე, ჩემო ტროფიმე! ცოტა კიდევ მოგეთმინა! — სტიროდა ვარია.

ვახტანგმა ქუდი მოიხადა, მოკლულ ზეინკალის თოვლზე დაეარდნო, ნაჯაფარ ხელს დააჩერდა, რაღაც ტალღა შეეხო მის გულს და შეარხია.

...სტალინგრადის ეპოპეა დასრულდა. გერმანიის შეიღასათასიანი არმიის საფლავზე ტყვე გერმანელი ფელდმარშლის დაბრილი თავი მოსჩანდა...

სტალინგრადის დიდების წიგნს მარადისობის ხელი ფურცლავდა: შიგ სტალინგრადის უკვდავება იწერებოდა.



ისევ შავი ზღვის ნაპირას პოსპიტალში იყვნენ ქალები — დარეჯანი და ქეთევანი.

შავი ზღვის ბრაზმორეული ტალღები აწყდებოდნენ ნაპირს — მწველი სიცოცხლე ჩამიტანია, კიდევ ჩაეიტანო. — იმუქრებოდნენ. სამაგიეროდ ხმელეთიც ტოლს არ უღებდა: ზარბაზნების მკაცრი გუგუნით აძლევდა პასუხს.

ყველაფერი ჯაერობდა აქ: ზღვა და ხმელეთი, მიწა და ზეცა. მაგრამ ყველაფერზე მეტად ადამიანები.

... ყუმბარებით დასახიჩრებულ პოსპიტლის შენობაში ნაშუადამეცს ხმაურმა იკლო.

სამორიგეოში დარეჯანი სულ მარტო იჯდა. თვალები ეხუჭებოდა.

უსტვენდა ქარი და ეს სტვენაც ყუმბარების სტვენას მოაგონებდა. არც ერთი, არც მეორე შიშს არა ჰგვირდა. ყოველივე ეს ჩვეულებრივ მოვლენად უფრო მას შემდეგ გადაქცეოდა, რაც ვახტანგისაგან ბარათს ვერ იღებდა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა მისი იქვეები, რომ ვახტანგ-მა დაივიწყა, ამდენადვე მის თვალში გარე სამყარო და მოვლენები ჰკარგავდნენ ფასს — მასზე სიხარულისა თუ შიშის გავლენას. სამაგიეროდ, რაღაც სასწაულით ვახტანგის სახე კი არ იჩრდილებოდა, პირიქით, უფრო გარკვევით მოსჩანდა ახლა, თანაც მიუწვდომლობის შარავანდელით იმოსებოდა. ეს მიუწვდომლობა სტანჯავდა მას, ამ მიუწვდომელი, მეტის-მეტად ამალღებულის სახის წინაშე თითქოს პატარავდებოდა, დნებოდა. მაინც იმდენად დიდი, იმდენად წმინდა იყო მისი სიყვარული, რომ ამ სიწმინდის იმედით ჰქონდა. ეს სიწმინდე ბრწყინავდა, ციმციმებდა და ქვეყნად არავითარ ძალას არ შეეძლო მისი დაფარვა! შეიძლებოდა თუ არა, მიუხედავად სიშორისა, ვახტანგს ეს სიწმინდე არ დაენახა? არა! უსათუოდ დაინახავდა, როგორ შეეძლო არ დაენახა!

ამ იმედით ცოცხლობდა, ეს იმედი სულის წყაროდ გადაქცეოდა. პაერიც კი, რომლითაც ის სუნთქავდა, ამ იმედებით გაელენთილიყო.

მიუხედავად ამისა, მაინც ღელავდა. თავის ამგვარ გადაწყვეტილებაში თუნდაც ოდნავი იჭვის შეტანასაც ვეღარ ითმუნდა.

უსტვენდა ქარი, ყინვისაგან წკრიალი გაჰქონდა ფანჯრებს. პოსპიტლის პალატებშიც ვინმეს კვნესა აღმოხდებოდა, ვინ ბოდვას იწყებდა. ისევ სიწყნარე ეშვებოდა, მძიმე, პირქუში.

ტელეფონი დარეკეს, მილი აიღო და უცბად გაფითრდა:

— პოდპოლკოვნიკი?! რას ამბობ! ქეთევანს სძინავს! მასთან ერთი სიტყვაც არ დაგცდეს! გაფრთხილებ, ბენო! — ტელეფონის მილი დააგდო, სადღაც გაიქცა.

ქვევით, იქ სადაც დაპირილებს იღებენ, საკაცეზე გაწოლილი პოდპოლკოვნიკი შენიშნა.

- თენგიზ, თენგიზ!
- უგრძობლად არის! — განმარტა ბენომ.
- მომიხმარეთ! — დაიძახა დარეჯანმა და საქმეს შეუდგნენ.

ზევით მოათავსეს ცალკე ოთახში. უფროსი ქირურგიც ჩქარა მივიდა. მისი დახმარებით გაუკეთეს ოპერაცია და როდესაც ყველაფერი მოთავდა, დარე-

ჯანმა მიმოიხედა. იქ ბენო აღარ მოსჩანდა. ეს არ მოეწონა — ეშინოდა ქეთევანს არ გაუშვილოსო.

გვიან ღამით თენგიზმა ხმა ამოიღო. თითქოს თავის ორეულს ესაუბრებოდა, გაუგებარ სიტყვებს ამბობდა. ვიღაცას უკავებოდა, სიტყვებს გარკვეული აზრი არ გააჩნდა...

ბოლოს, თითქოს სიკვდილის მაგლაჯუნამ ხელი შეუშვაო, შესწავიტა ბოლღა.

მიმოიხედა.

— ვინ არის აქა? სად ვიმყოფები?

— თენგიზ, აქა ვართი ქეთევანიც აქ არის, მალე მოგიყვან!

— ქეთევანი?.. — იკითხა მან.

კორიდორში ქალის შეძახილი გაისმა. დარეჯანს გულმა უგრძნო, რაც მოხდა იქ. ალბათ ბენომ ყველაფერი უთხრაო ქეთევანს და თვითონაც კორიდორში გაიქრა. მართლაც, აქეთვენ გამოქცეული ქეთევანი შენიშნა.

ქეთევანს თმები გაშლოდა, ტანზე მხოლოდ ხალათი გადაეცვა, თანაც თმბადა:

— მაჩვენეთ, ახლავე მაჩვენეთ! რატომ მიმაღავთ!

— წყნარად, ქეთევან! ის კარგად არის, წამო, შევიდეთ! — მიადახა დარეჯანმა. ხელი მოხვია და წაიყვანა. — ფრთხილად, ქეთევან!

ქეთევანს ცოტათი იმედი მიეცა — ცოცხალი ყოფილაო, და ახლა მოაგონდა თავისი ყვირილი, დარეჯანს მიენდო, ხმა ჩაიკმინდა.

როცა შევიდნენ, ქეთევანს ნაბიჯი და სუნთქვა შეეკრა. ერთ ამოსუნთქვას, ანუ ერთ წაშს შეეძლო ყველაფერი გადაეწყვიტა, — ბედნიერი იყო თუ უბედური! ძლივს მიუახლოვდა. ყურს უგდებდა, სუნთქვას თუ არაო.

თენგიზმა დაასწრო, თვალი გაახილა და ხმადაბლა სთქვა:

— ქეთევან!

ახლა სიზარულმა კინალამ წააქცია ქეთევანი. დაეშვა მუხლებზე, თენგიზს მუხლზე ხელი დაადო, თავზედაც გადაუსვა, შემდეგ საბანში ჩამალა პირისახე და სლუკუნი დაიწყო.

— ქეთევან, რა გემართება. დაჩუმდი, კარგი! — დაუყვავა დარეჯანმა, უნდოდა წამოეყენებინა, მაგრამ ქეთევანი ლოგინს ისე შეეკრა რომ ვერ მოჰგლოჯა.

თენგიზმა ანიშნა დარეჯანს: „ჩემთან იყოსო“ და ქეთევანს ჰკითხა:

— სტირი?

— კი არ ესტირი, ვიცინი, თენგიზ! — მიუგო და, მართლაც, გაუღიმა, თუმცა ცრემლები ეღვრებოდა სახეზე.

ბენოც აქ მოვიდა, ანაზღად შესდგა. თითქოს სურათს იღებსო, თეძობზე ხელები შემოიწყო და გაიჯგინა.

— რა ჰქენით ეს, ბენო, ქეთევანი რად გადარიეთ, ხომ გაგაფრთხილეთ? — უთხრა დარეჯანმა.

ბენო უაზროდ იღიმებოდა.

— რა ჩაეიდინე ასეთი! ამ ქალების საქმე ვერ გამოიგია! რატომ ვერ მიხვდით, რომ გამჰვირვალე ვარ და ჩემში საიდუმლოება არ იმალება, ჩემთან თქმა და რადიოში გამოცხადება იგივეა! — თითი ნაღლა ისწია და ჯარასავით შემოტრიალდა. — მე აღამიანთა საზოგადოებაში ისე მივდეგ ყოველგვარ საიდუმლოებას, როგორც დაგეშილი მწვევარი კერძოდღეს. დაეიქრა,

(თითქოს მართლაც იქერსო, ხელები გაშალა) გამოვიყვან საქვეყნოდ და ყველაფერი ნათელი ხდება!

— კარგი, ცოტა ხმადაბლა. — გააფრთხილა დარეჯანმა. მის ხმაში საყვედური ისმოდა.

— ბოდიში, ქალბატონებო! ახლაც ბუზივით გაეფრინდები აქედან და ვერც მიზილავთ! — მოტრიალდა, გარეთ გავიდა.

მიდიოდა, თავისთვის ბუზბუზებდა გზადაგზა. როდესაც ქვემო სართულის სამორიგეოში დაბრუნდა, მეტისმეტად „აღელვებული“, (თუმცა მან აღელვება არც იცოდა რა იყო) წრეს აკეთებდა ოთახში და ხელებს იქნევდა. ნაბიჯებს უეცრად აუჩქარებდა, შემდეგ ასევე უეცრად შეიანებდა. წრიალებდა: „ნეტავი სიცალიერეა თუ სიღამპლეა ამ ვეებერთელა გოგრაში?“ — თავის თავს ხმამაღლა ჰკითხა და გააფრთხა — რა უნდა შემძინოს ამ საცოდავმა სურათმა? ჩემთვის რა გამოვა აქედან! რამე ახალა საჭირო, თორემ სურათის აშბაეი შეიძლება გაცივდეს. „ჯაზის“ ხელმძღვანელივით უეცრად მხრები აიყარა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, ისევ წინ გამოეშურა და მაგიდას მიუჯდა. წერა კი არა ისეთივე „ხატვა“ დაიწყო, როგორც ვახტანგისაღმი ვაგზავნილ სურათზე გააკეთა „შეყვარებულნი“.

ზევით, პალატაში, თენგიზმა ჩანთა მოიკითხა — შიგ მისდაში გამოგზავნილი ვახტანგის უკანასკნელი ბარათის მონახვა სთხოვა ქეთევანს.

დარეჯანმა გულისფანცქალით გაიტაცა ეს ბარათი და სამორიგეოში კითხვა დაიწყო. რამდენი სიტყვა იყო, იმდენივე ცრემლი ეცემოდა ამ ბარათს. ვანსაკუთრებით დარეჯანის ყურადღება ბარათის ბოლო სიტყვებში მიიპყრეს: „მანც ერთი რამ კიდევ ვერ დაეძლიე ჩემში, თუმც ჩავაჩუმე. ამაზე სხვა დროს“. ნეტავი რა ვერ დასძლია, ან რა ჩააჩუმე? — ეხება თუ არა ეს დარეჯანს? იქნებ აქ სულ სხვა რამ არის. იქნებ ავადმყოფობა აწუხებს რამე, იქნებ კრილობა, რომლის გამრთელება არ მოხერხდება. თუმცა იქვე სწერს „მშვენიერად ვარო“, რა არის ეს, ირონია თუ სინამდვილე? თუ მხოლოდ ირონიაა, მაშინ ვის დასცინის ვახტანგი? თავის ახლანდელ მდგომარეობას? დარეჯანს? მერე რად უნდა დასცინოს დარეჯანს, ან თავის თავს? თუ სინამდვილეა? ეს კარგიც არის და საბიფათოც. ბიფათი ისევე დარეჯანს ეხება. იქნებ ამით დარეჯანისათვის უნდოდა ეთქვა: ხომ ხედავ მე მშვენიერად ვარ, მაგრამ შენ მაინც არ მახსოვხარ, დაგივიწყეთ! იქნებ უფრო ცუდი რამ ხდება, იქნებ სხვა... და ამ „სხვაზე“ შესწყვიტა. ამაზე ფიქრი აღარ უნდოდა, მაგრამ არა, ფიქრი არ ემორჩილება! კიდევ რომ დაემორჩილოს, თავის თავს ვერ მოატყუებს. მოსაზრებათა ყოველ ძაფს ჩასდევს. — ამ გამოდევნების წყურვილს სასწაულიც ვერ შეაჩერებს! „ჰო, იქნებ სხვა შეიყვარა?“ — მთელს ტანში შეაერთოლა. შესცივდა თბითქოს, მოიხრუკა, კანკალი დაიწყო. „შეუძლებელია!“ — რაღაც ხმამ ჩასძახა, თუმცა ამ ხმამ ვერ დაამშვიდა, თითქოს დამაჯერებლობა აკლდა ამ ხმას. „ოჰსა და სიყვარულს რა აქვთ საერთო“ — ასევე შეეცადა იქვის თვალით შეეხედა იმისათვის, რაც დასკვნა, მაგრამ ახლა სხვა ექვმაც გაჰკაწრა გული: „სადაც სიკვდილია, იქ სიყვარულიც უფრო დიდია“ თავზე ხელები შემოიჭირა. უნდა შეაჩეროს აზრი ეს ლუბავს მას! „გულო, შენ რაღას მეტყვი?“ ბოლოს გულს შეეკითხა, მის პასუხს ყური დაუგდო. „როგორ, იქნებ რომ დაგივიწყოს, როგორ შეიძლება გაიყოს გული“.

თითქოს ზღვა დაინახა! ზღვა! რატომღაც ვახტანგს მეტწილად ზღვაზე
 ჰხედავდა (უფრო მას შემდეგ, რაც ვახტანგი ომში წაეიდა) აღბათ იძიებდა,
 რომ ერთხელ ზღვაში დახრჩობას გადაჩენილი ვახტანგის დახუჭული
 თვალები ნახა. ეს მძიმე სურათი არ შორდებოდა. ომიც ხომ ვახტანგისათვის:
 მისცურავს, ტალღებს მიარღვევს! ზვირთები ეხეთქება ურ-
 თიერთს. ვახტანგი იძირება, მაგრამ აჰა, თავი ამოჰყო! გაჰკეთა ტალღა.
 უფრო შორს მიიწევს! ტალღებიც ომობენ, ადამიანებივით ებრძვიან ურთი-
 ერთს! რა ძნელია გადასცურო ეს დაუსრულებელი ბრძოლების ზღვა! რო-
 დის დასრულება ეს ღელვა, ნაპირს ვინ გასცურავს! თვალები მაშინაც
 დახუჭული ექნება? „სამუდამოდ?“ თითქოს ვიღაც სხვა შეეკითხა. ამ
 კითხვამ შეაკრთო. „არა, მხოლოდ ისე, როგორც მინახავს!“ თვით უპასუხა.
 ისევ ბარათს დააჩერდა, კვლავ წაიკითხა: „ამაზე შემდეგ“. რა გაეწყობა,
 უნდა მოითმინოს. ადვილია სთქვა „მოითმინოს“, რა აუტანელია ამ სიტყვის
 აზრი! ოთახი ევიწროვა, ფარდა გადასწია და გაიხედა:
 თენდებოდა.

თავი მეოცდაერთი

გერმანია. მდინარე ოდერის ნაპირები. ბერლინის კარი. გაზაფხული.
 მზიანი დღე!

გზატყეცილზე მსუბუქი მანქანა მიჰქრის! შოფერთან გენერალი ზის. ირ-
 გვლივ ყველაფერს ათვალეირებს.

ერთი თვეც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც აქ ყველაფრის გამანადგუ-
 რებელი ცეცხლი ღვიოდა, მიწა იწვოდა. ახლა თითქოს მიწას დაეიწყებოდა
 ეს ყოველივე, სიმწვანით შეემოსა სხეული. ხეხილის ბაღები აყვავებულან,
 ეელი ბალახს შეუმოსია. ნიაფი ჰქრის და ახალ სამოსელში შრიალებს ბუ-
 ნება, სიცოცხლე სურს!

„რად მიშლით ხელს, თქვენ თუ არა გსურთ, მე მაინც მომეცით სიცოცხ-
 ლის ნება“, თითქოს ადამიანების მიმართ ამბობდა ბუნება და სურდა აღ-
 დგენა, ქრილობების განკურნება და გახარება.

გაშლილი ხეები, თითქოს ხელებს აფარებდნენ საკეთარ ქრილობებს,
 ფარაუდნენ მას, რომ ამ ქრილობების ტყიელი სხვას აღარ ეგრძნო. აღი-
 დებული ოდერი კი მიღელავდა მრისხანედ, მაინც თავის გზით! რამდენი
 სისხლი დაუჯდა კაცობრიობას აქამდის მოსვლა!

თითქოს ოდერი იმ დაღვრილი სისხლის მდინარე იყო!

გზაზე გერმანელი გლეხები მიდიოდნენ თავდახრით, მძიმედ. თითქოს
 მხოლოდ ახლა იგრძენეს, რაც მოხდა.

გზატყეცილზე მსუბუქ მანქანასთან შეჩერებული გენერალი შეიცნო ვახ-
 ტანგმა. შოფერს შეაჩერებინა მანქანა და ძირს ჩამოვიდა.

— პორფილე გრიგორისძე!

— ვის ვხედავ, ძვირფასო ვახტანგ! — იყვირა ელობინმა და მოეხვია.

— საიდან, როგორ, რამდენი ხანია დაეშორდით ერთმანეთს!

— მოსკოვთან, მოსკოვთან! — სიამაყით წარმოსთქვა ელობინმა, უღვა-
 შებზე ხელს გადაისვა, შემდეგ თავის აეტოს გადაჰხედა და ამ გადახედვის
 აზრი განმარტა:

— აი, ხომ ხედავთ მანქანების წაყვანაც ვისწავლეთ!

— სასიხარულოა ვერ წარმოიდგენთ პორტილუ გრიგორისძევე, როგორ სამაყოა ეს ყოველივე! — უთხრა ვახტანგმა, ელობინის მკერდსა და მხრებს სიხარულით შეაქლო თვალი. ამით მან სთქვა: „გენერლის წყევლები და მხარული ორდენებიც ამ სწავლის შედეგიაო“.

— მაგრამ თქვენ რა დაგეწევთ, ძმობილო! თქვენ ოთხი ნახტომით წასულხართ წინ, მე კი ერთხელ ძლივს ვისკებუ! ძველი კაცისათვის ესეც ძვირფასი რამ არის, ა! ჩემი არწივები მომაქროლებდნენ, სულის მოთქმის ნებაც არ მომცეს!

— პორტილუ გრიგორისძევე! მებრძოლთა აღტყინებას რა დაუღვება!

— მოვედით! როგორი გზა გამოვიარეთ, როგორი გზა! — ხარობდა ელობინი და ვახტანგს ბეჭებში ურტყამდა ხელს, — დაეაყვაცებულხართ! დასრულებულხართ! ნამდვილი გმირი ხართ! უბადლო გმირი! შენი ამბები მრავალჯერ მოვისმენია, გულითაც გამხარებია! ხომ დამიჯერებთ, მეგობარო, ხომ დამიჯერებთ? — ამბობდა, ულვაშებს იჯრებდა და ხმამაღლა იცინოდა.

— გმადლობთ, მჯერა. მაგრამ თქვენ ჭალარა შეგმატებიათ! ეს როგორ მოხდა?

— მართალი ხართ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ჭკუაც მომემატა და ჭალარაზე თანახმა ვაგხდი!

გამომშვიდობებისას, ელობინმა ბერლინისაკენ ხელი გაიშვირა და შიდახმა:

— შეეხედებითუ ა, თქვენს კორაუსს ჩემი დივიზიაც არ ჩამორჩება! ბერლინში, ვახტანგ! ბუნაგის ნანგრევებზე გამარჯვება უნდა ავაგოთ!

სალამო ხანს, მდინარე ოდერის მახლობლად, ვიწრო, საცალფებო გზით მიდიოდნენ ვახტანგი და სმირნოვი.

სალამო მშვიდი იყო. ცა მოწმენდილი. ასეთივე სიწმინდე და სიმშვიდე იყო მათ სულში.

— მაიორო, მითხარი რამე — სთხოვა ვახტანგმა და ისეთის თვალით გადახედა, რომ სმირნოვი მიხედა, ახლა ყველაფერზე შეეძლო ბაასი.

— სად წავიდნენ, ამხანაგო გენერალო, გერმანელების „ელვისებური გამარჯვებანი“, მათი არმიის „უძლეველობანი“, გერმანელთა რასის „უპირატესობანი“, ქვეყანაზე ბატონობის უფლებანი და ვაჟაყვობანი?

— წავიდნენ, — მოკლედ მიუგო ვახტანგმა.

— რამდენი ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადა, რამდენი ფაშისტური სახელმწიფო შემოგვისია, — ბოლოს მაინც ვერ წაგვაქცია, — რაში მღვომარეობს ასეთი გარემოებანი და საიდუმლოებანი, ამხანაგო გენერალო?

— სიმართლეში!

— აი, მეოთხე წელი სრულდება ომში ვართ, მხოლოდ რამდენიმე თვეა გაიხსნა მრავალტანჯული მეორე ფრონტი, რომ არ გახსნილიყო, რა მოზღებოდა?

— გერმანიის დამარცხება და ჩვენი გამარჯვება!

— ამხანაგმა სტალინმა ყველაფერი წინასწარ იცოდა.

— ეს ცოდნა საუკუნეებიდან არის მოსული. გენიამ ეს ყველაფერი გამოიყენა.

— ბოლშევიკები ზამთარში გეგობნიანო, რომ იძახდნენ გერმანელები, რომელი ზაფხული უშველის ფაშიზმს?

— კურსკი, არ დაავიწყდებათ!

— ოჰო, კურსკი! ხომ გახსოვთ, ამხანაგო გენერალო, ორიოლში რომ შევდიოდით და ტყვე გენერალი განცვიფრებით შემოგცქეროდათ. იყურა, იყურა და ბოლოს იყვირა: „სად ამოვარდა ამოდენა გრიგალიო“. თქვენ უპასუხეთ: „რუსეთში“.

— მახსოვს!

— ისიც ხომ გახსოვთ, როცა ვარშავაში შევედით, ვილაც ქალის ტანსაცმელში გადაცმული გერმანელი თაიგულით რომ შეგეგებათ. თქვენ ახლოს არ მოუშვით, თაიგულს რევოლვერი ესროლეთ და ის თაიგული მის მომტანთან ერთად აფეთქდა. გერმანელს თქვენი აფეთქება სდომებოდა, თავი წააგო.

— მახსოვს.

— ქალის ტანსაცმელი პიტლერს უნდა ჩაეცვათ, ამხანაგო გენერალო, დაშვენდებოდა.

— კარგი აზრია. — დაეთანხმა ვახტანგი.

ჩამოვარდა სიჩუმე. მხოლოდ ზაკუთარ ფეხის ხმას უსმენდნენ. ღამე ფრთხილად ეშვებოდა ოდერზე. განვილილ გზას რომ გასცქეროდა, რამდენი რამ აგონდებოდა. რამდენი განცდა ომის თუ პირადი ცხოვრებისა, ბევრი რამ ანთებულებოდა და ჩამქრალიყო ახალგაზრდა გენერლის გულში. ახლა კი საბოლოოდ გამოიწვარიყო, დაღუღებულიყო, როგორც ადამიანი და მეთაური. მისი ნერვები ყოველგვარ წვრილმანებზე მაღლა იყო მოთავსებული, მნიშვნელოვან ტყვიებზე უფრო იტანდა. გარემოს გასცქეროდა. განა ასეთმა მშვიდმა ქვეყანამ წარმოშვა გიგი? განა ეს გოეთესა, ბეთხოვენის, კანტისა და ჰეგელის გაგრძელება? რამდენი ვარდი დაიფერფლა უდროოდ. იქნებ ეს უკანასკნელი აგონია იმისა რაც კედება, რაც უნდა მოკვდეს!

ბარეს, გაზაფხულს სურნელით გული აივსეს, უკან დაბრუნდნენ.

წიგნი აიღო. მის მიერვე ხაზგასმული სტრიქონების კითხვა დაიწყო. ფურცლავდა, კითხულობდა. წიგნში დიდი სამამულო ომის ყველა საფეხური თვალწინ მოსჩანდა. ამ საფეხურებზე მალდებოდა თვითონაც. ბოლოს მდინარე ოდერს მიადგა, მაგრამ იმავე წიგნში გზა გრძელდებოდა. ბერლინის თავზე გამარჯვების დროშით ჯეირგინდებოდა... მოკრძალებით დაკეცა სტალინის წიგნი. ფრონტის სარდლის უკანასკნელი ბრძანება გადაიკითხა: „ბრძოლის მეგობრებო! ამხანაგმა სტალინმა სამშობლოსა და მთელი ხალხის სახელით უბრძანა მთელი ფრონტის ჯარებს, გაანადგუროს მტერი ბერლინის ახლო მისასვლელბთან, დაიკავოს ფაშისტური გერმანიის სატახტო ქალაქი და გამარჯვების დროსა აღმართოს ბერლინის თავზე“. — ეს ბრძანებაც წიგნში თქმულს ადასტურებდა.

მაშ იწყება! იწყება არა მხოლოდ შეტევა, თითქოს ზეიმი! უნდა დასრულდეს! კიდევ ერთი გადამწყვეტი ნახტომი გამარჯვება, მშვიდობა, სიცოცხლე! რა ახლოს არის ეს ყოველივე, კარზეა მომდგარი! ამ ერთ ნახტომსაც ხომ შეუძლია „გაეხუმროს“ სიცოცხლეს, გამარჯვების სიტკბოება ვეღარ იგემოს? არაფერია, გამარჯვება მაინც იქნება! უეცრად შეიცვლება ცხოვრება, მაგრამ შემდეგ რა უნდა მოხდეს?..

იმდენად შეჩვეოდა ომის ცხოვრებას, რომ თითქოს სავალდებულოდაც ყი მიჩანდა იგი. არა სჯეროდა, მშვიდობიანობის ფონთან იყო მოსული. შესაძლოა ეს ფონიც ჩქარა გავიდეს, გავიდეს ომიდან მშვიდობიანობაში, უბედურებიდან — ბედნიერებაში, ისევ ნამდვილი ცხოვრებისაკენ იბრუნოს პირი. თუ აგრე მოხდა, იქნებ დაუბრუნდეს თავის თავს. და აქ შეჩერდა. თით-

ქოს ნაცარმიყრილი ლადარი გაეხსნა გულში; ვის მიანდოს გული, რომელიც სიყვარულისათვის არის მოწოდებული? განა შეუძლია გრძნობა გრძნობას დაუმორჩილოს? განა საჭიროა ამგვარი „დამორჩილება“? ეს ხომ ცხოვრებად აღარ იქნება! მას კი სურდა ცხოვრება სრული, მართალეული! მეორე წელია, რაც დარეჯანისაგან ბარათს აღარ იღებდა. მისი მძიმე მძიმე „მყუდროება“ დამყარდა. ეს უფრო აუტანელი აღმოჩნდა მისთვის. ბოლოს მაინც დასძლია თავს. ყველაფერი გულში ჩაიმარხა და ჩააჩუმა... მაგრამ, აი, იქნებ მანამდე, სანამ ომის ბურუსი თავისთავზე ჩაფიქრების ნებას არ აძლევდა! ახლა კი მშვიდობიანობასთან მიახლოებამ ყველაფერი შესცვალა, გრძნობა გაამწვავა, ცხოვრებისაკენ ეხსნება გზა, შეუძლია იცხოვროს, მაგრამ... რატომ შესწყვიტა დარეჯანმა ბარათის გზა? იქნებ იმიტომ, რომ ვახტანგის მოტყუება მეტი აღარ შეეძლო? იქნებ იმიტომ, რომ დარეჯანმა ზედმეტად ჩასთვალა ეს ტყუილები? ან ამ ტყუილებმა მისთვის ყოველგვარი აზრიც დაჰკარგა. მაგრამ რატომ სწერენ მას სოფლიდან დარეჯანზე, როგორც მის შეყვარებულზე? რატომ ვერ გაიგეს, რომ ეს ისტორია გათავდა. „გათავდა?“ ამ სიტყვამ მახვილივით გაირბინა მის გულში...

გარეთ ღამე დაუხვდა. მოაგონდა ღამე ვოლგაზე გენერალური შეტყვის წინ. მაშინ იქ ჰყინავდა. აქ კი სითბოა, გაზაფხულია! იქ იწყებოდა, აქ კი თავდება! იქ პირველი სხივი ინთებოდა, აქ მზე ამოდის! როცა უკან იხვედნენ, ძლიერდებოდნენ, წინ მოიწევდნენ, — ძლიერდებოდნენ. ახლა ეს ძლიერება მწვერვალზე აღის. საოცარი არითმეტიკაა — ისეთი, რომელიც სამშობლოში ყველასათვის გასაგებია, უცხოელისათვის კი გაუგებარი. წავიდა. მიწიდან ისმოდა მებრძოლთა ხმადაბალი სიმღერა, მუსიკა. ამ ხმებში როგორი ძალა ისმოდა!

მეორე ღამეს აქ არაეის დაუძინია. არა თუ ძილი, უღრან სიჩუმეში ურთიერთისადმი ჩურჩულიც დიდ მოვლენად ეჩვენებოდათ.

ყველაფერი მზად იყო, ნერვებიც კი.

მდინარე ოდერის გაღმა, მტრის ბანაკშიც გასაოცარი სიჩუმე იყო. „კარგი ნიშანია“, გაიფიქრა ვახტანგმა.

როცა ღამის ოთხი საათი შესრულდა, თითქოს თვით დედამიწა ფეხზე წამოხტა.. დაიწყო! ოცდაორი ათასი ზარბაზანი, ხუთი ათასი თვითმფრინავი, ოთხი ათასი ტანკი, მთელი ფრონტი ამოძრავდა და ამოქმედდა!

რა არის ეს? რისი შედარება შეიძლება ამ საშინელი, მიწისა და ცის შეერთებულ რისხვასთან? სტალინგრადში შეტყვის ღამე? კურსკის? ვარშავის? არა. რაც ახლა ხდება, ამასთან არაფრის შედარება არ შეიძლება! ასე სრული არასოდეს არ ყოფილა ცეცხლის ზეიმი და საზეიმო აღლუმიც დაიწყო! შეტყრები ცაში ფრინავენ. ბერლინს მიანათა, სიკვდილი ამცნო! აქ ვი ღამე დღედ გადაიქცა

აკვანივით დაირწო ბერლინი. იქნებ იმიტომ, რომ შიგ, ვით ბავშვს, ახალ გერმანიას გაეხილა თვალები. „რა არის ეს, ომია თუ მეორედმოხვდა, სინამდვილე, თუ სასწაული?“ — კითხულობდნენ ბერლინში, ქალაქში, რომელიც დღემდე ომის ვერავითარმა ცეცხლმა ვერ გამოადვიდა.

დილაადრიან ოდერის გაღმა, მტრის დანგრეულ სიმაგრეებზე გადადიოდნენ. ფრონტის სიღრმიდან მტრის ზარბაზნები უშენდნენ გზატკეცილს.

უეცრად გზაზე წითელი ჯვრის აეტოს მახლობლად დაცემულმა ყუმბარამ მიწა აჰყარა, როცა კვამლის ბურუსი გადაიწმინდა, აეტო არ სჩანდა. იქვე ქალის შემზარავი შეკვივლება გაისმა.

ექიმი ქალი, ლიდია ალექსანდროვნა, გზატკეცილზე იწვა პირადმა. მის წინაშე მუსია ონისიმოვნა მუხლებზე დაცემულიყო, ლიდიასათვის მხრებში ჩაეელო ხელი და ჩასძახოდა:

— ლიდია, ლიდია! მომხედე!

იქვე, საიდანაც ვახტანგიც გაჩნდა. მიიზინა, დაიხარა. მუხლებზე დასწოდა ხელი და წინაშე, ხელში ხელი მოჰკიდა, სიცივე შეხვდა.

— ლიდა, ლიდა!

ლიდა ვახტანგს მისჩერებოდა, თითქოს სიცოცხლის დარჩენილი ნაპერწკლები ამ ცქერაში გადმოეტანა და მისი სიცოცხლე მეტი არც იყო. შემდეგ თითქოს ღმილად გადაიქცნენ ეს ნაპერწკლები და უეცრად ჩაჰქრნენ. თვალეები ნელა ეხუჭებოდა.

ვახტანგმა ხელზე აკოცა და ზეზე წამოდგა...

— ახალი მსხვერპლი, შერე რა დროს! ბერლინის კართან!

...მერთზე დღეს ბერლინის გარეუბნებში გაჩაღდა ბრძოლა. საბჭოთა დივიზიები ორი მხრიდან ერთმოდნენ ქალაქს და ცენტრისკენ მიიწვედნენ. ეს დივიზიები მოდიოდნენ სტალინგრადიდან, კავკასიიდან, სევასტოპოლიდან, ყველა გადამწყვეტი ბრძოლის ცეცხლიდან. ამ დივიზიების ოცნება იყო ბერლინი, ის, თუ რომელი მათგანი პირველად შევიდოდა ქალაქში.

...ვახტანგს ქართული სიმღერა შემოესმა და გაუკვირდა. ვიღაც „ჩემო ციციანათულას“ მღეროდა მარტო. იქითკენ გაეშარათა. ქუჩაში ახლადშეფოთლილი ხის ძირას იწვა მეგრძოლი, გაფატრულ მუცელს დასჩერებოდა. სახეზედაც სისხლი სდიოდა.

— ვინ ხარ, ძმობილო, სადაური ხარ? — ქართულად შეეკითხა ვახტანგი.

— აა, შენც ქართველი! — უპასუხა დაქრილმა. — მიხარია. თითქოს მინახავხართ ოდესღაც.

— შერე აქ როგორ?

— მხვერავად გამომგზავნეს. ძლიერ მინდოდა, მაგრამ აქ მოვკვდი, ვეღარ წავედი!

— რა გვარი ხარ?

— რა საჭიროა! ვარ ერთი...

— ვინაობას რატომ არ ამბობთ?

— რომ ვთქვა, ჯედაჩემი დაიტანჯება! იფიქროს დედამ, რომ ცოცხალი ვარ.

არც რაიმე საბუთები აღმოაჩნდა, რომ ვინაობა გაეგოთ.

დაქრილმა ღმილით სთქვა:

— ნულარ დაეძებთ. საბუთები წუხელ მოვსაპე, არავის ენახა. მას შემდეგ ვწევარ. გერმანელები წავიდნენ. სიმღერა დავიწყე. ჩემსავე სიმღერებში მშობლიური ხმები მესმის. ვიმღეროთ, ქართველო, ერთად ვიმღეროთ!

ვახტანგმა სანიტრებს გამოუძახა, მაგრამ ამაოდ! გვიანდა იყო.

...ჯარები შეიჭრნენ ბერლინში. ვახტანგი გასცქეროდა ქალაქს და ფიქრობდა: „აი, მთავარი და უკანასკნელი. აი, ზერელები, საიდანაც გამომვრნენ“.

„კატიუშები“ ისევ ცეცხლს ახველებდნენ, შანთებად გადაქცეულ ყუმბარებს ზედმიყოლებით ჰყრიდნენ პირიდან.

რამდენიმე დღის შემდეგ სრულ გარემოცვაში მოემწყვდა ბერლინი. საბჭოთა არმიები ბერლინის ცენტრშიც შეიჭრნენ.

ქალაქში „კაპიტულაციაზე“ გავრცელდა ხმები, მაგრამ ბრძოლები მაინც არ წყდებოდა.

ქალაქის ცენტრში რაიხსტაგის შენობას მიუახლოვდნენ.

აი, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართეს და გაისმა „გერმანიის ჯარის ის ნაწილები, რომელსაც ვახტანგი მეთაურობდა, მათი მეთაურის საბჭოთა ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფს და აქაც გრიგალისებური „ვაშა“ გაისმა.

ვახტანგი იღვა. გული უთრთოდა. ნუ თუ თავდება? ნუ თუ ეს ბოლოა? ცნობა მიიღეს: გერმანიის ჯარებმა იარაღი დაჰყარეს და ბრძოლა შესწყდა.

— კაპიტულაცია, კაპიტულაცია, — ისმოდა ქუჩებში.

სიხარულის ხმები ტალღებივით დაიღვარა ბერლინზე; გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს, და ჰქუხდა მუსიკა!

ვასკა და ზურაბი ვახტანგთან მიიჭრნენ.

ვახტანგმა გაშალა ხელი და მიეგება.

— უკვდავო ბიჭებო! — შესძახა მათ და ორ გმირს ერთად მოჰხვია ხელი! ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგმა ჯარების ჩრდილოეთის დაჯგუფებიდან წამოსული მეთაურთა ჯგუფი შენიშნა. თითონაც შეჰკრიბა მეთაურთა პატარა ჯგუფი და შესახვედრად გაემართნენ. ეს ორი ჯგუფი რომ ურთიერთს მიუახლოვდა, ჩრდილოეთის მხრიდან სულ წინ მომავალი გენერალი იცნო ვახტანგმა.

— მიტია!

— მეგობარო! — გაისმა პასუხად და მიტია მირონოვი მიიქრა მასთან! ვახტანგმა უთხრა:

— ერთად იმიტომ ვიზრდებოდით მოსკოვში, რომ დავაყაყებულნი ბერლინში მოვსულიყავით?

— ეს ჩვენი ცხოვრების მხოლოდ ერთი, თუმცა დიდი საფეხურია! — მიუგო მიტიამ.

მათი ყურადღება იქვე ღიმილით შეჩერებულმა სმირნოვმა მიიპყრო: სმირნოვს გაკაწრული ყურიდან სისხლი წვეთებად ჩამოსდიოდა.

თავი მეოცდარე

შვიდად თენდებოდა ბერლინში.

აქა-იქ ბოლი ამოდიოდა, ზანტად იღვრებოდა ჰაერში და იქვე ღნებოდა. დროის კბილებით დახრული სახლებიც ამბობდნენ: „აქ მოკვდა რალაც“. ბერლინის თავზე აღმართული დროშა კი ამბობდა: „აქ იშვა რალაც! სამარადისო!“

ვახტანგმაც გააზილა თვალები. ოთახი-მზით ავსებულიყო. ადგომას მაინც არა ჩქარობდა. რაც ომში იყო, ასე შვიდად პირველად მოისვენა საწოლში. ყურს უღვებდა სხეულის ფრიალს, თითქოს უკვირს, ეს როგორ მოხდაო. თითქოს ასევე ისვენებდა ოთახიც, შიგ მოთავსებული ყოველი საგანი, ისვენებდნენ სხივებიც — გატარუნულნი და მოღიმარნი!

მხოლოდ აქაც, ამ ოთახში, ერთი სახე არ ისვენებდა, ფხიზლობდა. ის თითქოს აქედანაც ყველაფერს ჰხედავდა, ჰკრეტდა. „აქაც მოვიდა ბელადის სახე“ — იფიქრა და ზეზე წამოღვა.

გამარჯვების დღე იყო. უმოკმელობას გამარჯვების დღეც არ მიაპატიებდნენ. გაიფიქრა, სწრაფად ჩაიკვია.

ოთახში დადიოდა, ფიქრს მისცემოდა.

წინა ღამეს ბერლინის ერთ-ერთ თეატრშიც იყო. გერმანელი არტისტები გამოდიოდნენ. თუმცა ფიქრით ის სხვაგან იყო, ტაშს მაინც უკრავდა. ასე ეგონა: ყოველი არტისტი თავისი ყოველი გამოსვლით ცდილობს რამე ახალი, მოსაწონი თვისებები გამოაჩინოს, მაგრამ თუ ეს ვერ შესძლო, — ტაშიც აღარ დაუკრეს, დაიღუპება, ყველაფერი ერთად დაეკარგება: სახელი, დიდება და ბოლოს პურიც! ამიტომ ტაშის დაკვრა ყოველთვის მოვალეობად მიაჩნდა მას. ეს შემთხვევა იმიტომ მოიგონა, რომ ახლაც იქ სურდა მისვლა, სადაც წუხელ თეატრში ყოფნის დროს იყო ოცნებით, საითკენაც მისი სული მუდამ ისწრაფვოდა: ეს იყო სიყვარულის დიდი სამყარო! ამ სამყაროში ერთი ახალგაზრდა ქალის სახე მოსჩანდა, თუმცა იმ სახეს რაღაც ჩრდილიც ეფარებოდა, კარგად დანახვის ნებას არ აძლევდა!

რა ხელს შეუძლია იმ ჩრდილის ფარდა გახიოს? თითქოს ამ გრძნობებს გაეჭვიათ, მივიდა, სმირნოვს გამოუძახა.

სმირნოვი ყოველთვის წინასწარ გრძნობდა, როდის, როგორ განწყობილებაზე იყო ვახტანგი და მასთან როგორი ხასიათის საუბარი უნდა დაეწყო. დღეს არაჩვეულებრივად მზიარული იყო სმირნოვი. ამიტომ ყველაფერზე უფრო თავისუფლად ლაპარაკობდა.

ამას გრძნობდა ვახტანგი და საუბარში არამც თუ უშლიდა ხელს, პირიქით, სთხოვდა, რომ მეტი ეთქვა.

— ამხანაგო გენერალო! მზიანი დღეა, გარეთ მიგვიბმობს და აქ როგორ დავრჩეთ? — ამბობდა სმირნოვი და მის მიერვე დასმულ კითხვებზე ხშირად თვითონვე უპასუხებდა. — ჰიტლერის აფორიაქებული ოჯახი ვნახე, მაგრამ ერთხელ მუსოლინის აქოთებულ უბანშიც მიწოდდა გადამხეხედა... კარგად მოშენებული ქალები ყოფილან ბერლინში. ჯერ ცალი თვალით გვიცქეროდნენ შორიდან, შემდეგ ახლოს მოვიდნენ და გაღიმებაც იცისრეს. ახლა კი მეშინია ჩემი მარუსია არ დამაფიქრონ, საქვეყნოდ საჯაყი საქმეები არ ჩამადენიონ.

ვახტანგი გულიანად იცინოდა და სთხოვდა სმირნოვს განეგრძო ბაასი.

— ეჭვები! ყველაფერში ეჭვები! ჩემი მარუსია რომ ეჭვიანი გამოდგეს მისი შენახვაც გაძნელებოდა. თუ აგრეთ, დავდგით და ჩვენც ვიეჭვიანოთ, ვიძახოთ საქვეყნოდ: ვის უნდა შევეუნახოთ ფაშისტური ესპანეთი და პორტუგალია, არგენტინა და სხვა ამისთანა! ჰერსტები თუ ჰესები! — განა იმისათვის, რომ დედამიწაზე ახალი ომი გამოიწვიონ? თუ თანასწორობის მომხრე ვართ, რაღა საჭიროა კოლონია და ჰეგემონია! რა არის ეს? — უსამართლობა. ჰოდა თუ უსამართლობა დარჩა, ომიც დარჩება.

— დიპლომატი ყოფილხარ, გრიგოლ! — უთხრა ვახტანგმა.

— ამხანაგო გენერალო, დიპლომატია სიმართლეს მაინც ვერ შესცვლის. ტყუილებისაგან სიმართლე ვის შეუქმნია?

— არა. ზოგჯერ ტყუილითაც შეიძლება მიაღწიო სიმართლეს! ხოლო სიმართლეს დიპლომატიაშიც შეუძლია მოსპოს ტყუილი!

— ამხანაგო გენერალო, აქ სად მოვედით? ჩემი მარუსიიდან ფილოსოფიაში ჩავკარი თავი.

კორიდორში ფეხის ხმა მოისმა. ვილაცამ კარზე დააკაკუნა.

სმირნოვმა გაუღო. უეცრად შეკრთა:

გენერალი ბარსოვი დიმილით შემოვიდა ოთახში. მან გამარჯვების დღე მიულოცა ვახტანგს, შემდეგ მის ადიუტანტს, ოთახში გაიარ-გამოიარა. სარკმელთან შესდგა და ბერლინს გაჰხედა.

— ქვევით სჩანს ბერლინი. მაისი ბერლინსაც ათბობს. ვახტანგო, სად ასულან ჩვენი დროშები! ეს ჩვენი ქვეყნიდან მოფრენილ დროშებზე! ბევრი რამ არის აქ მოსალოცი. ეს მოლოცვები არასოდეს არ დაიღვევა, მაგრამ ახლა მინდა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მოგილოცოთ! — სთქვა ესა, მობრუნდა, ვახტანგს ხელი ჩამოართვა და გადაჰკიცხა.

ვახტანგი გაოგნებული იდგა ცოტახანს. შემდეგ წარმოსთქვა:

— ამხანაგო გენერალო, ეს როგორ მოხდა, და რისთვის, რატომ?

გენერალმა ბარსოვმა სიცილი დაიწყო.

— აი, რაშია ჩვენი ძალა! არ გვინდა ვაღიაროთ, რა გავაკეთეთ. ამიტომ მოვიტანეთ ბერლინში ჩვენი ქვეყნის დიდების ემბლემა, ამით კაცობრიობის გულშიც შევედით!

გენერალმა ბარსოვმა სმირნოვსაც მიულოცა წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვება. ამან ვახტანგი გამოაცოცხლა, მიულოცა სმირნოვს და მიამახა:

— აი, გმირი! მთელი გზა თითქოს სიმღერით გამოიარა. გრიგოლის მოწყენა, ან საჩივარი კაცს არ უნახავს! ბოლოს ტყვიამ ყური გაუქაწრა ბერლინში, რომ მისი სისხლის წვეთები სამახსოვროდ დარჩენოდა კაცობრიობას.

ბარსოვმა ისევ გაიციხა და სმირნოვს მხარზე ხელი მოუთათუნა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! სმირნოვ, შენი სისხლიც აყვავდება დედამიწაზე! ბარსოვი წავიდა. ახლა ვახტანგის სხვა მეგობრებით აივსო ოთახი. ულოცავდნენ.

ბოლოს ვასკა, ზურაბი და მუსია ერთად მოვიდნენ.

მუსია დღეს პირველად არაჩვეულებრივად იყო გამოწყობილი.

თვითონაც მთლად გამოცვლილიყო, — დამშვენებულიყო. აქედანაც სჩანდა თუ რას ნიშნავდა ომი და რაა მშვიდობიანობა. ამ განსხვავების ცოცხალი სურათი იყო მუსია.

„ალბათ ლიდაც ასე შეიცვლებოდა, დამშვენდებოდა, რომ ბერლინის კართან უდროო სიკვდილს არ მოესწრო. უფრო სათნო, მიწიღველი გახდებოდა მისი სახე და საქციელი!“ — გაიფიქრა ვახტანგმა.

ამ მოგონებამ გული გაუქაწრა. მეორე მხრივ, ამ შემთხვევამ სტალინგრადის ფრონტზე, გენერალური შეტევის წინაღამით თქმული, ლიდას სიტყვებიც მოაგონა ზურაბს და მუსიას, მათი ბერლინში დაქორწინების შესახებ.

მუსიას ცრემლები მოერია. ხელებით დაიფარა სახე.

— ბევრი დავკარგეთ! სიცოცხლეს მაინც ზურგს ვერ შევაქცევთ, — ამოდენა მსხვერპლი ჩვენი სიცოცხლისათვის იყო საქირო! — უთხრა ვახტანგმა.

ამ სიტყვამ კიდევ უფრო ააჩუყა მუსია. ძლივს დააწყნარეს.

წავიდნენ. ვახტანგიც გაჰყვა...

ორიოდე საათის შემდეგ ისევ მობრუნდა.

ო, რამდენი მეგობარი ჰყავს, რა დიდია ბედნიერება, კვლავ მარტოობა! ასეთი მარტოობა ომშიც არ განუცდია. რაღაც ძლიერ დიდი აკლია, რაღაც სტკივა. ეს ტკივილი ომის შემდეგ კი არ კლებულობს, თითქოს ძლიერდება, მწვავდება! ისევ გაეჭყეს? არა, გაქცევა თავის მოტყუება! — პირიქით,

დროა, მზად იყოს ტკივილებსათვის, ყური დაუგდოს, მოუსმინოს. თუ არ განიცადა, ისე გამოსავალს ვერასოდეს იპოვის. ტკივილები გზას თქვენი გამოაჩენენ. მაგრამ რა გზას? მას როგორ შეხვდება? რა უნდა უთხროს ერთმანეთს? ვანა შესაძლებელი იქნება გასაუბრებაც კი იმის შემდეგ, რაც ერთმორის ზოხდა? მართლაც, ხომ შესაძლოა ერთმანეთს არასოდეს შეხვდეთ უბრაონ?

იქნებ საჭიროა უკან დაბრუნდეს, — ტკივილებს აღარ გამოედევნოს? — მას შეუძლება უფრო სამწუხარო დასკვნების ტკივილები განაცდევინოს. არა! მაინც უნდა გასდიოს მას, სადაც უნდა მივიდეს აზრი, თუ ის სინამდვილეს ამუქებს, უნდა მისდიოს!

საყოლო გაიხსნა, სავარძელში ჩაჯდა და გადასწყვიტა: რაიმე საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო დღეს. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, ნიშნად ტკივილებისადმი მორჩილებისა, თავი დაჰხარა და ტელეფონის ზარიც გაისმა.

— ეინ მელაპარაკება? როგორ, თენგიზი?! ძვირფასო! საიდან, როგორ?! ჩემთან, ახლავე ჩემთან! — ხელი გაშალა, პოტრიალდა, სადღაც გაიქცა.

მალე ერთად დაბრუნდნენ.

ხელიხელჩაკიდებულნი დადიოდნენ, შეხვედრის სიხარული არ ასვენებდათ. ურთიერთს ბეჭებში ურტყამდნენ ხელებს და იცინოდნენ.

— იქნებ ფიქრობდით, ყმაწვილო, რომ ცოცხალი აღარ ვარ! თქვენ თუ გულში შემოიჭურით, ჩვენც სამხრეთიდან ფრთა მივაჭურით და ბერლინი საკუთარ სისხლში წაიქცა! შენი მონახეა კი უფრო გაძნელდა! — ამბობდა თენგიზი.

— არ იქნა, თენგიზ, უკან ვერ ჩამოვტოვე, ვერც საიქიოსკენ გამგზავრებით და ვერც სიცოცხლით! — იცინოდა ვახტანგი.

— ცდებით, ყმაწვილო! საიქიოსაკენ პირი რომ გექნა, იქ ჩემს ფეხს გელარ ნახავდი! ახლა კი, ჩემი ბარჯით კარს მოგადექი და ამაღამ, ზარბაზანი რომ მომაყენო, გარეთ ვერ გამაგდებ, ხვალ თოკითაც გელარ დამიჭერი!

როდესაც შეხვედრის პირველი აღტყინება შენეღდა, სავარძელში ჩასხდნენ. წუთიერთმა სიჩუმემ სევდის უხილავ აჩრდილივით გააქროლა ოთახში. ამ სევდიანი სიჩუმის მიზეზი უსიტყვოდაც გასაგები იყო მათთვის. რამდენადაც ძლიერ ინთებოდა ხანძარი, იმდენადვე მეტ სიცოცხლეს აჭრობდა იგი, მაგრამ ეს სიჩუმე, ყველაზე მეტად სარდიონს შეეხებოდა, მას ეკუთვნოდა. ძმადნაფიცთა შორის მისი ხმა აღარ ისმოდა. ამიტომ იმ დღემილში თითქოს სიტყვა სარდიონს მისცესო, უსმენდნენ მას. თავის მხრივ სარდიონიც თითქოს ამბობდა:

„ძმებო, მძიმეა მიწა, რომელიც სამუდამოდ გულს დამაყარეს, ვერ წამოვდგები. ვერასოდეს თქვენთან ვერ მოვალ. მაგრამ მიწაშიც ნუ დამივიწყებთ. მიწა ჩემია, ხმას ვერ გაიღებს. თქვენ თვითონ ჩამომძახებთ ქვეყნის სიხარული. მით გამაზარეთ“.

— სიცოცხლე არავის ეპატიება თუ ომის სიგიჟე კვლავ განმეორდა, — წარმოსთქვა ვახტანგმა.

— იმოდენა ნაგავი დარჩა, რომ შესაძლოა კვლავ განმეორდეს.

— რამდენი საუკუნე გავიდა, რაც სამართლიანობაზე და სიყვარულზე ქადაგებდნენ და სწორდნენ წიგნებში. მილიონობით ტომები და სიტყვები დახარჯულა ამაზე, მაგრამ სარდიონს მაინც ვერ უშველეს. თითქოს რაც შეტი ითქმის, მხოლოდ იმიტომ, — უკეთ მოგატყუონ და შემდეგ მოულოდ-

ნელად ყელი გამოგჭრან. ნამდვილად მხოლოდ ჩვენი ქვეყანა ებრძვის ამ ბოროტებას ბოლომდის რაც მსხვერპლს მოითხოვს!

— ძალით შექმნილი ბოროტება ძალამ უნდა გაანადგუროს, თუმცა შესაძლოა ამისათვის დიდი ომები აღარ იქნეს საჭირო! — დაუშვს მტკნარ ზმამა.

— ძალას შეუძლია ზოგჯერ უომრადაც აპყვეთოს ომი თუკენ ძალს ბოროტების ხელში არ არის, — დაასვენა ვახტანგმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმის მიზეზი ვახტანგის ახლანდელ სულიერ მდგომარეობას შეეხებოდა. ფიქრით შორს იყო, თენგიზის სიტყვებიც კარგად არ ესმოდა, — მასზე გარკვეულ პასუხს ვერ აძლევდა.

— ვის შეეძლო უკეთ დაეღუპა გერმანია, ვიდრე ეს ჰიტლერმა მოახერხა? — ჰკითხა თენგიზმა.

— არავის.

— შენ როგორ ფიქრობ, გერმანელმა ხალხმა მოასწრო გამოღვიძება?

— გამოიღვიძებს.

თავის მხრივ თენგიზიც გრძნობდა, თუ რაზე ფიქრობდა ვახტანგი ახლა, მაგრამ თითქოს განგებ ამაზე ხმას არ იღებდა.

ვახტანგიც ხუდებოდა აჰას და ბრაზობდა, თუმცა ამ გაბრაზების მიზეზს არ ამხელდა, ვერც გაამხელდა.

ბოლოს სრულიად მოულოდნელად თენგიზმა უთხრა:

— მივიხედი, ყმაწვილო, თუ რაზე ბრაზობთ! ახლა მაინც მიბრძანეთ, დარეჯანი რატომ მოჰკალით?

— მოგკალი?! — დაიყვირა ვახტანგმა. თენგიზს მკლავში ხელი ჩაჰკიდა, მოუჭირა.

თენგიზი გაკვირვებით, თუმცა ღიმილით მისჩერებოდა.

— რაო? თქვენ ღელავთ?

— მითხარი, თენგიზ, რა დაემართა, რად მეხუმრები?

— იქნებ შენც ხუმრობდი, ქალი კი კვდებოდა!

— სიპართლე მითხარი, თენგიზ, და სიტყვას გაძლევ, ყველაფერს გეტყვი!

— რამდენჯერ ვთხოვე, მაგრამ ერთხელაც არ მიპასუხე. შემდეგ მეც თავი მივანებე დარეჯანის შესახებ წერას, თუმცა დარეჯანმა თავიდან არაფერი იცოდა, თუ მის შესახებ რაიმეს გწერდი. ეს რომ გაეგო, მით უარესი; პასუხს არ მწერდი, — რა უნდა მეთქვა?

— ახლა სად არის?

— სადღაც არის და შენ ვერ გაიგებ!

— ვიცი, მიჯავრდები, მაგრამ დროა მომისმინო. დარწმუნდები, რომ დამნაშავე არა ვარ! — უთხრა ვახტანგმა და მთლად გაფითრებულმა გამოალო მაგიდის უჯრა, რაღაც ამოიღო და თენგიზს გადასცა.

— დახე, არ მოგწონს?

თენგიზმა დარეჯანისა და ბენო ბერიძის ერთად გადაღებული სურათი შეათვალიერა, გადააბრუნა, გადმოაბრუნა, თითქოს ამ სურათში ჩააფიქრა კიდევაც. შემდეგ უეცრად, რაღაც აზრმა გაუელევა, მივიდა, თან მოტანილი ყუთი გახსნა, ქაღალდებში რაღაც იპოვნა და ვახტანგის ახლოს ღიმილით შესდგა.

— ინებეთ, შეადარეთ, ამ ორ სურათს რა აქვს საერთო?

ვახტანგმა აიღო სურათები და შეადარა. მის თვალებში გასაოცარი ცვლი-

ლება ხდებოდა: გაკვირვებას სიხარულის გრძნობაც ერთვოდა. თენგიზს შე-
სძახა:

— რა არის ეს? ვერაფერი ვერ გამიგია! თითქოს იგივეა, — აქედან არის!

— მაშ ხომ შეიძლებოდა ახალგაზრდა ექიმების საერთო სტუდენტურ ბო-
როტ ხელს ამოეჭრა სწორედ ის ადგილი, რაც შენ გალელქვბს? იქნებ?

— შერე რათა, რისთვის?!

— ჯერ საკუთარი, შემდეგ კი შენი სისულელისათვის! — აჯავრებდა თე-
ნგიზი.

— თენგიზ! — დაიძახა ვახტანგმა, მზად იყო მოხვეოდა, მაგრამ რაღაც
გრძნობამ კვლავ შეაჩერა. მივიდა, ახლა ბარათი ამოიღო უჯრაში და თენ-
გიზს გადასცა.

— თენგიზ, ეს ბარათიც გადაივითხე და შენებური განმარტებაც მო-
მეცი!

თენგიზმა გამოართვა ბარათი და კითხვა დაიწყო:

„ძვირფასო მეგობარო ვახტანგ! რომ არ მიყვარდე, გაეჩუმდებოდა.
მხოლოდ შენდამი სიყვარული მაიძულებს გაცნობო სიმართლე. ახლა
გავიგეთ: შენი დარეჯანი ბენო ბერიძეს დაშორებია. ერთი ტანკისტი მაი-
ორი შეჰყვარებია და პირობაც მიუციათ ურთიერთისათვის. ვიცი, არ გაგე-
ხარდება, მაგრამ დაბრმავება უფრო ცუდია, სიმართლე სჯობს და მეც გა-
ფრთხილებ. შენი მეგობარი“.—დაასრულა თუ არა, სიცილი მორათო.

ვახტანგი ჯერ თავდაპირვით მისჩერებოდა. ის გრძნობდა, რომ ეს უკანას-
კნელი ეჭვიც იფერფლებოდა, რომ ეს ამბავიც ნაცნობი უნდა ყოფილიყო
თენგიზისათვის. მისი სიცილიც მხოლოდ ამას აღასტურებდა.

— ხელი მაინც შეგედარებია, ძვირფასო! ეს ბარათიც ხომ ისეთი „მხატ-
ვრობაა“, როგორც სურათზეა გამოყვანილი!

— ეს მეც შევნიშნე, მაგრამ ვინ არის იგი და რა უნდა?

— რაღვან არ მეშეები, სჯობს გამოგიტყდე: სჩანს, ეს ყველაფერი ისევ
იმევე თავქარიანი ბენო ბერიძის ჩაღვნილია, რომელსაც შენ მხოლოდ შო-
რიდან იცნობ! ის ქალებს აწუხებდა მომამბეზრებელი ოხუნჯობით თუ სი-
სულელით. ამიტომ ქალებიც სტუქსავდნენ. განსაკუთრებით დარეჯანი ვერ
იტანდა მის სისულელეს. და აი, ხომ ხედავ, ბოლოს როგორ გადაუხადა?
იცი რომელ ტანკისტზეა აქ ლაპარაკი? ეს ჩვენი მირზაა, რომელზედაც ბა-
რათში გწერდი!

— რას ამბობ, თენგიზ?! მბატიე, ყველა სისულელე მბატიე, ძმობილო!
— იყვირა, გაუნათდა სახე. მისი სულის არც ერთი კენჭული სიბნელეში არ
დარჩენილა! ხელი გაშალა, თენგიზს მოეხვია, შემდეგ დაუსრულებელი ხარ-
ხარი მორათო. თენგიზიც აპყვა და მათი ხარხარი ქუჩას ესმოდა.

— ეს ყველაფერი იმ თავქარიან ექიმს ეპატიება, მაგრამ შენ როგორ
დაბრმავდი, ძმო? — ჰკითხა თენგიზმა.

— რას იზამ, ძმობილო, სიყვარული ზოგჯერ ბრმა არის, ზოგჯერ გე-
ნოსად იქცევა! — მიუგო ვახტანგმა.

დიდ ხანს იცინეს, იხარხარეს.

ვახტანგი გრძნობდა, რომ ამ დაუსრულებელ ხარხარში მთელდებოდა
ჭრილობა, რომელიც წლობით გულში ატარა. უეცრად რაღაც გრძნობამ
შეაჩერა, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და თენგიზს უთხრა:

— ჩვენ ახლა ვიცინით, დარეჯანი კი... იქნებ დამივიწყა, იქნებ დანაშაუ-
ლიც არ მამართლოს!

— მისდა საუბედუროდ, მე ვფიქრობ, ვერ დავივიწყა. დარეჯანიც მადგირ-
ქეთევანი მთხოვდა შენზე მიმეწერნა რაიმე, ისიც ყოველ *საქმისთვის*
ვაძხვნივებდი, მაგრამ ვიცი, დარეჯანი იტანჯებოდა. აი, ინებთ მისამართი.
ჩეხოსლოვაკიის მთებში არიან საღდაც!—უთხრა და მისამართი გადასცა.

— თენგიზ, ალბათ ასეა! ადამიანი ბუნებით ეგოისტია— დარეჯანს რომ
არ ვყვარებოდი, მაშინ ის ტანჯვას გადაარჩებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც
მახარებს, რომ დაიტანჯა, არ დამივიწყა. სამართლიანობის თვალსაზრისით
უნდა ვტიროდე, ნამდვილად კი მიხარია!

— გადაჭარბებული სიამაყე გამოიჩინე და მით დატანჯე!

— ვინ იცის, თენგიზ, მეც რა დამიჯდა ეს სიამაყე. ვანა სხვანაირად შე-
მეძლო? მაინც ადამიანს ერთი რამ შეეღოს: ყველა ტკივილებს, თუ ის უკან
არის შოტოტეხული, მალე ივიწყებს, დასცინის კიდეც. ამიტომ არასოდეს,
არავითარ ტკივილს არ უნდა დაუთმო და ყოველთვის უკეთესზე უნდა
იფიქრო, — მიუგო ვახტანგმა და ახლა უფრო ადვილად მოიგონა ყველა ის
განცდა, რაც დღემდის გამოიარა!

— დაიწვას თქვენი დამწველი!— ეს ძველი, ბავშვობის დროს ვახტანგსა
და დარეჯანის მიმართ თქმული სიტყვები, თენგიზმა ახლაც გაიმეორა.

თენგიზი გავიდა. ვახტანგი დაჯდა. დარეჯანისადმი ბარათის წერა დაი-
წყო. ამ ბარათში სწერდა ყველაფერზე: ძველზე, ახალზე თუ მომავალზე.
ყველა მათს ტანჯვას ომს აბრალებდა. ბოლოს იმ თავქარიან ექიმზე სწერ-
და: «ყოველგვარი სისულელე ომის დროს შიშველდება, მაგრამ სისულელის
გამტყუნება არ შეიძლება, მაშინ ის სისულელეც არ იქნებოდა».

ხუთი გვერდი დასწერა, მაგრამ კვლავ სწერდა. ყველაფერი ერთ ბარათ-
ში უნდოდა გამოეთქვა, რაც გრძნობა გულში აგროვდა, რაც განიცადა. სტრი-
ქონები თითქოს გულიდან იღვრებოდა ქაღალდზე. ამით გასაოცარ შევებას,
სიმშვიდეს გრძნობდა. რწმუნდებოდა: გამოუთქმელა გრძნობა შეიძლება
მოძველდეს და ტკივილად იქცეს, ხოლო თუ გამოითქვა, სიმშვიდე მოჰყვე-
ბა. «უზივართ ბერლინში, სიზმარივით ვეგონებთ წარსულს, ტკივილებმა
გრძნობა უფრო გამოაჩინა და აამაღლა. ახლა კი ვამბობ, ნუ თუ სინამდვი-
ლედ შეიძლება გადაიქცეს, რაც ჩემსა და დარეჯანის მომავალ ცხოვრება-
ზე მიფიქრია?»

თავი მეოცდასამი

შესალამოვდა.

როცა თენგიზი დაბრუნდა, ვახტანგმა კარებშივე შესძახა:

— ჭორწილი! როგორ შეიძლება ასეთი დღე და ერთი ჭორწილი არ გა-
ემართოს!

— რაო? დარეჯანი ხომ არ გვესტუმრა?

— დარეჯანს თვითონვე ვესტუმრები, როცა დრო მოვა. აქ კი სხვანაირი
ჭორწილი გვექნება და ისიც ამაღამ!

— შენ რაღაც არეული ლაპარაკი დავიწყია, ძმობილო.— გააჯავრა თენ-
გიზმა.

— ესეც ოპის ბრაღია, თენგიზ. ჩემი გვეგები სისრულეში მოყვანის შემდეგ შეგიძლიათ გაიგოთ!

სამზადისი დაიწყო.

ვახტანგმა ქორწილში მიბატიყებულთა მთელი სია შეაგებინა და სამირნოსს გადასცა. ეს სია იწყებოდა ბარსოვით, ელოზინით, მარტინაშა და ფედკოთი, თავდებოდა ვასკათი, მუსიათი და ზურაბით. თენგიზი ახლა უცხო სტუმარივით იჯდა ოთახში. პაპიროსს ეწეოდა, საქორწილო სამზადისის საქმიანობაში არ ერეოდა.

როდესაც ვახტანგმა დრო იშოვა და გვერდით მიუჯდა, თენგიზმა უთხრა:

— გეპქებოდდი, ზარბაზნით ვერ გამაგდებ-მეთქი ამაღამ, მაგრამ ამ უცხო ხალხში, ვგონებ, თვითონვე გაეიქცე აქედან.

— ტრადიცია გავიწყდება, ძმობილო! ჩემს ოჯახში ჩემს ქვავზე უნდა იაროთ!

— დიდი ხანია, რაც ბერლინი საკუთარ ოჯახად გადააქციეთ?

— სანამდის აქ ვართ, ოჯახიც გვაქვს, წავალთ და ახალი გერმანია გამთხარ კერას არ გააცივებს.

— დაღამდა, მაგრამ შექტურები თუ მაშხალები ღამეს ქალაქთან აღარ უშვებდნენ.

ვახტანგის ბინაში უკვე სტუმრების ყრიაშული და მუსიკის ხმები ისმოდა. ყველა ქორწილზე ლაპარაკობდა, თუმცა არავინ იცოდა, თუ ვინ ქორწილი ვის ეხებოდა. ეს კიდევ მეტ ინტერესს, მხიარულობას იწვევდა სტუმრებში.

სუფრა გაშალეს. ქორწილი დაიწყო.

ვახტანგმა მუსია და ზურაბი მაგიდის თავში გვერდი-გვერდ დასვა, ხოლო ზურაბის მეორე მხარეს ვასკას დაუდგა სკამი.

— შენ ვასკა მგონი გერმანელი ქალები მოგწონს. თუ აგრეა, კიდევ მოთმენა მოგიხდება ცოტა ხნით.

სიცილი და ტაშის ცემა აფეთქდა.

ამ ერთმა წუთმა მუსია და ზურაბი ნეფე-დედოფლად გადააქცია, უცრად შეცნენ, სისხლივით წამოწითლდნენ სახეზე. ამ სიწითლეს ბედნიერი ღიმილი ერთვოდა.

წუთიერი დაბნეულობის შემდეგ ზურაბი გამოცოცხლდა, თვითონაც სიცილი დაიწყო. მუსიას კი ცრემლებით ავესო თვალები. ეს ცრემლები, ნიშნად დიდი სისპეტაკისა, სიწმინდისა, სათნოებისა, თითქოს ციდან ჩამოდოდნენ და ომგადახდილ აღამიანთა ყანგი სულისა იწმინდებოდა, სული სარკესავით რჩებოდა. სუფრაზე ლარნაკებში გატრუნული ცოცხალი ყვავილები ამ სარკეში ბავშვის თვალებით იხედებოდნენ, სინორჩის გულუბრყვილობით და უმწიკვლოებით იღიმებოდნენ.

მუსიკამ დაარღვია დიდებული სიჩუმე, რომ უფრო დიდებული ხმა მოეძვინათ: რადიოში სტალინის სუნთქვა გაისმა. ყველა ფეხზე წამოდგა, თითქოს ყველა ერთხანრმა ფიჭრმა შეიპყრო: განა ეს ერთი კაცის სუნთქვაა? იქნებ ეს ოკეანეს ღელვაა, იქნებ ყველა ის გრიგალია, რაც დედამიწას ღღემდის უნახავს. არა, ეს ახალი კაცობრიობის მზემ მოანათა, — მისი სუნთქვაა. სიტყვა დაიწყო. გამარჯვებას ულოცავს ხალხს. ეს ერთი კაცია? არა! — ლაპარაკობს დიდი საუკუნის დიდი ეპოქა. შუქი გაძლიერდა; ეს იმავე მზის სხივებმა მიანათეს ბერლინში და ამ მზეს ხედავენ, თბებიან, ივსებიან სულით და ხორციით. დასრულდა სიტყვა. ამ სიტყვის შარავანდედი ღარჩა მათ

გულში. სამშობლოს ჰიმნი იმ შარავანდელის ნაკადულმა ამოაფრქვეს ჭიქე-
ბი აღმართენ. ეს ჭიქეებიც იმავე მზის სხივებით იყო აღფრთოვანებული, — და მზე
აღდგარქელეს!

ეროვნული
კულტურისთვის

ვახტანგმა ისევ აავსო ჭიქა.
— თუ ორმა მეგობარმა, ქანთარიამ და ეგოროვმა რაიხსტაგზე გამოაჯგუ-
ბის დროშა აღმართა, მუსია ონისიმოვნამ და ზურაბმა აქაც ეს მეგობრო-
ბა დააგვირგვინეს. სამუდამო სიყვარულის დროშა აღმართეს. ჩვენც, მეგო-
ბრებო, ჭიქეები ავიღოთ და უკვდავი სიყვარულის სადღეგრძელო დაველიოთ!
საერთო აღფრთოვანების გრიალში დაიღია ეს სადღეგრძელო.

ზურაბი ფიქრობდა: ასეთი რამ, ალბათ, ზღაპარში თუ მიამბო ვინმემ, და
რაც ხდებოდა არა სჯეროდა, მაგრამ, როდესაც წარმოიდგინა მთელი გზა
კახეთიდან ბერლინამდის, მაშინ დააწყებდა, რომ ეს ყოველი სინამდვილეა
და უკვე ეგონა: ყველაფერი — დიდი სამამულო ომი, ბერლინში მოსვლა და
რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვა იმიტომ მოხდა, რომ აქ მისი
და მუსიას ქორწილი გადაეხადათ, რომ ყველა ეს გენერლები, პოლკოვნი-
კები, საბჭოთა კავშირის გმირები, ყველა სახელოვანი ადამიანები შენა-
ტროდნენ მის ბედნიერებას. აქ მხოლოდ მას, ზურაბს უნათებდა გულს,
უთბობდა მარჯვენა მხარს ისეთი არსება, როგორცაა მშვენიერი მუსია!
მუსია, რომელშიც მთელი მისი არსებობის მღვლეარე შინაარსია, დაუსრუ-
ლებელი სიცოცხლის ქვეყანაა მოთავსებული!

მუსიკამ თითქოს ენა ჩაიდგა და ხმა აიმაღლა...

მხოლოდ ორი მეგობრის სუნთქვა ისმოდა ოთახში. ერთი ფართო საწოლ-
ში იწვა, მშვიდად ეძინა. მეორე სავარძელში გაწოლილიყო, თვალს ვერ
ხუჭავდა, მას ქმადნაფიცის ახლობელი სუნთქვა სიმშვიდეს ჰგერიდა, მაგრამ
რაღაც სხვა გრძობა ურღვევდა ამ სიმშვიდეს და ძილი არ ეკარებოდა.
ორი ახალგაზრდის ქორწილი დიდი ზეიმით გადაიხადეს, მაგრამ რატომ გა-
დასწყვიტა, რომ თვითონაც ასეთი ბედნიერი იქნება, ყველაფერი იმე
მოე-
წყობა, როგორც თვით სურს? ორ წელიწადში არამც თუ ადამიანი, ქვაც
შეიცვლება, მით უფრო თუ ის ტრიალ მინდორზე დარჩა და რატომ ჰგონია,
რომ დარეჯანი დაუთმობს, აბატიებს, მიაღებს?

ასეთი კითხვები არ ასვენებდნენ. თითქოს თვალეები იმიტომ არ ეხუჭე-
ბოდნენ, რომ აქედანაც ხედავდა დარეჯანს, მის შეცვლილ სახეს, გამზდარს,
თანაც განრისხებულს, მიუქარებელს.

ეს ყოველივე უკვავდა გულს და მძიმედ სუნთქავდა.

თავი მეოცდამოთხე

ავტო შეჩერდა. ჩამოსხდნენ. ტყიანი გზის ბილიკზე გზა ფეხით განაგო-
ბეს.

ისინი, ოთბი მეგობარი ქალი, ყველა საძნელო გადასასვლელებზე ურთი-
ერთს ეხმარებოდნენ. პატარა მდინარეების ვიწრო, საცალფეხო ხიდებზე
ხელახელჩაკიდებულნი გადიოდნენ.

— ზინა, მომეშველე! — ეტყოდა დარეჯანი ექთან ქალს და ხელს გაუწე-
დიდა.

ქეთევანსაც ექთან ქალი ანია არ შორდებოდა.

ეს ქვეყანა თავისი ჩქარა, მქუხარე მდინარეებით მათ საქართველოს მოაგონებდა. ახლა ყველაფერი ჰყვავოდა აქ. გამაბრუნებელი სურნელი იდგა პაერში. ბარგაკიდებულნი, გზის სიძნელით მოღლილი ქალები ისუნთქავდნენ ამ ჰაერს, თერებოდნენ და კიდევ უფრო ქანცგამოლეულნი ძღვს მდიდოდნენ.

ზიზლიცოთქან

რამდენიმე დღე იყო გასული, რაც გერმანიამ იარაღი დაჰყარა. ფრონტებზე ბრძოლები შეწყვეტილიყო, მაგრამ აქ ჩეხოსლოვაკიის მიწაზე მტერი ჯიუტობდა, იარაღის დაყარაზე უარს აცხადებდა, თუმცა სწრაფად იხედა უკან.

უკვე მესამე დღე გადიოდა, რაც ქალები წითელი არმიის ნაწილებს უესვენებლივ თან მიჰყვებოდნენ.

მდინარის პირას შეისვენეს ცოტა ხნით.

მოდიდებულნი, მაინც სუფთა მდინარე, იმათ ყურებთან რაღაც საიდუმლოს აშხელდა. რამდენჯერ მოესმინა ასეთი საუბარი, წინათ სამშობლოში, საქართველოში. ამიტომ მდინარის საუბარი გასაგები უნდა ყოფილიყო იმათთვის. რას ამბობდა მდინარე?

ქეთევანისთვის მდინარე ამბობდა:

„თუ ამ ქვეყანამ მოგაგონა შენი სამშობლო, ეს იმას ნიშნავს, რომ ახლოს ხარ მისული. დიად, სულ ახლოს. ეს არის თავდება, შენს სამშობლოს სულ მალე ნახავ, იქ ნახავ, ისეთ მდინარეებსაც, როგორც მე ვარ. იქ ყველა სიხარული გაგიახლდება, ახალსაც, ჯერ განუცდელსაც შეიძენ! ეს თენგიზის დაბრუნებით მოხდება,—რაც მთავარია, რაც მთავარია!“—და ქეთევანი ახლაც იმ, მომავალი სიამის შეგრძნებით იშმუშნებოდა.

ღარეჯანისათვის კი სულ საწინააღმდეგოს ამბობდა მდინარე: „ვლპარაკობ და რატომ, არ ვიცი. შენს სამშობლოშიც მდინარეები ლაპარაკობენ. ისიც არ ვიცი, თუ ამ ლაპარაკს რა აზრი აქვს. საუკუნოები გადიან ამ ლაპარაკში და იქნებ მათ მოსვლას თუ წასვლას აზრი არა აქვს. იქნებ გაზაფხულიც უაზროდ მოდის და ზამთარიც ისევე უაზროდ დგება. რა მიაქვთ, ან რა მოაქვთ? ერთი მეორეთი იცვლება, სხვა არაფერი. მაგრამ, მაინც ხომ ხედავ, ვლპარაკობ, ვლპარაკობ და არასოდეს არ დაეჩუმდები, რადგან დაჩუმებასაც არა აქვს აზრი. და შენც სთქვი რამე, თუმცა თქმას აზრი არა აქვს და არც ექნება.“—ღარეჯანმა სიმწარისაგან თვალები მოხუჭა. კვლავ ვაახილა. მისი უფერული, გამხდარი სახე თითქოს უფრო დაწმენდილიყო, გამჭვირვალე გამხდარიყო. ასევე გამჭვირვალე იყო მისი მომცრო, ბროლივით ჩამოსხმული ეხვირი, შუბლი, ბაგეები, ყურები. თვალებიც უფრო გამჭვირვალე მოსჩანდა.

— სად ვართ, ქეთევან?

— მალე პრალაში ექნებით, ღარეჯან. ცოტა კიდევ გაეძლოთ, ცოტა!

— სულ ბოლოს სად მივალთ, ქეთევან? სად შეეჩერდებით?

— სამშობლოში, ღარეჯან. მაშ სადღა უნდა წავიდეთ. გვეყოფა. თავდება. ცხოვრებისაკენ! — უთხრა ქეთევანმა იღა რაღაც შევებით ხელი ასწია.

წავიდნენ; იმ მდინარეზედაც გადავიდნენ და გაღმა მტრის დანგრეულ სიმაგრესთან შეჩერდნენ.

ფრონტის მხრიდან იქვე საკაცურით მიიყვანეს დაჭრილი. ოპერაცია ღარეჯანმა იკისრა. ზინაც აქ დარჩა. დანარჩენებმა განაგრძეს გზა.

ერთ ღრმა ბლინდაჟში ჩაიყვანეს დაჭრილი და საქმეს შეუდგნენ.

— ზინა, აიღე მომეცი აქ! დანა! საჩქაროდ! დაუჭი ხელი! ასე როგორ იქნება მოამზადე ქაფური!.. აქ არის, ვიპოვე! აი, ეს არის! — ურულ ამბობდა პირახვეული დარეჯანი და თითქოს ბრაზობდა, თანაც დიდის სიფრთხილით, ნერვების დაძაბვით აკეთებდა იპერაციას. დაჭრილ მხარში ჩაჩვენოდა ხელუღმბარის ნამსხვრევი. როცა იპოვნეს და ამოაცალეს, დარეჯანმაც შევებით ამოისუნთქა.

ჭრილობა შეუხვიეს. ახლა იგრძნო, რომ მოღლილა, ხის საწოლზე დაეშვა, პირალმა დაწვა.

— ზინა, მოდი აქ, ჩემთან დაჯექი, შენც მოისვენე. შეგიძლია წამოწვე. ჩემი ზინა ხარ! — უთხრა სიყვარულით, ოპერაციის წარმატებით ჩატარების შემდეგ დაშვილებულმა დარეჯანმა და ზინას ოქროსფერთმიანი თავი გულში ჩაიკრა. — ჩემი ხარ, ზინა, ჩემო მშვენიერო, ცისფერთვალეზე!

და რადგან ზინამ დარეჯანის თვალეზში ცრემლი შენიშნა, თვითონაც თავი ვერ შეიკავა და ტირილი დაიწყო.

— ძვირფასო ექიმო, ვერც მოგშორდები, როგორ დაგშორდეთ? — ამბობდა ზინა.

ტელეფონის ზარი გაისმა. ვიღაც მივიდა. მილი აიღო.

— ექიმს? ახლავე!

დარეჯანი მივიდა.

— ქეთევანი ხარ? რა იყო, ქეთევან? დეპეშა? რაო, ეპიტანგისაგან?! ეის უგზავნის, ქეთევან? რა სთქვი, ქეთევან?! მოვდივარ, მოვდივარ! — მილი მაგდაზე ღდავდო. ერთხელ კი დაიძახა: „ზინა, მიხედო“, მოწყდა ადგილიდან და ხელგაშლილი გაიქცა. გარბოდა, ირხეოდა, თავს იმაგრებდა, სულს ძლივს ითქვამდა. მგზავრები გაკვირვებით მისჩერებოდნენ, ვერაფერი გაეგოთ, თუ ამ ქალს რა დაემართა.

გზაზე აქეთვე მომავალი ქეთევანი შენიშნა. ახლა უფრო დაეხშო სუნთქვა. ოდნავ შესდგებოდა, ისევ გარბოდა.

— დარეჯან, თავს რატომ იკლავ, დაიკო! — მიძახა მოახლოვებულმა ქეთევანმა. დარეჯანის გაფითრებულმა სახემ შეაკრთო, თვითონაც გაიქცა და მიეშველა. — დაესხდეთ აქ, დარეჯან! სანამ არ დაწყნარდები, არაფერს გეტყვი, არც დეპეშას მოგცემ და არც წაგიკითხავ!

— კარგი, ქეთევან! — მოკლედ სთქვა დარეჯანმა და კი არ დაჯდა, წაიქცა. ქეთევანს სახეზე უსვამდა ხელს. აჩქარებით სუნთქავდა. როცა ოდნავ დაწყნარდა, ქეთევანს უთხრა:

— შენ წამიკითხე, ქეთევან.

ქეთევანმაც წაუკითხა დეპეშა. თითქოს არა სჯერაო, დარეჯანი წამოიწვია, უნდობლობის გამომეტყველებით გადაჰხედა ქეთევანს, დეპეშა გამოართვა და ახლა თვითონ გადაიკითხა. უეცრად მოწყდა, მოეშვა, ქეთევანს ჩაეხვია, გულამომჯდარი ტირილი მორთო.

— მაინც სტირი, დარეჯან?

— ვტირი! რაც მითმენია და ან მტირია, უნდა ვტირო!

— ერთი ახალი ამბავიც, დარეჯან, გათავდა! გერმანელებმა აქაც იარაღი დაპყარეს! ამით ყველაფერი დასრულდა! ჩამეკარი, ისევ ჩამეკარი, დარეჯან, ჩემო დაიკო, სიკვდილ-სიცოცხლით განუყრელო ბავშვო და ქალო! და ისევ ეხვეოდნენ ერთმანეთს.

შტაბიდან გამოსულ ბენოს ფერი არ ჰქონდა. თავისთვის რალაცაზე მსჯე-

ლობდა, თითს მალლა იშვერდა, თავისავე წინსაფარზე იხედებოდა. „ომი რომ გათვალა, გასაგებია—ეს ყველაფერი მშვენიერი და მიმზიდველია. მაგრამ ვახტანგის დებეშა და ისიც დარეჯანის სახელზე, საოცარია! რომელიღაც პლანეტიდან პირდაპირ ცარიელ თავში ჩამიკაქუნეს და ვერ გამოვიკავე. თავზე ამბობდა ბენო. სანიტარულ მანქანასთან მიიღწია. ისევე დაგვიკაქუნა წინსაფარს შეავლო თვალი, თითქოს იგი აზროვნებას უშლისო და გაკვირვებით იკითხა: ომი გათვალა? მამ ახლა პირველ რივში რაა საჭირო? — წინსაფარი გავიხადო და გადავაგდო! — მართლაც გიხზადა, ავტოზე დაავდო და სადღაც წავიდა — მდინარის პირას სეირნობა დაიწყო: „მამ ახლა საით? სად წამესვლება? სად მიმესვლება? ანუ, სად მედგომება, სად მეცხოვრება. იმოდენმა გენერალმა რომ ხელში არ ჩამიგდოს და საახალწლო ტახივით არ გამპუტოს? სიმაართლე გამოირკვევა. ყველაფერი მე დამატყდება! რაო? მეტი აღარ წამოგცდეს, თორემ ჩიტვივით ცაზე უნდა აფერინდე და ტიკჭიკით ვიცხოვრო!“ — ჩვეულებისამებრ შემოტრიალდა, შემდეგ ნაბიჯებს აუჩქარა. თითი შუბლზე მიიღო და უეცრად შესდგა: „რაო, დარეჯანს სამუდამოდ დავემშვიდობო? მეტი აღარ წამოგცდეს! აფეთქდი, ტენო? რაო, ეს რა ვთქვი? ტენი სად არის, ცარიელო გოგრავე აფეთქდი! პო და იგორავე ახლა ცარიელო ცხოვრების უღაბნოში. მშვენიერია! პოეტურია! აი, სად დაიბადა პოეზია, როცა თავში სიცხე ავარდა!“ მდინარის პირად გვერდთქმობზე წამოწვა და ქშენა დაიწყო: „დარჩა კაცი მარტო, დაეშვა იგი, ვით ქრისტე უღაბნოში. შუბლზე ხელი მიიღო და დაადგინა: იყო სიზმარი. ყველა დარეჯანი და სულიმჯანი უკვე გაფრინდნენ, შენ ახლა მხოლოდ თავის გადარჩენაზე უნდა იფიქრო. წახვიდე სადმე მყუდრო ადგილას. ზოგჯერ თავი ვირთხასავით უნდა გამოჰყო და წააყურო, რა ამბავია! ვინ მოცედა, ვინ ცოცხალია. მოგდევნე, თუ თვითონ გარბიან. მშვენიერია! ცხოვრება გაუტყებდათ, დავა-ვიწყდები, აღარავის მოვაგონდები, იქნებ ჩემმა სისულელემაც ვეღარ მიპოვოს და გამოეძვრები! მაინც თუ მიპოვეს, ვახტანგს ფინიასავით ფერბთ გავედები და მპატიებს.“ — წამოდგა. რაღაც შვებით, მზიარულად ისევ საჩვენებელი თითი იტაკა შუბლში. „ჩინებულის! ახალი შემიძლია ვიარო და ვირბინო კიდევ, წინ, ბენო ბერიძე! ახალი დროის ფილოსოფიამ მაინც თავისი გამოჰკრა ბოლოს. აი, მარცვლი ქეშმარიტებისა სად ჩაისახა და ისიც როგორი!“ — მოწყდა ადგილიდან და შურდულივით გაემართა გზაზე შეჩერებული ავტოსაკენ. ხელებს იქნევდა.

როდესაც გზაზე მომავალი დარეჯანი და ქეთევანი შენიშნა, უეცრად შეკრთა, თავი დახარა და პირი იბრუნა.

ქალები მლოცველებივით ახლა ცას მისჩერებოდნენ! მათ ხეთა შრიალი მოაცილებდათ.

თავი მორცდახუთი

ბახმაროს მთებში ვანთიადი იბადებოდა. მთები თითქოს მიწის სიღრმიდან ამოდითდნენ, ჯერ სპეტაკ სახეს აჩენდნენ, შემდეგ ტყით შებურულ ტანს, ბოლოს გურიის პატარა გორაკებით გამაგრებულ საფუძველს. და გურიაში ყველაფერს შინდისფერი ცის ნათელი ესხურებოდა.

ყველაფერი შემოდგომის სიმწიფით იყო დამტკბარი, გაქლენთილი, ავსილი. ბუნებას გაეკეთებინა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო განაფხულის, ზაფხულის თუ შემოდგომის თვეებში, ახლა დამწიფებული ნაყოფით

მკვრდავსებული ადამიანებს ეუბნებოდა: „მოდით მიიღეთო“. მწიფე ხილის, ნარინჯების, ჯერ კიდევ ხეებზე შერჩენილი ყურძნის დამატკობილი წვენი და სურნელი ყველაფერს თავლავდა, ადამიანის სულსაც კი თითქოს ტვით ბუნებას ჩაეთქვა სული, წლის დიდი საქმე — ჭირანახულის მემწიფება დაესრულებია და ახლა თავისთავისადმი კმაყოფილი გარინდულყოფილია.

ყარამანის ეზოშიც გასაოცარი სიჩუმე იყო. თითქოს დასავლეთით ზღვაც აღარ სუნთქავდა. ზოგჯერ ოდნავი ნიავის დარხვევაც ამ დიდ სიჩუმეში გაკვირვებას იწვევდა. — ვიღაც ბუნების უმადლესი კანონმდებელი თითქოს ამბობდა: „ეს როგორ მოხდაო?“ მაგრამ აქ ამ დიდ სიჩუმეში, სარკესავით გაკრიალებული ყარამანის ეზო და ალვის ხეებიც კი თითქოს ვიღაცას ელოდებოდნენ. ყველაფერს ამ მოლოდინის თვალი ჩაედგა და სუფევდა ჩუმი ლოდინი, უმოძრაო, შინაგანი სიამით განათებული. მხოლოდ ზოგჯერ თუ დაირხეოდნენ ციტრუსების ბუჩქები, ოქროსფერი ნაყოფის მკვრივ ძტულებს გამოაჩენდნენ, მაგრამ წამსვე თითქოს ვიღაც ეტყოდა: „არ შეიძლებაო“ და კვლავ ფოთლებს, ვით კალთებს, დარცხვენისად მიიფარებდნენ, დაჩუმდებოდნენ.

მოულოდნელად ქიშკარმა გაიჭრიალა. ორი ახალგაზრდა ქალი ფეხაკრებით შემოვიდა ეზოში. უსიტყვოდ, მაგრამ სწრაფად გაიარეს ეზო და ოდასახლის კიბეებზე ავიდნენ.

ქალიშვილებს აივანზე მარიამი შემოეგება, სახლში შეუძღვა.

— მოდით, ჩემო ფერიებო, მეც უკვე მზად ვარ!

— არა, დედი, ასეთ მომზადებას დღეს ვერ გაკმარებთ! დედა ხართ, დედოფალივით უნდა მოეწყოთ!

— დედოფლობა შენ გელოდება, ჩემო დარეჯან. — მოუჭრა მარიამმა და სახეში შეუხედავად დაინახა, თუ დარეჯანი როგორ გაწითლდა.

— რაა ამბობთ, დედა! — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა დარეჯანმა, სახე მოარიდა, ფანჯარასთან სახტად შეჩერდა.

— აი, ზომ მიიღეთ! — ახლა ქეთევანი აჯავრებდა დარეჯანს. შემდეგ მარიამს მოუბრუნდა, ნათქვამი დაუდასტურა: — თქვენ ყოველთვის მართალი ხართ, მარიამ!

— გმადლობთ, შვილებო. — სთქვა მარიამმა, სკამზე დაეშვა და თვალები ცრემლით აევსო.

— არა, დედა, ცრემლები კმარა. დარეჯანმა მართალი სთქვა, — ძველებურად, ქართველი დედის ტანსაცმელი უნდა ჩააცვათ.

— ის ტანსაცმელი, რომლითაც ჯვარი დაგიწერიათ! — სიტყვა ისევ მიამგულა დარეჯანმა, მიიბრინა, ახლა გააჯინა, — აქ არის, აქ! — დაიძახა. ძველი, ჯვარსაწერი კაბა ამოიღეს და მარიამს შემოესივნენ.

— დამეხსენით, შვილებო, რა დროს ეგ არის! ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ჩამიცვამს! არ გამაგიფოთ! — ქალიშვილებზე მარიამის არავითარმა მტკიცებამ მაინც არ გასჭრა. ქართველი დედის ძველებური ტანსაცმლით შემოსეს, თავსახურიც დაახურეს და სარკმელთან დასვეს.

— აი, დედი, როგორ გიხდებათ!

— მთარესავით გამოანათა — დაუდასტურა ქეთევანმა. მარიამი მაინც ბუზღუნებდა.

— ეს რა მიყავით, თქვე აღქაეებო, ეს რა მიყავით! — იძახდა, მაგრამ ქა-

ლიშვილები ეხვეოდნენ აქეთ-იქიდან, უსწორებდნენ თმას, კაბას, თავსახურებს და კისკისებდნენ.

— განა აგრე არა სჯობს, დედი? აგრე არა სჯობს? ასეთი დედა მარშალსაც არ ეყოლებო! — აჯაერებდნენ ქალიშვილები.

ქიშკართან ჯერ მანქანის სუნთქვა გაისმა, შემდეგ საყვირის ხმა! ყველანი იაფანზე ვაპოვიდნენ.

— მივდივართ, დედა. თქვენ კი, დედას, ოჯახში დახვედრა შეგეფერებათ! — სთქვა დარეჯანმა და კიბეზე სწრაფად დაეშვა.

— დღეს თქვენს ქუთაზე დავდივარ, შეილებო, მაგრამ ვავალებთ, სადგურიდან პირდაპირ შინ მომიყვანოთ. „ცერემონიებს“ მოესწრებიან! დღეს ჩემი შეილის დაბადების დღეც არის, მაგრამ ეს მისი მეორედ დაბადებაა.

— კეთილი, დედა! — მიაძახეს ქალიშვილებმა და ქიშკართან შეჩერებულ ავტოსაკენ გასწიეს. ავტოსთან წინაღლით ჩამოსული თენგიზი იღვა.

— ქალების მომზადება უფრო ძნელია ვიდრე მთელი არმიისა! — დაიძახა თენგიზმა. ქალები მოათავსა ავტოში, თვითონაც ჩაჯდა შოფერთან და ავტო დაიძრა.

იაფანზე გადმომღვარი მარიამი ეზოს მალლიდან დასჩერებოდა, მხოლოდ თავსახური მოიხადა, დასდო, თავზე შეთეთრებული თმა უბრწყინავდა. დაშკნარ ხელებს დასჩერებოდა, თითქოს ამ ხელებმა მოაგონეს რომ უკვე მოხუცდა.

...სადგურისაკენ წასული მანქანა მთელი სისწრაფით მიქროდა წინ. შუა გზაზე ქალებმა შეაჩერებინეს და ძირს ჩამოვიდნენ.

— ჩვენ აქ დაგვლოდებით! — გასძახეს თენგიზს და იქვე ხის რტოებით დახურულ გზაზე შეჩერდნენ. ხავსის ხავერდით შემოსილ ლოდზე ავიდნენ, სულ მალა დასხდნენ. ქეთევანი ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ დარეჯანს ეს აღარ ესმოდა. მთელის არსებით აეტანა მოლოდინს, ყოველი წუთი თითქოს სასწაულს აახლოებდა, ამ წუთებს ითვლიდა. საცაა უნდა მოვიდნენ, მაგრამ იმის მაგიერ, რომ გზას მიაჩერდეს თვალეზზე ხელები ჩამოიფარა... თითქოს მანქანის სუნთქვა მოისმა. თითქოს ქეთევანმაც დაიძახა: — „მოდინო“, და თვალეზზე ხელი ძლივს მოიშორა. ის მანქანაა, ნუ თუ მოვიდა?

— დარეჯან, გადმოდი! — მიაძახა ქეთევანმა, ხელი მიაშველა, გადმოიყვანა.

დარეჯანმა თვალეზი დახტვა, მხოლოდ ხელები გაიშვირა წინ. მას ვახტანგის ხელები წაეტანა, გულში ჩაიკრა!

— ჩემო წმინდანო! — შესძახა ვახტანგმა.

...ყარამანის კარმიდამოსთან მიახლოებამ გული აუჩქროლა ვახტანგს. ეზოში შეკრებილთა პატარა მწკრივის ერთ თავში დედა შეიცნო. მეორეში კი ყარამანი. „მოხუცებულანო“, გაუელვა ვახტანგს. ავტოს შეჩერებას არ დაელოდა, ისკუბა და ეზოში ხელგაშლილი შეიჭრა.

— შეილო! — მიაძახა დედამ და მიეგება.

სულ ბოლოს ყარამანის წინაშე წარსდგა ვახტანგი.

— ბიძაჩემო, ისევ აქა ვართ!

ყარამანმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი, ხელი გაუწოდა, ჩამოართვა და გადაკოცნა.

— ბიძი, გაგვასწარით, გვაჯობეთ. — ყარამანის თვალეზში ცრემლი ბრწყინავდა.

თითქოს განახლებული მწუხარების ნიავმა დაუბერაო, ამ გრძნობამ შე-
აკრთო ყველა: ეზოში თინა შემოვიდა — ბავშვი მოჰყავდა. მან ხასტირი მო-
გონებაც თან მოიტანა, ისევ გაუხსნა კრილობებს პირი.

— ძმაო! — იყვირა თინამ, ბავშვი ძირს დასვა და მოეხვია. სტრინოლა: თი-
თქოს უცნობ მამას სტირისო, ბავშვიც ატირდა. ყარამანმა აიყვანა და მო-
ეფერა.

თინა ხან ვახტანგს, ხან თენგიზს მისჩერებოდა, მათ არაფერს არ ეკითხე-
ბოდა, თუმცა მისი თვალები ისედაც ამბობდნენ: „ჩემი სარდიონი სად დას-
ტოვეთ, ბიჭებო?“

თითქოს ამის საპასუხოდ ვახტანგმა ბავშვი ჩამოართვა ყარამანს. თვალები
გაუნათლდა, წამოიძახა:

— ცოცხალია სარდიონი! ნამდვილი სარდიონია! — ბავშვს ბახმაროს მთაზე
ამომავალ მზეზე მიუთითა და ტყბილად უთხრა:

— შეზე, ბიჭუნი, როგორ ამოდის!
ბავშვმა მზეს გაუღიმა, ხელები ისე დაიჭნია, თითქოს ცაში აფრენა
ჰსურსო.

ღ ა რ ი

გაფითრებული, მისუსტებული ზის იგი აივანზე. ნაადამყოფარ სახეზე სევდას, თუ წუხილს ღრმა კვალი დაუმჩნევია; წვერები გაზრდია და კიდევ უფრო გასაფრთხიდა. სახის კანი ძვლებს ქალღმერთად გადაკერძია და ღრმადჩაფარდნილ ღოჭებში ნაოჭებად ჩაქეცილა.

გასტქერის გაშლილ ველებს, მთებს და მოგონებანი წარსულ დღეებზე სულს უშფოთებენ; მოხუცდა, ავადმყოფობამ უკანასკნელი ძალონე გამოუღია, ლოვინად ჩაადგო. მაგრამ იგი ჯიუტია. ვული მაინც ერჩის. არ უნდა ლოვინში წოლა. ხშირად თავს ძალას დაატანს, ადგება, ეზოში გაივლის და გამოივლის. მეზობლებს გადასძახებს—ვაიგონ, რომ ცოცხალი ვარო,— ფიქრობს ვულში. ნაგაზებს ძველებურად დაუცაცხანებს, მერე თოხს მოკიდებს ხელს, რამდენადაც შეუძლია, მიმოსაწორებს ნარგავებზე მიყრილ ნაქელს, ხელით მოაცილებს ბალახ-ბულახებს და შემდეგ დაღლილი იქვე ჩაჯდება, მაგრამ უმაღ მივა მასთან თამარი და ტკბილი საუბრით, სვენებსეენებიფ წაიყვანს სახლისკენ.

ბოლო დროს აივანზე ჯდომას ჯერდება. უკვე აღარ შეუძლიან ეზოში სიარული და აივნიდან მაინც ვადასძახებს გზაზე მიშავალ მგზავრებს, ნაცნობებს, დანახვებს მათ თავს და თითქოს ეუბნება—არა, არ მოგვედები, სანამ ვახტანგს მშვიდობით დაბრუნებულს არ ვნახაო.

ზის აივანზე ღრმა ფიქრებში წასული და ადგილიდან არ იძვრის. თამარი ყველაზე შემაშფოთებლად განიცდის მოხუცის ამ საშიშ ჯიუტობას. ეშინია, არ გაცივდეს, ავადმყოფობა არ გაურთულდეს. თამარმა იცის, თუ ჯოგო კიდევ გაცივდა, ძნელად გადაიტანს ავადმყოფობას.

აი, ჯოგოს ახლა თავი უბრუის, სიერცე რალაც გაურკვეველ ბურუსად იმღერება მის თვალბში, მით უფრო, მთებმა შუბლი შეიკრეს, ტყე შეიშმუნა, შეშფოთდა და მთებზე ნაწეწებად შერჩენილი ღრუბლები ჩამაგალი მზის სხივებით უკანასკნელად აენთენ, მერე სიერცე ისევ განაცრისფერდა. ჩამოხნულდა, მაგრამ იგი ოთახში შესვლაზე არ ფიქრობს, თუმცა იცის, გაავდარდება.

მოხუცს შეაფრთხილა. მძიმე სევდასა და შეძრწუნებას განიცდიდა იგი სიკვდილის შიშის ჩასახვის გამო. დიდხანს ებრძოდა თავს დაეძლია ეს აზრი, მაგრამ უღონობამ მაინც თავისი გაიტანა და პირველად ახლა დაიძახა:

— თამარ, შინ შემიყვანე, შეილო, მეტი არ შემიძლია აქ გაჩერება აქ დღიდან ლოვინს არ მოშორებია.

ჯოგო სოფელში უბადლო მონადირე იყო. კვირა ისე არ გავიდოდა, სანადიროდ რომ არ წასულიყო. არც წვიმას უშინდებოდა და არც თოვლსა თაყინას. ხელცარიელი არასდროს არ დაბრუნებულა. ჩვეულება ჰქონდა ნანადირეის საშახსოვროდ დახოცილ ნადირთა ტყაიების, რქების, ნანადირეთა ოთახში (ასე ეძახდა თვითონ) შენახვა. ნანადირეთა ოთახი სახლს მარ-

ჯენიე ჰქონდა მიდგმული. იქ იყო სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ფერის ტყაეები იმ ნადირთა, რომლებიც მას ნადირობის დაწყების პირველ დღიდან უკანასკნელ დღემდე დაუხსოცია. ოჯახში მომსვლელს ყოველთვის შეიყვანდა ნანადირეთა ოთახში და ნადირობის ამბებს გატაცებულად უყვებოდა. კედლებს ზემოთ სამოცდაცამეტი ჯიხვის რქა ეკიდა. მათ შორის სხვა პირმის რქა გამოირჩეოდა. ეს ჯოგოს ვაჟის ვახტანგის ნანადირევი იყო. ვახტანგი მამის კვალობაზე იზრდებოდა.

სწრაფია, მიხვედრილი და აუცდენლად მსროლელიო,—ამაყად ამბობდა ჯოგო და უხაროდა ეს. მაგრამ ოთხი წელია, რაც ვახტანგი სოფლიდან წავიდა და წელიწადზე მეტია, რაც მას წერილი არ მოუწერია.

— რა დაემართა იმ ბიჭს ნეტა? წერილს რად არ იწერებ? — მწარედ ამოიზარებდა ჯოგო. — რაიმე უბედურება ხომ არ არის ჩემს თავზე?

ცნობის მიუღებლობა აწუხებდა ჯოგოს, მაგრამ ყოველთვის იმას ცდილობდა, ეს არ ეგრძნობინებინა თამარისათვის: ცოდვას, იჯავრებს, გული დაეჩაგრებო, და შემამფოთებელ აზრებს საკუთარ გულში იკლავდა, მაგრამ ჯოგომ რა იცოდა, თუ რა ცეცხლი გიზგიზებდა თამარის გულშიაც.

ჯოგოს არაერთხელ უნახავს თამარი თვალუბაცრემლებული. მაშინ იგი უშალვე სახეს მიიბრუნებდა, ცრემლებს მოიწმენდდა და ცდილობდა ჯოგოსათვის დაეი ისე მოეჩვენებინა, თითქოს არაფერიყო. თამარი ვერ უძლებდა ჯოგოს შემფოთებელ სახეს, რომელიც საშინლად დაეკვივებული თვალებით მისჩერებოდა პირდაპირ და თითქოს ეუბნებოდა: ეგ ცრემლები რას ნიშნავს, ბაბა? სატირალი რა გაქვს? ცრემლი და ტირილი ომში წასულს, ბაბა, ავს რასმეს უბედებს, ხომ იცი? ნუ, ნუ იცრემლები, ბაბა!

თანაც მოხუცი იმასაც კი ფიქრობდა: არაა საკვირველი, თუ თამარი კვლავ ტკბილი მოგონებებით ოცნებობს თავის სატრფოზე, რომელთანაც ასე მცირე დროის განმავლობაში განიცდიდა სიყვარულით მოჯადოებასო. ვახტანგი დაქორწინების სამი თუ ოთხი დღის შემდეგ წავიდა ფრონტზე და თან გაჰყვა პირველი სიყვარულის უტკბილესი გრძნობა და ოცნება. მაგრამ მოხუცმა რა იცოდა, თუ რა უბედურებას უშალავდა მას თამარი.



ჯოგო უწინ იტყოდა: ომია და შეიძლება ფრონტიდან ვერ მოახერხა წერილის მოწერაო, მაგრამ ახლა? ომი ხომ დამთავრებულია, და ცოცხალი რომ იყოს, მაეცნობებდა მაინცო. არ ეშვებოდა ეს აზრი.

წინანდებურად კვლავ მოელოდა ვახტანგს. ამიტომ იყო, რომ დღილიდან საღამომდე აივანზე იჯდა. სურდა შინმოშავალი ვახტანგი პირველად მას ენახა. არ უშინდებოდა არც ქარს, არც წვიმას, იჯდა აივანზე ამ განზრახვით, მაგრამ უკანასკნელად მეტად დაუძლურებულმა თამარს თვითონ უთხრა:

— თამარ, ბაბაია! მიშველე, შინ შემიყვანე. მეტი არ შემიძლია აქ გაჩერებაო!

და აი, იმ დღიდან ჯოგო მძიმე ავად გახდა. ექიმებს მორჩენის იმედი არ ჰქონდათ. თამარი დღედაღამ უვლიდა თავს დასტრიალებდა.

— არ უთხრათ ისეთი რამ, რაც ძალზე გაახარებს, ან ძალზე ეწყინებო! — ასე გააფრთხილეს ექიმებმა თამარი. თამარიც უსიტყვოდ იჯდა ჯოგოსთან და შეძრწუნებული უყურებდა იმას, თუ როგორ იღვოდა მის თვალწინ, ამაყად მისი ერთადერთი იმედი, მოხუცი ჯოგო.

— და აი, ამიტომ არ უმხელდა თამარი მას ვახტანგის დაღუპვის ამბავს. თვითონ კი, როგორც მოშორდებოდა ჯოგოს, განუწყვეტლივ იცრემლებოდა გულს ვერ იძორჩილებდა. ვახტანგის დედა დესი ერთ კვირასზე მეტია სხვაგან წავიდა. მან კი ვახტანგის შესახებ არაფერი იცის. თამარი ყოველ-წუთს მოელოდა მის დაბრუნებას, მით უფრო დესიმ იცოდა, ~~ჯოგო~~ ~~მეტად~~ ~~ცუდად~~ იყო.

— ნეტავ ვნახავდე ჯოგოს ფეხზე რომ იდგეს, მეტი არაფერი მინდაო! — იტყოდა ხშირად. თავის მხრივ ჯოგო ყოველთვის ცდილობდა დესისათვის დარდები შეეშლბუქებინა. ეს იცოდა თამარმა და ამის გამო სულ იმაზე ფიქრობდა, ჰქადარა დედისათვის გაემხილა თუ არა შვილის დაღუპვა. სოფელმა გაიგო ეს ამბავი, მაგრამ ისიც გაიგეს, რომ თამარი ჯოგოს არ უმხელდა. ჯოგო არაფერს ამბობდა, მაგრამ შემაშფოთებლად განიცდიდა იმას, რომ უკანასკნელად თამაროსთან მომსვლელთა რიცხვი დღეღღე მატულობდა. თითქოს ჩუმად შედიოდნენ თამარის ოთახში და დიდხანს რჩებოდნენ. ჯოგო ხანდახან ვერ მოითმენდა და თამარს დაუძახებდა. თამარის აკრემ-ლებული თვალები ჯოგოს ათასგვარ ეჭვებში აგდებდა, თუმცა ცდილობდა დაეშფვიდებინა მოხუცი მაგრამ მასი თვალები? მისი ცრემლები? მისი სახე?

— თამარ, უბედურება ხომ არ არის ჩვენს თავზე? ხომ არ მიმალავ? მითხარი, ბაბაია, რაშია საქმე? რატომ დადიან ასე შენთან, ან რა ქვითინია ოთახიდან რომ ისმის? რატომ ასე ჩუმად, ასე მწუხარედ უწინ არ შემო-დიოდნენ? ახლა რა მოხდა? — მოხუცს უნდოდა ეს ეთქვა, მაგრამ თვითონ-ვე შეეშინდა, იქნება საიშისო არაფერია და ჩემს ვახტანგს ასეთი რამ რა-ტომ დაუბედოო.

არა, ეს რაღაც შემადარწუნებელი ფიქრების აღმძვრელი იყო. მოხუცი ძლიერ შეშფოთდა მაშინ, როდესაც თამარს ვახტანგის გადიდებული სურათი მიუტანეს. ჯოგო აცახცახდა რაღაც საბედისწერო შიშით ატანილი, ხმა ჩაუწყდა თითქოს და ბოლოს ძლივს მოახერხა ეთქვა:

— ბაბა! რატომ გაადიდებინე ვახტანგის სურათი? რათ გჰირდებოდან ეს?! ხომ იცი, სურათს ასე მაშინ გაადიდებენ, როდესაც აღამიანი მოკვდებ-ბა? ხომ იცი ეს?! წაილე ჩქარა, წაილე, ბაბა, წაილე! სიკვდილს ნუ უბედებ ჩემს ვახტანგს!

თამარიმ სურათი უბზოდ წაიღო, შეინახა.

— ისეთი სიზმრები მაქვს, რაღაც დიდი უბედურება მომელის, — იტყო-და ჯოგო, — ძილის მეშინია. აი, წუხელ სიზმარში უზარმაზარი შავი გველები დამესიენ... ერთს წაეაგლოდე თავი, მაგრამ მეორე გამოჩნდა... იმასაც მოველე ბოლო. მგვრამ ახლა კიდევ სხვა გაჩნდა... დასწყევლოს ღმერთმა, როგორ ვიტანჯე...

თამარი ისმენდა ჯოგოს ნაამბობს.

— უფსკრულში ვიყავი თითქოს... გველების თვალები ლამპრებივით ანა-თებდნენ... ჩემი ტანჯვა ნახა ოქროსფერმა ქაბუკმა... წამოვიდა მოსაშველებ-ლად... იმედი მომეცა... იგი მართლაც მომეშველა... გველები ამოხოცეს... ოქროსფერ ქაბუკს მადლობა გადავუხადე და იგი წაიდა... როგორც კი წავიდა, ის დახოცილი გველები კვლავ გაიცოცხლდნენ და დამესიენ... ამ ტანჯვაში გამეღვიძა...

ჯოგომ ღრმად ამოისუნთქა.

— რას იტყვი, ბაბა? რას უნდა ნიშნავდეს ეს?

თამარი დაიბნა, რა ეთქვა არ იცოდა, მაგრამ არჩია ჩვეულებრივად ენუ-
გუშებინა და უთხრა: ყოველგვარ ხიფათს გადაურჩებიო.

— ის ოქროსფერი კაბუცი—კვლავ წაიხურჩულა ჯოგომ, ჩემს ვახტან-
გის მაგონებს, მაგრამ რატომ წავიდა? რად დამტოვა მარტომ? იქნებ ესე
დამტოვოს ვახტანგმაც, მაშინ რა უნდა ვქნა? რას იტყვი, ბაბაი? მეტი

— ეგ ხომ სიზმარია და სიზმარს, აბა, როგორ უნდა აპყვი?

— დიალ! სიზმარია... სიზმარია იყო იგი. ეკ, ნეტავ იმ ოქროსფერ კაბუცი-
ვით გამოჩნდებოდეს ჩემი ვახტანგია და მერე ერთ დღეს ნუ მაცოცხლოს
ღმერთმა!

ჯოგო მთელი თავისი აზრებით, ფიქრებით და გრძნობებით ვახტანგთან
იყო. ყოველი ნივთი, რომელიც ვახტანგს ეკუთვნოდა, ჯოგოს უყვარდა, არ
იშორებდა, ეალერსებოდა.

ერთხელ თამარს ნანადირევთა ოთახიდან გამოატანინა ვახტანგის მიერ
დახოცილ ნადირთა ტყავები და ირმის რქები. ნადირთა ტყავები კედელზე
გააკვრევენა, მხოლოდ ირმის რქები—ლოგინის თავთან, ზედ ვახტანგის სა-
ნადირო თოფი და ჩანთები დაჰკიდა. ჯოგო უყურებდა მას, იგონებდა ვახ-
ტანგის ნადირობას და ასე ეგონა, თითქოს ვახტანგი კვლავ იმ მთებში, იმ
ორწოხებში იყო წასული და საცაა მალე მობრუნდებო. თვალწინ ედგა
თოვლიანი მთები, თუ ნაპრალები, გაუვალო ტყე-ჯაგები თუ წაფარები, ხა-
დაც მას ვახტანგთან ერთად უნადირჩია. ახლა თითქოს გონების თვალთ
კვლავ ხედავდა ამას, თითქოს ხედავდა ვახტანგის შორეულ ანრდოს და
ყურებთან კვლავ უყუროდა ის სიტყვები, რომლითაც თავისკენ იხმობდა
ნადირობის ტრფილით გატაცებულ ვაჟს. აი ახლაც უხმობს მოხუცი მამის
გული შვილს. ახლაც ეძახის მას. მაგრამ ვახტანგს ვანა ესმის მისი ძახილი,
მამის გულის ბორგვა? მაშინ თითონ ჯოგო რა მარად, რა უშიშრად გადა-
რბოდა ორწოხებთან კლდეებზე. ოდნავ ფეხი რომ გადასცდენოდა, ჩაიკარ-
გებოდა ამ ორწოხებში. შავი, ბნელი ორწოხები სიკვდილის შავ ხახასაგით
შემოფჩენილიყვენენ, მაგრამ მაშინ სიკვდილისა არ ეშინოდა. ახლა კი ორწო-
ხებთან არ სდგას, საიშო კლდეებზე არ იმყოფება, წევს ლოგინზე, არსად
არ გადავარდება მაგრამ შიშს შეუპყრა. შემზარავი, გულისამფორიაკბე-
ლი, შემადრწუნებელი სიკვდილის შიში დაეუფლა მას და რაც დრო გადინ,
თუმცა გული ჯიუტობს, მაგრამ გონებას უფრო და უფრო ღრდის შიში
სიკვდილის შეგრძნობის გამო.

— ნუ თუ სიკვდილი შემომეპარა, ბაბაია?! ნუ თუ ჩემს ვახტანგის ვერ
ვნახავ?!—კვლავ ამბობდა ჯოგო. ცდილობდა წამოდგომას, ფიქრობდა, გა-
ვიელო ეზოში, კვლავ დავენახები ხალხს. რომ ცოცხალი ვარო, მაგრამ თავს
მალდა ვერ წევდა, ჩონჩხადქცეული, სახეგათეთრებული, თვალეზიანული
იწვა მეტად სევდიანი და ჩანადვლიანებული.

თამარმა ვერ გაუძლო ცრემლებს, მწუხარებასა და ტანჯვას. ჩაწვა. თვა-
ლებგამოღამებული, ფერმკრთალი, სახეგაცრეცილი იწვა იგი. ცდილობდა
ვახტანგთან განშორების უკანასკნელი წლები აღედგინა, ვახტანგის უკა-
ნასკნელად გაღიმებული სახე წარმოედგინა. მაგრამ უნარი არ შესწევს თავს
ძალა დაატანოს. ყველაფერი შავ ნისლში გახეულად, გაურკვევლად ეჩვი-
ნება და შავად ჩამოიძენდა მისი მომავალი ცხოვრებაც. ყოველშემთხვევაში
ახლა ასე ეჩვენება. შვილი მაინც ჰყავდეს, რომ იმედად გულში ჩაიკრას,
119

მაგრამ არა, ეს ნატერაც ახლა გულისამფორიაქებელია მხოლოდ. მთელს
ლაპეებს შფოთებასა და ურვაში უძილოდ ათენებდა. არა, ასე ყოფნაა...
ძლება, მასი გული ვერ გაუძლებს ამას.

ერთ დილას ოთახში რაიკომის მდივანი და სასოფლო საბჭოს თავმჯდო-
მარე შეძროვიდნენ. ჯოგოს გაუყვირდა მათი სტუმრობა. ხმა არ ამოუღია,
მხოლოდ გაოცებული ფართო თვალებით შეხედა მათ. თითქოს, რაღაც
იგრძნო, მოულოდნელად შეკრთა. გულმა ძვერას უმატა. უბედურების
მათქვებელმა ექვებმა ერთბაშად დაღრღნეს სულის სიმწმიდე. მათ სახეზე
ლიძილის ოდნავი შუქიც არ დაკრავდა. ეს კი მოხუცს არ ესია მოგნა. ვერ
მოითმინა. თავი მალა ასწია, თითქოს აი, საცაა ეტყვიან რაღაცასო და
სურს ყველაფერი კარგად გაიგონოს...

მძიმე და საბედისწერო წუთები დადგა. ჯოგოს უთხრეს, რომ ვახტანგი
დაიღუპა ეჭირულად, მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ახლა
კი ჯოგომ მთელის სიმწვავით იგრძნო თავისი უბედურება.

— ვახტანგი ცოცხალი აღარ არის! თვითონ სიკვდილის პირადაა მისული,
დარჩა მარტო ახალგაზრდა თამარი. ვახტანგს შვილი მაინც დარჩენოდა...
არც შვილი, არც შვილის შვილი... გარდა თამარისა, ამ ახალგაზრდა რძლისა,
არაფერ არ ჰყავს, არაფერ... ოჯახი დაცარიელდა...

ჯოგო უცებ გაქეადა. ერთხანს თვალგამტერებელი უცქეროდა ჰერს.
სახეზე ნაცრისფერი დაედვა და სუნთქვა შეუჩერდა თითქოს. ტუჩები ოდ-
ნავ გაულურჯდა და აუკანკალდა. თამარს ცრემლები წასკდა და დაიწყო
გულათრჯდარი ტირილი. ჯოგომ ხმა ვერ ამოიღო. სიტყვები თითქოს ყელ-
ში გაეჩხარა და ენა ჩაუვარდა. მხოლოდ წარბები ოდნავ შეარხია. თამარი
ტირილით დაეკრა ჯოგოს მკერდს, მაშინ ჯოგოს გამომშრალ თვალებიდან
ცრემლის ორი წვეთი მოწყდა და ღრმად ჩაეარდნო ლოყებში ჩაეფინა.

ჯოგომ ათრთოლებულ ჭედა ბავეს კბილი დააჭირა, თითქოს სურდა ეს
თრთოლეა შეეჩერებინა, მაგრამ ამოდ. ცოტა ხნის შემდეგ კედელზე გაკრულ
ვახტანგის ნანადირევ ირმის რქებსა და ცხოველთა ტყავებს თვალი მიიპყრო.

— შვილო... ჩემო შვილო!— წაიჩურჩულა. მერე შეიშმუნა, გაიზმორა,
თითქოს დაკრილია და ტკივილისაგან ბორგავსო.

თამარს მუზობლები შემოხვეოდნენ, ხოლო ამ გულისამაჩუყებლად მო-
ხლევებულ მწუხარე წუთებში, რაიკომის მდივანი უფრო ახლოს მივიდა
ჯოგოსთან და დამაშვილებელი ხმით უთხრა:

— ჯოგო ჩემო! ზოგჯერ სიკვდილი ადამიანისათვის ახალი სიცოცხლის
დასაწყისია... ასეა ეს ვახტანგისთვისაც... მართალია, იგი მოკვდა, მაგრამ
თავი სამშობლოს შესწირა და სამშობლო მას არასოდეს არ დაივიწყებს.
ჩვენ ყველანი შენთან ვართ... არაფერს ვაგიჟირებთ...

ჯოგომ უსიტყვოდ შეხედა მას. შემდეგ თვალი ისევ ვახტანგის ნანადი-
რევს მიიპყრო. თითქოს იქ, იმ კუთხეში, ვახტანგის სახე აელანდა და უკა-
ნასკნელად ნაღვლიანი თვალებით სურს გამოესალმოსო, თვალებიდან
ველავ მოწყდნენ ცრემლის წვეთები.

ამ დროს ვიღაცამ დაიძახა დესი მოდისო. ამ სიტყვის გაგონებაზე ჯოგო
ლოგინიდან წამოიწია. ყველას გაუყვირდა ეს. არავის ეგონა, თუ ამდენი
ძალა და უნარი კიდევ შერჩენოდა, თითქოს ჩონჩხადქცეულ ჯოგოს. თა-
მარს ტანისამოსი მოანახია. საიდუმლოებით მოცული, სევდიანი, აკრემლი-
ლი თვალებით შეხედა მათ და უთქმელი ტანჯვისაგან განაწამები ადამია-

ნის მიღებული ხმით წარმოსთქვა, ისე, რომ თვითელი სიტყვის წარმო-
თქმასთან ერთად, ჰაერს ღრმად სუნთქავდა, ისვენებდა, თითქოს სული
ეხუთება, თითქოს ჰაერი არ ყოფნისო.

— ვახტანგის... დაღუპვანზე... მას... არაფერი... არ უთხრა... ცუდია...
დედის... გული... ვერ... გადაიტანს... მე.. მაცა... ლეთ!

ჯოგო თითქოს ერთბაშად გამოიკვალა. არა, კი არ გამოიკვალა, არამედ
ამ საბედისწერო წუთებში, იგი შეეცადა ჯოგად შემართულიყო უბედუ-
რებისა, სიკვდილისა და სასოწარკვეთილების წინააღმდეგ; თვალებიდან
ცრემლი ამოიწმინდა, ტანთ ჩააცვა. წამოდგა, წარბები უცნაურად შეიკრა.
დიდხანს, სადღაც შორს ჰქროდნენ მისი ფეხრები, ხოლო შორეულ, შეუ-
ცნობელ წერტილზე ჯოგტი მზერა არ შეუწყვეტია. წაწამებდაც არ ახამ-
ხამებდა, მხოლოდ წარბებს ლეშავდა. გამომეტყველება უფრო მკაცრი, ქუ-
ში უხდებოდა. თითქოს ასე უხმოდა, ასე გარინდული ეგუბებოდა ვილა-
ცას. დაიღალა. მუხლები არ დაემორჩილა. დაჯდა. კვლავ სათითაოდ მია-
ჩერდა ყველას. მის გამომშრალ თვლებში გაბრუებული გაოცება ჩანდა
მხოლოდ.

დესიმ, როგორც კი შემოღდა ფეხი აივანზე, ჯოგო მაშინვე წამოდგა.
მაგრამ ახლა თითქოს მტკიცე გადაწყვეტილებით—დესისათვის თავი ეჩვე-
ნებინა, რომ უკეთაა. თავი შეიძაგრა და შესაგებებლად წაეიდა. საშინელი
ღუძილი ჩამოვარდა. არაფერ იცოდა—რა იყო მოსალოდნელი.

დესიმ ხალხი რომ ნახა, თითქოს მუხლები ჩაეკეცა, ენა ჩაუვარდა; სახე-
ზე მიწისფერ გადაყრული უსიტყვოდ მოდიოდა, ისე, რომ ფეხები უკან
რჩებოდა. დედის გულმა თითქოს იგრძნო მოსალოდნელი უბედურება და
ამან სასოება წაართვა, მაგრამ მეორეს მხრივ ჯოგო ფეხზე ამდგარი რომ
დაინახა, ესამოგნა, იმედი მიეცა. რამდენი ხანია ჯოგო ლოგინიდან არ წა-
მომდგარა და ახლა თავისუფლად რომ მოაბიჯებდა, უსათუოდ იმედის
მიმცემი იყო დედისათვის, მაგრამ ამდენი ხალხი შეგროვილა, ეს აოცებდა
და თანაც ხმას ვერ იღებდა, ბოლოს ახლოსმისულ ჯოგოს შეშფოთებული
და აკანკალებული ხმით მაინც უთხრა:

— რას ნიშნავს ეს? რა მოხდა? ამბავი ხომ არაფერი გაგიგიაო?

ჯოგო არ დაიბნა. მოხუცის გასაოცარი თავშეკაეებულობა და გარეგნუ-
ლი სიმშვიდე აოცებდა ყველას.

— ქვეყნისათვის სასახელო შეილი აღვიზრდია დესი და უნდა ვიამაყოთ,
გესმის? სახელოვანი... საამაყო... შეილი... ვახტანგისათვის საბჭოთა კავში-
რის ვმირის წოდება მიუნიჭებიათ და აი, ამბავიც ამ კეთილმა ხალხმა მოი-
ტანეს!

დედას სახე გაუნათლდა, გაიღიმა. ღრმად, მაგრამ ახლა უკვე სულის შე-
მამსუბუქებლად ამოისუნთქა. რას ფიქრობდა მისი დაეჭვებული სული და
რა გასახარებელი ამბავი მოისმინა?

— თქვენ გაიხარეთ, როგორც გამახარეთ, ჩემო კეთილებო!—დაიწყო დე-
სიმ.—მე კინალამ გული გამისკდა, რამე უბედურება, ხომ არაფერია-მეთ-
ქი... თქვენ იცოცხლეთ! თქვენ გაიხარეთ, ჩემი ვახტანგის კარგი ამბავი რომ
მოგიტანიათ, თქვენი ჰირიმე, თქვენი!

დესი იქვე სკამზე დაჯდა, რათა სული მოეთქვა. მერე თამარი გულზე
მოიკრა და სიხარულის გრძნობით ანთებული ქალარა დედა ტკბილად ეა-
ღერებოდა მას.

— ხედავთ?! რა არის ბედნიერება, სიხარული? განა ოდესმე ვიფიქრებდი, ჯოგო კიდევ წამოდგებოდა?! არა, ამისი იმედი არ მქონდა და ბევრნი გაიხარეთ ამ სასიხარულო ამბისათვის... სიხარულმა წამოაყენა იგი ფეხზე. — ასე ამბობდა დესი, მაგრამ... დესიმ რა იცოდა, როგორც არასოდეს, სწორედ ახლა ჯოგოს გული ყველაზე უფრო საშინელი ცეცხლივით დაიწვითქული, ამ ცეცხლზე იწრთობოდა მისი სულიერი სიმტკიცე, რომელსაც ჯოდოქრულად ექსოვებოდა წონასწორობის შენარჩუნების მოჩვენებითი საოცრება. რა იცოდა დესიმ, რომ ჯოგო, სწორედ ახლა იყო ყველაზე უფრო შესაცოდი, ყველაზე უფრო მოსაველეი.

აი, ჯოგო უხმოდ გავიდა მეორე ოთახში, ეზოში გაბანუნდა. ხელების კანკალით ჩამოხსნა ცისფრად შეღებილი პატარა ვალია, რომელშიც დამწყვედელი იყო თეთრი და შავი მტრედი. ჩამოიღო და კვლავ ბაჯბაჯით წამოვიდა უკან. ასე ეგონა უხარბაზარ ტვირთს ჩასკიდებია მისი გამხმარი ხელი. წაღება არ შეუძლია, მაგრამ არა, რაც არ უნდა მოხდეს, თუ გინდკიბზე დაეცეს და სული განუტევოს, მაინც რაც გულში აქვს, უნდა შეასრულოს.

— აი, მტრედები ვახტანგის სახელზე, რომ ზრდიდი ჩემო დესი!— დაიწყო ჯოგომ.— ახლა შენგან მოელიან სიტყვის შესრულებას!— მერე ჯოგო სხვებს მოუბრუნდა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა და ნელა დაიწყო:— დესი ამ მტრედებს ყოველდღე ეუბნებოდა, როგორც გავიგებ ვახტანგის ამბავს, მის სახელზე გავიშვებთო და ინავარდეთო...

ჯოგომ, როგორც კი დაამთავრა სიტყვები, გააღო ვალის კარი. მტრედები შეფრთხილდნენ, ოთახში რამდენიმე წრე გააკეთეს, თითქოს მინიკებული თავისუფლების გამო გულგახარებულნი მიესალმნენ მათ და მერე ღია კარებიდან გარეთ გაიქრნენ.

დესი უცებ წამოიწია და გაცივებულმა უთხრა ჯოგოს, — სასიხარულო ამბავი გავიგეთ და მარტო თეთრი მტრედი უნდა გავეშვა, შენ შავიც გაუშვი, რატომ ვააკეთე ასე, რა საჭირო იყო ეს?

ჯოგო იდგა ბირქულად ყვარჯენზე დაყრდნობილი. ახლა თანდათან თითქოს მოითენთა, მძიმე ფიქრები თალხავდა მის სულს, მაგრამ დესის რომ შეხედავდა, კვლავ შეიმართებოდა უბედურების, სიკვდილისა და ძრწოლის საზარელ ვრძობების წინააღმდეგ, კვლავ საიდუმლოების ნავსაყუდელში აბრუნებდა მღელვარე და აწეწილ სულს.

— გაფრინდეს შავი მტრედიც... მას გაყვეს ჩვენი წუხილიც!— სანუგეშებლად ასე მიმართა მან დესის.

მისი გაშვებული თვალები თოვლით მოფენილ კავკასიონის მალად მწვერვალებს შესცქეროდა და თოვლივით თეთრი სახის ღრმა ნაოჭებში, დესისათვის შეუძინევლად კვლავ ცრემლის წვეთები ჩამოიკვალა.

— ზოგჯერ ადამიანისათვის სიკვდილი ახალი სიცოცხლის დასაწყისია... იგი არ იცხოვრებს, მაგრამ იცოცხლებს კი!— თითქოს სანუგეშებლად ეჩურჩულება ვიღაც.

გასცქერის იგი ვრცელ სივრცეს, საითკენაც რამდენიმე წუთის წინ მტრედები გაფრინდნენ და ჯოგოს უკანასკნელი იმედიც, რომელიც კიდევ აქვარებდა მის დამკვიწარ გულს, გაფრენილ მტრედებივით საბოლოოდ გაუჩინარდა და.....

აკანკალებულ მუხლებზე ჩამოიკეცა მოხუცის სხეული.

ჭრიჭინობა

დილით გიორგი სამუშაოზე მივიდა. თანამშრომლებს ჩვეულებრივამებრ უქმეხად მიესალმა და საწერ მაგიდას მიუჯდა. უჩვეულო ხმაურმა მის ყურებამდისაც კი მიაღწია. მაგიდებთან ჩამწყრივებული ქალიშვილები (მათ სახელებს გიორგი არ კითხულობდა და გულში ყველას „ჩიტირეკიებსა“ და „ჭრიჭინებს“ უწოდებდა) რაღაცას უამბობდნენ ერთმანეთს. გიორგის არც სურდა გაეგო, რა მოხდა, ავი არც ისე ცნობისმოყვარე გახლდათ; მხოლოდ ეშინოდა, ეს აურზაური მას არ შეჰხებოდა.

მართლაც არ ასცდა უსიამოვნება.

— ბატონო გიორგი, უპატრონო ბავშვები ჩამოიყვანეს; დედ-მამა ომში დაეხოცათ. ბავშვთა თავშესაფარში ადგილი აღარ არის. მეორის მოწყობას კი ერთი თვე დასჭირდება. ჩვენ ყველამ თითო-თითო შევიფარეთ. თქვენ ხომ არაფერს გყავთ შესანახი, წაიყვანეთ ერთი ბავშვი!

„ღმერთო მიხსენი! რას ამბობს ეს ქალი? ხომ არ გაგიცდა! არც თუ წინათ იყო ქვეიანი ეს მოკლუკაბიანი ქრიჭინა!“ — გაიფიქრა გიორგიმ.

— ბატონო გიორგი, რატომ არას ამბობთ? — კვლავ ჩაესმა ხმა.

„უსაქმურობისგან უჩნდებათ ასეთი აზრები ამ ჩიტირეკიებს. — განაგრძობდა ფიქრს გიორგი, — მთელი თვის განმავლობაში არაფერს აკეთებენ, ქრიჭინობენ განუწყვეტლივ, თვის ბოლოს კი გიორგისთან მორბიან.“

— ბატონო გიორგი, დამეხმარეთ!

— ბატონო გიორგი შემიდგინეთ ეს ანგარიში!

— ბატონო გიორგი, აი, ეს ვერ გავიგე!“

გიორგიც ეხმარებოდა. თვითონ უნაკლო მუშაკი იყო, საქმეს ერთგულად ეკიდებოდა, ყოველი დაუმთავრებელი და არაკეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაო თავზარსა სცემდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა. „ჭრიჭინები“ კი მგონი დასცინოდნენ კიდევ გიორგის; ცდილობდნენ მის პირქვე გამოხედვაზე არ გაეცინათ, და მერე როგორ სძულდა გიორგის სიცილი — უქნარა ადამიანთა თავშესაქცევი ჩვეულება! ეს ისეთ ქარაფ-შეტულ იერს აძლევდა ადამიანს... საკვირველებავ! ხშირად ისეთი ხალხიც იყინოდა, რომელთა მიმართ გიორგი საღდაც გულის კუნჭულში უნებლიეთ პატივისცემას გრძობდა.

— ბატონო გიორგი!

— რას ამბობთ, მე, ბავშვი?

— დიად, თქვენ... აიყვანეთ!

— მერე და ვინ მოუვლის?

— არც თუ ისე პატარაა, რვა წლისაა, თვითონაც მოუვლის თავის თავს.

— არა, არ შემიძლია.

— რატომ? მარტოობას ხართ მიჩვეული და ამიტომ გიძინებდებოდა?
სკადეთ.

— დამანებეთ თავი!

ვერ იქნა ველარ შეკრა გიორგიმ პორტფელი, თითები თიქს-შეხანე ღებ-
ტონდენ, თითქოს გიორგის მაგივრად აპირებდნენ ყვირილს: თავი დამანე-
ბეთ! მომშორდითო!

სამსახურში ყვირილი არ შეიძლება.

— ხელამდე... მოვიფიქრებ, მშვიდობით!

გიორგი დაფიქრებული დაბრუნდა შინ. სადილი სახელდახელოდ მოი-
ზადა და ნათქვამზე ჩაიდანა შედგა.

ხანში შედიოდა უკვე გიორგი. საცაა ნახევარ საუკუნეს გადააბოჯებს. ჩაი-
სა და წიგნების მეტი კი არაფერი ჰყვარებოდა ჯერ. ჩაის დიდი გულისყუ-
რით და სიღინჯით ამზადებდა. ჩაიდანს ჯერ აღუღებულ წყალს გამოაე-
ლებდა, სარქველს დახურავდა და ცოტა ხანს გააჩერებდა. შემდეგ წყალს
გადაღვრიდა, ჩაის ჩაჰყრიდა, ცოტა წყალს დაასხამდა და ერთხანს ცეცხლ-
ზე შემოდგამდა, ბოლოს კვლავ წყალს დაუმატებდა და რამდენიმე წუთის
შემდეგ ჭიქაში გამჟღავნებულ ჩაის ჩამოასხამდა. ამ ჩაის განსაკუთრებული
სურნელი ჰქონდა და გემოც; შაქარს ჩაიში არ ჩაყრიდა, გემოს უკარგავსო,
პატარა ნატეხებად დამატვრევედა და ასე შეეჭყეოდა საყვარელ სასმელს;
მის სახეს მხოლოდ მაშინ მოეფინებოდა ბედნიერი ღიმილი.

ჩაი რუსეთში შეუყვარდა გიორგის. სიკვამლეში იქ ცხოვრობდა, სასწავ-
ლებელიც იქ დასამთავრა. საქართველოში იმითომ ჩამოვიდა, რომ დედ-მამა
გარდაეცვალა და ოჯახში აღარაფერი დარჩა მემკვიდრე. ცოლი არ შეურ-
თავს; ქალი არასოდეს ჰყვარებია და არც ქალებს უყვარდათ იგი. უხაავი
და აბეზარი კაცი იყო. თავის აზრს ყველას პირში ახლიდა, ცდილობდა
ყველასთვის მწარედ გაეკრა კბილი, მეგობრებიც არა ჰყავდა, რადგან ეგო-
ნა, მეგობრებს ის მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდათ, რომ რაიმე დაეტ-
ყუებიათ. ყველას აღმაცერად უყურებდა, და ყველგან ქურდობა ელანდ-
ბოდა. სწორედ ამიტომ გააგდო სახლიდან ნატო, ერთადერთი დედაკაცი,
რომელიც მის ხასიათს ეგუებოდა და მას ბავშვობიდან უვლიდა, ამის შემ-
დეგ სარეცხსაც თვითონ ირეცხდა, დახეულ ტამისამოსსაც თვითონ იე-
რებდა. სამაგიეროდ დამშვიდებული იყო — აღარაფერი მოჰპარავდა საკმელს,
შაქრის ნატეხებს აღარ დასჭირდებოდა დათვლა. და ახლა, როდესაც თით-
ქოს საბოლოოდ მოაგვარა მშვიდი ცხოვრება, რომელიც წყნარად და ერთ-
ფეროვნად მიმდინარეობდა გიორგის ოთახში და სამსახურში, საწერ მაგი-
დასთან (თუ არ ჩავთვლით „კრიკინების კრიკინს“) მის მყუდროებაში უნდა
შემოიჭრას ვიღაც ბავშვი, თავის უაზრო ტიტინითა და საჭიციელით.

ეს ფიქრები ჩაის შიშინმა გაუფანტა გიორგის. ორი ჭიქა მაგიდასთან და-
ლია, მესამე კი ჩვეულებისამებრ საწოლთან მიიტანა და სასწრაფოდ ლო-
გინში ჩაწვა. ამ საიმოვნებას არაფერი შეედრება; იწვე ჩაფუთულ ლოგინ-
ში, სურნელოვან ჩაის შეეჭყეოდე და ამალეღვებელ რომანს ფურცლაკდე-
ბეერ წიგნს კითხულობდა გიორგი. მისთვის სულერთი იყო, წიგნი ვისი
დაწერილი იყო ან რა თემაზე. წაკითხული ჩქარა ავიწყდებოდა და ერთ
თვეში შეიძლება ერთი და იგივე წიგნი სამჯერ წაეკითხნა. წიგნებს არ ყი-
ლულობდა. თითქმის ოცი წლის განმავლობაში ერთს პატარა სამკითხველო-

ში იყო ჩაწერილი და თავისი მესხიერების წყალობით აქ წიგნი არ ილუოდა მისთვის. გამოჰქონდა და გამოჰქონდა სამკითხველოს ჭკუყვანი წიგნები, რომლებსაც დიასახლისები საქმლის მომზადების დროს კითხულობენ თავდავიწყებით, ცერისოდენა ცრემლებს აფრქვევენ წიგნის ფურცლებზე და უხვად ამარილებენ შექამანდსაც. ამ ადგილზე გიორგის გულდასმობა

გიორგის გულიც ჰქონდა, თუმცა იგი არც თუ ძალიან სჭირდებოდა: სიბრაღულით არავინ ებრალებოდა, სიყვარულით არავინ უყვარდა. არც ერთი გრძნობა, რომელშიაც გული მონაწილეობდა, არ გამოეცადა მას. მაგრამ გული მაინც ჰქონდა და მის არსებობას მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როდესაც სამსახურში, მეხუთე სართულზე აღიოდა; გულს კიდევ ცხელი ჩაის დაღვეისას გრძნობდა. სხვა დროს, თუ არ ჩავთვლით რომანების გულამჩუყებელ ადგილებს, მისი გულის არსებობა მეტად შეუმჩნეველი იყო.

გიორგის საწოლიდან წიგნი ნელ-ნელა ჩამოცურდა; გიორგის ჩაეძინა. სიზმარში რას არ ხედავდა: ეჩხუბებოდა ვიღაცას, ემუქრებოდა, კვნესოდა, ბორკავდა. მთელი დღის დაგუბებულ ბოლმას მოჩვენებებზე ანთხევდა.

დილით გამოიღვიძა თუ არა, გუშინდელი უსიამოვნო საუბარი მოაგონდა. დღეს სამსახურში „არ წავაღო“, — გაიფიქრა, მაგრამ დაუმთავრებელი სამუშაო გაახსენდა. სასწრაფოდ ჩაიცვა. ერთი ჰიქა ჩაი დალია, ისიც უგემურად.

გულდამძიმებული აჰყვა სამსახურის კიბის საფეხურებს. დღეს ვერ დაუდო გული საფეხურების დათვლას. სხვა დროს კი ყოველთვის ითვლიდა, ხან ოთხმოცდახუთი იყო, ხან ოთხმოცდარვა, ხანაც ოთხმოცდაათი. არ უყვირდა საფეხურთა რიცხვის ასეთი ცვალებადობა.

— გამარჯობა, გიორგი

— დილა მშვიდობისა, გიორგი

შემოესმა ხან ზემოდან, ხან ქვემოდან, გიორგიმ ოდნავ დაუქნია თავი კიბეებზე ამომავალ ხალხს და ისე წარბშეკრული შევიდა სამუშაო ოთახში, რომ ქალიშვილებს შეკავებულ სიცილისგან მკერდზე ბრჭყვიალა ქიშის-თაყებით დაბნეულნი სიფრიფანა აბრეშუმის პეპლები ალთამაშდათ. ახლა ვინღა გაბედავდა გუშინდელი საუბრის განახლებას.

დღის ბოლოს გიორგი დამშვიდდა — გუშინ, ალბათ, გაეხუმრნენ, გახეხილ პორტფელში ქაღალდები და ნაგლეჯებად ქცეული რომანი ჩასდო. პორტფელი ილიაში ამოიჩარა და კარი გამოაღო.

— მოიცადეთ, ბატონო გიორგი, მოიცადეთ, — შემოესმა ისევ იმ ქალიშვილის ხმა. — მოიფიქრეთ? — განაგრძო ქალმა და მისი გამბედაობით აღტაცებულ მეგობრებს ეშმაკურად გადახედა.

— არა, ბავშვს ვერ ავიყვანი

— რატომ? რა უჭირს, ერთ თვეს შეინახე ბავშვი. ეს შენთვის სასარგებლოც აქნება, დამოჯერე, სიმარტოვე არ ვარგა. ნერვებს აგიშლის და უდროოდ დაგაბერებს, ცხოვრების ხალისს დაგიკარგავს. — დინჯად მიმართა გიორგის მოხუცმა ნიკომ, თეთრ წვერზე ხელი გადაისვა და გაუღიმა. ნიკო იმ აღამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც გიორგის პატივისცემით სარგებლობდნენ.

— საკვირველია, ნუთუ ეს დარბაისელი კაციც პრიჭინას აჰყვა.

ოთახში დირექტორი შემოვიდა, გიორგის ხელი ჩამოართვა. ქალღმეილი ისევ მაგიდას მიუჯდა და ნიკოც გატრიალდა.

— ამხანაგო გიორგი, ალბათ თქვენც როგორც საბჭოთა მოქალაქე, დაეხმარებით ბავშვებს. ჩვენ ამის საშინელება არ გამოგვიტყდეს! — შატარებმა კი ნახეს ბრძოლის ცეცხლი. მე ორი ბავშვი წამარყვანე, თუმცა ოთხი საკუთარი მყავს. თქვენ კი მარტოხელა ხართ და ეჭვი არც შეპარება, რომ ერთს მაინც წაიყვანთ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — წაილღლღულა გიორგიმ თავაუწყელად და უცბად აენთო სიბრაზისგან. ამას უკვე აღარ მოელოდა თავის-თავისგან, ეს რა წამოსცდა, თუმცა არა, დირექტორმა ვერ გაიგო მისი ნათქვამი.

— აბა, ეთერი, ნუნუ, შემოიყვანეთ გოგონა! — მხიარულად მიმართა დირექტორმა ქალიღმეილებს და აღარ დაუცადა გიორგის პასუხს.

„რა თქმა უნდა, არ წაიყვან“ — უნდოდა დაეყვირნა გიორგის, მაგრამ ახლა უკვე მეტის აღელვებით შენიშნა რომ ამ სიტყვის სათქმელად ენა ვერ მოუბრუნდა.

ქუშტად გადახედა „ჩიტირეკიებს“. ისინი დერეფანში გაიკრიფნენ.

— რა გრძელი ფეხები აქვთ, ალბათ იმიტომ, რომ მოკლე კაბები აცვიანთ, დინჯად არ გაივლიან, დახტიან სიცილ-კისკისით. ახლაც ასე გაიქცნენ გიორგის დამარცხებით კმაყოფილნი, — ამის გაფიქრება-ლა მოასწრო გიორგიმ.

დერეფანში ხმაური ატყდა, კარი გაიღო. ნიკომ გოგონა შემოიყვანა. მას უკან გახარებული „ჩიტირეკიები“ მოსდევდნენ. გიორგი წარბშეხრილი დაამტერდა გოგონას. ბავშვმა უკან დაიხია; გიორგის ერთი ქალი ამოუდგა და წასჩურჩულა:

— გაულიშეთ, ხედავთ, ეშინია!

გიორგიმ თვალებით გაზომა აბეზრები, მაინც შეეცადა გალიმებას; თუ შეიფარებდა ბავშვს, უნდა გაეღამა კიდევ, ძალა მოიკრიფა, საბის კუნთები დასკიმა, პირი ფართოდ გააღო და კბილები გამოაჩინა: ეს სიცილის ნიშნავდა — კარგი იყო, მასაც ესწავლა სიცილი.

გარშემორტყმული პრიკინები მოაგონდა, მისი სიცილის აბეზარი მოწმეები, შემდეგ სახეგანათებულ ნიკოს შეავლო თვალი. შემდეგ ყველას თვალები ერთმანეთში აირიენენ, გაღებულ ტუჩები, გამოყრილი კბილები, ზელების ქნევა, ბავშვის შეშინებული მზერა. საწერი მაგიდები, ქალღმეილები, ოთახი დატრიალდა, იატაკი შეინძრა და გიორგი შეტორტმანდა. ტუჩები მაგრად მოკვმა, წარბებთან მოაგროვა ნაკეცები, მორტფელს ხელი დასტაცა, გოგონს ხელი ჩაბლუჯა ისიც უსიტყვოდ გაჰყვა.

გიორგი ეზოში მორიდებით შევიდა. ეშინოდა მეზობლებს არ შეენიშნათ მისი მოულოდნელი შევილობილი.

ოთახში შევიდნენ. ტახტზე ჩუმად ჩამოსხდნენ. გოგონა ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა ოთახს და მის პატრონს მოუზრდებლად უმზერდა. გიორგი დაიბნა. რა უნდა ეთქვა ამ გოგონათვის? დაუსრულებელ ტანჯვას უქადადა ეს ერთი თვე. ბოლოს საჭირო იყო რაიმე ეთქვა და ამიტომ შეეკითხა:

— გშია?

— მშია.



- ჩაი გიყვარს?
- ძალიან.
- რა გქვია?
- ნელი.

გიორგი აფუსფუსდა. სადილი გაფანტული ყურადღებით მოაზნადა. ჩაი-საც ვერ მოახმარა ჩვეული გულმოდგინეობა. ნელის მობეზრდა ამდენი დუმილი. ის მაღიანად შეექცეოდა სადილს და დაუკითხავად ჰყვებოდა თავის თავგადასავალს, როგორ დაეღუპა დედ-მამა და როგორ იპოვეს იგი წითელარმიელებმა გადაბუგულ სოფელში.

უცნაურია, ჯერ ჩაი არ დაელია გიორგის და გულს კი თითქოს ცხელი ჩაი მზხედაო.

ნელიმ სადილი დაამთავრა. გიორგიმ სასოებით ჩაი დაუსხა. ნეტავ თუ მოეწონება გოგონას მისი მომზადებული ჩაი.

— ნელი, რად განუმდი? ჩაი არ გინდა?

გოგონას მაგიდაზე ჩამოეძინა. გიორგის ეწყინა, ჩაის ვეღარ დალეკდა. რკინის საწოლზე ბავშვს ლოგინი გაუშალა; ტახტიდან შეიძლება გადმოვარდეს. უხერხული კია გიორგისთვის ტახტზე წოლა. საწოლთან სინათლე აქვს გაყვანილი და წიგნს მოხერხებულად კითხულობს. რას იზამს, უნდა მოითმინოს სანამ ეს დაწყველილი თვე გავა.

მაგიდაზე გაშლილი ჰურჭული დარეცხა გიორგიმ, დაწმინდა და განჯინაში შეაღავა. ტახტზე დაწვა, წიგნი აიღო ხელში.

— რისთვის, რისთვის უნდა მოითმინოს! საკუთარი ბავშვები არ მონატრებია გიორგის და ახლა ვიღაც ბავშვის გულისთვის უნდა შეწუხდეს.

გოგოს გადახედა, იგი საწოლზე ბორჯავდა. იქნებ სინათლე აწუხებს! გიორგიმ თვალი მოარიდა ბავშვს — ერთხანს ვერ გადაეწყვიტა, წიგნის კითხვა განეგრძო თუ სინათლე ჩაექრო. მერე, რა კარგი დასაწყისი ჰქონდა ამ რომანს...

„ეჰ“, ამოიხენეშა დნ სინათლე ჩააქრო.

დილით ნელი თვალს არ აშორებდა გიორგის, როდესაც ის ჩაის ამზადებდა.

— მარტო დარჩები? ხომ არ შეგეშინდება?

— არა.

ნელი მოუახლოვდა გიორგის, გაუბედავად მოჰკიდა მის ხელს ხელი. ომ-გადახდილ, დაობლებულ ბავშვს ალერსი სწყუროდა; კატასავით მიეკრა გიორგის ფეხებს და შემოხვია ხელები. გიორგი დაიბნა. მორიდებით მოიშორა ბავშვი და თითქოს ბოდიშს იხდისო, ზრინწმორეული ხმით წაილაპარაკა:

— მაგვიანდება, ნელი!

ნელიმ ხელის ქნევით გააცილა გიორგი. გიორგიმ მოიხედა და მგონი გაუღიმა გოგონას.

სამსახურიდან დაბრუნებულ გიორგის თვალში ეცა გასწორებული საწოლი. ნავთქურაზე ჩაიდან ჩუხჩუხებდა. ნელი კი იატაკს თავგანწირვით უსვამდა სველ ტილოს.

— გაანებე თავი იატაკს, ნავთქურის პნთებას კი გიკრძალავ, ხანძარს ვააჩენ.

ბაზრიდან მოტანილი სანოვაგე მაგიდაზე დაყარა. ნელი აფუსფუსდა. მწვანილი გააჩნია, გიორგის კარტოფილის გათლაში უშველა და შემდეგ ჩაის მომზადებას შეუდგა, მაგრამ გიორგიმ ჩაიდან გამოსტაცა ხელიდან, ამ „წმინდაწმიდას“, როგორ მიაკარებს ბავშვს. რა ამბავია, კეტისმეტად დასახლისობს ეს პატარა!

— ძია გიორგი, რა ლამაზი ლოყაწითელა ვაშლებია! — ჩანთის ძირიდან ამოაძვრინა ვაშლები ნელიმ.

— ეგ შენ გიყიდე, გიყვარს?

— ძალიან! — შეპყვირა ნელიმ, — დედაჩემიც ასეთ ვაშლებს მიყიდა ხოლმე.

გიორგიმ გულის არსებობა იგრძნო თითქოს. რა ქნას გიორგიმ, როგორ მოუაროს ამ ბავშვს... თვითონ მთელი დღე სამუშაოზეა. „ჩიტირეკიები“ თუმც არწმუნებდნენ, გოგონა შესძლებს მარტოდ ყოფნასო, თავისთავს თვითონ მოუვლისო, მაგრამ განა პრიჭინებს ქვეა აქეთ? განა ნელის შრომა შეუძლია? კარგი იქნებოდა, ნატო რომ აქ ყოფილიყო. სწორედ დროზე მოაგონდა, ზვალეე დაიბარებს მომვლელ დედაკაცს, მგონი ზედმეტი მოუვიდა მაშინ, მეტისმეტად უხეშად და თავშეუკავებლად გალანძლა ის დედაკაცი თითქმის სრულიად უმიზეზოდ.

ჩაფიქრებულ გიორგის ნელის ხმა შემოესმა.

— ძია გიორგი, იცით ქადრაკის თაშაში?

ოდესღაც სიჭაბუკეში იცოდა.

— სად იპოვნე? — ოცდაათი წელია ეს ქადრაკი არ დაუნახავს გიორგის.

— საკუტნაოში ეყარა, ყუთში.

ბავშვმა ქადრაკი გააწყო და გიორგიმ უარი ედარ უთხრა. ორთავენი დიდი ტანჯვითა და ფიქრით თამაშობდნენ. გიორგი ძლიერს იგონებდა სელებს. სელები ნელიმ კარგად იცოდა, მაგრამ დანარჩენში კოჭლობდა, მაინც გიორგის დასცინოდა.

— ხა, ხა, ხა, რას სჩადისხარ, ძია გიორგი, ეგ ზომ მხედარია, შენ კი ლაზიერით დაჯავს.

ამ საღამოსაც ვერ დაასრულა გიორგიმ დაწყებული რომანი.

რამდენიმე დღის შემდეგ ნატომ მოკრძალებით შემოალო კარი და გაკვირვებული შეჩერდა.

— ეს შენა ხარ, ბებია ნატო, როგორ გელოდი! — გამოექანა მისკენ ნელი.

გიორგი წარმშეკრული მიესალმა ნატოს. აუხსნა ნელის მოსტლის მიზეზი — თვითონ სულ არ სჭირდებოდა ეს პრიჭინობელა, არც თუ ნატოა მისთვის დიდად სასურველი. მაგრამ ის ნელის მოსაველეად დაიბარა. ალბათ ნატო გიორგიზე უკეთესად იზრუნებს გოგონაზე.

კვირა დღე იყო. გიორგიმ ბაზარში წასვლა დააპირა, ნელიმ ჩანთა მოურბენინა და გიორგიმ შეამჩნია ბავშვის ფეხსაცმელიდან გამოყოფილი თითები. ეგ ლა აკლია გიორგის, ნელი გაცვიფდეს და მოსაველელი გაუხდეს.

— ნატო, ზვალიდან ნატეს შაქარს ბაზარზე ნუ იყიდი, მურაბითაც იოლად გაივალ... — მერე ბუზღუნით ნელის ხელი ჩაავლო და ბაზარში წაიყვანა. შაქარი მოიკლო და გოგონას ახალი ფეხსაცმელი უყიდა.

— ბებია ნატო, რა კეთილია ძია გიორგი, რა კეთილი, ზედავ როგორი ფეხსაცმელი მიყიდა, — ტიტინებდა ნელი და საჩუქარს გულზე იხუტებდა.

ათვალისწინებდა მერე ჩაიცვა და ოთახში თავმოყრილად გაიარა-გამოიარა. ახარებდა ახალი ფეხსაცმელის კრიკინი.

ნატო დიდიხანი ცხოვრობდა ამ ქვეყნად, ბევრი რამ იცოდა, მაგრამ გიორგის გულკეთილობაზე ჯერ არაფერი ვაგონა, მაინც დედასთან შეხვედრა გიორგის წიგნი აუფარებინა სახეზე, ცალი თვალი ნელისკენ მიჰქრებდა.

„რა კარგია, რომ პატარაა ეს კრიკინობელა! მაგრამ, ვაი, რომ გაიზრდება და კრიკინად გადაიქცევა“, — ფიქრობდა იგი და თითქმის აღარა სწუხებდა რომ ზვალადან ჩაის ისე ვერ დალევდა, როგორც დაჩვეული იყო.

გიორგი დღითი დღე ეგუებოდა ბავშვს. ნატო ამჩნევდა, თუ როგორ გადაეჩვია იგი ჩხუბსა და ბუზუნს. ნატო იმასაც ხედავდა, თუ როგორ მიიპარებოდა გიორგი ფეხაკრეფით მძინარე ნელის საწოლისკენ, საბანს გაუსწორებდა, შუბლზე ხელს დაადებდა და კვლავ ფეხაკრეფით საწოლში ბრუნდებოდა.

გიორგი თვითონაც გრძნობდა, რომ ამ ბავშვის პატარა ხელების შეხება, მისი აღერსი, რომელსაც ახლა ველარ ეწინააღმდეგებოდა, სულ ზშირად და ზშირად აგრძნობინებდა მას გულის არსებობას.

სამუშაოდან დაბრუნებულსა და დაღლილს, ამშვიდებდა ნელის წკრიალა ხმა. მასთან გატარებული საღამოები აღარ ეჩვენებოდა მოსაბეზრებლად. წიგნები წაუკითხავი რჩებოდა და მისჩერებოდა ნელის, რომელიც ძველ წიგნში სურათებს ათვალისწინებდა და მზიარულად ტიტინებდა.



— ბატონო გიორგი, ბავშვთა თავშესაფარი უკვე მზად არის, ახლა კი განთავისუფლებით გოგონასაგან. მყუდროება დაგირღვიათ, თან ერთი თვის ნაცვლად აგერ უკვე სამი თვეა თქვენთან არის. ცოტა დაგვიანდა მისი გადაყენა.

გიორგი შესტყუროდა ქალიშვილს და ხელებს უმწეოდ შლიდა. „კრიკინა“ კი „კრიკინებდა“.

— ზვალ მოვლენ თქვენთან, ბავშვს წაიყვანენ. გიორგის დედილით და აღელვებით გაკვირვებულმა ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა და თავის სამუშაო მაგიდასთან დაბრუნდა.

გიორგი უისტყვოდ სკამზე დაეშვა. რა მოსდის? ის ხომ მოუთმენლად ელოდა ამ დღეს?

შეორე დღეს გიორგის შინ უცხო ხალხი ეწვია. სათვალეზიანმა ქალმა რაღაც ქალღი აჩვენა გიორგის და აცნობა, რომ ბავშვთა თავშესაფრიდან იყენენ მოსული.

— აქ პატარა ბავშვი ცხოვრობს, ეს არის? ნელი თვალს არ ამორებდა სათვალეზიანს. გულზე დიდი ტიკინა მიეხუტებინა და ნატოს მიჰკეროდა.

გიორგი ვადაქარბებული ყურადღებით ათვალისწინებდა სათვალეზიანის საბუთს, თითქმის არ სურდა დაეჯერებინა, რომ იგი ნამდვილად თავშესაფრიდან იყო.

— მაღლობას გაცხადებთ ბავშვის მოვლისთვის. აი ამ ქალღილზე მოაწერეთ ხელი, რომ ბავშვი ჩაგვაბარეთ.

ნელი გაკვირებული დასადგლიანებული უყურებდა გიორგის ნატოს, სათელეუბიანს, უცხო ხალხს; შემდეგ ისევ უცხო ხალხს, სათელეუბიანს, ნატოს, გიორგის. გიორგიმ მის მზერას თვალი მოარიდა. ნატო განუმეხული იყო. ხანდახან სახეს მიიბრუნებდა და წინსაფრით თვალეზს იწყუნდა.

გიორგი ნატოს დაამტერდა. რატომ არა ამბობს, ყოველთვის გრძნობდა გიორგი, რომ ნატო უფულო დედაკაცი იყო. რას უშლის, ნეტავ ეს კრიქინობელა აქ იყოს, ასე, იქრიქინოს გიორგის გამოყრუებულ ოთახში. „ჩიტირეკიებსაც“ კი შეუთრიადა გიორგი იმ პატარა კრიქინობელას გამო, მათი კრიქინი თითქმის სასიამოვნოც გახდა. ნატო კი ასე გულგრილად იცილებს ნელის. მობეზრდა ალბათ ბავშვის მოვლა. ვერ ეღირსება იგი ბავშვის მოძორებას. კარგად იცის გიორგიმ როგორც უნდა მოიქცეს. გულს გაუხეთქავს ამ გულქვა დედაკაცს.

— მოაწერეთ ხელი.

— დამატოვეთ ბავშვი, — მტყიცედ განაცხადა, გიორგიმ — მარტოხელა ვარ, გამოვზრდი!

ნატო სახეს აღარ ფარავდა, ცრემლები ჩამოსდიოდა დამქნარ ლოყებზე და ბავშვის გულში იხუტებდა.

უცხო ხალხმა მადლობა გადაუხადა გიორგის, მოულოცა და წაივინა.

გიორგიმ ხელზე პატარა თითების შეხება იგრძნო.

ნელის თვალეზი ქვემოდან უცინოდნენ.

თურმე, მხოლოდ ცხელი ჩაი არ სწევდა გულს, არც კიბის ოთხმოცდახუთი საფეხური. გულის არსებობა არ ყოფილა უსარგებლო. ის კრიქინობელას გამოადგება.

მშობლიურ სის ქვეშ*

რომანი



ჩვენ ვხედავთ სიმაართლის სინათლეს

— აგრე, აგრე, ვეკაცო, მოთელე, მოარჯულე და ჩამოაყალიბე. ასეა, ბიძია, ცხოვრება. ან ექიმი უნდა იყო, ან ვექილი, თუ არც ერთი არა ხარ, რკინის მოდრეკა უნდა შეგეძლოს. ხელობა უნდა იცოდე. კურტანი არ შეენის ქართულ კაცს, ბიძია!—ლიმილით ეუბნება ოსტატი მახარეს და გულდასმით სინჯავს მახარეს გაჭედებულ ლანდურებს.

— სწორია ლარვიით, არსად ყალბი ადგილი არა აქვს. ასე: დღეს ლანდურებს გავაკეთებთ; ხვალ ნალებს, ზეგ თოხებს, სახნისებს. ყველა ეს საწყალ გლეხებს სჭირდებათ. შემდეგ ჯაჭვებს გამოვჭედოთ. ჯაჭვები უფრო რთულ საქმეს ემსახურება. ჯაჭვით აბამენ გემებს. ჯაჭვებს ხმარობენ ელექტორზე. ჯაჭვის ხილსაც აკეთებენ. სოფელშიც დიდი ხეების სათრევეად ჩამოაბამენ ულელს—ცანდის მაგიერ. გინახავს, ალბათ, სოფლის ბიჭი ხარ. მაგრამ იცი, ბიძია, ჯაჭვს ბორკილებადაც ხმარობენ. ტუსალებს ადებენ ფეხებზე, ხელებზედაც.

— ბიძია, არ შეიძლება ასეთი ჯაჭვი არ გავჭედოთ?

— სულერთია, სხვები გასჭედენ.

— ეინ იცის რამდენი მართალი კაცი დაიჩაგრება ჩვენი გაჭედებული ჯაჭვით!—ნაღვლიანად სთქვა მახარემ და სახე მოელრუბლა.

— ეინც სიმაართლეს ემსახურება,—მხოლოდ ერთი კია: სიმაართლე სინათლეს ჰგავს; ბნელი ცხოვრების გულს ანათებს და ჩვენ ვხედავთ სიმაართლის სინათლეს... დაქარი, ბიძია, მოდრიკე, მოარჯულე ეგ სკვარამი რკინა. გახსოვდეს: სიკეთე და ბოროტება ერთ ქურაში იწრთობა.

— შერე რა იქნება, ბიძია ტრიფონ?

— რა ვითხრა, შეილო!.. რა ვიცი... ერმილეს ბევრი წიგნები აქვს?

— ბევრი.

— ერმილე ჭკვიანი კაცია.

მახარე გრძნობდა. მის თვალს იქით რაღაც ახალი საქმე კეთდებოდა, რაც დაუნახავად შედიოდა მის გონებაში. ჩაფიქრებული იჯდა ბუხართან. იანვრის ღამე იყო და გარეთ ზღვის ქარი კიოდა. ერმილე მაგიდას მიჯდომოდა, წიგნები გაეშალა და რაღაც გრძელ ნაბეჭდ ქაღალდს კითხულობდა ჭეშად. დაეისტოის. ბუხარში ჯირკი იწვოდა. მახარე გაღვივებულ ნაკვერჩხლებს ჩასცქეროდა. „არა, არა, ჩემი ოსტატი მართო მკედელი როდია“... წამოიძახა ფაქრებში გართლქმა მახარემ. ერმილემ თავი ასწია წიგნებიდან.

— რაო, რა სთქვი, მახარე?

მახარე შეკრთა, გაკვირვებული შეხედა ერმილეს.

— მე? არაფერი მითქვამს. მხოლოდ გავიფიქრე: ჩემმა ოსტატმა უცნაური ლაპარაკი იცის. მე კი მეგონა, მკედლებმა მხოლოდ რკინის გაჭედვა იცოდ-

*) გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 4.

ნენ. ბიძია ტრიფონმა კი ასე სთქვა, თითქოს ჩვენ ვხედავთ „სიმარტლის სი-
ნათლეს“...

— რომელიც უნდა მოეფინოს მთელ ქვეყანას.

ერმილემ სკამი მიაბრუნა ბუხრისკენ და მახარეს პირდაპირ წინაშე მთვა-
ლებში.

— ყური მიგდე, მახარე,—დაბალი ხმით დაიწყო ერმილემ.—ახლა შენ პა-
ტარა აღარ ხარ, ავსა და კარგს ვაიგებ. დაიხედე ხალათის სახელოებზე,
შარმანდელი შეკერილი ხალათი როგორ დაგიფიწროვდა. შარვალიც დაგმოკ-
ლებია. ეს არაფერია, მოვახერხებთ გამოცვლას. მინდა სხვა რამე ვითხრა,
პო, ის, რომ ბავშვი არა ხარ. ჩვენ პურ-მარილს ერთად ვჭამთ და ერთმანე-
თის უნდა ვავიგოთ. ასე ცხოვრება არ შეიძლება. ქვეყნის ჩარხი სხვაგვარად
უნდა შეტრიალდეს. ეს საქმე ჩვენ უნდა ვაგვაკეთოთ—ახალგაზრდობამ: ჯერ
ოდის საძირკველს დასკვნიან და მერე კედელს ააშენებენ. ხომ მართალია?
თუ ეს მართალია, უნდა ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოც ძირიდან საჭიროებს
აშენებას.

ერმილემ ოთახს მოავლო თვალი, მერე გრძელი ნაბეჭდი ქაღალდი გამო-
იღო წიგნიდან და ისევ მახარეს შეხედა, რომელიც განცვიფრებული მისჩე-
რებოდა მას.

— ამ ქაღალდს პროკლამაცია ქვია. ეს რომ გვიანაზონ, დაგვიჭერენ. პროკ-
ლამაციებში იბეჭდება ჩვენი საბრძოლო ლოზუნგები. ეს დღეს გამოუშვა
თბილისის კომიტეტმა.

— კომიტეტმა გამოუშვა? ვინ არის კომიტეტი? ლოზუნგი რაღაა?

ერმილემ ბაგე მოიკვიტა. მან ახლა იგრძნო, დიდი ამბის ასე ერთბაშათ
მოყოლა არ ივარგებდა, მაგრამ გვიანლა იყო. მახარეს კითხვებზე უნდა ვა-
ეცა სათანადო პასუხი. ნათლად უნდა გაერკვია ყველა ის საკითხი, რაც
ბუნდოვანად უკვე მოკალათებულყო მახარეს თავში.

მახარემ თხელი მუსლინის ფარდა გადასწია ფანჯარაზე. ქარი ჩამდგარი-
ყო. თეთრი ღრუბლების ნაფლეთებში განთიადის წინამორბედი ვარსკვლავი
კიაფობდა. გრძელი საუბრის შემდეგ ერმილეს ჩასძინებოდა. ხოლო მახარეს
ჯერაც არ ეკარებოდა ძილი. მას ეგონა: ჩვილმეტი წელი საღათას ძილით
ეძინა, ახლა გამოფხიზლდა და ბელამის გმირივით ერთბაშად იგრძნო და
ერთბაშად დაინახა ყველაფერი, რაც უმისოდ კეთდებოდა. მთავრებილებზე
აღიონი ნათლდებოდა. მახარეს თვლებში მზე ამოდიოდა. სასწრაფოდ
გორგლავდა პროკლამაციებს თითო-თითოდ და უბეში იწყობდა. ამ პროკ-
ლამაციებს დღეს პირველად უნდა აეხილა ბათუმის მცხოვრებლებისათვის
თვალი. ეს მახარეს ხელით უნდა მომხდარიყო.

მახარემ უბე აივსო პროკლამაციებით, თავზე ერმილეს ქუდი ჩამოიფხატა
და ქუჩაში გავიდა. გუშინდელ ქარს ტალახიანი ქუჩები გაეშრო. ცისკარს
ცეცხლი წაჰკიდებოდა.

ჩქარა მზე ამობრწყინდა.

მახარე აჩქარებით გადადიოდა ქუჩიდან-ქუჩაზე. მისდა უნებლიედ ყველა
გამვლელს უღიმოდა. სიხარულითა და სიყვარულით ავსებულყო დღეს მა-
ხარეს გული. ქუჩაზე თვითეული გამვლელი მახლობელ არსებად ეჩვენებო-
და. „რომ იცოდეთ, თქვენ, საბრალო მონებო, რა აქვს მახარეს უბეში,—
ფიქრობდა მახარე,—თქვენც, ალბათ, სიხარულით გამიღიმებდით“.

სავაჟო გიმნაზიისაკენ მიიჩქაროდა მახარე. დღემდე შურიტა და სიძულ-

ვილით უცქეროდა გიმნაზიის მოწაფეებს, მაგრამ დღეს ეს გრძობა გამაჟრა-
ლიყო მისი გულიდან. „ახლა ყველანი მისი დები და ძმებია. ყველა უცვარს...
მახარეს მიაქვს მათთან სინათლე, სამჭედლოდან—გიმნაზიაში, ვინ წარმო-
იდგენს ამას?“

მახარეს გული წყდებოდა: ყველაფერი ეს ჩემად უნდა გავეყოფილიყავი, ისე,
რომ არც ერთ სულიერს არ შეემჩნია.

ოსტატთან, სამჭედლოში გვიან გამოცხადდა მახარე. სახეზე უძილობა და
მოქანცულობა ემჩნეოდა.

— სად იყავი აქამდე?—ჰკითხა ოსტატმა.

მახარემ წაიყრუა, არაფერი უპასუხა. ოსტატმა ახედ-დახედა მახარეს და
ისევ ჰკითხა:

— ერმილემ არაფერი გამომიგზავნა?

— არაფერი...—უოყმანით და დარცხვენით უპასუხა მახარემ.

— მაშ მე გავუგზავნი!—სიცილით სთქვა ოსტატმა და ჯიბიდან ამოიღო
დაგორგლილი ქალაღი. მახარემ გაშალა ქალაღი, სახე წამოუწითლდა, არ
მოელოდა. მერე თვითონაც ამოიღო ერთადერთი ქალაღი და უსიტყვოდ
ჯადასცა ოსტატს. მოწაფე და ოსტატი მამა-შვილივით გადაეხვივნენ ერთ-
მანეთს.

ჩვენი ერთობა

„ძალიერით ყნოსავენ ქუჩებს“—დაღერემილად სთქვა მახარემ და იქითკენ
მიუთითა ერმილეს, საითკენაც გურვილის დამქაშებები მიდიოდნენ ვაშალომი-
ძის თანხლებით... მახარეს მახვილსა და გონიერ თვალს არ გამოპარვია მა-
თი ნაკვალევი. მთელი დღე ქალაქს ზვერაედა მახარე. ბარცხანასა და ნო-
რიას დასტრიალებდა. მთელი გულისყურით იკვლევდა: საით იქნებოდა ამა-
ლამ მიმართული „მაძებართა“ მარშრუტი. მახარეს აზრით ნორიაში შეუძ-
ლებელი იყო კრების მოწყობა. ახმედ-ალას ყავახანა საესე იყო კრელი ხალ-
ხით. დუქნებში ჩვეულებრივად ჰყვიტივებდა არღანი. ლოთები ახლა მუხამ-
ბაზის მაგიერ „ჩვენო კარგო ქვეყანავს“ მღეროდნენ. „ახალი სიო“ ლო-
თებში და უსაქმურ ხალხშიაც შეჭირილიყო და პირზე ნერწყვმომდგარი
ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ როტშილდის ქარხნის შესახებ:

— მდიდრებს ჩამოართმევენ...

— ღარიბებს დაგვირიგებენ...

— თქვენ ვინ გითხრათ?

— ვინ მითხრა? ხა, ხა, ხა... განა თქვენსავით საყრუეში ვარ?

— კომიტეტმა ბრძანა...

— ვინ არის კომიტეტი?

— ეშმაკმა წაიღოს მათი თავი. ვინც უნდა იყოს. ჩემად იყავი, თბილის-
შიაო, ამბობენ.

— რას ვაქნევ, ცხრა მთას იქით იყოს. ოღონდ საქმე გააკეთოს და...

ერთ მათგანს პროკლამაცია ჩაეარდნოდა ხელში. ყველაფერი უკულმა ვა-
უგო. ამიტომაც იყვნენ ამაღამ პატრიოტული გრძობებით გატაცებულნი.
ერმილეს არ გააკვირებია, როცა მოესმა მათი სიმღერა: „აწმყო თუ არა
ჯწყალობს, მომავალი შენიაო“. მხოლოდ ჯავრი მოერია.

— არ უყურებთ ამ ბედოვლათებს? ვინ მისცათ ამ აღამცარიებს ქვეყანა?

მერე მახარეს შეხიდა ფეხებზე და ისევ „მაძებარი ძილლები“ მოაგონდა.

— ბიჭო, შენს ჩექმებს ჭონისა და ვაქსის სუნი ასდის.

— ალბათ, იყნოსეს კიდევ!—თქვა მახარემ და გულიანად გადაიხარხარა.

მახარეს თავის პატარა ცხოვრების მანძილზე, პირველად უცვამელი, შავი, ბოქსის ჩექმები. ერმილუ ამიტომ წაეხუმრა. ბარცხანის ქუჩაზე შეუხვიეს, გზაჯვარედინზე შედგნენ მბეუტავ ფანრის ქვეშ. პაპიროსს მოუხუცდნენ.

— დილამდის ვინ იცის რა მოხდება? ალს კვამლიც თანსდევს! ქვეყანა-ნელ შემთხვევაში სამჯერ გააქანე მავთული და თავს უშველე.—და ცოტა დაფიქრების შემდეგ დაუმატა ერმილუმ:—იცი, ბიჭო, რას გეტყვი? ერთ-ერთ აგიტატორის თანამდებობაზე, ვფიქრობ, შენი კანდიდატურა დავაყენო კრებაზე. კომიტეტის ჩამოყალიბების შემდეგ, ჩვენ თავისუფალი მუშაკები გვპირდება. ეს საქმე სულ შენზე იქნება გამოჭრილი. ენამახვილი ხარ, მეცადინეობა გიყვარს, კორესპონდენტად გამოდგები. შენი ოსტატიც ამ აზრისაა.

— ჩემი ოსტატი ფიქრობს სამკედლოს თავი მივანებო?

მახარეს გული აუთამამდა, ბნელ სივრცეს გახედა. სადღაც, შორს, გახურებულ ბრძმელივით გამოკრთა ახალგაზრდა აგიტატორის ოცნება: „სამკედლოდან ხალხში, ხალხიდან ზევით, კიდევ ზევით... საფეხურები ბევრია ასასვლოლი, ბევრი...“

მახარე ოცნებამ გაიტაცა. დამე ბნელია ლუსკუმასავით. ზღვა გადარეული. ცაზე აქლემების კუნებოვით იზლაზნებიან შავი ღრუბლები. შარშან, ახალი წლის დამეს, ბათუმს თეთრი ქათიბი ებურა. წელს ლამის ცა ჩამოიღვაროს.

— ამხანაგს გამარჯობა!— შეეხმაურა მახარე ოლომფრეს. ოლომფრე შეკრთა. მიიხედ-მოიხედა, ვერავენ დაინახა. სწრაფად მიბრუნდა უკან და გზააბნეულივით წაილაპარაკა:

— დასწყველოს ღმერთმა, სად მივდიოდი და სად მოვხვდი. რავე მეცვალა მხარი!

— ოფოფები აფერენია, ალბათ,—დასცინა მახარემ. მერმე მკვახედ უთხრა:

— ვინ ოხერი ხარ? სად მიეთრევი? გეტყობა ღვინით ხარ გამობუყებუ-ლი, სალაზანავ! „გასართობი სახლი“ აქ არ არის. იმ ქუჩით წადი, აი, იქეთ!—და მახარემ გადასასვლელზე მიუთითა.

— სალაზანაც ხარ და უარესიც! რას ილანძლები? ხომ გითხარი გზა ამე-ბნა-მეთქი.

— მაშ მე განვენებ გზას.

მახარე მიუახლოვდა ოლომფრეს, ღონივრად ჩაავლო ხელი და წასხურ-ჩულა:

— შენ მგონი მართლა მთვრალი ხარ! შედი რაღა!

ოლომფრემ მახარე შეიცნო. უნდოდა გულიანად გაეცინა, მაგრამ შენიშნა ორი ლანდი მისკენ მომავალი. კიბისქვეშ ჩაიკუზა. მახარემ მთვრალივით და-იწყო ქუჩაზე ბარბაცი, ლანდებს წინ გადაუდგა.

— ბო-დი-ში... ბა-ტონე-ბო!.. მგონი მხარი მეცვალა. იქნებ იცით, ახმე-დაის ყავახანა?

მახარემ ლანდები ქვეშჩაიშა ცქერით შეათვალიერა. იყნო, ერთი მათგანი ვაშლომიძე იყო. თავში ჩაქუჩივით დაეცა რაღაც. არ შეიფერა.

— აქ ბარცხანის ქოჩაა, ახმედაის ყავახანა ნორიაშია.

— გზა ამებნა,—ენის ბორძივით თქვა მახარემ,—იქით ზომ არ მიბრძან-დებით?

— იმ გზით...

მახარე აედევნა ლანდებს ხან კოქლობით, ხან ბარბაციით. ქუდი თვალებამდის ჩამოიფხატა.

— სად გაღეშილხარ ასე? სადაური ხარ?

— სოფლელი ვარ. სადგურში დავლიე ბიჭებთან. ღამე მინდა სადმე ევათიო. ანძედაის ყავახანა მასწავლეს.

— ერთი ეს მითხარი, ამ გზაზე ნაბღიანი კაცი არ შეგინიშნავს?

— ნა-ბ-ღი-ანი... ჰო, როგორ არა, სადგურის უკან ვხაზე. მარინეს პროსექტისაკენ მიდიოდა, ერთი დაბალი ჯმუხი კაცი ახლდა ბობრიკის სათბურით.—მახარემ მოხერხებულად წაიფორხილა, შედგა და თავის კანტურით იკითხა:—შორს არის?..

— იარე და მიეთრევი.

მახარემ უფრო მოიკატუნა თავი.

უცნობნი ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ მარინეს პროსექტისაკენ. მახარე სწრაფად გამობრუნდა უკან. თავის სადარაჯოს დაუბრუნდა. „დაითვალეთ რამდენჯერ გაგაცუროთ!“—ჩაიციხა და არწივივით დაუარა ეზოებს, საბულებს, ქუჩებს.

შუქებში გამოჩნდებიან ნაბაღში გახვეულნი ადამიანები. ესენი სხვადასხვა წარმოების მუშები არიან. ამაღამ პირველად იკრიბებიან: საფუძველი უნდა დაუდვან „ახალ საქმეს“. აგერ ნიკიტა გამოჩნდა, მერე გოგილო. გოგილოს უკან ნინიძე მოდის, ჯოხით ხელში, ამა ბიძია ტრიფონიც.

31 დეკემბერია—1901 წელი. შარშან ამდროს ჩასახული „ნაპერწყალი“ მახარეს გულში ნაღვერდლად გადაქცეულა. „გაივლის ღღეები, მოუსვენარი აგიტატორი ყველგან მიიტანს გულით ცეცხლს, ყველა დაჩაგრულს და უბედურს აუნთებს გულში თითო ნაკვერჩხალს, ყველა წყალწაღებულს გაამხნეებს. სოფლის კარიბჭესაც გაანათებს იგი. პირველად ბეგლარ მანთიძის ფაცხაში შეიტანს ნათელშუქს და მოკრძალებით ეტყვის მამას: ბაბა, გვეყო სივალახე, ასე ცხოვრება არ შეიძლება! მახარეს ხმაზე ჯოტო, საული, კიკინია, ზაზა და ობოლი ზურციკო აცქვეტენ ყურებს. დაიზრდებიან ეს ბიჭები და მახარეს კვალს გამოყვებიან. მახარე ისევ ქალაქს დაუბრუნდება. მირიანი და სეფე სოფლის ბურჯებად დარჩებიან.“—ოცნებობს მახარე კიბის უკან ატუზული. მას არაფერს ხედავს. ის კი ყველას ათვალეირებს. აგერ ერმილეც შევიდა იმ კარებში. ერმილეს ვიღაც უცნობი შეჰყვა ბეწვიან ნაბაღში გახვეული. „ეს ის თბილისელი უნდა იყოს—კრების ხელმძღვანელი“. სტუმარს თავი და სახე ჩაბალახით ჰქონდა შეხვეული. მახარეს გული ჩაწყდა. არ იცის რას მიაწეროს ეს? „უნდობლობას ზომ არ ნიშნავს? რად დაუმალა ერმილემ თბილისელი ამხანაგის გვარი? არ სჯერა მახარეს“.

შუალამე ჩამოდგა. ღარიბთა უბანში, აქა-იქ გაისმა ფილთა თოფების მხიარული ტკაცუნა. ბნელი ღამე იყო. მუშების ნესტიან სადგომებიდან საამოდ კრთოდა ბაწია ლამპების შუქი. ქალაქის ღარიბი მოსახლეობა სხვანაირი ექსტაზით ეგებებოდა 1902 წელს. ყოველ ჰქიქას—ღვინით სავსეს—თან მოსდევდა სიტყვა:

„ჩვენი საქმე!..“

„ჩვენი ერთობა!“

„ჩვენი კავშირი!“

ბიძია ტრიფონმა სამკედლოში დამზადებული ნივთები დაათვალიერა მერე მახარეს მიუბრუნდა. მახარეს უკანასკნელი ნემუშევიარი ექიკრავებელში ახალგაქმედილი ფოლადის ნამგალი ვერცხლივით ლაღლაქებდა. მახარე მახარე ღრძა ფიქრით დასცქეროდა ნამგალს: ხან მშობლებისთვის უნდოდა წაეღო, ხან საყვარელი ოსტატის სახსოვრად შეენახა, ხან კიდევ... მეტს აღარაფერს გასკედლა დღეიდან მახარე. დღეიდან რკინების მაგიერ ახალი სიტყვა ჰქონდა მახარეს გასაქმედი, მხოლოდ მაგარი ის იყო, ამ ფოლადივით იბრწყინებდა მისი სიტყვა, თუ...

ბიძია ტრიფონმა გააწყვეტინა მახარეს ფიქრი:

— რა უფრო მოგწონს, მახარე, შენი ნამუშევიარიდან? სამკედლოს სახსოვრად ხომ უნდა წაიღო რამე?—მამაშვილურად ჰკითხა ოსტატმა შეგირდს. და მახარემ შენიშნა: ბიძია ტრიფონს უეცრად მომსკდარი ცრემლები უგორავდა თვალებში.

— შენი სიტყვა მეყოფა, ბიძია, სახსოვრად. შენ ხომ მითხარი—სიმართლე სინათლეს ჰგავსო.

— გარდა ამისა, მგონი ეს ნამგალი მოგწონს? ისე დასცქეროდი, თითქო ნაკლს ეძებდი ფოლადზე. ხომ არაფერი ნაკლი აქვს?

— რკინა ხალასია. მე ისე, ფიქრებში ვიყავი გართული. ეს ნამგალი დედაჩემის ხელებს მაგონებს. დედაჩემი ხელებით გლეჯდა ბალახს საქონლისათვის. არ ვიცი ეს ჩემი უკანასკნელი ნაჭედი ჩემს დედას წაუვლო საჩუქრად, თუ ჩემთვის შევიინახო სახსოვრად?

— ეს შენ გადასწყვიტე—როგორც გინდა!

მეგობრული საუბარი

ბათუმის ქარხნებში გაფიცვებისათვის ემზადებოდნენ მუშები. გაფიცვის მეთაურები თვალს ადევნებდნენ აგიტატორების მუშაობას. პარტიულ კომიტეტში მზადდებოდა საბრძოლო ლოზუნგები. მახარემ ჩქარა დაიმსახურა ამხანაგების ნდობა და პარტიისცემა. მოუსვენარ აგიტატორს მართლაც ცეცხლს დაჰქონდა გულით. გამკრიახი გონებით და მახვილი ენით ადვილად იპყრობდა ხალხის ყურადღებას. შეენოდა ახალმოღამული უღვაშები. განსაკუთრებით — თეთრი საყელო, შეინდის ფერნარევი „ვალსტუკი“ და ქოკე, მსუბუქი ფეხსაცმელები და რუხი ფერის ევროპული პიჯაკი. სამკედლოდან განთავისუფლების შემდეგ ხელებიც უცებ დაურბილდა. სამაგიეროდ ხშირად ნახავდით უძილობით თვალებშიზნდილს. მთელი ღამეები წიგნებში ჰქონდა თავი ჩარგული. სააგიტაციო მასალას ამზადებდა. კომიტეტის დადგენილებები ორგანიზაციის წევრებში გადაჰქონდა. საგაზეთო კორესპონდენციის დაწერაც ჩინებულად ისწავლა მახარემ. მოურიდებლად ააშკარავებდა ქალაქის მესვეურთა უმოქმედობას. სწერდა მუშების საჭიროებასა და სხვა წვრილმანზე. ვინ იყო „მამხილებელის“ ფსევდონიმის უკან ამოფარებული—არავინ იცოდა.

თავის ნაწერებს უმალ ერმილეს უკითხავდა მახარე.

ახლოვდებოდა თებერვლის დღეები. როტშვილდის ქარხნის მუშებში უფრო და უფრო ცხოველდებოდა გაფიცვის სურვილი. იანვრის გაფიცვები მანთაშევის ქარხანაში გამარჯვებით დამთავრდა. ამ ამბავმა უფრო წააქეზა როტშვილდის ქარხნის მუშები გაფიცვისათვის.

ყოველ დილით გულის ფანქვალით ელოდნენ მუშები საიდუმლო მთქმელს: „ხელი აიღეთ“... და იმწამსვე აღარავინ დარჩებოდა ქარხანაში მოხელეების მეტი. ან ვინ გაბედავდა დარჩენას, ვინ იყისრებდა „სტრავი-ბრეხრობას“.

ეროვნული
შეზღუდულობა.

ერთ საღამოს ერმილე ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაბრუნდა სახლში. მახარე, როგორც ყოველთვის, ახლაც სამუშაო მაგიდასთან იჯდა. ახალი სააგიტაციო მასალის დამუშავებაზე ფიქრობდა. ეკლესიებისა და სამღვდ-ლოების წინააღმდეგ აპირებდა იმ დღეებში გამოსვლას. დარვინი, ბოკლი, ჰექსლი გადაეფურცლა მაგიდაზე. ერმილე სიცილით მოკვდა, როცა მახარეს წინ დარვინი დაინახა გადაშლილი. მახარეს სისხლი თვალებში მოაწვა, აღელვებული წამოდგა სკამიდან, ოთახში გაიარგამოიარა და მტკიცედ წარ-მოსთქვა:

— მე ვისწავლი, მე გავიგებ ყველაფერს!—და უცებ ერმილესათვის მო-ულოდნელად დაუმატა.—ეს იქნება შენი სიკეთით.

ერმილეს გულს ტკბილად ესალბუნა მახარეს სიტყვები. იგრძნო, მახარე აფასებდა ერმილეს მეგობრობას, რაც პირველად წამოცდა ამ ხნის განმავ-ლობაში, მხრებზე ხელი მოხვია და დინჯად უთხრა:

— ყოჩაღი ბიჭი ხარ, მეგრა, შენ ყველაფერს ისწავლი. მაგრამ ახლა ეს წიგნები იქით გადააწყვე. სასწრაფოდ უნდა დაამზადო მოხსენება ზეალისა-თვის. რა შედეგები მოყვა იმ საკითხს, რომელიც კომიტეტიდან გქონდა მონ-დობილი. წარმოადგინე შენი მოსაზრებანი. ზეალ თბილისელი ხელმძღვანე-ლი დაგვესწრება კრებაზე. შენ ხომ ძალიან ვინდა მისი გაცნობა!

მახარეს უეცრად წითელი ფერი აეკრა სახეზე. უეცარი შიში იგრძნო და ქალწულებრივი სიმორცხვე მოეკიდა. ზეალ პირველად უნდა წარმდგარიყო მისი ამომრჩევლების წინაშე მოხსენებით. და ეს უნდა მომჭდარიყო „დიდი ხელმძღვანელის“ თანდასწრებით, რომელსაც მახარე არ იცნობდა. მახარე ბუხართან ჩამოჯდა დაფიქრებული. არ შეუშინებია, როგორ ჩუხჩუხებდა სპილენძის თუნჯში ცეცხლზე დადგმული წყალი. ერმილემ მოაგონა, ჩაის დალევის დრო იყო. როცა ჩაის შეექცეოდნენ, ერმილემ ჰექსლის ლექ-ციებზე მიუთითა მახარეს.

— აი, ეს წიგნი შეისწავლე ჯერჯერობით. ამ წიგნიდან უფრო მეტს გა-იგებ დარვინიზმზე, ვიდრე თვით დარვინიდან. თუ ბოკლის წიგნსაც შე-ისწავლი, ცოტა, სულ ცოტა წარმოდგენა გექნება მატერიალიზმისა და იდე-ალიზმზე. მერმე ეს მცირე შეგნება გაგიორკეცებს სწავლის სურვილს. ჩვენ ხომ მატერიალისტებს ვუწოდებთ ჩვენს თავს და არაფერი არ გვისწავლია.

— გაზეთების ქრონიკებით ვიკვებებით და „რწმენაზე“ გავიძახით, როცა არაფერი გავვეგება.

— ამიტომაც ვიკვებხით ჩვენს მატერიალისტობას, რომ ათეისტები ვართ და აღარ ვიმეორებთ დიაკვნების ნაბუბბუტევს.

— ყველაფერი ზერელე და ყურწყარული ამბავია ჩვენთვის. უნდა ვითხრა გულახდილად: რამდენადაც მიეტოვავ ამ წიგნებში, იმდენად მეტი და მეტი დაბრკოლებები მელობება წინ. ჩემი პატარა ცოდნა არ კმარა ამ დიდი საკითხების გასაშუქებლად, რაც აუცილებელია კულტურული ადამიანისა-თვის. ჩემი სააგიტაციო მუშაობა, ბროშურებიდან ნაჯახირევი, ვის დააკმა-ყოფილებს. ეთქვათ, შემხვდა ვინმე მცოდნე მოპირდაპირე—ხომ გავშავდე-

ბი? ერთი ეს მითხარი, ერმილე, თუ მამა ხარ, თბილისელი ხელმძღვანელი ნასწავლი კაცია?

— დიდად განათლებული.

— მერე როგორ გესაუბრებათ?

— სულ უბრალოდ. რასაც ის გველაპარაკება, ჰეშმარიტ სიმართლედ მიგვაჩნია.

— მამ ამ წიგნზე რას იტყვი, ერმილე, — დარვინზე მიუთითა მახარემ, — ეს წიგნიც ჰეშმარიტ სიმართლედ მიგაჩნია?

ერმილე შეყოყმანდა, წიგნი აიღო, გადაფურცლა და ცივად სთქვა:

— ჩემთვის ეს წიგნი ჩინური ასოებით არის დაწერილი. მხოლოდ შთაგონება დიდად უწყობს ხელს ადამიანის გონებრივ განვითარებას. შთაგონებით მწამს, რომ ეს წიგნი შეიცავს მატერიალისტური სიმართლის წყაროებს.

— მაბატიე, მეგობარო, საძაგელი ხასიათი მაქვს. პეშვით მიწა რომ აიღო და მარწმუნო, ეს მიწა არისო, ვერ დაგეთანხმები, სანამ გემოს არ გავუსინჯავ. უბედური კაცი ვიქნები ცხოვრებაში. რასაც ხელს შევხებ, მინდა ისე შევიწავლო ის საგანი, ერთი პაწაწინა ნაწილიც არ დამრჩეს შეგნების გარეშე. თამბაქოს ვწევ და მსიამოვნებს. არ ვიცი, რად მსიამოვნებს. ვარდს მოუწყვეტ, დავყნოსავ და ვერ გამიგია, საიდან მიიღო ვარდმა მშვენიერი სურნელი. ცას შევხედავ, თვალს მტაცებს მნათობდა კაშკაში... მე უძლური ვარ. არაფერი არ ვიცი. ყველაფერი სხვისი უნდა დაეიჯერო და თუთიყუშით ვიმეორო. არა, მე რა ვარ ქვეყანაზე? ჯერ ეს წიგნებიც ვერ წამიკითხავს.

მახარემ ერმილეს წიგნებს მიაპყრო თვალი — იატაკიდან ჰერამდე შეწყობილს.

— შენ ყველა წაკითხული გაქვს?

— ზოგი წაკითხული მაქვს და ზოგის — სათაურები. ბევრი რამ გასაგებია, ბევრი გაუგებარი. მე მაინც ყოველ ჯამაგირის მიღებაზე ვათვალისწინებ კიოსკებს. ვნახავ ახალ წიგნს, ვყიდულობ. წავიკითხავ, ზოგს გავიგებ, ზოგს ვერ გავიგებ. დავდებ კუთხეში, მოვა ვინმე, ჩემზე უკეთესი მკითხველი, და ის გავიგებს. იმედს მაინც არ ვკარგავ. ეს მაინც ხომ შემიგნია: არსებობს ქვეყანაზე ბევრი რამ, რასაც ვერ მივწვდები, მაგრამ ვიცი მისი არსებობა.

— და შეგიძლია იყო გულგრილი.

ერმილემ ჩაახველა და საზე დაეღრიჯა.

— უფროთხილდი ბაცილებს და გწამდეს ის, რაც აუცილებელია: თვითმპყრობელობა უნდა დაინგრეს. ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა უნდა მოისპოს.

— მწამს ურყევად!

— კიდევ რა გაიგე ამ წიგნებიდან?

— გავიგე, დედამიწაზე არსებობს მრავალი ღმერთი და არა ერთი უხილავი...

— რომელიც შექმნა ადამიანის გონებამ. მე კი მყავს ერთი თვალუხუქუნა ღმერთი.

ერმილემ უღვაშიბში ჩაიციანა. გულის ჯიბიდან ამოიღო ლამაზი ქალიშვილის სურათი და მახარეს გაუწოდა. — ხომ კარგი ღმერთია? ალბათ, შენც გყავს ამისთანა ღმერთი.

მახარე მოიღრუბლა. მოაგონდა დია. მერე უცებ გახსნა შუბლი და გა-
დაიხარხარა.

— მე ღმერთი აღარა მყავს. მე მყავს ჩემი „თვალის სინათლე“ ზნე-
დახან, როდესაც ჩემს „თვალის სინათლეს“ ვოცნებობ, თავს ყუბღღას მშემდეგ
მგონია. მინდა ქარის წისქვილები თითით ავწიო დონკიხოტივით. ხელსწი-
ფის ტახტი სულის შებერვით გადავაყირო, ყველა ახალგაზრდას ჩემი გუ-
ლი ჩაეუდგა. ოხ, რა საბრალო ვარ! სურვილები, მარტო სურვილები...

მახარე ისევ მოყვა ოთახში ბოლთის ცემას.

ერმილეს ხველა აუტყდა და უსიტყვოდ ჩაწვა ლოგინში.

მეორე დღეს კომიტეტის სხდომაზე „დიდმა ხელმძღვანელმა“ მახარეს
აგზნებული აგიტატორი უწოდა. ამის შემდეგ მახარე ერთიორად გაიხარდა
ამხანაგების თვალში. თუ აქამდე მეგობრებს ეშინოდათ მახარესი—რაიმე
შეცდომა არ დაუშვასო—როგორც ჯერ გამოუცდელმა ახალგაზრდამ—ამ
კრებაზე ეს შიში მოიხსნა. მახარე მრავალი საქმით დატვირთა კომიტეტმა.

ახლა მახარეს ერთი წუთითაც არ ეცალა მის „თვალის სინათლეს“ სა-
ფიქრელად.

სოფელში მშობლების სანახავად წასვლაც აპრილისათვის გადასდო.

ერმილეს სიყვარული

ერმილეს ბინიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ქუჩის მარცხენა
მხარეს, შეგხედებათ ფიცრის ნაიკიდურებით შემოღობილი პატარა ეზო.
ეზოში ორთვალისანი თეთრი სახლია. სახლის წინ ვენახის ტალავარი. აქ
ცხოვრობს თექვსმეტი წლის გოგონა ტასი. ტასის უფროსი და—მაგდა-
ოცდარვა წლის ქალია. მაგდას დაქვრივების შემდეგ გურიის მალღობიდან აქ
ჩამოსახლებულან დები. ჭისკარზე განცხადება გაუქრავს მაგდას: „უკერავ
მამაკაცების საცვლებს და ხალათებსო“. ტასის სოფლის სკოლა დაუშთავრე-
ბია. კერვა არ უყვარს. როცა მაგდა გაუწყურება და დაემუქრება, ყოველ-
თვის მე ვერ გაქმეო პურს, ტასი ტირილს მოყვება. მაგდას კეთილი გუ-
ლი აქვს, ისევ ჩქარა მოეფერება დას. უყვარს, მისი გაზრდილია ობოლი.
ტასი მაშინვე გამხიარულდება და დაიწყებს ცეკვას, ბტუნვას და სიმღერას.
ლექების წიგნები ბლომად მოუგროვებია სადღაც. ზეპირი ლექსებიც ბევ-
რი იცის, გურიისი განაგონი, სატრფიალო ნაწყვეტები. წამოგორდება
ტახტზე და აედარუნებს გიტარას. მაგდა გამუდმებით კერავს. ფანჯრიდან
მოსჩანს მაგდას თავი საკერავზე დაყრდნობილი.

ტასი ჭიშკართან შემოხვდება ერმილეს ყოველ დღით. პურის საყიდლად
მიდის. ერთი გზა აქვთ ორთავეს. ერმილეს გულში ჩაუყარდა ტასის სიყვარ-
ული. მოკისკისებს ტასი, მოკლურტულებს, თითქო ყელამდე ბედნიერია.
ერმილე იწიის, იხრუყება, და ვერ გადაუწყვეტია: „ვთუ რომ უარი უთხრას
ტასიმ?.. მაშინ?“

ისევ შორით ტრფიალი ამჯობინა ერმილემ. მაგდასაც ვერ დაუახლოვდა
ჯეროვნად. ამ გარემოებამაც ხელი შეუშალა ერმილეს. ერთი პერანგი შე-
აკერიდა ამასწინათ, მაგრამ საუბარი არ ჩამოუგდია. ერთი პროკლამაცია კი
გააგდო საკერავი მანქანის გვერდით. „ნახა? ვინ იცის?“

— ტასი, რატომ კერვა არ გიყვარს? საქმროს ვინ უნდა შეუქეროს ხა-
ლათი?



ტასი კისკისით უპასუხებს:

— ჩემმა დამ.

— მაშ, ხეალ მოვიტან შესაკერად.

ტასიმ ვაკვირვებული შეხედა ერმილეს, ხელი გამოსტაცა და ფურცლისკენ გაიქცა. შემოდგომამ განვლო მას შემდეგ, ზამთარიც გადის, ცივობის გულში ოდნავაც არ მოძველდა ტასის სიყვარული. გუშინ ფოტოვიტრინაში ტასის სურათი ნახა. არ მოეშვა ფოტოგრაფს, სანამ არ იყიდა. გულჯიბეში ჩაიდო. ამოიღებს, დახედავს. ნაზ მადონას არა ჰგავს ტასი. ის ამ ეპოქის შვილია, ჯმუხი, ძვალმაგარი, წელში შეკრები, ლოყები ვარდივით უელავს, თვალები შავკუთუნა—გრძელ წამწამებში ჩაყუდრული, მაღალ შებლზე გადავარცხნილი სათი თმა. ვნებიანი გულმკერდი კანში ძლივს თავსდება.

მიდის ერმილე ქუჩაში; დაფიქრებული. შორიდან შემოესმა ტასის კისკისი. პური უყიდა, სახლისაკენ მიდის. ერმილე შესდგა, მიესალმა, მაგდამოიკითხა. ტასიმ ხალათი მოაგონა.

— მგონი ხალათის შეკერვა გინდოდათ?

ერმილემ ტასი დაკვირებით შეათვალიერა. ამ დილით რაღაც უფრო სათნო და ჰკვიანი ეჩვენა. მეტი სითბო და სიყვარული იგრძნო. მაინც თავი შეიკავა, დიდი გრძნობა ხალათის შეკერვის წერილმანზე გადაიტანა.

— ხალათი ნაყიდი მიძევს, ტასი, მაგრამ ვერ მოვიცალე მოსასვლელად. ეგ ოხერი, დატვირთული ვარ საქმით.

— ჰო, ვიცი...

— რა იცი?

— რაც თქვენ იცით...

— მაინც?—არ მოეშვა ერმილე და თავისკენ მისწია ტასის ხელი.

ტასის ფერი ეცვალა, სათქმელი გადათქვა. გაიღიმა, სხვა მოიგონა.

— მე მეგონა თქვენც იცოდით.

— მაინც რა? გამიზიარეთ, ნუ გეშინიათ.

— ჩემს დას ზომ არ ეტყვიო?

— აბა რა სათქმელია.

ტასიმ ლურჯ ცას ახედა და ერმილეს თვალი ააჩრია.

— გუშინ სცენის მუშაკთა წრეში მიმიწვიეს. „ბაიუში“ უნდა დავდგათ. მე თალიკოს როლს ვთამაშობ. ანტონი მამზადებს. ზომ იცით ვინ არის ანტონი?

— ვიცი, იმ დღეს გაიოზის როლს რომ თამაშობდა.

— დიალ, ის.

— კარგია, მსახიობობა დაგიწყია!—ნაძალადევად გაიღიმა ერმილემ.

როცა რამდენიმე ნაბიჯით დაშორდნენ ერთმანეთს, ტასი შემობრუნდა.

— სხვაც ვიცი!—მიამაზა ერმილეს და ეზოში შეიბრინა.

ერმილეს გული ჩაწყდა. უცებ შეიგნო: ტასი გაფრენილი ჩიტი იყო მისთვის.

ლურჯი ხალათი

დაინტერესებული თვალი ადვილად იცნობს, ვინ არის მისკენ მომავალი უცხო კაცი, რომელსაც სახე გაუპარსავს და თმები მოუშვია. თავზე კეპი ახურავს, ან პანამის ფართო ქუდი, შავი ინდიგოს შარვალი, საყელო-გადმოკეცილი ლურჯი ხალათი ფართო სახელოთი და წელზე ტყავის ქაბრით.

ხელში თავმოკაუჭებული, გახვეწილი შვინდის ჯოხი უჭირავს ვერცხლის მონოგრაფიით. გულჯიბზე ლითონისთავიანი წითელი ფანქარი აქვს ჩამოხრეული.

— ვინ არის ეს კაცი?

— სოციალისტია.

— არა, ანარქისტია!

— რას ამბობ, ნამდვილი მესამე დასელია.

— სემინარიელი იქნება უთუოდ.

ყურს მოჰკრავთ ასეთ საუბარს მის შესახებ. ნამდვილად ამ კაცს სემინარიისში არასოდეს არ შეუხედავს. სოფლის ორკლასიან სამინისტრო სკოლაში სწავლობდა. ცოტა რუსული ენა ესმოდა. ერთ დღეს მოებრიანა და უცხოეთის გემს გაჰყვა. რამდენიმე წელს არ გამოჩენილა სამშობლოში. არ იფიქროთ კაპიტნის თანამდებობას ასრულებდა იგი გემზე, ან მეცნიერი მკვლევარის ადგილი ეკირა. არა, ასეთებიდან შორს იყო, თუმცა სურვილი დიდი ჰქონდა. უბრალოდ რომ ვთქვათ, მისი ღირსება ლაქის თანამდებობას არ აღემატებოდა. მას მუდამ საქმე ჰქონდა თეფშებთან, დანაჩანგლებთან, მზარეულთან და სუფრასთან. მაგრამ, ნათქვამია: კაცს ნიჭი მიეცი და ორმოში ჩასვით. ასე ითქმის ამ კაცზე. წლობით უამრავ მგზავრებთან ტრიალში ცხოვრების ბევრი ავკარგი შეისწავლა. ინგლისურ ენაშიაც გაიწაფა. ბოლო ხანებში ის ინგლისელებიდან არაფრით განირჩეოდა თავისი გარეგნობით. გემზე მოსამსახურე ინგლისელები მას მაინც ბერძენთა მოდგმას მიაკუთვნებდნენ და ხუმრობით დიოგენუსს უწოდებდნენ. ჩვენ კი ამ კაცს ვეძახით დოროთეს.

დიდი ხანი არ არის, რაც დოროთემ ინგლისის გემი მიატოვა და ინგლისური ტანისამოსიც ლურჯ ხალათზე გადასცვალა. ამის მიზეზი თურმე ფრიად სერიოზული შემთხვევა იყო. თითონ დოროთე ასე მოგვითხრობს ამ შემთხვევას:

„ბალტიის ზღვაზე მოგზაურობის დროს, 1901 წელს, ზაფხულში, ფინეთის ერთერთ ნავთსადგურში გავიცანი უცხოეთში მიმავალი რუსი ემიგრანტები. მათ შორის ერთი ქართველი, განათლებით სემინარიელი. დიდიხანია ქართული სიტყვა არ მსმენოდა. ერთ დღეს, განთიადისას გემბანზე ავედი, ვხედავ, ეს ემიგრანტი მარტოდმარტო გადასწოლია მოაჯირს, ნალვლიანი თვალებით მისჩერებია აცისკროვნებულ აღმოსავლეთს და ნელი ხმით ღიღინებს: „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი“... გული ამიფეთქდა. უბრალო კაცი სჩანდა, როგორც მე ვარ ახლა ლურჯ ხალათში. მომესმა რა ქართული სიტყვა, ვერ მოვითმინე, მივედი და გადავეხვიე. იცოცხლეთ, იმასაც გაუხარდა. სულმა—სული იცნო და დავმეგობრდით. ორი თვე მოგვიხდა ერთად მგზავრობა. უნდა გამოგიტყდეთ, ცოტა არ ესია მოვნა, როცა ჩემი თანამდებობა გაიგო. „აფსუსია,—ქართველი კაცი და ლაქია! ჩვენ ქართველები, როგორც დაჩაგრული პატარა ერის შვილები, ადამიანურ სიმაღლეებისაკენ უნდა ვიღტვოდეთ“.

— განა მე მინდოდა ლაქიობა? სილატაკეს გავექეცი. ვიფიქრე უცხოეთში რაიმე ბედს წავაწყდები და კაცი გამოვალ მეთქი. მაგრამ რის ბედის სურვილი ერთია და ცხოვრებას თავისი გზა აქვს.

— არც ასეა, მეგობარო,—შემაჩერა ემიგრანტმა,—სურვილი, ადამიანის საუკეთესო დამხმარე საშუალებაა. ადამიანებს რომ თავიანთი ადამიანური სურვილები არ ჰქონდეთ, ისინი ჯოგით გაჰყვებოდნენ დროთა მდინარეებს.

— მართალია მეტიც, — გულუბრყვილოდ დავეთანხმე. სხვა რა ჩარა მქონდა, როცა განათლებული კაცი მიმტკიცებდა: სურვილს ხან ზესტყელში აჰყავს ადამიანი და ხან ქვესკნელში ჩაჰყავსო. ორივე შემთხვევაში, ახლა მე თქვენ მოგმართავთ: სურვილის გარეშე რა იქნებოდა ადამიანი? მეც ადამიანურმა შეგნებამ და სურვილმა დამაბრუნა ჩემს სამშობლოში. მე არ შეენატრი ახლა ადვოკატების თანამდებობას, არც მომრიგებელ მოსამართლის სავარძელი მაინტერესებს, არც „წმინდა მამების კვერთხს“ ვუკმევ გუნდრუქს. მე განგებამ გამაჩინა თავისუფალ ადამიანად, რად უნდა გავხდე სხვისი კერძი? დებო და ძმებო, გამომყევით, მე პირველი ავალ ბარცადებზე. ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის. თქვენც ხომ გიყვართ თავისუფლება?*

ასე მიმართავდა ხალხს დოროთე. დილით თმებს რომ გადაივარცხნიდა, საღამომდე სახლში არ ბრუნდებოდა. სადაც ხუთი კაცი შექუჩდებოდა, დოროთეც იქ მოსჩანდა ლურჯი ხალათით, ჯოხზე ირიბად დაბჯენილი. მრავალი ქართველი ოჯახი გაიჩინა დოროთემ პატივისმცემელი. მისთვის არ იყო საკუთრო სამზარეულოზე ზრუნვა. არც სამიკიტნოში ლოთებთან სადილობა. ყველა მოლიბერალო დიასახლისი თავის ოჯახში ეპატიეებოდა ამ „ენავარდიან“ კაცს. ასე ეძახდნენ მას, რომელსაც ახალი ქურჩა-ღაზეთები ილღიაში ამოდებული დაქმონდა ყველგან.

განსაკუთრებით ბავშვებს უხაროდათ დოროთეს სტუმრობა. ჟრვილ-ხივილით ხვდებოდნენ „ძია დოროთეს“.

დოროთე როცა ოჯახის უფროსებთან მოათავებდა საუბარს, სადილის შემდეგ მიწვებოდა ტახტზე და ბავშვებს ათასი ფერებით მოუთხრობდა მისი მოგზაურობის ამბებს ოკეანეს კუნძულებზე, ხან ჯემს კუკის თავგადასავალს უამბობდა, ხან რობინზონ კრუზოზე მოუთხრობდა, ხან „ბიძია თომას ქობს“ წაუკითხავდა რუსულად და გადმოუთარგმნიდა ქართულად. ბოლოს გაშლიდა რუკას და ფანჭრით მოუხაზავდა, სად რომელი ქვეყანა მდებარეობდა. უყვარდა გარიბალდზე ლაპარაკი, თვალეზი უბრწყინავდა, როცა იტალიის გათავისუფლების ამბავს მოყვებოდა.

— თქვენც გაიზრდებით, ბიჭუნებო, და იბრძოლებთ საქართველოს თავისუფლებისათვის.

ბავშვების სათუთ გულზე ფაჭიზად იწერებოდა „ძია დოროთეს“ ნაამბონი, რამდენჯერ სთხოვეს დოროთეს ემუშავა პარტიაში, მაგრამ დოროთემ უარი განაცხადა.

— მე უბრალო ადამიანი ვარ, არ ვიცი პარტია. ნამდვილი რევოლუციონერი ვარ. ვიბრძოლებ ყველასთან, ვინც დაამბობს თვითმპყრობელობას. პარტიულობა არ მიყვარს. ინგლისის ტრედუნინონისტების პროგრამა უფრო მომწონს.

— რა გაეწყობა, სინდიკალისტი ყოფილხარ! — აჯავრებდნენ ერმილე, გოგილო და ნიკიტა. მაინც უყვარდათ ამხანაგებს დოროთე. თუ რაიმე საღამო-წარმოდგენა გაიმართებოდა „ახალი საქმისათვის“, დოროთე იმ წამსვე განაღდებდა ბილეთებს მის „მოლიბერალო დამებში“. ასე ეძახდა იგი ნაცნობ დიასახლისებს.

გვიანდებოდა ხალხში გამანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყება. დოროთეს მოთმინება ეკარგებოდა. თავს ვერ იჭერდა. ერთ დღეს ერთი მეგობრის ოჯახიდან გამოვიდა ქუჩაზე ოდნავ ნაღვინევი. თანაც იმ დღეს გოგილოს ეთქვა მისთვის, თებერვლის გაფიცვა დაიწყება როტშილდის ქარხანაშიო.

დოროთე არაჩვეულებრივად იყო გამხიარულებული. მარინეს გამზირზე ლევან გურიელი შეძობვდა დოროთეს. ლევანს ვაშლომიძეც მოსდევდა. დოროთეს არ ესიაპოვნა მათი შეხვედრა, მაინც მიესალმა. ლევანმა შორიდანვე შენიშნა, დოროთე ნაღვინევი იყო. შეაჩერა და კბილებს დაეხმინათ კკითხა:

— ბრძენო დოგენუს, როგორ არის ქვეყნის საქმეები? ამბობენ, კაცო, ჩქარა როტშილდის სიმდიდრეს გაგვინაწილებენო, მართალია?

გურიელს უნდოდა ესარგებლნა დოროთეს სიმთვრალით. იქნებ წამოროშოს რამეო, გაიფიქრა.

დოროთემ ჯოხის მოკალუქებული თავი გურიელის ხმაღს გამოსდო, ზევით ააქნია და ცინიკური ღიმილით სთქვა:

— როტშილდის სიმდიდრე არც თქვენ დაგწვავს პირს, მაგრამ ერთი ეს მიბრძანე, თავადო, ეს ძაღლის სახიფი რომ არ გეკიდოს წელზე, კარგი იქნებოდა. ხმალი თქვენს პაპებს მტრების გასაგმირად ესაჭიროებოდათ, თქვენთვის აფსუსია. ჩემი რომ იყოს ეს ხმალი...

— რას იზამდით?

— კმ... ისე მეკითხებით, თითქო ბაღლი ვიყო.

— მაინც?

— მართალი ვითხრათ? პირველად მელიას წაგვკრიდი თავს!—სთქვა დოროთემ და ვაშლომიძეს შეხედა, რომელსაც ხანჯალი ნახევრად ამოვშინებულგბია ქარქაშიდან და გურიელს შესცქეროდა თვალგბში. ლევანმა თვალით ანიშნა როსტომს.

ვაშლომიძემ ხანჯალი ჩააგო.

— ოხუნჯებს როდი ელაპარაკებიან,—ბრაზით სთქვა გურიელმა,—მას ალაპარაკებენ.

დოროთეს არ გაუგონია ლევანის უყანასკნელი სიტყვა.

არ გასულა სამი დღე გურიელთან შეხვედრის შემდეგ, დოროთეს ბინაზე გამოცხადდნენ პოლიციელები. ჩქარა მოეფინა ბათუმის საზოგადოებას „დოგენუსის“ დატყვევების ამბავი. დოროთე არ შემკრთალა, საჭირო ნივთები შეკრა და ამაყად გავიდა ოთახიდან. წინასწარ იცოდა დოროთემ მისი გზა ციმბირისაკენ მიიმართებოდა. დოროთეს დაბატომრებამ არასასიამოვნო გავლენა მოახდინა ამხანაგებზე.

— ფრთხილად, მახარე,—ფრთხილებდა ერმილე მის გაზრდილს. ნინიძე შემკრთალი გამოდიოდა ქუჩაში. ნიკრისის ქარებიანს ეძნელებოდა მოსალოდნელი რეპრესიები. ოლომფრე, გოგილო და ნიკიტა ნირს არ იტეხდნენ. სასწრაფოდ აკერინებდნენ მაგდას სავაზაფხულო ლურჯ ხალათებს. ერმილემ ყველას დაასწრო ლურჯი ხალათის ჩაცმა და თმებიც ოდნავ მოუშვა. ყველაზე გვიან მახარეს ხედა წილად ლურჯი ხალათის შეკერვა. მაგდას არ ეცალა, დატვირთული იყო ლურჯი ხალათებით. ყველა დამკვეთი აჩქარებდა. ლომინაძისა და ბერძენიშვილის განთქმულ ფართლეულის მალაზიებში გამოილია ცინდელის ლურჯი სატინი. ლურჯი ხალათი, გულზე მიბნეული წითელი ვარდი,—ან წითელი მიხაკი, აგრეთვე წითელი ცხვირსახოცი გულისგბებში ამოწეული, მაშინ ასეთი მორთულობით იგარძნობოდა რევოლუციონერი-სოციალისტი.

დოროთე აღარ ჩანდა ბათუმის საზოგადოებაში, მხოლოდ დოროთეს სახსოვრად დარჩა ახალგაზრდობას ლურჯი ხალათი.

მახარესთვის სახიფათო გახდა ლურჯი ხალათის შეკერვა. ტასიმ გაიცნო თუ არა მახარე, გული აენთო ვაჟაკის სიყვარულით. ტასი ეხვეწებოდა მაგდას ხალათის შეკერვა გაეზვიადებია. მაგდას გამოცდილი ჰქონდა პირველი სიყვარულის აღმოდება. ებრალებოდა ტასი. ხან სახელოს მონარღვევდა, ხან საყელოს, ხან გადადებდა საყერავს და ხუთ წუთში ცხელ ხაჭაპურს გამოიტანდა, სუფრას გაშლიდა. უნებლიედ შეექცეოდა მახარე გულში მასპინძლის მორთმეულს.

ტასი გიტარას აქლრიალებდა და მომზიბლავად მღეროდა:

„ჩემი გული შენ მოგიკლავს“...

მახარე ამ დროს განგებ სხვა ამბავს მოყვებოდა. საპატიო ადგილზე ერმილეს ახსენებდა. მაგდას უტკეროდა, ტასის ირიბ მზერას შეაპარებდა. ერმილეს სახელი ტასის ცივ ღიმილს გვრიდა. მახარე დარწაუნდა, ერმილე ტყუილად იწვოდა ტასისათვის.

ტასი გამოიცვალა. ესლა აკლდა; მიყვარხარო, ეთქვა მახარესათვის. მაგდა აფრთხილებდა:

— სირცხვილია, დადინჯდი, პირველად ვაემა უნდა გამოგიცხადოს სიყვარული. თუ უყვარხარ, ასეც მოიქცევა.

— მე რომ ვუთხრა მიყვარხარ მეთქი, რა იქნება?

— ეს არ არის მიღებული. არ გაბედო. უარი რომ ვითხრას, ზომ შერცხვები.

დადარდიანდა ტასი. დღემდე ცინცხალი თვალები უცებ დაებინდა. წამწამები ცრემლით დაუსველდა. მთელი დღეები მოწყენილ მგლოდიებს მღეროდა.

ხან როლებს იზებირებს. შეყვარებული ქალიშვილის გრძნობები ერთიორად იზრდება სცენაზე. ხან ცრემლში პოებს ტასი თავის არტიტულ სახეს, ხან ალერსიან ღიმილში ნარნარებს იგი. ხან მაღალი იდებით ადფრთოვანებული ყოველივე ინტიმურს იეიწყებს და გმირი ქალის სახით ევლინება სცენიდან საზოგადოებას. ტასიმ ჩქარა გაითქვა ნიჭიერი სცენის მუშაკის სახელი. კარგად შეიგრძნო ის, რაც კეთილშობილურია ადამიანისათვის. მაინც ვერ შესძლო სიყვარულის ვალევიება მახარეს გულში. მახარე ისევ თავის „თვალის სინათლეზე“ ოცნებობდა. ისევ ღია აგონდებოდა—ჯაშუშის ქალაშვილი. „ეს ასე მოხდება,—ფიქრობდა მახარე,—ღია შეიგნებს თუ არა მამამისის უმსგავსო საქციელს, უარყოფს ზალხის მოღალატე მამას და რევოლუციონერებს მოგვემხრობა. უთუოდ ასე იქნება“. არ დაეჰკვდა მახარე თავის ნაფიქრში. ამ გაზაფხულზე ეშურებოდა დიდი ხნით უნახავ დიასთან შეხვედრას. როგორც იყო, მოათავა მაგდასთან სიარული. ჩაიცვა ლურჯი ხალათი და თეთრი პანამის ქუდი დაიხურა. გულზე მიხაკი მიიბნია. შვინდის ჯოხის ტარებაც დაიწყო მახარემ. დავაჟაკდა და გალამაზდა. თვლებში ცეცხლი მოემატა. ახლა უფრო ძლიერად აღედრა მახარეს დიასთან შეყრის სურვილი. კიდევ ერთი თვე და... მახარე გაუმხელს დიას დღემდე დაფარულ სიყვარულს.

თეატრი

როტშილდის ქარხნის ახალგაფიცული მუშები ჯგუფჯგუფად შემოდინდნენ თეატრში, უკანა სკამებს იჭერდნენ და დაბალი ჩურჩულით გაცხარებული მსჯელობდნენ გაფიცვის მსვლელობაზე. თებერვლის გაფიცვებს არ მოჰქონდა მუშებისათვის კარგი შედეგები. პოლიციელები ყოველ დღე

ლით მორეკდნენ ქარხანაში უმუშევარ ბოგანოებს და გაფიცული მუშების მაგიერ ამუშავებდნენ. არც აგიტაცია, არც პროკლამაცია არ მოკმებოდა მათზე. შეუგნებლად ხდებოდნენ ბოგანოები „შტრაიკბრეხერებად“ პოლიციელები გაფიცვის მეთაურებს დაეძებდნენ. გაფიცულ მუშებში კრუსელდოვნება ირღვეოდა. ქარხნის დირექცია გაფიცული მუშების მოქალაქეობებს არ აკმაყოფილებდა. ბოლოს ხელმძღვანელი ორგანიზაცია იძულებული გახდა ხელი აეღო გაფიცვის კარგ შედეგებზე, ოღონდ შეგნებული მუშები დაებრუნებიათ თავიანთ ადგილზე.

— თუ ბოგანოები დარჩებიან ქარხანაში, ახლა წაგებული ვართ და სამერმისო საქმესაც გადავუშვებთ.— ამტკიცებდა ერმილე. თეატრის კუთხეში ისტდნენ გოგილო, ოლომფრე, ნიკიტა. ნინიძე ერმილეს ედავებოდა. ის წინააღმდეგი იყო მუშაობის განახლებისა. მათ შორის ბიძია ტრიფონიც ჩამჯდარიყო. ტრიფონი პირველად ხედავდა თეატრს, ჯერ კიდევ აუხდელ, მუსლინის წითელ ფარდას გაბადრული თვალებით მისჩერებოდა. ცხრის ნახევრამდე აგვიანებდნენ წარმოდგენის დაწყებას. მუშები არ ჩქარობდნენ, მშვიდად სწევდნენ თამბაქოს და განაგრობდნენ საქმიან საუბარს. წინა რიგები ხალხით ავსებულყო... ესენი პიესა „და-ძმას“ მოეზიდა თეატრში. ერთმანეთის მისალმებით ირთობდნენ თავს. აქა-იქ მარტოხელა ქალები ჩამომსხდარიყვნენ კენტიად და ამთქნარებდნენ. მახარე წარბშეკრული იჯდა ერმილეს გვერდით. უგუნებობა ემჩნეოდა ამაღამ. შტრაიკბრეხერებზე ფიქრობდა; აგიტატორის გულში ვალევიებულმა ცეცხლმა ვერ გაარღვია ბოგანოების თვალებში ჩაქამებული სიბნელე, ვერ მიღწია მათ ტვინამდე მახარეს სიტყვამ. „ო, რა ძნელი ყოფილა ადამიანის შეგნების გარდაქმნა. აანთებ კოცონს, ცამდე გაანათებ ბნელ ღამეს, მაგრამ ვერ გაანათლებ ზოგიერთ ადამიანის ჩლუნგ გონებას“, ბორგავდა ფიქრებში მახარე. ამ დროს თეატრში გაისმა დეზების ქლარუნი და ხმამაღალი სიცილი. ყველამ იქით მიიხედა. ეს ლევან გურიელი მობრძანდებოდა თავისი ავანჩავანით. გაიარეს პარტერი და წინა რიგში დაბრძანდნენ. მათ დანახვაზე მახარე რაღაც ამპარტავნულმა ეჩინა აიტანა. წამოდგა, ხელში კოხტად ეჭირა ქული და ჯოხი, წინა რიგში გაიარა, გურიელს გადახედა, ვაშალომიძეს თვალები შეანათა და განის კარიდან ფოეში გავიდა. ლევანმა ირიბად გახედა ევროპულად ჩაცმულ უცნობ ახალგაზრდას, მერე როსტომს ჰკითხა:

— ვინ არის ეს ამპარტავანი ახალგაზრდა?

ვაშალომიძეს ერთი შეხედვით ეცნაურა მახარე. „საღდაც უნახავს ეს ბიჭი“. სად ნახა, ვერ მოისაზრა. არ მოაგონდა საწყალი ბეგლარ მანდიძე. ან როგორ იფიქრებდა, ბეგლარის შვილი იქნებოდა ასეთი მშვენიერი ვაჟკაცი. როსტომმა თავი გააქნია. ერმილემ თვალი გააყოლა მახარეს, არ მოეწონა ურიადნიკის ახლოს მისი ამაყი გავლა, წამოდგა და მახლობელი კარებიდან თვითონაც გავიდა ფოეში. მახარე იდგა სვეტრით ერთ ადგილს. ერმილემ ხელი გაუყარა, ორივენი ფოიეს ბოლოში გაჩერდნენ, საიდანაც პირდაპირ მოსჩანდა ლევან გურიელი—იატაკზე დაბჯენილ ხმალზე დაყრდნობილი, ხან ვაშალომიძეს ეჩურჩულებოდა რაღაცას და ხან ქალაქის ბოქაულს, მის გვერდით მჯდომს.

მახარემ ხელი დაუჭირა ერმილეს და აღშფოთებით სთქვა:

— მე უნდა მოვკლა ეს გაიძვერა ჯამუში,—როსტომზე ანიშნა,—გადავწვავტე ქვეყნის სირცხვილიდან გავათავისუფლო ის მშვენიერი გოგონა.

დიას მამაა ეს არამზადა. მე მიყვარს დია. კეთილი ქალიშვილია დია. მიყვარს იგი. უნდა გამოგიტყდე, მიყვარს ჯამშუმის ქალი.

— მახარე, დღეს ველარ გცნობ, რატომღაც არ მომწონს ამაღამ შენი საქციელი. შევიდეთ დარბაზში, აჰა, მეორე ხარია.

მახარე დანებდა ერმილეს სიტყვას. პაპიროსის ნამწვავებზე გადაადგმულა ორივენი დინჯად შევიდნენ დარბაზში. მახარე ბიძია ტრიფონის გვერდით დაჯდა.

მოიკითხა საყვარელი ოსტატი.

მაყურებელნი კმაყოფილი გამოვიდნენ თეატრიდან. მიდიოდნენ ქუჩაზე ჯგუფჯგუფად და თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

— ანტონი შესანიშნავად თამაშობს გაიოზის როლს, — ამბობდა ერთი.

— იშვიათი გაიოზია, — აღასტურებდა მეორე.

იწუნებდნენ ოტიას როლის მოთამაშეს.

ტასიზე ერთხმად ამბობდა ყველა, რომ ეს გოგონა კარგი მსახიობი დადგებოდა. ტასიმ უცებ მოიპოვა ხალხის თანაგრძნობა.

— მტკიცე დრამატული ხმა აქვს. — ლაპარაკობდა ხალხში ვიღაც.

— კარგად ჩაატარა სწორედ მარინეს როლი, — იწონებდნენ ქალები.

ერმილე ღელავდა ტასის ხსენებაზე. თვითონ თავის აზრს არ ამქლავებდა.

ტასის ჭიშკართან შედგა. ტასი უცევ მოსულიყო სახლში, ხის დიდი ჯამი გამოეტანა ტალავარში და სცენაზე მიღებულ ყვავილებს წყალში აწყობდა.

კანის დილები გაეხსნა ტასის, მთვარის შუქზე თეთრად ქათქათებდა სავსე გულმკერდი. გაზაფხულის ნიაფი მსუბუქად უწეწავდა გაშლილ თმებს. თვითულ ყვავილს ბავშვივით უღიმოდა ტასი. თვითულ ყვავილში თითქო მახარეს თვალები ჩაეხატა განგების ხელს. მახარეს დასტრიალებდა ტასის ფიქრები. ჯერ კიდევ თებერვლის ბოლო დღეები იდგა, მაგრამ არაჩვეულებრივად დამთბარიყო იმ წელს ზღვისპირი. გაზაფხულივით თბილი ღამე სუნთქავდა. ნიაფს უხვად მოჰქონდა მიმომზების სურნელი. ერმილე მარტო რომ ყოფილიყო, ტასის ჭიშკართან გაჩერდებოდა. მახარე გრძნობდა ამას და სხვა საინტერესო ამბებზე გადაჰქონდა ერმილეს გულისყური. ხელი გაეყარა მკლავში და უიმედო სიყვარულით გულმოკლული მეგობარი შეუშინევლად მიყავდა შინისაკენ. მაგდას ღრმად ჩასძინებოდა. ტასის თვალს ძილი არ ეკარებოდა. ოტიას ალერსის დროს თვალი მოჰკრა თეატრში მახარეს, კინალამ ჩაეფუშა სცენა, კინალამ დაავიწყდა როლი. ახლა მთვარეს უცქერის ტასი, სკამლოგინზე ჩამომჯდარი და მთვარის ალა მახარეს სახედ ეჩვენება. რა ბედნიერი იქნებოდა ტასი ახლა, მახარე რომ უჯდეს გვერდით. როგორ ფრთხილად მოხვევდა ხელს, თავს გულზე მიადებდა და სასოებით ეტყოდა: „შენი მონა ვარ, შენზედ მლოცველი, შენი ერთგული... შენი!“

ატირდა ტასი. მღულარე ცრემლები გადმოაღვარღვალა. ცრემლმა ოხი ვერ მოჰგვარა. მთვრალივით წამოდგა, ბარბაცით შევიდა ოთახში. კარის ჭრიჭინმა მაგდა გამოაღვიძა.

— რატომ აქამდე არ გძინავს, ტასი?

— არ მეძინება. გადავწყვიტე თავი მოვიკლა.

მაგდა გაფითრებული წამოჯდა ლოგინზე.

— ასე ჩქარა?

— მეტი არ შემიძლია. მახარე ყურადღებას არ მაქცევს.

— სისულელეს თავი დაანებე.

— ნუთუ ულამაზო ვარ?

— უკუთო ხარი აქ მოდი, ჩემთან დაწევი. იცი ანტონმა რა მოხრა შენზე? სახელოვანი მსახიობი გახდებო. რა გაქვს სადარდელი?

— სხვა გულს ვერ ჩავიდგამ.

— დამშვიდდი, დაიძინე. ენახოთ, ზვალინდელი დღე რას გვგვრავს? ექნებ მახარემ თვითონ შეგიყვაროს. ვფიქრობ, ზაქაბურზე დავატიეო, მისი ამხანაგებით.

— ამხანაგები რა ოხრად მინდა.

— სულელო, ამხანაგები საჭიროა სახელის მოსახვეჭად.

— სახელის მოსახვეჭად... კარგი ამბავია! მერე სიყვარულს გამომიცხადებს თითო-თითოდ ყველა. მე სკივრი არა მაქვს, საღ შევინახო ამდენი ამხანაგების სიყვარული? სამი გული უკვე მიძევს ყუთში. სასაცილოა, სამ სხვა-დასხვა მიჯნურის წერილში ერთი და იგივე სწერია: ყველას ჩემი გაცნობის-თანავე გული ასტკენია. დასწყევლოს ღმერთმა. დე ყველამ თავი ჩამოიხრჩოს. გამიხარდება. მე მარტო მახარე მიყვარს. როდის დავატიეებ?

— კვირას.

— კვირამდე რამდენი დღეა?

— ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი.

— ო, რა შორს არის. მანამდე ჭლევი გამიჩნდება.

მაგდამ სასთუმალთან დაკიდებული ოქროს საათი ჩამოიღო—ოქროს ძეწკვით. ეს მაგდას შარნა იყო, რგოლის ბეჭედი და საათი. ახსოვს: როგორ თრთოდა მაგდა მაშინ, როცა საქმრომ პირველად ჩამოჰკიდა ეს საათი გულზე. ბეჭედს მუდამ თითით ატარებს მაგდა. საათი კი ტასისათვის სურდა მიეცა საჩუქრად. ერთხელ შეესწრო: ტასის კისერზე შემოეხვია ოქროს ძეწკვი და სარკეში იხელებოდა, ნატრობდა ოქროს საათს. ახლა კარგი საბაბი ჰქონდა მაგდას, რომ ტასი რითიმე დაემშვიდებია.

— ოღონდ ჭლევი ნუ გაგიჩნდება და, აჰა, ჩემი ოქროს საათი შენთვის მიჩუქნია. გამომართვი!

ტასი ცოტა შეუოყმანდა, არ მოელოდა ასეთ დიდ საჩუქარს დისაგან, რომელსაც ერთი საათის მეტი არავითარი სიმდიდრე არ გააჩნდა, მაგრამ სიხარული ვეღარ დაფარა და უცებ სტაცა ხელი, გულზე მიიხუტა და სარკეში ჩაიხედა. სარკეს პირდაპირ, ფანჯრიდან ანათებდა მთვარე. თეთრ გულ-მკერდზე აბრწყინდა ოქრო და ტასის ყველაფერი დაავიწყდა. მოყვა თავისებურ ხტუნვას და ცეკვას.

— ჰაი შე ალქაჯო, — გაიცინა მაგდამ, — ხომ ჩქარა დაგავიწყე „დიდი სევდა“? მართალი სთქვი: ახლა ეს საათი უფრო გიყვარს, თუ მახარე?

— ტასი შესდგა, უცებ დაიხარა, დას მოეხვია და აცრემლებული ლულულ-ლით უთხრა:

— ეს საათი იმიტომ მიხარია, რომ მახარეს მოვეწონო. ხომ დავატიეებ?

— ოღონდ ჭლევი არ გაგიჩნდეს!

სულის ბაოზში

მომხიბლავი მთვარის ჯადოსნური ღიმილი ლევან გურიელის ბოროტ სულშიაც ჩაშუქებულიყო. მოქარაფებული იჯდა ფანჯარასთან, მკლავები მაგიდაზე დაეყრდნო და დისკო გაბადრულ მთვარეს მისჩერებოდა. ვარეთ ნაზამთრი ზეიბი ჭანდაკეზასავით იდგნენ. კვიპაროსებს ცისკენ აეტყორც-

ნათ ხუტუტი თავები. არ ისმოდა ზღვის შრიალი. ქუჩებთან ერთად ბუნებაც მიღუმებულყო. ღრმად ჩასძინებოდა ქალაქს.

ცერად შემდგარ თოფის პირზე თვლემდნენ ღამის გულშაგები. არ ეძინა მხოლოდ ოლქის ურიადნიკს.

რად სტეხდა ღამეს, რა აწუხებდა? იქნებ კეთილშობილურმა გრძნობამ გაიღვიძა მის გულში, იქნებ როტშილდის ქარხნის მუშების მდგომარეობა აღონებდა?

ეგებ გაიოზ ფადავას სამშობლოზე ოცნებობდა? იქნებ რუსეთის ბიუროკრატიის უღელქვეშ მკვნესარე საქართველოს ბელი აღარდებდა?

არა... სისონა დარჩიას მკვლევობის მონაწილეს—საერობო ყარაულის უფროსის შემკვიდრეს, სიკეთის გრძნობა სამუდამოდ დაეხშო!

მაშ რად იხედებოდა მთვარიანი ღამე მისი სულის ჭაობში?

„ოტია ჯოლიას საყვარელი“ ჩაფრენილიყო მის გულში და ენებები აეშალა. წარმოდგენის შემდეგ თეატრის კიბეზე იდგა გურიელი, როცა ტასი ჯეირანივით გამოვარდა თეატრიდან და კიბე ჩაირბინა. მკლავით თაიგულები მიჰქონდა.

ტასის თვალები ისარივით მოხვდა გულში გურიის მთავრის შთამომავალს.

კომიტები

პოლიციელები გაფაციცებით ექებდნენ როტშილდის ქარხანაში მომხდარი არეულობის მეთაურებს.

ოლქის ურიადნიკი—გურიელი ოქროს ამხრიალებდა. ვაშალომიძე მელიასავით დაძვრებოდა ყველგან, უბით ოქროს ფული დაჰქონდა.

— ოქროს რა დაემალება, ბატონიშვილო! ოღონდ ოქრო იყოს და... — ამხნევებდა როსტომი გურიელს.

კომიტეტში ბევრი საყურადღებო საკითხი იდგა გადასაჭრელად: გემ „ეკატერინე მეორეს“ პეტერბურგიდან ყუმბარები უნდა მოეტანა ნავსადგურში. კომიტეტს უნდა მიეღო და თბილისში გადაეგზავნა. მეორე საკითხად იდგა აგრარული მოძრაობის დაწყება გურიაში. ახალგაზრდა გურია დღედღეზე მოელოდა „დასტურს“ ბათუმის კომიტეტიდან.

ვაზაფხული იფურჩქნებოდა. — ამხანაგებო, თვითეული ნაყანევი ახალ თესლს მოეღის, — ამბობდა ერმილე, — საჭიროა დავაჩქაროთ მუშაობა.

— ჩვენ უნდა დავარწმუნოთ გლეხები: ფეხი არ დადგან მემამულის მიწაზე. — ეთანხმებოდა ნინიძე ერმილეს წინადადებას და მოითხოვდა ახლადე გაეგზავნათ გურიაში კაცი, რომელიც შეუდგებოდა გლეხებთან საქმის მოგვარებას.

მახარეს შეხედა ყველამ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის უნდა წასულიყო გურიაში გლეხების ასაჯანყებლად.

მახარე გრძნობდა: თვითეული საკითხის გარშემო მრავალი წერილმანი მღლაენდებოდა, რაც პასუხს ითხოვდა.

„მოურავები უნდა დავეითხოვოთ!“

„მღედლებს ბოიკოტი გამოეუცხადოთ“ — ვარაუდობდა მახარე თავის გულში.

სახიფათოდ მიანდათ ყუმბარების გადმოტანა. ამისთვის საჭირო იყო ქალი, რომელზედაც ექვს ვერ მიიტანდნენ ჟანდარმები. ჩემოდანი არც ისე დიდი იყო. თავისუფლად შეეძლო ქალს დაეჭირა ხელში. ქალი ბევრი იყო ბათუმში. უნდა გამოენახათ მათ შორის სანდო და გონიერმახვილი.

— ამხანაგებო, როგორც ჩანს ჩვენი მაგდა კეთილშობილია ქალაქი, მარტომისმოყვარე და პატიოსანი. გავანდოთ მაგდას საიდუმლო, — წინადადება შემოიტანა გოგილომ.

— კი, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ის რომ, მაგდა მარტო არ არის.

ერმილემ წარბები შეარხია. ტასის რატომ უნდობლად შეხედეს ამხანაგებმან, გაიფიქრა. ცუდ გუნებაზე დადგა.

მახარეს არ გამოეპარა ერმილეს გულის ნაგრძნობი.

— ამხანაგებო, — დაიწყო მახარემ, — მაგდა უთუოდ სანდოა და მისაღები ჩვენს წრეში. მაგდა დიდად გამოგვადგება ჩვენს ფარულ საქმეში. მაგრამ ტასიმ რა დააშავა? რატომ გვგონია ტასი ვერ შეგვინახავს საიდუმლოს?

— ტასი ჯერ ბავშვია, — დაიცვა ოლომფრემ თავისი აზრი.

— რა ვუყოთ, რომ ახალგაზრდაა, — მორცხვად განაცხადა ერმილემ და სახეზე ზაფრანის ფერი აეკრა. კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც. ხველამ მოუსწრო.

ოლომფრემ შუბლზე ხელი გადაისვა. ეძნელებოდა რისი თქმაც სურდა.

— სთქვი ოლომფრე, დასამალი რა გაქვს ჩვენს ოჯახში! — შენიშნეს ზოგიერთებმა.

— არა, ისეთი არაფერია. მინდოდა მეთქვა, სიფრთხილეს თავი არა სტიკვა მეთქი. ცუდი ხმები დადის. ამბობენ, ჩვენი ტასი გურიელს ჩავარდნიაო თვალში. უმიზეზოდ ქარი არ აქროლდება.

ერმილეს ბაგე გაუთეთრდა.

ბიძია ტრიფონმა ჩიბუხი გამოიღო პირიდან, მონაწივე ბოლი გადაყლაპა და ცხვირიდან გამოუშვა. სიტყვა მოითხოვა, უღვაშები გადაიგრიხა, სახეზე ღიმილი გამოხატა.

— სასაცილოა და მიუღებელი ოლომფრეს აზრი. ურიადნიკს ბევრი ვინმე ყავს თვალში ჩავარდნილი. ერთი იმ ყმაწვილ ქალსაც ვკითხოთ, მას კი ჩაუვარდა გულში გურიელი?

— საქმეც ამაშია! — ასტეხეს ხარხარი სხვებმა.

— ტრიფონი მართალს ბრძანებს. ასე საკითხისადმი მიდგომა არ შეიძლება, — სთქვა ნინიძემ, — ქალი საუკეთესო კედელია ჩვენთვის. რაც შეეხება ტასის, ის დიდად გამოსაღები იქნება მოშავალი მუშაობისათვის. ჩვენ უნდა ვეცადოთ, თუ ცუდ გზაზე დამდგარი, შემოვებრუნოთ. ამისათვის შესაფერად მიმანია, გამოვეყოთ ერთი ამხანაგი, რომელიც იმუშავებს ქალებში. ამ საქმეს კარგად მოაგვარებს ამხანაგი სიბილო — პედაგოგი კაცია, იმავე თეატრის მუშაკი. ვფიქრობ, თეატრი მთლიანად ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ.

ამხანაგებმა კვერი დაუკრეს ნინიძის წინადადებას.



კვირა დღე იყო.

ბათუმის ნავსადგურში ხალხს მოეყარა თავი.

მზე ანათებდა დასავლეთის ჰორიზონტს.

გადამლილი წყნარი ზღვა იისფრად ლაღლაობდა.

მშვიდი შეღამება მსუბუქად ესალბუნებოდა გულს. შორს ირწეოდა გემის „ეკატერინე მეორის“ თეთრი ცხვირი.

— შეხედე ტასი, რა შეედრება ამ სილამაზეს, რომელსაც ბუნება თვითონ ხატავს. რამდენი სითბოა და სიკეთე ბუნებაში, რამდენი სიმშვენიერე... რაა მხატვრობა ცოცხალ ბუნებასთან შედარებით. ცოცხალი ბუნების მოვლენათა ფერებში დაუღვევლი სითბოა, რაც თავის თავად შედის ადამიანის შეგრძნებაში, რაც გვახარებს და გვაცრემლებს. შეხედე ცის ლურჯ ტატნობს, რა წარმტაცი სანახაობაა, რამდენი ოქროს ვარდი გაშლილა იქ ადამიანის მიუწვდომ შორეთში. ჩვენ არა გვაქვს სულის სიმშვიდე, დავსტკბეთ ბუნების უთვალავ ფერთა შვენიებით. მონის უღელი გვაძევს კისერზე. გული მუდამ ბოღმით გვაქვს საესე. ეეჰ, ჩემო პატარა მეგობარო, მომეცი ხელი, ერთხელ კიდევ მითხარი: შენი გულივით შეინახავ ჩვენს საიდუმლოს. მითხარი: შენც იბრძოლებ თავისუფლებისათვის.

— ვფიცავ! — გულწრფელად წარმოსთქვა ტასიმ და აღარ დაასრულა, ვის ფიცავდა.

სიბილომ გაკვირვებით აკეცა წარბები.

— ასეთი ფიცი არ გამიგონია! და კიდევ უფრო მეტი: არ არის დამაჯერებელი. უნდა სთქვა ვის ფიცავ?

— ვის ვფიცავ? გითხრა? ვის სახელსაც ისე ვუვლი, როგორც დიდ საიდუმლოს.

— მოსაწონი პასუხია. მაგრამ ჩვენ ხომ მეგობრობა აღვუთქვით ერთმანეთს?

ტასიმ უეცარი უხერხულობა იგრძნო მეგობრის წინაშე.

— ჩემო ძვირფასო, — წარმოსთქვა მან დარცხვენით, — ჩვენ ხომ ყველაფერი არ გვითქვამს ჯერ, რაც მეგობრობას შეეხება.

— ერთი უნდა გახსოვდეს მუდამ: მეგობრობა ყველა გრძნობაზე მალალი და ფაქიზი გრძნობაა.

— შემახსოვრება, — სთქვა და ნელი ნაბიჯით ბაქანზე გადავიდა. ის იყო გემი „ეკატერინე მეორე“ მოადგა ნაპირს. თეთრი ცხვირი ბათუმს მოაბჯინა. — მეზღვაურმა ლუზა გადმოავლო.

ტასი ლელავდა. დიდი საქმე ჰქონდა დაკისრებული. ყუმბარები უნდა გადმოეტანა გემიდან. კომიტეტის წევრები შორიდან უთვალთვალდნენ ტასის. მაგდა ვაფითრებული იდგა მიღმა. მხოლოდ სიბილო არ შორდებოდა მეგობარს. ეანდარმი გრომოვი გამოჰიმული იდგა ლევან გურიელის წინ. საუბრობდნენ და თვალს ადევნებდნენ გემის მოძრაობას.

ხალხი ირეოდა, ზოგი წამსვლელს აცილებდა, ზოგი მომსვლელს ხედებოდა. გემბანზე გადმომდგარიყვნენ — შისიგან ვარუჯული, სპილენძისფერი მეზღვაურები. გემიდან გადმოვიდა ერთი პატარა ტანის ჩია მეზღვაური. გულჯიბში წითელი ცხვირსახოცი საჩინოდ ამოეწია. მეზღვაური გულდასმით ათვალეირებდა ბაქანზე მოძრავ ხალხს. ტასი მიუახლოვდა მეზღვაურს და წითელი ცხვირსახოცი გადაუვლო. მეზღვაურმა ტასის შე-

ხედა, მერე ფარულად გაშალა ცხვირსაზოცი. ამოიკითხა წარწერა. მეზღვაური მივიდა ტასისთან და მაგრად ჩამოართვა ხელი. სანამ ხალხი ირეოდა, მეზღვაურთან ერთად ტასი გემზე ავიდა. არ გასულა ხანი, ტასიმ მგზავრებთან ერთად კისკისით ჩამოირბინა გემიდან. გვერდით მომავალ უცხო მგზავრ ქალებს მახლობელივით ელაპარაკებოდა, იცინოდა და ჩემოდანი კოხტად ეკიბრა ხელში. სიბილოს გული უცახცახებდა. მაგდა მედგრად მიიჭრა ტასისთან, ჩემოდანი ხელიდან გამოსტაცა და უცხო მგზავრებში გაერია.

სიბილომ ძლივს ამოისუნთქა.

ერმილეს სულ წასვლოდა ფერი.

მახარე არ ჩანდა ბაქანზე.

გოგილო და ნიკიტა აღტაცებით უცქეროდნენ მხიარულად მოსაუბრე ტასის.

— განა მარტო თეატრის თვალია? ახლა რას იტყვის ნეტა ოლომფრე? გურიელი და ეანდარმი გრომოვი არხეინად სეირნობდნენ ბაქანზე. როგორღაც ხალხში ლევანმა ვერ შენიშნა ტასი. შორსმხედველობა აკლდა გურიელს.

ლამის ბინდი მოჰკიდებოდა ქალაქს.

სამხრეთის ცაზე ერთი ვარსკვლავი ციმციმებდა ობლად.

— და ის ვარსკვლავი შენა ხარ, ჩემო... — სიხარულით აღფრთოვანებული ეუბნებოდა სიბილო ტასის.

(გაგრძელება იქნება).

შალვა აფხულაშვილი

ჭ ა შ ნ ი კ ი

— ქვევრის სარქველზე გიყვარდაო ხელადის დადგმა, —
 ასე მწერ დედი
 თაფლისა და ღვინის ქვეყნიდან...
 მე ამ წერილში იღუპალი ვიბოვნე დარდი
 და ყოველ სტრიქონს მინდა ვემთხვიო...
 — ღვინობის თვეა,
 უღვინობა ვის გაუგია, —
 უთქვამთ მეზობლებს
 და შენც გითქვამს, ალბათ, მრავალჯერ.
 მშობლებს გაფრენილ შეეარდნებზე გისაუბრიათ,
 მშობლებს თვალები დაგრჩენიათ გაშლილ შარაზე...
 ღვინობის თვეა...
 ფრთხილად ვიღებ ძვირფას არმაღანს,
 ჭაშნაგირივით დაეცქერ ჭაშნიკს თეთრ მათარაში,
 ქების ღირსია უწმინდესი შენი ჭალარა,
 ბროლის მინაში ქაფის ნაცვლად ცეცხლი თამაშობს...
 მე ეს მათარა
 პირჩვენია ათას ხელადას,
 ბრძოლაში გასულს მღერიე წყალსაც გამიშარბათებს,
 წყურვილს მოვიკლავ
 ხმლის ტრიალით გახელებულ
 და ელვასავით გავეხვევი ღამის ნაბადში...
 ჩემო ძვირფასო,
 შენ ამაზე ნუ იმწუხარებ,
 რომ აღარ ღაღობს შენი შვილი ქვევრის სარქველთან.
 დრო შეიცვალა,
 ტყვია წივის, რკინა მქუხარებს,
 ბნელში დარწეულ ქარაფებზე მღერის ნამქერი...
 დრო შეიცვალა,
 ვინ მოიცილის ახლა საღვინოდ,
 დაე, დროებით გადირაზოს მარნის კარები,
 ბაღლიც ვერ გასძლებს სამშობლოში დღეს უმხბვილოდ,
 მე როგორ გაეძლო მარტო სიტყვის ფარიკაობით.
 ღვინობის თვეა,
 ფრთხილად ვსინჯავ ძვირფას არმაღანს

და ყამირების სიჯანსაღეს გრძნობენ ბაგენი.
დღე აბლოვდება,
ბრძოლის ველზე გრგვინავს ნალარა
და აქა მყვანან ქაბუკს რკინის ამხანაგები.
საღღერძელოს თქმა
უფინჯანოდ შემაღლებინე,
მადლობის მეტი რა გაღირსო ამ სიშორიდან,
საგაზაფხულოდ
ქა რომ გაშლის ფერად ჯეჯილებს —
გჯეროდეს მოვალ ყვაეილებით დაშვენებული.
ჩემი სალამი ბუღეშურებს

და საფერავებს,

აბრილის თვეში ძველებურად ცრემლს ნუ დაღვრიან,
ჰშალონ ფოთლები
დალალების დასაფარაეად,
ქარვა და ლალი დაანათონ მიწას მადლაანს.
ჩემო ძვირფასო,
შენ ამაზე ნუ იმწუხარებ,
რომ აღარ ლაღობს შენი შვილი ქვევრის სარქველთან...
დრო შეიცვალა,
ტყვია წივის, რკინა მქუხარებს
და ქარაფებზე აშუღივით მღერის ნამქერი...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიჰობეღა

იმერეთში ბოსტანი მაქვს წყაროს თავზე,
ვენახიც მაქვს... და ნუ თუ ეს აღარ კმარა.
ერთი კონა თავთუხისა ნამით საესე
შოსაველი ყანაც კი მაქვს სულ პატარა.

მე პატარა გულიც მაქვს და საღამოზე
ჩამოვირბენ ამ პატარა მწვანე სერებს,
სველ სურასთან ჩამოგისწრებ ჩვენს წყაროზე,
სურასავით შენ რომ თეთრ ყელს მოიღერებ.

ჭარი გულზე დაგაწვეთებს პიტნის სურნელს
და თეთრ კაბას მოგიატვენ ფრთით პებლები;
თავზე ჩრდილად წავიფარებთ სუროს ფურცელს,
და როს ბინდში ინთქებიან თეთრი შთები.

ჩაუქროლებს კაკლის ხეებს წიფობელა,
შენს წამწამქვეშ დაიყუჩებს წამით ჩიტი.
იმ წამწამქვეშ, მე რომ გული დამიბნელა,
შენი თმების მოშრიალე ჩრდილზე მშვიდი.

წყაროს თავზე მე შენს სუნთქვას როცა ვისმენ,
ჩამოფრინდი ჩემს ბოსტანში, ვით პეპელა.
ჩიტები ცას მწიფობისთვის ნიშანს მისცემს
და ვენახებს დაგვიმწიფებს წიფობელა.

ღ ე ქ ს ე ბ ი

თოვლი

ბარდნის, ბარდნის, ისევ ბარდნის,
 ცა დაიშხერა და ფიფქებად დამესია,
 ყური უგდე: ხმა ფიფქების ჩამოვარდნის
 უცნაური რამ ლექსია...
 შენ თოვლი ხარ, შენ ხარ ჩემთვის დავიწყება,
 შენთან მინდა დავივიწყო ყოველივე,
 ზღაფე თეთრად გადიბარდნა
 იმ სახლების შავი წყება,
 სადაც სიზმარს მოველი მე.
 უშენობას ვერ ავიტან, რადგან ყველა
 ვინც მახსოვდა, შენს ტალღებში ჩაიძირა,
 შენმა მოსვლამ სული თეთრად დამიბნელა,
 დამიბნელა და... იცი რა?
 დღესაც: ბარდნის, ბარდნის, ბარდნის,
 თითქოს ფიქრი თეთრ ფიფქებად დამესია,
 ყური უგდე: ხმა ფიფქების ჩამოვარდნის
 უცნაური რამ ლექსია...

ქარი და იხინი

ის დაეწია პატარა ნერგებს
 და ვნებით მკლავზე გადაიკვეთა,
 მოვიდა წვიმა და მასაც ერგო
 ალერსი ზეთა.
 მერე, არხევდა შემკრთალ ზეხილებს,
 კოცნიდა, ჰხრიდა.
 თან შემოხუთულ საკინძის ღილებს
 წვიმის წვეთებად მიწაზე ჰყრიდა.
 მერე: მოვიდა ვაფი და ქალი,
 როგორც მაისი, ქარი და წვიმა.
 და ვაფა ქალი, ალერსით მთვრალი,
 ზესავით მკლავზე გადაიწვინა.
 ხარბად დაკოცნა გიშერი ტალღის,
 და ვნების ცრემლი ჩამოაწვეთა,
 მერე: უამბო ალერსით დაღლილს
 ზღაპარი ზეთა...

ხეების სიმღერა



სალამოს, როცა ჩადგება სიციხე
და მიწა მოღლილ წამწამებს ნაბავს,
ყველა ხე თავის ენაზე იწყებს
სიყვარულის და სიცოცხლის ამბავს.

მუდამ შშფოთვარე ვერხვები ბჭობენ,
სადღაც მელექსე ჭადარი ლელავს,
ნაძვი, ქალივით მომდგარი ლობეს,
ჩემს ფანჯარაზე ანიშნებს თელას.

სტირის ტირიფი ტოტების ქნევით,
მუხლმოდრეკილი ბუჩქები სწუხან,
გუგუნებს ბალი და როგორც ქვევრი
ყველას ბანს აძლევს მოხუცი მუხა.
გზის პირას მწკრივში ალევები დგანან
და კანწერობებს არხევენ უხმოდ,
თვალს ლულავს მიწა და როგორც ნანა
ნიავე ყველას ძილისკენ უხმობს.

სალამოს, როცა ჩადგება სიციხე,
და, როცა მთები იცვლიან კაბას,
შეც ჭადარივით სიმღერას ვიწყებ —
სიყვარულის და სიცოცხლის ამბავს.

თეთრი აღაპიანის გზები

— ამაღამ თქვენს კერაზე მოვხარშავ და თქვენს ჰერქვეშ დავიძინებ, — ვაუწყებ მოხუც ებიტსს, როდესაც მის ქოხში შეველი.

მან შემომხედა თავისი დაბინდული, ბრუტიანი თვალებით, ზილამ კი უგემური ღმეკისა და სათვალწუნო ბუზღუნის ღირსი გამზადა მხოლოდ. ზილა მისი ცოლი იყო, და იმაზე უფრო ანჩლი, დაუცხრომელი ინდაელი ბებრუხანა მთელს იუკონზე არ მოიძებნებოდა. მე არაერთაარ შემთხვევაში არ დაერჩებოდი აქ, ჩემი ძაღლები ასე ძალზე რომ არ დაღლილიყვნენ და რომ სოფელში მენახა ვინმე სხვა ამ წყვილის ვარდა. მაგრამ ეს ერთადერთი ქოხი იყო, სადაც აღაპიანები ცხოვრობდნენ, და ძალაუნებურად აქ მომიხდა თავშესაფარის ძებნა.

დროგამოშვებით მოხუცი ებიტსი ახერხებდა თავისი აბურღულ-დაბურღული აზრების წესრიგში მოყვანას, და მის თვალეში ხან იელგებდა, ხან ჩაპკრებოდა ცნობიერების ნაპერწყალი. ვიდრე ვახშამს ვამზადებდი, მან რამდენჯერმე სცადა, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელმა, ეკითხნა ჩემთვის, თუ როგორ ვგრძნობ თავს, რამდენი ან რა მდგომარეობაში მყავს ძაღლები და რა მანძილი გამოვიარე დღეს. ზილა ყოველი ასეთი კითხვის დროს კიდევე უფრო აძლიერებდა სახის უგემურ გამომეტყველებას და კიდევე მეტის ათვალწუნებით ბუზღუნებდა.

უნდა კი გამოეტყდე, რომ განსაკუთრებული მიზეზები კარგი განწყობილებისათვის მათ არ ჰქონდათ. თავიანთი სიცოცხლის შებინდების ყამს ორივენი ისინი ისხდნენ მობუზღულები ცეცხლთან — ბებრები, დაქანცულები, უმწეონი, რევმატიზმით გაწამებულები, შეჭირვებულნი შიმშილით და იმ ტანჯვით, რომელსაც იწვევდა მათში ჩემი ვახშმის მაცდუნებელი სურნელება. ისინი ნელა და უიმედოდ ქანაობდნენ წინ და უკან, და სისტემატურად ყოველი ხუთი წუთის შემდეგ ებიტს აღმოხდებოდა ყრუ კენესა. ის კენესოდა არა იმდენად ტყვილის მიზეზით, რამდენადაც მწვავე დაღლილობის გამო. ის დაეთრგუნა იმ სასტიკ წამებას, რომელსაც სიცოცხლე ეწოდება, მაგრამ კიდევე უფრო აწუხებდა მას სიკვდილის შიში. ეს იყო მოხუცთა მუღმივი ტრაგედია, რომელთაც დაუქარგავთ სიცოცხლის სიზარული, მაგრამ სიკვდილის ინსტინქტი ჯერ კიდევე არ უგრძნიათ.

როდესაც ჩემმა ირმის ხორცმა იწყო შეხეების ძლიერი ფრქვევით შიშინი ტაფაზე, შევნიშნე, თუ მისი სურნელებისაგან როგორ უნაოკდებოდნენ და ებერებოდნენ ცხვირის ნესტოები ბებერ ებიტსს. მან დროებით შესწყვიტა ქანაობა და დაივიწყა კენესა, ხოლო თვალები თითქოს უფრო გადაეწმინდა.

ზილამ კი, პირიქით, უფრო და უფრო მოუჩქარა ქანაობას და პირველად გამოხატა თავისი ტანჯვა რამდენიმე მოკლე მკვეთრი დაწყობუტუნებით. მე მომივიდა აზრად, რომ ისინი წააგვანან მშვიერ ძაღლებს, და სრულებითაც არ გამოიკვირებოდა, რომ უცებ გამოეშვა ზილას კლდი და დაეწყო მისი რტყმა იატაკზე, როგორც ნამდვილ ძაღლს. ებიტსი ნერწყვის ყოველი გა-

დაყლაპვის დროს შესწყვეტდა ქანაობა, რომ წამოხრილიყო წინ და მიეტანა ახლოს მოცახცახე ნესტოები უტკბესი სურნელების წყაროსთან.

მივეცი მათ თითო თევში შემწვარი ხორცი; დაიწყეს ჰამა ხარბად, ხამამალაი ხრამუნით, ლეკადნენ დაჰპალი კბილებით და თანაც ხმაურით უსრუტადნენ ჰაერს. ყველაფერს ამას თან სდევდა დორბლების უწყვეტი და განუწყვეტელი ბუტბუტი. ხოლო როდესაც ჰამის შემდეგ მივაწოდე თითო ტოლჩა ცხელი ჩაი, ხმები შეწყდა. მოხუცთა სახეებს მოსვენებისა და კმაყოფილების გამოხატულება დაეტყოთ. ზილამ თავი დაანება სახის ღმეჭას და გულის შეჯერებით ამოიოხრა. ქანაობა შესწყვიტეს და თითქოს წყნარ ფიქრებში ჩაიძირნენ. შემდეგ ებიტს თვალები დაუსველდა, და მე მივხვდი, რომ ის შეიპყრო თავისადმი სიბრაალულმა. ჩიბუხის ხანგრძლივი ძებნა იმის მაჩვენებელი იყო, რომ დიდიხანია მასში თუთუნი აღარ ყოფილა, ხოლო სიხარბემ იმდენად უმწიო გახადა მოხუცი, რომელიც ჩქარობდა ნარკოტის შესუნთქვას, რომ თვითონ გაეუჩაღე ჩიბუხი.

— მარტონი რატომ დარჩენილხარ სოფელში? — შევეკითხე მათ. — ნუთუ ყველანი დაიხოცნენ? კირი ხომ არ ყოფილა აქ? მარტო თქვენ გადარჩით? მოხუცმა ებიტსმა თავი გააქნია და სთქვა:

— არა, კირი აქ არ ყოფილა. სოფელი ხორცის საშოვნელად წავიდა. ჩვენ მეტად მოხუცებულები ვართ, მუხლებში საკმარისი ღონე აღარ გვაქვს, ჩვენს ზურგებს გზისა და ნადირობის სიმძიმის ატანა აღარ შეუძლიანთ. ამიტომ ვზივართ აქ და ვფიქრობთ, თუ როდის დაბრუნდებიან ახალგაზრდები საკმლით.

— დაბრუნდნენ თუნდაც ახალგაზრდები საკმლით, მერე? — მკვახედ შევეკითხა ზილამ.

— მათ შესაძლოა ბევრი საკმელი მოიტანონ, — იმედიანად წარმოსთქვა მოხუცმა ათრთოლებულის ხმით.

— თუნდაც აგრი იყოს, ბევრი საკმელი მოიტანონ, — განაგრძობდა ზილა კიდევ უფრო მკვახედ — მაგრამ შენ და მე რა? გადმოგვიგდებენ ჩამდენიმე ძვალს გამოსახრავად, უკბილო ბებრებს. ხერხემლის ქონი, თირკმლები, ენა და სხვა ასეთი კი არც შენს პირში, არც ჩემსაში არ ჩავა, მოხუცი ებიტსმა გააქნია თავი და უხმოდ ასლუკუნდა.

— არ არის არაფერი, ჩვენთვის რომ ნადირობდეს, — წამოიყვირა ზილამ და გააფთრებით მოტრიალდა ჩემსკენ.

მის კილოში ისმოდა ბრალდება, და მე ავიჩეხე მხრები ნიშნად იმისა, რომ არა ვარ დამნაშავე ბოროტმოქმედებაში. რომეოსაც მანწირინ.

— იცოდე, თუთრო აღამიანო, რომ მთელი თქვენი მოდგმის გამო, ყველა თუთრი აღამიანების გამო, მე და ჩემმა ქმარმა დავჯარჯეთ სარჩო სიბერის დროს და ვზივართ სიცივეში თამბაქოს მოკლებულობი.

— არა, — სთქვა ებიტსმა, რომელმაც სამართლიანობის უფრო მკაცრი გრძნობა გამოამჟღავნა. — ჩვენ შეგვამთხვიეს ბოროტება — ეს მართალია, მაგრამ თუთრ აღამიანებს არ უნდოდათ ბოროტების ჩადენა.

— სად არის მოკლანი? — ჰკითხა ზილამ. — სად არის შენი ღონიერი შვილი მოკლანი? სად არის თეგზი, რომელიც მას ისე ხალისიანად მოჰქონდა შენთვის? მოხუცმა თავი გააქნია.

— ან სად არის ბიდარშიკი, შენი ღონიერი შვილი? ის ყოველთვის ძლიერი მონადირე იყო და ყოველთვის მოჰქონდა შენთვის ხერხემლის ქონანს საუკეთესო ნაჭრები და ცხენ-ირმისა და ქარიბუს ტყბილი გამხმარი ენე-

ბი. მე ველარ ვხედავ უკვე ვერც ხერხემლის ქონსა და ვერც ტყვილ გამ-
ბმარ ენებს. შენი კუჭი მთელი დღეების განმავლობაში სიცალიერითაა საე-
სე, და ჩვენ იძულებული ვართ მივიღოთ საკმელი საძაგელი, მატყუარა მო-
ღმის კაცისაგან.

— არა, — რბილად შეაწყვეტინა მას ებიტსმა — თუთრებში მატყუარა მო-
ღმის როდი არიან, თუთრები ყოველთვის მართალს ამბობენ. — ებიტსი გა-
ჩუმდა, ის ეძებდა სიტყვებს, რომ შეემციკებინა სიმკაცრე იმისა, რის თქმა-
საც აპირებდა, — მაგრამ თუთრი ადამიანი სიმართლეს ამბობს სხვადასხვა
გზით. დღეს ასე ამბობს სიმართლეს, ხვალ ისე, და ვერავითარ შემთხვევაში
ვერ გაგივია ვერც ის და ვერც მისი სიმართლე.

— სიმართლეს რომ ამბობენ დღეს ასე და ხვალ ისე, სწორედ ესაა მ-
ატყუარობა — გადასწყვეტა ზილამ.

— ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიგებ თუთრ ადამიანს, — დაიწიებით
განაგრძობდა ებიტსი.

ხორცმა, ჩაიმ და თამბაქომ თითქოს იგი სიცოცხლეს დაუბრუნეს, და მან
უფრო ნათლად შეიგნო აზრი, რომელიც სიბერის გამო მის დაბინდულ
თვალებს უკან იმალებოდა. ის ოდნავ გასწორდა. აქამდის მოცახტახე და
მოფშლუკუნე ხმა ახლა ძლიერი და მტკიცე გაუხდა. იგი ღირსეული თავ-
დაქერით შემობრუნდა ჩემსკენ და დამელაპარაკა როგორც სწორი სწორს:

— თუთრი ადამიანის თვალები დახუჭულია, — დაიწყო მან. — თუთრები
ყველაფერს ხედავენ და ბევრს ფიქრობენ და მეტად ჰკუდიანებიც არიან.
მაგრამ დღეს თუთრი ადამიანი ერთია, ხვალ მეორე, და ვერაფერი გაგივია
მისი. ის ყოველთვის ერთსა და იმავეს ერთნაირად როდი აკეთებს. და არ
იცი კაცმა, თუ როგორ მოიქცევა იგი შემდეგ შემთხვევაში. აი ინდიელი კი
ერთსა და იმავე საქმეს ყოველთვის ერთნაირად აკეთებს. ირემი ყოველ-
თვის ჩამოდის დაბლა მაღალი მთებიდან, როდესაც ზამთარი მოდის, ორა-
გულიც ყოველთვის მოდის გაზაფხულზე, როდესაც მდინარეზე ყინული
გაძნება. ყველანი ერთნაირად იქცევიან ერთსა და იმავე შემთხვევაში, და
ეს ინდიელმა იცის და გასაგებბიცაა მისთვის. მაგრამ თუთრი ადამიანი რა-
ღაც თავისი გზებით მიდის, და ეს ინდიელმა არ იცის და ვერც გაუგია.

თამბაქო კარგი რამ არის. საზრდოა იგი მშვიერი კაცისათვის, ის ძლიერ
ადამიანს უფრო აძლიერებს და განრისხებულ კაცს ავიწყებს თავის რის-
ხვას. ძვირადაც ფასობს თამბაქო. ინდიელი თამბაქოს ერთ ფოთოლში მის-
ცემს დიდ ორაგულს და ღეჭავს დიდხანს ამ ფოთოლს. თამბაქოში კარგია
მისი წვენი. როდესაც ის ჩადის ყელში, ადამიანი სიამეხსა ჰგრძნობს. მაგ-
რამ თუთრი ადამიანი კი როგორ იქცევა, როდესაც მისი პირი სავსეა თამ-
ბაქოს წვენით? ამ წვენს, ამ ძვირფას წვენს ის აფურთხებს თოვლზე — და
წვენი იკარგება! უყვარს თუთრ ადამიანს თამბაქო? არ ეიცი. მაგრამ თუ
უყვარს, რატომღა აფურთხებს მას, რაც თამბაქოში ძვირფასია, რომ იგი
თოვლში დაიკარგოს? ეს დიდი სისულელეა და გაუგებარიცაა.

ის გაჩუმდა ყალიონის პლაკუნით, რომლის ჩაქრობაც შენიშნა — და გა-
დაცა ზილას. ამ უკანასკნელს უნდა მოეშორებია პირიდან თუთრებისადმი
მიმართული გესლიანი ღიმილი, რათა გაედვივებია ყალიონი თავისი მონა-
ოჭებული ტუჩებით. ებიტსი, რომელმაც არ დაასრულა სათქმელი, თითქოს
კვლავ ჩაიძირა ბებრულ თვლემაში, და მე შევეკითხე მას:

— რა მოუვიდა თქვენს შვილებს, მოკლანს და ბიდარშისკ? — და რატომ
ღარჩით შენ და შენი მოხუცი ცოლი ულუქმაპუროდ სიბერეში?

ის შეერთა, თითქოს უეცრად გამოფხიზლდაო, და ძალდატანებით გასწორდა წელში.

— ცუდია ქურდობა, — სთქვა მან. — ძალღი რომ ხორცის ნაჭერს მოიპარავს, მას ჯოხით სცემენ. ასეთია კანონი. ეს კანონია, რუმელელადამიანმა ძაღლისათვის გამოსცა, და ძაღლიც უნდა დაემორჩილოს კანონს. თორემ ჯოხი მას ტკივილს მიაყენებს. თუ ადამიანი მოიპარავს შენს საჭმელს, შენს ნაგს, ან შენს ცოლს, შენ მოჰკლავ ამ ადამიანს. ასეთია კანონი, და ეს კარგი კანონია. ქურდობა ცუდია, და ამიტომ კანონი მოითხოვს ქურდის მოკვლას. ვინც კანონს დაარღვევს, ის მძიმედ უნდა დაისჯოს. სიკვდილი მეტად მძიმე სასჯელია.

— მაგრამ თუ თქვენ ჰკლავთ ადამიანს, მაშინ ძაღლს რატომ არა ჰკლავთ? — შევეკითხე მე.

მოხუცმა ებიტსმა ბავშვური გაცემებით შემომხედა, ზილამ კი ზიზლით გაიღიმა ჩემი შეკითხვის უაზრობის გამო.

— აი ეს არის თეთრი ადამიანის მიდგომა, — ჩაილაპარაკა ებიტსმა სახის მორჩილი გამომეტყველებით.

— ეს არის თეთრი ადამიანის სისულელე, — სთქვა ღრენით ზილამ.

— რა ვუყოთ, — მაშ მოხუცმა ებიტსმა ასწავლოს სიბრძნე თეთრ ადამიანს, — ვთქვი მე რბილად.

— ძაღლს არა ჰკლავენ იმიტომ, რომ იმან ადამიანის მარხილი უნდა ათრიოს. არც ერთი ადამიანი არ ათრევს სხვის მარხილს, ამიტომ ადამიანს ჰკლავენ.

— აჰა, მაშ ეგრე! — წაეჩიურჩულე მე.

— ასეთია კანონი, — განაგრძობდა მოხუცი ებიტსი. — დამიგდე ყური, თეთრო ადამიანო, და მე გაამბობ შენ ერთს დიდ სისულელეს. აქ არის ერთი ინდიელი. მას ჰქვიაან მობიტსი. მან მოჰპარა თეთრ ადამიანს ორი გირვანქა ფქვილი. მერე როგორ მოიქცა აქ თეთრი ადამიანი? სცემს მობიტსს? არა, ჰკლავს მას? არა. როგორ ექცევა იგი მობიტსს? მე მოგიყვები ამ ამბავს, თეთრო ადამიანო. თეთრსა აქვს სახლი. მას მიჰყავს ამ სახლში მობიტსი. სახლს კარგი საბურავი აქვს. სახლს აქვს სქელი კედლები. თეთრი ადამიანი აჩაღებს ცეცხლს, რომ მობიტსი თბილად იყვეს. ის აძლევს მობიტსს ძალიან ბევრ საჭმელს. იქ შაშხიცაა, პურიც და ცერცვიც დაუსრულებლად. მობიტსი ძალიან კარგად ცხოვრობს.

— კარზე დიდი ბოქლომი ჰკიდია, რომ მობიტსი არ გაიქცეს. ესეც დიდი სისულელეა. მობიტსი არ გაიქცევა. იქ ყოველთვის ბევრი საჭმელია, თბილი საბნები და დიდი ცეცხლი. უკულობა იქნებოდა ასეთი ადგილიდან გაქცევა, და მობიტსი როდია სულელი. სამი თვე დაჰყო მობიტსმა იქ. მან ორი გირვანქა ფქვილი მოიპარა. ამის გამო ბევრსა ზრუნავდნენ მისთვის თეთრები. მობიტსმა შეჰკამა ბევრი გირვანქა ფქვილი, ბევრი გირვანქა შაქარი, შაშხი, ცერცვი დაუსრულებლად. მან დალია აგრეთვე ბევრი ჩაი. სამი თვის შემდეგ თეთრი ადამიანი აღებს კარს და ეუბნება მობიტსს, რომ ის უნდა წავიდეს. მობიტსს არ უნდა წასვლა. ის ძაღლივითაა, რომელიც დიდხანს ჰკვებებს ერთ ადგილს. მას უნდოდა იქ დარჩენა, და თეთრს მოუხდა მისი ძალით გაგდება. მაშინ მობიტსი დაბრუნდა ჩვენს სოფელში და ძალიან მსუქნად იყო. აი თეთრი ადამიანის გზები, შეუძლებელია მათი გაგება. ეს სისულელეა, დიდი სისულელე.

— მაგრამ რა დაემართა თქვენს შვილებს? — ისევ შევეკითხე მე. — სად

არიან შენი ღონიერი შვილები, და რატომ გიხდება შიმშილის ატანა სიბერეში?

— მე მყავდა ვაჟი მოკლანი, — დაიწყო ებიტსმა.

— ძლიერი ვაჟაკი — გააწყვეტინა დედამ. — მას შეეძლო დედამე ნიჩბების მართვა ნაეზე და არასოდეს არ შეჩერდებოდა ~~ქანსსწყვეტს~~. ის ბრძენი იყო ყველაფერში, რაც ორაგულსა და წყალს შეეხებოდა. ის ძლიერ ბრძენი იყო.

— მე მყავდა ვაჟი მოკლანი, — გაიმეორა ებიტსმა, რომელმაც ცოლის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია. — გაზაფხულზე ის ახალგაზრდა კაცებთან ერთად გაემგზავრა მდინარე იუკონით სიმაგრე კემბელში სავაჭროდ. იქ არის სადარაჯო, სადაც თეთრ ადამიანებს ბევრი მარაგი აქვთ და სადაც ვაჭარი ჯონსი ცხოვრობს. იქვე ცხოვრობს თეთრი ადამიანების შამანი, რომელსაც თქვენში მისიონერი ჰქვია. მაგრამ იქ ცუდი წყალიც იუკონი იქ ვიწროა, როგორც ახალგაზრდა ქალის თქმობი, წყალი კი ჩქარია და სჩქეფს, ტრიალებს და მორევებს აკეთებს. მდინარეა მუდამ ცვალებადია; წყლის ზედაპირიც იცვლება და არასოდეს ერთნაირი არ არის. მოკლანი ჩემი შვილია და ამიტომაც მამაცია.

— მამაჩემი კი არ იყო მამაცი თუ? — შეეკითხა ზილა.

— მამაშენი მამაცი იყო, — დაუმოწმა ებიტსმა იმგვარი კაცის სახით, რომელსაც რათაც არ უნდა დაუჯდეს, გადაწყვეტილი აქვს მშვილობიანობის შენარჩუნება თავის ოჯახში. — მოკლანი შენი შვილია და ჩემი, ამიტომ არის ის მამაცი. შესაძლოა, სწორედ მამაშენის წყალობით არის მოკლანი მეტისმეტად მამაცი. ეს ისეა, როცა ქოთანში მეტად ბევრ წყალს ჩაასხამ, წყალი თავზე გადასდის. მოკლანში იმდენი მამაცობაა, რომ თავზე გადასდის.

„ახალგაზრდა კაცებს ძლიერ ეშინიათ ცუდი წყლისა კემბელის სიმაგრესთან, მაგრამ მოკლანს არ ეშინიან. ის ხმამაღლა იცინის: „ხო, ხო!“ — და მიდის პირდაპირ ცუდ წყალში; მაგრამ იქ, სადაც თავს იყრის სხვადასხვა მდინარეა, ნავი გადაბრუნდება, მორევი ჩაეჭიდება მოკლანს ფეხებში და ატრიალებს და ატრიალებს მას სულ დაბლა და დაბლა, — და მოკლანს ამის შემდეგ ველარავინ ხედავს.

— აი, აი — აქვითინდა ზილა. — მარჯვე და ბრძენი იყო, ჩემი პირშუო.

— მე მოკლანის მამა ვარ, — სთქვა ებიტსმა, რომელიც მოთმინებით დაელოდა, სანამ ქალი ტირილს დაასრულებდა. — ჩაეჯექი ნავში და წაველი კემბელის სიმაგრისაკენ, ვალი რომ ვადამეხდევინებინა.

— ვალი? — შევაწყვეტინე მე, — რა ვალი?

— ჯონსის, მთავარი ვაჭრის ვალი, — მიპასუხა ებიტსმა. — ასეთია უცხო ქვეყანაში მგზავრობის კანონი.

მე თავი გავაქნე ნიშნად ჩემი უმეცრებისა, და ებიტსმა სიბრაღულით შემომხედა, ზილამ კი ზიზღით დაიფთხვინა.

— იცით რა, თეთრო ადამიანო, — მითხრა ებიტსმა, — ვთქვით, შენს ბანაკში არის ძაღლი, რომელიც იკბინება. თუ ძაღლი უკბენს ადამიანს, შენ აძლევ მას საჩუქარს, იმიტომ რომ ეს გეწყინა და იმიტომ რომ ეს შენი ძაღლია. შენ იხდი, ხომ ასეა? ამგვარადვე შენ უნდა გადაიხადო, თუ შენს ქვეყანაში ცუდი ნადირობაა ან ცუდი წყალია. ეს სამართლიანია. ეს არის კანონი. მოკლა ხომ დათვმა მამაჩემის ძმა, როცა ის ტანანის ქვეყანაში წავიდა. ტანანის ტომმა არ მისცა მამაჩემს ამის გამო ბევრი საბანი და ძვირი.

ფასი ტყავი? ეს სამართლიანი იყო. ნადირობა ცუდი იყო და ტანის ტომმა გადაიხადა გადასახადი ცუდი ნადირობის გამო.

„მამ ასე, მე, ებიტსი, წავედი ნავით ქვემოლ კემბელის სიმაგრისკენ, რომ ცალი გადამეხდევინებინა. ჯონსმა, მთავარმა ეპარმა შემომხედა და ხმაშაღალი სიცილა ასტეხა. ის ხმაშაღლა იცინოდა და არაფრის ვადახდა არ სურდა. მე წაველი შამანთან, რომელსაც თქვენ მისიონერს უწოდებთ, და ბევრი ველაპარაკე ცუდი წყლისა და ჩემთვის მოსაცემი გადასახადის გამო. მისიონერმა კი სხვა რამეზე დამიწყო ლაპარაკი. ის ლაპარაკობდა იმაზე, თუ სად წავიდა მოკლანი ახლა, როცა ის მოკვდა. იქ, — მითხრა მან, — იმ ადგილს დიდი ცეცხლებია, და თუ მისიონერი სიმართლეს ამბობდა, მაშინ მე ვიცი, რომ მოკლანს არასოდეს აღარ შესცივდება. მან სთქვა აგრეთვე, თუ სად წაველ მე სიკვდილის შემდეგ, და ის ცუდ რამეს ამბობდა. სთქვა, რომ მე ბრმა ვარ. ეს ხომ სიცრუეა. მითხრა, რომ მე დიდ სიბნელეში ვიყოფი. ესეც სიცრუეა. მე კი ვუთხარი, რომ დღევ და ღამევ ყველასთვის ერთნაირად მოდის და რომ ჩემს სოფელში უფრო როდი ბნელა, ვიდრე კემბელის სიმაგრეში. ვუთხარი აგრეთვე, რომ სინათლე და სიბნელე და ის, თუ სად მივდივართ ჩვენ სიკვდილის შემდეგ — ერთია, ხოლო სამართლიანი ვალის გადახდა ცუდი წყლის გამო — მეორე. მაშინ მისიონერი ძლიერ გაბრაზდა, გამლანძლა, ლაპარაკობდა ისევ სიბნელის შესახებ და მიბრძანა, რომ თავიდან მოვშორებოდი. ამგვარად, დაებრუნდი სიმაგრე კემბელიდან, არავენ ვალი არ გადამიხადა, მოკლანი კი მკვდარია, და მე დაფრჩი სიბერეში უთევზოდ და უხორცოდ.

— და ეს სულ თეთრი ადამიანის გამო! — სთქვა ზილამ.

— და ეს სულ თეთრი ადამიანის გამო, — დაეთანხმა ებიტსი.

— და კიდევ ბევრი სხვა რამ შეგვემთხვა თეთრი ადამიანის გამო. მყავდა აგრეთვე ბიდარშიკი. მას თეთრი ადამიანები როდი მოეჭენენ ისე, როგორც იამიკანს იმავე საქმის გამო. ჯერ იამიკანის შესახებ უნდა ვიამბო. ეს იყო ახალგაზრდა კაცი ჩვენი სოფლიდან და მან შემთხვევით მოკლა თეთრი. არ არის კარგი სხვა ტომის კაცის მოკლა. ამას ყოველთვის დიდი უბედურება მოჰყვება. ეს იამიკანის ბრალი არ იყო, რომ მან თეთრი ადამიანი მოკლა. იამიკანი ყოველთვის წყნარ სიტყვებს ლაპარაკობდა და გაურბოდა რისხვას, როგორც ძალი ჯოხს. მაგრამ ეს თეთრი ბევრ არაყსა სვამდა, ღამე მივიდა იამიკანის სახლში და აუტეხა დიდი ჩხუბი. იამიკანი ველარ გაიქცა, კაცს კი მისი მოკლა უნდოდა. იამიკანს არ სურდა სიკვდილი და ამიტომ თავად მოკლა თეთრი ადამიანი.

„მაშინ მთელი სოფელი შეწუხდა. ჩვენ დიდად გვეშინოდა, რომ თეთრი ადამიანის ტომისათვის ბევრი ვადასახადის მიცემა დაგვეჭირდებოდა; ამიტომ გადავმალეთ ჩვენი საბნები, ტყავები და ყოველგვარი ქონება, რომ ღარიბად მოგვეჩვენებია თავი და იოლად გადავჩენილიყავით. კარგა ხნის შემდეგ თეთრი ადამიანები მოვიდნენ. ეს თეთრები ჯარისკაცები იყვნენ, და მათ წაიყვანეს თან იამიკანი. მისმა დედამ დიდი ტირილი ასტეხა და თავზე ნაცარი დაიყარა, რადგან იცოდა, რომ იამიკანი მოკვდა. მთელმა სოფელმაც იცოდა, რომ იამიკანი მოკვდა და უხაროდა, რომ არავენ ვადასახადს არ მოითხოვდა.

„ეს გაზაფხულზე მოხდა, როდესაც ყინული მდინარეს მოშორდა. გავიდა ერთი წელიწადი. გავიდა ორი. ისევ მოვიდა გაზაფხული, და ისევ გადნა ყინული მდინარეზე. და მაშინ იამიკანი, რომელიც მოკვდა, ისევ დაბრუნდა.

ჩვენთან; ის კი არ მოკვდა, ძალიანაც გასუქებულიყო, და ჩვენ მივხედით, რომ მას თბილად სძინებია და ბევრი საკმელი ჰქონია. იამიკანს მოჰყვამრავალი ლამაზი ტანსაცმელი, და ის გამხდარიყო ისეთი, როგორც თეთრი ადამიანებია. მას დიდი სიბრძნე მოეხვეჭა და მალე ბელადი გახდა სოფელში.

„იამიკანი გვიამბობდა საკვირველ ამბებს თეთრი ადამიანების ჩვეულებათა შესახებ, რადგან მრავალი მათგანი ნახა და ბევრიც იმოგზაურა მათ ქვეყანაში. ჯერ თეთრების ჯარისკაცებმა მდინარით წაიყვანეს ის ქვემო მდინარით მიჰყავდათ სულ ქვემოდ, ბოლომდე; იქ მდინარე ერთვის ტბას, რომელიც უფრო დიდია, ვიდრე მთელი დედამიწა და ისე დიდი, როგორც ცა. მე არ ვიცოდი, თუ იუკონი ასე დიდი მდინარე იყო, მაგრამ იამიკანმა თავის თვალებით ნახა ეს. არ მეგონა, რომ იქნებოდა ტბა დედამიწაზე უფრო დიდი, იმდენად დიდი, როგორც არის ცა, მაგრამ იამიკანმა, თავად ნახა. მან მითხრა აგრეთვე, რომ წყალი ამ ტბაში მლაშეა, რაც მეტად საკვირველია და გაუგებარი.

„მაგრამ თეთრმა ადამიანმა თავად იცის ყველა ამ საოცრების ამბავი, და არ შევაწყენ თავს ბევრი ლაპარაკით ამის გამო. მხოლოდ იმას ვუამბობ, რაც იამიკანს შეემთხვა. თეთრი ადამიანები აძლევენ იამიკანს ბევრ კარგ საკმელს. მუდამ სჭამდა იამიკანი და მუდამ ბევრი ახალი საკმელი იყო. თეთრი ადამიანი, გვიყვებოდა იამიკანი, მზის ქვეშ ცხოვრობს, სადაც ძლიერ თბილა, ცხოველებს იქ მხოლოდ თმა აქვს და არა ბეწვი, მწვანე მცენარეები მძლავრი და მაღალი იზრდებიან და ფქვილად, ცერცვად და კართოფილად გადიქცევიან. მზის ქვეშ არას დროს შიმშილი არაა. იქ მუდამ ბევრი საკმელია. მე არ ვიცი, მაგრამ იამიკანმა ასე სთქვა.

„და აი საკვირველი ამბავი შეემთხვა იამიკანს. არასოდეს თეთრ ადამიანებს ბოროტება არ მიუყენებიათ მისთვის. ისინი მხოლოდ თბილ ლოგინს აძლევენ მას დასაძინებლად და ბევრ გემრიელ საკმელს. მათ გაატარეს ის მლაშე ტბაზე, რომელიც დიდია ცასაეით. ის ჩასვეს ცეცხლოვან ნაფში, რომელსაც თქვენ გემს უწოდებთ, მაგრამ ეს ნავი ოცჯერ უფრო დიდი მაინც იყო იუკონის გემზე. ისიც რკინისგანაა გაკეთებული, ეს ნავი, მაგრამ არ იძირება მაინც. ეს მე არ მესმის, მაგრამ იამიკანმა სთქვა: „მე შორს ვიმგზავრე რკინის ნავით, და აი მაინც ცოცხალი დავრჩი“ ეს იყო ნავი თეთრი ჯარისკაცებისათვის, და ბევრი ჯარისკაცი იყო შიგ.

„იმგზავრობაში გავლილი ბევრი და გრძელი ღამეების შემდეგ იამიკანი მივიდა ქვეყანაში, სადაც თოვლი არ არის. მე არ შემიძლია ეს დავიჯერო, ეს ბუნების წესი არ არის, რომ თოვლი არ იყოს, როცა ზამთარი მოდის, მაგრამ იამიკანმა თავის თვალით ნახა. ვეკითხებოდი თეთრ ადამიანებს და ისინიც მეუბნებოდნენ: „ჰო, იმ ქვეყანაში თოვლი არ არის“. მაგრამ არ შემიძლია დავიჯერო და ახლა შენ გეკითხები — ნუთუ არასოდეს თოვლა არ მოდის იმ ქვეყანაში? მინდა გავიგონო აგრეთვე იმ ქვეყნის სახელი. გავლილი მქონდა წინათ, მაგრამ ხელახლა მინდა გავიგონო, რომ ვიცოდე ის ქვეყანა არის თუ არა. ამით მე გავიგებ, მართალი უთქვამთ ჩემთვის თუ ტყუილი.

მოხუცი ებიტსი შემომამატერდა პასუხის მოლოდინში, მას უნდოდა სიმართლის შეტყობა, რადაც უნდა დასჯდომოდა, თუმცა სურვილი კი ჰქონდა, რომ ეს მისგან უნახავი სასწაულის რწმენა არ დაჰკარგოდა.

— ჰო, — ვუპასუხე მე — ის, რაც შენ გავიგონია, მართალია, იმ ქვეყანაში არ არის თოვლი და მას ეწოდება კალიფორნია.

— კალი-ფორ-ნი-ა, — წაიღუდღუდა მან ერთხელ, მეორეჯერ და მესამეჯერ, თანაც გულდასმით აკვირდებოდა მისივე პირიდან გამოსულ ხმებს. შემდეგ დასტურის ნიშნად თავი დააქნია. — დიად, ეს სწორედ ის ქვეყანაა, რომლის შესახებაც იამიკანი ლაპარაკობდა.

მე მივხვდი, რომ იამიკანის ამბავი მოხდებოდა ალიასკის გარდასვლის შემდეგ შეერთებული შტატების მფლობელობაში. ადგილობრივი სამსჯავრო ორგანოების დაარსებამდე მსგავსი საქმეები მკვლელობის შესახებ შეერთებული შტატების ფედერალურ სასამართლოში გადაჰქონდათ.

— როდესაც იამიკანი მიიყვანეს ქვეყანაში, სადაც თოვლი არ არის, — განაგრძო მოხუცმა ებიტსმა, — ის წაიყვანეს დიდ სახლში, სადაც ბევრი ადამიანები ბევრსა და დიდხანს ლაპარაკობდნენ. ძალიან დიდხანს ლაპარაკობდნენ ეს ადამიანები. ისინი აგრეთვე ბევრ კითხვას აძლევდნენ იამიკანს. მერე მათ უთხრეს იამიკანს, რომ არაფერს ცუდს არ შეამთხვევენ აწი მას. იამიკანს არ ესმოდა, თუ რაში იყო საქმე, რადგან მისთვის არც მანამდის უყვიათ ცუდი რამე. მუდამ აძლევდნენ მას თბილ ადგილს დასაძინებლად და ბევრ საჭმელს.

„ამის შემდეგ მას კიდევ უფრო კარგ საჭმელს აძლევდნენ და ფულს; მას უჩვენეს მრავალი სხვადასხვა ადგილი თეთრი ადამიანების ქვეყანაში, და იქ ნახა მან ბევრი საკვირველება, რასაც ებიტსი ვერ გაიგებს, რადგან ის მოხუცია და არასოდეს შორს არ უმგზავრნია. ორი წლის შემდეგ იამიკანი დაბრუნდა ჩვენს სოფელში, გახდა წინამძღოლი და დიდი ბრძენიც იყო სიკვდილამდე.

„მაგრამ ვიდრე მოკვდებოდა, ის ხშირად იჯდა ჩემს ცეცხლთან და ჰყვებოდა საკვირველ ამბებს, რომლებიც ნახა მან. ჩემი შვილი ბიდარშიკიც იჯდა ცეცხლთან და უგდებდა ყურს, და მისი თვალები ფართოვდებოდნენ გოგონილი ამბების გამო. ერთხელ ლამით, როცა იამიკანი შინ წავიდა, ბიდარშიკი ადგა ზეზე — ის ძალიან მაღალი იყო, — დაირტყა მკერდზე მუშტი და სთქვა: „როცა გავიზრდები, ვიმოგზავრებ შორეულ ქალაქებში, იმ ქვეყანაშიც კი, სადაც თოვლი არ არის, და თავად ენახავ ყველა ამ ანიბის!“

— ბიდარშიკი ყოველთვის მოგზაურობდა შორეულ ადგილებში — ამაყად გააწყვეტინა სიტყვა მას ზილამ.

— ეს მართალია, — მედიდურად დაეთანხმა ებიტსი, — და ყოველთვის დაბრუნების შემდეგ ის ჯდებოდა ცეცხლთან და ნატრობდა ენახა სხვა უცნობი, შორეული ქვეყნები.

— და ყოველთვის იგონებდა მლაშე ტბას, ცასავით დიდს და ქვეყანას, სადაც თოვლი არ არის, — დაუმატა ზილამ.

— და ყოველთვის ამბობდა: „როცა მთლად ღონიერი კაცი ვიქნები, მე წავალ იქ, რომ თავად ენახო, მართალს გვიამბობდა იამიკანი, თუ არა“ — განაგრძობდა ებიტსი.

— მაგრამ არ იყო საშუალება, რომ წასულიყო ის თეთრი ადამიანების ქვეყანაში, — წარმოსთქვა ზილამ.

— განა არ მიიღწია მან მლაშე ტბას, ცასავით დიდს? — ჰკითხა ებიტსმა.

— მაგრამ არ იყო საშუალება, რომ გადაეღახა მას მლაშე ტბა, — უპასუხა ზილამ.

— ეს შესაძლებელია ალბათ თეთრი ადამიანების ცეცხლის ნაერთ, რომელიც რკინისგანაა გაკეთებული და რომელიც იუკონის ოც გემზე უფრო დი-

ღია, — სთქვა ებიტსმა. მან წარბშეკერით გადაუბღვირა ზილას, რომელმაც უკვე დამანჭა ტუჩები საუბრის გასაგრძელებლად, და ამით აიძულა რომ დადუმებულიყო. — მაგრამ თეთრ ადამიანებს არ სურდათ მლაშე ტბაზე მისი გადაყვანა ცეცხლის ნავით და, მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა დაბრუნებოდა თავის კერას, რომ აქ მჯდარიყო და ოცნებით წარმოედგინა ქვეყანა მზის ქვეშ, სადაც თოვლი არ მოდის.

— მაინც მლაშე ტბაზე ხომ ნახა რკინისაგან გაკეთებული ცეცხლის ნავი, რომელიც არ იძირებოდა — წამოიძახა დაუცხრომელმა ზილამ.

— ჰო, — წარმოსთქვა ებიტსმა — ჩემმა შვილმა გაიგო, რომ იამიკანი მართალს გვიამბობდა იმის შესახებ, რაც ნახა. მაგრამ ბილარშიკი ვერ მოხვდა თეთრი ადამიანების ქვეყანაში და ის დასნეულდა და დასუსტდა, როგორც მოხუცი, და მუდამ ცეცხლს უჯდა. ის აღარ ნადირობდა ხორცის საშოვნელად.

— და ის აღარ სჯამდა ხორცს, რომელსაც დაუდგამდნენ ხოლმე წინ, — გააწყვეტინა ზილამ. — მხოლოდ თავს გააქნევდა და იტყოდა: „მე ერთადერთი სურვილი მაქვს — მიწა ვცამო თეთრი ადამიანის საკმელი და გავსუქდე იამიკანივით“.

— ის აღარ სჯამდა ხორცს, — განაგრძო ებიტსმა. — ბილარშიკის სენი მძიმე სენად გადაიქცა, და მე ვიფიქრე, რომ ის მოკვდებოდა. ეს არ იყო სხეულის ავადმყოფობა, ეს თავის ავადმყოფობა იყო. ეს იყო სურვილის ავადმყოფობა. მე, ებიტსი, მისი მამა, ბერს ვფიქრობდი ამის გამო. სხვა შვილები აღარა მყავს და არ მინდოდა, რომ ბილარშიკი მომკვდარიყო. ეს არის თავის ავადმყოფობა, და არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება მის მოსარჩენად. ბილარშიკმა უნდა გადალახოს ცასავეთ დიდი ტბა და მივიდეს ქვეყანაში, სადაც თოვლი არ არის, თუ არა და ის მოკვდება. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს გამოვნახე ბილარშიკისათვის იქ წასვლის საშუალება.

„და აი ერთ საღამოს, როცა ის თავჩაქინდრული უჯდა ცეცხლს, ძალიან ავადმყოფი, მე ვუთხარი მას: „ჩემო შვილო, მე ენახე შენთვის საშუალება, რომ თეთრი ადამიანების ქვეყანაში მოხვდე“. მას გაუბრწყინდა სიხარული-საგან საზე და შემომხედა: „მოიქეც ისე, — ვუთხარი მე, — როგორც იამიკანი მოიქეცა“. მაგრამ ბილარშიკი ავად იყო და ვერ გაიგო ჩემი აზრი. „წადი, — ვუთხარი მე, — მონახე თეთრი ადამიანი და მოკალი, როგორც ეს იამიკანმა ჩაიღინა, მაშინ მოვლენ თეთრი ადამიანები, ჯარისკაცები, მოგკიდებენ ხელს და იამიკანივით წაგიყვანენ, გადაგატარებენ მლაშე ტბას და მიგიყვანენ თეთრი ადამიანების ქვეყანაში. მერე შენ დაბრუნდები ისეთივე მსუქანი, როგორც იამიკანი, თვალები იქ ნახული ამბებით გექნება სავსე, თავი კი სიბრძნით“.

„ბილარშიკი სწრაფად წამოდგა და გასწოდა ხელი თავის თოფისაკენ. „სად მიღიხარ?“ — შეეკითხე მე. „თეთრი ადამიანის მოსაკლავად“, — მიპასუხა მან. მე დაერწმუნდი, რომ ბილარშიკმა ყურთ იღო ჩემი ნათქვამი და ის კვლავ ჯანმრთელი იქნება. ვიცოდი აგრეთვე, რომ ჩემი სიტყვები ბრძნული იყო.

„მოდით ჩვენთან სოფელში ერთი თეთრი ადამიანი. ის არ ეძებდა ოქროს მიწაში, ან ბუჩქებს ტყეში. ის ეძებდა მუდამ ხოჭოებსა და ბუზებს. ამ ხოჭოებს და ბუზებს არ სჯამდა ის — მაშ რაღა საჭირო იყო მათი ძებნა? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ეს მეტად სასაცილო თეთრი ადამიანი იყო. ის ეძებდა აგრეთვე ფრინველების კვერცხებს. კვერცხებს არა სჯამდა. გა-

მოიღებდა რაც კვერცხში იყო და თავისთვის მხოლოდ ნაჭუჭს იტოვებდა. კვერცხის ნაჭუჭი არ ვარგა საჭმელად, მაგრამ ის არც სჭამდა მას, აიღებდა და რბილ კოლოფში ჩასდებდა, რომ არ გატეხილიყო. ის იჭერდა ბევრ პატარა ფრინველს, მაგრამ არც ფრინველს სჭამდა. მხოლოდ ტყავს გაბრძობდა მათ და ინახავდა ამ ტყავებს კოლოფებში. უყვარდა აგრეთვე მას ძვლები. საჭმელად ძვლები არ ვარგა: ამ უცნაურ თეთრ ადამიანს ყველაფერზე მეტად კი ძველი ძვლები უყვარდა, რომლებსაც ის მიწიდან სთხრიდა.

„ეს თეთრი ადამიანი არ იყო მძვინვარე, და მე ვიცოდი, რომ ის ადვილად მოკვდებოდა, ამიტომ ვუთხარი ბიდარშიკს: „ჩემო შვილო, აი თეთრი ადამიანი, რომლის მოკვლაც შენ შეგიძლია“. ბიდარშიკმა სთქვა, რომ ჩენი სიტყვები ბრძნულია. და წავიდა იქ, სადაც ბევრი ძვალი იყო მიწაში. მან ამოთხარა ბევრი ძვალი და მიიტანა თეთრი ადამიანის ბანაკში. თეთრ ადამიანს ძალიან გაუხარდა. მისი სახე გაბრწყინდა მზესავეთ, და გახარებული იღიმებოდა, ამ ძვლებს რომ უყურებდა. მერე დაიხარა, უკეთ რომ დაეთვალაოებოდა ისინი, და მაშინ ბიდარშიკმა მძლავრად დაჰკრა მას ნაჯახი კეფაზე: თეთრი ადამიანი დაეცა ძირს და მოკვდა.

„— ახლა, — ვუთხარი მე ბიდარშიკს, — მოვლენ თეთრი ჯარისკაცები და წაგიყვანენ იმ ქალაქში, სადაც ძლიერად ბრწყინავს მზე და სადაც შენ სჭამ და გასუქდები! ბიდარშიკი ბედნიერად გრძნობდა თავს. ავადმყოფობა გაეცალა, იჯდა ცეცხლთან და ელოდა თეთრი ჯარისკაცების მოსვლას.

„საიდან შემეძლო მცოდნოდა, რომ თეთრი ადამიანის გზა მუდამ სხვადასხვა არის? — წამოიძახა მოხუცმა და მრისხანედ შემოტრიალდა ჩემსკენ — საიდან უნდა მცოდნოდა, რომ იმას, რაც თეთრმა ადამიანმა გუშინ გააკეთა, არ გააკეთებს ხვალ? — ებიტსმა ნაღვლიანად გააქნია თავი. — შეუძლებელია თეთრი ადამიანის გაგება. გუშინ მან წაიყვანა იამოკანი ქვეყანაში, სადაც ძლიერად ბრწყინავს მზე, და გაასუქა. დღეს მას მიჰყავს ბიდარშიკი — როგორ ექცევა ის ბიდარშიკს? ყური დამიგდევ, აი როგორ ექცევა ის ბიდარშიკს.

„მე, ებიტსი, მისი მამა, ვიამბობ რაც მოხდა. ჯარისკაცებს მიჰყავთ ბიდარშიკი კემბელის სიმაგრეში, შემოახვევენ თოქს კისერზე, და, როდესაც მისი ფეხები შორდებიან მიწას, ის კვდება“.

— „ოჰ, ოჰ! — აფშლუკუნდა ზილა, — აღარ ეღირსა მას ცასავეთ დიდი ტბის გავლა და იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მზე ბრწყინავს და თოვლი არ მოდის.

— აი რატომ არაეინა — სთქვა მოხუცმა ებიტსმა თავდაჭერილი ზვიანდობით, — ვინც ინადირებდა ჩემთვის, ჩემი დაუძლურების ხანაში, და მე ეზივარ მშვიერი ცეცხლთან და ვუყვები წარსულის ამბებს თეთრ ადამიანს, რომელმაც მომცა საჭმელი, მაგარი ჩაი და თუთუნი ჩიბუხისათვის.

— და ეს ყოველივე საძაგელი, მატყუარა თეთრების გამო! — ყურთასმენის წამლები ხმით წამოიყვირა ზილამ.

— არა, — უბასუხა მოხუცმა ებიტსმა რბილი დაეინებით, — თეთრი ადამიანის გზების გამო, რომლებსაც ვერასოდეს ვერ გაიგებ და რომლებიც ყოველთვის სხვადასხვანია არიან.

ახალგაზრდა გზარდია

რომანი

Вперед, заре навстречу, товарищ в борьбе!
Штыками и картечью проложим путь себе...
Наш труд владыкой мира стал
И всех в одну семью спаял.
Мы, молодая гвардия рабочих и крестьян.

Песня молодежи.

თავი პირველი

— ერთი შეხედვით, ვალია, რა საოცარი რამ არის! შესანიშნავიაა თითქოს ნაქანდაკარიანო, — მაგრამ რომელი საკვირველი მასალიდან არის ნაკეთები ის არც მარმარილოსია, არც ალუბასტრისა, ცოცხალი კი არის, მაგრამ რარიგად ცივია რა წმინდა და სუფთა ნამუშევარია, — ადამიანის ხელს კი არასოდეს არ შეეძლო გაეკეთებინა ასე! შეხედეთ, როგორ ასვენია წყლის ზედაპირზე, — წმინდა, გორიზი, გულგრილი... ეს კი მისი ანარეკლია, წყალში რომ მოსჩანს, — ძნელი სათქმელია, რომელი უფრო ლამაზია მათ შორის, — ან ეს საღებავები? შეხედეთ, შეხედეთ, ის ხომ თეთრი არ არის, ესე იგი თეთრი კი არის, მაგრამ რამდენი ელფერი დაჰკრავს: მოყვითალო, მოვარდისფრო, რაღაც ზეციურიც, ხოლო შიგნით კი — ასე სოველი, მარგალიტისაა, პირდაპირ დამაბრმავებელია, — ადამიანებს კი ასეთი არც ფერები გააჩნიათ, არც სახელები..

ასე ამბობდა ტირიფის ბუჩქიდან ღელის პირად გამომხტარი ქალიშვილი, რომელსაც ჰქონდა ტალღისებური შავი ნაწნავები, ეცვა ქათქათა თეთრი კოფთა და თავისი წყლიანი შავი თვალებითა და მათგან უეცრად მომსკდარი ძლიერი სინათლით იყო ისეთი მშვენიერი, რომ თვითონ იგი ჰგავდა იმ შრომანას, რომელიც ახლა მუქ წყალში მოსჩანდა.

— შენც კი გამოხატე შეფრინვის დრო! — საოცარი ხარ, ღმერთმანი, ულია! — უპასუხებდა მას მეორე ქალიშვილი, ვალია, რომელმაც ღელის პირად მის მომღვენოდ გამოჰყო ოდნავ ფართოყვრიმალიანი, ოდნავ პაქუაცხვირიანი და ახალგაზრდული სიჭორფით მეტად სანდომიანი, კეთილი სახე. არც კი შეხედა შრომანას, მოუსვენარი მზერით დაუწყო ძებნა ნაპირზე ქალიშვილებს, რომლებსაც ისინი გამოეჭენენ:

— ჰაუ!..

— ჰაუ!.. აუ... უუ! — იქვე, მახლობლად გამოეხმაურა სხედასხვა ხმა.

— აქ მოდით, ულიამ შროშანა იპოვნა! — წარმოსთქვა ვალიამ, თან მო-
ალერსე-დამციანავი თვალებით გადახედა მეგობარ ქალიშვილს.

ამ დროს შორეული ქვეა-ქუხილის გამოძახილივით მოისმა ზარბაზნების
სროლის გუგუნო, — ეს იყო იქიდან, ჩრდილო-დასავლეთით, ვორკოლოვ-
გრაღის მხრიდან.

შეხვედნის
სიხარულით

— ისევ!

— ისევ! — უხმოდ გაიმეორა ულიამ და შუქი, რომელიც ესოდენი სიძ-
ლიერხით მოსჩქეფდა მისი თვალებიდან, ჩაპჭრა.

— ნუთუ ამჯერად შემოვლენ ისინი! ღმერთო! — წარმოსთქვა ვალიამ. —
გახსოვს, რარიგად ვშიშობდით შარშან? მაინც გადავჩინო! მაგრამ შარშან
ასე ახლოს არ მოსულან... გესმის, როგორ გუგუნებს?

ისინი გაჩუმდნენ და ყური მიუვდეს.

— როცა ეს მესმის და ვხედავ ცას ასე მოკამკამეს, ვხედავ ხის ტოტებს,
ბალახს ფეხქვეშ, — ეგრძნობ, თუ როგორ გამთბარა იგი მზისაგან, რარიგ
ტუბილ სურნელებას აფრქვევს ირგვლივ, ისე მწყდება გული, თითქოს ყვე-
ლაფერი ეს ჩემგან სამუდამოდ უკვე წასულიყოს, სამუდამოდ, — მკერდიდან
მომსკდარი ათრთოლებული ხმით ალაპარაკდა ულია, — ასე მგონია, ამ ომის
გამო ისე გაკერბდა სული, უკვე შევაჩეიე იმას, რომ ახლოს არაფერი მიი-
კაროს, რასაც შეუძლია მისი მორბილება, და მაინც, ანაზღად იფეთქებს
ხოლმე ისეთი სიყვარული, ისეთი სიბრალული ყველაფრისადმი... და მერე,
იცი რა ვითბრა, შემიძლია მხოლოდ შენ გიამბო ყველაფერი ეს...

ფოთლებს შუა მათი სახეები ისე მიუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ სუნ-
თქვა შეაერთეს; პირდაპირ თვალებში ჩააცქერდნენ ერთმანეთს. ვალიას
ჰქონდა მზიარული, კეთილი, ფართოდ გაღებული თვალები. ისინი მორჩი-
ლებითა და თაყვანებით ხედებოდნენ ხოლმე მეგობარი ქალიშვილის ყოველ
გამოხედვას. ულიას კი ჰქონდა დიდრონი, მუქი-ყავისფერი თვალები,
გრძელწამწამებიანი, რძისფერი გარსიანი, საიდუმლოებით მოცული შე-
გუგებიანი თვალები, რომელთა სიღრმიდან თითქოს ხელახლა იფრქვეოდა
ეს ძლიერი სინათლე.

ზარბაზნების ზაღების შორეული მოგუგუნე ქუხილი, რომელიც თვით
აქაც, ამ ღელისპირად ჩაეარდნო ადგილასაც კი იგრძნობოდა ფოთლების
ნელი თრთოლვით, ყოველთვის მშფოთვარე აჩრდილად ისახებოდა ხოლმე
ქალიშვილების სახეზე, მაგრამ მთელი მათი სულიერი ძალა დათმობილი
ჰქონდა იმას, რაზეც ახლა საუბრობდნენ ისინი.

— გახსოვს, რა კარგი იყო გუშინ საღამოს ტრამალზე, გახსოვს? — ხმა-
დაბლა ეკითხებოდა ულია.

— მახსოვს! — წაიჩურჩულა ვალიამ. — შენ კი ის მზის ჩასვლა გახსოვს?

— დიაღ, დიაღ... იცი რა, ყველა აგინებს ჩვენს ტრამალს, — ამბობენ
მოსაწყენია, გადაყვითლებული, მხოლოდ ბორცვებია, მხოლოდ ბორცვები,
უხალისოა, მიუკარებელიო. — მე კი მიყვარს იგი. მახსოვს, როცა დედა
ჯერ კიდევ ჯანმრთელად იყო, სანესევე ბოსტანში მუშაობდა, მე სულ
ერთი ციციქა ვიყავი, ვიწექი არხენად პირაღმა და გავსცქეროდი მალა,
სულ მალა. ფფიქრობდი, ერთი ენახო რა სიმალღეზე შემიძლია ავხედო
ცას მეთქი... გესმის — ყველაზე უფრო მალა მინდოდა ამეხედნა! გუშინ
კი, ისე დამწყდა გული როცა შეეხედე მზის ჩასვლას, შემდეგ კი — ამ სველ
ცხენებს, ზარბაზნებს, ალალებს, დაქრილებს... მიდიოიონ მოქანცული, დამ-
ტვერილი წითელარმიელები. უეცრად ისეთი სიძლიერით მივხვდი, რომ ეს

არ იყო არავითარი გადაჯგუფება, არამედ სწარმოებდა რალაც საშინელი, დიად, სწორეთ საშინელი უკანდახევა. ამიტომ ეშინიათ შემოგვხედონ თვალებში. შენ ეს შეამჩნიე?

ვალთამ ჩუმად დაუქნია თავი.

— როგორც კი გადავხედე ველს, სადაც ჩვენ ესოდენი გვიგუნდით, როგორც კი თვალი ვკიდე მზის დასავალს, ცრემლი ძლივს შევიკავე. შენ კი ხშირად გინახავს ჩემი ტირილი? გახსოვს, როცა ბინდი ჩამოწვა?... ისინი სულ მიდიოდნენ და მიდიოდნენ ბინდში, თან გამუდმებით მოისმოდა ეს გუგუნნი, სულ ეს აელვება, ხანძარი, — ეტყობოდა როგენკაში უნდა ყოფილიყო, — დასავლეთის მხარეც ისეთი მოქერუშებელი, აწითლებული იყო. იცოდა, მე არაფრისა არ შეშინიან ამქვეყნად, არავითარი ბრძოლისა არ შეშინიან, არავითარი სისხლისა, ტანჯვისა, მაგრამ ურიგო არ იქნება გავიგებდეთ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ... რალაც მრისხანე რამ შემოაწვა ჩვენს სულს, — წარმოსთქვა ულიამ და პირქუშმა, მიზნედილმა ცეცხლმა ოქროსფერი მოაფრქვია მის თვალებზე.

— შერე, რა კარგად ეცხოვრობდით, ხომ მართალია, ულჩკა? — თვალაცრემლებით წარმოსთქვა ვალიამ.

— რა კარგად შეეძლო ცხოვრება ყოველ აღამიანს ამქვეყნად, რომ ამას მოისურვებდნენ, რომ მათ ესმოდეთ ეს! — წარმოსთქვა ულიამ, — მაგრამ, აბა რა გაეწყობა, რა გაეწყობა! — სულ სხვაგვარი, ბავშვური, წამღერებული ხმით წარმოსთქვა და მის თვალებში შეუპოვარმა გამომეტყველებამ გაიკიფა.

ჩქარა გაიძრო ტიტველ ფეხებზე ჩაცმული ტუფლები, მზედაკრულ პატარა ხელით აიწია მუქი კაბის კალთები და თამამად შესტოპა წყალში.

— გოგოებო, შრომანა!.. — წამოიძახა ბუჩქებიდან გამომხტარმა სალუქმა და ლერწამისებრ მოქნილმა, ბიჭურ, აშართვალეზიანმა ქალიშვილმა. — არა, ნახევარი ჩემი იყოს! — წამოიძახა მან და სწრაფი მოძრაობით ორივე ხელით აიწია კაბა, გააკრიალა შეტრუხა შიშველი ფეხები, წყალში გადახტა, თვითონ შეისხა და ულისაც შეაფრქვია წყლის ქარვისფერი ნაშხეთის მარაო. — ოი, აქ ღრმა ყოფილა! — სიცილით წარმოსთქვა მან, ცალი ფეხით წყალმცენარეში ჩაეფლო და ოდნავ უკან დაექანა.

ქალიშვილები კიდევ ექვსნი იყვნენ. ისინი ხმამაღალი საუბრით გამოფრთხილდნენ ნაპირზე. ყველა ისინი, ისე როგორც ულია და ვალია, აგრეთვე წყალში ახლად ჩამხტარი, სალუქი ქალიშვილი საშა, მოკლე კაბებსა და კოფტებში იყვნენ გამოწყობილნი. დონის მსუსხავ ქარებსა და თაკარა მზეს თითქოს საგანგებოდ, იმისათვის, რომ განესხვავებინა ერთიმეორისაგან ყოველი ქალიშვილის ფიზიკური ბუნება, — ზოგისთვის ოქროსფერი გადაუკრავთ, ზოგისთვის შავგვრემანი, ზოგისთვის კიდევ თითქოს ცეცხლის ემბაზში გაუხურებიან — ხელები, ფეხები, სახე და კისერი, თვით ბეჭებამდე.

ისე როგორც ყველა ქალიშვილი ამქვეყნად, როცა ორზე მეტი შეიყრებიან ხოლმე, ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ საუბარს, ლაპარაკობდნენ ისე ხმამაღლა, ისე თავნებად, ისე განუსაზღვრელად აწეული და აწივლებული ხმით, თითქოს ყველაფერი ის, რაზეც ისინი ლაპარაკობდნენ, იყო უკანასკნელ საზღვრამდე მისული უკიდურესობა და თითქოს საჭირო იყო ყველაფერი ეს გაეგონა, სცოდნოდა მთელს ქვეყანას.

— ... იგი პარაშუტით გადმოსკუბდა, ღმერთმანი! ისეთი კარგია, თმახუტუქა, თეთრი, ფუნთულა, სადაფივით თვალები აქვს!

— მე არ შემიძლიან მომვლელი და ვიყო, სწორედ უნდა გითხრა, ძალიან მეშინიან სისხლისა!

— ნუთუ ისე მიგვატოვებენ, რას ამბობ, ეს შეუძლებელია!

— ოი, რა კარგი შრომანაა!

— დაიყო, ჩემო ბოშავ, თუ მიგვატოვებს?

— შეხედე, საშას შეხედე!

— ასე უცბად შეყვარება, რას ამბობ, რას?

— ულკა, სულელო, სად შესტობე?

— დაიხრჩობით, გიყვები...!



ისინი ლაპარაკობდნენ დონბასისათვის დამახასიათებელ იმ შერეულ უბნებში კილოკავზე, რომელიც წარმოიშვა ცენტრალური რუსეთის გუბერნიების ენისა და უკრაინული ხალხური კილოს შერწყმისაგან, დონელ კაზაკთა დიალექტსა და აზოვის სანაევსადგურო ქალაქების — მარიუპოლის, ტაგანროგისა და დონის-როსტოვის სასაუბრო მანერით. მაგრამ როგორც არ უნდა ლაპარაკობდნენ ქალიშვილები ამქვეყნად, მათი ბაგეებიდან მაინც ყველაფერი სასიამოვნო მოსასმენია.

— ულჩკა, რიდასთვის გპირდება ეს, ჩემო ოჭროვ! — ეუბნებოდა მას ვალია, შევირგებით უმზერდა მას კეთილი, ფართო თვალებით, როცა მეგობარი ქალიშვილის არა მარტო მზედაკრული წვივები, მრგვალი მუხლებიც კი დაიფარა წყალში.

იგი ფრთხილად აფათურებდა ფეხს წყალბალახით მოფენილ ლელის ფსკერზე და მალლა სწევდა კაბის კალთას, ისე რომ უკვე გამოუჩნდა ქვედა შავი საცვალის ნაპირები. ულიამ კიდეც წასდგა ნაბოჯი, ძალზე გადაზნიჭა მალალი, წვრილი წელი და თავისუფალი ხელი წაავლო შრომანას. ერთერთი, მინიმე შავი ნაწნავის გაწეწილი ბოლო წყალში ჩაუვარდა, ის გასცურდა. მაგრამ ამ დროს ულიამ უკანასკნელი ძალა მიატანა, თითები ჩაბლუჯა და მალალი შრომანა ღეროიანად ამოგლიჯა.

— ყოჩაღ, ულკა! შენი საქციელით საეცებით დაიმსახურე კავშირის გმირის წოდება... არა მთელი საბჭოთა კავშირისა, არამედ ვსთქვათ, ჩვენი — პერვომაიკის მალაროს მოუსვენარი ქალიშვილების კავშირისა! — ეუბნებოდა წვივებამდე წყალში ჩამდგარი საშა და მრგვალ, წაბლისფერ ბიჭურ თვალებს უპყეტდა მეგობარ ქალიშვილს. — მოიტა, ყვავილი! — მუხლებშუა დაიჭირა კაბის კალთები, წვრილი, სალუქი თითებით ულიას ჩაურკო შრომანა საფეთქლებზე სქლად დახვეულ ნაწნავებში. — ოი, რარიგად გიხდება, მეხარბება კიდეც!.. დაიცა, — უცბად წარმოსთქვა მან, თავი მალლა ასწია და ყური მიუგდო: — სადღაც ფხჰკნის... გოგოებო, გესმით, წყეული!

საშა და ულია ჩქარა გამოფოფხდნენ ნაპირზე.

თავი ყველამ მალლა ასწია, ყური მიუგდეს წყვეტილს, ზან წვრილს, კრანისიებურს, ხანაც დაბალს მობუყბუყე გრგვინვას, თან ცდილობდნენ შეემჩნიათ თვითმფრინავი.

— ერთი კი არა, სამია ერთად!

— სად, აბა, სად? მე კი ვერაფერს ვხედავ!..

— ვერც მე ვხედავ, მხოლოდ ხმის მიხედვით მესმის!..

მოტორების მთრთოლვარე ხმა, ზან შეერთდებოდა ერთ თავზარდამცემ მრისხანე გუგუნად, ზან კიდეც გაიშლებოდა ცალკეულ, გამსჭვალავ, ან დაბალ მობუყბუყე ხმად. თვითმფრინავები უკვე გუგუნებდნენ სადღაც პირდაპირ, ზემოთ, და თუმცა ისინი არა სჩანდნენ, მაგრამ მათი ფრთების შავმა ჩრდილებმა თითქოს სახეზე გადაუარეს ქალიშვილებს.

— ეტყობა კამენსკზე ვაფრინდნენ, გადასასვლელის დასაბოძებავად...

— ან მილეროვოზე...

— შენც ერთი — მილეროვოზე! მილეროვო უკან არის, განა გუშინ არ მოვიხსენია ცნობა?

— სულერთია, ბრძოლა სამხრეთით სწარმოებს.

— რა უნდა ვქნათ, ქალიშვილებო! — ამბობდნენ ისინი და ისევ ყურს უგდებდნენ საარტილერიო სროლის შორეულ გუგუნს, რომელიც თითქოს უკვე ახლოვდებოდა.

რაც უნდა მძიმე და საშინელი არ იყოს ომი, რაც უნდა სასტიკი დანაკლისი და ტანჯვა არ მოჰქონდეს მას ადამიანებისათვის, კაბუეობას, მისი ჯანმრთელობისა და სიხარულის გამო ცხოვრებაში, მისი გულუბრყვილო, კეთილი ეგოიზმის, მომავლისადმი სიყვარულისა და ოცნების გამო, არ უნდა და, არც შეუძლია საერთო საფრთხესა და ტანჯვაში დაინახოს საფრთხე და ტანჯვა თავისთვის, ვიდრე თვითონ მას არ დაატყდება იგი თავზე და არ დაარღვევს მის ბედნიერ ნავარდს.

ულია გრომოვამ, ვალია ფილატოვამ, საშა ბონდარევაიმ და ყველა სხვა დანარჩენმა ქალიშვილებმა ამ გაზაფხულზე დაამთავრეს მალარო პერვომაისკის ათწლედი.

სკოლის დამთავრება მცირე მნიშვნელობის მოვლენა როდი არის ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში, ხოლო ომის დღეებში კი სკოლის დამთავრება, სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა.

მთელს გასულ ზაფხულში, როცა ომი დაიწყო, უფროსი კლასის მოსწავლეები, ბიჭები და გოგონები, როგორც მათ ჯერ კიდევ ეძახოდნენ, ყველანი — მუშაობდნენ ქალაქ კრასნოდონის მომიჯნავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მალაროებში, ორთქლმავალის მშენებელ ქარხანაში — ვოროშილოვგრადში, ხოლო ზოგიერთები კი გაემგზავრნენ სტალინგრადის სატრაქტოროშიაც, რომელიც ახლა ტანკებს აკეთებდა.

შემოდგომაზე გერმანელები დონბასში შემოიჭრნენ, დაიკავეს ტაგანროგი და დონის-როსტოვი. მთელს უკრაინიდან მხოლოდ ერთი ვოროშილოვგრადის ოლქი იყო გერმანელებისაგან თავისუფლად გადაარჩენილი, ხოლო ხელისუფლება, რომელიც არმიის ნაწილებთან ერთად კიევიდან უკან იხევდა, გადავიდა ვოროშილოვგრადში. ვოროშილოვგრადისა და სტალინოს, ყოფილი იუზოვსკის საოლქო დაწესებულებები კი ახლა განლაგდნენ კრასნოდონში.

შუა შემოდგომამდე, ვიდრე ფრონტი მოწესრიგდებოდა სამხრეთში, გერმანელების მიერ დაპყრობილ დონბასის რაიონებიდან ადამიანები განუწყვეტლოვ მიდიოდნენ კრასნოდონზე გავლით. ისინი წითელ ტალახს ზედდნენ ქუჩებში, თითქოს ეს ტალახი თანდათან სულ უფრო მატულობდა და მატულობდა იმის გამო, რომ ადამიანებს იგი გადმოჰქონდათ ტრამალებიდან ჩექმებით. მოსწავლეები, თავიანთ სკოლებთან ერთად უკვე მთლიანად მოემზადნენ სარატოვის ოლქში საევაკუაციოდ, მაგრამ ევაკუაცია გააუწყმეს, გერმანელები ვოროშილოვგრადის იქით, შორს შეაკავეს, წაართვეს დონის-როსტოვი, ხოლო ზამთარში კი გერმანელები დამარცხდნენ მოსკოვთან. დაიწყო წითელი არმიის შეტევა და ადამიანებს იმედი ჰქონდათ, ყველაფერი მოგვარდებოდა.

მოსწავლეები მიეჩვივნენ იმას, რომ მათს მყუდრო ბინებში, სტანდარტულ ქვის სახლებში, ეტერნიტის სახურავქვეშ, კრასნოდონის პატარა სახ-

ლებსა და პერვომაიის ხეტორებში, და თვით შანაის — თიხით შეღესილ ქოხმახებშიაც, — იმ პატარა ბინებში, რომლებიც ომის პირველ დღეებში დაცარიელებულად მოსჩანდნენ, იმის გამო, რომ ფრონტზე წავიდა მამა და ძაა, — ახლა ცხოვრობდნენ, ღამეს ათევდნენ, იცვლებოდნენ უცხო-უცხოება-ნები: ჩამოსული დაწესებულების მუშაკები, მებრძოლები და მეთყურები, აქ დაბინავებულნი, ან გაცილთ ფრონტზე მიმავალი წითელი არმიის ხაწი-ლები.

მათ ისწავლეს წითელი არმიის ყველა გვარეობის, სამხედრო წოდების, იარაღთა სახეობის, მოტოციკლეტების მარკის, საბარგო და მსუბუქი მანქა-ნების, საკუთარი და ნადავლის გამოცნობა, ისინი პირველ შეხედვის უმაღ-ვე გამოიცნობდნენ ხოლმე ტანკების ტიპს, არა მარტო მაშინ, როცა ეს ტან-კები მძიმედ იდგნენ და ისვენებდნენ სადმე ქუჩის განაპირას, ალვის ხეებს შეფარებულნი, პაპანაქება სიცხეში ჯავშანოდან მოკამკამე ალმურთი მდგარ-ნი, არამედ მაშინაც კი, როცა ისინი გრგვინვით მიაქროდნენ ევროპილოვ-გრადის სტვერიან გზატკეცილზე, როცა ისინი ეფლობოდნენ შემოდგო-მის ატალახებულსა და ზამთრის დათოვლილ მოლიპულ სამხედრო გზებზე დასავლეთის მიმართულებით.

არა მარტო შეხედვით, ისინი ხშირად კი სცნობდნენ თავიანთ და გერმა-ნელთა თვითმფრინავებს, არჩევდნენ მათ შვისგან მოელვარეს, მტვერისაგან გადაწითლებულს, ვარსკვლავიანს, შავს, რომლებიც ისე ქარიშხლისებუ-რად დაჰქროდნენ დონეცის ცაზე, როგორც ქვარტლი ჯოჯოხეთში.

— ესენი ჩვენი „ლაგები“ არიან (მიგები, ან იაკები), — მშვიდად ამბობდ-ნენ ისინი.

— აი, „მესერები“ წავიდნენ!..

— ეს „იუ-87-ები“ წავიდნენ როსტოვზე, — უხალისოდ იტყოდნენ ხოლმე.

ისინი მიეჩვივნენ ღამ-ღამობით მორიგეობას საპაერო ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის რაზმებში, მორიგეობას აირწინალებით მხრებზე: მალაროებში, სკოლების, საავადმყოფოების სახურავებზე; უკვე გული არ უქანკალებ-დათ, როცა ჰაერი შეირყეოდა ხოლმე შორეული დაბომბვის გამო, როცა პროექტორების შუქი ჩხირებივით გადაეჯვარედინებოდნენ ერთმანეთს შორს, ღამის ცაზე, ევროპილოვგრადის ზემოდ, როცა ხანძრების ალი ავარდებოდა ხან აქ, ხან იქ — პორიზონტის ვაყოლებაზე, ან როცა მტრის მოპიკირეები დღისით-შხისით უეცრად თავს გამოჰყოფდნენ ხოლმე ცის სიღრმიდან და ღრიანცელით თავზე გადმოაყრიდნენ ფუგასურ ბომბებს შორს ველზე გადაჭიმულ საბარგო ავტოების კოლონებს, ხოლო შემდეგ კი ისევე დიდხანს უშენდნენ ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს გზატკეცილის გასწვრივ, რომლის გამო ორივე მხარეზე, გლისერით გადაქრილ წყალსა-ვით გარბოდნენ მებრძოლები და ცხენები.

მათ მეუყვარდათ შორეული გზა საკოლმეურნეო ველზე, საბარგო ავტო-მობილებიდან ქარში სიმღერები მთელი ხმით, ზაფხულის ალოობა თვალ-უწვდენ სივრცეზე გადაშლილ პურის ყანაში, რომელიც წილმოწყვეტით ედგა მარცვლის სიმძიმის ქვეშ, გულითადი საუბრები და უეცარი სიცოლი ღამის მყუდროებაში, სადმე შვრიის ნაკვეთებზე, გრძელი, უძილო ღამეები სახურავზე, როცა ქალიშვილის ცხელი ხელისგული რამდენიმე საათს გა-უნძრევლად ასვენია ჰაბუჯის ხორკლიან ხელებში და, — როცა გარიერაჟი ამოანათებს და გადაეფინება ფერმკრთალ ზორცეებს, როცა ცვარი ბრწყვია-

ლებს მორუხო-ვარდისფერ ეტერნიტის სახურავეებზე, წითელ პამიდორებზე, და წვეთავს დაგორგილ, მიმოზას ყვავილივით მოყვითალო აკაციის მქმოდ-გომის ფოთლებიდან პირდაპირ ბალხის მიწაზე, როცა გარს იფარავს ნეს-ტიან მიწაში მლპობი, მომქცნარი ყვავილთა ფესვების სურნელებზე. მოსჩანს შორეული ხანძრის ბოლი და, ჰყივის მამალი, თითქოს არაფერი მომხდა-რიყოს...

და აი, ამ გაზაფხულზე დაამთავრეს იმათ სკოლა, დაემშვიდობნენ თა-ვიანთ მასწავლებლებსა და ორგანიზაციებს. ომმა კი,—თითქოს ამათ ელო-დებოდაო,—შიგ თვალეში ჩახედა.

23 ივნისს ჩვენმა ჯარებმა გადმოინაცვლეს ხარკოვის მიმართულებით, 2 ივლისს გაჩაღდა ბრძოლა ბელგოროდსა და ვოლჩანსკის მიმართულებით შე-ტევაზე გადმოსული მტრის წინააღმდეგ, ხოლო 3 ივლისს კი შეხივით გავა-რდა ცნობა რადიოთი, იმის შესახებ, რომ რვა თვის განმავლობაში თავდაც-ვის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქი სევასტოპოლი.

სტარი ოსკოლი, როსოში, კანტემიროვკა, ბრძოლები ვორონეჟის დასავ-ლეთით, ბრძოლები ვორონეჟის მისადგომებთან, 12 ივლისს — ლისიჩანსკი. და უცბად კრასნოდონზე გავლით მოჰქროდნენ ჩვენი უკანასკნელი ნაწი-ლები.

ლისიჩანსკი—ეს უკვე სულ იქვე იყო, გვერდზე. ლისიჩანსკი—ეს იმას ნიშნავდა, რომ ხვალ უკვე ვოროშილოვკრადში იქნებოდნენ, ხოლო ზეგ კი — კრასნოდონსა და პერეგომისკში, ამ ყოველ ბალახამდე ნაცნობ მხაოე-ში, თავისი დამტვერილ უცვეთელათი და იასამნებით სავესე ბალჩებთან, პა-პისეულ პატარა ბაღში, მზის სიმხურვალის გამო დახურულ დარბაზებთან ქოხებში, სადაც კართან, მხარმარჯვნივ ჯერ კიდევ ჰყიდა — მალაროელი მამის ჯუბა, ისე როგორც ეს მან დაჰყიდა აქ მალაროდან დაბრუნები-სას, სამხედრო კომისარიატში წასვლის წინ,—ისინი იქნებოდნენ აქ, ქოხში, სადაც დედის თბილმა, ძარღვებიანმა ხელებმა რეცხვით გააქრიალეს ყოვე-ლი კუთხე-კუჩულო, ყოველი ფიცარი და წყალი ჩაუსხეს ჩინურ ყვავილს ფანჯრის რაფაზე, სადაც მისმა ხელებმა მაგიდაზე გადააფარეს სიახლის სურნელებით გაფლენილი, ყვავილებიანი, გახამებული სუფრა,—შეიძლება შემოვიდეს გერმანელი.

ფრონტზე ჩამოვარდნილი დროებითი სიწყნარის განმავლობაში ქალაქში მტკიცედ, თითქოს სამუდამოდ დამკვიდრდნენ მეტად დარბაისელი, წინდა-ხედული, ყოველთვის ყველაფრის მცოდნე, ყოველთვის გაპარსული, საინ-ტენდანტო სამსახურის მაიორები, რომლებიც მხიარული ოხუნჯობით ეთა-მაშებოდნენ ხოლმე ბანქოს ბინების დიასახლისებს, ბაზარში ყიდულობ-დნენ მკავე საზამთროს, სიამოვნებით იძლეოდნენ ფრონტზე არსებული მდგომარეობის ახსნა-განმარტებას და შემთხვევის დროს კონსერვებსაც კი არ იშურებდნენ დიასახლისთა ბორშისათვის. № 1-ბ მალაროს გორკის სა-ხელობის კლუბსა და ქალაქის ბაღის, ლენინის სახელობის კლუბში ყოველ-თვის ირგოდნენ ცეკვის მოყვარული, მხიარული ლეიტენანტები, თუმცა მწელი მისახვედრი იყო ზრდილობიანები იყვნენ ისინი, თუ თავხედები. ეს ლეიტენანტები—ხან გამოჩნდებოდნენ ქალაქში, ხან გაქრებოდნენ, მაგრამ ყოველთვის უამრავი ახალი ჩამოდიოდა. ქალიშვილები ისე მიეჩვივნენ მათს მზედაკრულსა და ვაჟკაცურ სახეების ხშირ ცვალებადობას, რომ ყველა ისინი ერთნაირად თავისიანები ეგონათ.

და აი, უცერად არც ერთი მათგანი არ ჩანდა.

სადგური ვერხნედუვანნაიაზე, ამ მყუდრო, პატარა სადგურზე, სადაც მი-
ვლინებიდან, ნათესავეებთან წასვლის, ან კიდევ უმაღლეს სასწავლებელში
სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ საზაფხულო არდადეგებზე დაბრუნე-
ბისას, ყოველი კრასნოდონელი უკვე სახლში სთვლიდა თავს. — ეს ვერხნე-
დუვანნაია და ყველა სხვა პატარა სადგურები: ლიხაია — შორაპოვკა —
სტალინგრადის რკინიგზის ხაზი, სავსე იყო დაზგებით, ადამიანებით, ყუმ-
ბარებით, მანქანებით, პურით.

აკაციების, ნეკერჩხლებისა და ალეის ხეებით მიჩრდილულ პატარა ქოხ-
მახების ფანჯრებიდან მოისმოდა — ბავშვებისა და ქალების ტირილი. ზო-
გან დედა ამზადებდა ბავშვს საბავშვო სახლთან, ან სკოლასთან ერთად გა-
სამგზავრებლად, ზოგან აცილებდნენ ქალიშვილს, ან ვაჟს, ზოგან კიდევ ქმარი
და მამა, თავის ორგანიზაციასთან ერთად სტოვებდა რა ქალაქს, ეთხოვებოდა
ოჯახს. ხოლო ზოგიერთ მაგრად ჩაკეტილ დარბაზებთან ქოხებში კი ისეთი
საჩუქმე იდგა, რომ ინ დედის ტირილზე გაცილებით უფრო საშინელი იყო, —
სახლი ან სრულიად ცარიელი იყო, ან შეიძლება მასში ყოფილიყო ერთად-
ერთი დედა, რომელსაც გაესტუმრებინა რა მთელი ოჯახი, უღონოდ ძირს
ჩამოეშვა გაშავებული ხელები, უძრავად იჯდა დერეფანში და ახლა ტირი-
ლის თავიც არა ჰქონდა, გულში რკინასავით მძიმე სევდითა და ვარაშით
შეპყრობილს.

ქალიშვილებს დილით ეღვიძებოდათ ზარბაზნების შორეული გუგუნის
ხმაზე, ისინი ეჩხუბებოდნენ მშობლებს. ქალიშვილები არწმუნებდნენ მათ:
ოქვენ დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ, ჩვენ კი — აქ დავრჩებითო. მშობლები
ეუბნებოდნენ, — ჩვენ ცხოვრება მოვათავეთ, ხოლო კომკავშირელმა ქალი-
შვილებმა კი თავი უნდა გაარიდოთ ტანჯვასა და უბედურებასო. ქალიშვი-
ლები ფეხდგომელა საუზმობდნენ, მერე გარბოდნენ ერთმანეთთან ახალი
ამბების გასაგებად. ამგვარად, ფრინველებივით ჯარად შექუჩდებოდნენ თუ
არა, სიციხითა და მღელვარებით ქანცმილეულნი, ისინი ხან მთელი საათო-
ბით ისხდნენ პატარა ოთახში ერთ-ერთ რომელიმე მეგობარ ქალიშვილთან,
ან ბაღჩაში, რომელიმე ვაშლის ხის ძირას, ხან კიდევ გარბოდნენ ტყის
ჩრდილოვან ხევში დედესთან, უბედურების იღუმალი წინაგრძობით შე-
პყრობილნი, რომლისადმი მიწვდომა არც გულით და არც გონებით არ შეეძ-
ლოთ მათ.

და აი მან უკვე დაიქუხა.

— ვოროშილოვგრადი თურმე უკვე ჩააბარეს, ჩვენ კი არ გვეუბნებიან, —
მკვახედ წარმოსთქვა პატარა ქალიშვილმა, რომელსაც ჰქონდა ფართო სახე,
წვრილი ცხვირი, ბზინავი, თითქოს ერთიმეორეზე მიწებებული თმა და ორი
ცქაფად წინ გაშვერილი მოკლე ნაწნავი.

ამ ქალიშვილს, გვარად ვირიკოვას, ზინა ერქვა, მაგრამ ბავშვობიდანვე
ამ სახელს არაფერ ეძახოდა მას სკოლაში: სულ ვირიკოვა და ვირიკოვა
გაისმოდა.

— როგორ-ღა მსჯელობ აგრე, ვირიკოვა? რაკი არ ამბობენ, მაშასადამე
ჯერ კიდევ არ ჩაუბარებიათ, — სთქვა მია პეგლივანოვამ, ბოშა ქალივით
ბუნებით შავგვრემანმა, ლამაზმა, შავთვალემა ქალიშვილმა და ამპარტავენუ-
ლად შეიმუწა ქვედა მსხვილი და თვითნებური ტუჩი.

ამ ზაფხულის გამოშვებამდე, სკოლაში კომკავშირის ორგანიზაციის მდივ-
ნად იყო მია. იგი მიჩვეული იყო ყველასთვის გაესწორებინა და ყველანი

პლზარდა, საერთოდ უნდოდა, რომ ყოველთვის ყველაფერი სწორად ყოფილიყო.

— ჩვენ დიდი ხანია ვიცით ყველაფერი, რისი თქმაც შეგიძლია შენ! „ქალიშვილებო, თქვენ არ იცით დიალექტიკა!“ — ისე მაიასებურად ქაშაქა ვირიკოვამ, რომ გოგონებმა ერთხმად გაიცინეს, — სიმართლეს ვერც ვიხსენებ, არა—ხელი მოუჭირე! გეჯეროდა, გეჯეროდა და აი, — რწმენა დაგვარგეთ! — ამბობდა ვირიკოვა, თითქოს ერთმანეთთან შეზრდილი თვალების პრიალით, და ხოპოს რტებივით მხედრულად გაჩაჩხა წინ გადმოშვერილი წვრილი, პატარა ნაწნავეები. — ალბათ, როსტრეი ისე ჩააბარეს, ჩვენ ვასაქცევიც არსად გვაქვს, ხოლო თვითონ კი გარბიან! — სთქვა ვირიკოვამ, ეტყობოდა იმეორებდა იმ სიტყვებს, რომლებიც მას ალბათ ხშირად ესმოდა.

— უცნაურად კი მსჯელობ, ვირიკოვა, — ისე ამბობდა მიაი, რომ ცდილობდა ხმა არ აეწია. — როგორღა შეგიძლია ასე ილაპარაკო! შენ ხომ კომკავშირელი ხარ, შენ ხომ პიონერხელმძღვანელიც კი იყავი!

— ნუ აპყვები მას, — ნელა წარმოსთქვა შურა დუბროვინამ, ჩუმმა და სხვებზე უფროსმა ქალიშვილმა, მამაკაცურად მოკლედ თმაშეკრევილმა, უწარბომ, ოდნავ ველურ, მოელვარეთვალეზიანმა, რომლებიც რაღაც უცნაურ გამომეტყველებას აძლევდნენ მის სახეს.

შურა დუბროვინა გასულ წელს, გერმანელების მიერ ხარკოვის აღების წინ, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, ახლა კი გამოქცეული კრასნოდონში, მეწაღე და მეუნაგირე მამასთან. იგი ოთხიოდე წლით სხვა ქალიშვილებზე უფროსი იყო, მაგრამ ყოველთვის მათ წრესთან ჰქონდა კავშირი, იგი ჩემად, ქალიშვილურად შეყვარებული იყო მიაი პეგლივანოვაზე და ყველგან და ყოველთვის მას დაჰყვებოდა, — „ისე დასდევს, როგორც ძაფი ნემსსო“, — ამბობდნენ ხოლმე მასზე ქალიშვილები.

— ნუ აპყვები მას! რაკი ერთი რამე დაიყინა, შენ ვეღარ გადაარწმუნებ, — უთხრა შურა დუბროვინამ მიაის.

— მთელი ზაფხულის განმავლობაში სანგრების სათხრელად გვერეკებოდნენ, რამდენი შრომა დაუხარჯეთ ამზე, მთელი თვე ავად ვიყავი, ვინ ზის ახლა იმ სანგრებში! — მიაის არც კი უსმენდა ისე ლაპარაკობდა ვირიკოვა. — იმ სანგრებში ბალახია ამოსული, ხომ მართალია?

გამხდარმა საშამ ნაძალადევი გაოცებით აიჩჩია წვრილი მხრები, შეაფეთა თუ არა ვირიკოვას თავისი დამრგვალებული თვალები, გაბმით დაუსტვინა.

მაგრამ ეტყობოდა, არა იმდენად ის, რაზეც ვირიკოვა ლაპარაკობდა, რამდენად გაურკვევლობის საერთო მდგომარეობა აიძულებდა ქალიშვილებს დამაბულად ყური ეგდოთ მისი სიტყვებისათვის.

— არა, მართლაც რომ საშინელი მდგომარეობაა? — მოკრძალებით შეხედა ზან ვირიკოვას, ზან კიდევ მიაის და ისე წარმოსთქვა ქალიშვილებში ყველაზე უმცროსმა, მაღალფეხებიანმა, მსხვილცხვირიანმა, ფართო ყურების უკან ბლუჯად და სქლად მწიფე წაბლისფერი თმაგადავარცხნილმა, თითქმის სრულიად ბავშვმა — ტონია ივანიჩინამ. მის თვალებში ცრემლი აკიაფდა.

მას შემდეგ, რაც ხარკოვის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ომის დაწყებიდანვე სამხედრო ფერულად ფრონტზე წასული მისი უფროსი და — ლილია, ყველაფერი, ყველაფერი ამქვეყნად გამოუსწორებლად და საშინელებად ეჩვენებოდა ტონია ივანიჩინას. მისი მიბნედილი თვალები ყოველთვის აცრემლებული იყვნენ.

მხოლოდ ულია არ ღებულობდა მონაწილეობას მეგობარი ქალიშვილების ამ საუბარში; ეტყობოდა არ იზიარებდა მათს აღზნებას. ღელეში დასველებული გრძელი შავი ნაწნავეების ბოლო გაშალა, გამოსწურა, ისევ დაიწნა თმა, მერე მზეს მიუშვია — ხან ერთი, ხან მეორე სველი ფეხი აწმკნამიე ხანს ასე იღვა, თავდახრილი, თმაში თეთრი შროშანა ჩარჭმარლი, რამქლიც ეგრე უხლებოდა მის შავ თვალებსა და თმას, ისე იღვა, თითქოს ყურს უგდებსო თავის შინაგან არსებას. როცა ფეხები გაშრა, ულიამ მოგრძო ხელი მოუსვა ირგვლივ გამშრალ ფეხის გულებს, მის მზედაკრულ ზურგს და მალლიდან ტერფებამდე თითქოს თეთრ სალტეშემორტყმულს, შემომშრალა თითები, ქუსლები და ჩვეული მარდი მოძრაობით ჩაჰყო ფეხები ტუფლებში.

— ეხ. სულელი ვარ მე, სულელი! რატომ არ წავედი სპეცსკოლაში, როცა წინადადება მომცეს? — ამბობდა გამხდარი საშა. — შემომთავაზეს შინსახკომის სპეცსკოლაში წასვლა, — გულუბრყვილოდ განმარტა მან, თან გადახედა ყელას რალაც ბიჭური უღარდებლობით. — აქ დავრჩებოდი, გერმანელების ზურგში, თქვენ კი არაფერი გეცოდინებოდათ. თქვენ ყველას გაგიკვირდებოდათ... ვიქნებოდი არხინად. — „რატომ არის საშა აგრე დამშვიდებულიო!“ — იტყოდით. აქ დავრჩებოდი შინსახკომის დავალებით. მე კი იმ რეგვენ გერმანელებს, — ანაზღად ჩაიფრუტუნა მან და მქირდავი დაცინვით ვადახედა ვირიკოვას, — იმ რეგვენ გერმანელებს ჩემებურად ავითამაშებდი. ულიამ თავი ასწია, სერიოზულად და დაკვირვებით შეხედა საშას. ოდნავ გაჰკრა სახეში რალაცამ, ვერ მიხედა რა იყო, — ტუჩები, თუ სისხლმოწოლილი ცხვირის ნესტოების უცნაური ჭრილები.

— მე ყოველგვარი შინსახკომის გარეშე დავრჩები, რა უშავს? — ბრაზიანად წინ გაიშვია თავისი რქისებური მოკლე ნაწნავეები და ისე სთქვა ვირიკოვამ. — რაკი არავის არაფერი ესაქმება ჩემთან, — დავრჩები და ვიცხოვრებ ისე, როგორც ვცხოვრობდი. რა უშავს? მე მოსწავლე ვარ, გერმანელების ვაგებით, ვითომ გიმნაზიელი ქალი, რაც უნდა იყოს, მაინც კულტურული აღამიანები არიან, რას მიზამენ?

— გიმნაზიელი ქალი?! — ვაკვირვებით წამოიძახა მაიამ.

— ეს-ეს არის გიმნაზიიდან გამოხველი, გამარჯობა შენი!

საშამ ისე მიმსგავსებით გააჯავრა ვირიკოვა, რომ ქალიშვილებმა ისევ ერთბაშად გაიცინეს.

სწორედ ამ დროს საშინელმა, ზარდაცემმა დარტყმამ შეიარყია მიწა და ჰაერი, და გააყრუა ისინი. ხეებიდან ჩამოცვივდა შემქნარი ფოთლები, ხმელი, პატარა ტოტები, ხის ქერქიდან მტვერი ვადმოიფანტა, და თვით წყალზედაც კი აიკეცა ჭავლის ნაოჭები.

ქალიშვილებს სახე ვაუფითრდათ, რამდენსამე წამს უსიტყვოდ გარინდებული შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— ნუთუ სადმე ჩამოავდო? — იკითხა მაიამ.

— ისინი დიდი ხანია ვაფრინდნენ. ახლებსა კი ჯერ არაფერი ისმოდა! — თვალები ფართოდ დააჰყიტა და ისე განაცხადა ტონია ივანიხინამ, რომელიც ყოველთვის ყველაზე უფრო ადრე იგრძნობდა ხოლმე უბედურებას.

ამ დროს ორმა აფეთქებამ, რომლებიც თითქმის ერთიმეორეს შეუერთდნენ, — ერთმა სულ ახლობელმა, ხოლო მეორემ კი შორეულმა, ოდნავ შეგვიანებით, — შეარყიეს გარემო.

თითქოს წინასწარ შეთანხმდნენო, ქალიშვილები ხმაამოუღებლივ გაიქცნენ დაბისაკენ, ბურჭებს შორის პრიალებდა მათი მზედაკრული წვივები.



მზით ვადატრუსულ, ცხვრებისა და თხებისაგან ვადატკეპნილ დონის ტრამალზე ისე გარბოდნენ ქალიშვილები, რომ მათ ფეხებზე მწვერის კორიანტელი დგებოდა. თითქმის დაუჯერებელი იყო, რომ მათ სულ ახლახან გარს ებურად ტყის გრილი სიმწვანე. ხევი, სადაც მიდიოდა მდინარე, და რომლის ორივე ნაპირს ვიწრო ზოლად გასდევდა ტყე, ისე ღრმა იყო, რომ სამას-ოთხასი ნაბიჯს მანძილზე გარბენის შემდეგ ქალიშვილები უკვე ველარ ზედადნენ ვერც ხევის, ვერც მდინარესა და ვერც ტყეს, — ყველაფერი ტრამალმა შთანთქა.

ეს არ იყო ასტრახანისა და სალსკის ტრამალებივით სწორი ტრამალი. იგი მთლიანად დაფარული იყო ბორცვებითა და ხევებით, შორს კი — სამხრეთითა და ჩრდილოეთით, პორიზონტის მთელს გაყოლებაზე, ბობოქარ ტალღებივით მალლა მიიწევდნენ ეს გიგანტური ფრინველის ფრთებად მიწის ზედაპირზე ამობურთული ბორცვები, რომლის შიგნით როგორც მტრედისფერ ლანგარზე ისე დასცურავდა გავარვარებული ჰაერი.

ამ ვადატრუსულ აქა-იქ დაღარულ მტრედისფერ ტრამალზე — ბორცვებსა და დაბლობებზე მოსჩანდა მაღაროს დაბები, ზეტორები, — პურით, სიმინდით, მზისუშირაით, ქარხლით დათესილი მუქი-ღია და ყვითელი სწორკუთხედი მინდვრები, მაღაროს ცალკეული ურნალები, მახლობლად კი — ცისკენ ატყორცნილ ურნალებზე უფრო მაღალი მაღაროდან ამოყრილი ქანისაგან წარმოშობილი ტერიკონების მუქი მტრედისფერი კონუსები.

ყველა გზებზე, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდნენ დაბებსა და მაღაროებს, მიემართებოდნენ ლტოლვილთა ჯგუფები, რომლებიც ცდილობდნენ მოხვედრილიყვნენ კამენსკაიას, ან ლიხაიასკენ მიმავალ გზაზე.

შორეული გააფთრებული ბრძოლების გამოძახილი, უკეთ რომ ვთქვათ — გამოძახილი ბერი დიდი და პატარა ბრძოლებისა, რომლებიც მიმდინარეობდნენ დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით, და სადაც უფრო შორს — ჩრდილოეთით, მკაფიოდ მოისმოდა აქ, ამ ვადატრუსულ ტრამალზე. შორეული ხანძრების ბოლი ნელა მიიწევდა ცისკენ, ან კიდევ ყომრალი ღრუბლის ნაფლეთებად ეფინა აქა-იქ, პორიზონტის მთელს გაყოლებაზე.

ის იყო, ქალიშვილები სირბილით ამოვიდნენ. თუ არა ტყის ხევიდან, ყველაზე უმალ თვალი ჰკიდეს ბოლის ამ ახალ კერას, — ორი მათგანი ახლოს იყო, ერთი კი შორს — პირდაპირ ქალაქის რაიონში, რომელსაც ჯერ კიდევ ბორცვები ჰვარავდნენ. ეს იყო თხელი რუხი ბოლი, ის ნელი-ნელ იფანტებოდა სიციხით ვავარვარებულ ჰაერში. ქალიშვილებს იქნებ ყურადღებაც არ მიეჭციათ მისთვის, რომ არ ყოფილიყო ეს აფეთქებები და ღენთის გოგირდოვანი სუნნი, რომელიც სულ უფრო საგრძნობი ზდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უფრო უახლოვდებოდნენ ისინი ქალაქს.

ქალიშვილებმა სწრაფად აირბინეს თუ არა პერვოშაისკის წინ ამართულ მრგვალ ბორცვზე, თვალწინ ვადატრუსულ თვით დაბა, იგი ვაფანტულიყო მომალლა და ვაკე ადგილებზე, მათ თვალწინ ვადატრუსულთა აგრეთვე ვორო-შლოვგრადიდან მომავალი გზატკეცილი, ვადატკეცილი გრძელი ბორცვის ზურგზე, რომელიც დაბას ჰყოფდა ქალაქ კრასნოდონისაგან. აქედან, გზატკეცილის მთელს თვალმისაწვდენ მანძილზე, მჭიდრო ჯგუფებად მიდიოდნენ სამხედრო ნაწილები და ლტოლვილები, გვერდს უვლიდნენ რა მათ, კლასონების გააფთრებული ღრიალით მიჰქროდნენ ჩვეულებრივი სამოქა-

ლაქო და სამხედრო მანქანები, — ფოთლების დარად მწვანედ შეტყობილი, დამტვერილი და დაზიანებული, — საბარგო, მსუბუქი და სანატირელი მანქანები. ამ აურაცხელი ფეხებისა და თვლების ქვეშ ადღვარი მოწითალო მტვერი აბობოქრებულ ტალღასავით იდგა გზატკეცილის მთელს მანძილზე. და აი — აქ მოხდა უჩვეულო და წარმოუდგენელი რამ: მალაროე № 1 — ბს რკინა-ბეტონის ურნალი, რომლის ვეება კორპუსი ქალაქის ყველა ნაგებობათა შორის უფრო მაღლა მოსჩანდა, გზატკეცილის მეორე მხარეზე, უცებ შეიწყა. უეცრად მაღლა ავარდნილია ქანის მარამ დაძვარა იგი, მას თან მოჰყვა ახალი საშინელი მიწისქვეშა რყევა, გუგუნი ჰაერში გაიშალა. რამაც სადღაც, ქალიშვილების ფეხქვეშ შეარყია მიწა. როცა ყველაფერა გაიფანტა, არავითარი ურნალი არ იყო. მხის შექმნე მბრწყინავი გიგანტური ტერიკონის მუქი კონუსი — უძრავად იდგა თავის ადგილზე, ხოლო ურნალის ნაცვლად მაღლა მიიწვედა მოყვითალო-რუხი, ქუქუიანი ბოლო. როგორც თვით გზატკეცილზე, ისე აფორიაქებულ დაბა პერგომამისკა და ქალაქზე, რომელიც აქედან არ მოსჩანდა, ისე მთელს გარესამყაროზე, იდგა რაღაც შედედებული, გაკვიანურებული, კენესის მაგვარი ხმაურობა, რომელშიაც ძლივს გასაგონად მოისმოდა ადამიანთა შორეული ხმები, — გაურკვეველი იყო სტიროდნენ, იწყევლებოდნენ, თუ ტანჯვის გამო კენესოდნენ ისინი.

ყველაფერი ეს — გზატკეცილი, გაქცეული ადამიანებითა და მანქანებით, ეს აფეთქება, რამაც შესძრა ცა და მიწა, ურნალის ასე უეცრად გაქრობა, და ადამიანთა კენესა, — ყველაფერი ეს უეცრად, შედედებული და საშინელ, ზარდამკემ შთაბეჭდილებად გადაქცეული, თავს დაატყდათ ქალიშვილებს. და ყველა გრძნობას, რომელიც ახლა არეულიყო მათ სულში, უცებ სველავდა ერთი გამოუთქმელი გრძნობა, გაცილებით უფრო ღრმა და ძლიერი ვიდრე ის საშინელება, რომელშიაც თვითონ ისინი მოქცნენ, — ეს იყო მათ წინ გადახსნილი აღსასრულის უფსკრულის, ყველაფრის დასასრულის შეგრძნობა.

— მალაროებს ანგრევენ!.. გოგოებო!..

ვისი იყო ეს კენესა? ეტყობოდა ეს იყო — ტონია ივანიხინასი, მაგრამ არა, არა მარტო მისი, ეს კენესა ყოველ მათგანს აღმოხდა მკერდიდან:

— მალაროებს ანგრევენ!.. გოგოებო!..

მეტი ვერაფერი სთქვეს, ვერ მოასწრეს, ამის მეტი ვერაფერი უთხრეს ერთმანეთს. მათი ჯგუფი თავისთავად დაიშალა: ქალიშვილების უძრაველობა დაბაში გაიქცა, — სახლებს მიაშურეს, ხოლო მათა, ულია და საშა მახლობელ ბილიკით, გზატკეცილზე გავლით — ქალაქისაკენ გაიქცნენ, კომკავშირის რაიკომში.

მაგრამ სწორედ იმავე წუთში, როცა ისინი ერთმანეთთან შეუთანხმებლად გაიყვნენ ორ ჯგუფად — ვალია ფილატოვამ უცბად ხელი ჩააქოდა თავის საყვარელ მეგობარ ქალიშვილს.

— ულჩკა! — წარმოსთქვა მან დარცხვინილი, დამცირებული და მუდარით სავსე ხმით, — ულჩკა! შენ საით? შინ წავიდეთ... — ბორძიკით წარმოსთქვა მან, — კიდევ რამე მოხდება...

ულია სწრაფად, მთელი ტანით შემოტრიალდა მისკენ და უსიტყვოდ ჩააქცირდა, — არა, მას კი არა, თითქოს მისი არსებიდან გახდა შორეულ სივრცეს და თვალეებში ისეთი დამაბული ღტოლვა გამოესახა, თითქოს მიფრინავს, — ალბათ თვალეების ასეთი გამოშტატელება უნდა ჰქონ-

დეთ გაფრენილ ჩიტებს, — ულუჩკა, დაცა... — მუდარით წარმოსთქვა ვა-
ლიამ, ხელი წაატანა და თავისკენ მიიზიდა, ხოლო მეორე თავისუფალი ხე-
ლით დახვეულ შავი თმიდან სწრაფად გამოაძრო შროშანა და მიწაზე და-
ავლო.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ულიამ არა თუ შეეძლო შეეცნო
ჭრი იმაზე, თუ რატომ ჩაიძინა ეს ვალიამ, არამედ ვერც კი შენიშნა ეს.
და აი საკუთარი თავისთვის ანგარიშმიუცემლად, მეგობრობის მრავალი წლის
განმავლობაში, პირველად გაიჭყენ ისინი სხვადასხვა მიმართულებით.

ღიალ, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ყველაფერი ეს შეიცავდა სიზარ-
თლეს — მაგრამ როცა სამმა ქალიშვილმა — მაია პეგლივანოვას მეთაურო-
ბით, გზატკეცილი გადასჭრა, ისინი საკუთარი თვლებით დარწმუნდნენ
იმაში, რომ მალარო № 1 — ბს კონუსისებური გიგანტური ტერიკონის გვერ-
დით უკვე აღარ იყო თვალშეუდგამი ულამაზესი ურნალი მთელი თავისი
ამწვევი მოწყობილობებით, მხოლოდ რუხ-მოწითალო, დახვეული ბოლი მი-
წვევდა ცისკენ და ირგვლივ ყველაფერს აესებდა გოგირდის აოჩანელი სონით.
ახალ-ახალი აფეთქებები — ზოგი მახლობელი, ზოგი — შორეული, არყვე-
დნენ მიწას და ჰაერს.

ქალაქის კვარტალებში, რომლებიც ევეროდნენ მალარო № 1 — ბს და ქა-
ლაქის ცენტრიდან — ლელით მოფენილ, კუჭყიან ფსკერზე მოწანწყარე ნა-
კადულიან ღრმა ხევით გამოყოფილ და ირგვლივ თიხით შელესილ, ერთმა-
ნეთზე მიკრულ ქოხებით მოფენილ უბნებში ქარიშხალცივით ფორიაქობდა
პანიკა. ამ უბნებში, ხევების გამოკლებით, ისე როგორც ქალაქის ცენტრში,
გაშენებული იყო თითოსართულიანი ქვის პატარა სახლები, ნავარაუდევნი
ორი-სამი ოჯახისათვის. ეს სახლები გადახურული იყო კრამიტითა და ეტერ-
ნიტით. ყოველი სახლის წინ გამართული იყო ბაღნარი, რომლის ერთ ნა-
წილში მოეწყობო ბოსტანი, მეორეში კი — დაერგოთ ყვავილები. ზოგი სახ-
ლის მეპატრონეებს დაერგოთ ალუბალი, იასამანი, ან უცვეთელა; ზოგს კი-
დეე უფრო შიგნით, ლამაზად და კოხტად შემოვლებულ ღობის იქით, მწყრი-
ვად დაერგო ნორჩი აკაციები და ნეკერჩხლები. ამ კოხტად გამართულ სახ-
ლებსა და პატარა ბაღნარების წინ, ქუჩაზე ახლა სწარმოებდა ისეთი რამ,
რამაც დაუძლეველი და უცნაური ჩოჩქოლით ააფორიაქა ქალიშვილების
სული და გული.

ხალხი გარბოდა მალაროსაკენ, მაგრამ, ეტყობოდა, იქ იდგა მილიციელთა
რაზმი და არავის უშვებდა. მათ პირდაპირ მოექანებოდა მალაროდან გამოქ-
ცეულ ადამიანთა მეორე ტალღა, რომელსაც უერთდებოდნენ ქუჩებიდან,
ბაზრის მხრიდან, თვით ბაზარში გაფანტული კოლმეურნე ქალები, მოხუცე-
ბი, მოზარდები კალათებით ხელში, მწვანელითა და სანოვავით დატვირთუ-
ლი ურიკები, პურითა და სურსათით დატვირთული ფორნები და საზიდრები,
მყიდველი დედააკები ხელში კალათებითა და ბადურებით, რომლებსაც
მოცილილმა ლაზღანდარა ხალხმა „საეგებისო“ შეარქვა.

მთელი მოსახლეობა სახლებიდან პატარა ბაღებსა და ქუჩებში გამოდფი-
ნა, — ერთნი ცნობისმოყვარეობის გამო, მეორენი კი — სულ მთელი ოჯახის
შემადგენლობით ბოხჩებიანად და ტომრებიანად, საოჯახო ნივთებით და-
ტვირთული ურიკებიანად, რომლებზედაც ბოხჩებს შუა ისხდნენ პატარები,
ზოგიერთებს ხელში ეპირათ ქორფა ბაეშვები. აღმოსაყოთისაჲნ მიმა-
ვალმა ოჯახებმა შეჰქმნეს ადამიანთა მესამე ტალღა, რომელიც ამ ორომ-
ტრიალში ცდილობდა კამენსკის, ან ლიხაიასაკენ მიმავალი გზის გაკვლევას.

ირველივე გაისმოდა: ყვირილი, ლანძღვა-გინება, ტირილი, ელარუნი, რეკვა-
იქვე, მოზღვავებულ ხალხსა და საზიდრებს შუა მოტორების თუხთუხით,
შემზარავე ბიბინით, მიძვრებოდნენ — სამხედრო და სამოქალაქო ქონებით
ლატვირთული საბარგო მანქანები. ქუჩებზე არეულ-დარეულად უმძვავლი
ხალხი ცდილობდა საბარგო ავტოებზე აფოფებებს, მაგრამ ბიბინ-ჭყრინდენ,
ყველაფერი ეს ჰქმნიდა იმ ერთიან გაბმულ ხმაურს, რომელიც ქალიშვი-
ლებს შორიდან კვნესათ მოესმათ.

მოზღვავებულ ხალხში დედაკაცმა ხელი წაატანა მაიას. მათ გვერდით
საშა ბონდარევაც შედგა, ხოლო ულია კი, რომელიც სრულიად არავითარ
მზრუნველობას არ იჩენდა თავის მეგობარ ქალიშვილების მიმართ, გამა-
ლებით წინ მიილტვოდა, რათა რაც შეიძლება ჩქარა მოხვედრილიყო რაი-
კომში, — იგი ვარბოდა ქუჩაზე, შორს, შორს და ჩიტივით მკერდით აფრინ-
დებოდა წინ შემოყრილებს.

მწვანე საბარგო მანქანამ, რომელიც გრუხუნით გამოძვრა მოსახვევის
იქით—ხევიდან, შეჯგუფულ ხალხთან ერთად ერთ-ერთ სტანდარტულ სახ-
ლის ბალისაკენ მიაგდო ულია. რომ ჰიშვარი არ დახვედროდა, ულია წააქ-
ცევდა—მეორე, მასზე უფრო მომცრო, ქერათმიან, მეტად ლამაზი აგებულო-
ბის, ჩამოქანდაკებულივით ტანწერწერტა ქალიშვილს, რომელსაც ზეაწეული
პატარა ცხვირი და მოქუტთული ცისფერი თვალები ჰქონდა. იგი ზედ ჰიშვარ-
თან იდგა თავზე წამომდგარ ორ დამტვერილ ტოტებიან იასამნის ბუჩ-
ქებს შუა.

მართალია, საკვირველი რამ იყო ეს ასეთ მომენტში, მაგრამ როგორც კი
მიაწყდა ჰიშვარს, და კინალამ წააქცია თუ არა ქალიშვილი, ულიამ რაღაც
წამის გაელეებაში თვალი შეასწრო მას—ვალსის მოთამაშესაკვით მოატრია-
ლეს. ულიამ თითქოს სასულე ორკესტრის მიერ შესრულებულ ვალსსაც
კი მოჰკრა ყური. ამ მოჩვენებამ ბედნიერების შეგრძნობასაკვით ტკბილად და
იმავე დროს, რაღაც იღუმალი ტკივილით დაუარა გულში ულიას.

ქალიშვილი სცენაზე ტრიალებდა და მღეროდა, ტრიალებდა დარბაზში და
მღეროდა. იგი დილამდე ტრიალებდა ყველასთან, არ იღლებოდა, არავის არ
ეუბნებოდა უარს ეტრიალა მასთან, და მისი ცისფერი, თუ ლურჯი თვალე-
ბი, — მისი პატარა სწორი კბილები ბრწყინავდნენ ბედნიერების გამო. რო-
დის იყო ეს? ეს ალბათ თმის წინ იყო! ეს იყო იმ ცხოვრებაში, სიზმარში...

ულიამ არ იცოდა ამ ქალიშვილის გვარი, ყველა ლუბას ეძახოდა მას,
უფრო ხშირად კი — ლიუბკას. დიად, ეს იყო ლიუბკა, „ლიუბკა მსახიობი“,
როგორც მას ზოგჯერ ეძახოდნენ ხოლმე ბიჭები.

ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ მთელს ამ ალიაქოთში ლიუბკა იდგა
ჰიშვარის იქით, იასამნის ბუჩქებს შუა, სრულიად გულდამშვიდებული და ისე
ჩაცმული, თითქოს კლუბში წასასვლელად გამზადებულიყო. მისი ვარდისფერი
პაწია სახე, რომელსაც იგი ყოველთვის არიდებდა მზეს, კოხტად შეხუჭუ-
ჭებული და ტალღებად დამდგარი თმა, პატარა, თითქოს სპილოს ძვლისაგან
ჩამოქანდაკებული, ახლად გალაქტულივით მოპრიალე ფრჩხილები, აგრეთვე
პატარა, სწორი, მსუქა ფეხები, რომლებზედაც კრემისფერი მაღალქუს-
ლებიანი მსუბუქი ფეხსაცმელები ეცვა, — ყველაფერი ეს ისეთ შთაბეჭდი-
ლებას სტოვებდა, თითქოს საცაა ლიუბკა სცენაზე გამოვა, დაიწყებს ტრი-
ალსა და სიმღერას, მთელი ამ გაოფლილი, შიშისაგან სახედარმეკილი ხალ-
ხის წინაშეო.

მაგრამ ულია კიდევ უფრო გააკვირვა იმ უჩვეულოდ ამაყმა, იმავე დროს

მეტად გულწრფელმა და ჰკვიანურმა გამომეტყველებამ, რომელიც გამოს-
კვივოდა მის ვარდისფერ, ოდნავ ზეაწეულ ცხვირიან სახეში, ამ სახესთან
შედარებით ცოტა მოდიდო ტუჩებსა და აწითლებულ პირში, და რაც მთავა-
რია — ამ მოკუტულ, უჩვეულოდ მოძრავ, მკვირცხლ თვალმკვირვულში.

იგი თითქოს სრულიად ბუნებრივ მოვლენასავით შეხვდებოდა მკვირცხლს, მაგრამ
კინალამ დაამტვრია მის წინ კარი, არც შეხედა ულიას, ისე განაგრძობდა
მშვიდად დგომას და თამამად შესცქეროდა ყველაფერს, რაც კი ხდებოდა
ქუჩაში, და ვინ იცის რას არა ჰკვიროდა:

— ბოთვე! რას სკყლიტავ ამ ხალხს!.. გეტყობა ძალიან მოშვებული გაქვს
ქანჩები, რაჯი არ შეგიძლია დააცადო ხალხს!.. ბავშვებს სკყლიტავ!.. საით?
საით?.. ახ, შე ბოთვე, შენა! შე უკუღმართო! — ცხვირაბზეკით, გრძელი
წამწამების ქვეშ ცისფერი თვალების პრიალით უყვიროდა ის საბარგო მან-
ქანის წამყვანს. წამყვანმა კიდევ სწორედ იმიტომ, რომ ხალხი გაფანტული-
ყო, ზედ ჰიშკრის წინ დაამუხრუჭა მანქანა.

საბარგო მანქანა სავესე იყო მილიციის ქონებით, და თვით მილიციელთა
გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ამ ქონების დასაცავად იყო
საქირო.

— ეს რამდენი ალოღებულხართ მანქანაზე, მცველებო! — თითქოს გაეხარ-
დაო ამ ახალი საბაბის დანახვა, — შეუყვირა მათ ლიუბკამ. — არა, ერთი ამით
დაძიბედეთ, ნაცელად იმისა, რომ ხალხი დააშოშმინონ, თვითონ ირევიან!..
— რაღაც განუმეორებელი მოძრაობით გაიჭნია პაწია ხელი და ბიჭურად
დაუსტვინა — როგორ წამოგსიებიათ სახე ქამისაგან!..

— რას ურაკუნებ, სულელო! — ბრაზით შეუღრინა მანქანიდან ვიღაც მი-
ლიციის უფროსმა სერჟანტმა.

მაგრამ ეს სწორედ მისდა საუბედუროდ ჩაიღინა მან.

— ა, ამხანაგო დრაპკინი!*) — დაცინვით მიესალმა მას ლიუბკა, — შენ საი-
დან გამოტყვი, წითელო რაინდო? საბჭოთა ხელისუფლებამ წესრიგის დამ-
ცველად დაგაყენა, შენ კი მანქანაში შემძვრალხარ, და ბრიყვი თუთიყუშმი-
ვით მთელი ქუჩის გასაგონად გაკყვირო... —

— ხმა ჩაიწყვიტე, ვიდრე წაგახრჩობდე! — უმაღვე აენთო წითელი რაინ-
დი და ისე შექანდა ადგილზე, თითქოს უნდა გადმოხტესო.

— არა, შენ არ გადმოხტები, შეგეშინდება ჩამორჩე! — ხმის აღმაღლებ-
ლად, სრულიად გაუბრაზებლად დასცინოდა მას ლიუბკა, — შენ ალბათ, მოუ-
თმენლად ელოდები ქალაქიდან გასელას, მერე კი ყველა განმასხვავებელ
ნიშნებსა და გრეხილებს ჩამოიღლებ, რომ არავენ გამოიცნოს შენში საბ-
ჭოთა მილიციელი... გზა მშვიდობისა, ამხანაგო დრაპკინი! — ასე ისტუმრებდა
იგი სიბრაზის გამო აწითლებულ მილიციის უფროსს, რომელიც მართლა არ
გადმომხტარა დამრულ მანქანიდან.

ამგვარი გამოთქმებისა, მისი ასეთი გარეგნობისა, და იმის გამო, რომ იგი
მშვიდად განაგრძობდა ერთ ადგილზე დგომას მაშინ, როცა ირგვლივ ყვე-
ლაფერი ვარბოდა, რომ არა ეს ბავშური გულუბრყვილო გამომეტყველება
მის ცისფერ თვალებში, რომ არა ეს მოსწრებელი რეპლიკები, მხოლოდ იმ
ადამიანების მიმართ, რომლებმაც ეს ნამდვილად დაიმსახურეს — შორიდან
შემხედვარე კაცს იგი გაუბედურებულ საბჭოთა ადამიანებზე დამცინავი და
გერმანელების მომლოდინე ბოროტი მოწინააღმდეგე ეგონებოდა.

*) Драпать — გატყევა, სირბილი, აქედან დაცინვით არის ნაწარმოები გვარი — დრაპკინი.

— ეი, შენ, ცილინდროსანო! ერთი შეხედე, როგორ დაგიტვირთნი ცოლი, შენ კი ცარიელი მიღიხარ!—ყვიროდა იგი,—შეხედე, რა პატარაა შენი ცოლი! ერთი ამას დამიხედეთ,—ცილინდრიც რომ დაუხურია... როგორ ბრუნდა გასკდვ გულზე...

მარტინოვი

— შენ კი—ბებია, ვითომ რაო, ამ ხმაურობაში კოლმეურნეობას მსჯობს რომ სკამ?—ყვიროდა იგი საზიდარზე შემჯდარ დედაკაცს.—რაკი საბჭოთა ხელისუფლება მიღის, ფიქრობ, არაეის წინაშე არ მოგიხდება ანგარიშის ჩაბარება? ღმერთი ხომ არის ცაში? ფიქრობ არა გზედავს? იგი ყველაფერს ხედავს.

ქალიშვილის რეპლიკებს ყურადღებას არავენ აქცევდა, ამიტომ არ შეეძლო თვითონ მას არ შეემჩნია ეს.—ისე გამოდიოდა თითქოს იგი მხოლოდ თავის შესაქცევად ლამობდა ამ სამართლიანობის აღდგენას. ის, ამბავი, რომ მას ასე უშიშრად და მშვიდად ეჭირა თავი, ისე მოეწონა ულიას, რომ უცებ იგრძნო ნდობა ამ ქალიშვილისადმი და პირდაპირ მიმართა მას:

— ლიუბკა, მე კომკავშირელი ვარ, პერეომისკიდან, — ულიანა გრომოვა. მითხარი, რატომ არის მსეთი პანიკა?

— ჩვეულებრივი პანიკაა, — ემაყოფილებით წარმოსთქვა ლიუბკამ, — თან მეგობრული ალერსით მიაპყრო ულიას ცისფერი, მოციმციმე და აშარი თვალები.—ჩვენებმა დასტოვეს ვეროშილოვეგრადი... ჯერ კიდევ გარიერაჟისას დასტოვეს იგი. მიღებულა ბრძანება, რომ ყველა ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ მოახდინოს ევაკუაცია...

— კომკავშირის რაიკომი?—ყრუდ იკითხა ულიამ.

— შენ ეი, გატყულო ქეციანო, რატომ სცემ მაგ გოგონას? უ, შე ღორმუცელავ. შენა! გადმოვალ და ისე წავითაქებ, რომ ცხვირპირს დავისებო... — წერილი ხმით შესწივლა ლიუბკამ ხალხში მიმავალ რომელიღაც ყმაწვილს.—კომკავშირის რაიკომი?—ხელახლა იკითხა ლიუბკამ.—კომკავშირის რაიკომი, წესისამებრ აენგარდშია, იგი ჯერ კიდევ განთიადისას გაემგზავრა... რა იყო, თვალები რად დააქყიტე, ქალიშვილო? — გაგოლისებით უთხრა მან ულიას. მაგრამ უცებ შეხედა თუ არა, მიხედა რაც ხდებოდა ახლა მის სულში, და ტბილად გაუღიმა, — ვხუმრობ, ვხუმრობ... ცხადია, უბრძანეს, და ისიც გაემგზავრა, კი არ გაქცეულა! გაიგე?

— ჩვენ რაღა ვქნათ?—უცებ შურისგების გრძნობამ შეიპყრო და ისე იკითხა ულიამ.

— ცხადია, რომ შენც უნდა გაემგზავრო. დიდიდანვე ასეთი განკარგულებაა გაცემული. სად იყავი დილით?

— შენ?—პირიქით შეეკითხა ულია.

— მე?...—ლიუბკა გაჩუმდა და მასმა ქვეიანურმა სახემ უცებ რაღაც უცხო, გულგრილი გამომეტყველება მიიღო... — მე, ჯერ კიდევ მოვიფიქრებ, — ორჭოფულად წარმოსთქვა მან.

— შენ განა კომკავშირელი არა ხარ?—ჩაიციებთ შეეკითხა მას ულია და მისი ძლიერი, მრისხანე გამომეტყველებით სავსე შავი თვალები წუთით შეეფეთნენ ლიუბკას ოდნავ მოჭუტულსა და მახვილ თვალებს.

— არა, — წარმოსთქვა ლიუბკამ, მერე ოდნავ შეიკვმა ტუჩები და ზურგი შეაქცია მას. — მამილო! — წამოიძახა მან, კიშკარი ფართოდ გააღო და მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელებით გაიქცა ჯგუფად მომავალთა შესახვედრად, რომელიც შესამჩნევად გამოეყოფოდა აზავთებულ ხალხის გროვას. ეს უკანასკნელი კი რაღაც შეშინებითა და მოულოდნელი მოკრძალებ-

ბით იწვევდა აქეთ-იქით, გზას უთმობდა ჯგუფს, ის კი მოემართებოდა აქეთ, სახლისაკენ.

წინ მიდიოდა მალარო № 1-ბს დირექტორი ჩასკენილი, პირმოპარსული, ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი. მას ეცვა ფოჯაკი და ჩექმა, მკრძალავი და ბოშასავით გაშაებული სახე ჰქონდა. ვალკოს მოსდევდა მთელი მუშა, მთელს ქალაქში ცნობილი წარჩინებული მკრეველი — გრიგორი ილიჩ ნევეცოვი. მას მოჰყვებოდა კიდევ რამდენიმე მალაროელი და ორი სამხედრო პირი. ხოლო მათს უკან, რამდენიმე მანძილზე, მოემართებოდა სხვადასხვა სახის, შერეული, ცნობისმოყვარე ადამიანთა გროვა. ცხოვრებაში თვით ყველაზე უფრო უჩვეულო და მძიმე მომენტშიაც კი ადამიანთა შორის აღმოჩნდება ხოლმე უბრალოდ ცნობისმოყვარეთა განსაზღვრული რაოდენობა.

გრიგორი შეეცოვი და სხვა მალაროელები გამოწყობილი იყვნენ სპეცტანისამოსებსა და უკან გადაგდებულ ყაბალახებში. ტანისამოსი, სახე, ხელები ნახშირით ჰქონდათ შესვრილი. ერთ მათგანს მოჰქონდა მხარზე გადაკიდებული ელექტროკაბელის შულო, მეორეს — ხელსაწყოებით სავსე ყუთი, შეეცოვს კი ხელში ეჭირა რაღაც უცნაური ლითონის აპარატი, რომელსაც ჩამოშვებული ჰქონდა შიშველი მავთულის ბოლოები. ეს აპარატი რადიომიმღები, ან სატელეგრაფო გადამცემი უნდა ყოფილიყო.

ისინი მიდიოდნენ ჩუქად, მალეით, თითქოს ეშინიათ თვალი შეასწრონ ვინმეს ხალხიდან, ან ერთმანეთს შეხედონო. მათ ნახშირით შესვრილ სახეზე ისე ჩამოსდიოდათ ოფლი, რომ ზედ რაღაც ღარები ჩჩებოდა. ისეთი დატანჯული სახის გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს რაღაც აუტანელი სიმძიმის ტაპანს მიათრევენო.

უღია უცებ მიხვდა, რომ ასეთი არეულობის მიუხედავად, წინასწარი შიშით რად იხვედა მათ წინ ქუჩაში ყოველი ადამიანი. — მათ წინ მთელი გზა თავისუფალი იყო. ესენი ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც თავიანთი ხელით ააფეთქეს დონბასის სიამაყე — მალარო № 1-ბ.

ლიუბკა სირბილით მიიქრა შეეცოვთან, პატარა თეთრი ხელით ჩააფრინდა მის მოშავო ძარღვებიან ხელს, შეეცოვი მაგრად ჩაეჭიდა ქალს, ლიუბკა გვერდით მიჰყვა მას. „შეეცოვის ქალიშვილია?“ — ორჭოფობდა უღია.

ამ დროს მალაროს დირექტორის, ვალკოსა და შეეცოვის მეთაურობით ქიშკარს მიადგნენ მალაროელები და ლობიდან პირდაპირ ბალში, ყვავილებზე, მსუბუქად გადაჰყარეს წამოღებული საგნები, — კაბელის შულო, ხელსაწყოებიანი ყუთი, და ეს ლითონის უცნაური აპარატი. უკვე ცხადი გახდა, რომ ყველა ეს ყვავილები აგრე სიყვარულით დარგული, ისე როგორც მთელი ის ცხოვრება, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო ეს ყვავილები და კიდევ სხვა მრავალი რამ, — ყველაფერი ეს უკვე დასრულებული იყო.

ადამიანებმა დაჰყარეს ყველა ეს საგნები და ერთხანს შედგნენ ისე, რომ ერთმანეთს ვეღარ უტკეროდნენ, თითქოს რაღაც უხერხულობას გრძნობდნენო.

— აბა, გრიგორი ილიჩ, ჩქარა დაჯექი, მანქანა მზადაა, ხალხს დავსვამ და მთელი ტვირთით უკან მოგყვები, — ისე წარმოსთქვა ვალკომ, რომ არც კი შეუხედნია თავისი დიდრონი ბოშასებურად ერთიმეორეზე შეზრდილი განიერად გაშლილ წამწამების ქვეშ მოქცეული თვალებით...

და მალაროელებისა და სამხედროების თანხლებით ნელა მიჰყვა ქუჩას, შორს, შორს.

ქიშკართან დარჩა გრიგორი ილიჩი და მისი ქალიშვილი, რომელსაც წე-
ლანდებურად ისევ ჩასკიდებოდა, აქვე დარჩა — თუთუნის ბოლისაგან ძალზე
შეყვითლებული, თითქოს ხელით გამოწიწნილი თხელი წვერულვაშიანი,
მეტად გამხდარი, წვივმაღალი მოხუცი მაღაროელი. ისინი ყურადღებამს არ
აქცევდნენ, მაგრამ ულიაც აქვე იდგა, თითქოს აქ შეიძლებოდა მიეღო პა-
სუხი იმ საკითხისა, რომელიც აგრე აწუხებდა მას. ადამიანები კი ამ ბრბო-
ში — შლიგინით, გინებითა და ბუზლუნით წინანდებურად მიემართებოდნენ
ყველა მიმართულებით, უკვე არავინ სჩანდა ისეთი, ვისაც ახლა აინტერე-
სებდა ამ ქიშკართან მდგარი ორი მამაკაცი და ორი ქალიშვილი.

— ლიუბოვ გრიგორიევნა, ვის ვეუბნები მე? — გაგულისებით წარმოსთქვა
გრიგორი ილიჩმა, თან გადახედა ქალიშვილს, მაგრამ ხელს კი არ უშვებდა.

— ეთქვი და, არ წაეალ! — დაღონებით მიუგო ლიუბამ.

— ნუ სულელობ, ნუ სულელობ! — აშკარა აღელვებით, მაგრამ ნელი ხმით წარ-
მოსთქვა გრიგორი ილიჩმა. — როგორ შეგიძლია არ წახვიდე? კომკავშირელი...

ლიუბკა აენტო, თვალები შეასწრო ულიას, მის სახეზე უმაღლეს გამოი-
სახა ჯიუტი, უტიფარი გამომეტყველება...

— ცოტაღა მიკლია კომკავშირელობას, — ტუჩების შემუწვით წარმოსთქვა
მან. — ვის რა დაფუშავე? მეც არაფერს არ მიზამენ... დედა მებრალბა,
ნელა დასძინა მან.

„უარყო კომკავშირელობა!“ — უცებ რაღაც საშინელებით გაითიქრა
ულიამ, მაგრამ ფიქრი საკუთარი ავადმყოფი დედის გამო უმაღლეს ცეცხლი-
ვით მოედო გულზე.

— აბა, გრიგორი ილიჩ, — ისეთი დაბალი, მაგრამ რაღაც საშინელი ხმით
წარმოსთქვა მოხუცმა, რომ საკვირველი იყო, როგორ ამოდიოდა ეს ხმა ასე
გამომშრალი სხეულიდან, — დადგა ვანშორების ჟამი... — მშვიდობით... და
პირდაპირ სახეში მიაჩერდა მის წინ თავდაბრით დამდგარ გრიგორი ილიჩს...

გრიგორი ილიჩმა უსიტყვოდ მოიხადა ქელი. მას ჰქონდა ქერა თმა, გამხ-
დარი სწორხაზებად ღრმად დაღარული, ხანშესული რუსი ხელოსანის ცის-
ფერთვალეებიანი სახე. თუმცა იგი არ იყო ახალგაზრდა და, ეს უხეში სპეც-
ტანისამოსი და ხელპირი ნახშირით ჰქონდა მოსერილი, მაინც იგრძნობოდა,
რომ კარგი აგებულობისა, მაგარი და ხანდაზმულობის რუსული სილამაზის
იერით დამშვენებული ადამიანი იყო.

— იქნებ ვაბედო ჩვენთან ერთად? ა? კონდრატიჩ? — შეეკითხა იგი აშკა-
რა დარცხვენით, ისე რომ არც კი შეუხებდნია მოხუცისათვის.

— სადღა უნდა წავიდე ჩემი დედაბრინანდ? — დედა, ჩვენმა წითელარმა-
ში მყოფმა ბავშვებმა გამოგვიხსნან ჩვენ.

— შენმა უფროსმა რაღა ჰქნა? — შეეკითხა მას გრიგორ ილიჩი.

— უფროსმა? იმაზე, აბა რაღა გითხრა, — დაღონებით მიუგო მოხუცმა და
ისეთი გამომეტყველებით ჩაიქნია ხელი, თითქოს უნდა ეთქვა: „შენ ხომ
თვითონაც კარგად იცი ჩემი შერცხვენის აბჰავი და, რილასთვის მკითხა-
ვო?“ — მშვიდობით, გრიგორ ილიჩ, — დაღერებით დაატანა მოხუცმა და
ჩამომხმარი, ბრჭყალებიანი ხელი გაუწოდა შეეცოვს.

გრიგორი ილიჩმაც გაუწოდა ხელი. მაგრამ, ეტყობოდა კიდევ რაღაც
რჩებოდათ ერთიმეორისათვის სათქმელი. მაგრად ჩაებლუჯათ ერთიმეორის
ხელები და ასე იდგნენ ერთხანს, უსიტყვოდ.

— აბა, რა გაეწობა... ჩემი დედაცა და, აი ხედავთ, ჩემი ქალიშვილიც
აქვე რჩებიან, — ნელა ლაპარაკობდა გრიგორი ილიჩი. უცებ შეწყდა მისა

ხმა,—კონდრატოვიჩი, როგორღა უნდა დავტოვოთ იგი, ასეთი ლამაზი? ა?.. ასეთი წარმტაცი... შეიძლება ითქვას — მთელი ქვეყნის მახარბლოვებელი... ახ!.. — უცებ უჩვეულო, ყრუ ხმით ამოიგმინა მან გულის სიღრმეიდან და ბრკყვილა, კრისტალივით მახვილი ცრემლები ჩამოუვარდნაჲს მორით მოსერილ სახეზე.

წოხუცმა ხმაჩახლეჩით, ყრუდ ამოილულულა და თავი ჩაჰკიდა. ლუბაც გულამოსკენით ატირდა.

უღიამ ტუჩები მოიკენიტა, ძალა არ შესწევდა შეეკავებინა უილაჯო გახელებისაგან გამოწვეული ცრემლი, რომელიც მას ახრჩობდა, და შინ გაიქცა, პერვომაიკაში.

თავი მესამე

ამ რაიონში მალაროელთა ყველაზე უფრო ძველი დაბა პერვომაისკი იყო,— შეიძლება ითქვას, რომ მისგან წარმოსდგა თვით ქალაქი კრასნოდონი. პერვომაისკი, ან უკეთ, მდამბურად რომ ვსთქვათ, ახლო წარსულიდან მას ეძახიან პერვომაიკას. უფრო ადრე, ვიდრე ამ მხარეში აღმოჩნდებოდა ნახშირი, აქ განლაგებული იყო კაზაკთა ხუტორები, რომელთა შორის ყველაზე უფრო დიდათ ითვლებოდა ხუტორი სოროკინი.

მიმდინარე საუკუნის დამდეგს აქ აღმოჩნდა ნახშირი. პირველი მალაროები, რომლებიც აქ გამართეს ფენების გაყოლებაზე—იყვნენ დაქანებულნი და ისეთი პატარები, რომ ნახშირი ამოჰქონდათ ცხენის, ან ხელის მპრუნავე ოწინარებით. ეს პატარა მალაროები ეკუთვნოდა სხვადასხვა მეპატრონეს, მაგრამ ძველი სახელწოდების მიხედვით, საერთოდ, მას ეძახდნენ მალარო სოროკინს.

ცენტრალურ რუსეთის გუბერნიებსა და უკრაინიდან გამოსული მალაროელები ესაზღვებოდნენ ამ ხუტორებში, კაზაკების გვერდით, უნათესავებოდნენ მათ, ახლა თვით კაზაკებიც უკვე მუშაობდნენ ამ მალაროებში... იზრდებოდნენ, იყრებოდნენ ოჯახები, იქვე—გვერდით ეწყობოდნენ, ახალ ოჯახებათ.

გრძელი ბორცვის გადაღმა, სადაც ამჟამად მოემართება ვოროშილოვგრადის გზატკეცილი, და იმის იქითაც, ხევგაღმა, რომლითაც ახლა ქალაქი კრასნოდონი ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა,—საფუძველს უყრიდნენ ახალ მალაროებს. ეს მალაროები ეკუთვნოდა მარტოხელა მემამულეს — იარმანკინს, ან როგორც მას ეძახოდნენ ზოლმე—„ცოფიან ბატონს“. ამიტომ იმ ახალ დაბასაც, რომელიც წარმოიშვა მალაროების ირგვლივ, პირველ ხანებში მდამბურად უწოდებდნენ დაბა იარმანკინს, ან „ცოფიანს“. თვით „ცოფიანი ბატონის“ სახლი,—ერთსართულიანი რუხი ფერის ქვის შენობა, რომლის პირველ ნახევარში მოწყობილი იყო საზამთრო ბაღი, დამშვენებული უცნაური მცენარეებითა და ზღვის გადაღმა მხარის ფრინველებით,—იმ ხანებში განმარტოებით იდგა ხევგაღმა, ბორცვზე, ყოველის მხრიდან მჭროლი ქარების პირისპირ, და მასაც „ცოფიანს“ ეძახოდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დროს კი, ხუთწლეულების პერიოდში, ამ რაიონში მოეწყო ახალი დიდი მალაროები, და მალარო სოროკინის ცენტრმა ადგილი შეინაცვლა იმ მხარისაკენ, გაშენდა სტანდარტული სახლები, დაწესებულებების, საავადმყოფოების, სკოლებისა და კლუბების დიდრონი ნაგებობანი. ბორცვზე კი „ცოფიანი ბატონის“ სახლის გვერდით აღიმართა რაიონული აღმასკომის ლამაზი შენობა, რომლის მთავარი შესასვლელის წინ დარგეს ნორჩი ხეები, ზოლო თვით „ცოფიანი ბატონის“ სახლში კი — ჩადგა

ტრესტი „კრასნოდონუგოლის“ საპროექტო კანტორა, რომლის მოსამსახურეებს წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ იმაზე, თუ რა იყო ეს სახლი, რომელშიაც ისინი ატარებდნენ თავიანთი ცხოვრების მესამედს.

ასე გადაიქცა მაღარო სოროკინი ქალაქ კრასნოდონად.

უღია, მისი მეგობარი ქალიშვილები და სკოლის ამხანაგები მშობლიურ ქალაქთან ერთად იზრდებოდნენ. ჯერ კიდევ სრულიად პატარა მოსწავლე გოგონები და ბიჭები იყვნენ, როცა ისინი მონაწილეობდნენ ტყეებისა და ბუჩქების დარგვის დღესასწაულში, ქალაქის საბჭოს მიერ ბაღისათვის გამოყოფილ, ნაკვით მოფენილ და დუმფარათი დაფარულ უდაბურ ადგილას. აქ ბაღის გაშენების აზრი ჩაისახა ძველ კომკავშირელებში, — იმ თაობაში, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა „ცოფიანი ბატონი“, დაბა იარმანკინი, გერმანელთა პირველი ოკუპაცია და სამოქალაქო ომი. ზოგი მათგანი ახლაც მუშაობდა კრასნოდონში. იმათ უკვე ქალაქით შეივრცხლილი ჰქონდათ თმა და კახაკური, ბუდიონური უღვაშები, მაგრამ მათი უმრავლესობა ცხოვრებამ მიმოჰვანტა ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე, ზოგნი კი მწვერვალზედაც კი ავიდა. იმ ხეების დარგვას ხელმძღვანელობდა მებაღე დანილიჩი, იგი იმ ხანებშიაც მოხუცებული იყო. იმის მიუხედავად, რომ უკვე სრულიად მიხრწნილი იყო, ახლა უფროს მებაღედ მუშაობდა აქ.

გაიფურჩქნა, აყვავდა ეს ბაღი, იგი დასვენების სანატრელ ადგილად გადაიქცა მოზრდილთათვის, ხოლო ახალგაზრდობისათვის იგი უბრალო ადგილი კი არა, მთელი სიცოცხლე იყო, მისი ახლად აყვავების ქაშს. ბაღი ახალგაზრდობასთან ერთად იზრდებოდა, ბაღიც ისეთივე ნორჩი იყო, როგორც თვით ეს ახალგაზრდობა. მისი მწვანე ფოთლები უკვე შრიალებდნენ ნიაჭქარში, აქ საიდუმლო მყუდრო კუთხეების პოვნაც კი შეიძლებოდა, ხოლო ღამით, მთვარის შუქზე იგი წარმტაცი იყო, შემოდგომის წვიმიან ღამეებში, როცა ტრიალითა და შმაშურით ძირს ვარდებოდა მოწყვეტილი ყვითელი ფოთოლი, ამ ბაღში ყოფნა ცოტა არ იყოს საშინელიც კი იყო.

ასე იზრდებოდა ახალგაზრდობა თავის ბაღთან ერთად, თავის ქალაქთან ერთად, და ეს ახალგაზრდობა თავისებურად, ახლებურად ნათლავდა მის უბნებს, სლობოდკებს, ქუჩებს.

გააშენებდნენ თუ არა ახალ ბარაკებს, — უმაღ დაარქმევდნენ სახელს „ახალი ბარაკები“. აი უკვე არაერთი ბარაკებიც არ არის, ირგვლივ ქვის შენობები აიშართნენ, მაგრამ სახელწოდებამ ჰოინელა ის, რამაც იგი წარმოშვა. დღემდე არსებობს გარეუბანი „გოლუბიატნიკი“. ოდესღაც ეს იყო ფერდობზე წამოდგმული ხის სამი ქოხპახი. პატარა ბიჭებს იქ დაჰყავდათ ხოლმე მტრედები, — ახლა იქაც სტანდარტული სახლები დგანან. „ჩტრილინოში“ მხოლოდ ერთი სახლი იდგა, მასში ცხოვრობდა მაღაროელი ჩტრილინი. „სენიაკებში“ — წინად თივის გასასყიდი ეზო იყო მოწყობილი. „დერევიანაია“ სრულიად განმარტოებული ქუჩაა რკინიგზის გადასასვლელის გადაღმა, ბაღის იქით, იგი მთელი ქალაქიდან ასევე განცალკევებით დარჩა, სახლებიც იგივე დარჩა, — ხისა, იქ ცხოვრობს ქალიშვილი ვალია ბორც, ცისფერთვალეზა, ქერა, ოქროსფერთმიანი, ამაყი, გოროზი. — არა უმეტესი ჩვიდმეტი წლისა. „კამენაია“ არის პირველი სტანდარტული სახლების ქუჩა. ახლა ბევრია აქ ასეთი სახლი, მაგრამ მხოლოდ ამ ქუჩას ეძახიან „კამენაიას“, რადგან იგი პირველი იყო. „ვოსმიდომიკი“ კი — ეს უკვე მთელი რაიონია, რამდენიმე ქუჩაა იმ ადგილას, სადაც წინათ მხოლოდ რვა ასეთი სტანდარტული სახლი იდგა.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან წამოსული ადამიანები თავს იყრიან დონ-ბასში. მათთვის პირველი საკითხია: სად უნდა ვიცხოვროთ? ჩინელმა¹ ლი ფან-ჩამ ამ უდაბურ ადგილზე თიხანარევი თვისაგან შეთითხნა თავისი ბინა, ხოლო მერე კი, ამავე წესით, ფიტივით ერთიმეორეზე მარჯობა პატარა ოთახები და დაიწყო მათი გაქირავება. ასე ხდებოდა ვიდრე ჩამოსულნი კლამიანები მიხვდებოდნენ, რომ საქირო არ იყო ლი ფან-ჩასაგან ოთახის ქირით აღება, ვინაიდან მათ თვითონ შეეძლოთ საკუთარის შელესვა. ასე წარმოიშვა ერთიმეორეზე მიწებებული თიხის ქობნახებიანი ვრცელი რაიონი, და ამ უბანს შეარქვეს „შანჭაი“. შემდეგ კი ასეთი ფიტივით ნაკეთები ქობები აღმოცენდნენ მთელი ხვეის გასწვრივაც, უდაბურ ადგილებშიაც კი ქალაქის ირგვლივ, და შეთხუპნულ ბუდეებს „შანჭაიჩიკები“ შეარქვეს.

იმ დღიდან, რაც ამუშავებული იქნა მთელს რაიონში ყველაზე უფრო დიდი მალარო № 1-ბ, რომელიც გაშენებულია ხეტორ სოროკინსა და ყოფილ დაბა იარმანკინს შუა, ქალაქ კრასნოდონმა ისევ ხეტორ სოროკინის მხრით იწყო ზრდა და თითქმის შეუერთდა მას. ამგვარად, ხეტორი სოროკინი, რომელიც უკვე დიდი ხანია შეეზარდა სხვა უფრო პატარა მეზობელ ხეტორებს, გადაიქცა დაბა პერვომაისკად — ქალაქის ერთ-ერთ რაიონად.

ქალაქის სხვა რაიონებიდან იგი მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ აქ საცხოვრებელი სახლების მეტიწილი დარჩა ადრინდელი, კაზაკთა ხეტორებიდან. ესენი იყვნენ კერძო სახლები, ყოველი მათგანი თავისი მეპატრონისაგან ნებისმიერ იყო აშენებული. მოსახლეობის უმრავლესობასაც აქ შეადგენდნენ არა მალაროელები, არამედ ველზე მომუშავე კაზაკები, რომლებიც თესდნენ პურს და გაერთიანებული იყვნენ რამდენსამე კოლმეურნეობაში.

ის იყო, გავიდა თუ არა უღია ვოროშილოვგრადის გზატკეცილზე, რომელზედაც აღმოსავლეთის მამართულებით წინანდებურად ისევ მიემართებოდა სამხედრო ნაწილების, მანქანებისა და ლტოლვილების დამრული ნიაღვარი, რომ თითქმის თავზე, მოტორების გუგუნით ერთიმეორეზე გადაუქროლა სამმა მოპიკირე თვითმფრინავმა. მეზრძოლთა და ლტოლვილთა ნიაღვარი ორად გაიყო, გზატკეცილის ორივე მხარეს მიაწყდნენ: ზოგი თავივე ჩაემხო თხრილში, ზოგი მიწაყრილს მიეფარა, ზოგი კედელს აეტუზა.

უღიამ, რომელიც ამ ჩოჩქოლში კინალამ წააქციეს, მონუსხული თვალები გააყოლა ამ განიერად გაშლილ ფრთებზე შავსეასტიკიან, შეღებილ ფრინველებს. ისინი ისე დაბლა მიფრინავდნენ, რომ უღია კინალამ ქარმა აიტაცა. მოპიკირეებმა, სადაც ქალაქსგარეთ გზატკეცილს დაუშინეს ტყვიამფრქვევის რამდენიმე მოკლე ჯერი, და მზის ციმციმში თვალის მომჭრელად მოკიაფე ჰაერში მიიმაღლნენ. მხოლოდ მცირე ხნის შემდეგ შორიდან მოისმა რამდენიმე ყრუ აფეთქება, — ეტყობოდა მოპიკირეები დონეცის გადასასვლელს ბომბავდნენ. ყველაფერი მოძრაობდა დაბა პერვომაისკში. უღიას პირდაპირ მოემართებოდნენ ფორანები, მთელი ოჯახები გარბოდნენ. უღია იცნობდა ყველას, ისე როგორც უღიას იცნობდნენ ყველანი, მაგრამ ზედაც არავინ უყურებდა, არავინ ელაპარაკებოდა, არავის ხმა არ გაუცია მისთვის.

ყველაზე უფრო მოულოდნელი შთაბეჭდილება დარჩა ზინაიდა ვირიკოვასაგან, — „გომნაზიელი ქალიშვილისაგან“, რომელიც წარმოუდგენლად შეშინებული იჯდა ორ დედაკაცს შუა: ყუთებით, ბოხჩებითა და ფქვილით დატვირთულ საზიდარზე. რომელიდაც ჩიხაქუდიან მოხუცს გვერდზე გადმო-

ეწყო ფქვილით შესვრილი ჩექმები, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა სადავე-
ების მოკეცილ ბოლოებს ურტყამდა ჯაგლაგს, რომელიც ამათ ლამობდა—
ჩორთით აეტანა ეს ტვირთი აღმართზე. აუტანელი პაპანაქება სიცხის მიუ-
ხედავად ვირიკოვას ეცვა წაბლისფერი დრაფის პალტო, მაგრამ უთხოვლოდ
და უქულოდ, დრაფის მაგარ საყელოს ზემოდ ადრინდულად, მხედრულად
წინ გაეშვირა ნაწნაები.

ულიანა გრომოვას მშობლების პატარა სახლი დაბლობზე იდგა, დაბის
შორეულ გარეუბანში, — წინათ ეს იყო—ხუტორი გავრილოვი, და ეს სახ-
ლიც კაზაკური ძველი პატარა სახლი იყო.

ულიანას მამა, მატევი მაქსიმოვიჩ გრომოვი, შთამომავლობით უკრაინელი
იყო, პოლტავის გუბერნიიდან. იგი პატარაობიდანვე იუზოვკაში დაჰყვებო-
და თავის მამას ფულის საშოვნელად. იგი იყო მოსული, ღონიერი, ლამაზი,
გულადი და მოგრძო ხუჭუქთმიანი, რომლის ბოლოები მრგვალად დახვეუ-
ლყვნენ. გრომოვი განთქმული და ღონიერი მგრეველი იყო, ძალიან მოს-
წონდათ და უყვარდათ ქალიშვილებს, ამიტომ არაფერი იყო საკვირველი
იმაში, რომ მოხვდა თუ არა ამ მხარეში ფულის საშოვნელად, სწორედ იმ
ბანებში, რომელიც ულიანას ბიბლიურ ხანად ეჩვენებოდა, მოხვდა თუ არა
იმ დროს, როცა აქ გაიხსნა პირველი პატარა მაღაროები, მან შეიყვარა ჯერ
კიდევ სრულიად პატარა მატრიონა საველიევა, — შეეთვალა კაზაკის ქალი—
მატრიონკა, ხუტორ გავრილოვიდან.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს მატევი გრომოვი მოსკოვის მერვე გრენა-
დერთა პოლკში მსახურობდა. ექვსჯერ იყო დაჭრილი, ორჯერ შიმშილ, —
მრავალჯანს დაჯილდოებულნი, უკანასკნელი ჯილდო—წმინდა გიორგისა
კი — მიღებული ჰქონდა გრენადერთა პოლკის დროშის გადარჩენისათვის.

მას შემდეგ ჯანმრთელობამ უმტყუნა. ერთხანს კიდევ მუშაობდა პატარა
მაღაროებში, მერე მაღაროში ქუჩერად დადგა, ხეტილის შემდეგ აქვე მო-
იკალათა, ხუტორ გავრილოვში, იმ ქოხში, რომელიც მზითევეში შეხვდა მატ-
რიონკას.

ის-ის იყო წაველო თუ არა ულიამ ხელი მშობლიური სახლის ქიშკარს,
უმალვე ღონე გამოეღია. ულიას ძალიან უყვარდა დედა, მამა და, როგორც
ეს ხდება ხოლმე ყრმობისას, არა თუ არა ფიქრობდა, წარმოდგენაც კი არ
შეეძლო, რომ მის ცხოვრებაში მართლა თუ დადგებოდა ისეთი წუთი, რო-
ცა ოჯახიდან დამოუკიდებლად უნდა გადაეწყვიტა საკუთარი ბედი. და აი—
ეს წუთი უკვე დადგა.

ულიამ იცოდა, რომ მისი მშობლები ძალიან შერჩეულნი იყვნენ თავიანთ
სახლკარს, იმავე დროს ისინი მეტად მოხუცები და ავადმყოფები იყვნენ,
ამიტომ ეძნელებოდათ შინიდან წასვლა, ვაჟი ჯარში ჰყავდათ, ულია კი ჯერ
ქალიშვილი იყო—ცხოვრებაში გზაგაუქვლევი, უთანამდებო ადამიანი, და
არ შეეძლო თავის კმაყოფაზე მშობლების აყვანა. მეორე ქალიშვილს კი—
ულიაზე დიდად უფროსს, — მაღაროს სამმართველოს თანამშრომელის, მათს
ოჯახში მცხოვრებ, უკვე ხანშესული კაცის ცოლს, — საკუთარი შვილები
ჰყავდა, ამიტომ ისიც ველარ ბედავდა შინიდან წასვლას. ყველა ამათ დიდი
ხანია გადასწყვიტეს: რაც არ უნდა მოხდეს — მშობლიურ კერას არცერთი
არ მოეშორდეთო.

ულიას ამ უკანასკნელ გადაწყვეტ წუთამდე არა ჰქონდა გარკვეული
გეგმა და არც რაიმე მტკიცე მიზანი გულში. ეგონა თითქოს ყოველთვის
ვიღაც სხვას უნდა მიეცა მისთვის განკარგულება. ხან ჯარში უნდოდა წასე-

ლა, ისიც აუცილებლად ავიაციის, წერილებსა სწერდა ძმას, რომელიც ტემ-
ნიკოსად მუშაობდა ერთ-ერთ საავიაციო ნაწილში:—დამეხმარე, როგორმე
საავიაციო სკოლაში მომამწყვეო. ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს ქველახე
ადელი საქმე იქნებოდა, თუ მოეწყობოდა სამედიცინო დების კურსებზე,
როგორც ეს გააკეთა კრასნოდონელმა ზოგმა ქალიშვილმა, — მისი მხარით
ამ გზით ჩქარა მოხვდებოდა მოქმედ არმიაში. ხან კიდევ აკვიატებული ჰქონ-
და ფარული ოცნება, მტრის მიერ დაკავებულ რაიონში მოქმედ პარტიზა-
ნულ რაზმში უნდოდა მოხვედრილიყო. ხანაც შეიპყრობდა ბოლშე სწავლის
სურვილი, მხოლოდ სწავლის გაგრძელება უნდოდა. ომი ხომ მთელს
საუკუნეს არ გასტანს, საცა დამთავრდება, საჭირო იქნება ცხოვრება, შრო-
მა, მერე—და რარიგად საჭირონი იქნებიან საქმისმცოდნე აღამიანები, — მას
ხომ ძალიან ჩქარა შეუძლიან გახდეს ინჟინერი, ან მასწავლებელი მაგრამ
მოხდა ისე, რომ არაფერ არ გასცა განკარგულება მის ცხოვრებაში, და აი —
დადგა დრო, როცა უნდა გააღოს ჭიშკარი და...

მხოლოდ ახლა იგრძნო, თუ რა უკუღმართად შეიძლება დატრიალდეს
ცხოვრება. მტრის მიერ აბუჩად ასაგდებად უნდა დასტოვოს დედამა, და
მარტოდ-მარტო გაიქრას ამ ტანჯვა-წამებით, ხეტიალითა და ბრძოლებით
სავეც ცხოვრებაში. ისეთი სისუსტე იგრძნო მუხლებში, რომ კინაღამ ჩაიყე-
ცა. ახ, რომ შეეძლოს შეძერეს ახლა ამ პატარა ქოხში, ჩაჰკეტოს ფანჯრე-
ბი, დაეშხოს თავის ქალიშვილობის საწოლზე, იწვეს ასე ნელა, ჩუმად და
არაფერიც არ გადასწყვეტოს! ვის რა ესაქმება შავგვრემან გოგონა ულიას-
თან! ასე, შეძერეს ლოგინში, ფეხები შემოიკეცოს და იცხოვროს თავისი-
ანებთან, მისთვის საყვარელ აღამიანებთან, — დაე, რაც უნდა ის მოხდეს!..
ან რაღა უნდა მოხდეს, ან როდის უნდა მოხდეს, ჩქარა კი მოხდება? ან
იქნება არც თუ ისეთი საშინელი რამ არის ყოველივე ეს?

მაგრამ უმაღვე შეტოკდა თავმოყვარეობის შებლაღვის გამო, ასეთი გამო-
სავალის დაშვების შესაძლებლობით მიყენებული შეურაცხყოფის გამო. არ-
ჩევანის დროც კი აღარ იყო: დედა უკვე გამორბოდა მისკენ. რა ძალამ
ააყენა იგი ლოგინიდან? დედას ფეხდაფეხ მოსდევდა მამა, და, სიძე — გა-
მორბოდნენ ბავშვებიც. უჩვეულო სულეერი მღელვარების დღი აჩნდა ყვე-
ლას, პატარა დისწული კი სტიროდა.

— სანდ-ლა დაიკარგე, ჩემო გოგონავ, ჩემო შვილო? დილიდანვე გეძებენ,
ვერსად გიპოვნეს! ჩქარა გაიქე ანატოლისთან, თუ არ წასულა, ჩქარა გაი-
ქე, ჩემო შვილო! — ამბობდა გულამომჯდარი დედა და ცრემლი, რომლის
მოწმენდასაც კი არა ცდილობდა, ლაპალუბით ჩამოსდიოდა მშედაკრულ
ფერმკრთალ, ნაოჭებიან ლაწვებზე.

დედამისს თმაში თეთრი არ ერია, თუმცა მოხუცი იყო და წელში
მოხრაილი. იგი შავგვრემანთ იყო, და თუმცა ტანით პატარა, მაგრამ გა-
რეულ დიდ ფრინველსავით მეტად ლამაზი თვალები ჰქონდა. ხასიათით მე-
ტად მტკიცე, უტეხი, და თან ჰკვიანი ქალი იყო, — ქალიშვილები და მოხუ-
ცი მატვეი მაქსიმოვიჩი მას უჯეროდნენ. მაგრამ აი — დადგა ჟამი, როცა
მის ქალიშვილს თვითონ უნდა გადაეწყვიტა საკუთარი ბედი, და აქ დედა
უძლური აღმოჩნდა.

— ვინ მეძებდა? ანატოლი? — ჩქარა იკითხა ულიამ.

— რაიკოში გეძახოდნენ! — წარმოსთქვა დედის უკან მდგომმა მამამ, რო-
მელსაც უღონოდ ძირს ჩამოეშვა დიდრონი, მძიმე ხელები.

როგორ დაბერებულყო! წინიდან თითქმის სრულიად გამელოტებულ იყო, მხოლოდ კეფასა და საფეთქლებზე შერჩენოდა ქერა ხუჭუჭი თმა, რომელიც ჯერ კიდევ დახვეული იყო, გრენადერულ მოწითალო უღვიშებში უკვე ქაღარა შერეოდა, წვერიც ქაღარა ჰქონდა, ცხვირი გალურჯებულ და ჯარისკაცური, აგურისფერი სახე სრულიად დანაოქებოდა. *გაიქცა*

— გაიქე, გაიქე, შეილო!— აჩქარებდა დედა.— დაიცა, ანატოლის გადაცახება!— და იგი, მოხუცი პატარა ქალი, მწკრივებს შუა გაიქცა მეზობელ პოპოვებთან, რომელთა ვაჟმა, ანატოლიმ ულიასთან ერთად წელს დაამთავრა პერეომისკის სკოლა.

— დედა, თქვენ დაწყებით, მე თვითონ!

ულია დედას გამოენთო, მაგრამ იგი უკვე ალუბლებში გაიქცა, ქვემოთ, ასე გარბოდნენ ერთად— ახალგაზრდა და მოხუცი.

გრომოვებისა და პოპოვების ეზოებს საზღვრავდნენ ბაღები, რომლებიც ფარდაგებივით ეშვებოდნენ ქვემოთ ამომშრალ პატარა ხევისაყენ, და რომლის სიღრმეში გადიოდა მიჯნა— წნული ღობე. თუმცა ისინი შთელს სიცოცხლეში მეზობლები იყვნენ, ულიას არასოდეს ენახა ანატოლი გარეშე სკოლისა და კომპაეშირის კრებისა, სადაც იგი ხშირად გამოდიოდა ხოლმე მოხსენებებით. ანატოლის ბავშვობისას ჰქონდა თავისი ბიჭური ინტერესები. ხოლო უფროს კლასებში ყოფნისას კი ხშირად დასცინოდნენ ხოლმე, ამბობდნენ.— გოგონების ეშინიანო. მართლაც, როცა იგი შეზღუდვოდა ულიას, და არა მარტო ულიას, სხობსაც, სადმე ქუჩაში, ან ბინაში, ისე იბნეოდა, რომ მისალმებასაც ვერ ასწრებდა, და თუ მიესალმებოდა, ისე აწითლდებოდა, რომ გოგონებსაც ალივით მოედებოდათ სახეზე მისი სიწითლე. ამის შესახებ ზოგჯერ ლაპარაკობდნენ ხოლმე ქალიშვილები ერთმანეთს შორის და დასცინოდნენ კიდევ ანატოლის, მაგრამ ულია მაინც პატივს სცემდა მას, რადგან ისეთი ნაკითხი, ჰკვიანი და კარჩაკეტილი იყო; მასაც იგივე ლექსები მოსწონდა, რაც ულიას, აგროვებდა ხოქოებს და პეპლებს, მიხერალებსა და ჰერბარიუმებს.

— ტაისია პროკოფიენა! ტაისია პროკოფიენა!— უყვიროდა მეზობლის ბოსტანში წნულ დაბალ ღობეზე გადასული დედა.— ტოლეჩკა! ულია მოვიდა...

სადაც, იმ მხარეზე, მაღლიდან, წერილი ხმით მოსცა პასუხი ხეების იქით ამოფარებულმა, ანატოლის პატარა დამ. და აი— ახლა თვით ანატოლი გამოვრბოდა ხეებს შუა, რომელთაც მრავლად ესხა წერილი მწითლე ალობაოი. ანატოლის ეცვა კალთებისა და სახელოების ირგვლივ მოქარგული გახსნილი საყელოიანი უკრაინული ხალათი, კეფაზე მოეგდო უზბეკური ქუდი, რომელსაც ატარებდა იმისათვის, რომ არ აწეწოდა უკან გადააერცხნილი, შვრიისფერი, გრძელი თმა.

მისი ყოველთვის დინჯი, გამხდარი, მზედაკრულ მოთეთრო წარბებიანი სახე, ზომასზე მეტად აღგზნებული და ისე გაოფლილი იყო, რომ ილივიტში სველი ლაქები წარებდალ აჩნდა. ეტყობოდა სრულიად დავიწყებოდა ის ამბავი, რომ ულიასაც უნდა მორიდებოდა.

— ულიანა... იცი თუ არა, დილიდანვე დაგეძებ? ყველა ბიჭებსა და გოგონებს ჩამოეურბინე, შენს გამო ვასამგზავრებლად მომზარებული ვიტკა პეტროვიც დავაქავე. არ გავოშვი, აქ არიან, ჩვენთან, მამამისი საშინლად ილანძღება, დაუყოვნებლივ მოემზადე! — ჩქარა ლაპარაკობდა იგი.

— ჩვენ კი არაფერი ვიცოდით! ვისი განკარგულებაა ეს?

— რაიკომის განკარგულება! — ყველანი უნდა წავიდეთ. საცაა აქ გერმანელები შემოვლენ, ყველა გაეფრთხილე, თქვენი წრიდან არაუფრო არასჩანს, საშინლად ავლელი. ხუტორ პოგორელოდან აქ მოდიან ვიტკა პეტროვი და მისი მამა. იგი ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს გერმანელებს წინააღმდეგ პარტიზანად ნამყოფია ამ მხარეში, რა თქმა უნდა მანქანით წაუფრთხაოც ყი არ შეუძლიან დაყოვნება, და ასეთ დროს, წარმოგიდგენია, ვიტკამ სპეციალურად ჩემს გამო შემოიარა აქ. აი, ამხანაგიც ამასა ჰქვიანი მამამისი პეტყევეა, იმათ სატყუო მეურნეობაში კარგი ცხენები ჰყავთ! რა თქმა უნდა, მე შეგვაკავე ისინი, მამა მისი ილანძღება, მე კი ვეუბნები: „თქვენ ხომ ძველი პარტიზანელი ხართ, ხომ იცით, ამხანაგის დატოვება რომ არ შეიძლება, იმავე დროს, გეტყობათ უშიშარი კაცი უნდა იყოთ-მეთქი“. — აი, შენ გელოდებით! — ჩქარა დაბარაობდა ანატოლი. ეტყობოდა, ყველაფერი ის, რაც მან განიცადა, უნდოდა ჩქარა გაეზიარებინა ულიასათვის, თანაც შესცქეროდა მას ღია კროლა, ხან კიდევ მტრედისფერ, უცებ გაბრწყინებული თვალებით, რომლებმაც ანაზღად აგრე მიმზიდველი აქციეს მისი რუსული, თეთრფუნთულა სახე.

რატომ ეჩვენებოდა ულიას წინათ ეს სახე ასე არამიზიდველად? ანატოლის სახე ამეღვენებდა მის სულიერ ძალას... დიად, ნამდვილ ძალას, მიმალულს საღდაც მსხვილი ტუჩების ჩაკეცილ ნიჟებში, ნესტოების განიერ კრილში.

— ტოლია, — წარმოსთქვა ულიამ, — ტოლია... შენ... — ულიას ხმა აუკანკალდა და წნულ ღობეზე გადაუწოდა მზედაკრული ხელი.

ანატოლი დაიბნა.

— ჩქარა! ჩქარა! — წამოიძახა მან, თან ეშინოდა ჩაეხედა ულიას შავ თვალებში, რომლებიც სკვალავდნენ მთელს მის არსებას.

— უკვე ყველაფერი მოგამზადე, ჰიშკართან მოაყენეთ... ჰიშკართან... მოაყენეთ... — იმეორებდა ულიას დედა და ცრემლი დაძაღუბით ჩამოსდიოდა სახეზე.

ამ წუთამდე დედას მინც არა სჯეროდა, თუ მისი ქალიშვილი მარტოდ-მარტო გადაეშვებოდა ამ ნაწილებად დაშლილ უზარმაზარ სამყაროში, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ქალიშვილისათვის სახიფათო იყო აქ დარჩენა, და აი — გაიზინდნენ კეთილი აღამიანები, მათთან იყო მოზრდილი მაპაკაციც და, ახლა კი ყველაფერი მოთავებული იყო.

— კი მაგრამ, ტოლია, ვალია ფილატოვა გააფრთხილე? — მტკიცე ხმით წარმოსთქვა ულიამ. — ხომ იცი, იგი ჩემი საუკეთესო ამხანაგია, უიმისოდ მე ვერსად ვერ წამოვალ.

ანატოლის სახეზე ისეთი გულწრფელი სინანული გამოისახა, რომ ვერ შესძლო მისი დაფარვა, თუმცა იგი არც კი ცდილა ამას.

— ცხენები ხომ ჩემი არ არის, ესეც არ იყოთ ჩვენ უკვე ოთხნი ვართ... პირდაპირ აღარ ვიცი... — ანატოლი დაიბნა.

— გესმის თუ არა, არ შემიძლია დავტოვო იგი და, თვითონ წავიდე?

— მართალია, ცხენები ძალიან ღონიერები არიან, მაგრამ ხუთი კაცი მაინც...

— იცი რა ვითხრა, ტოლია, მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, ყველაფრისათვის... თქვენ გაემგზავრეთ, მე კი ვალიასთან ერთად... ჩვენ ფეხით წამოვალთ, — მტკიცედ განაცხადა ულიამ. — მშვიდობით!

— ღმერთო ჩემო, ფეხით როგორ-ღა, შეილო! მე კი კაბები და საცვლე-
ბი ჩემოდანში ჩაგვლავე, მერე-ღა ლოვინი? — ბავშვურად მღშტით ამოიწ-
მინდა ცრემლი, და მწარედ აქვითინდა.

შევობარი ქალიშვილის მიმართ ულიას ასეთი კეთილშობილური გრძნო-
ბა არა თუ გაუკვირდა ანატოლის, სავსებით ბუნებრივად ეჩვენა, საკვირვე-
ლი იქნებოდა, რომ სხვაგვარად მოქცეულიყო ულია. ამიტომ ანატოლის
სრულიად არ აღიზიანებდა ეს, არც რაიმე მოუთმენლობას იჩენდა, — მხო-
ლოდ გამოსავალს ეძებდა ამ მდგომარეობიდან.

— შეეკითხე მაინც! — უცებ წამოიძახა ანატოლიმ, — იქნებ გაემგზავრა
კოდეც, იქნებ არსადაც არ აბირებს წასვლას, რაც უნდა იყოს კომკავშირე-
ლი მაინც არ არის!

— შე გავიქციევი მასთან. — გაამხნევა მატრიონა საველიეენამ, რომელმაც
უკვე სრულიად დაჰკარგა ძალღონის ანგარიში.

— თქვენი დაწყევით, დედა, მე თვითონ გავაკეთებ ყველაფერს! — გაბრა-
ხებით წარმოსთქვა ულიამ.

— ტოლკა, ჩქარა მორჩებიდ? — ძლიერად, ხმამაღლა გადმოსძახა ზემო
მხრიდან, პოპოვების ქოხიდან ვიქტორ პეტროვმა.

— თქმა არ უნდა ღონიერი ცხენები ჰყავთ. უკიდურეს შემთხვევაში
რიგრივობით აველევნებით ფორანს, — ხმამაღლა თავისთვის ამბობდა ანა-
ტოლი.

მაგრამ ულიას არ დასჭირდა ვალიასთან წასვლა. ის იყო, ულია დედას-
თან ერთად ავიდა თუ არა აივანზე, იქვე, ამ აივანსა და სასამსახურო ნაგე-
ბობათა, სამზარეულოსა და საძროხე ფარდულს შუა, ულიას ოჯახის წევრე-
ბთან ერთად იდგა მოკუნტული ვალია ფილატოვა. მისი სახის სიფერმკთა-
ლეს თვით ძლიერად მზედაკრული კანის გარეთაც კი გამოეტანებინა.

— ვალიუშა, მოემზადე! ცხენები არის, დავითანხმებთ ორივე ერთად
წაგვიყვანოს! — ჩქარა წარმოსთქვა ულიამ.

— დაცა, ორიოდე სიტყვა მინდა ვითხრა...

ვალიამ მკლავში ხელი წაატანა მას. ვალიას დინჯი და ფერმკრთალი
სახე ჰქონდა.

ჰიშკრისაკენ ჩამოდგნენ.

— ულია! — წარმოსთქვა ვალიამ და მიახერდა მას ფართოდ გაღებულ
ელვარე თვალებით, რომლებიც აქვლავებდნენ მის ნამდვილ სულიერ
ტანჯვას. — ულია! მე ვერსად წამოვიღო მე... ულია!... — ნაძალადევად
წარმოსთქვა მან. — შენ უჩვეულო ადამიანი ხარ ამქვეყნად... დიად, დიად!
შენში არის რაღაც ძლიერი რამ, დიდი! შენ ყველაფერი შეგიძლიან. —
მართალს ამბობს დედაჩემი, — ღმერთს ფრთები გამოუსხმას შენთვის...
ულეჩკა, შენ ხარ ჩემი ბედნიერება ამქვეყნად. — ამბობდა ვალია სიყვარუ-
ლით აღვზნებული. — ყველაზე უფრო ბედნიერი რამ, რაც კი გამაინდა ამ
ქვეყნად — ეს შენ იყავი, მაგრამ მე... ვერ წამოვალ შენთან ერთად. მე
ყველაზე უფრო ჩვეულებრივი ადამიანი ვარ ამქვეყნად, და ყოველთვის
ვოცნებობდი ყველაზე უფრო ჩვეულებრივზე... ვფიქრობდი: ვისწავლი,
ვიმუშავე, შევხედები ვინმე კარგს, გულკეთილ ადამიანს, მივთხოვდები
მას, მეყოლებიან ბავშვები, — ბიჭი და გოგო, — გვექნება ბედნიერი, უბრა-
ლო ცხოვრება-მეტეი! სხვა არაფერზე არ ვფიქრობდი, ულეჩკა, მე არ
ვიცი ბრძოლა, მეშინიან ვზიდან ვანზე გადავუხვით მარტოდ-მარტო... ეხე-
დავ, რომ ახლა ყველაფერი ინგრევა, ჰქრებიან ჩემი ოცნებანი, მოხუცი

დედა მყავს, არაერთვის ცუდი არაფერი გამოკეთებია... მე ერთი შეუმჩნე-
ველი ადამიანი ვარ, და აქ დაერჩები... მაპატიე...

ვალია აქვითინდა ცხვირსახოცში, რომელიც მას ხელში ეჭირა და კმუ-
ქნიდა. ულია უკებ შემოიხვია მას, მკერდზე მიიკრა, თავზე ~~ეჭიჭიჭდნა~~ და
ისიც აღირდა მისთვის ასე მახლობელ, საყვარელ, სურნელთგან ~~ქრტსტლ~~
ქერა თმაში ცხვირჩარგული.

პატარაობიდანვე მეგობროდნენ ისინი, ერთად სწავლობდნენ, გადადიო-
დნენ კლასიდან კლასში, ერთიმეორეს უზიარებდნენ ქალიშვილურ პირველ
სიხარულს, მწუხარებასა და სიიღუმლოებას. ულია გულჩათხრობილი იყო
და მხოლოდ მძიმე სულიერი მღელვარების წუთებში თუ გაამჟღავნებდა
თავის გულის ნაღებს. ვალია კი ყოველთვის ყველაფერს უამბობდა მას,
არაფერს არ დაიტოვებდა გულში, არაფერს არ უმაღავდა, როცა საამი-
სო დრო დადგებოდა ხოლმე. თავისი გრძნობებით იგი ვერც კი უსწრებ-
და ულიას გულახდილობას, მაგრამ ჭბუკობისას ვანა ზრუნავენ იმაზე, რომ
ესმოდეთ ერთმანეთისა, — სიხარული მღვობარეობს მხოლოდ ნდობის
შეგრძნობაში, აზრთა ურთიერთ განზიარების შესაძლებლობაში. თურმე
სრულიად სხვადასხვაგვარი ადამიანები ყოფილან ისინი, სრულიად სხვადა-
სხვაგვარი... მაგრამ მათს სათნო, წმინდა ქალიშვილურ მეგობრობის უკან
იმდენი სუფთა, კაშკაშა დღეები იდგნენ, რომ განზიარების წუთის უბედუ-
რება ჰქენჯნიდა მათს სულსა და გულს.

ვალია ახლა გრძნობდა, რომ იგი თავის ცხოვრებაში ხელს იღებდა ყვე-
ლაზე უფრო დიდსა და უბრწყინვალესზე, ხოლო რჩებოდა რაღაც მეტად
ქრელი რამ, რაღაც მეტად ვაჟოურკვეველი, ბუნდოვანი და საშინელი რამ.

ულია კი გრძნობდა, რომ იგი ჰყარავდა ერთად-ერთ ადამიანს, რომლის-
თვისაც მას შეეძლო გადაეხსნა გული, ეჩვენებინა მისთვის, თუ როგორია
სინამდვილეში იგი — ულია, ბედნიერების შეგრძნობის, ან ყველაზე უფრო
დიდი სულიერი მღელვარების ეამს. იგი არა ზრუნავდა იმისათვის, რომ გა-
ნაგები ყოფილიყო მეგობარი ქალიშვილისთვის, იცოდა მხოლოდ, რომ მის
სულში ყოველთვის იპოვიდა საკუთარი გრძნობის, სიკეთისა და თა-
ყვანების, საყვარულისა და, უბრალოდ, გულისხმიერების ნათელ გამოძა-
ხილს. და ახლა ულია სტიროდა იმის გამო, რომ ეს იყო მისი ბავშვობის
დასასრული, იგი უკვე მოზრდილი ხდებოდა, გამოდიოდა ცხოვრებაში, ისიც
სულ მარტოდ-მარტო.

მხოლოდ ახლა მოაგონდა მას, ვალიამ რომ თმოდან შროშანა გამოაძრო
და მიწაზე გადაავდო. ულია ახლა მიხვდა, თუ რატომ ჩაიღინა ვალიამ ეს.
ანეოი მღელვარების დროს ვალია მიხვდა, თუ რა უცნაური შესახედავი იქ-
ნებოდა მისი მეგობარი ქალიშვილი, იმ თეთრი შროშანათი თმაში, იქ სადაც
ანგრევენ მადარობებს, და ამის გამო ვაათავისუფლა იგი შროშანასაგან. მა-
შასადამე, იგი სრულიად არ იყო ისეთი ჩვეულებრივი, როგორც თვითონ
ამბობდა, მას ბევრი რამის მიხვედრის უნარი ჰქონდა.

რაღაც წინაგაძნობა უქარნაბებდა მათ, რომ ის, რაც მათ შორის ხდებო-
და ახლა, — ხდებოდა უქანასკნელად. არა თუ გრძნობდნენ, იცოდნენ კა-
დღეც, რომ ისინი რაღაც განსაკუთრებულ სულიერი დამოკიდებულებით
სამუდამოდ ეთხოვებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ სტიროდნენ ასე გულწა-
სკვნით, არ ერიდებოდნენ თავიანთი ცრემლის გამოჩენას და არც მის შეკა-
ვებას ლამობდნენ.

ბევრი ცრემლი იყო დაღვრილი ამ წლების განმავლობაში — არა მარტო

დონეცის, არამედ განადგურებულ, გადამწვარ, სისხლითა და ცრემლით
მორწყულს მთელს საბჭოთა ვრცელ მიწა-წყალზე. ამ ცრემლით შორის
იყო — ცრემლი უძღურებისა, საშინელებისა, პირდაპირ მოუთმენელი ფი-
ზიკური ტკივილების ცრემლიც კი. მაგრამ რამდენი იყო ცრემლი უმადლე-
სი, უწმინდესი, კეთილშობილური, — ყველაზე უფრო კეთილშობილური
ცრემლი, იმასთან შედარებით, რაც კი ოდესმე დაუღვრია კაცობრიობას!

ის იყო, დაიგრუხუნა თუ არა ჭიშკართან მოახლოებულმა, მოღუნულ
ხარხებიანმა, გრძელმა, ნავიდან გადაკეთებულმა, ბოხჩებითა და ჩემოდ-
ნებით დატვირთულმა სოფლურმა ფორანმა, რომლის ხელნარში შებმული
ყო ორი დიდი ქურანა ცხენი, და რომელსაც მართაედა მსუქანი, ღონიერი
სახის ახმახი, ხანშესული, ნახევრად სამხედრო ხალათში გამოწყობილი,
ტყაებს ქუდიანი კაცი, რომ უღია მოსწყდა მეგობარ ქალიშვილს, წაგრძე-
ლებული ხელის გული ქვემოდან ბალიშივით ამოისვა თვალებში. ცრემლი
მოიწმინდა და მისმა სახემ უმაღვე ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო.

— მშვიდობით, ვალია!..

— მშვიდობით, ულუჩკა! — ვალია ხმამაღლა ატირდა.

ერთმანეთი გადაკოცნეს.

ფორანი ჭიშკართან შეჩერდა. მის უკან გამოჩნდნენ აწითლებული,
სირბილისაგან გაოფლილი და ნამტირალევი — ანატოლის დედა, — ტანისა
პროკოფიენა, — ჩასკენილი, ცისფერთვალეზანი და ასეთივე თბიანი, მაღა-
ლი თეთრი ტანის კაზაკი ქალი, და ანატოლის უმცროსი და — ნატაშა. მისი
მამა ომის გამოცხადების პირველსავე დღიდან ფრონტზე იყო. ანატოლი
უკვე ფორანზე იჯდა, მის გვერდით იყო მკერდგახსნილი მაისურიანი,
წაბლისფერთმიანი, სათნო სახის — ვიქტორ პოპოვი, რომლის გაბედულ,
ბიჭურ თვალებში ჩამდგარიყო სევდა და ეარამი. მას ხელში ეჭირა რალაც
რბილ ნაჭრებში გამოხვეული და პრევიტ შეკრული გიტარა.

უღია შემობრუნდა და ვახვევებულივით გაეშართა თავისიანებისაკენ.
მისთვის უკვე მოქაონდათ ჩემოდანი, ბოხჩები, თავშალი. გარეული დიდი
ფრინველის შეთვალეზიანი პატარა ტანის მოხუცი დედა მისკენ გაექანა.

— დედა! — წარმოსთქვა ულიამ.

დედამ ერთმანეთს შემოჰკრა თავისი გამზღარი ხელები, მერე ძირს დაეშ-
ვა უსულოდ.

თავი მმოთხე

ხალხთა უდრღესი გადასახლების დროიდან დონეცის ველებს არ უნახავთ
აღამიანთა მასის ასეთი დიდი მოძრაობა, როგორიც იყო 1942 წლის იელი-
სის დღეებში.

ვზატყვილებზე, ყამირუზებსა და პირდაპირ ტრამალუბზე, თაკარა მზის
ელვარებაში თავიანთი ალალებით, არტილერიითა და ტანკებით მიდიოდნენ
წითელი არმიის უკანდახეული ნაწილები, საბავშვო სახლები და ბალები,
საქონლის ჯოგები, საბარგო მანქანები, ლტოლვილები, — ისინი მიდიოდნენ
ზან არეულ კოლონებად, ხან კიდევ გაფანტვით: მიაგორებდნენ საოჯახო
ნივთებითა და ბოხჩებზე შემჯდარი ბავშვებით დატვირთულ ურიკებს.

მიდიოდნენ და სტკეპნიდნენ მწიფობაში შესულ და უკვე მომწიფე-
ბულ პურს, არავის ენანებოდა ეს პური, — არც იმათ, ვინც მას სტკეპნიდა,
არც იმათ, — ვისი დათესილიც ის იყო. ეს პური ახლა არავისი არ იყო:
ის რჩებოდა გერმანელებს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების
კართოფილის ფართობები ახლა ყველასათვის ღია იყო. ლტოლვილები

სთბორღენ კართოფილს და ბცხობდენ მას თივით, ან სტანიცის მესრებით გაჩაღებულ კოცონების ნაღვერდალში. ყველას, ვინც კი ქვედად მიდიდა, ან რითიმე მიემგზავრებოდა, ხელში ეჭირა კიტრები, პამიდორები, ან წურწურით წვენჩამომდინარე მყავე საზამთროსა და ნუსხურ ნაჭკები. ისეთი მტვერი იღვა ტრამალზე, რომ თვალის დაუხამხამებლად შეხმულმა და გეჭყირნათ მოელვარე მზისთვის.

ვორონეჟ-როსტოვის ხაზზე გერმანელების მიერ ქალაქ მილეროვოსა და მისი რკინიგზის დიდი სადგურის დაკავებამ, მათი სატანკო და მოტორიზებული ნაწილების დონბასისა და სტალინგრადის ერთიმეორესთან დამაკავშირებელ რკინიგზის ხაზზე მდებარე სადგურ მოროზოვსკაიასკენ სწრაფმა მოძრაობამ, — ვოროშილოვგრადისა და როსტოვის ოლქები მოსწყვიტა ჩვენი ქვეყნის ცენტრს, საფრთხის წინაშე დააყენა სტალინგრადი და მოახდინა სამხრეთის ფრონტის არმიების იზოლირება.

ის, რაც ზერელე შეხედულების ცალკეულ ადამიანს, რომელიც ქვიშის პაწია მარცვალავით უკან დახევის ნიაღვარს გაუტანცია და, რომელიც საკუთარ სულიერ მღელვარებას უფრო ამკლავნებს, ვიდრე იმას, რაც მის გარშემო ხდება — პანიკის შემთხვევით და უაზრო გამოვლინებად ეჩვენებოდა, — სინამდვილეში, თავისი მასშტაბით იყო ადამიანთა და მატერიალურ ღირებულებათა გაუგონარი მოძრაობა, რასაც ამოქმედებდა ომის სახელმწიფოებრივი რთული, ორგანიზებული მექანიზმი, ესე იგი ასეულ და ათასეულ დიდი და მცირე ადამიანთა ნებისყოფა.

სამხრეთის ფრონტის არმიებმა, ვოროშილოვგრადისა და მდინარე მიუსთან წინ წამოსწიეს რა საფარი, გზა-და-გზა გადმოსროლეს საფლანგო ძლიერი დაცვის რაზმები, ნოვოჩერკასისა და როსტოვის მიმართულებით უკან იხედნენ იმ ვარაუდით, რომ მოესწოთ ღონზე გადასვლა, რათა ამით თავიდან აეცილებინათ ჩრდილოეთის მხრით მტრის ღრმად შემოვლა. იმავე მიმართულებით მოძრაობდნენ ვოროშილოვგრადისა და მისი ოლქიდან ევაკუირებული მსხვილი წარმოება-დაწესებულებები.

უკანდახეული სამხედრო ნაწილების სხვა უფრო პატარა ნაკადები მიემართებოდნენ ქალაქ კამენკისაკენ, რომელიც ორმოციოდე კილომეტრით არის დაშორებული ქალაქ კრასნოდონიდან და მდებარეობს მილეროვოს სამხრეთით, სწორედ იმ პუნქტზე, სადაც ვორონეჟ-როსტოვის რკინიგზის ხაზი სტრის მდინარე ჩრდილო ღონეცს, აგრეთვე ლიხაიაზე გავლით დონბას-სტალინგრადის გზაზე სადგურ ბელოკალიტენსკაიასკენ, სადაც ეს გზა გალის ჩრდილო ღონეცზე. ამ ნაწილებს უნდა დაეფარათ სამხრეთის უკანდახეული ნაწილების მარჯვენა ჩრდილო ფლანგა.

ისე, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე იმულებითი უკანდახევის დროს, გარდა იმ მთავარი, დიდი, თუმცა მეტად მძიმე, მაგრამ ჯარებისა და სამოქალაქო მოსახლეობის უდიდესი მასის წინასწარ გააზრებულ გადაჯგუფებაში, ყველა გზებმა და პირდაპირ ტრამალებზე, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მიდიოდნენ ლტოლვილები, მცირე დაწესებულებები და კოლექტივები, ჯარის ნაწილები დაქუცმაცებული რაზმები, ბრძოლაში დამარცხებული, ერთიმეორისაგან მოცილებილი, გზას-აყდენილი სამხედრო ჯგუფები, აგრეთვე ავადმყოფობის, ჭრილობის, ან ტრანსპორტის სიმციერის გამო უკან ჩამორჩენილნი. ეს — ზოგი დიდი და, ზოგი მცირე რაზმები, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ იმაზე, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში, ფრონტზე, — მიდიოდნენ იქით.

საითაც გზა უფრო უშველად და მოსახერხებლად ეჩვენებოდათ, ისინი გმანადნენ მოძრაობის მთავარ პორებსა და ვენებს, უწინარეს კლკლისაკი, — დონისა და დონეის გადასასვლელებს, სადაც მტრის ბომბდამშენების ქვეშ ბორნების და პონტონების ირგვლივ მთელი დღე და ღამეების განმავლობაში ჯარად ირეოდნენ ადამიანები, მანქანები და მანქანები.

თუმცა უაზრობა იყო კამენსკისაკენ მოძრაობა მაშინ, როცა გერმანელთა ნაწილები გაიჭრნენ შორს, დონეის გადაღმა მხარეში, მაგრამ ლტოლვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც გაეშურა ამ მიმართულებით, ეს იმიტომ, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მიდიოდნენ სამხედრო ნაწილები. და აი, სწორედ ამ უაზრო ნიაღვრის დენაში მოექცა სოფლური ფორანი, რომელშიაც ება ორი ღარდასმული ქურანა ცხენი, და რომლითაც მიემგზავრებოდნენ უღია გრომოვა, ანატოლი პოპოვი, ვიქტორ პეტროვი და მისი მამა.

ის იყო თვალთ მოეფარა თუ არა ხეტორების უკანასკნელი ნაგებობანი, და ეს ფორანი სხვა ფორნებსა და მანქანებთან ერთად გასცილდა თუ არა ბორცვის დაქანებულ გადასარბენს, უცებ ციდან მოისმა მოტორების ზარდამცემი გუგუნნი და, ისევ დაბლა ფრენით თავზე გადაიქოროლეს გერმანელთა მოპიკირებმა, მიჩრდილეს მზე და ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაეყარეს გზატკეცილს.

ვიქტორის მამას, ამ ზორბა აგებულების, ტყავის ქუდიან და მსუქანი სახის, ლონიერი ხმით მოლაპარაკე მამაკაცს ფერი დაეკარგა.

— მიწდვრისაკენ! დაწეკით! — საშინელი ხმით წამოიძახა მან.

ფორანიდან უკვე გადმოხტნენ ყმაწვილები და პურებისაკენ გაეშურნენ. ვიქტორის მამამ სადავეები ხელიდან გააგდო, გადმოხტა ფორანიდან და იქვე, ადგილზე გაჰქრა, თითქოს ორთქლად იქცათ, თითქოს მძიმე ჩექმეზიანი მერყევე მამაკაცი კი არა, უსხეულო რამ არსება ყოფილიყო, ისე გაუჩინარდა. ფორანზე მარტო უღია დარჩა. თვითონაც არ იცოდა, თუ რატომ არ ჩამოხტა და არ გაიქცა, მაგრამ დაფეთებული ცხენები ანაზღად ისე გაიჭრნენ წინ, რომ უღია კინალამ ჩამოვარდა ფორანიდან.

უღია შეეცადა დაეჭირა სადავეები, მაგრამ ვერ მისწვდა: ცხენები კინალამ მკერდით დაეჯახნენ წინ მიმავალ ბრიჩკას, ყალუზე აიპართნენ და ისე გაიჭრნენ განზე, კინალამ გავლიჯეს საწევი ღვედები. ნავიდან გადაკეთებული მაგარი, გრძელი, ტევადი ფორანი უნდა გადაბრუნებულყო, მაგრამ ისევ შედგა თვლებზე. უღიამ ცალი ხელი ფორანის კიდეს წაატანა, მეორე კი, რომელიც მძიმე მაფარაშას, თან დაძაბულათ მიატანა მთელი თავისი ძალდონე, — ცდილობდა არ ჩამოვარდნილიყო: მას იქვე გასრესდნენ სხვა ფორანებში შებმული გახლებული ცხენები.

უზარმაზარი ქურანა ცხენები გაშმაგებით მირბოდნენ წინ გადატყენილ პურზე, ადამიანებსა და ფორანებს შუა ყალუზე დგებოდნენ, ფრუტუნებდნენ და ღუეს აფრქვევდნენ თავიანთ გარშემო. უცებ, წინა მხარეზე ბრიჩკიდან გადმოხტა მალალი, განიერმხარბეკიანი, ქერათმიანი თავშიშველი ჭაბუკი, იგი კინალამ ფეხქვეშ მოიქციეს ცხენებმა.

უღია უცებ ვერ მიხვდა რაც მოხდა, მაგრამ ფაფარაყრილ ცხენების თავებსა და მათს დაკრევილ კბილთა შორის უმალვე შენიშნა იმ ჭაბუკის ნორჩი მოელვარე თვალებიანი უჩვეულო დაძაბულობითა და ძალ-დონით საესე შეგვერემანად ლოყაშეფერადებული, ყვრიმალისანი სახე.

ერთ-ერთ მოფრუტუნე ცხენს ჭაბუკმა ზედ ლაგამთან ჩააგლო ხელი, იგი იდგა ცხენსა და ხელნარს შუა, შემართულად იდგა ცხენისკენ გადახრილი,

ცდილობდა არ წაქცეულიყო. იგი იყო ზორბა ავებულობისა, კობტა, შეხედულობისა, კარგად დაუთოვებულ კოსტუმში გამოწყობილი, მუქიწითელი ფერის პალსტუკი ჰქონდა გაკეთებული და ფიჯაკის გარე-პატარა ჯიბიდან თეთრი ძვლისთავიანი დასაკეცი კალმისტარი მოუჩანდა. მეურვე ფაფავსუფალი ხელით ჰაბუკი ცდილობდა დაეჭირა ხელნარის წვერს ზემოთ! სხვაგვარად ცხენის ლაგამი. მხოლოდ ცისფერ ფიჯაკის ჭეშ ამოწეული კუნთებითა და გასკდომამდე ამობურთული ძარღვებიანი მზედაკრული ხელით, რომლითაც იგი აკავებდა ცხენს, სჩანდა, თუ რაოდენი ძალღონის დაძაბვა უხდებოდა მას ამ წუთას.

— ტფრ... ტფრ... — ამბობდა იგი ხმადაბლა, მაგრამ ბრძანებლობით.

და იმავე წუთას, როგორც კი მოახერხა ხელი წაეტანებინა მეორე ცხენის სადავისათვის, ორივე ცხენი დადგა. თუმცა ისინი ჯერ კიდევ იქნევდნენ ფეფარს, თავიანთი ველური თვალებით აღმაცერად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ჰაბუკმა ხელი მაინც არ გაუშვა, ვიდრე სულ არ დაწყნარდნენ.

ჰაბუკმა ახლა ხელი გაუშვა სადავეებს, და ყველაზე უმაღლესი ისეთი რამ ჩაიღინა, რამაც ცოტა არ იყოს გააკვირვა ულია, — ჰაბუკმა დიდრონი ხელისგული კობტად გადაისვა აუჩეჩავ, გვერდზე გადაეარცხნო ჰერა თმაზე. შერე ულიასკენ იბრუნა ოფლში გაღვარული ჰაბუკური ყვრიმალისანი სახე, გერცხლისფერ გრძელწამწამებიანი დიდრონი თვალებით მიაჩერდა მას და გულთანად, მზიარულად გაუცინა.

— თვინიერ ცხენებს შეეძლოთ გავე-სრისეთ! — წარმოსთქვა მან ოდნავ ბორძიკით, თან სიხარულით შესცქეროდა ულიას, რომელსაც ჯერ ისევ ჩაველო ხელი ფორანის კიდისა და მაფრაშისათვის. ულია ოდნავ ჰბერავდა ნესტოებს და შავი თვალებით პატივისცემის გრძნობით შესცქეროდა ჰაბუკს.

ხალხი უბრუნდებოდა გზატკეცილს. დაეძებდნენ მანქანებსა და ფორანებს. ზოგან, ეტყობოდა აქა-იქ მოკლულებსა და დაჭრილებთან ქუჩდებოდნენ ჰაბუკები: მოისმოდა კენესა და მოთქმა.

— შეემშინდა, ხელნარით არ წააქციოს შეთქი! — წარმოსთქვა ულიამ და მღელვარების გამო ტუჩები გაატოკა.

— მეც სწორედ ამისი მეშინოდა თუმცა ავები არ არიან, დაკოდლები არიან, — გულუბრყვილოდ წარმოსთქვა ჰაბუკმა და მზედაკრული დიდრონი ხელები წაუთათუნა უფრო ახლომდგომ ცხენს გაოფლილ პრიალა კისერზე.

შორს, საღააც დონეცთან ბომბების ყრუ და იმავე დროს ძლიერი, მკვეთრი დარტყმები ვაისმა.

— ძალიან მეცოდება ხალხი, — წარმოსთქვა ულიამ, თან ირგვლივ მიმოიხედა.

ვიდრე თვალი გადასწვდებოდა ორივე მხარეზე იმდენი ხალხი და ფორანები მიემართებოდა თითქოს დიდი მქუხარე მდინარე მიღელავსო.

— დიად, ცოდვამ განსაკუთრებით ჩვენი დედები, საშინლად განიცდიან! კიდევ რამდენი რამის ატანა მოუხდებათ! — წარმოსთქვა ჰაბუკმა, უცებ სერიოზული სახის გამომეტყველება მიიღო და მის წლოვანებისათვის შეუფერებელი ნაოქები აეკეცა შუბლზე.

— დიად... დიად... — უსიტყვოდ წარმოსთქვა ულიამ. უმაღლეს წარმოიდგინა დედა, ისე როგორც იწვა იგი. — აგრე პატარა, გადახრუკულ მიწაზე გაშხლართული.

ვიქტორ პეტროვის მამამ ისე უცებ ამოჰყო თავი ცხენების გვერდით, როგორც წელან გაჰქრა და, გადაჰარბებული ყურადღებით დაუწყა შემოწ-

მება საწევ დევლებს, პალდუმებს, სადავეებს. ღიმორვეითა და დამნაშავე-საგით თავის მოკატუნებით, მაგრამ ჩვეული სიღინჯის შენარჩუნებით მასთან მოკვეა ანატოლი პოპოვი, რომელსაც ეხურა უზბეკური ქული. ანატოლის კი მოსდევდა ვიქტორი, ისიც ოდნავ დარცხენილი.

— ჩემი გიტარა მთელია? — უცებ იკითხა ვიქტორმა. თან შეპირებით დახედა ძირს. დაინახა თუ არა, მოქსოვილ საბანსა და ბოხჩას შუა ჩადებული გიტარა, გაბედული ნაღვლიანი თვალებით გახედა ულიას და გაუცინა.

ჯერ კიდევ ცხენებს შუა მდგომმა ჰაბუკმა თითქოს წყალში ჩაყვინთაო, ისე ჩაიყურყურმელავა ცხენებსა და ხელნარსქვეშ, მერე მსუბუქი რხევით გამოატარა განიერ მხრებზე წამომდგარი ქერათმიანი შიშველი თავი და ფორანთან მივიდა.

— ანატოლი! — სიხარულით წამოიძახა მან.

— ოლეგ!

იდაყვების ზემოდ მაგრად ჩასკიდეს ხელი ერთმანეთს, იმავე დროს ოლეგმა ცერად გახედა ულიას და გაუღიმა მას — გულლიად, კმაყოფილებით, მზიარულად.

— კოშევი! — უწოდა მან თავის თავს და ხელი გაუწოდა.

მარცხენა ცალი მხარი მეორეზე უფრო მაღალი ჰქონდა მას. ულიამ დაინხსომა, რომ მას ცხენი მარცხენა ხელით ეჭირა, — ეტყობოდა, ცაცია უნდა ყოფილიყო. იგი ძალიან ახალგაზრდა იყო, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, მაგრამ მის მზედაკრულ სახიდან, მაღალ მსუბუქ ფიგურიდან, თვით ამ კარგად დაუთოვებულ ტანისამოსიდან, ამ მუქი-წითელი ფერის პალსტუკისა და თეთრი საკეცი კალმისტარიდან, მისი მიხვრამოხვრის, ოდნავ ბორძიკით ლაპარაკის მთელი მანერიდან გამოსჭვივოდა სინორჩის, სიძლიერის, სიკეთის, სულიერი სიფაქიზის ისეთი შეგრძნობა, რომ ულია უცებ გაიმსქვალა მრსდამი ნდობით.

მან კი ჰაბუკის უნებლიე დაკვირვებულობით ეღვას უმალ ჰკიდა თვალი ულიას თეთრი კოფითითა და მუქი კაბით შემოსილ წერწეტა ტანს, მინდვრის ალოობას შეჩვეულ სოფლელი გოგონას მოქნილსა და ღონიერ წელს, თვისკენ მიპყრობილ შავს თვალებს, ტალღისებურად დამდგარ ნაწნაებს, გამოკვეთილ ნესტოებს, მუხლების ცოტა ქვემოთ კაბის კალთებით დაფარულს მის გრძელსა და მაღალს მზედაკრულს ფეხებს. ჰაბუკი აენტო, უცებ ვიქტორისაკენ შემოტრიალდა და დარცხენილმა ხელი გაუწოდა.

ოლეგ კოშევი სწავლობდა ქალაქ კრასნოდონის გორკის სახელობის ყვ.ლაზე უდიდეს სკოლაში, რომელიც მდებარეობდა ქალაქის ბაღში. ულიასა და ვიქტორს პირველად ზედავდა იგი, ანატოლისთან კი დაკავშირებული იყო იმ უდარდელი მეგობრობით, რომელიც ხშირად იჩენს ზოლმე თავს აქტიურ კომკავშირელებში მეგობრობის ნიადაგზე. — კომკავშირელთა ერთი კრებიდან მეორემდე.

— ხედავ, სად შევხვდით ერთმანეთს! — წარმოსთქვა ანატოლიმ. — გახსოვს სამი დღის წინათ ყველანი ერთად, ჯარად რომ შემოვედით შენთან, წყალის დასალევად და, ყველას რომ გაგვაცანინა... შენი ბებიია... — გაიცინა მან. — ისიც შენთან მოდის?

— არა, ბე-ბია, და-არჩაი დე-დაც დარ-ჩაი! — წარმოსთქვა ოლეგმა და მის მუხლზე ისევ აიკეცა ნაოქები. — ჩვენ ხუთნი ვართ: — კოლია, დედას ძმა, — ენა ვერ მიბრუნდება, რომ ბიძა დავუძახო, — თან გაიცინა, — მისი ცოლი, მათი

ბავშვი და, ბაბუა,—ჩვენ რომ მოვყევართ,—და თავის გაქნევით ანიშნა წინ მიმავალ ბრიჩკაზე, საიდანაც მას უკვე რამდენჯერმე გადმოსძახეს.

ბრიჩკა, რომელშიაც ება მომცრო ტანის ზერდაგი ცხენი, ახლა შეუჩერებლივ წინ მიიჩქაროდა, ქურანა ცხენები კი ისე ეძალებოდნენ და აწვევდნენ ზურგიდან, რომ მათი სველი ნესტოები კისერსა და ყურებში სიციხეს უბერავდნენ ბრიჩკაში მჯდომთ.

ოლეგ კოშევიის ბიძა — ნიკოლაი კოროსტილოვი, ან უკეთ, როგორც მას ეძახდნენ ხოლმე „ძია კოლია“ ტრესტ „კრასნოდონუგოლის“ გეოლოგ-ინჟინერი — ლურჯა ფიჯაკიანი, ლამაზი, შავწარბებიანი, ცისფერთვალებიანი და ფლეგმატური გამომეტყველების კაცი, — სულ რაღაც ხუთიოდე წლით უფროსი თუ იქნებოდა თავის დისწულზე. იგი ისე მეგობრობდა ოლეგთან, როგორც სწორი სწორთან, და ახლაც, რაღაცას ანიშნებდა ულიაზე, აქეზებდა და აგულღიანებდა.

— ამის ხელიდან გაშვება არ შეიძლება, ჩემო ძმაო, — ისეთი მოსაწყენი ბოხი ხმით ლაპარაკობდა ძია კოლია, რომ დისწულისათვის არც კი შეუხედნია, — ხუმრობა ხომ არ არის, ასეთი მშვენიერი გოგონა რომ სიკვდილს გადაარჩინო! აქ, ძმაო, საქმე უმაჰანკლოდ არ მოგვარდება. ხომ მართალია, მარინა?

— ერთი შენც, დაგწყველოს ღმერთმა! მე კი ისე მეშინოდა...

— არა, შენ ისა სთქვი, ხომ კარგია? — ეკითხებოდა ოლეგი თავის ახალგაზრდა ძალუას, — პირდაპირ საკვირველია, ისეთი კარგია...

— ლენოჩკა?... დაგავიწყდა?... ახ, შე ოლეშკა-დროლეშკა, შენა!... — შესძახა მას ახალგაზრდა ძალუამ და გამჭირდავად მიაპყრო შავი თვალები.

ძალუა მარინა იყო ერთ-ერთი გვარიანი ხახოლი ძალუათაგანი, რომელიც თითქოს ეს-ეს არის უხეიროდ დახატული სურათიდან გადმოსულაო, — მას ეცვა მოქარგული უკრაინული კოფთა და ეკიდა ყელსაბამი. იყო შავგვრემანი, თეთრკბილებიანი, გაწეწილი თმა გაბლანტულ ღრუბლებად ადგა თავს გარშემო. წარმოიდგინეთ, გასამგზავრებლად ამ უცნაურ სამზადისსაც კი არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ ასე მოერთო პირისახე.

მას ხელი ჩაეჭიდა სამი წლის ყმაწვილისათვის, რომელიც უჩვეულო მზიარულებით ეხმაურებოდა ყველაფერს, რაც კი ირგვლივ ზღებოდა, ხოლო ექვადაც კი არაფერი ვაეგებოდა იმის შესახებ, თუ რა საშინელებით სავსე ქვეყანაში იყო მოხვედრილი.

— არა, მე ასე ვიტყვით: ლენოჩკა, მართლაც არის ოლეგის შესაფერი, ეს კი თუმცა ლამაზია, მაგრამ ჩვენს ოლეგს ვერ შეიყვარებს, ოლეგი ჯერ კიდევ ყმაწვილია, ის კი — მოზრდილი ქალიშვილი, — ჩქარა ლაპარაკობდა ძალუა მარინა, თან მოუსვენრად აცეცებდა თავის შავ თვალებს და წამლაუწუმ გასცქეროდა ცას. — ასეა, თუ ცოლი უკვე მოხუცია, მას ყმაწვილები მოსწონს, ხოლო თუ კი იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, არასგზით არ შეუყვარდება მასზე უფრო ახალგაზრდა. ამას მე ჩემი მაგალითის მიხედვით ვამბობ. — ისე სხაპასხუპით ლაპარაკობდა, აშკარა იყო ძალუა მართლაც შეშინებული იყო.

ლენკა პოზდნიშჩევა, ოლეგის თანაკლასელი გოგონა — ახლა კრასნოდონში იყო დარჩენილი. ოლეგი ემეგობრებოდა მას, უყვარდა იგი. თავისი დღიურის ბევრი სტრიქონი ჰქონდა მისდამი მიძღვნილი. იქნებ ოლეგი მართლა ცუდათ მოიქცა მის მიმართ, როცა ასე აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ულიაზე? მაგრამ არა, აბა რა უნდა იყოს ამაში ცუდი? ლენოჩკა ხომ მის სულსა

და გულში ზის სამუდამოდ, საუკუნოდ? იგი ვერსად წავა უღია კი... ისევ თვალწინ წარმოუდგა... ის ცხენებიც, მარცხენა მხარეზე ისევ გრძობდა მათ გაჩქარებულ სუნთქვას. ნუ თუ ყოველივე ამის შემდეგ შესაძლებელია მართალი იყოს მარინა, ესე-იგი ეს ქალიშვილი არ შეიყვარებს. მხოლოდ იმიტომ რომ იგი—ოლეგი ჯერ კიდევ ყმაწვილია! „ახ, შენ მხოლოდ მხოლოდ ლეშკა, შენა!“ მას ჰქონდა შეყვარების უნარი, ამაში დარწმუნებული იყო. ორივე საზიდარი, ბრიჩკა და მოღუნული ხარბებიანი სოფლური ფორანი დიდხანს ეწეოდნენ მანევრირებას ტრამალზე, ცდილობდნენ გაეწროთ კოლონისათვის, მაგრამ კიდევ იყვნენ ასეული და ათასეული აღამიანები, რომლებიც ასევე ლამობდნენ გაჭრილიყვანენ წინ, და ყველგან, ვიდრე თვალი გადასწვდებოდა, ირვოდა ხალხის, მანქანებისა და ფორანების ასეთივე ნიაღვარი.

ოლეგს თანდათან გადააიწყდა უღიაცა და ლენოჩკაც. ყველაფერი შთანთქა ამ უწყვეტმა ნიაღვარმა, რომელშიაც ზღვაზე შეჭრილ მსუბუქ ბაიდასავით ირწეოდნენ ზერდაგტენიანი ბრიჩკა და ქურანაცხენებიანი ფორანი.

ქვეყნიერების ყოველი მიმართულებით გადაჭიმულიყო ვრცელი და უკიდურესად ტრამალი. პორიზონტის გაყოლებით დგებოდა ხანძრების შავი ბოლი და მხოლოდ სადღაც შორს, აღმოსავლეთის მხრით, მტრედისფერ ცის კიდზე ირვოდნენ და ქრდებოდნენ სუფთა, გამკვივრვალე ღრუბლები. ისეთი წარპტაცი სანახავი იყო ეს, საკვირველი არ იქნებოდა, რომ იქიდან გამოფრენილიყვანენ თეთრი ანგელოზები—ვერცხლის პატარა ბუქებით ხელში...

ოლეგს მოაგონდა თავისი კეთილი, რბილხელებიანი დედა...

...დედა! დედა! მე მახსოვს შენი ხელები იმ წამიდან, რაწამსაც ამქვეყნად პირველად შევიგრძნე საკუთარი თავი: ამ ხელებს ზაფხულობით ყოველთვის მზე ეკიდებოდა, ის ზამთარშიაც ყი აღარ სცილდებოდა კანს,—ნაზი, სწორი და ოდნავ მუქი პაწია ძარღვების ზემოდან. იქნებ შენი ხელები უბეშნიც კი იყვნენ, იმდენი სამუშაო შეუსრულებია მათ მთელს შენს სიცოცხლეში, მაგრამ მე მუდამ ნაზად მეჩვენებოდნენ ისინი და, გატაცებით მიყვარდა მათი კოცნა ზედ პატარა მუქ ძარღვებზე.

დიად, სწორედ იმ წამიდან, რაწამსაც შევიგრძნე საკუთარი თავი, ვიდრე უქანასკნელ წუთამდე, როცა შენ ქანცმილეულმა, უქანასკნელად თავით ჩემად მომეყრდნე მკერდზე. მთელს ჩემს სიცოცხლეში ყველაზე უმძიმეს მგზავრობაში წასვლის წინ, ყოველთვის აღტანელ შრომაში მახსოვს შენი ხელები. მახსოვს, როგორ გამალებბოთ, მოუსვენრად ტრიალებდნენ ისინი სანის ქაფში ჩემი ჭუჭყიანი ზეწრების გარეცხვისას, მაშინ, როცა ეს ზეწრები ჯერ კიდევ აკნის ბავშვის ქვესაფენებივით პატარები იყვნენ; მახსოვს ზამთრობით ჯუბაჩაში გადაცმულს, რა ჭაპანწყვეტით მოგჭონდა მხრეულზე ჩამოკიდებული წყალით სავსე ვედრები; მახსოვს, როგორ გეკიდა ხელთათმანებიანი ხელი, თვითონაც ისე პატარას, როგორიც ეს ხელთათმანები იყო. ვხედავ, ახლაც ვხედავ, ჩემს სახელმძღვანელო „დედა-ენაზე“—დაწყობილს, სახსრებზე ოდნავ გამსხვილებულს შენს თითებს და, შენთან ერთად ვიმეორებ: „ანი“, „ბანი“, „განი“... ვხედავ, როგორ შეგაქვს შენი ძლიერი ხელით ნამგალი პურში, მეორე მუჭში ჩაბლუჯულ ღეროებს პირდაპირ ნამგალზე აწყობ, ვხედავ ნამგლის თვალშეუწრებ პრიალს, მერე კი ამ წამიერად თანაბრად ქალურ მოძრაობას ხელებიანს და ნამგლისას, რომელიც თავთავებს ფრთხილად აწყობს ძნებზე, რომ არ გადაიმტვრეს მოთიბული ღეროები.

მე მახსოვს შენი ხელები, დაუღალაენი, აწითლებულნი, გათოშონი ყინულჭირლის ცივ წყალში, სადაც შენ ამოაველებდი ხოლმე თეთრეფლს, როცა ჩვენ მარტონი ვცხოვრობდით,—მაშინ მეგონა, მხოლოდ ჩვენ მარტონი ვცხოვრობდით ამქვეყნად; მახსოვს, რარიგად შეუმჩნევლად და ტყვეობის მოწყენებლად ამომიღებდი ხოლმე ხიჭვებს თითებიდან; მახსოვს, რასწრაფად უყრიდნენ შენი თითები ნემსში ძაფს, როცა შენ ჰკერავდი და მღეროდი... როცა შენ მღეროდი შენთვისა და ჩემთვის... არა არის რა ამქვეყნად ისეთი რამ, რისი გაკეთებაც არ შეეძლოთ შენს ხელებს, რასაც შეუშინდებიან ისინი! მე მინახავს, თუ როგორ ურევდნენ ისინი ერთმანეთში თიხასა და საქონლის განავალს ქობის შესაღუსად, მე მინახავს აბრეშუმის ტანისამოსის სახელოდან გამოყოფილი შენი ბეჭდებიანი ხელები, შენ იღებდი მოლდავეური ღვინით სავსე კიქას. რაოდენი მორჩილებით სავსე, და იდაყვების ზემოთ თეთრი შენი მკლავები შეპოხვეოდნენ ხოლმე ჩემს მამინაცვალს, როცა იგი ვაგეთამაშებოდა, ავიყვანდა ხელზე, — მამინაცვალს, რომლისადმი სიყვარული შთამაგონე შენ, და რომელსაც პატივს ვცემდი, როგორც ალალ მამას, მხოლოდ იმისათვის, რომ შენ გიყვარდა იგი.

მაგრამ ყველაზე უფრო სამარადისოდ დამამახსოვრდა ის, თუ რა სათუთად მეფერებოდნენ შენი ოდნავხაოიანი, აგრე თბილი და იმავ დროს გრილი ხელები, რარიგად მისეამდი ხელებს თავზე, კისერზე, როცა გონიხდითი ვიწეჭი ხოლმე ლოგინში. და რა დროსაც არ უნდა გამეხილა თვალები, შენ მუდამ ჩემს გვერდით იყავი, ოთახში ბეჭტავდა ღამის სანათური, შენ კი სიბნელიდან შემომცქეროდი შენი ჩაგარდილი თვალებით. შენ — აგრე ჩემი და ნათელი, ხატივით შეუშეფრქვეული მე სასიოებით ვკოცნი შენს სუფთას, უწმინდეს, სათნო ხელებს!

შენ ომში გაისტუმრე შეილები, — შენ თუ არა — სხვამ გაისტუმრა, ისეთმა, როგორიც შენა ხარ, — ბევრი მათგანის ნახვას ვერასოდეს შეესწრები, და თუ ეს ხედრი შენ ავცდა, იგი არ ასცდა სხვას, ისეთს, როგორიც შენა ხარ. მაგრამ, თუ ომის ქარიშხლიან დღეებში ადამიანებს გააჩნიათ ლუკმა პური და ტანზე რაიმე ჰმოსავთ, თუ მინდვრად დგანან ძნები და ზეინები, თუ რელსებზე მიჰქრიან მატარებლები, თუ ალუბლები ჰყვავიან ბალში, თუ ცეცხლი გიზგიზებს შინ, ვილაცის უჩინარი ძალა მიწიდან, თუ ლოგინიდან ფეხზე აყენებს მებრძოლს, როცა იგი ავად გახდა, ან დაიჭრა, — ყოველივე ეს გააკეთეს ჩემი დედის, იმისი დედისა და, მრავალ სხვათა დედების მზრუნველმა ხელებმა.

მიმოიხედე ირგვლივ შენ, — ჰაბუკო ჩემო, მეგობარო ჩემო, მიმოიხედე ჩემსავით და, სთქვი, — ვის აწყენინე შენ დედაზე უფრო მეტად შენს სიცოცხლეში, ვის აწყენინე! — ვანა ჩემი, შენი, იმისი და სხვა მრავალთა მარცხის, შეცდომებისა და უბედურების გამო არა ჰქალარავდებიან ჩვენი დედები? მოვა დრო, როცა ყოველივე ეს მქენჯნავი საყვედურის მწეავე შეგარძნობად დატრიალდება გულში — დედის საფლავთან!

დედა, დედა!.. მაპატიე მე, რადგან ამქვეყნად მხოლოდ შენ შეგიძლიან მიტევა და პატიება! დამადე ხელი შუბლზე, ისე როგორც ჩემს ბავშვობაში იცოდი ხოლმე და, მაპატიე...

ამდაგვარი და, შესაძლოა არა სავსებით ამდაგვარი ფიქრი და გრძნობა უტრიალდება ოლეგს თავში. აღარ შეეძლო დაეიწყებოდა ის ამბავი, რომ დედა „იქ“ დარჩა, რომ „იქ“ დარჩა ბებია ვერა — მეგობარი... მკაცრი დღეებისა, — რომელიც იყო ისეთივე დედა, დედა მისი დედისა, და ძია კოლიასი,

რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინათ ეგრე ლაყბობდა ცხოვრებისაგან რა-
ღაც მოწყვეტილ რამეებზე... ბებია ვერაც „იქ“ დარჩა.

ოლეგის სახემ დინჯი და უმოძრაო გამომეტყველება მიიღო, მის ვერც-
ხლისფერწამწამებიან დიდრონ თვალებს ნესტიანი რიდე აეფარა. იგი მო-
კუნტულად იჯდა, ფეხები განზე გადმოეწყო, დიდრონი ხელების თითები
ერთიმეორეში ჩაეჭიდა და მონუსხულ შუბლზე მკვეთრად ამოზურთხელ
გრძელი ნაოჭები აჰკეცოდა.

ძია კოლია და მარინა მიყუჩდნენ, ჩუმად იჯდა მათი პატარა ვაჟიც, ასე-
თივე სიჩუმე დამკვიდრდა მომღვენო ფორანზეც, მერე ზერდაგი და დიდ-
რონი ცხენები მოიჭანცნენ ამ პაპაქანება სიცხეში და ორივე ფორანი შეუ-
ჩნევლად გავიდა გზატკეცილზე, რომელზედაც დაუსრულებლივ მიედინებო-
და ადამიანებისა, მანქანებისა და ფორანების უწყვეტი ნიაღვარი.

და რაც არ უნდა გაეკეთებინათ: ფიქრობდნენ, თუ ლაპარაკობდნენ—ადა-
მიანთა უბედურების ამ უდიდეს ნიაღვარში, — ოხუნჯობდნენ, ეყვინთებო-
დათ, ძუძუს აწოვებდნენ ბავშვებს, ეცნობოდნენ ერთიმეორეს, თუ იშ-
ვითად შეხვედრილ ჰებზე წყალს ასმევდნენ ცხენებს, — ყოველივე ამას,
და ყოველივე ამის ზემოთ გადაშლილიყო ზურგიდან წამოწეული უხილავი
შავი აჩრდილი, რომელიც ვეება ფრთებით მიბჯენოდა შორს, სადღაც ჩრდი-
ლოეთსა და სამხრეთს, და რომელიც გაცილებით უფრო სწრაფად იშლებო-
და ტრამალზე, ვიდრე ადამიანთა ეს ბობოქარი უწყვეტი ნიაღვარი.

და შეგრძნობა იმისა, რომ ისინი იძულებით სტოვებდნენ მშობლიურ მი-
წა-წყალს, ახლობელ ადამიანებს, გარბოდნენ უცხო მხარეში, — შეგრძნობა
იმისა, რომ ის უღმობელი ძალა, რომელმაც გადმოჰფინა ეს შავი აჩრდილი,
შეიძლება წამოწეოდა და გაესრისა ისინი, — უმძიმეს ტვირთად აწვა გულზე
ყოველ მათგანს.

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი კოლიო აბრამიანი



ალაშ მისკავერი

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

პაემანი ზეზუი

ქალი სწუხს: — „შენ ხარ? ეგრე გვიან?“ — „გზა დაძეკარგა, —
მას ეტყვის ვაჟი, — გარს მეხვია ტყე უდაბური!
ფიქრობდი ჩემზე? მოგეწყენა?“ — „ხარ უმადური,
შემეძლო, მითხარ, ფიქრი სხვაზე, ჩემო, შენს გარდა!“

— „ნებას გთხოვ: ხელი ჩამოგართვა. კანკალებ? რათა?
ფეხთ დაგიკოცნი.“ — „შე არ ვიცი. ო, აჭაური
მაშინებს სტვენა ფრინველების, ფოთოლთ ხმაური...
სჩანს, დავაშავეთ, რომ ვერ იტევს გული ღელვათა!“

— „აბა, თვალებში შემომხედე: ბოროტს ვინ მისცა
სახე ასეთი, ან კიდევ შფონთს ღიმილი პირზე?
თუმც ერთად ვზივართ, დანაშაულს არ გვითვლის მიწა.“

მე ზომ შორსა ვარ, მოკრძალებით შორიდან გიმზერ,
ოჰ, ანგელოზო ქვეყნიურო, მინათებ, ვით მზე,
თითქოს შენ ჩემთვის ანგელოზი გამხდარხარ ცისა“.

თარგმანი იანსაჟანისა



კონსტანტინე გამსახურდია

ჟურნალ „ზნაობის“ რედაქციის საკასუხო

ცხადია, არაფერი ისე არ ესაჭიროება მწერლობის განვითარებას, როგორც ჯანსაღი და საქმიანი კრიტიკა, კრიტიკა პრინციპული, რომელიც ვნების მომტანი არაა, თუგინდ ნეგატიურ დასკვნებამდისაც მიდიოდეს იგი ხანდახან. ჩვენს დიდ კავშირში შემავალი ხალხთა შემოქმედებანი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ერთგვარი ოლიმპიადა, რომელიც იმართებოდა ხოლმე ძველბერძნულ ტომებს შორის ოდესღაც.

ჩვენი დიდი ბელადები ლენინი და სტალინი ჰუდამ ურჩევდნენ ყოველი პროფესიის ხალხს: ყოყმანობას განერიდეთო. ლიტერატურათა ისტორიას რომ დავაკვირდეთ, უთუოდ დავრწმუნდებით, რომ არც ერთ დროსა და არც ერთ ხალხში, არც უსაფუძვლო ზოტბას აუშენებია, არც თუ დაუსაბუთებელ გინებას დაუქცევია ვინმე.

უსაფუძვლო ძაგება ყველაზე ნაკლებად ავნებს ხოლმე მწერალს სწორედ ჩვენს კავშირში, სადაც კულტურის ბედს განაგებენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ყალბ თამასუქებს ვერაფერ შეაჩეჩებს. აქ საგულისხმოა ჩვენი ხალხიცა; ბოლშევიკურმა პარტიამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე გაზარდა ისეთი კვალიფიციარებული კადრი მკითხველებისა, არა მარტო ინტელიგენტურ წრეებიდან, არამედ კოლმეურნეთა, წითელარმიელთა და მუშათა რიგებიდან გამოსულნი, ვერც აქ გავლენ ფონს, ისეთი კალმონები, რომელნიც თანაბარის ბრძენმეტყველებით მსჯელობენ ხოლმე, როგორც ბავლოვის ფიზიოლოგიური რეფლექსების, ისე ისტორიის ურთულესი პრობლემებისა, გინდ კომბოსტოს დამყავების გამო.

ჩვენში, ზოგიერთ წრეებში დამკვიდრდა ისეთი აზრიც, თითქოს კრიტიკოსი ისეთი ჯადოქარი ვინმე იყოს, რომელსაც შეუძლია რამდენსამე დღეს ჩაუჯდეს და წინასწარი ჰომუნდების გარეშე განქიქოს და განიკითხოს ყოველივე, რაც ამა თუ იმ მწერალს ათეული წლის თავადლებელი შრომის შედეგად შეუქნია ხოლმე. კრიტიკოსს მიეტყვება სახელდახლოდ შეხანხლულ ფელეტონში ჩამოფქვას ხოლმე თავის შთაბეჭდილებანი. რამდენადაც ვიცი, აგრე არა სწერდნენ ჰიპოლიტ ტენი, ბელინსკი და ბრანდესი.

როცა ისინი ამა თუ იმ მწერალს გაესაუბრებოდნენ, ან გაეკამათებოდნენ, ბრწყინავდნენ გონებაბახვილობით, ერუდიციით და ხშირად ახალი შუქითა და გაგებთ შემოსავდნენ იმ საგანს, რომელსაც ესა თუ ის მწერალი შეჰხებია ხოლმე.

ჩვენ ვერ შევრიგებვიართ ჟურნალისტურ დილექტანტიზმს ზოგი კრიტიკოსისას, მათ დაუღვევარ ჯღაბნის მანერას და უმწეო უფიცობას.

ცხადია უსაფუძვლო შთაბეჭდილებათა გამოთქმას თუ აყვავება, ქალღმერთი კამეჩზე ამტანი აღმოჩნდება უთუოდ და ყოველ კაცს შეეძლება განაცხადოს: არ მომწონს ეიფელის კოშკი, რადგან მანდ სემირამიდის ბალები არაა გამართული, არც სიქსტინის კაპელა, რაკი მიქელანჯელომ ფოქსტროტის მოცეკვავე ანგელოსები არ გამოსახაო მანდ. **სიხარულითა**

ერთმა ჰეილიანობაში ფრანგმა გენერალმა წიგნი დასწერა ამას წინად, სადაც იგი გულმოდგინედ ამტკიცებდა: ნაპოლენ ბონაპარტე რეალურად არც არსებულა ისტორიაში, იგი სოფნამბულისტებმა გამოიგონესო. ნუ იტყვით, „ისტორიულ საბუთებსაც“ იშველიებდა იგი.

ხოლო ერთმა გერმანელმა მწერალმა ვაიმარში გამოსცა სქელტანიანი წიგნი რომელშიაც მთელ ქვეყანას არწმუნებდა: ვალილეი და კობერნიკი სტყუიან, მიწა როდი ბრუნავს, მზე უელისო წრეს მიწის გარშემო.

რა გაეწყობა, არიან აღამიანები, რომელნიც ამგვარი შეკამათებით ამცნობენ ქვეყანას თავიანთ არსებობას, იბადებიან ისეთნიც, რომელთაც სიყმაწვილეში ჰქუისმიერი სისუსტე დასჩემდებათ, ხოლო სიბერეში გადასულთ ყმაწვილური ცუნდრუკი მოსდგამთ.

წადი და ელავე ასეთ აღამიანებს. იმპრესიონისტული კრიტიკის ჰირვეულობით სნეულნი ხშირად აფარებენ თავს ცნობილ სენტენციას: გემოვნების გამო არ დაობნო, რომ ამტკიცებს. შთაბეჭდილებებს თქვენი ჰირა წაუღია. მწერლობას, საერთოდ ხელოვნებას, სამწუხაროდ, არ გააჩნია აქსიომური ჰეშმარტებანი უმაღლეს მათემატიკის დარად და ამიტომაც „გემოვნების“ ფლაგს აფარებულნი, ხშირად ისეთ რამეებს გაგიბდიან სადაოდ, რის გამოც მცოდნენი და საქმეში ჩახედულნი არც კი დაობნენ ხოლმე.

ჟურნალ „ზნამიას“ 1945 წლის № 9-ში გამოქვეყნდა წერილი ჩემი რომანების: „დიდოსტატის მარჯვენისა“ (რუსული გამოცემა, მოსკოვი, 1944 წ. „გოსლიტიზდატი“) და „დავით აღმაშენებლის“ შესახებ. (რუს. გამოც. მოსკოვი, „სოვ. პისატელი“, 1945 წ. და ჟურნ. „ნოვი მირ“, 1944 — 45 წ.).

სხვა შემთხვევაში ამგვარ პამფლეტს დემილით ეუპასუხებდი უთუოდ, მაგრამ რაზდენადაც იგი დაბეჭდილია საქმათდ სოლიდურ ჟურნალში და აქ მარტოოდენ იმპრესიონისტული შთაბეჭდილებების გამოთქმასთან როდი გვაქვს საქმე, არამედ მრავალ ფაქტურ გაყალბებასთან, იძულებული ვარ ამ რეცენზიის გამო მცირეოდენი შენიშვნები ვაახლო ჩემს მკითხველებს.

მისი პოლიტიკური ინსინუაციის არგუმენტი ამგვარია: თურმე ნუ იტყვით და მე განზრახ მიმიჩქმალავს ჩემს რომანებში X — XI-ს. რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობანი, განზრახ არ ამისახავს იგინი.

„Романы Гамсахурдиа замкнуты, не гостеприимны, сწერс რეცენზენტი, в романе „Десница великого мастера“ Русь вовсе не упомянута“. ხოლო შემდეგ აბზაცში სავსებით თავხედურ პროვოკაციასთან გვაქვს საქმე. იგი სწერს: „Россия не должна хлопотать о месте в романах Гамсахурдиа, это место принадлежит ей по истории“.

გულდინჯი რეცენზენტი ჯერ საფუძელიანად შეისწავლიდა ამ ეპოქას, გამოიკვლევდა არსებობდნენ თუ არა რაიმე პოლიტიკური ან კულტურული ურთიერთობანი ამ ორ ერს შორის მე-10 — 11 საუკუნეებში, გასინჯავდა და შეისწავლიდა ქართულ, რუსულ, გინდ ბერძნულ წყაროებს და ასეთებს თუ აღმოაჩენდა, შემდგომ ამისა წამიყენებდა ამგვარ ბრალდებას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „ჩვენ არ ძალგვიძის ისტორიის არც გამოგობნება, არც გაუარესება.“

მე სიამოვნებით გავაუმჯობესებდი ისტორიას, ამის უფლება და ძალა რომ შემწვედეს. ამ ეპოქის შესასწავლად მე ორ კვირას როდღე მიმეშვენია, არამედ ბარე ორიოდე ათეული წელია ამ ორი საუკუნის შესწავლას ვალგვივარ და ამიტომაც შემიძლია განვაცხადო: არც რუსულ, არც ქართულ, არც სომხურ და არც ბერძნულ წყაროებში რუს-ქართველთა შორის რაიმე ურთიერთობის ნიშან-წყალიც არ არსებობს ამ საუკუნეებში.

თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ ქართულ ქრონიკებში (წ. 1) გაკვრით მოცემულია ერთი უმნიშვნელო ცნობა: მე-10 საუკუნე, როცა საქართველოს მეფე დავით კურაპალატი და ვლადიმირ მონომახი ბასილი ბულგართა მმუსერელს ეხმარებოდნენ, ტრაპიზონის მახლობლად, რუსი და ქართველი ცხენოსნები თივის ბულულის გამო წაეკიდნენ თურმე ურთერთს, აზნაურებიც ჩაერიენ ამ კინკლაობაში და რამდენიმე კაცი მოჰკლეს თურმე.

ცხადია, ამ უმნიშვნელო ამბავს, ჩემი მიზნებისთვის სავსებით უხმარს, შეგნებულად ავეუქციე მხარი.

ვინც ამ საუკუნეთა ისტორია ოდნავ მაინც იცის, მისთვის ნათელია, რომ X — XIII ს. საქართველოს და რუსეთს შორის ჩინური კედელივით აღმართული იყო საკმაოდ კომპაქტური ორდები პაჭინკებისა და ყიფჩაღებისა, კასპიის ზღვიდან ვიდრე ბალკანეთის მთებამდე, სელჯუკების ბატონობის შემდეგ, მე-13 — 15 ს. ეს ბარიერი შესცვალეს მონღოლებმა, რომელთა წინააღმდეგ, ურთიერთისაგან დამოუკიდებლად, მხარდამხარ იბრძოდნენ რუსეთისა და საქართველოს სამეფოები. ისეთ საუკუნეებში, როცა ევროპელები ტარტართა შიშისაგან ცახცახებდნენ, რუმბუკუსისა და მარკო პოლოს კითხვისგანაც, ასე რომ რეალური ურთიერთობანი ქართველთა და რუსთა შორის შესაძლებელი გახდა მხოლოდ მე-16 საუკუნეში. (შეად. Переписка грузинских царей с русскими государями. ბროსეს გამოცემა 1861 წ.).

ცნობილი შეცნეირი, აკადემიკოსი გრეკოვი წერს: Половцы отодвинутые было за Дон во время Мономаха, снова начинают надвигаться на южные пределы Руси в 12 в. Этот напор степных кочевников достигает огромной силы.¹

არც მე-12 ს. არსებობდა რაიმე არსებითი ურთიერთობანი საქართველოსა და რუსეთს შორის, ის გიორგი უფლისწული—царевич, რომელსაც უვიცი რეცენზენტი იერი დოღგორუკის ძეს (?) უწოდებს, ნამდვილად იყო რუსთა მეფის ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი. გიორგი მოიყვანეს ქართველმა დიდებულებმა ყიფჩაღთა ქალაქ სვინჯადან. (იხ. ქართლის ცხოვრება, ბროსესს მიერ გამოცემული). გიორგი ბოგოლიუბსკი არ იყო ტიბიური რუსული ხასიათი, ასეთი ავანტიურისტა რაინდი მრავალი დახეტიალებდა საშუალ-საუკუნეთა ევროპაში. გიორგის იხსენიებს რუსი მემატიანე როგორც „Князь изгой“-ს.

რუს-ქართველთა ურთიერთობანი, როგორც აღვნიშნეთ, იწყება მხოლოდ და მხოლოდ მონღოლთა ბატონობის დამხობის შემდეგ. მე ვწერ

¹ იხ. აკად. გრეკოვის წინასიტყვა Слово о полку Игореве-სადმი მიძღვნილი, „Сов. писатель“, მოსკოვი, 1945 წ.

მთელს სერიას რომანებისას პირველი ათასეული წლების მიწურულიდან 1801 წლამდე, ასე რომ, ცხადია, ამ ურთიერთობას ჯეროვან ადგილს დავუთმობთ თავის დროზე და თავის ადგილას.

ასეთი კავშირები მე-10—11 ს. კიდეც რომ არსებულყო, მხატვრული ასახვა ამა თუ იმ ქვეყნისა, არც ისე ადვილია, როგორც ეს ზოგიერთ ზერელე ეურნალისტს წარმოუდგენია.

მე-19 ს. საქართველოსა და კავკასიაში დიდხანს იცხოვრეს რუსული მწერლობის დიდმა ოსტატებმა პუშკინმა, ლერმონტოვმა, ტოლსტოიმ და გორკიმ, მაგრამ არც ერთ მათგანს ქართველი ხალხი და მისი წარსული არ აუსახავთ.

რატომ? ქართველ ხალხს არად აგდებდნენ ისინი? არა. ეგ იმიტომ, რომ ხსენებული მწერლები მეტად ფრთხილი და ჰკვიანი ოსტატები იყვნენ. მხოლოდ ლეონ ტოლსტოიმ გაჰბედა მისთვის უცხო ქვეყნისა და უცხო ტომის შვილის, პაჯი მურატის მხატვრული სახის მოცემა, მაგრამ ნუ დაგვაფიქვდება, მას მრავალი რამ უწყობდა ხელს: ხანდაზმული დაკვირვებანი, პირადად მოხვეჭილი კავკასიაში, ბოლოს დიდძალი მემუარული ლიტერატურა. მაგალ. Сборник сведений о кавказских горцах, ლერნერის პაჯი მურატი (შეად. Машковская. Работа Л. Толстого над Хаджи Муратом), ვერდეროვსკის შესანიშნავი ჩანაწერები და რუსი გენერლების უამრავი მემუარები. ეს გენერლები გახლდათ, არა მარტო კარგი კომანდირები, არამედ დიდად განსწავლული ეთნოგრაფები და ისტორიკოსები. საკპარისია პოეტო რომ ვახსენოთ.

ხოლო მე მიხდება ფრიად შორეული წარსულის ყოფა აესახო, ყოველივე ბელეტრისტული მასალების უქონლად. ყოველგვარი წინამორბედის გარეშე, ხშირად, უმცირესი დეტალის მოსაპოებლად მრავალი ტომის შესწავლაა საჭირო. ამგვარ სამუშაოზე აქვს სწორედ ნათქვამი ფლობერს: ესა ჰგავსო კლანჭებით პიტალ კლდეზე ფხოქნას.

ჩემს რომანებში ავსახე კიდეც არა ქართული ქვეყნებისა და არა-ქართველთა ყოფა, თუ მივიღებთ მხედველობაში ალექსი კომნინის პორტრეტს, ტოგორტაცსა და ტოგორტას, ბიზანტიელ სენატორს კასსავილას, ბიზანტიელ ეპისკოპოსებს და სხვათა. იმპერატორის ცერემონიალი გამოსვლები, ომები და ბრძოლები, მაგრამ ეს შემადგებინა ბიზანტიური ქრონიკებისგან ნასესხებმა მასალებმა.

ჩვენ თვალწინ დაიწერა ა. ტოლსტოის რომანი პეტრე I ცხოვრებიდან. ცნობილია პეტრეს პოლიტიკური კავშირი ჰქონდა საქართველოს მეფე ვახტანგ მე-6-თან. რუსები და ქართველები ერთად ებრძოდნენ იმ ხანებში ირანს. პეტრეს ჰყავდა რამდენიმე ჩინებული ქართველი არტილერისტი. ეს ამბები არ აუსახავს ა. ტოლსტოის.

იოანე მრისხანე მოუწოდებს თავის ჯარს: იბრძოლეთ ისე, როგორც ქართველთა დედოფალი ებრძოდაო მტერს. ბარე ორი დრამა დაიწერა იოანე მრისხანეს ცხოვრებიდან, მაგრამ ავტორებს საჭიროდ არ უცვნიათ ამ ფაქტის აღწერა. რა ვუყოთ მერმე, ჩვენ იმის მაღლობელიცა ვართ, რაც მათ შესძლეს.

ბარე 150 წელია, რაც რუსეთსა და საქართველოს საერთო სახელმწიფოური სისტემანი აკავშირებენ, მაგრამ ჯერ ვერც ერთ რუს მწერალს ქართ-

ველი კაცის ხასიათები ვერ მიუცია მხატვრულად და ამომწურავად და ვერც ქართველ მწერალს — რუსული ყოფა.

მით უმეტეს, ჩემთვის შეუძლებელი იყო არარსებულ ურთიერთობის ფონზე გამოემესახა რუსული ტიპი, ან ყოფა. ვედილიყავი „ისტორიის გაუმჯობესებას“ უფროდ გამომივიდოდა მხატვრული ნონსენსი, „ლუბოკი“.

ბოლოს ერთი ვიკითხოთ: რატომ ვერ შესძლო რომელიმე ჩვენმა თანამედროვე მწერალმა მე-10—12 ს. რუსული ცხოვრება აესახა მხატვრულ სახეებში? პასუხი ნათელია. ეგ იმიტომ, რომ „სლოვო ო პოლკუ იგორევეს“ ეამინდელი რუსული ყოფითი ინვენტარი თვით დიდი მეცნიერების შემეცნებისთვისაც მუწვდომელია ჯერაც. ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევაში ისტორიული მეცნიერება წინასწარ გზას უნდა უკაფავდეს მწერალს და ამიტომაც თუ ეს რუსმა მწერლებმა ვერ შესძლეს, მით უმეტეს შეუძლებელი იყო ჩემთვისაც. მაშ რად მოითხოვს რეცენზენტი ჩემგან იმას, რაც ვერაინ შესძლო ჯერხნობით?

თუ შემოდგომისგანებული ბრალდებით რეცენზენტი ცდილობს დამაბეზლოს რუსი მეგობრებისა და მკითხველების წინაშე, ახლა სხვა რიგ ხერხს მიმართავს სომეხი მეგობრებისა და მკითხველების მოსამღურებლად. „ზნამიას“ რეცენზენტი სწერს: „Давид был женат на безобразной армянке. Безобразие этой женщины описано подробно“.

აქსათანავე იგი უმაღავს თავის მკითხველს, რომ დავით აღმაშენებლის ავტორს იმავე რომანში ჰყავს აღწერილი ამავე დედოფლის უღამაზესი მხევალი ქალი ლაკლაკა, აგრეთვე ტომით სომეხი, რომელიც უბირ ხალხს დედოფალი ეგონა.

«Другие рассматривали Лаклаку пышную, высокогрудую прислужницу Русудан и принимали горничную за царицу». (იხ. Давид Строитель I к. стр. 51).

შემოგომი ბრალდება, აგრეთვე პოლიტიკური ხასიათისა, „ზნამიას“ რეცენზენტის მიერ წამოყენებული, ამგვარი: თითქოს მე ჩემს რომანებში ხალხისა და შრომითი პროცესების მხატვრულ გამოსახვას გავურბოდე, მართო მეფეთა კარის ცხოვრებას აღწერდე თითქოს.

სანიმუშო მაგალითად მიყენებს ლ. ტოლსტოის, ალ. ტოლსტოისა და გორკის. ერთი რამ: არც ერთი შემოდღასახელებულ ოსტატთაგანი მე-18 ს. არ ვასცილებია.

მე კი ხსენებულ რომანებში აღწერ ისეთ სოციალურსა და პოლიტიკურ ვითარებას, როცა ბატონყმობა ჯერაც არ იყო განმკვიდრებული, მაშინ საქართველოში არსებობდა პატრონყმობა. სავსებით უცნობი ინსტიტუტი რუსულ მატრიანებში.

ვერც აქ შევძელი მე „ისტორიის გაუმჯობესება“, რადგან ისტორიის ფალსიფიკაციას არ ვეწევი საერთოდ. გარდა ამისა, იმ ეპოქებში ხალხს არამც, თუ სახელმწიფურ გამგებლობაში არას ეკითხებოდნენ, სახელისნობების, საჯინიბოების, თორნეების, ზეთისსახდელი ქარხნების გადაღმა არ უშვებდნენ.

ხალხის შრომისა და ბრძოლის პროცესები უზვადაა მოცემული ორივე რომანში, როგორ წრთიან დავით მეფის ყმანი ცხენებს, როგორ აკეთებენ საომარ, მოძრავ კოშკებს, როგორ იბრძვიან, როგორ იღებენ ციხეებს, თბრიან ხანდაკებს და სხვა.

დიდოსტატში მთელი პასაჟები მოცემული, თუ როგორ აგებენ ლაზი, ბერძენი და იბერიელი მონები ტაძარს, თვით ბერები მუშაობენ ვენახებში, თავათ არსაკიძე დადის ხარაჩოებზე, თავათ თლის ქვას, დაშავდება კიდევაც ხარაჩოებიდან ჩამოვარდნისას.

ეროვნული

ხალხის, ხელოსნების წრიდანაა გამოსული მთავარი გმირი დიდოსტატი-სა, არსაკიძე, ხელისძე, ბოდოკია. დავით აღმაშენებელში მელორე ავეჯ-დაიძე, მებრძოლი გლეხი ხორგაი და მისი მამაცი შვილები, უბრალო ბერები, ანთომოზ, უჭრუაი და სხვა. ვიორგი პირველის მეგობარი მალე მსრბოლი უშიშარიისძე, ქალები: ვადრისახარი, არსაკიძის დედა, ნაყიდი მხევალი ეფე-შია, დიაკვანი ზნაურა, ვიორგი მეფის სიყრმის მეგობრება — გაბო და ქი-ტესა და სხვანი. ამათ ყველას ვერ ამჩნევს რეცენზენტი და მე მამბრალებს ხალხს ვერ ხედავსო. ეს ყოველივე მას ესაჭიროება, რათა დაამტკიცოს, რომ ჩემი რომანები მეფეთა კარის რომანებია. ეს ყოველივე მოსდის მას არა მარტო გაბოროტებისა, არამედ სარეცენზიო წიგნებში აღწერილ ეპო-ქების არცოდნის გამოც.

ამას ამტკიცებს ქვემოთ ჩამოთვლილი ქრონოლოგიური აღრევანი:

1. „ზნაშიას“ რეცენზენტი სწერს: Шота Руставели относится к эпохе действия романа „Десница великого мастера, как Л. Толстой к эпохе Пушкина“.

ჩვენში ყოველმა პიონერმაც იცის, პუშკინსა და ლ. ტოლსტოის შორის სულ 40-დე წლის ხარვეზია, ჩემი რომანი დიდოსტატი თავდება 1027 წლის ამბებით, ხოლო რუსთველის პოემაში ოციოდე საუკუნის შემდგომი ვითა-რებანია გამოსახული.

2. რეცენზენტი სჩივის: სელჯუქიანებს ხელოსნებად ქრისტიანი სომხები და ბერძნები ჰყავდათ, დიდოსტატში ხელოსნები არა სჩანანო.

თუმცა ათეული გვერდია დიდოსტატში მათდამი მიძღვნილი, თუ როგორ აგებენ კალატოზები ტაძარს, როგორ შიშვილობენ ოსპის წვენის ამარა, რო-გორ გაჩნდა ქირი, როგორ ცევიანი ხარაჩოდან ოსტატები და იხოცებიან, როგორ თლიან ქვას, როგორ წვალაობენ ხარაჩოებზე ატანისას და სხვა.

სელჯუქები აქ არაფერ შუაშია, რადგან ისინი მხოლოდ რამდენიმე ათე-ული წლის შემდეგ შემოიჭრნენ ირანში.

3. რეცენზენტი ახსენებს მარკო პოლოს და გვიან რენესანსს. აქაც ქრო-ნოლოგიურ აღრევასთან გვაქვს საქმე. ეგებ მას ჰგონია რომ მარკო პოლოს 1027 წლამდე ემგზავროს წინა აზიავი, ან ეგებ გვიანი რენესანსი ეგუ-ლებოდეს მას ამ ეპოქაში? რენესანსის გამო საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდ-გენა რომ ჰქონია ჩვენს რეცენზენტს, ეს მისივე სიტყვებიდან სჩანს.

4. იგი სწერს: „Идея отречения во имя искусства не идея эпохи ренессанса.“

საიდან წარმოიღვინა მან ასეთი რამ, თითქოს მე რენესანსის იდეების გამოხატვა დამესახოს ჩემს რომანში მიზნად?

უბრალო ენციკლოპედიაში მაინც რომ ჩაეხედნა ენციკლოპედიების-მოყ-ვარულ რეცენზენტს, უთუოდ ამოიკითხავდა, რომ ჯერ აღრიანი რენესან-სი სამიოდე საუკუნით გვიან იწყება თვით აღორძინების სამშობლოში, იტალიაში.

5. რეცენზენტს სადღაც ამოუკითხავს: საქართველოს მეფე ვიორგი 1029

წელს გარდაცვლილიყო თითქოს. ჩემი რომანი მაინც რომ წაეკითხა დაკვირვებულად. ასე არ გაუხანგრძლივებდა ამ მეფეს სიცოცხლეს.

6. რეცენზენტი სწერს: დავით მეფემ ფლორის ციხე აიღო. უნდა აღინიშნოს: ასეთი ციხე არც არსებულა კავკასიაში ოდესმე.

7. ქრონოლოგიურ აღრევის შედეგია „ზნამიას“ რეცენზენტის ანეკდოტები: თითქოს დავით აღმაშენებლის I წიგნში აღწერილი შკონდეს ჯვაროსნული ომების ეპოქა, ალბათ მას აურევეია ჩემს რომანში აღწერილი ფლანდრიელი გრაფის რობერტ დე ფრიზის რაინდთა კონსტანტინოპოლში ჩამოსვლა, ჯვაროსან რაინდებთან. ეგვიც იმას მოწმობს, რომ ჩვენი რეცენზენტი ისტორიის ამბებში ჩახედული არ არის.

ახლა ერთი ვიკითხოთ, როგორ შეიძლება სერიოზული ეურნალის ფურცლებზე ასეთი განუკითხველი ოთურმა ისტორიული ფაქტებისა და დატების თავზე? აქ მე თავს ვიკავებ „ზნამიას“ რეცენზენტის ამ საქციელის კვალიფიკაციისაგან, მხოლოდ ნებას მივეცემ ჩემს თავს მოვიყვანო ერთ-ერთი ჩემი, რუსი კოლეგის ციტატი:

„Сочинения Шкловского свидетельство умственного беспорядка, отвращения к труду как организованному занятию, и одновременно намеренной жажды оригинальничания, но его как видно, не обучали составлять план сочинения“.¹

არსებითად მოსალოდნელი იყო: ისეთ სერიოზულ ეურნალს, როგორცაა „ზნამია“ ჩემი შრომების რეცენზია მიენდო ისეთ პირისათვის, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს ცხოვრებას აწინდელსა და უწინდელს, გაერკვევოდა არა მარტო საქართველოს, არამედ ირანის, სომხეთის, ბიზანტიისა და წინა-აზიის ისტორიულ ვითარებებში. მე მგონია დროა, ჩვენმა დიდტანოვანი ეურნალებმა რედაქციებმა შემოიკრიბონ ჩვენი კავშირის ფარგლებში შემავალი ხალხების კულტურათა სპეციალისტები და ისინი გამოიყენონ ასეთ შემთხვევებში მსაჯებად.

რეცენზიის თუნდაც ზერელედ წამკითხველის უპირველესი შთაბეჭდილებაა: რეცენზენტს უჭირს თავი გაართვას რომანების საფუძვლად დაღებულ მასალაში გარკვევას. იგი თავათაც აღვიარებს: „Трудно даже рецензию писать“, თუმცა მთელი თავისი ცოდნის მარაგი გამოუყენებია, ზოგი რამ მოძველებულ ენციკლოპედიებიდან ამოუკრეფია. აქ ამოწმებს იგი მარტოს იაფეტურ ნათა თეორიას (რომელიც არც ერთი კილით არ ეხება ჩემს მუშაობას), არც ის დავიწყებია, რომ ზოგიერთი რუსი დიდიმთავრები ქართულ „იერიქონის მუხარადებს“ იხურავდნენ თურმე. ცხადია, ამის გასაგებად დიდი ჯაფა არ დაუხარჯავს. დიდი-დიდი 20 წუთს მოუნდებოდა ტრამვაით თავის ბინიდან ისტორიულ მუზეუმადის მისასვლელად, სადაც ეს ექსპონატები გამოფენილა, აქვეა ციტატები მარტისონის კლასიკოსებიდან, რა თქმა უნდა თავის მტკიცებისათვის წონის მისამატებლად.

წერილი იწყება გულხმვიერი ღალადისით: „Для советской литературы чрезвычайно важно появление исторических романов, рассказывающих о прошлом народов вошедших в состав Советского Союза.“

¹ ა. Н. И. Замощкин. Неверная полууправа. Новый мир, №№ 11—12, 1945 г.

ბოლო ქვევით: Романы Гамсахурдиа являются одним из первых починов“.

შკლოვსკის რეცენზიას ვინც ბოლომდის წაიკითხავს, იგი ადვილად დარწმუნდება, რომ მთელი მისი წერილი იქითკენაა მიმართული, რომ ეს „почин“ სათავეში იქნას ჩახშობილთქვეშ უნებლიედ მაგონდება ერთი გონებამახვილი ფრანგის ნათქვამი: როცა ვინმე როპელიძე ღიღ საქმეს წამოიწყებს, ზოგიერთი ადამიანები ხელებს წამოკლავებენ და შეეცდებიან ამ კაცმა ასეთი რამ მეორეჯერ არ გაბედოს.

რა თქმა უნდა, მე ეს საქმე გავაკეთე არა იმათთვის, ვინც „მხატვრული ლიტერატურის კარებს ამაოდ უეკუნებენ, მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე“ (იხ. ი. ზამოშინი, იქვე) და საკუთარი უნაყოფობით გაბოროტებულნი მივიარდებიან ბოლშე იმათ, ვინც რაიმეს აკეთებს, არამედ იმისთვის, რომ ქართველი ხალხის წარსული და დღევანდელი კულტურა მიმეტანა რუსი ხალხის შემეცნებამდის, საქმე, რომელიც მოითხოვს არა ერთი კაცის, არამედ მრავალი მძალანიჭიერი თაობის მუშაობას.

ეს საქმე არც ისე მარტივია. ჩვენი დიდი კავშირის ხალხთათვის გადაუღებელი ამოცანაა: ბოლო მოვეუღოთ ცალკეულ ერთა კულტურების კარჩაკეტილობას.

მე პირადად თუ რაიმე შემიძენია და გამიკეთებია ამ ქვეყნად, ამის ვუმადლი არა მარტო ქართველ ხალხს, არამედ ბარე ათ-თორმეტ ერს ამ ქვეყანაზე.

უწინარეს ყოვლისა ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რად აძლევს შკლოვსკი თავს ნებას მასწავლოს რუსი ხალხის, ან სომხის ერისადმი სიყვარული?

რუსული კულტურისადმი პატივისცემა მე არა ერთგზის გამომიხატავს ლენინის, ტოლსტოისადმი, დოსტოევსკისადმი მიძღვნილ წერილებში, მრავალ ჩემს გამოსვლებში, როგორც ტრიბუნიდან ისე პრესაში; რამდენადაც სომხის ხალხს მე-10—11 ს. მკვიდრო პოლიტიკური კავშირი ჰქონდა ქართველ ხალხთან, ორივე რომანებში საკმაოდ მაქვს ჩემი მისდამი პატივისცემა და ყურადღება გამოსახული. როცა ამ რეცენზიაში მისი ავტორის გვარი წავიციოთხე, უნდა გამოეტყუდ, მაინც და მაინც არ გამევირვებია. შკლოვსკი ჩემზე მეტად დვაწლმოსილთაც მივიარდნია ბოლშე, ლევ ტოლსტოისა და ა. მ. გორკის „ასწავლიდა“ იგი ხან ჭკუასა და ხან რუსულ ენას.

ერთი ჩვენი თანამედროვე მართებულად შენიშნავს:

«К сожалению предостерегающие голоса к критике у нас раздаются редко, иногда из опасения прослыть «отсталым», особенно перед таким «новатором», как В. Шкловский. Сочинения его тащат в себе огромную массу непереваренных камней знания, которые, как говорится, зря болтаются в желудке» (იქვე).

ქვები კი არა, მთელი ლოდები ღაღძრავს ჩემს წინააღმდეგ შკლოვსკას.

რუსთაველს იმოწმებს და შავთელს, მარკო პოლოს, ტოლსტოის, დიდი ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერების ლანდებს მოუხმობს: მილლერს, ბარტოლდს, შახმატოვს და ნესტორ ლეტოპისეცს.

ისტორიას „მასწავლის“, ხანაც ისტორიული რომანების წერასაც. რა ვუყოთ ჯერ არც ერთი დაუწერია, ვინ იცის ეგებ აპირებდეს კოიკარი, ცნობილია, როცა ასეთი ადამიანები რაიმეს დაწერას დააპირებენ, შხამიხად იჭინებია. საქართველოსა და წინა აზიის ისტორიის მასწავლის კაცი,

რომელიც ორიოდ დღის მანძილზე დაფაცურებულა, რათა ყოველივე ერთის ხელის მოსმით შეეცნო, რაც მე მრავალი წლის მუშაობით შემთავსებია და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ ამდენი შხამი და უვიცობა გადმოერხნა.

მე არ მაკვირვებს მისი გამბედაობა, ეს კაცი თავის თავს ყველაფერს დიდი ფიზიოლოგის პავლოვის მეტოქედაც სთვლის (იხ. იქვე).

სინჯალიძისთვის

არც ქვის სროლა მაკვირვებს მისგან.

ასეთივე უწყევო, უმართებულო და არეულია მისი შეგონებანი პოეტის დარგიდან. შკლოვსკის აზრით ჩემს რომანებში გამოსახული სიყვარული, სიყვარული როდი ყოფილა თურმე, არამედ ადამულტერ. აქ ორში ერთიან მას არ ესმის თუ რა არის ადამულტერ, ან ნაცარს აყრის თვალში ამ სიტყვის არმცოდნე მკითხველებს.

„ადამულტერ“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ცოლქმრული სიყვარულის დაღატს. უნდა მოგახსენოთ ჯერ არც ერთ რომანისტს საკუთარი ცოლისადმი სიყვარულზე არ აუგია არც ერთი რომანი.

ადამულტერზე აგებულია მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი პოემა და რომანი. ადამულტერია მშვენიერი ჰელენეს ამბავი ჰომეროსის მიერ შექმბული, ადამულტერია ვეფხის ტყაოსნის ავთანდილის მიერ ფატმანთან გამოჯნურება, ბოლოს მე-19 ს. ევროპული რომანების საფუძვლად ადამულტერია დადებული. საკმარისია ვახსენოთ „მადამ ბოვარი“, ტეკერის „ამაოების ბაზარი“, ლეონ ტოლსტოის „ანა კარენინა“ მთელი მოპასანი და ბალზაკიც რომ ადამულტერია, ეს უნდა იცოდეს რიგიანმა კრიტიკოსმა და თუ არ იცის, მცოდნეს დაუჯეროს.

ამავე ღირებულებისაა რეცენზენტის დარიგებანი და ზოგ-ზოგი კლასიკოსის მხატვრულ პრაქტიკაზე მითითება. თავის დროზე მეც ბევრი მისწავლია ფლობერისა, სტენდალისა და ლეონ ტოლსტოისაგან, მაგრამ განსწავლის წლები დიდი ხანია უკვე განველე. რაიცა შეეხება ლიტერატურულ ტრადიციებს, ქართული პროზის დიდი ტრადიციები მე-5 საუკუნიდან მოდის და მე, როგორც ქართველ რომანისტს, მევალება უწინარეს ყოვლისა ამ ტრადიციებს გავუწიო ანგარიში, რამდენადაც უპირატესად ქართულ მასალაზე მიხდება მუშაობა.

საკმაოდ კუროიზული ამბავია იცოცა, რომ რეცენზენტი ცდილობს შემაგონოს ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელობა წარსულში. დავით აღმაშენებელში საეკლესიო მოღვაწენი ასახულნი არ არიანო. მაშეინ არიან კირიონ მანგლელი ეპისკოპოზი, თუმცა დოგმატიკოსი, მაგრამ დიდი პატრიოტი, რომელიც ფეოდალების წინააღმდეგ შეელის მეფეს, წილკნელი ეფისკოპოზი სტეფანოზ, თორაბჯარიში გადაცმული, მკერდზე ჯვრით რომ შეებმება პაქანიკებს და ბოლოს თავგანწირული მიდის ყიფჩაღეთში მეფის დავალებათა აღსასრულებლად? დემოკრატიულ ფენებიდან გამოსული საეკლესიო მოღვაწეები: ბერი ანთიმოზ, მამია ბასილი; ბოლოს დიდოსტატში მას ვერ შეუშინევეია მელქისედეკ კათალიკოსი, დიდი რიგორისტი, მაგრამ დიდი მშენებელი და ქრისტიანობისთვის თავგანწირული მწყემსი. დიდოსტატის ბერები, რომელნიც სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმულნი დაზვერვითი ხასიათის მუშაობას ეწევიან სამეფო ხელისუფლების დავალებით, თემურ პარტიკულარისტული აჯანყებებისა და ომების დროს.

რაიცა შეეხება ეპისკოპოზთა გარყვნილებას, ჩემს მიერ დავით აღმაშენ-

ნებელში გამოსახულს, ეს ამბავი მე არ გამომიგონია, არც ბოკაჩიოს ზედგავლენით დამიწერია ესე. ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაში ჩახედულს ეს სავესებით ბუნებრივად მოეჩვენებოდა, რამდენადაც ორტოდოქსულ ბერძნულ-ბიზანტიურ ეკლესიას რომაულ-კათოლიკურზე ადრე შეეპარა მორალური დეგრადაცია. მე-5—9 საუკუნეებში გამეფებულს მსკეტური განწყობილებანი ბერძნულ-ბიზანტიურ ეკლესიაში, შესცვალა დაუდგრომელმა გარყვნილების ეინმა. ამით აიხსნება სავესებით წრესგადისული ორგავები ბიზანტიის დედოფლების გვინიკეებში მე-10, 11 საუკუნეებში, გარყვნილებას ეძლეოდნენ კონსტანტინეპოლელი პატრიარქები და ეპისკოპოსებიცა.

რამდენიმე საუკუნით ბოკაჩიოზე ადრე ცნობილი ქართველი ჰაგიოგრაფი და დიდი პროზაიკოსი გიორგი მერჩული აღგვიწერს, როგორ გაუმოჯურდა ქართველი მეფე აშოტ-დიდი კუროპალატი უბრალო მონაზონს.

ბოლო დაევით აღმაშენებლის დროანდელი სამღვდლოება თუ როგორ გარყვნილი იყო, ამის მითითება მრავალგზისი მოცემულია ქართულ ქრონიკებში, სადაც აშკარად ნათქვამია ეპისკოპოსთა გარყვნილების გამო, შემართიანე „ქება ავაზაეთ უწოდებს მათ“. ბოლოს დაევით მეფე სპეციალურ საეკლესიო კრებას იწვევს ამ ზნეობრივი დეგრადაციის შესაჩერებლად.

ეს ამბები რომ სცოდნოდა შკლოვსკის, მაშინ შესაძლოა მცირეოდენი ობიექტივობაც გამოეჩინა მას. ცხადია, ჩემს რომანში სამღვდლოების მართო დადებითი ხასიათები რომ გამომესახა, აქ მხატვრულ სიმართლესაც ვუღალატებდი და მომეტებულ საბაბს მივცემდი ზოგიერთ ავისმზრახველ კრიტიკოსს წამოეყვირათ: დახეთ, საეკლესიო მამების იდეალიზირებას ეწევთ ავტორი.

საერთოდ გონებრივი აღრვეის და ულოლიკობის ნიმუშები სხვაც ბევრი შემეძლო მომეყვანა რეცენზიიდან. რამდენიმე მაგალითს ვაკმარებ: რეცენზენტი სწერს: „Гамсахурдиа мог бы взглянуть на историю «ЭКОЛОМ»...“

ესე იგი, თურმე მე შემძლება შევარდნობა და არ მომანდომებოკ რატომღაც. რაო, ვითომ ვიზარმაცე? თურმე ჩემს მიერ აღწერილი ვითარებანი არც „რეალური“ ყოფილან, არც „ნაციონალური“. რათი დაამტკიცა ეს რეცენზენტმა? რეცენზენტი იქვე ასეთ რამეს სწერს: „Поэтому мы ожидали от вещи Гамсахурдиа высокого эпоса и с еще большей точностью и знания жизни, чем те, которые мы имеем у Руставели“. („Знамя“ № 9, стр. 192).

ვეგნებ მე თითქმის ამოვწურე ყველაფერი, შევისწავლე თითქმის ყველაფერი, რაც კი მოიპოვებოდა ამ ეპოქის გამო ქართულ სომხურ, რუსულ და ბიზანტიურ ქრონიკებში, ეგებ რაიმე გამომჩინა და რეცენზენტმა იცოდეს, რად არ იწება და არ მიმითითა? აი ეს იწნებოდა ნაშდელი დახმარება. ეგებ რაიმე უვიცობა გამოვიჩინე, ან იმდროანდელ პოლიტიკურ, ან სოციალურ წყობის აღწერისას, ან ომების, შრომის აღწერაში, ეგეც უნდა აღენიშნა რეცენზენტს.

ჩემთვის უდიდესი პატივია ჩემი სახელის რუსთაველის გვერდით მოხსენება, მაგრამ ვერ გაიგია: როგორ შემეძლო მე რუსთაველზე დიდი შევარდნობა, და ეგეც ისეთი კაცის თვალში,

რომელიც სწერს, რომ მე ორი დიდი რომანის მანძილზე ორად-ორი კაცი დამინახავს თურმე, ფარსმან სპარსი და საჭურაინი მახარა.

ერთი სიტყვით გაუგებარია, რას მოითხოვს რეცენზენტი. იგი სწერს ძველად საკითხავიაო. ეს ამბავი უკვე იმპრესიონისტული შთაბეჭდილებების სფეროა და იგი უნდა ეკითხოს არა რომელიმე გაბორცვულ რეცენზენტს, არამედ ჩვენი კავშირის ბიბლიოთეკებსა და ბეჭდვითი ლიტერატურის გამავრცელებელ ორგანოებს.

ეს ყველაფერი ფაქტებია, რომელთაც შკლოვსკი ვერ გადაახტება. კიდევ კარგი, რეცენზენტს ყოფნის კეთილსინდისიერება იმდენად, რომ თავათ განაცხადოს: Конечно, тема которую взял автор, трудна, это чувствуешь, когда пишешь рецензию.

მაგრამ ყველა სიძნელები, რომელნიც წინ მელობებოდნენ, მაინც არა აქვს გათვალისწინებული მას.

მე-10—11 საუკუნეში ტრანსკასპიიდან დასავლეთისკენ მიმდინარე ხალხთა გადასახლების პერიოდი უძველესია მთელი წინააზიის ისტორიაში. ამ ეპოქის დიდი სპეციალისტები: პეტსმა, ლოიტველ, ბარტოლდ, კრამერ, მაქს ფონ-ბერგემ, ჰელილ ვდჰემ, ტექსიე, და სხვანი ერთხმად აღვიარებენ ეპოქურრობას ამ პერიოდისას. უმთავრესი სიძნელე ამ საქმისა იმაში მდგომარეობს, რომ ევროპულმა მეცნიერებმა გვიან მოჰკიდეს მას ხელი, რადგან ისინი პანევროპელები იყვნენ და მუდამ აქცენტს აკეთებდნენ ბერძნულ-რომაულ პერიოდების შესწავლაზე, ხოლო თურქებს, ერთადერთ მემკვიდრეებს სელჯუკიანთა იმპერიისას, საკუთარი კადრები არა ჰყავთ, გარდა ამისა თურქები თავათ აძნელებენ ამ საქმეს, რამდენადაც სელჯუკიანთა სახელმწიფოს გადანაშთენ აქტებს, რატომღაც არავის ანებებს გამოსაკვლევად თურქეთის აწინდელი მთავრობა.

გარდა ამისა, კონსტანტინოპოლის აღების დროს დაიღუპა დიდი ნაწილი ბიზანტიური არქივისა, ხოლო მონღოლთა ბატონობის დროს — მთელი სახელმწიფოური არქივი საქართველოსი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ეპოქაზე მომუშავე მეცნიერთა სახელები თითებზე ჩამოსათვლელია. მე დავასახელებდი: აკადემიკოსებს: მ. ბროსსეს, ი. ჯავახიშვილს, ნ. მარსს, კ. კეკელიძეს, ს. ჯანაშიას. ისტორიკოსებს: თ. ჟორდანიას, ბაქრაძეს და სხვ. ასე რომ ჩემი რომანების სოციალ-პოლიტიკური და ეთნიური ინვენტარის მოსახვეჭად მიხდებოდა ასეული ტომები გადამჩნობია მრავალ ენაზე არსებული ლიტერატურიდან და ხშირად იძულებული ვიყავი მემუშავა, როგორც ისტორიკოსსა და მკვლევარს, იმისთვის რათა შემესწავლა, როგორ ცხოვრობდა ან მალალი, ან დაბალი ფენა, როგორ იბრძოდნენ, ციხეებს როგორ იღებდნენ, რა ეცვათ, როგორ სჯამდნენ, როგორ მოგზაურობდნენ, საქართველოში, სომხეთში, ირანში, ბიზანტიასა და არაბეთში.

აქ სხვა სიძნელებიც მხედველობაში მისაღებია: როცა ფლობერი, სტენდალი ან ტეკერეი, თვით ლეონ ტოლსტოი, ისტორიულ მასალებზე მუშაობდნენ, მათ წინ დაუხვდათ მრავალი ათასი მეცნიერის მიერ, მათივე სამშობლო ენაზე დამზადებული მასალები, თავათ ავტორებს სჭირდებოდათ მხოლოდ შეჯამება.

გარდა ამისა, ხსენებულ ავტორთა რომანების კითხვისას ევროპაში, ყოველმა გიმნაზიელმა იცის, თუ სადაა ლავრომაჯორე, ვია-აპპია, ფობურგ სენ

ვერმენ. მკითხველი მომზადებულია წინასწარ და მან კარგად იცის, გენ იყო ნაპოლეონ ბონაპარტე, იულიუს კეისარი, გრაფ სფორცა, რიშელიე, ტერბონები. ხოლო ჩვენ ვადმოგვეცა მემკვიდრეობა რომანოვების სახელმწიფოსი, სადაც „ინოვაციების“ გეოგრაფია და ისტორია არავის აინტერესებდა. ასე რომ მე დამჭირდა ჩემი რომანების სქოლიოებში განმეორება საქართველოს ტომების სახელები, მდინარეების, მთებისა და ციხეების სადაურობა, ღინას-ტიური დეტალები, დეტალები ყოფითი ხასიათისა. ცხადია, 10 — 15 წელში, როცა ჩვენი ქვეყნის ახალი თაობანი საბჭოთა კავშირის ზალზთა ისტორიას და გეოგრაფიას კარგად შეითვისებენ, ამგვარი ცნობების სქოლიოებში ჩამოტანა საჭიროც აღარ იქნება და ეს განტვირთავს ჩემს წიგნებს.

ეს სიძნელეები ერთგვარი ბარიერები გახლდათ, რომელიც მე უნდა ვადამეღახა. ფლობერმა თავის „სალამბოში“ აფრაციის ისტორიის ვითარებანიც გამოისახა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპელებმა რომაული კოლონიების ისტორია და გეოგრაფიაც ზედმიწევნით იცან, რადგან ისინი პრაქტიკული ზალზთა და კარგად იცნობენ იმ ადგილებს, სადაც შეშოსავალს მოელოდებიან.

საერთოდ მთელ ქვეყანაზე არსებობს ერთგვარი, მე ვიტყვოდი, გეოგრაფიული იდიოტიზმი. მსოფლიო ომამდის ერთი გერმანელი გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი მემკითხებოდა პარღზში: ეს შართალია, რომ ტფილისსა და მოსკოვში დათვები შემოვარდებიან ზოლმე ქალაქში და შაქარს იპარავენო?

ცხადია, ასეთ ადამიანებს ვერავითარი განმარტებანი ვერას უშველის.

შკლოვსკი სწერს: «Мир, международные отношения входят как сообщения или как проходные сцены, в которых участвуют второстепенные герои».

ესეც საესებით უმართებულო საყვედურია. მე არც მჭიროდა და არც ჰიზნად დამისახავს ჩემს რომანში ბიზანტიელი იმპერატორების შხატერული პორტრეტები მომეცა. ცხადია, მეორეხარისხოვანი გმირები გავგზავნე ბიზანტიასა და ყიფჩაღეთში, აბა სად გავგონილა, მეფეებს რომ ელჩად აგზავნიდნენ?

აგრეთვე გაუგებარია ჩემთვის რეცენზენტის საყვედური „Привад эстетизма“. Aesthetica — ბერძნულად მშვენიერის შეცნობის მეცნიერებას ნიშნავს, თუ ჩემი მუშაობით ესთეტიურ გრძნობებს აღუქმრავ ხშირად არა-ესთეტიურ მკითხველებს, ნუთუ ეს დანაშაულად უნდა ჩამეთვალოს?

ყოველივე ეს მაგონებს ლონ ტოლსტოის ერთ იგავს: თორმე ელაში და მჭედელი წაჩხუბებულან. მჭედელმა უყვირა ელამს: შე ბრუციანიო, ზოლო ელამმა მიუგო: ჰაი, შე ორთვალაო.

სავსებით დაუსაბუთებელია ბრალდება ეროტიზმისა და ნატურალიზმის გამოც.

უდიდესი მისი არგუმენტი ეგაა: «Он поцеловал девушку в последний раз и когда затянул пояс, то почувствовал что от нее пахнет овчиной».

ცხადია, მე-11 ს. ფხოველ დედაკაცს პარიზული სურნელების სუნი არ უდიოდა ალბათ.

ვარწმუნებ ჩემს რეცენზენტს: ვაცილებით უფრო მძაფრ ეროტიულ პასაჟებს ვიპოვნიდით, როგორც დასავლეთ ევროპელთა, ისე თანამედროვე რუს მწერლების რომანებში.

ასეთივე გაუგებრობაზეა აგებული ჩემთვის სიმბოლიზმის დაბრალებაც. შკლოვსკის ფრიად პრიმიტიულად აქვს წარმოდგენილი სიმბოლიზმიც. სიმბოლოებით აზროვნება სიმბოლისტების მოგონილი არ გახლავთ, კაცობრიობა სიმბოლოებით მეტყველებას არასოდეს მოიშლის; ჩვენ ახლაც ვამბობთ: ჩვენი „სასიქადულო შევიარდნები“, „სტალინური შევიარდნები“ მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო სიმბოლიზმთან.

ეს მაინც უნდა იცოდეს შკლოვსკიმ, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ფუტურისმში, ფორმალიზმში და სხვა ლიტერატურულ „იზმებში“ იჭეჭებოდა.

მე პირადად ბარე 10 წელი მიბრძოლია სიმბოლისტური დეკადანსის წინააღმდეგ ლიტერატურაში.

რეცენზენტი განმეორებების გამო სჩივის, ასეთი განმეორებანი ძველთაგანვე ნაცადი მხატვრული ხერხია, ბიბლიაში ცნობილია იგი, მას მიმართავს მოშეროსი, მაგ. „ღვთაებრივი მელორე“. ლ. ტოლსტოიც ძლიერ ხშირად იმეორებს: „ღამა ს პრიპოდნიატოი ვერხნეი გუბოი“ და სხვ. განმეორებანი „ნოვატორი“ შკლოვსკის ბროშურებიდანაც რომ ამოვგლიჯოთ უკონტექსტოდ, ასეთ რამეებს მივიღებთ: „Я одет был матросом и губы были помазаны“ (В. Ш. „В поисках оптимизма“, стр. 103).

რა უშავს, კარგი გზები უპოვნია შკლოვსკის ოპტიმიზმისაკენ მიმავალი. «Мы тогда рояли на потолок привинчивали» (გვ. 108).

«А я кричу уже много лет и мне это не мешает» (В. Ш. «Горная Грузия»).

«Я стою перед чужим хвостом» (В. Ш. «Горная Грузия» გვ. 24).

ვ. შკლოვსკი მასწავლის მე ჩემივე ხალხის სიყვარულს. ეგეც არაა კომიზმს მოკლებული ამბავი. ნუ იტყვიან თურმე, უღამაზოდ დამიხატავს ფხოველები. ახლა ვნახო, როგორ „ღამაზად“ სსახავს ჩვენი რეცენზენტი თავის ბროშურაში: „Горная Грузия“ და წიგნაკში: „В поисках оптимизма“, საქართველოს.


სათაურშივე შეცდომაა. არაა სწორი „გორნაია გრუზია“. მოელი საქართველო მთიანეთია, გარდა რამდენიმე მდინარის ბასენისა. ქვესათაურშიც მორიგი შეცდომაა: „მუხეგია“ ნონსენსია. არსებობს სიტყვა მოხევე. დარიალის ხეობაში ცხოვრობენ არა „მუხევეები“, არამედ მოხევეები.

ეს უკანასკნელი ბროშურა იწყება დიდად პრეტენზიული სტრიქონებით: წყლის ზევიდან დატფობის შესახებ. ირკვევა, რომ შკლოვსკი „ზევიდან“ უპირებს საქართველოს დატფობას (sic!) უწინარეს ყოვლისა იჩენს იშვიათ „ცოდნას“ გეოგრაფიაში. Если статья спиной к Владикавказу—хевсуры. არ კი გვიმხელს, პირი საითკენ უნდა ჰქონდეს ასეთ კაცს? „Грузины приблизительно христиане“.

ჯერ ერთი: საბჭოთა მწერალი არ უნდა სწერდეს ასე აგდებულად რომელიმე ხალხის რელიგიურ რწმენათა გამო. გარდა ამისა მან იგიც უნდა იცოდეს, რომ არიან ქართველები ორტოდოქსი ქრისტიანები, მუსულმანები და კათოლიკენი.

როცა მე დიდოსტატში მწყერს შევიდარე შორენა, შემოდგომაზე ეენახში გასუქებულს, ეს ყოფილა კულინარული შედარება. მოვიგონოთ: ლერმონტოვიც ადარებს ჩერქეზს—მშველს, პომეროსი ახალგაზრდა ქალს—ფაშატს. თვით უებარი „ნოვატორის“ შკლოვსკის ბროშურის გვ. 24 ვკითხულობთ: „Этот снег лежит как горбушка с выеденным мякишем“.

ეს არაფერი. ამ ბროშურებში შკლოვსკი უფრო მეტ რამეების ნების აღ-
ღერის თავის თავს, ვიდრე ეს საბჭოთა მწერალს ეკადრება.

მისი აზრით ხევსურეთი ისეთი ველური ქვეყანა ყოფილა,  **ზ ა მ თ ა რ შ ი ს ა ქ ო ნ ე ლ ს ს ა ხ ლ შ ი შ ე მ ო რ ე კ ა ე ე ს** **ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა**
ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა **ბ ო ს ე ლ შ ი შ ე ა გ დ ე ბ ე** **ს ა ხ ლ შ ი შ ე ა გ დ ე ბ ე**
ხევსურეთში, მთელი კავკასიის მთიანეთში, დიდი სიცივებია და მთიელებს
საშუალება არა აქვთ ბოსლები დაატფონ; ნაგებობათა სიმცირისა და საწ-
ვავე მარაგის უქონობის გამო ერთსა და იმავე სახლში ბინადრობენ ად-
მიანები და საქონელი.

ასეთ სახლში ერთად თავმოყრილია ორი სამი თაობის ქალი და კაცი.
როცა დედაკაცს მშობიარობა მოუწევს გადაიყვანენ მას უფრო პატარა
სახლში, სადაც აგრეთვე საქონელის ბოსელიცაა და ადამიანის საამყოფე-
ლოც, ამას ჰქვია, „სამრეგლო“.

დაუკვირებელ შკლოვსკის უნახავს ფარ-ხმლიანი მამაკაცი ცხენათ ში-
ლის გზაზე, ხოლო დედაკაცი ფეხით. დასკვნა მზადაა: ხევსური ქალს ძალ-
ლად არა სთვლისო. აქი სწერს ავტორი „ხევსურული გზა ოთხი თითის სი-
განეაო“. ასეთი გზები შეიძლება ლილიპუტების ქვეყანაში იყოს, მაგრამ
მანც საზიფათო გზებია ცხენოსნებისთვის. ამიტომაც დიაცთა შორის მოხუ-
ცი ან ავადმყოფი ვერა ჯდება ცხენზე. (ხომ ჩამოვარდნილა ცხენიდან
შკლოვსკი და „სხვისი კულის წინ დაუყენებია საკუთარ ცხენს?“) დაუ-
კვირებელის დასკვნა მზადაა.

აი სადაა ექსოტიკა, უვიცობასთან ხელჩაკიდებულად მოსეირნე.

თურმე ხევსურეთში „У быков понимающие глаза зверей“ (стр. 44).
„В Кутаиси живут черноволосые люди“ (стр. 42), თითქოს კიევში, პა-
რიზსა და მოსკოვშიაც არ ცხოვრობენ ისინი. იქვე: „В Кутаиси дома
на ножках.“ ვინ მოახსენა შკლოვსკის? ქუთაისი საქართველოს თვალსა-
ჩინო ინდუსტრიულ ცენტრთაგანია. ავლაბარი თურმე მტკვრის მარჯვენა
ნაპირზე ყოფილა და ნ. ფიროსმანი ქუთაისში დაბადებულა.

„ოპტიმიზმის ძიებაში“ შკლოვსკი საკმაოდ არაოპტიმისტურ რეზონერო-
ბას ეწევა. ჩვენ ვურჩევთ მას უფრო ფრთხილად ილაპარაკოს საბჭოთა-კავ-
შირის ხალხებზე, თორემ ასეთი ფრაზები არ შეეფერება საბჭოთა მწე-
რალს: Когда мы встречаемся, он занимает меня разговорами о Бу-
рято-Монголии, о венерических болезнях. (იხ. В. Ш. „Поиски“).

შკლოვსკის უნახავს, როგორ ფარიაობენ ხევსურები, როგორ ქეიფობენ
ხატობის დროს ზაფხულის თვეებში და არ იცის, როგორ მამაცურ შრო-
მას ეწევიან ისინი მიუვალ მთებში, მამაკაცი ნადირობს კავკასიონის კლდე-
ებში, ფიჩხი იჭიდან მოაქვს და ჭვავს სთესავს სადმე ღრანტებში; ხევსუ-
რები უმამაცესი ქართველი ტომია, რომელიც იცავდა საუკუნეთა მანძილზე
საქართველოს ტერიტორიას ველური ტომებისაგან, ხოლო ახალ დროში
მთაში მოთარეშე ბანდიტებისაგან.

რაკი ინტენსიური მეურნეობა ვერ ხერხდება ხევსურეთში კლდიანობისა
და უგზოობის გამო, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება დიდი ხანია
ზრუნავს კახეთში მათ გადმოსახლებაზე, შკლოვსკის არ მოსწონს ეს.

„Это не совсем правильно“ (46 გვ. Горн. Груз.) სწერს შკლოვსკი.

სამაგიეროდ კარგ რჩევებს იძლევა ბროშურის ავტორი: „Но кто сумеет организовать это небольшое племя вокруг коровы, тот получит масло“. (стр. 70).

ერთი სიტყვით იმის შავიერად, რომ ხევსურებიც, როგორც ყველგან და ყველა ტომი საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო ღონისძიებების დაერაზმობით, შკლოვსკი გვიჩვენებს „ძროხის გარშემო დაერაზმობით“.

შკლოვსკი სწერს: ხევსურეთში გინება როდი სწერია ხეებზე, არამედ ლექსებით; მას რომ სცოდნოდა ენა იმ ხალხისა, რომლის გამოც სწერს, მანდ ერთ ხეზე წარწერილ ლექსს უთუოდ ამოიკითხავდა:

იყავ თამამი,

იყავ თამამი

და ნუ იქნები მეტად თამამი.

რადგან მოუფიქრებელი თავხედობიდან სასაცილომდის ერთი ნაბიჯია შხოლოდ.

P. S. ანალოგიური ცილისწამებითა და დაუსაბუთებელი კინკლაობით იყო აღძრული ს. შანშიაშვილის წერილიც ჟურნ. „მნათობის“ № 6-ში (1944 წ.), რომელსაც სათანადო პასუხი გავეცი გაზეთ „ლიტ. და ხელოვნებაში“.

ტფილისი, 1946 წ.

იანვარ-თებერვალი.

ნიკო ღორთქიჯანიძე

სამი ბელეტრისტი შესძინა იმერეთმა ქართულ მწერლობას: გიორგი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ღორთქიჯანიძე. ეს უწყვეტი ჯაჭვი ფეოდალურ გადანაშთების საბოლოო დამლიდან კაპიტალიზმის განვითარება-რღვევისა და სოციალიზმის სრული გამარჯვების დიადი ეპოქის მხატვრულად ამსახველ ლიტერატორთა უკანასკნელ რგოლამდე არის გაბმული.

ნიკო ღორთქიჯანიძე იმ დროს გამოჩნდა ქართულ მწერლობაში, როდესაც ცხრაასხუთი წლის რევოლუციურმა ქარიშხალმა საფუძველშივე შეარყია „შემოდგომის აზნაურთა“ ბუდეები. ეს დრო იმპრესიონიზმის ბატონობის დრო იყო ლიტერატურაში. ნიკო ღორთქიჯანიძემ იმ შეებნელი რეაქციისა და ექზეციციების დროს პირველად შემოიტანა ქართულ მწერლობაში ის დიდი ინტელიგენტური სევდა და დაღლილობა, რომლებიც ეგრე ახასიათებდა რეაქციის ხანას. ამ სევდას ღრმა სოციალური საყრდენი ჰქონდა მაშინდელ საქართველოში, როგორც დიდი ისტორიული მიჯნის მწერალი ნიკო ღორთქიჯანიძე, ერთის მხრივ, იმ წარსულს ეთხოვებოდა, რომელშიც იგი აღიზარდა, ხოლო, მეორეს მხრივ, მომავალს მიესალმებოდა, რომელიც მის გულს იმედებით ავსებდა. იმიტომაც არის იგი აღსაყვებელი შინაგან წინააღმდეგობებით და შემოქმედებითი კონფლიქტებით. აქედან მოედინება მისი რომანტიზმი და სევდიანი ლირიზმი, რომელიც ხშირად სენტიმენტალობამდე დადის (მოთხრობა „გული“) და ამასთანავე ის მკვეთრი რეალიზმი და ჰუმორიცი, რომელიც ხშირად სატირის ვესლითაა გამაფრებული (მოთხრობა კი არა, — ლაღადისი: „საქართველო იყიდება“).

ნიკო ღორთქიჯანიძე ამ რომანტიზმსა და შინაგან ლირიზმს ხშირად დაჰყავს პროზაული ლექსის ექსპრესიულ ლაბიდარიზმამდე. იგი არ არის პრინციპული რეალისტი და მით უფრო ეპიკოსი. რეალიზმი მისთვის მხოლოდ ერთი საშუალებათაგანია და არა ძირითადი ლიტერატურული მეთოდი. ხშირად ხელოვნურ, პუბლიცისტურად გამაფრებულ სუჟეტს იგი განზრახ უაღრესად რეალისტურ სამოსელში ჰპურავს და მით კიდევ მეტი დამაჯერებლობის მინიჭებას ლაშობს. თუ მისი წინამორბედი მწერლები გარემყარის რეალისტური ასახვით იყვნენ გატაცებულნი და თავისი მოჩვენებითი ობიექტივიზმით გვხიზლავენ, ნიკო ღორთქიჯანიძე პრინციპული სუბიექტივიზტია, იგი უმთავრესად შინაგანი განცდების მწერალია და მისი იმპრესიონიზმიც აქედან მომდინარეობს.

„მოკვდა. დის ნაზ ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი;

„იღუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ. დედას არ დაუდგრიო ცრემლები.

„მოკვდა უცხოეთში.

«ცხედარი გასჭრეს.

«— ბატონებო, გული? გული სადღა? — იკითხა პროფესორმა.

«გულის მაგიერ ფერფლი დარჩენილყო...»

«თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელი შეილის კაბულაზე და ვეგბულ ოთახში. ქვითინებდა: — ასე გამომიმეტე ქვრივობაზე? [1] სადღა შენი კარგი გული, ამდენი ვაიფუით რომ ჩავიდგი საგულეში?»

«ქედლიდან პატარა რუკამ გაცა პასუხი:

«— მე დავაქვნიე.

«— მე დავწვი, — გახმაურდა სურათი მაგიდაზე».

და ეს ძალზე პიროვნითი, მაგრამ უღარესი სიძენწითა და სიმძაფრით აღწერილი სურათი, უდროო სიკვდილი პატრიოტი ახალგაზრდისა, რელიგიის სამოსელით რომ შეიბუროს და არაბუნებრივობა არ შეეწამოთ, ავტორი ბოლო სტრიქონით გვაფრთხილებს:

«სიტყვები არავის გაუგონიაო».

მსუხედავად პუბლიცისტიზმისა და პირობითობისა, რომლებიც მხოლოდ ერთის მხრივ ახასიათებს მის შემოქმედებას, იგი უმთავრესად ნახევარტონების, ნიუანსების მწერალია, რის გამო მისი გმირები ხშირად ესკიზური არიან, ხოლო მისი პეიზაჟები აკვარელური. მისი ფრაზა გარეგნულად თითქოს ღარიბია, მაგრამ ამასთანავე იმდენად ლაბირაული, რომ ხშირად იგი უბრალო რამ სიას ანუ მოვლენათა ჩამოთვლას მოგვგავსებს. მან შესძლო ის, რაც ყოველი დიდი მწერლის ოცნებაა. თავისი პირადი ხასიათი და შინაგანი ბიოგრაფია თავისივე მხატვრულ სტილად აქცია. პროფესიის ინჟინერი, ნიკო ლორთქიფანიძე თავის შინაბუნებაში საკვირველი ჰარმონიულობით აკავშირებდა ერთმანეთთან შემოქმედების ბნელსა და მათემატიკის ნათელ პრინციპებს. ვაწა შთაგონების ინტუიტიური სიმწყობრე, წერილმანთა მომხიბლავი, თითქოს უწყსრივო, მაგრამ კანონზომიერი ჰარმონია არ ენათესავება მათემატიკის ღრმად რაციონალურსა და თითქმის ინტუიტიურ ჰარმონიას? განა ინტუიტიური აზროვნება არ ავსებს სპეკულატიურ აზროვნებას და მით ერთ განუყოფელს მთლიანობას არ ჰქმნის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქოს იმთავითვე უნდა გამოირიცხადნენ ერთმანეთს? ინტუიტივიზმის წყარო ხომ მრავალღობაა, ხოლო სპეკულატივიზმისა ერთიანობა? თუ ერთი თავისი შეუზღუდელი სილადით ღრმად სწვდება ზოგადობის კანონს, მეორე ურყევად მიემართება ცდისაკენ, გონებრივ შემოწმებისაკენ, — მაშინ ეს ორი საწყისი, როგორც ამას ფრ. შილერი ვარაუდობდა, უთუოდ შეხედება ერთმანეთს სადმე შეაგზავს. ნიკო ლორთქიფანიძე თითქოს ამ შეხედების შენიჭებულია. მისი სუფეტი მუდამ სპეკულატიურია, პუბლიცისტურია, ხოლო ასრულება ინტუიტიური. მისი ნოთხრობების მხატვრული, ინტუიტიური ეფექტები ხშირად მათემატიკურ ფორმულათა სიზუსტით არიან აგებული.

ნიკო ლორთქიფანიძეს როდი იტაცებს ყოველმხრივი სისრულე მოვლენისა. იგი მხოლოდ მისი ცალმხრივი, მკრთალი მონახაზით კმაყოფილდება. იგი არ არის დიდ მოცულობათა მხატვარი, იგი შტრიხის, ესკიზის ოსტატია. მას არ ეხერხება მთლიანად, მთელი მოცულობით გამოკვეთა ხატისა, რადგან ეს სისრულე ხშირად ფარავს იდეას ხატისა, სიუჟეტს ანუ კონცეფციას მხატვრული მოვლენისა, ხოლო შტრიხი ხაზს ავლებს საგნის იდეას, მოვლენის აზრს და ამიტომაც არის იგი ეგეთი რაციონალისტი. ამიტომაც არის, რომ

მის ნახატში იღვა მუდამ მკაფიოდ გამოსკვივის. მას სრულიადაც არ ეშინია, რომ ეს ნახატი ხშირად ტენდენციურია და, თუ გნებავთ, მუქლოცის-ტურცი. ეს შინაგანი იდეური ტენდენცია ანიჭებს მის მოთხრობას ამ ინერტობას, რომლის მეოხებითაც მისი მოთხრობა ავტორის დაუხმარებლად მიეჭანება გარკვეულ დასკვნამდე. ამიტომაც არის, რომ იგი ასე უშინადად სტერ-დება ექსპოზიციას და ამბავს ბოლომდე არ შლის. ეს ტენდენციურობა, ეს ინერცია აძლევს მას უფლებას, რომ ფრაზა არ დაასრულოს, ნაადრევად მოჰკვეთოს იგი. ავტორი ისეთ ბიძგს აძლევს მას იმთავითვე, რომ იცის იგი თავისთავად მთავარი დანიშნულ ადგილს. მერე რა, რომ ხშირად ინერციის ძალა ოდნავ ადრე ან ოდნავ გვიან ამოიწურება. ვანა ამისთვის ღირს რომ ავტორმა გამუდმებული ბიძგი აძლიოს თავის სიუჟეტს ან ფრაზას? ამიტომაც არის, რომ იგი მუდამ ნართაულად, გადაკრულად, რაღაც მომზიბლავი მოიარებით აღგვიწერს ხოლმე მოვლენებს და ბევრს, ხშირად მეტად ბევრს უტოვებს თავის მკითხველს სავარაუდოს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მთავარი აზრი მას თავის ტენდენციურ სიუჟეტში იმთავითვე აქვს ნაგულ-ლისხმევი. ამიტომაც ენდობა იგი ასე თავისი მკითხველის ალღოს და აზრის ღეჭვით არ ამცირებს არც მას და არც თავის თავს. სახის საბოლოო გამ-ლაძღე იგი არასოდეს არ ეშვება, რადგან იცის, რომ ეს მისი შემოქმედები-თი ხასიათის შერყვნა იქნებოდა და მკითხველსაც თავს გააბეზრებდა. ის კი ამაყია, მეტად ამაყი, რომ ეს ჩაიდინოს. იგი მწერლობაშიც ისევე ამაყია და სიტყვაძვირი, როგორც ცხვრებაში იყო. ამიტომაც იყო იგი უფრო ექსპოზიციის ოსტატი, ვიდრე მწერალი გაშლილი სიუჟეტისა. იგი მუდამ იქ ასრუბელს თხრობას, სადაც მისი წინამორბედნი, დავით კლდიაშვილი ან გიორგი წერეთელი, იწყებდნენ. აჭედანვე მომდინარეობს მისი ესკიზური სტილიც. აბა მოგონეთ მისი ეტიუდი: „მთვარიანი ღამის ჩრდილებში“

„მთვარიანი ღამეში სოფლის ვიწრო ოღრო-ხოღრო გზა დიდ მანძილ-ზეა დაკავებული.

„ხუთი ცხენოსანი, რამდენიმე ქვეითი და სამი ურემი ბრუნდება დღეობიდან...

„როცა უკან ჩამორჩენილი ურემი ჩრდილით მიძინებულ ადგილს მოხედება, ახალგაზრდა, ჩაბალახჩამოფარებული ბიჭი მივარდება ურემ-თან, ვიღაცას მუჯლუგუნს წაჰკრავს და წასტორჩულებს.

„— მეიწიე აქით, ძღაბო!

„— გაჩუმდი, დეიდა გეიგონებს... წადი, შე გასაწყვეტო, ჰომშორდი აქ სინათლეა.

„ბიჭი მოშორდება რამდენიმე ხნით. ჩრდილთან ერთად ისიც აჩრდი-ლივით მიეფარება ურემს...

„— ოლიყო.

„— ჰო, რა გინდა, რას შემეწვრილე გული!

„— ი ბიჭი ვინ იყო, შენთან რომ ცეცავდა?

„— ვინ იყო?! რა შენი საქმეა, ვინ იყო...

„— თავს ნუ იგდებს! ვინ იყო მეტი? — ბიჭმა გოგოს ხელ წაატანა ხელში და მოუტირა.

„— ვინ იყო და ძან ვაი ბიჭი? ოქროშვიდელი... ბაბამ მითხრა იმას მივცემო...

„მთვარის სინათლემ ისევე გადაჰკრა მათ.

„— ეხუმრობ, ეხუმრობ! ნუ ვადირიე, შეგეხედავენ.
„მგზავრების წინ, სულ თავში, გოგოს მთვრალი მამა მიდის. ცხენზე
აქეთ-იქით იკეცება და ბუზღუნობს: „ძაან კაი, შენ ნუ შომიკვლუ! გვა-
რიანათ ვიქეიფეთ, დაეთვერით... ჩემი გოგო იმ ბიჭს შეეწონა... შე-
ძლებული და კაი ხელობის კაცია. ერთი ორი კვრუნიც ღირს...“
ჯვარს.“

„— აბა სიტყვა მომეცი.

„— ჯერ შენ შემფიცე.

„— შენ თუ გიმტყუნო, დამეჭეცეს ოჯახი...“

„— შენ მეტს თუ გავყვე, ღმერთი გამიწყრეს, ღედა წამიწყდეს...“

„— აბა ნახვამდის, არ დაგაიწყდეს! და ბიჭი გადაუხვევს გზა-ბო-
ძალში“.

რამდენი სინაზეა, რამდენი გრძნობაა ჩაქსოვილი ამ პაწია მოთხრობაში და
რაოდენ ტრაგიკულია იგი თავისი შედეგით, რომელიც ჯერ არ მომხდარა,
მაგრამ უთუოდ მალე მოხდება.

ოლიკო და მისი ტრფიალი თავისი უხეში, მაგრამ უმარკო სიყვარულით,
სიყვარულით, რომელიც ასე ძველია და მაინც მუდამ ახალი, ამ მოთხრობა-
ში ტრაგიკულ გმირთა ელფერს იძენენ. აქ ყველა კოლოზიები უკვე შექმნი-
ლია, კონფლიქტი გამიზნულია, დრამა წინასწარვე განპირობებული, მაგრამ
ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც მოსალოდნელი იყო, ამბავს აღარ ამთავ-
რებს. იგი მკითხველის ალღოზეა მინდობილი, ეს ამბავი აეტორმა კი არა
მკითხველმა უნდა დაასრულოს. სიყვარულის სიუჟეტები უთვალავია და ეს
დასაწყისიც დაუმთავრებელი რომანისა უთვალავ სიუჟეტებსა და დასას-
რულს შეიცავს. ყოველ ცალკეულ მკითხველს თავისი მხატვრული ალღოს
მიხედვით შეუძლია განაგრძოს, ან დაასრულოს სიუჟეტის ეს მძლავრი ბიძ-
გით გამოწვეული ინერცია. ეს მოთხრობა სიუჟეტური ქვეტექსტით არის
დაწერილი, რითაც აეტორს მკითხველი თავის შემოჭმედებითს ინტიმში შეჭ-
ყავს და მით თავისი სულიერი ცხოვრების თანახმად ზღის.

მოვიგონოთ ასეთივე სიუჟეტური ქვეტექსტის მეორე მაგალითიც.

„თუ როდესმე დაწვდრეული ომნიბუსით გიმოგზაურიათ სამტრედით-
დან მახლობელ სოფლებისაკენ, თქვენ, უძველად დაინახავდით მესრის
იქით ეზოში მოფუსფუსე შავად ჩაცმულ ქალს, რომელსაც თან დას-
დედა მჭადის ნატეხით ხელში პაწია ბავშვი.“

„ახლა, იქ რომ ჩავიარე, ღედაკაცის უნახაობა დამაკლდა“.

ეს მინიატიურა „თავსაფრიანი ღედაკაცის“ ეპიგრაფია, რომელიც თავისი
ღირსებით ნოველას უდრის. ნიკო ლორთქიფანიძეს, როგორც ეს მოსალო-
დნელი იყო, წერტილი თითქოს აქ უნდა დაესვა, თხრობა თითქოს აქ უნდა
დაესრულებინა, მაგრამ იგი თვითონვე არღევეს თავისივე კანონს და მო-
გვითხრობს ამბავს „თავსაფრიანი ღედაკაცისა“, რომელმაც თავისი ტრაგიკუ-
ლი შინაარსით არ შეიძლება არ შეგზაროსთ. შეიღისათვის თავგადაღებუ-
ლი თავსაფრიანი ქვრივ-ოხერი ღედაკაცი, თუ ერთის მხრივ, ილია ჭავჭავა-
ძის ოთარაანთ ქვრივს მოგვაგონებს, მეორეს მხრივ მისი შემზარავი აღსა-
სრული როგორღაც ეგნატე ნინოშვილის ქრისტინეს ტრაგიკულ აღსასრულს
ესმაურება, რითაც მისი აეტორი თავისი შემოჭმედებით ქართული ლიტერა-
ტურის საუკეთესო ტრადიციებს კიდევ უფრო მჭიდროდ, ორგანიულად
უკავშირდება.

ნიკო ლორთქიფანიძე, მართლაც რომ გულთამხილავი შწერალია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი ღრმა და მართალი ფსიქოლოგიური ეპიზოდები, როგორც მას მოთხრობაში „ეკრიასათვის“ აქვს დაბატული, მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად მოიპოვება. მხედველობაში გვექმნება ის-ეპიზოდები, როცა კაცის უნებლიე მკვლელი თავდავიწყებას სქესობრივ¹ თრობაში ანუ თავისებურ ორგიაში ჰპოვებს.

ვლუხს მინაიას მიჯნის გამო დავის დროს წალდით მეზობელი შენთაქვდა. მოგანვე ჩადენილი მკვლელობით გაოგნებული შინ მოვარდა. მას თითქოს არ სჯეროდა მისგანვე ჩადენილი საშინელება და მკვლელობის ადგილიდან დაბრუნებულ ცოლს ნინოიას გვერდით უბრაოდ დაუჯდა.

„ჩემად იყვენენ.“

„— იყავი? — იკითხა მინაიამ თავის შებრალებით.“

„— კი...“

„— ნახე?“

„— ჭალს პასუხი არ გაუცია და ისე ქვეიდან ამოხედა მის ფერტიკრთალ სახეს, ჩაღრმავებულ, არეულ თვალებს... როგორ იზიდავდნენ ჭალს ეს თვალები.“

„— არ გეცოდები? რა დამემართა? — ხეწნით, მუდარით, სიყვარულით, ძლიერ, ძლიერ ტკბილად იკითხა მინაიამ და, თითქოს შევლას ელისო, მკლავში მოკიდა ხელი ნინოიას.“

„ნინოია გაიწია...“

„ამ დარიდებამ ყოველივე გადასწყვიტა. ორივეს ამ წამიდან დაეკარგა ყოველივე აზრი, ნამუსი, სირცხვილი... ერთი იყო სურვილი მხოლოდ... მკერდისათვის მეტი პაერი ეპოვნათ, ვულში ნადები ამოენთხიათ, დაქანცულიყვენენ, დალილიყვენენ... დავიწყებოდათ წარსული, მომავალი...“

„— გეზარები, დედაკაცი? გეშინია ჩემი? — კბილის კრაქუნით ეუბნებოდა მინაია, თვალებგაიმოვარდნილი, გაწითლებული ხევენა-ქილილში, ნინოიაც ამ დაძალბებაში რაღაც უხილავს, გამოუცდელს გრძნობია.“

„— როცა გაფუხედურდი, დავილუბე, მაშინ არ გინდივარ? მაშინ შენც სხვასავით მიტიე გზა?“

„— არა, არა! ვინ ვითხრა, რათ ფიქრობ?“

„და თითქოს სურთ ერთმანეთი დაახრონო, უდიერად ეხვეოდნენ ერთმანეთს. ხელები, თითები რკინის სალტებებით ეხვეოდა თავს, ტანს“...“

ეს სიუჟეტური პასაჟი მართლაც რომ შემადრწუნებელია თავისი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითა და ღრმა სიმართლით. იგი თავისი ძალით ჩვენ უნებლიეთ მოგვაგონებს რიჩარდ რაიტის რომანის „ძე ამერიკისა“ ანალოგიურ ეპიზოდს, რომელიც შამლეჯ არის დაწერილი.

ნიკო ლორთქიფანიძე ისე ღრმად განიცდის ადამიანის ყოველგვარ სულსკვეთებას, რომ მას არასოდეს არ სჭირდება თავისი გმირთა გარეგნობის ხატვა. ისინი სულიერი ცხოვრებით ისე მოიდარნი და ისე მართლად არიან გახსნილნი, რომ ჩვენ თვალათვალ ვხედავთ მათ, გვიტაცებს მათი ბედი, გვაზარებს მათივე სიზარული. სამაგიეროდ იგი რაღაღალავია იმერეთის პეიზაჟის აღწერაში. ალბათ უცხოეთში ყოფნის დროს თუ ოგრძნო მან განსაკუთრებული ტკივილით ეს მომზიბლობა თავისი მშობლიური კუთხისა, იქ

თუ განიცადა მან ასე მძაფრად თავისი ქვეყნის ბუნება. მისი ბუნება რო-
დია ისე მქუხარე და ბოზობიერი, როგორც ვაჟა-ფშაველას ან ალ. ჯანაშვილის
ბუნებაა. პირიქით, იგი ძალზე ნაზია, სათუთია და ამასთანავე ერთად ნაღვ-
ლიანი და დამაფიქრებელი. ნიკო ლორთქიფანიძე მას აღწერს, პათოსის გა-
რეშე, აღწერს შინაგანი მღვლეარებით, ისე მოკლედ, მოკვეთილად და მოკლე-
ქოს სიტყვები არ ჰყოფნიდეს. უნდა ითქვას, რომ მას სიტყვები მართლაც
არ ყოფნის, რადგან იგი ბუნებას განცლით აღწერს, ხოლო განცდათა
ლექსიკონი ღარიბია ზმნებითა და ზედშესული სახელებით. ნიკო ლორთ-
ქიფანიძე კი ზმნასა და ზედშესულ სახელს ვერ იტანს. არცერთი მწერალი
არ მიმართავს ისე ზმირად არსებით სახელებს და ისე ძუნწად ზმნებს,
როგორც ნიკო ლორთქიფანიძე. ნივთი მისთვის შემოქმედებითი ფეტიშად
ქცეულა და არცერთ მწერალს მატერიალური კულტურა ისე არ აუმეტყვე-
ლებია, არ გადმოუცია ისეთი დინამიკით, როგორც ეს ნიკო ლორთქიფანი-
ძეს ეხერხებოდა.

ჩვენს მწერლობაში მოკლე, კონდენსირებული ფრაზის შემომტანი ნიკო
ლორთქიფანიძეა. ერთ დროს მან გარკვეული დღიცი დაამჩნია ამ მხრივ
ქართულ მწერლობას. მას ჰბაძაქდნენ, მაგრამ, როგორც ყოველი მიბაძეა,
ეს წამბაძველნი დღეს უკვე მივიწყებულნი არიან. მიბაძეა მხოლოდ იმით
კი არ არის საშინელი, რომ იგი არაფერს ახალს არ გვეუბნება, იგი საშინე-
ლია იმიტომაც, რომ მიმბაძველს არ გააჩნია თავისი საკუთარი სულიერი
სამყარო და არც საკუთარი მეტყველება. მიმბაძველის ენა სხვისია, თვითონ
სხვაა და ისინი ერთფრთს არ შეესაბამებიან. ნიკო ლორთქიფანიძის განცდა
და გამოხატულება ღრმად იდენტურია და ამიტომაც მისი ლაქონიზმი ფან-
ტაზიის სიღარიბით როდი არის გამოწვეული. პირიქით, იგი გრძნობათა
სიჭარბითა და საბეთა სიუხვიდან მომდინარეობს. მისი ფრაზა მუდამ შტრი-
ხია და არა დასრულებული მსუყე პერიოდული წინადადება. ქართული
ფრაზა მან უაღრესად გაამარტივა. გაამარტივა იქამდე, რომ ერთი ნაბიჯიც
და სქემა დაიწყება. ხშირად იგი მართლაც სქემაა, მაგრამ ამ სქემათა შო-
რის ისეთი ლოგიკური თანმიმდევრობაა დამყარებული, ისეთი ორგანიზლო-
ბით გამომდინარეობენ ერთფრთისაგან, რომ თრთიან, სიცოცხლით ივსე-
ბიან. ნიკო ლორთქიფანიძე ოსტატურად ფლობდა ქართული მეტყველების
იმ უდიდეს საიდუმლოებას, რომელიც ვერ იტანს გრძელ პერიოდებს. ამ მხრივ
იგი ღრმად ეროვნული მწერალია. მას საკვირველი ალლო ჰქონდა ფრაზის
შიღმა გათხრილი უფსკრულის გრძნობისა. იგი მუდამ უფსკრულის პირას
დადიოდა და იცოდა... არა, როდი იცოდა, გრძნობდა, საღ უნდა შეჩერებუ-
ლიყო, რადგან ამას იქით სიმარტივის მაგიერ აზღა-უბდა იწყებოდა, სახის
მაგიერ ქაოსი იყო, ნისლი და ბურუსი უაზრობისა. ამას იქით ფრაზა კარ-
გავდა აზრს. მიუხედავად ასეთი ლაბილარიზმისა, მისი ფრაზა, ცნება ან უბ-
რალო რამ გრამატიკული წინადადება როდი არის. იგი ფერია, რომელსაც
იგი ყნოსვით არჩევდა, გაბედულად ეძებდა სხვა ფერთა შორის, პოულობ-
და სწორედ ისეთს თავის მრავალფეროვან პალიტრაზე. როგორც საჭირო
იყო და, კი არ სწერდა,—ხატავდა. მას არ ეხერხებოდა განვრცობილად წერა,
რადგან იგი ნერვიული, მოუთმენელი, გრძნობამორეული კაცი იყო და მოგ-
ვითხრობდა ამბავს დანაკრწებულად, დანაწევრებულად და ამ მრავალდობით
იმ წარმტაც ერთიანობას აღწევდა, რომელმაც შექმნა ეს შემოქმედი. მისი
ფრაზა ფერია და არა ცნება. ცალკე აღებული, კონტექსტიდან გამოთიშუ-

ლი იგი თითქოს უაზროა და მკრთალი, მაგრამ აბა იგი ტექსტში ამოიკითხეთ, — იგი ძვირფას თვალისთვის ბრწყინავს და ელვარებს, ფერადი და ზოგჯერ მოთაყვსებელი, იგი წარმოადგენს გამასა ჰქმნის.

- „ყოფიდა მამალი.
- „მეფდა ძალი.
- „ამოდიოდა კვამლი.
- „და იყო სოფელი.“

საქონელი
შეზღოვნილი

ასეთია მისი წერის მანერა. ამიტომ არის იგი ახალი, ორიგინალური მოვლენა ჩვენს მწერლობაში. ამიტომ დაიჭირა მან საპატრო ადგილი ჩვენს მწერლობაში. არც ერთ მწერალს არ უვლია ისეთი მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით, იმდენი წინააღმდეგობების გადალახვით, როგორც ნიკო ლორთქიფანიძეს. არცერთ მწერალს არ გადაუხედავს ისე ხშირად სიტყვიერ უფსკრულში, როგორც ნიკო ლორთქიფანიძეს. ამიტომ არის იგი ჩვენთვის ძვირფასი თავისი ნაკლითაც და გამარჯვებითაც. აბა მოივინეთ „თავსაფრიანი დედაკაცის“ ოჯახი:

- „მაქვა და თითისტარი.
- „კეცი და ჩოგანი.
- „ლარი და საჩეჩელი.
- „პრასი და ოხრაბუში.
- „მეწველი ძროხა“ და სხვ. —

ეს ხომ პრეისკურანტია! — იტყვიან თქვენ. ნიკო ლორთქიფანიძის ნიჭის საიდუმლოებაც სწორედ იმაში იფარება, რომ მას პრეისკურანტი მხატვრულ დონემდე აპყავს, რომ იგი ინვენტარს, როგორც ენთოგრაფიულ ნიმუშს კი არა, როგორც საყოფაცხოვრებო დეტალს, როგორც ცხოვრებაში სახმარ ნივთს და მაშასადამე, ცხოვრების ამსახველ ფერს უცქერს.

და მართლაც, როგორც ვხედავთ, გლეხის ოჯახი დაბატულია.

თავსაფრიანი დედაკაცის ეს მზითვის სია თავისი ლაპიდარობით განა სიგელგუჯრებში დაცული მზითვის წიგნებს არ მოგვაგონებს? აბა, მოივინეთ ანუკა ბატონიშვილისა და სხვა დიდებულ ან მდაბიო პატარძალთა მზითვის წიგნების სტილი, თუ ეს ასე არ არის!

ისევე, როგორც მისი სუფეტი, ყოველი მისი ფრაზა ქვეტექსტიანია, ქვეცნობიერია. არც ერთი მწერალი არ მიმართავს აბზაცს ისე ხშირად, როგორც ნიკო ლორთქიფანიძე, არც ერთი მწერალი არ სტოვებს იმდენ დაუწირელ ადგილს, რამდენსაც ნიკო ლორთქიფანიძე. თვალის ერთი გადავლებით მისი მოთხრობა თეთრ ლექსსა ჰგავს და თვით უოლტ უიტმენიც არ მიმართავს თავის თეთრ ლექსებში იმდენ აბზაცს, რამდენსაც ნიკო ლორთქიფანიძე მიმართავს ხოლმე თავის მოთხრობებში. არცერთ მწერალს ისე მოღელგარედ არ აღმეტყველებია დაუწერელი ქაღალდი, როგორც ნიკო ლორთქიფანიძეს. ნიკო ლორთქიფანიძე მუსიკალურ ფრაზასავით ერთის დარტყმით იღებს აკორდს და მერე ყურს უგდებს მათს ვიბრაციას, ტკბება მისი ელერადობით. იგი აქაც ისევე პრინციპულია, როგორც სიუჟეტოლოგიაში. თუ სხვანი შაიით სწერენ თეთრზე, ე. ი. მელნით სწერენ ქაღალდზე, იგი თეთრით სწერდა თეთრზე. მისი დაუწერელი სტრიქონი ვაგრძელებია დაწერილისა. იგი ცოტას ამბობს და ბევრს გოლისხმობს. იგი ბევრს გრძნობს და ცოტას ამბობს, იგი პრინციპული ლაკონისტია. ცხოვრებაშიც იგი ისევე ამაყი, თავდაპერი-

ლი და სიტყვაძეირი კაცი იყო, მაგრამ ამასთანავე ერთად გულისხმებერი, გრძობებერი და სათუთი ადამიანიც იყო.

ასეთივე ხასიათს ატარებდა მისი შემოქმედებითი ძირითადი ნაწარმიც. „მრისხანე ბატონი“, „ქაშა სიავე“, „რაინდები“, მწერლის რეჟისორულუცამდეღ თანადროულობას გულისხმობენ, ხოლო „ფეოდალები“, თავისი მწველი ჰუმორით, სატირით რეტროსპექტიულად დანახულ წარსულს წარმოადგენს.

თუ შემოქმედება მწერლის ცხოვრებისა და ბედის ლიტერატურაში გადმოტანაა, მაშინ ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრება და შემოქმედება მართლაც რომ ერთი განუყოფელი მთლიანობაა. მაშინ მისი შემოქმედება მართლაც რომ მისივე ცხოვრების სტილია. მან ისევე იცხოვრა, როგორც სწერა. სწერა ცოტა და სთქვა ბევრი. იგი სრულიადაც არ იყო გრაფომანი. მან ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსემ, შესწვეიტა სიცოცხლე ისევე მოულოდნელად, როგორც ფრაზას სწყვეტდა ხოლმე. სწყვეტდა იქ, სადაც ნიშანი „მძიმე“ უნდა ყოფილიყო დასმული. ეს „მძიმე“ მართლაც რომ მძიმეა ჩვენი მწერლობისათვის, რადგან ამას იქით ნიკო ლორთქიფანიძის დაუწერელი წიგნები და დაუმთავრებელი სიცოცხლე იწყება.

მთელი სიბრძნე მისი, როგორც შემოქმედისა, მდგომარეობდა იმაში, რომ იგი ისეთი შემოქმედი კი არ იყო, როგორც მას უნდოდა რომ ყოფილიყო, არამედ იყო ისეთი, როგორც იგი ცხოვრებაში იყო. მას არასოდეს არ ატყუებდა არც თავისი თავი და არც თავისი შემოქმედება. ამიტომაც იყო იგი ასე მართალი და ამ სიმართლისათვის ენდობოდა მას ჩვენი მკითხველი. მას ორგანიულად სძაგდა ყოველგვარი პოზა და თეატრალიზა, ლაყბობა და „ლაბაუცი“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე. ნიკო ლორთქიფანიძე მისი წიგნებივითვე მორიდებული, უბრეტენზიო მწერალი იყო და ასევე მოკრძალებულად, ასევე თავმდაბლად დაასრულა თავისი სიცოცხლე.

ნაშთალამევეს, როცა ხალხისაგან თითქმის დაცლილ პროსპექტზე გავივლით ხოლმე, ჩვენ გული ვგტკივა, რომ ვერ შევხვდებით ძვირფას ნიკოს მართო მომავალს. იგი ისევე აუჩქარებელი და დარბაისელი, როგორც შემოქმედი. ნელი ნაბიჯით ჩაივლიდა ხოლმე რუსთაველის პროსპექტს, როცა ყველა შინსაკენ მიეშურებოდა და გამთენიის ხანს ბრუნდებოდა შინ იმ დროს, როცა ქალაქი იღვიძებდა. იგი მთელი დამე ატარებდა გულით თავის გმირებს, ატარებდა სამშობლოსადმი იმ უანგარო სიყვარულს გულით, რომლის გამო იგი ფერფლად იქცა.

მისი ცხედარი პროფესორს რომ გაეკეთა, ალბათ მისივე გმირვით ამოხდებოდა:

— ბატონებო, გული? გული სადღაა?

და კედლიდან პატარა რუკა გაგვეცემა პასუხს:

— შე დავაჰქენ!

ეს პატარა რუკა, რუკაა დიდი საქართველოსი, რომლისთვისაც ასე თავდაუნანებლად დაიფრფლა ნიკოს გული.

სასიყვდილო საარეცლოზე იგი ისევე მშვიდი იყო და დაკვირვებული, როგორც ცხოვრებაში. იგი როდი ეთხოვებოდა სიცოცხლეს. იგი მოკვდა ისე, თითქოს ახალ სიცოცხლეს იწყებდა. ეს სიცოცხლე სიცოცხლეა შემოქმედისა და იგი ჩვენთვის მუდამ ძვირფასი იქნება.

ზალვა აფხაიძე

დავით კლდიაშვილი

მე-19 საუკუნე ქართულ ლიტერატურაში ბრწყინვალე ხანაა, დიდი აღორ-
 ძინების ფერხულში მოყოლილმა ხმალშესვენებულმა ქართველმა ხალხმა
 თავისი ენერგია მხატვრულ შემოქმედებაშიც გამოამჟღავნა. ამ საუკუნეს
 ანათებენ ისეთი სიდიდის ვარსკვლავები, როგორიც არიან ალ. ჭავჭავაძე,
 ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ალ. ყაზბეგი, შემ-
 დგ ფუძემდებელი რეალიზმისა ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და ვაჟა-
 ფშაველა. საუკუნის მიწურული სხვა უჭიბთაც განათლდა. მის მშვენიერ
 ცაზე 1893 წელს გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი — დავით კლდიაშვილი, რომ-
 ელმაც სულ რამდენიმე წლის მანძილზე, ერთი გაბმული შემოქმედებითი
 დღილის შედეგად ქართველი ხალხის სულიერი სამყარო მაღალმხატვრუ-
 ლი შედეგებით გაამდიდრა, დიდი საუკუნე დიდი მხატვრული ტილოების
 ქროლოვით გააცილა. გამოჩნდა სავსებით მომწიფებული, ჩამოყალიბებული,
 საკუთარი წერის მანერის მქონე მწერალი.



დავით კლდიაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1893 წელს მოთხ-
 რობა „შერისხვათი“, რომელშიც მოცემულია მისი შემოქმედებითი მეთო-
 დი, გარკვეულია მისი სტილი და ის სამყარო, რომელშიც მისი გმირები
 ცოცხლობდნენ. „შერისხვას“ ზედიზედ მოჰყვა „მსხვერპლი“, „სოლომან
 მორბელაძე“ (რომლებიც 1894 წელს იქნენ გამოქვეყნებულნი). „წრფელი
 გულით“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მრევლში“, „ქაშუშაძის გაჰირ-
 ვება“, „ირინეს ბედნიერება“ — ეს უმთავრესნი და მნიშვნელოვანნი, რომ-
 ელებიც დავით კლდიაშვილის ბედნიერ კალამს ეკუთვნიან, მე-19 საუკუნის
 სულ უკანასკნელი ეჭესი-შვიდი წლის მანძილზე შეიქმნა. გამონაკლისს შე-
 ადგენენ ქართული კომედიის სანიმუშო ნაწარმოები და მისი ფუძე „დარის-
 ბანის ვასაჰირი“, 1903 წელს გამოქვეყნებული, რამდენიმე დაახლოებით
 ამავე პერიოდში შექმნილი, შესანიშნავი მოთხრობა და „მემუარები“, რომ-
 ელიც მწერალმა თავისი სიცოცხლის დაბინდებისას დასწერა.

ამ დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად დავით კლდიაშვილმა
 შექმნა მთელი რიგი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც სუნთქავენ
 ღრმა აზრით და განუმეორებელი კოლორიტით გამოირჩევიან.

როგორც ნათელმჭვრეტი ხედავდა იგი თავის გმირებს და მათს შინაგან
 სამყაროს, თავის ნაწარმოებებში მან ასახა ყოფა და მთელი ცხოვრება წი-
 ნარეველუციური ხანისა, შექმნა დაუფიქსარი ტიპები, რომლებიც სცილდე-

ზიან კუთხურ ჩარჩოებს. მწერალი მოვლენათა აღწერაში აღწევს ისეთს ძალას, შთაგონების ისეთს სიმალლეს, რომ ყოველდღიურობა, უბრალო ყოფითი დეტალები მის ნაწარმოებებში აღიქმება, როგორც დრამა ტრაგედია, დიდი სულიერი დამაბულობა.

დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები მკითხველს ხიბლავენ სვეტიცხოველში, ადამიანის დიდი სიყვარულით. მისთვის ცხოვრება და შემოქმედება განუყოფელ მთლიანობაშია მოცემული. ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც დავითი დიდი ჰუმანისტი იყო და ყოველ მოვლენას იგი სწორედ ამ პოზიციებიდან აფასებდა. მის გულში ისეთივე სიყვარული ბრწყინავდა ადამიანისა, როგორც ყოველ მის ნაწარმოებში. სამართლიანად აღნიშნავს სერგო კლდიაშვილი თავის მოგონებებში: დავითს ერთი თვისება ახასიათებდა: მას ჰქონდა ნიჭი აეყვანა კაცი თავისი თავის სიმალლეზე, ადამიანი გაელვძიებია მასში, ვისშიაც კაცური სიმალლე ჩამჭრალი ჩანდა, ასეთი იყო მწერალი ცხოვრებაში. აქეთკენ მოუწოდებდა მკითხველ საზოგადოებას მისი მდიდარი შემოქმედებაო.

როგორც მესამოცეანელთა მემკვიდრე დავით კლდიაშვილი შემოქმედების ცენტრში აყენებდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს, რეფორმების შემდეგ შექმნილ სოციალურ ურთიერთობას ჩვენს სინამდვილეში. იგი იყო ჰუმანიტი მწერალი-მოქალაქე. ამით აიხსნება მისი ლიტერატურული სიმპათიებიც და გატაცება ემილ ზოლათი. „ზოლაში ჩვენ ვხედავდით მოქალაქეს. ეს კი ჩვენს დროში ყველაფერი იყო“.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებითს ლაბორატორიაში საოცარი ინტენსივობით მიმდინარეობდა ეპოქის დამახასიათებელი, შერჩეულ მხატვრულ სახეების ჩამოყალიბება. ეს ცოცხალი, სინამდვილიდან ამოღებული ტიპები, მწერლის უტყუარი თვალით არიან დანახულნი და თავიანთი თვისებებითა და ხასიათებით მალაღ მხატვრულ დონემდე აყვანილნი. მწერალი სცილდება ნატურალიზმის ვიწრო ფარგლებს და რეალიზმის ფართო ნიადაგზე დგება, რამდენადაც იგი ქმნის არა მხოლოდ ტიპურ ხასიათებს, არამედ ტიპურ გარემოცვასაც. ეს არის წვრილანაურული და, ნაწილობრივ, გლუხური ფენა იმ სახით, როგორითაც იგი გამოიყურებოდა იმ ხანებში.

ეს არის სურათი ზემო იმერეთის სოფლისა, რომელსაც თავის იერს ამლევდა უსაქმოდ დარჩენილი, მატერიალურ საფუძველს მოკლებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი წვრილი მესაკუთრე აზნაურობა; სოფლისა, რომელსაც სახეს უცვლიდა შიგ შეჭრილი ფულადი მეურნეობა, არღვივდა საუკუნეებით შექმნილ ფეოდალურ კარჩაკეტილობას, ნატურალურ წარმოებაზე დამყარებულ ურთიერთობას და ცხოვრების ზედპირზე სამოქმედოდ გამოჰყავდა ახალი სოციალური ძალები.

ასახა რა ახალი ძალის — ფულადი მეურნეობის დამკვიდრების ხანა, მწერალმა განსჭვრიტა ახალი საზოგადოებრივი ფორმაციები, რაც თან მოჰყვა პატრიარქალური წყობილების დამშობას. მან შეამჩნია მომხდარი კლასობრივი დანაწილება და მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი რომლებიც იშვიათ მხატვრულ სურათებში გააცოცხლა. დაინახა სოფლისა და ქალაქის წინააღმდეგობანი შემოჭრილი კაპიტალიზმის პირობებში. მისი გმირების პირით რომ ვთქვათ: „თითქო თავმომწონე, უფრო დონიერი ქალაქი დასციროდა მისუსტებულ სოფელს, დასციროდა, თავის გამარჯვებას აქადნიდა და ემუქრებოდა მეტს დანაჯვრას. მასთან ბრძოლაში“.

დავით კლდიაშვილმა გარკვევით დაინახა ის ჩანასახები საზოგადოებრივ

ცხოვრებაში, რომელთა განვითარების ტენდენცია ახალი კლასის შექმნისაკენ იყო მიმართული. მისი დიდი შემოქმედების პროგრესული რაღაც ეს არის, რომ მან საესებით ახადა ნიღაბი დრომოქმედ აზნაურობას, განაიარაღა იგი მორალურად, წაართვა სოციალური ფუნქცია ისე, როგორც ეს სინამდვილეში იყო. ამ მიზნით იგი ხშირად გროტესკულ ფორმებსაც მიაშართავს, ხშირად გმირებს კარიკატურულ მდგომარეობაში აყენებს, თუმცა საღი რეალიზმის ჩონჩხებს იშვიათად სცილდება.

დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში ტიპურია მოქმედი პერსონაჟები, ტიპურია ის მოვლენები, რომელთა ზედგავლენას ისინი განიცდიან და მთელი სინამდვილე, რომელსაც იგი ასეთის მხატვრული სიმართლით, მიუდგომლობითა და დიდი შემოქმედებითი მღელვარებით გადმოგვცემს.

დავით კლდიაშვილმა, როგორც ქეშმარიტმა რეალისტმა მხატვარმა, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა არსებულ სინამდვილეს, არა ლიტერატურული წყაროების, არამედ თვით ცხოვრებაზე, მისი განვითარების კანონზომიერებაზე დაკვირვებით, იშვიათი ოსტატობით ასახა ის გათიშვა, რომელც დაემჩნა წერილზნაურული ცხოვრების შინაარსსა და ფორმას. გაქვევებულ ტრადიციებსა და ინერციაზე დამყარებული ეს ფორმა უცვლელი დარჩა მაშინ, როცა შინაარსი საფუძვლიანად შეიცვალა. წერილზნაურობას შერჩა მატერიალურ საფუძველს მოკლებული წოდებრივი სიამაყე, კუდაბზიკობა, დარჩა უშინაარსო ფორმა. აქედან არის, რომ დავით კლდიაშვილს ნაწარმოებს ასეთი კომიკური იერი ეძლევა. მწერალმა მხატვრული ობიექტურობით ასახა ეპოქა, რომელშიც მნიშვნელობა ჰქონდა არა ადამიანს, არამედ საზოგადოებრივ ფენას, რომელზედაც ის იყო დამოკიდებული, როცა ფუქსავატი აზნაური ანგარიშს უწევდა მხოლოდ იმას, თუ რას იტყობდნენ მასზე გარშემომყოფნი. მწერალმა ასახა ფეოდალური დაყმევება ადამიანისა იმ ფენებში, რომელსაც იგი ასე კარგად იცნობდა.

უქვევლია დავით კლდიაშვილს ჰყავდა თავისი წინამორბედნი გ. წერეთლისა და სხვათა სახით. მთელი რიგი ტიპები პირველად მათ მიერ იქნენ შემჩნეულნი ქართულ სინამდვილეში და გაცოცხლებულნი თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში. მაგრამ დავით კლდიაშვილმა ამ სახეებს ისეთი მხატვრული დამაჯერებლობა მისცა, ისინი ისეთი ცოცხალი ფერადებით დახატა, ისეთი ცხოველი სული შთაბერა, რომ, გადაუზარდნენ რა კერძო მოვლენის დამახასიათებელ თვისებებს, უკვდავი ტიპების სიმალღემდე ავიდნენ.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების ანალიზი ნათელჰყოფს კომიკური მდგომარეობის სიტუაციის ხშირად ტრაგიკულში გადასვლას. თითქმის ყოველი მისი ნაწარმოები ტრაგიკულად თავდება. მისი სიცილი, ფხიზელი: ირონია ყოველთვის ღრმა სევდით იცრემლება. მის სატირას არ ახასიათებს მათრახის სიმწვავე. მასში ხშირად ღიმილი გამოკრთის, ღიმილი მწერლისა, რომლისთვისაც პირველ რიგში ადამიანის ბედი დგას.

დ. კლდიაშვილის სატირა მხოლოდ ერთ შემთხვევაში იღებს ღრმა სარკაზმის ძალას: როცა იგი ნიღაბს ზღის ზნეობრივ საწყისებს მოკლებულ აზნაურთ წოდებიდან გამოსულ ისეთს ტიპებს, როგორიც არიან თუნდაც პორფირი ბიაშვილი და ბეგლარ ჭინჭარაძე, როცა ამქდავნებს მათ ცინიზმსა და ამორალიზმს. ხოლო ისეთი უკვდავი სახეები კი, შემოდგომის აზნაურთა ისეთი კოლორიტული წარმომადგენლები, როგორიც არიან სოლომან მორბელაძე, ოტია ქამუშაძე, დარისპან ჭარსაძე, პლატონ სამანიშვილი და სხვები—სიბრაალულს იწვევენ მხოლოდ. მწერალი ყოველთვის ნახულობს, ცდი-

ლობს ნახოს ყოველ შემთხვევაში, მათი მახინჯი ქცევის გამამართლებელ მოვლენები. უკანასკნელთა ცხოვრების აღწერისას მწერლის ღიმილით გაულის ტკივილი და სასოწარკვეთილება იჭრება.

დავით კლდიაშვილის ყოველ ნაწარმოებს ახასიათებს თემატური ერთმთლიანობა. მისი ოსტატობა, როგორც ხელოვანისა მკლანდებლად, მკლანდებლად, ცალკე ეპიზოდები კომპოზიციურად დამაჯერებლად, ბუნებრივად არიან შეკრულნი. მწერალი ზედმიწევნით იცნობს იმ გარემოსა და ხალხის ცხოვრებას, რომელთაც იგი მხატვრულად ასახავს. ხშირად მას მთელი ეპიზოდები გადააქვს ნაწარმოებებში იმ სახით, როგორითაც იგი ხალხში გაუგონია. მომხდარა. მრავალი სახე სინამდვილიდან აქვს აღებული. მრავალი ამბავი, ხალხში გაგონილი, მოთხრობაში გამოყენებული აქვს ამათუქმ მოქმედების მოტივაციის მიზნით თუ საერთოდ ხასიათის მოსახაზავად. თავის შესანიშნავ მეშუარეობაში დავითი სწერს: „მიყვარდა სამხარეულო სახლში ყოფნა. აქ შუა ცეცხლის პირას მოყავანე ხალხში ვარევა. რა ზღაპარს, რა არაქსრა ამბავს, ხუმრობას არ გაიგონებდი ხოლმე“.

ასე აქვს შეტანილი მოთხრობა „მსხვერპლში“ თითქმის სიტყვა-სიტყვით მის მეზობელ ლევანა სირბილაძის მიერ მოყოლილი „საიქიოს ყოფნის“ ამბავი. რომელსაც ძლიერ წააგავს მარინეს მიერ მოყოლილი ამბავი მისი გაკულიანებისა. დ. კლდიაშვილი სარგებლობს ფრანგული მოკლე ხალხური მოთხრობებით, რომლებიც ფაბლოს სახელწოდებით არიან ცნობილნი ანდა ავსტრიული თუ ბავარიული შვენოკების მსგავს ხალხში გაგონილი ანექლოტური ხასიათის ამბებით, ხუმრობით და მოხერხებულად შეაქვს ისინი მოთხრობებში. ასეთია თუნდაც ძალი კუსიას ამბავი, რომელიც თავის პატრონს არჩენს. ცნობილია, რომ ავსტრიულ და ბავარიულ სატირულ მკირე მოთხრობებისა და ანექლოტების საფუძველზე შეიქმნა დიდი სატირული რომანი „ტილ-ულენშპიგელი“, იტალიურ პაროდულ ნოველების საფუძველზე — უკვდავი „დეკამერონი“ და სხვ. ანალოგიით შეიძლება ითქვას, რომ იმერულ ენამაზვილურ, ანექლოტური ხასიათის ამბებზე აგებულია დ. კლდიაშვილის ბრწყინვალე მოთხრობები იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელებში სჭარბობს თავშეკავებული ლმობიერი ირონია.

დავით კლდიაშვილის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები იმსახურებენ დიდ ყურადღებას, ლებულობენ დიდ მნიშვნელობას. ისინი მხოლოდ გარკვეულ დროისა და გარკვეული ეთნიური ერთეულის დამახასიათებელი როდი არიან. მწერალს უდიდესი მხატვრული ინტენსივობითა და განზოგადების მეშვეობით თავის სახეები აჰყავს ღრმააზროვან სიმბოლოების მნიშვნელობამდე, რამდენადაც მისი მოთხრობები წარმოადგენენ არა იმდენად პამფლეტს რეფორმის შემდეგელ წვრილახაზურობაზე, რამდენად ისინი გამოხატავენ ბედს ადამიანისას, რომელსაც თავისი არსებობის ფუნქცია დაუკარგავს.

ავტორს მკითხველი პირველ ნაწარმოებიდანვე შეჰყავს ცნობილ „ბნელ სამეფოში“, სადაც იგი თითქმის ვერც ერთი სალი გონებისა და გრძნობის ადამიანს ვერ ხედავს. ამ სამეფოს არსებობა ემყარება ცრუმორწმუნეობას, ადამიანის ბნელ ინსტინქტებს, ველურობამდე მისულ ზნეჩვეულებებს. ამ სამეფოში მოხუც ქალებს დადავენ მოჩვენებითი კულიანობის გამო, აბესალომები მძლავრობენ, თავიანთ თავს ჰყიდიან, ერთმანეთს ხატებზე სცემენ. მიუხედავად ამისა ეს ხალხი მაინც ეცოდება ავტორს, რამდენადაც მათი მოქმედება დაპირობებულია არა შინაგანი ხასიათიდან გამომდინარე ბორო-

ტებით, არამედ ობიექტური პირობებით, მოვლენებით, რომლებიც თითქმის მათზე არ არიან დამოკიდებულნი.

ცრემლნარევ ღიმილის თუ მზილების ეს ტენდენცია პირველ მოთხრობაშივე იჩენს თავს. ეს სადებიუტო მოთხრობა ამასთანავე ნათვლყვდფსკოთუ რა შესანიშნავად იცნობს ავტორი სოფლის, ამ შემთხვევაში გლუხობისკყოფას. მწერალმა ამ მოთხრობას (მხედველობაში მაქვს „შერისხვა“) გარკვეული სოციალური აზრი დაუდვა საფუძვლად; კერძო საკუთრების ინსტიტუტმა გლეხი კაცია საგუნაშვილი სიგიჟემდე მიიყვანა, მიწის მონად ვაზადა გააუბედურა, იმსხვერპლა. მოთხრობა მხატვრულ სახეებში ხსნის იმ დამღუპველ, გამანადგურებელ, ადამიანში ღირსების ჩამკვლელ გავლენას, რომელსაც კერძო საკუთრება მფლობელის ფსიქოლოგიაზე ახდენს. მიდრეკილება კერძო საკუთრებისადმი კაცია საგუნაშვილში ახშობს საზოგადოებრივ ალღოს. არ უთმობს სოფელს გზის გასაყვანად მიწის ისეთ ფართობსაც კი, რომელზედაც ორი ბათმანი სიმინდიც არ მოვიდოდა. ჯვარზე გადაცემა, ბრძოლა წმინდა გიორგის ხატთან, რაც რელიგიასთან ბრძოლაში გადაიზრდება შემდეგში, ავტორს იშვიათი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით აქვს გადმოცემული. კაცია მაინც სიბრაღულს იწვევს მკითხველში — იგი ცრუმორწმუნეობისა და კერძო საკუთრების მსხვერპლია. ავტორი თავის გმირის მოქმედებას ჰუმანიზმის პოზიციებიდან აფასებს. ამ პოზიციებიდან აფასებს იგი პლატონ სამანიშვილს, სოლომან მორბელაძეს, ფეფენას, ყველას — მიქელასაც კი, რომელმაც ნამდვილი ბოროტმოქმედება ჩაიდინა — მოკლა შვილიშვილი. უკანასკნელიც ცრუმორწმუნეობის მსხვერპლია. ოჯახი უნდა იხსნას გაწყვეტისაგან და სპიდონას სწირავს. საესეებით რეალისტური შტრიხი ხშირად დ. კლიაშვილის მოთხრობებში რალაც ფანტასმაგორიის ხასიათს ღებულობს, მოკლებულია იგი ლოგიკურობას. რამდენადაც მოკლებული იყო მას, საღ გონებას მაშინდელი სოფელი. მარინეს გაჯღიანების ამბავი თითქოს ირაციონალურ ხასიათს ატარებს. ჰყვება უბედურ შემთხვევას და თვითონვე სჯერა თითქოს შეთხზულის ჰუმბარიტება. მკითხველი, უიკველიან, მოელის მარინეს მიერ თავის მართლებას (მოთხრობა „მსხვერპლში“), რომ ის კუდიანი არაა. მაგრამ მწერალი არ მიდის იმ იოლი გზით, იგი როგორც პრინციპული რეალისტი, დაინტერესებულია ფსიქოლოგიური სიმართლის დაცვით, ტიპური გარემოცვის შექმნით. მარინეს გარშემო შექმნილ დაძაბულ ატმოსფეროს სწორედ შესატყვისი სულიერი კრიზისი უნდა გამოეწვია. ეს საესეებით მოსალოდნელი და ბუნებრივი იყო. შეულამაზებელ სინამდვილეს ნამდვილად ისეთი სულიერი ღებარესია და ტრაგიკული ბოლო უნდა მოყოლოდა, როგორიც მარინემ განიცადა.

მოუხედავად ამისა, მწერალი, დგას რა მორალისტის ნიადაგზე, მაინც პოულობს თავისი გმირი ფეფენას, ამ საშუალო საუკუნის ნაშთის, ძველი ტრადიციების ბრმა ტყვეს, გამამართლებელ მოტივს. ფეფენა დარწმუნებულია, რომ „სიცოცხლე მოუშხამა ამ უბერიო გოგომ“. რა უყოს, რა რიგად აიცილინოს თავიდან განსაცდელი, აიცილინოს ქვეყანაში თავისმოჭრა? განსაცდელი მოელის, უსათუოდ მოელის, ამაში დარწმუნებულია ფეფენა... „რა რიგად უქირავს თავი იმ შეჩვენებულს. ვის გაუგონია გათხოვილი ქალის კისკისი, ვაუთავებელი სიმღერა, ცეკვა-თამაში ისე, როგორც მან იცის. გაგონილა ასე თამამად, მოურიდებლად, თავისუფლად ლაპარაკი, მან რომ კაცებთან ლაპარაკი იცის? რას ჰგავს, რავე შეფერის ქმრიან ქალს, მან რომ

მოკანზევა-გამობრანქვა იცის? ეს გაზრეკილი აზნოუშვილიც რომ შემოეთრია სახლში?"

მწერალმა თითქოს ერთმანეთს დაუბირისპირა ძველი და ახალი სიძველე ფეფენასა და მარინეს სახით. ისინი ცოცხალი ადამიანები არიან, გამოკვეთილი ხასიათებით. ფეფენას დესპოტიზმი შვილისა და რძლის მიმართ ძველი ტრადიციების დაცვის აუცილებლობას ემყარება. მის ქცევას ამართლებს სასტიკი სიძულელი აზნაურ დავით კარუგდელაძისადმი, რომელშიც ზოგადად აზნაურობაა განსახიერებული. მისი აზრით „აზნოუშვილს ვარყენილების მეტი რა ახსოვს!“ ამ სიტყვებში გამოხატავს ფეფენა საუკუნეებით დაგუბებულ კლასობრივ ზიზღს. სოფელი ისეთს ზნეობრივი ტერორის ქვეშ აყენებს სიცოცხლით სავსე სულიერი და ფიზიკური სილამაზით შემკულ მარინეს, რომ უკანასკნელი თითქოს, საკუთარ კედლიანობაში რწმუნდება. ამ რწმუნებას ემყარება ფსიქოლოგიური ეფექტი, რომელსაც იწვევს მისი „გამოტეხვა“.

მწერალი იჭრება მოვლენათა გულში, მიჰყვება მათ არა გარეგნულ გამოვლინებას, არამედ პროცესის შინაგან ბუნებას, მის კანონზომიერებას. გრძნობს ცოცხალი ცხოვრების მაჯისცემას, დაძაბულობას, მის სუნჩქვას, ზედაც ცოცხალ ადამიანს. ამ უშუალო გრძნობამ, აზრის ამ დღეილია განსაკუთრებით თავი იჩინა იმერული სოფლის წვრილანაურული სამყაროს გადმოცემაში. დავით კლდიაშვილმა შექმნა მოძრავი ცხოველი, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ჩამოყალიბებული აზნაურის ერთი ტიპი: „უპიწაწყლო, ღარიბ, ეჭუჭამომხმარ, მაგრამ ამასთანავე წოდებრივი კუდაბიკობის მატარებელ აზნაურის ტიპი. ამ ტიპს იგი გვაცნობს სხვადასხვა სიტუაციასა და გარემოცვაში მყოფს. აქედან წარმოდგება მისი სიცოცხლე, მრავალფეროვნება. მის მოქმედებას სხვადასხვა მოთხოვნებში განსაზღვრავს სხვადასხვა პირობები, რომლებშიც მას უხდება ცხოვრება.

აქედან გამომდინარეობს მოქმედების მრავალნაირი მოტივაცია, მოთხოვნის თავისებური აღნაგობა.

სოლომან მორბელაძე, პლატონ სამანიშვილი, ოტია ქამუშაძე ერთი თეატრის შეილები არიან, ერთ ტაფაში იწვიან. მათსა და გლეხობას შორის საზღვარი წაშლილია. ბევრ შემთხვევაში გლეხობის მატერიალური საფუძველი უფრო მყარი და საიმედოა. სოფლად შეჭრილ ფულად მეურნეობას საბოლოოდ გამოჰყავს წონასწორობიდან, როგორც გლეხობა, ისე ნივთიერად მასთან ახლომდგომი წერილი აზნაურობა. უკანასკნელი მეტს დაბნეულობას იჩენს, რამდენადაც იგი შეუჩვეველია პატიოსან შრომას. ამიტომ მისი წარმომადგენლები ხშირად ყურადღებას აღარ აქცევენ წოდებრივი ტრადიციების სიწმინდის დაცვის საჭიროებას და იოლ საშოვარს ეძებენ. გინ მავსელობას იწყებს — ასეთია სოლომან მორბელაძე, ვინ სოფლის ვექილობის იოლ პროფესიას ჰკიდებს ხელს, ვინ მოსწრებულ ენას იშველიებს და წვეულებებში ატარებს ორგვარად უხალისო დღეებს, ვინ კიდევ სასაცილო მდგომარეობაში ამჯობინებს ჩავარდეს ოღონდ კი უზრუნველყოფილი მომავალი დაიკვას — ასეთია პლატონ სამანიშვილი. თავისთავად ყველანი კეთილი ხალხია, არც სასაცილონი იქნებოდნენ წინა ხანაში. მათი წინაპრები პოზიციურ როლსაც ასრულებდნენ ქვეყნის დაცვის საქმეში. საწარმოო ძალების ახალ ურთიერთობაში კი ისინი ზედმეტნი გახდნენ. სასაცილო მდგომარეობაში იყენებენ თავს. თუმცა ავტორი ყოველთვის შორს დგას ცინიზმიდან,

მას ზოგადი ჰუმანიზმის პოზიციები უკავია. ამიტომ არის, რომ მისი ჰუმორიდან სისხლი და მწვავე ტრემლები ეონავს.

თავის დროზე დიდი ინგლისელი მწერალი ტეკერი ხაზს უსვამდა იმ/გარემოებას, რომ ჰუმორი, სატირა არ ნიშნავს მხოლოდ სიცილს. მწერალი ჰუმორისტი მისწრაფის აღზარდოს მკითხველში სიყვანძულობა, სიკეთე, მძულვარება სიცრუისადმი, თანაგრძნობა სუსტ, ღარიბ, დაჩაგრულ ადამიანისადმი. თავისი ძალისა და უნარის მიხედვით იგი ცდილობს ახსნას ყველა ის ქცევა და ვნებათა ლეღვა, რომლებსაც ცხოვრების ყოველდღიურობაში აქვთ ადგილი.

დავით კლდიაშვილი ამ ტიპის სატირიკოსი მწერალია. მისი შემოქმედების მიზანია უკეთქმედების მეშვეობით აღზარდოს ადამიანში პირადი ღირსების პატივისცემა, დაკვირვოს ობსკურანტიზმი, სოციალური უსამართლობა, გააღვივოს კეთილშობილება და თანაგრძნობა დაჩაგრული ადამიანისადმი.

მწერალი გარკვევით ხატავს იმ უკულმართობის სათავეს, რომელიც ადამიანში სპობს სულის დიდებას, ზნეობრივ სიმადლეს, გულის სისპეტაკის. მართალია, მის პროტესტს არა აქვს შემტევი ძალა, რევოლუციური ფეთქებადობა. იგი კმაყოფილდება ამ სათავეს ობიექტური რეალისტური მიუღგომლობით შეულამაზებლად აღნუსხვით. მის ნაწარმოებში არ სჩანს მშრალი ტენდენცია. უკანასკნელი ქვეტექსტის მეშვეობითაა მოცემული და ამიტომ აღწევენ ეს ნაწარმოებები დიდ მხატვრულ ძალას.

მწერალმა დაიჭირა ერთი მთავარი მოვლენა, რაც სოფლად ბატონყმური ნაშთების დარჩენას მოჰყვება შედეგად. ამ მოვლენის მხატვრული განზოგადების მიზნით მან გამოიყენა არა გლეხური მასები, არამედ ნივთიერად მასთან ახლომდგომი წვრილი მესაკუთრე აზნაურთა ფენა.

„ბატონყმური მეურნეობის ნაშთები, — გვეუბნება საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორია, — ვეებერთელა ხარკები, რაც ხშირად გლეხურ მეურნეობის მოსავლიანობას აღემატებოდა, იწვევდნენ გლეხთა მასების განანაგებას, გადატაკებას, აძულვებდნენ გლეხებს წასულიყვნენ სოფლებიდან საშოვრის საძებნელად“. ამ გზას ადგება ოტია ქამუშაძე ერთი იმედით, რომ ქალაქში იშოვოს სარჩო-საკვები.

ისეთის ოსტატობით და ცოდნით ხატავს დავით კლდიაშვილი თავისი გმირების პორტრეტებს, თითქოს გენახოთ ისინი. შეხვედრისას მკითხველი იცნობს მათ მაღალი და გამხდარი ტანადობით, ჩოხაში რომ გამოწყობილან, თავზე ფაფახი ქელი ახურავთ, მხრებზე ჩაბალახი გადაუგდიათ, წელზე დარჩილულ ქარქაშში ჩადებული ხანჯალი ჩამოუჯიდიათ და გაძვალტყავებულ საკუთარ თუ ნათხოვარ ცხენსა ან ჯორს ძლივს მიათრევენ თითონვე ეიწრო ორღობეებში.

სულ ერთი წინადადებით იძლევა მწერალი დაუვიწყარ სურათს ამ ცხოველისას, რომელიც გმირის განუყრელი თანამგზავრია გაძალღებულ ცხოვრებაში, იმ მიზნით, რომ ხაზი გაუსვას პატრონის ნივთიერ და სულიერ სიღარიბეს.

„შემდეგ მოხსნა სოლომან მორბელაძემ ბროწეულთან მიბმული თავისი ძალზე გამხდარი ცხენი, შეჯდა ზედ და რომ ცხენის სიძაბუნე არ შეენიშვნინებინა, ორიოდ წკეპლი გადაკრა, მაგრამ ღონემიხდილმა, მშიერმა პირუტყვმა ისევ ზანტად გადადგა ფეხები და მხოლოდ კული მიიქნ-მოიქნია, თითქო ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ ცუმატყვას დიდი ხანია შერვეული

ვარ და ეგ ვერ ამჩაქარებსო" — ამ სტრიქონებით ნათლად წარმოუდგება მკითხველს ეს უწყინარი ცხოველი, — იმერული როსინანტი.

მოხდენილად ზატავს მწერალი ყოფითი სურათებს, სილარინის დამახასიათებელ აქსესუარებს და შედეგებს, რომელიც ახალმა დრომ მოიტანა სოფლის ცხოვრებაში.

— ჩემს შვილს, ჩემო პლატონ, უშველებელი კალამი უჭირავს ხელში... ისე მშვენივრად ურტყამს მიწას, რომ მოგეწონება, რომ უყურო... არ ეკადრება, მართალია, თოხი აზნოუშვილს, მარა მეტი გზა არაა.

— ქე ამხელ მერე შენ სიგლაზეს? — დაატანა სოლომანის ცოლმა.

— რა ვუყოთ... დრომ ასე მოიტანა.

ამ დრომ მოიტანა ფულის შოვნის საჭიროება, ფულისა, რომელიც ადამიანს ნივთად აქცევს, იძულებულს ხდის ბაზარზე გამოიტანოს საყვარელი არსებაც კი — საკუთარი ქალიშვილი თუ ვაჟიშვილი. ანგარიშზეა ყველაფერი დამოკიდებული. აქ სიყვარულს, ადამიანურ გრძნობას ადგილი არა აქვს. ადამიანის სულიერი სამყარო განადგურებულია. ანგარიშს არაიქნ უწყევს ადამიანის ზავმოყვარეობის შელახვას. სოლომანი მზადაა მინანბოს თავი წანწალს, რომ ათასგვარ უსიამოვნებას აცდეს, მაგრამ „ეს ოხერი გროში რომ მჭირდება? სად უნდა იშოვო, რით უნდა იშოვო?“ — სასოწარკვეთილებით ეუბნება თავის თავს. აეტორიც თავის რემარკებში, მიუხედავად გმირის შემადრწუნებელი ყოფისა, მას გულთბილად ეპყრობა. სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილ სოლომანს თითქოს თანაგრძნობით ეპყრობა. ეცოდება, როგორც ადამიანის დიდ მოყვარულს.

მწერალმა შესანიშნავად იცის ხალხის ხასიათი, მისი ზნე-ჩვეულებანი, წეს-ადათები, ამ სცენების აღწერაში მას ცოტა თუ ვინმე ჰყავს ბადალი ჩვენს ლიტერატურაში. ცხოვრების ახლო ცოდნითა და სიმართლით გადმოგვიცემს იგი იმერულ აზნაურს, მის ვარეგნულ თავზიანობას, სტუმართმოყვარეობას და ცალიერ სულიერ სამყაროს. ცოცხლად და განუიმორიბელი ოსტატობით აქვს გადმოცემული საყოველთაოდ ცნობილი შეპატიჟების სცენა სოლომან მორბელაძეში. ეს ცხოვრების ნამდვილი სურათია, იმერული აზნაურის დამახასიათებელი ქცევა. სურათის ცხოველყოფილობისათვის მწერალი წმინდა ნატურალისტურ ხერხსაც არ ერიდება. ასეთ პასაჟებზეა აგებული მისი ნაწარმოებების უმეტესობა.

მწერალმა დასცინა განთქმულ ჩვეულებას იმერულ შეპატიჟებად რომ არის ცნობილი, მაგრამ ამ დაცინვაში გისლის ნასახიც არ არის. იგი მაინც ადამიანური და უმტკივნეულოა. სოლომანი, ისე როგორც მისი სახლისკაცები, გზასაცდენილი ადამიანებია, თუმცა ისინი მოკლებული არიან ლეარძლს. მათი მოქმედება უფრო ღიმილის მომგვრელია. სოლომანს საშინლად გული მოსდიოდა იმ კულაბზიკა აზნაურებზე — გადმოგვიცემს აეტორი ერთი მისი თვისების შესახებ. — რომლებსაც არაფერი დარჩენიათ და მაინც თავის გვაროვნებას და წინანდელ ამყობას არ იფიწყებენ, რომლებთანაც ამის გამო ვერავითარ საბუჯითო საქმეს ვერ დაიჭერ, რომ ათასნაირ ტყუილში არ გაეხვიო.

მათი ცხოვრება მართლაც ტყუილზე არის აგებული. მაგრამ ტყუილის თქმა მათ დამახასიათებელ თვისებას როდი წარმოადგენს. მთელი ცხოვრება ისეა აწყობილი, რომ იძულებულნი ხდებიან ტყუილი სთქვან. სოლომანი დარწმუნებული იყო, რომ სამაშვლოს მიიღებდა ექვს თუმანს და პლატონის ვალს გაისტუმრებდა. ამიტომ დაპირდა იგი დაბეჯითებით ვალის გა-

დახდას, მაგრამ იგი გატეხილ იმედების წინ დადგა; ამიტომ თითონაც ტყუილის ძალაუნებური მთქმელი აღმოჩნდა. ის ქაიხოსრო ჭათამაძემაც მოატყუა და ბესარიონ საქარაძემაც. მათ პატიოსან სიტყვას ენდო. მაგრამ მშვიერ კაცს სად აქვს ღონე, თავის პატიოსან სიტყვას გაჰყვეს—სოლომანის ღქმისა არ იყოს. ისიც ისეთ ერთადერთ მხსნელ ტყუილს მიმართავს, ყველგანვე მოწიფული ქალიშვილი გასათხოვარი და სად აქვს იმის თავი, რომ ყველას გაუწყოს მშითვი. ამიტომ ცდილობს თავის ქცევას ზნეობრივი დასაყრდენი მისცეს.

—*არ იცი, რა დრო მოგვესწრო, რა საცოდავობაში ვართ ერთიანად ჩავარდნილი? ყველას, თელათ აზნაურობას რა გასაჭირის დღე გვადგია, რა შავი დღე შემოგვესწრო? სამზითვო ფული კი არა, ლუკმა პურს ძლივს-ძლივობით ვშოულობთ, წლიური სარჩო სანახევროდ აღარა გვაქვს... სად იწოვოს ჩემისთანა აზნოუშვილმა ხუთასი და ექვსასი მანეთი...

ავტორი შესანიშნავად იცნობს თავისი გმირების ბუნებას, გამომდინარეს მათი მატერიალური მდგომარეობიდან, მათს ფსიქოლოგიას და მათი მოქმედების მოტივიზაციაც ყოველთვის ბრწყინვალე და ბუნებრივია.

ტრაგიკული აკორდით თავდება მოთხრობა. მართალია სოლომანი კომიკურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, ექვსი თუმნის ნაცვლად ხარის ტყავი და რაღაც კაპიკები ხვდება წილად, მაგრამ სიცილის ხასიათზე არ შეიძლება დარჩეს ადამიანი. ანდა რა სიცილი შეიძლება ასეთი გულდამწვავი მონოლოგის მოსმენისას, რომელსაც ღრმა სევდითა და მწუხარებით წარმოსთქვამს შემოდგომის აზნაური, სოლომან მორბელაძე?

„მშვიერ, ვადატაკებულ კაცს რავე უნდა ენდოს კაცი? პატიოსნებაც და ვიწყებული აქვს და სენდისიც. ცოდვათაც აღარ მიაჩნია თუ რამე წაგდლიტა წაგაფტქენა, მოგატყუა, გაგაცუნცურაქა! ყორიფელი და ვიწყებული აქვს ამ ოხერი ვაფშოკებული კუქის გამოისობით. დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის გაძალღებული ცხოვრება.“

რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალით? მოვატყუე, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხელ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს... ღმერთო... ღმერთო!“

ავტორი არაფერს ამბობს ამ ხალხის პერსპექტივაზე პირდაპირ, მაგრამ მისი მოთხრობების ქვეტექსტიდან, რომელიც ასე ძლიერი და მიტყველია და მთავარია მთელ მის შემოქმედებაში, ნათლად ჩანს, რომ საშველი მათ აღარ მიეცემათ, რომ ცხოვრების მიერ განაჩენი გამოტანილია, განაჩენი სასტიკი და მიუდგომელი.

ამასთანავე გმირების ფსიქოლოგიის შესანიშნავ ცოდნას ამჟღავნებს ყოველი მისი მოთხრობა. დიდის ვირტუოზობით აქვს გაშლილი მწერალს ფსიქოლოგიური დუელი თუნდაც ბესარიონსა და სოლომანს შორის — „სოლომან მორბელაძეში“. იშვიათი ოსტატობით არის დახატული ფსიქოლოგიური სურათი მოხუცი ბეჩნა სამანიშვილისა, რომელსაც სიხარულის ქრუანტელი დაუვლის იმის გაგებისას, რომ მას ელენეს მოტაცება დასჭირდებოდა ავტორი შორს იხედება მისი გულის სიღრმეში. ასევე ცოცხლად და დამაჯერებლად გამოიყურება მოთხრობის ჩარჩოდან სონია. რომელიც ელემოსული, დაღონებული, გარეტიანებული დაბრუნდა სახლში და თვალწან მოღმორებლად წარმოუდგა ქმარი ოტია ქამუშაძე — გლეხი, ყაზახი სახით, გარეგნო-

ბით, შეხედულებით, საქციელით, მოქმედებით და, რაც მთავარია, შეძლებით... შეძლებითაც.

შეუცდომლად დაიპირა მწერალმა საზოგადოებრივი განვითარების/განსაზღვრული საფეხური ჩვენს სინამდვილეში და ამ საფეხურზე მდგომი ზალხის განუმეორებელი, ცოცხალი სახეები მოგვცა თავის შემოქმედებით დიდი სიხარულით დაწერილ ნაწარმოებებში, რომლებიც მაღალი ცეცხლით იწვია.

დ. კლდიაშვილს ლიტერატურული კეთილსინდისიერება და სინამდვილისადმი ერთგულება უკარნახებდა აესახა მხოლოდ ის სამყარო, რომელსაც ზედმიწევნით იცნობდა, ის მოვლენები, რომელთა ბუნება მისთვის ახლობელი იყო. ეს სამყარო საკმაოდ შეზღუდულია. იგი არ სცილდება იმერეთის საზღვრებს, ისიც მცხოვრებთა უმთავრესად ერთი ფენის — წერილ-აზნაურულ ყოფას. მაგრამ მწერალმა შესწლო გამხდარიყო ამ ყოფის შესანიშნავი აღმწერელი. იგი დიდი მხატვრული ცხადების ძალამდე აეყვანა, მის ფონზე ადამიანური, ღრმა დრამატიზმით სავსე ცხოვრების სურათი შეიქმნა.

მის მიერ დახატული მხატვრული სახეები ერთი წრიდან გამოდიან უმთავრესად, წააგავენ ერთმანეთს იმდენად, რამდენადაც თვით მათი ცხოვრება იყო ერთფეროვანი. ყოველი მოთხრობის სუჟეტი ხელმოკლეობას, სიღარიბეს ემყარება. გმირების მოქმედების მოტივაცია სხვადასხვაა, მაგრამ დასკვნა თითქმის ერთნაირი: „შერისხვა“, „მსხვერპლი“, „სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ირინეს ბედნიერება“, „ღარისპანის გასაქირი“ — თანაბარი ტრაგიკული ფინალით თავდება.

ამ ხაზიდან ოდნავი გადახვევა ემჩნევა მწერალს „ქამუშაძის გაჭირვებაში“, რომელიც ყველაზე უფრო გარკვევით და დამთავრებულად ამჟღავნებს წერის რეალისტურ მანერას, უნარს დაინახოს მწერალმა სოციალური ძალების განლაგება და საზოგადოებაში მომხდარი დიფერენციაცია. ეს მთელი ეპოპეა იმერელი წერილი აზნაურის ყოფაცხოვრებისა იმიტაც არის თვალსაჩინო, რომ მასში მწერალს გმირის პერსპექტივა აქვს გაშლილი.

როგორც ცნობილია, ჭართული მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლის ჩამყრელმა ალ. წულუკიძემ შესანიშნავი და ამომწურავი ანალიზი გაუკეთა ოტია ქამუშაძეს „როგორც უფრო სიცოცხლის უნარიანს“, რომელიც ბოლოს იძულებული ხდება მიმართოს ქალაქს, სადაც ავტორის რემარკით: „ჯერ კიდევ ვერ მოეწყვენენ, მართალია, მაგრამ იმედი აქვთ ორივე ცოლ-ქმარს, რომ მოკლე ხანში იმ ახალ ნიადაგზე სოფლისაზე უკეთესად წაიყვანენ საქმეს“.

„ქამუშაძის გაჭირვება“ იმიტაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მასში მოცემული ტიპები მრავალფეროვანია, მისი დიაპაზონი უფრო ფართოა, მასში ავტორის ღრმა სუნთქვა და აზრის გაქანება იგრძნობა. ყოველ მოქმედ პირს აქვს თავისი სახე, თავისი სამყარო, ისინი მკვეთრად განირჩევიან ერთიმეორისაგან. ისინი, თავისებური, მაგრამ ცოცხალი აზრისა და მოქმედების მატარებელნი არიან. ნაწარმოებში ახალი სოფლის ფართო სურათია დანახული და ცხოველი საღებავებით დახატული. ოტია ქამუშაძე, ეკვირინე მისი დედა, სარდიონ ქველიძე გაღარიბებული აზნაური, რომელსაც სოფლის ვეჭილობისათვის მიუყვია ხელი, პორფირე ბიაშვილი — სოფლიდან გაქცეული მაქსიმე ბიაშვილის მეგობარი, რომელიც აგრეთვე ბნელი საქმეებითაა ვართული, ბეგლარ ჭინჭარაძე, იშვიათი ოსტატობით დახატული პორტრეტი იმერელ დაწვრილმანებულ ეპიკურეელის რაქდენისა, რომელიც ქე-

იფსა და აყალმაყალში ატარებს დროს, სონია, პელაგია — ყველა ესენი სისხლხორციით სავსე ის პერსონაჟებია, რომლებიც მაშინდელი ცხოვრების ერთი პოლუსის ფონს ქმნიდნენ. განსაკუთრებული დამსახურება მწერლისა ის არის, რომ მისმა თვალმა შეამჩნია გლეხობაში ახალი ფენის — ექსპლუატაციის — ჩასახვის პროცესი და ამ ფენის ცოცხალი სურათი მოგვცა საშადაძის სახით. დამახასიათებელია, რომ ავტორმა სწორედ ეს პირი გამოიყვანა არა როგორც ოტიას ბავშვის მხოლოდ, არამედ მთელი აზნაურობის მიმრქმელად: მოსწრებული სახელწოდება შემოდგომის აზნაურები მის გონებამახვილობას ეკუთვნის.

ამ მოთხრობაშიც ისე, როგორც მთელს თავის შემოქმედებაში, ავტორი ჰუმანიზმის მიმდევარი რჩება. ავტორის მორალური ბუნების დასახასიათებლად საკმარისია მოვიგონოთ მისი შესანიშნავი „მეშუარები“. როგორი სტოიკური სიმტკიცით და ამავე დროს მღელვარებით მოგვითხრობს იგი აქარელი ილიასას და მეველუდას შესახებ, რომლებიც იძულებული გახადა მაშინდელმა სინამდვილემ ყაჩაღებად გავარდნილიყვნენ და შემდეგ სიკვდილით დაისაჯენ. ავტორი მათ თანაუგრძობს, ცრემლი სჩანს მის სტრიჟონებში, შეშფოთება ისმის ხმაში, ზნეობრივ დაუკმაყოფილებლობას გრძობს, რომ ვერ შესძლო დახმარება აღმოეჩინა იმ ადამიანთათვის, რომლებიც ბუნებით კეთილნი არიან და მშრომელნი იყვნენ, მაგრამ ადათისა და ჟსამართლობის მსხვერპლნი გახდნენ. ზნეობის ამ სიმადლიდან აფასებს ავტორი თავის გმირებსაც. მოვიგონოთ მისი რეპლიკა ერთერთი ორაატორის მიმართ, რომელიც მან წარმოსთქვა საიუბილეო საღამოზე 1930 წელს:

— არა, მეგობრებო მე აზრად არ მქონდა ვინმესთვის დამეცინა, ვინმე დამემცირებია... მე ვხედავდი ცხოვრებისგან გაუბედურებულ ადამიანებს, მაწუხებდა მათი მდგომარეობა და ვწერდი, რასაც ვხედავდი და განვიცდიდი.

ადამიანის ცოცხალი ბუნების რეალისტური ხილვით აქვს გადმოცემული ავტორს ყველა პერსონაჟის ხასიათი გამომდინარე მათი წოდებრივი შეზღუდულობისაგან. საკმარისია გავიხსენოთ ოტიას დედის უუნებელი ტრაბახი, როცა ყავრით გადაფარებულ ჰურისთავებს, ღვლერქით ჩამოკიდებულ პაწია წყნელის კიშკარს, ღარიბ ბოსტანს, ბოჯგებზე შებოლიყებულ სასიმიანდეს ან ვენახს ჩაუვლის. მკითხველს არ აღიზიანებს ეს ტრაბახი, რადგანაც ავტორის რემარკით რომ ვთქვათ, ეკვირინეს „ღრმად სწამდა, თავისი ოჯახის კეთილდღეობა და ახლა მხოლოდ ნატრულობდა აგვევ რწმენა ჩაენერგა რძლის გულში“.

გმირების მოქმედება ფსიქოლოგიურად ყოველთვის გამართლებულია. სულ უბრალო, მაგრამ დამახასიათებელი დეტალებით იგი მთელ ფაქტურას ქმნის. მისი ნატურალისტური ხერხი და ნივთების გათამაშება ასეთს შემოხვევებში ქვეტექსტის ახალ სინამდვილეს ქმნის, საოცარს, ღრმას, ხოლო შინაგანი გრძნებით ასათვისებელს. საილუსტრაციოდ საკმარისია იმავე „ოტია ქამუშაძიდან“ ერთი ადგილი მოვიყვანოთ:

„და თითქო მოხუცებული პელაგია დღეიდანვე აპირებდა შეიღის საბედოს დასახვედრად შემზადებას — დაკვირვებული თვალი შემოაგლო ოთ.ხ., მიიოა პრიჟინა ტაბტთან და კელოსკონ უფრო მისწია, — პრიჟინი იქნებ მოეშლევიინებინა, დაუარა ფანჯრებს, ჩამობერტყა მტვერი ჩითის ფარდებიდან და საშინლად აამტვერა“ და ა. შ. აქ ყოველი ექსტი ნაცნობია, ყოველი მოქმედება ბუნებრივი, სწორი ფსიქოლოგიური სურათია დახატული

დედისა, რომელმაც სიხარულით მოჰპარებელი ენერგია აღარ იცის რაში დახარჯოს.

დ. კლდიაშვილმა თავის მოთხრობებში მოგვცა ცოცხალი სახე აზნაურისა, რომელმაც „ფასი არ დასდვა ბატონყმობის გაუქმებისაგან“ შექცეული ცხოვრებას, მის ახალ პირობებს, სრულიად წაუყრუა ყური თითქოს შეჯიბრებოდა მათ კიდევ ძველი ცხოვრების მიყოლით, სანამ ამ შებრძოლებამ რიყეზე არ გააგდო იგი“.

მსგავსი სოციალური სურათები და ძალები ასახა მწერალმა თავის ცნობილ პიესებში, კერძოდ „ირინეს ბედნიერებაში“, რომლის მთავარი გმირი აბესალომ სალამთაძე ცოცხალი, მართალი და მხატვრულად დასრულებული ტიპია გადაგვარებული აზნაურისა. „ღარისპანის გასაჭირში“ მხატვარს მართალი თვლით აქვს დანახული ცოცხალი ადამიანები, მათი ხასიათები და მოქმედებანი. ქართული კომედიის ეს შედეგრი იშვიათ, ცოცხალ დიალოგში იმავე გადატაკებული აზნაურის სახეს ძერწავს. აქაც გონებამახვილ ფრაზებში, სიცილში, საშინელი გულისგმინვა ისმის, გმინვა, რომელსაც ფულის ჯადოსნური ძალა იწვევს. აქაც დრამატიული კონფლიქტი და სუჟეტი ოსიკოს ერთ რეპლიკაზეა აგებული: ააქვს რამე-ო? და კლდიაშვილი აიც პიესებში ღალატობს თავის მრწამს: მისთვის მთავარია სოციალური მომენტი და ადამიანი.

დ. კლდიაშვილის კალამს ეკუთვნის ერთი შესანიშნავი, წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხრობა „წრფელი გულით“, რომელშიც მკვეთრად აისახა ავტორის გულწრფელობა, კეთილშობილება, მისი ეთიკური მრწამსა, შეხედულება სიყვარულზე, რომელიც ადამიანური, მორალური საფუძველის გამამტკიცებელ, მისი შინაგანი თავისუფლების მომნიჭებელ ძალად აქვს წარმოდგენილი. ბრძოლაში ადამიანურ მოვალეობასა და შიშველი ვნების შორის ავტორმა პირველს მიანიჭა უპირატესობა და გამარჯვება. ამაში გამოიხატა ავტორის ზნეობრივი სიმბალე, სიფაქიზე, მისი იდეალიზმი და სიყვარული ადამიანისადმი.

დეტალების აღწერის იშვიათი ოსტატი დ. კლდიაშვილი მათ მიმართაც მხოლოდ ადამიანის ფსიქოლოგიური განწყობილების გადმოსაცემად. იგი თითქოს ქვეცნობიერად მიმართავს ყოფითი დეტალებს, პირველ შეხედვით შეუმჩნეველთ. ამაში გამოიხატა ავტორის დაკვირვების შესანიშნავი უნარი და მნიშვნელობა, რასაც იგი ანიჭებდა ამ დეტალებს მხატვრული ტიპის ჩამოყალიბების ძნელ საქმეში.

„როცა კითხულობ გიკვირს, როგორ შეამჩნია ამდენი წვრილმანი, უცნოური, უცნოური ამ დღიდან ბალზაკი ჩემთვის ახლად დაიბადა. ახლა მას სხვანაირად წაიკითხავო“, — უთქვამს დავითს სერგო კლდიაშვილის გადმოცემით. ამ სიტყვებში ნათლად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა წვრილმანებს უკანასკნელთა უცილობლად დიდი ოსტატი.

დ. კლდიაშვილის ენა იმ ხალხისაა, რომელსაც იგი აღწერს. მთელი გამოთქმები ხალხურია და ისინი მხატვრული ზომიერებით აქვს გამოყენებული. მისი ენობრივი ლოკალი ბუნებრივი და კანონზომიერია. სურათის მთლიანობის დაცვისათვის იგი არ ერიდება უხეშნატურალიზმს, როცა ამას მხატვრული საჭიროება მოითხოვს.

ცალკე გამოკვლევა უნდა მიეძღვნას იმ სიტყვიერი მასალის ანალიზს, რომელსაც ავტორი იყენებს, ისეთი სიტყვები, როგორც, მაგალითად, იწანწალა, მომიყვარახტინე, გაგაცუნცრუკა, მედუღღუნები, დააცუნცურებ, და-

ყანყალობ, წრიბა და საერთოდ მთელი ის იმერისმეები, რომლებიც ხშირად გვხვდებოდა არა მხოლოდ დილოგებში, არამედ ავტორის რემარკებშიც კი, ქმნიან თავისებურ ინტონაციას, მთელ კოლორიტს, დამახასიათებელს გარკვეულ გარემოცვისათვის. ისინი მთელ სურათებს ხატავენ. ხანდახან ავტორი ერთი ასეთი სიტყვის ვირტუოზული შეტანით წინადადებაში დამახასიათებელს ხასიათის გახსნას ახერხებს, მთელ ფრაზას რაზმავს, მას თავის ფერს აძლევს.

მთაბეჭდილების გაძლიერებისა და შესატყვისი განწყობილების შესაქმნელად ავტორი ხშირად მიმართავს სიტყვების განმეორების ხერხს, რაც აგრეთვე დამახასიათებელია იმ ფენისათვის, რომელსაც იგი აღწერს:

— ასი მანეთის გულისათვის კარგავ ახლა იმისთანა სასიძოს? ასი მანეთისათვის?

— დავიღუპე... წმინდად დავიღუპე! — იძახოდა პლატონი, — წმინდად დავიღუპე...

დავით კლდიაშვილმა ზედმიწევნით იცის აგრეთვე სახელების მაგიის მნიშვნელობა. მას აქვს შესანიშნავი ალლო სახელების გამორჩევისა და გმირთათვის დარქმევისა. ხშირად მარტო ასეთი სახელით იძლევა იგი გმირის მთელ ხასიათს, სურათს. მხედველობაში მას იმერული ყოფა, მისი სინამდვილე აქვს: ფუსურტია, ბეკინა, ფილიპია, თვით სოლომანი, ეკვირინე, ფეფენა, კაცია, ეფროსინე, ელპიტე, ოტია, პლატონ, დარისპანი და სხვა მისთანანი თითქოს მათ მატარებელ გმირების ბუნებიდან გამომდინარეობენ, მათ სამყაროს ახასიათებენ.

მწერალს ხშირად არ შემოჰყავს მოთხრობაში უშუალოდ ესა თუ ის მოქმედი პირი, მაგრამ იგი გარკვეულ და საკმაოდ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სუვერენის საერთო განვითარებაში. ამასთანავე ავტორი ერთი-ორი წინადადებით მის შესანიშნავ დამახასიათებელ სურათს ხატავს. არიან პერსონაჟები, რომლებიც უცერად ვაიღვებენ რომელიმე სცენაში. მაგრამ ისეთს კვალს სტოვებენ, რომ მკითხველის მეხსიერებიდან აღარ იშლებიან. ასეთია მისი შემოქმედებითი საილუმოების დიდი ძალა. ერთხელ გამოჰყავს ჭამუშაძის გაჭირვებაში ავტორს სურათიონ გოდრელაძე, მაგრამ მისი ერთი რებლიკით იმერული წვეულების მთელ ანსამბლს ქმნის, დამახასიათებელ კოლორიტს იძლევა.

დ. კლდიაშვილი, როგორც დიდი რეალისტი მწერალი, შეგნებულად გაურბის თხრობაში მეტაფორებს, პოეტურ შედარებებს, ელფეროვან ენას. მაგრამ, თუ მიმართა ასეთს ხერხს, ფანტაზიის საოცარ ძალას იჩენს. ერთი შედარებით დაუვიწყარ სურათს ქმნის. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი:

„და შეწუხებული ქალი, ერთ ადგილას გაშეშებული, მისჩერებოდა ქვევითკენ მიმქროლავ ძმისწულს, რომლის ქული ლა მოსჩანდა, თითქოს ქარისაგან მოტაცებული, ლბებების სარებ ზევით“... ანდა:

„დაგუბებული წყალი ირეოდა ბობოქრობდა და თანდათან იბერებოდა გულმოსული“.

ასეთი მძაფრი, ტევადი საბეები მწერალს საკმაოდ აქვს გაბნეული თავის ნაწარმოებებში.

უნდა აღინიშნოს ერთი საოცარი თვისება დავით კლდიაშვილისა: მისი სიძუნწე პეიზაჟების გადმოცემაში. მწერალი იმერეთის ყოფისა, მისი გარემოცულობისა იშვიათად თუ იძლევა იმერეთის შესანიშნავი, დაუვიწყარი

ლანდშაფტების აღწერილობას. ბუნებაში შეყვარებულმა დავით კლდია-
შვილმა არ იცის ლირიკული გადახვევები, თითქოს გულგრილია იმერეთის
ბუნების სიმშვენიერებისადმი. ამ მხრივ იგი გამოჩაყლის წარმადგენს
ქართულ ლიტერატურაში.

ს. რ. მ. მ. მ.

— მშვენიერი გადასახედავი გქონია ოტია!.. აქ კაცს თავისი ~~დღეები~~ მის მთ-
სწყინდება ყოფნა... და უნდა გამოგიტყდე აწი ხშირ-ხშირად უნდა ვიარო
ხოლმე შენთან ამ სურათის მზერა-დასატკბობად,—ეუბნება ერთ-ერთი გზი-
რი პორფირი ოტიას. მკითხველი ბუნებრივად მოელის ამ მშვენიერი სურა-
თის აღწერას, ბუნების ამ სილამაზის გაშლას. მაგრამ მწერალი ამ გზით
როდი მიდის. იგი საერთოდ იშვიათად გადადის ეზოს გადაღმა: იგი ამჯო-
ბინებს აღწეროს დამტყრეული ყავრით დახურული ძველისძველი ოდები,
ჩაქცეული ღობეები, ჩამქრალი კერა ვიწრო ორღობეები, მათი ტალახი, ის
რაც სიღარიბის პეიზაჟს ქმნის მხოლოდ. მწერალი ამ ხერხს შეგნებულად
მიმართავს: მას არ უნდა ოდნავადაც კი შეანელოს სუქეტის განვითარება
და მოელ თავის შემოქმედებით ენერგიას ანდომებს არა ლამაზი პეიზაჟე-
ბის, არამედ შინაგანი სამყაროს, მისი ვნებათა ღელვის აღწერას. მისთვის
მთავარი გმირია ადამიანი, მოცემული არა ბუნების წიაღში, არამედ სოცია-
ლურ ურთიერთობაში. მისი მიზანია დახატოს იმერული სოფლის მოსაწყე-
ნი ერთფეროვანი ცხოვრება სავსე ცრუმორწმუნეობით, კუდიანებით, გაუ-
ვალი სიღარიბით, მშფოთვარებით და არა პარმონიული ბუნების სილამაზე
და სიდიადე. დახატოს ცხოვრება, სადაც ჩამკვდარია ოცნებაც კი მომავალ-
ზე, სადაც „ყველანი ერთნაირია, ყველა, ყველანი ცოფიანივით არიან“, „ყვე-
ლა გამწარებულია და შიმშილისაგან გონება არეული“.

დ. კლდიაშვილის მოთხრობების ფაბულა ყოველთვის სადაა და მათზე
ღრმა ფსიქოლოგიური ფართო სოციალური სურათია გაშლილი. დავითი
ღიალოგის საოცარი ოსტატია. თავისი გმირების ზასიათს ამ ღიალოგის მეშ-
ვეობით შლის, სუქეტს ამ ცხოველი ღიალოგის საშუალებით აგითარებს
მოხდენილად. გმირების საუბარი შესანიშნავად შეეფარდება მათს ბუნებას,
მათი ზასიათიდან გამომდინარეობს, სავსეა ფრთიანი, სიტყვა-მახვილი მოს-
წრებული თქმებით, რომლებიც კომიკურ მდგომარეობაში მოხვედრილ
პერსონაჟების სულიერ ავლადიდებას გადმოგვცემენ. დ. კლდიაშვილი შესა-
ნიშნავად ფლობს კომიკურ ტექნიკას. იგი ამ ენარის ფუძემდებელია ქარ-
თულ ლიტერატურაში, ყოველ მის მოთხრობაში კომიკური საწყისი იშლე-
ბა, როგორც ფეიერვერკი. იგი ამავე დროს კომიკური ამბის მოყოლის შე-
სანიშნავი ოსტატია, რაღაც „უცნოური“ ფანტასმაგორიული ამბის, რომე-
ლიც უსათუოდ უნდა წაიკითხონ ბოლომდე. მწერალი არ აძლევს მკითხ-
ველს შესვენების საშუალებას, იმდენად დინამიკურად ვითარდება მოვწე-
დება. ამიტომ გაურბის იგი პეიზაჟებს, აღწერითი ზასიათის თხრობას და
უშთავრესად ღიალოგს მიმართავს.

დავით კლდიაშვილი მწერლის იმ ტიპს ეკუთვნის, რომელიც ენგელის
თქმით „თავის გმირებს ეპყრობა იმ ნაზი ირონიით, რომელიც ადასტურებს
მწერლის ბატონობას თავის ქმნილებაზე“. მის მხატვრულ შემკვიდრებაში
მოცემულია მთელი ისტორია ბატონყმობის გაუქმების შემდეგელ იმერული
სოფლისა, მისი დაშლისა, სამოქმედო სარბიელზე ახალი ძალების გამოსე-
ლისა, გლეხობაში მომხდარი დიფერენციაციისა. მწერალი თავის ნაწარმოა-
ებში ოცნებობს ზნეობრივ სრულყოფაზე, ადამიანის ღირსებაზე. მისი პუ-
ბლიური იდეები ცხოველი და მოქმედი. ამით გამოიხატება მისი დიდი მნიშ-

ენელობა ქართულს ლიტერატურაში. მისი ნაწარმოებებიდან უნდა აღსანიშნავი თქვით ჩვენ გაცილებით მეტს გავიგებთ ჩვენი არც ისე შორეული წარსულის შესახებ, „ვიდრე ამ პერიოდის პროფესიულ ისტორიკოსებისაგან, ეკონომისტებისაგან და სტატისტიკოსებისაგან“. ამ ნაწარმოებთა მიხედვით შეიძლება აღდგენა იმერეთის ყოფისა, მისი ცხოვრებისა განსაზღვრულ საფეხურზე.

უკვე მოხუცებულმა და დაავადებულმა დავით კლდიაშვილმა მთელი თავისი გულისძარღვებით დასწერა მშვენიერი წიგნი „მემუარებისა“. რომელშიც შან მოახერხა წარსულის გაცოცხლება, მისი ფართო პანორამის გაშლა.

იგი გარდაიცვალა თავის საყვარელ სოფელში 1931 წელს 24 აპრილს; სერგო კლდიაშვილს დიდი სიყვარულითა და ოსტატურად დაწერილ მოგონებებში მოჰყავს დედის გადმონაცემი დავითის სიცოცხლიდან გასვლის უკანასკნელი წუთების შესახებ.

— „ეს ათი დღეა ცუდად იყო. ყოველდღე გელოდით. ძალიან გნატრობდა. ამ დილით გვიან გაიღვიძა. დავხედე და არ მომეწონა მისი სახე. აქაურობის აღარ ეცხო რა. ჩაი შევთავაზე. დათანხმდა. ხელში ძალა აღარ ჰქონდა და კოვხით ჩავაწვეთე. როცა სახეზე მოვეუალერსე, ხელზე მაკოცა. იკითხა, გარეთ მზე იყო თუ არა. მერე დრო იკითხა. თორმეტი იყო. ამდროს თდნავ გასაგონი ხმით დამიძახა. მოვბრუნდი, შემომხედა, უკანასკნელად გაიღვიძა და გათავდა...“

ხელზე ამბორით, უკანასკნელი ღიმილით, უშფოთველად გაშორდა დიდი ქართველი მწერალი თავის სახლს, თავის ალაგ ბროწეულებით გაჩაღებულ და ალაგ ძელქვით დაჩრდილულ ეზოს. მთელ გარემოს, მეზობლებს, რომლებიც მწერლისვე სიტყვით მას სიყვარულით ექცეოდნენ და ამ სიყვარულის წყალობით მისი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა, გაშორდა ხალხს, რომლის წიაღში იგი აღიზარდა, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულის ღიმილით შესცქეროდა და რომლის ცხოვრებაც მან მხატვრულ ტილოებზე მთელი თავისი გულის სიპართლით გადაიტანა.

ადამიანის საკითხი გორკის შემოქმედებაში

გორკი ახლობელი და ძვირფასია მთელი მოწინავე მშრომელი კაცობრიობისათვის. იგი განსაკუთრებით ძვირფასია საბჭოთა ხალხისათვის, იმ ადამიანებისათვის, რომელთა გმირული სულის ფორმირებაში განუზომელია გორკის ღვაწლი.

გორკი — მხატვრული სიტყვის გასაოცარი ოსტატი — ადამიანობის დიდი მასწავლებელიცაა. ეს ორი მხარე მასში შერწყმულია ერთ მთლიანობად.

გორკის ყოველ სიტყვას ღრმა ადამიანური გულითადობა ახასიათებს. მწერალი მუდამ თქვენთან არის, თქვენთან ერთად სწუხს და ხარობს, თითქოს თქვენთან ერთად ხატავს ცხოვრებას. თქვენ მისგან ძალიან ბევრს სწავლობთ, სწავლობთ გულითადი მეგობრისაგან.

არიან დიდი თუ პატარა მწერლები, რომელთა შემოქმედებაში მკითხველი გარკვეულ მხატვრულ კმაყოფილებასთან ერთად გრძნობს მწერლის პიროვნების ერთგვარ შემხუთავ დაწოლას, ტალანტის ერთგვარ ბატონკაცობას და ზოგჯერ პოზასაც კი. გორკის შემოქმედებაში ასეთი დაწოლის ნასახსაც ვერ იგრძნობთ. ეს გორკის განმასხვავებელი ნიშანია. ამ ნიშნით გორკის ლიტერატურულ სტილში თითქოს განივთებულია დიდი ადამიანის ის თვისება, რაც ლენინს ახასიათებდა და რძს შესახებ სტალინმა სთქვა: „...ეს მისწრაფება — შეუმჩნეველი დარჩენილიყო ანდა, ყოველ შემთხვევაში, თვალში არ ჩავარდნოდა ყველას და ამით თავისი მაღალი მდგომარეობისათვის ხაზი არ გაესევა, — ეს თვისება წარმოადგენს ლენინის, როგორც ახალი მასების, ახალი ბელადის, კაცობრიობის უღრმესი „ქვედა ფენების“ უბრალო და ჩვეულებრივი მასების ბელადის, ერთ-ერთ უძლიერეს მხარეს“.

მწერლობისათვის გორკის მთელი შემოქმედება იძლევა იმ შესანიშნავ გაკვეთილს, რომ იდეა მხოლოდ მაშინ პოულობს თავის მაღალ მხატვრულ ფორმას, როდესაც იგი ემოციად არის დამკვიდრებული თვით მწერლის შემოქმედებითი ფსიქოლოგიაში.

შეიძლება ითქვას, რომ გორკის ყველაზე ძლიერი ემოცია — ადამიანია.

გორკი და ადამიანი!

ამაზე ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, ბევრიც დაიწერება. გორკი სოციალისტური ადამიანის სულის უბადლო მშენებელია. მისი სოციალური პუმანიზმი სულიერ საზრდოს აწვდის ახალი ადამიანის მორალურ არსს. ამიტომ ყოველთვის საჭირო და სასარგებლოა გორკის დიდებული მხატვრული სახეებისა და მაღალი საკაცობრიო იდეალების დაყენება ჩვენი მეზობლების წინაშე.

გორკის აქვს ერთი პატარა მოთხრობა „ადამიანი“. იგი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ მწერლის მთელი შემოქმედების სათაურად.

გორკიმ კლასობრივი საზოგადოების ტრაგიკული ადამიანის სახიდან დაიწყო:

„ადამიანი ვით მზე იბადება ჩემს მკერდში, და მის ვაშკანა ნათელში, უსაზღვრო, როგორც ქვეყნიერება, დინჯად მიიმართება იგი — წინ! და — მალლა ტრაგიკული მშვენიერი ადამიანი“.

ადამიანი ტრაგიკულია კლასობრივ საზოგადოებათა ისტორიის მთელს მანძილზე. იგი გახლართულია სოციალურ, პოლიტიკურ, ფსიქო-იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა რთულ ქსელში. კლასობრივ საზოგადოებათა საფუძველში შთასახელი ძალთა ანტაგონიზმი ადამიანს ხდის ტრაგიკულ არსებად — მიჯაჭვულ ამირანად. წარსულის მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების ერთი თვალის მოვლელსაც კი საკმაოა, რომ თვალწინ დაგვიდგას დატყვევებული, ტრაგიკული ადამიანის სახე. ეს სახე, რაც კლასობრივ საზოგადოებათა მთელი ადამიანური შინაარსის ადეკვატური გამოხატულებაა, წარსულის ლიტერატურისა და ხელოვნების ერთი ძირითადი რეალისტური კენძია. იგი მოწმობს, რომ კლასობრივი საზოგადოების არც ერთ ფორმაციას არ შეეძლო მიჯაჭვული ამირანის ახსნა, არ შეეძლო თავისუფალი და პარმონიული ადამიანის აღზრდის პირობების შექმნა.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ის წყევლა-კრულვიანი საკითხები და წინააღმდეგობანი, რაც ადამიანს ტრაგიკულ არსებად ხდის, საერთოდ გადაუწყვეტელი წინააღმდეგობებია? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჰამლეტისა და დონ-კიხოტის, ლირისა და ოტელოს; მოცარტისა და სალიერის პრობლემები საერთოდ მარადიული და გადაუწყვეტელი პრობლემებია?

მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში მაქსიმ გორკი პირველი დიდი მწერალია, რომელმაც ადამიანის ყველა პრობლემა სოციალისტური აზროვნების უმაღლესი საფეხურის თვალსაზრისით გადასწყვიტა და დიდებულ მხატვრულ სახეებში გააცხადა.

ადამიანი „საცოდავი, შიშველი ორფეზა ცხოველიაო“. ამ დასკვნამდე მისი მწარე გაკეთილებით შექსპირის ლირი. რაში მდგომარეობს მისი ტრაგედია? იგი მეფეა და იმ თავითვე მას ყალბი ილუზია ფლობს. იგი თავის მეფურ მდგომარეობას აიგივეებს თავის ადამიანურ არსთან. ამიტომ მას სჯერა, რომ სიყვარული და პატივისცემა, რასაც მისადმი იჩენენ, მისი ადამიანური ღირსებების დამსახურებული ჯილდოა და არა ზარკი მისი მეფური მდგომარეობისადმი. ხალხისგან გამიჯნული, ტირანული ძალაუფლება მას უნარს უკარგავს ვაარჩიოს პირმოთენობა და მლოქვენლობა ნამდვილი ერთგულებისა და სიყვარულისაგან. იგი თავის სამეფოს, თავის ძალაუფლებას უნაწილებს ვითომდა ერთგულ ადამიანებს. და მას ჰგონია, რომ მის ადამიანურ ღირსებებს, მას, როგორც მშობელს, მიიწვ პატივს სცემენ. მაგრამ საზოგადოებაში, რომელიც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და ექსპლოატაციას აგებული, გაბატონებული კლასების მტაცებლური მორალი სუფევს... და ლირი ყველასგან უარყოფილია. მბრძანებლობას, ფუფუნებას და განცხრომას მიჩვეული მეფე სასოწარკვეთილია. იგი არის ის, ვინც ცუდად მოწყობილმა საზოგადოებამ იმთავითვე გაძარცვა ბუნებრივი ადამიანური ღირსებებიდან და ყალბი ილუზია შთაუნერგა, შემდეგ ამ ილუზიიდან

ნაც გაძარცვა და იგი ბუნებრივად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი „საცოდავი, შიშველი ორფეხა ცხოველია“.

გორკიმ კი მთელ თავის სახეთა სისტემაში სულ სხვანაირად გადსწყვეტა ადამიანის რაობის საკითხი. ადამიანი თავისთავად, როგორც უმადლესი სოციალური არსება, ძლიერი და მშვენიერია. ძლიერია იგი მძიმე მხარობის მას, და მხოლოდ მას შეუძლია იაზროვნოს, იზრომოს, შეგნებულად იმოქმედოს და „ყოველი თავისი ნაბიჯით გაამშვენებოს ცხოვრება ისე, როგორც მზე დედამიწას უხვად პუნენს სხივებს“. გორკის შემოქმედების მთელი აღრინდელი პერიოდი მიმართულია ადამიანის ადამიანურ ძალთა გაცხადებისა და დამკვიდრებისაკენ. ადამიანი ბუნებისა და სოცოცხლის სავსეობის უმაღლესი გამოხატულებაა. შეხედეთ აი ამ უბრალო ქალიშვილს, რომელიც სოფლის განაბირად ბუნქებში მიმალული ვალერსება თავის სატრფოს („ქალიშვილი და სიკვდილი“). მასში სოცოცხლე შადრევანივით სჩქედს. მას უყვარს და შეუძლია უყვარდეს. ეს არის მისი ძალა — ძალა სიყვარულისა. მას შეუძლია დასტკბეს და დაატკბოს სატრფო. ეს არის მისი ძალა — ძალა ჰარმონიისა, ძალა საზოგადოებრივი კავშირისა. მას სწყურია სოცოცხლე და შეუძლია კიდევაც იცოცხლოს. ეს არის მისი ძალა — ძალა სოცოცხლისა. და როდესაც გაბოროტებული მეფე მას სიკვდილს მიუჩენს, სიკვდილიც კი უკან იხევს ადამიანის სოცოცხლის ძლიერების წინაშე. ადამიანის ეს ძალები მისი ბუნებრივი ადამიანური ძალებია, რაც არც მის კლასობრივ, არც თანამდებობრივ და არც ქონებრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ადამიანის საზოგადოებრივ მდგომარეობას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ან დაახშოს ან ააყვავოს ეს ძალები. არა, ადამიანი არ არის „საცოდავი, შიშველი ორფეხა ცხოველი“. იგი ძლიერია თავისი აზრით, იგი ძლიერია თავისი შემოქმედი სულით; მას შეუძლია გაამშვენიეროს ცხოვრება, თუ იგი არ დაღარდება და არ დაეცემა. მაგრამ, ვაი, რომ მისი დაღარებაც და დაცემაც ცუდად მოწყობილი საზოგადოების ბრალია. სად არის გამოსავალი? გამოსავალი არის: რარიც ცუდადაც არ უნდა იყოს მოწყობილი საზოგადოება, მისი განვითარების პროგრესიული ტენდენციები, მაინც წარმოშობენ ძლიერსა და მამაც ადამიანებს. პირველად ასეთი ადამიანები შეიძლება მარტონი იყვნენ, ერთეულები იყვნენ, მაგრამ თანდათან გაიზრდება მათი კრებული.

მხოლოდ ძლიერ, ამაყ და თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ წაუძღვენ ხალხს წინ და ხალხის სიყვარულით აღმოდებული გულის შექით გაუნათონ მას გზა, გაიყვანონ ცხოვრების შავი ტყის წყვლიადიდან ისე, როგორც გორკის დანკომ გააკეთა ეს. გორკიმაც თავისი აღრინდელი რევოლუციური რომანტიზმის ძლიერი შექი მიანათა ამაყ და მამაც ადამიანებს — თავის რომანტიულ გმირებს, რათა ისინი ცხოვლად და მკაფიოდ ეჩვენებინა. ამ გმირთა ძირითად თვისებას შინაგანი თავისუფლება შეადგენს. თუ ადამიანს შეგნებასა და მამასადამე მის მოქმედებასაც ზღუდავენ დაბალი ინსტიტუტები და მოარული ციურწმენანი, იგი არ შეიძლება იყოს თავისუფალი შინაგანად. შინაგანი თავისუფლების გარეშე არ არის გმირი, არ არის სავგმირო საქმე, არის მხოლოდ ანაზღუდილი სასოწარკვეთილი თავგანწირულება. არ არის და არც შეიძლება გმირი იყოს გორკის ლეგენდის ლარა. იგი წამებული აჩრდილია მხოლოდ, რადგან იგი ტრაგიკული ტყვეა საშინელი ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის. დანკო — აი ნამდვილი გმირი. მან მკერდი გაიბო, მოამეთა სიყვარულით ცეცხლმოდებული გული ამოიგლიჯა, ჩირალ-

ღანით ასწია მალღა, გზა გაუნათა — სასოწარკვეთილ ხალხს და ტყის წყვილიადიდან იხსნა. მკაცრია დანკოს შინაგანი თავისუფლება. მაგრამ სწორედ ამაშია გმირობის მალღლი პოეზია, ამაშია გმირობის სიღამაზე. გორკის გმირებიც სწორედ ამ თავისუფლებითა და სიღამაზით არიან ამყარებულნი და იმ დროს, როდესაც საზოგადოებრივ შეგნებას ^{ტყვედრევი} ~~ტყვედრევი~~ ^{ამყარებენ} თვითმპყრობელობის შავი რეაქცია თავისი შემფოთებული სულის ლოზუნგით — „თვინიერ იქმენ, ამყო აღამიანო!“, გორკის გმირები მთელის ხმით მოუწოდებდნენ საგმირო საქმეებისაკენ. გორკის ეზიზღება დათვინიერებული, მორჩილი და ლამიარი აღამიანი.

დღედაბერი იზერგილი ამყობს თავისი შინაგანი თავისუფლებით. ის ოდესღაც ლამაზი ქალიშვილი იყო და ერთმა დონდლო პოლონელმა პანმა ყველაფერი გაპყიდა იმისათვის, რომ ოქროთი ეყიდნა მისი სიყვარული. მაგრამ ოქრომ მისი გული ვერ მოინადირა. მას მხოლოდ ის პანი უყვარდა, ვისაც სახე თურქების ხმლით ჰქონდა დაჩეხილი, იგი თურმე ბერძნებს ეხმარებოდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში: „აი აღამიანი! — ამბობს იზერგილი, — რაა მისთვის ბერძნები, თუ თვითონ პოლონელია? აი რა: მას უყვარდა საგმირო საქმეები!“

გმირობის მალღლი პოეზიისა და სიღამაზის გრძნობას მტკლებულნი არიან ბურჟუაზიული საზოგადოების სულიერი მანკიერებით შეპყრობილი მეშინანები, თბილი და მყუდრო ადგილების მათებულნი. აი მათი სახე: გველხოკერა თუ ზლოკვი — დაგორგლილი ლიმპადებულ ნესტიან ხევეში. მათ უყვართ სიბნელე და მისტიური ჩრდილები, უყვირთ მამაცთა სიშმაგე — შავარდნის სწრაფვა სივრცეში — სიღალისა და თავისუფლებისაკენ.

ბურჟუაზიული ობიექტულებისათვის უცხო და მიუწვდომელია ცხოვრების უმალღესი სიბრძნე — მამაცთა სიშმაგე. მათი გონების საზრდოა გაცვეთილი, მოარული სიბრძნეები და ცრურწმენანი. მათ არ შეუძლიათ ამალღდნენ იმ „სალ აზრზე“ ხევით, რომელიც, როგორც ენგელსი ამბობს, ერთობ პატივეცემული თანამგზავრია ოჯახური ვითარებისა, ოთხკედელშუა, მაგრამ როგორც კი გამოკვლევისა და აზროვნების შორეული გზისკენ წასვლას გაბედავს, მრავალი მარცხი და თავგადასავალი მოსდის.

გორკიმ შესანიშნავად იცის აღამიანის სულის აგებულება. იცის, რომ „მის მკერდში დრიალებენ ინსტინქტები; სამაგლად წივის ხმა თავმოყვარობისა, როგორც უტიფარი მათხოვარი და ითხოვს მოწყალებას; შეჩვეულობათა მკიდე ძაფები ეხვევიან ვულს, როგორც სურო, იკვებებიან მისი მზურვალე სისხლით და ხმამალღა მოითხოვენ მათი ძალისათვის დამორჩილებას...“ საუკუნებრივი უკულმართობით გამომუშავებული დაბალი ინსტინქტები და შეჩვეულობათა მკიდე ძაფები ლამობენ გაბატონებას აღამიანის სულში... და მხოლოდ სულით ძლიერ შეუძლიათ თავი დააღწიონ მათ ბატონობას. გველხოკერასთვის კი მათი ძალა გარდუვალია. თავშეყვარება და ეგოიზმია — მეშინათა სულის ბატონი. მათთვის არის ის, რაც ახლა არის და უცხოა მათთვის ახლისაკენ მისწრაფება. მათ სიბრძნეს დრომოკმული ქეშმარიტბანი და გაცვეთილი ანღაზები შეადგენენ: „სხვათა ჭირი, ლობეს ჩხირი“, „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეულ ლხინს“ და სხ.

გორკის მთელი არსებით ეზიზღება გველხოკერა აღამიანი, ეზიზღება, არ ებრალდება, სიბრალღლით არ ამცირებს, რადგან მას უზომოდ უყვარს აღამიანი.

„ყველაფერი აღამიანშია — ყველაფერი აღამიანისათვის!“ ეს არის გორ-

კისეული ადამიანის პრობლემატიკის იდეური სათავე. ამ იდეურ სათავესთან არის დაკავშირებული გორკის ლიტერატურული სტილიც — რევოლუციური რომანტიზმისა და ღრმა რეალიზმის შერწყმა. გორკის აღრინდელი რომანტიკული გმირების გამოკვეთილი და ცხოველი ხასიათები, ~~ქვეყნისათვის~~ და პიერბოლებით შეფერადებული სტილი, ინტენსიური ფერები ~~და მხატვარი~~ მხატვრული ფაქტორის საოცარი ცხოველმყოფელობა — ყოველივე ეს ადამიანის ძალთა გაცხადებისა და დამკვიდრების ნიშნებია.

დანკო, ამაყი შავარდენი, გრიგალა — იმ პროფესიონალურ რევოლუციონერთა წინასწარი მხატვრული მინიშნება იყო, რომელთა სახელოვანი კადრები აღზარდეს ლენინმა და სტალინმა და რომლებიც რევოლუციის ხერხემალს წარმოადგენდნენ.

მსოფლიო ლიტერატურაში გორკის არა ჰყავს ბადალი, ვისაც ასეთი სიღრმით ეჩვენებინოს ადამიანის ყოველ ღირსებათა და ნაკლოვანებათა სოციალური შინაარსი. ჩვენ ვხედავთ, რომ ნიქიც კი, ნიქიც, — ერთი შეხედვით თითქოს ეს ადამიანის თანდაყოლილი ინდივიდუალური თვისება, სოციალური სათავედან მოდის და სოციალური პრაქტიკით ნაწილდება. ერთ ადგლას მარქსი გამოსთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ ესოდენ ბრწყინვალე ნიქთა თავმოყრა ლეონარდო-და-ვინჩჩი იმ სოციალური ფაქტორის ხანგრძლივი მოქმედების შედეგი იყო, რაც გონებრივი და ფიზიკური შრომის განაწილებაში მდგომარეობს. ამ აზრს ძალიან ახლოს ენათესავენ ჩერნი-შევსკის აზრი. ჩერნიშევსკი ერთ-ერთ თავის შრომაში დაახლოებით შემდეგს ამბობს: საოცარი ის კი არ არის, რომ ადამიანთა შორის არიან ერთეული გენიოსები, საოცარი და სავალალო სწორედ ის არის, რომ ცხოვრების უკუღმართი პირობების გამო, მრავლად არ არიან გენიოსები ადამიანთა შორის. ცხადია, ის წესი, რაც ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა სულის ჭეთილშობილი სწრაფვით გამოხატა სიტყვებში: „ნიქს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას“ — კლასობრივ, ექსპლოატატორულ საზოგადოებაში შეიძლება მხოლოდ ბედნიერი შემთხვევა ყოფილიყო და არა წესი, გამონაკლისი და არა აუცილებლობა. განა შეიძლება სადაო იყოს, რომ სარდაფის ატმოსფერო გაცილებით ნაკლებ ხელსაყრელია ნიქის განვითარებისათვის, ვიდრე მზიანი სართულები?

გორკიმ ადამიანის პრობლემის ყველა მხარე სოციალური ასპექტით გააშუქა.

თავის მოგონებაში ჩეხოვის შესახებ გორკი სწერს: „როდესაც ანტონ ჩეხოვის მოთხრობებს ჰკითხულობთ, თავს ისე გრძნობთ სწორედ როგორც გვიანი შემოდგომის ნალვლიან დღეს, როდესაც ჰაერი გამკვირვალეა და მასში მკაფიოდ არიან მოხაზული შიშველი ხეები, ვიწრო სახლები, უფერული ადამიანები... ავტორის ქუთა, სწორედ როგორც შემოდგომის მზე, მკაცრი სიცხადით აშუქებს გაფუჭებულ გზებს, მინჯრეულ-მონჯრეულ ქუჩებს, ვიწრო და კუჭყიან სახლებს, რომლებშიაც მოწყენილობისა და მცონარობისაგან იგულებიან პატარა საცოდავი ადამიანები, რომლებიც თავიანთ სახლებს ავსებენ გაუაზრებელი, ნახევრად მთვლემარე ფუსფუსით...“

უსუსური ადამიანების ამ მოსაწყენი, უფერული ბრბოს ახლოს გაიარა დიდმა, ჰკვიანმა, ყველაფრისადმი დაკვირვებულმა კაცმა, შეხედა მან თავისი სამშობლოს ამ მოსაწყენ მცხოვრებთ და ნალვლიანი ღიმილით, რბილი, მაგრამ ღრმა საყვედურის კილოთი, სახეზე და გულში უიმედო ნალვლით, ლამაზი გულწრფელი ხმით უთხრა:

— საძაგლად ცხოვრობთ თქვენ, ბატონებო!

ჩეხოვი ამაზე შეჩერდა. გორკი კი შორს წავიდა, გაცილებით შორს, გორკიმ თავისი ტალანტის თვალისმომკრელი შექურა მიანათა სინამდვილის ყველა მხარეს, საზოგადოების ყველა ფენას და საოცარი მხატვრული სიციხადით დაგვანახვა, როგორც ძველი, კაპიტალისტური სამყაროს მსხვერპლისა და ახალი, სოციალისტური სამყაროს წარმოშობის, ისე ძველი ბურჟუაზიულ-მეშინაური ფორმაციის პიროვნების რღვევისა, და ახალი, სოციალისტური ფორმაციის პიროვნების წარმოშობის პროცესები.

ბუნებრივია, რომ იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ძალიან მკრთალად იყო გამოვლენილი ახალი ფორმაციის ადამიანის შტრიხები, დიდი მწერალი ხარბად ავლებდა ხელს ყოველივეს, რაც კი ადამიანის ტიპის ამალღების რაიმე ნიშანს შეიცავდა.

გორკის ყურადღება მიიქცია მაწანწალობამ სწორედ იმიტომ, რომ იგი როგორც კაპიტალიზმის სოციალური ორგანიზმის ჩირქოვანი წყლული მკაფიოდ ამჟღავნებდა კაპიტალიზმის ხრწნადობას. მაგრამ მაწანწალობის ფსიქოლოგია — საერთოდ მანე და ანტისოციალური მოვლენა — წარმოადგენდა თავისებურ რეაქციას გაბატონებული ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ. ამდენად მასში იყო საღი ადამიანური მორალის ერთგვარი საწყისები. მაწანწალები არ იყვნენ ხარბები, შურიანები, რადგან მათ არც ერთი ძაფიც კი აღარ აკავშირებდათ კერძო საკუთრების ინსტიტუტთან, ისინი არ აწებებდნენ კაპიკს კაპიკზე, არ ახრჩობდნენ და არ სწოვდნენ ერთმანეთს სისხლს. მაწანწალა «გრიშკა ჩელკაში, ძველი ნაცადი მგელი, ნაესადგურის ხალხისათვის კარგად ცნობილი, ლოთიბაში და მოქნილი, გაბედული ქურდი» უფრო მალა ადამიანურ ღირსებებს ამჟღავნებს, ვიდრე გლეხი ქაბუკი გაბრიელი, რომლის სულში წვრილი მესაკუთრე ზის და სიხარბის შხამით სწამლავს მას. ჩელკაში ქურდია, მაგრამ ხარბი და შურიანი არ არის. გაბრიელი ქურდი არ არის, მაგრამ სიხარბისა და კარგად მოწყობის წყურვილის გამო ქურდობაში მონაწილეობას იღებს. ჩელკაში გაბედული და უშიშარია. გაბრიელი გაორებულია, ოპორტუნისტია. იგი ინსტინქტურად გრძნობს, რომ ხელყოფს კერძო საკუთრებას — იმ საძირკველს, რაზედაც მთელი მისი სულიერი სამყაროა აგებული. ამიტომ მას საშინელი «ცოდვის» გრძნობა აწვალავს, იგი მშიშარაა, მზად არის ყოველი სიძნელის წინაშე ქედი მოიხაროს და უკან გამოიქცეს. მაგრამ, როდესაც საქმე ნაჭურდალის განაწილებაზე მიდგება, სიხარბე გაბრიელში თითქოს ყოველგვარ ადამიანურ ღირსებებს კლავს, იგი ფეხებში უვარდება ჩელკაშს, რომ მთლად მიიღოს ნაჭურდალი, იგი თავს იტანჯავს, იმცირებს და ბოლოს კაცისკვლამდეც კი მიდის. ჩელკაში თავისუფალია კერძო საკუთრების ინსტინქტისაგან, რაც ასე ამხეცებს და ამახინჯებს ადამიანს. სისხლით გაღვრილი ჩელკაში ზიზლით მიუღვდებს გაბრიელს ნაშოვარი ფულის უდიდეს ნაწილს და მიდის თავის გზით. ჩელკაშს ეზიზდება გაბრიელის წმინდა ცისფერი თვალები, ჯანმრთელი, მხედაკრული სახე, როგორც სიხარბისა და მსუნაგობის ყალბი სამოსელი. ამაში არის ქეშმარიტი სილამაზის ძიების სწორი გზა. მაგრამ ჩელკაში მიდის თავის გზით, მიდის მარტო. და ამ სიმარტოვეში არის მისი უდიდესი ტრაგიზმი, მისი უძლურება.

«ყველაზე ძლიერი ადამიანი ის არის, ვინც ყველაზე მეტად განკერძოებულია» ქადაგებდა იბსენი. გორკიმ დაამსხვრია ეს შეხედულება და ამაში მას თვით ცხოვრება, თვით სინამდვილე უმაგრებდა ზურგს.

განკერძობულ ადამიანებს, განკერძობულ ბუნტარებს, სულის რაინდი-
რი კეთილშობილი სწრაფვითაც არ უნდა იყვნენ ისინი აღძრულნი, ცხოვ-
რება არ ინდობს, ცხოვრება შეუბრალებელი ხელით ღუპავს შათ. აი კონო-
ვალოვი, აი თომა გორდევეი და სხვები.

კონოვალოვი ზიზღით არის გამსჭვალული ყოველივე იმისადმი, რაც მუ-
ჭავს და ავიწროებს ადამიანს. მას ეტრატეით სუფთა გული აქვს და ტი-
ტანური ლტოლვა თავისუფლებისაკენ. იგი ვერ ურიგდება ბურჟუაზიული
საზოგადოების წესრიგს, მას სულს უხუთავს ადამიანთა მიერ ერთმანეთის
ძიძგნის საშინელი სტიქია, მას სულს უხუთავს ბურჟუაზიული ქალაქი:
„დამპალია იქ ცხოვრება, არც ჰერი, არც სიერცე, არც არაფერია, რაც
ადამიანს უნდა“. კონოვალოვი მაწანწალობას იწყებს, თვალწვდენელ სი-
ვრცეებში ხეტილით სურს დაიცხროს თავისუფლების წყურვილი, ამოი-
რეცხოს გულიდან წვრილმანი ინსტინქტების ნაგავი: „მიდიხარ და ყველა-
ფერს ხედავ ახალს... გიბერავს სახეში ქარი და შენი სულიდან ამოაქვს
სხვადასხვა მტკერი...“ მაგრამ იგი გზას ვერ პოულობს კოლექტივისაკენ,
იგი ვერ ხედება რომ თავისუფლება კოლექტივის გარეშე მიიღებოდა. კონოვა-
ლოვი მართლაც განკერძობული დევკაცია. მაგრამ გორკიმ გვიჩვენა სა-
ზოგადოებისაგან გამდგარი, განკერძობული ადამიანის საშინელი კატას-
ტროფა. ასეთ ადამიანებს სრესავს ცხოვრების ინერცია, კონოვალოვი იღუ-
ბება სწორედ იმიტომ, რომ მან ვერ მიაგნო გზას, ვერ შეუერთდა კოლექ-
ტივს. ამ იდეური ფუნქციის მატარებელი არიან გორკის მაწანწალოთა სა-
ხეები. თავის დროზე ბურჟუაზიული აზრი ზიზღით შეიმშუშნა გორკის ასე-
თი გმირების მიზართ. გორკის მაწანწალების იდეალიზაცია დასწამეს და
შათი ცინიზმის მოტრფიალედ გამოაცხადეს. რასაკვირველია, ეს იყო იმ მე-
ტად ბასრი მახვილის დაბლაგვის ცდა, რომელიც გორკის შემოქმედების სა-
ხით მიმიზნებული იყო ბურჟუაზიული წყობილებისა და მისი მორალის
შავი გულის გასაგმირად.

გორკი არ ერიდებოდა საღებავების ვაძლიერებას. მაგრამ ერთგვარი რე-
მანტიკული შეფერადებით მწერალი ხაზს უსვამდა თავის გმირების იმ და-
დებით ადამიანურ თვისებებს, რაც ბურჟუაზიულ-მემწანური სულის წყო-
ბის სისაძაღლეებს უპირისპირდებოდა. ასეთ თვისებებს იგი ხაზს უსვამდა
ყველგან. აი თომა გორდევეი. იგი ხომ ვაჭართა წრიდან არის გამოსული.
იგი ხომ ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელია. მაგრამ, ზოგიერთ გან-
საკუთრებულ გარემოებათა გამო, იგი გრძნობს, რომ თავისივე კლასის ინ-
ტერესების გამომხატველ სოციალურ წყობას და მასზე აღმოცენებულ მტა-
ცებლურ მორალს რღვევა შეაქვს ცხოვრების საველობაში. იმ პარამონიაში,
რაც მის სულს ასე სწყურია და რის წამიერი გამოვლინება მან დაინახა.
ეს იყო მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ ბავშვი საბუქსირო გემით მისცუ-
რავდა ვოლგაზე, გრძნობდა პარამონიას ბუნებასთან, გრძნობდა პარამონიას
ადამიანებთან — ღონიერ და მზიარულ მეზღვაურებთან. მაგრამ ეს იყო წა-
შიერად. თომას მამამ ეგნატე გორდევემა დაითხოვა მემანქანე და ლოცმანი
იმისათვის, რომ მათ მსუნავე უწოდეს მას. ეგნატემ სცემა მეზღვაურს, რო-
შელმაც მის წინააღმდეგ ხმის ამოღება გაბედა. მეზღვაურები უკვე აღარ
ემგვობრებიან გემის პატრონის შეალს — თომას, დაირღვა პარამონია, დაიწ-
ყო ტრაგედია. თომები, როგორც თვით გორკი სწერს: „...ბუნდოვნად
გრძნობდნენ, რომ ამ ერთფეროვან, „გულისგამაწვრილებელ უბადრუკ
ცხოვრებაში“ — ქალიან მცირე აზრია. ისეთებისაგან, როგორიც თომია, მო-

საწყენი ცხოვრებისათვის განწირული და კაემნით შეურაცყოფილი ადამიანებისაგან, დაფიქრებული ადამიანებისაგან ერთის მხრივ გამოდრდონენ ლოთები, „დროსმტარებლები ქეიფში“, ხელოვნები, ხოლო მეორეს მხრივ — გამოფრინდებოდნენ „თეთრი ყორნები“, როგორც სავა მოროზოვე, რომლის სახსრებით იცემოდა ლენინური „ისკრა“... ამრიგად, ^{რომელიც} გორდევეი, თვით გორკის მოწმობითაც, „არ არის ტიპური, როგორც ვაჭარი, ის მხოლოდ საღი ადამიანია, რომელსაც სურს თავისუფალი ცხოვრება...“ თავისუფალი ცხოვრება კი შეუთავსებელი იყო იმ სოციალურ წყობასთან, რომელიც მაიაკინების მორალს ასაზრდოებდა. მაიაკინის მორალი კი ასეთია: „ან ყველა გლიჯე კბილით ან ეგდე ტალახში“. მაიაკინი ასე წგრთნის თომას: „აქ, ძმაო, როცა ადამიანთან მიდისარ, მარცხენა ხელში თაფლი გეჭიროს, ხოლო მარჯვენაში დანა“. მეფაბრიევე მაიაკინის ხასიათი გამოძერწილია იმ კომმარული ანდაზებისაგან, რომლებსაც კაპიტალიზმის ყაჩაღური მომხვეჭელობის პრაქტიკა იმუშავებს. ეს ანდაზები ძალიან გამძლე და ჩამბრწყალველნი არიან. ისინი წურბელებივით ეკიდებიან ადამიანთა სულს და კმნიან ეგოიზმის, მოშურნეობის, სიხარბის „მარადიულ სიბრძნეს“. ამ „სიბრძნის“ საშინელ ფსიქოლოგიურ შინაარსს გამოხატავს დოსტოევსკის ერთ-ერთი გმირი, როცა ამბობს, რომ ადამიანის ყველაზე ბუნებრივი გრძნობა ეს არის სხვისი უბედურების შეტყობათ გამოწვეული სიხარულის გრძნობა. თუ ეს გრძნობა მეტისმეტად ავადმყოფური ფსიქოლოგიის გამოხატულებაა, ყოველ შემთხვევაში, სხვათა წარმატებისა და ბედნურების შეტყობით გამოწვეული შურის გრძნობა კარგად ცნობილია ძველი ფორმაციის სლამიანთათვის.

თომა გორდევეი გრძნობს, რომ მაიაკინების წყობა არღვევს არა მარტო სოციალურ, არამედ თვით ადამიანის შინაგანი სამყაროს ჰარმონიას. და არ შეიძლება არსებობდეს ბედნიერება იქ, სადაც არ არსებობს ჰარმონია. ანდა როგორ შეიძლება ბედნიერი იყოს უადამიანი, რომელსაც აწვალბს სხვისი ბედნიერება და ახარებს სხვისი უბედურება?

თომა გორდევეი მარტოა, იგი განკერძოებული ადამიანია. მისი ბუნტი უნაყოფოა. იგი იღუბება, მას საგიეთში აგდებენ.

ამრიგად, განკერძოებული ადამიანი, არამც თუ ყველაზე ძლიერი, არამედ ყველაზე სუსტი და უძლურია.

გორკის სახეთა სისტემა გვიჩვენებს ადამიანის რღვევისა და აღდგენის მძიმე გზას. და რანაირი კომმარული და სისხლიანიც არ არის ეს გზათქვენ მაინც მუდამ ხედავთ კრიალა მზიურ შორეთს, გრძნობთ ჰარმონიული ადამიანის გამარჯვების გარდუვალობას.

კომმარულია ცხოვრება „ფსკერზე“, მაგრამ აქაც „ადამიანი — ისმის ამაყად“ და გრძნობთ, რომ გაიმარჯვებს ლიდებული ადამიანი. გორკიმ ამ პიესაში უფრო ძლიერად გაუსვა ხაზი მაწანწალობის ანტისოციალურ ხასიათს. ფსკერზე თითოეული თავისი საკუთარი გზით არის დამეგებული, თითოეულის ფსიქოლოგიას განსაზღვრული სოციალური პრაქტიკის ბეჭედი აზის. მაგრამ „ფსკერი“ უკვე ის საერთო ქვაბია, სადაც მათი საერთო ბედი იხარშება. ეს არის სრული სოციალური განწირულება და უმაქნისობა. და თუ თომა გორდევეისათვის ცხოვრების ჰარმონიულობის მწვავე მოთხოვნილების ეითარებაში მთავარი საკითხია: „როგორ ვიცხოვრო?“, „ფსკერის“ ადამიანთა წყველა-კრულვიანი საკითხია „რისთვის ცხოვრობს ადამიანი?“ ამ საკითხს აყენებს პიესის თითქმის ყველა გმირი.

„ადამიანები ცხოვრობენ უკეთესისათვის“ — ასეთია მოხუცი მოხეტიალე ლუკას პასუხი. ასეთივეა სატინის პასუხიც. მაგრამ სულ სხვადასხვაგვარად ესმით უკეთესისათვის ცხოვრება ლუკასა და სატინს. ლუკას ზეგრი ვულო, ბევრი უნახავს ადამიანთა ტანჯვა-ვაება, მაგრამ ადამიანის ნამდვილი ხსენის გზა ვერსად უპოვნია. ამიტომ იგი მისულა იმ რწმენამდე, ^{სადაც} ^{სიყვარულსა} და ბოროტების წინააღმდეგობა გადაუწყვეტელია, რომ ბოროტება ჩათესილია თვით ადამიანის სულში. ამიტომ ტანჯულ ადამიანის ერთადერთ ნუგეშს იგი ხედავს დუხჭირ ცხოვრებასთან შემარიგებელ სიცრუეში, მანუგეშებელ სიცრუეში. მაშასადამე, ცხოვრება უკეთესისათვის — ლუკასთვის ეს არის მანუგეშებელი სიცრუე. ამიტომ იგი არწმუნებს პეტელს, რომ მას შეუძლია საღვაც ციმბირში მიაგნოს ბედნიერების წყაროს, არტისტს შეუძლია ალკოჰოლიზმის საშინელი სენისაგან განიკურნოს რომელიღაც ქალაქში და მომავლად ანას ღმერთი იმქვეყნიურ სასუფეველს დაუშვედრებს. ლუკა ჭადაგებს ქრისტიანულ თვინიერებას, ლმობიერებას, ბოროტებასთან შეგუებას და შერიგებას. ლუკას მოძღვრება არსებითად ძალიან ახლოს დგას დოსტოვესკის ალიოშა კარამაზოვის რელიგიურ ფილოსოფიასთან და მაშასადამე თვით გენიალური დოსტოვესკის რეაქციულ შეხედულებებთან, რაც მან მკაფიოდ გამოთქვა წერილში ლ. ტოლსტოის „ანა კარენინას“ გამოშ „ანა კარენინაში, — სწერს დოსტოვესკი, — გატარებულია შეხედულება ადამიანის ბრალეულობისა და დამნაშავეობის შესახებ... ცხადი და გასაგებია თვალნათლივობამდე, რომ ბოროტება კაცობრიობაში სუფევს უფრო ღრმად, ვიდრე ფიქრობენ მკურნალი სოციალისტები, რომ საზოგადოების ვერც ერთ წყობაში ვერ აიცილებთ ბოროტებას, რომ ადამიანის სული იგივე დარჩება, რომ არანორმალობა და ცოდვა მომდინარეობს თვით ამ სულიდან და რომ, ბოლოს, ადამიანის სულის კანონები ჯერ კიდევ იმდენად უცნობია, იმდენად გაუგებარია მეცნიერებისათვის, იმდენად გაურკვეველი და იმდენად საიდუმლოებრივია, რომ არ არიან და არც შეიძლება იყვნენ არც მკურნალები, არც თუნდაც საბოლოო მსაჯულნი... თვით ადამიანის მსაჯულმა უნდა იცოდეს თავისთავის შესახებ, რომ იგი საბოლოო მსაჯული არ არის, რომ თვით იგი ცოდვილია, რომ სასწორი და საზომი მის ხელში სისულელე იქნება, თუ თვით იგი... ქედს არ მოიხრის ჯერ კიდევ აუხსნელი საიდუმლოების კანონის წინაშე და თუ არ მიმართავს ერთადერთ გამოსავალს — ლმობიერებასა და სიყვარულს“. ამ რეაქციული შეხედულების აშკარა შინაგან წინააღმდეგობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თუ ადამიანს შეუძლია გახდეს მოსიყვარულე და ლმობიერი, მაშასადამე მას შეუძლია მიაღწიოს იმას, რომ არ იყოს ბრალეული და დამნაშავე, — დოსტოვესკი ფარავს თავისი იდეალისტურ-მისტიკური კონცეფციით. ის ჭადაგებს: ადამიანის სულის მოძრაობას, მისი დაცემისა და აღდგენის კანონებს განაგებს უზენაესი არსიო. ეს იყო თვითმპყრობელობის დაცვის ქრისტიანული საბურველი. რასაკვირველია, არის სიმართლე იმაში, რომ ადამიანი ბრალეული და დამნაშავეა, რამდენადაც იგი შეეხება ექსპლოატატორული კლასობრივი ფორმაციის ადამიანს, რამდენადაც იგი შეეხება ადამიანთა ფსიქოლოგიის იმ ფენა-ფენა ნალებს, რაც სოციალური უკუღმართობის მთელმა საუკუნეებრივმა ისტორიამ ჩაეჭრა მასში. ასეთ ადამიანთა ბრალეულობისა და დამნაშავეობის მთელი სამყარო გვიჩვენა დოსტოვესკიმ თავის გენიალურ თხზულებებში. გორკიმაც გვიჩვენა იგი, გვიჩვენა ეგოიზმის, შურიანობის, სიხარბის ბრალეული სამყარო, მაგრამ გვიჩვენა

მისი მიზეზებიც, მისი დანგრევისა და ადამიანის დიადი განკაცების გზებიც. გორკი ლუკას მანუგეშებელი სიცრუის ფილოსოფიას უში-რისპირებს სატინის დებულებებს. „ადამიანები ცხოვრობენ უკეთესი-სათვის“ — თუ ეს ლუკასათვის არსებულთან. შემარიგებელი მანუგეშე-ბელი სიცრუეა, სატინისთვის ეს არის არსებულ სინამდვილეს სიმბინჯეთა მართლად მზილება და ნამდვილად უკეთესი საზოგადოების მოწყობის იდე-ალი. არსებული ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური საზოგადოება კი ეს ისეთი საზოგადოებაა, სადაც „ყოველ ადამიანს უნდა, რომ მის მეზობელს სინიღისი ჰქონდეს, მაგრამ... არავისთვის ხელსაყრელი არ არის სინიღისის ჰქონა“. რასაკვირველია, არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი ადამიანური სი-ნიღისი იქ, სადაც მუქთახორას სხვისი შრომის მიტაცება სინიღისიერად მიჩ-ნია, ხოლო მიტაცებით შექმნილი საკუთრების ხელყოფა — უსინიღისობად. ადამიანის ყოველგვარი სიღუბნიერ და მანკიერებანი წარმოსდგება ამ სა-ზოგადოებისაგან და არა ადამიანის ბრალეულობისა და დამნაშავეობისაგან. ამიტომ ეს არის საზოგადოება, სადაც „ადამიანებს არ რცხვენიათ იმის, რომ შენ ძალღერად ცხოვრობ“. ამას ეუბნება სატინი ფსკერზე დაქანებულ მუშა-ზეინკალს კლეშჩს. ასეთ საზოგადოებას თავის სიმახინჯეთა დასაფა-რავად ესაჭიროება სიცრუე, რადგან „სიცრუე ამართლებს იმ სიმძიმეს, რა-მაც ხელი გაუსრისა მუშას... და ამტყუენებს მათ, ვინც შიმშილით კვლე-ბიან... ვინც სულით სუსტია... და ვინც სხვების სისხლით ცხოვრობს, — სი-ცრუე მათ ესაჭიროებათ. ერთნი თავს ინუგეშებენ სიცრუით, მეორენი ეფა-რებიან მას... სიცრუე მონებისა და ბატონების რელიგიაა“. ეს არის არსე-ბული სინამდვილე. ადამიანები კი ცხოვრობენ უკეთესისათვის. რაში ზე-დავს სატინი ამ უკეთესს? „მოაწყვე ისე, რომ მუშაობა ჩემთვის სასიამოფ-ნო იყოს. — ამბობს იგი, — მაშინ შეიძლება კიდევაც ვიმუშაო... როდესაც შრომა საიამოვნებაა, მაშინ ცხოვრება კარგია“. როდესაც ადამიანს თავის შრომა უყვარს, მაშინ შრომა შემოქმედებაა, ხელოვნებაა. მაგრამ იმისა-თვის რომ ადამიანს შრომა უყვარდეს საჭიროა, რომ მას სხვები არ სტა-ცებდნენ. კაპიტალისტური ექსპლოატაცია მშრომელებს სტაცებს თავის ნა-შრომს, იგი შრომას მონობად და მძიმე ტვირთად აქცევს, მაშინ როდესაც მხოლოდ შრომა და შრომა არის ნამდვილი უმაღლესი ადამიანური სიამოფ-ნების მთავარი წყარო. ცხადია, პირობები, რომელთა საფუძველზე შეიძლე-ბა განხორციელდეს სატინის ოცნება — შრომა იქცეს ადამიანის ემოციად, არ შეიძლება არსებობდნენ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ასეთ საზოგადოე-ბაში ადამიანთა შორის არ შეიძლება დამყარდეს ის ნათელ-გამჭვირვალე ურთიერთობანი, რომლებიც აღარ საჭიროებენ სიცრუის არავითარ საბურ-ველს. სატინის იდეალების განხორციელებისათვის საჭიროა საზოგადოების სხვანაირად მოწყობა, საჭიროა ადამიანებმა იცოდნენ მთელი სიმართლე თა-ვიანთი ცხოვრების შესახებ.

„ადამიანი — აი სიმართლე! — ამბობს სატინი, — ყველაფერი ადამიანშია, ყველაფერი ადამიანისათვის! არსებობს მხოლოდ ადამიანი, სხვა ყველა და-ნარჩენი — მისი ხელისა და ტეინის საქმეა. ადამიანი ეს დიდებულია! ეს ზმინაობს... ამაყად! ა-და-ში-ანი! პატივი უნდა სცე ადამიანს! კი არ შეიბრა-ლო... კი არ დაამცირო სიმრალეულით... პატივი უნდა სცე!.. კარგია ეს — გრძნობდე თავს ადამიანად!“ მაღალი სოციალური ჰუმანიზმის ამ შესა-ნიშნავი გამოსახვით არის დაგვირგვინებული ის პროგრამა, რაშიაც სატინი ზედავს იმ უკეთესს, რისთვისაც ადამიანები ცხოვრობენ. სატინი გამოხატავ-

და გორკის შეხედულებებს, მაგრამ სატინი არ იყო გორკის დადებითი გმირი. ფსკერზე დაშვებული, ლოთი მაწანწალა, სრულიადაც არ ვარგოდა ამ უკეთესის განმახორციელებელ ადამიანად, რასაც თვითვე ქადაგებდა. სატინი საშინელი სინამდვილით გასრესილი, სოციალურად უმძიმესი დემოკრატი, დარღვეული პიროვნება იყო. სატინი ასეთ რჩევას აძლევს: „ცხელსა და ცხელსა ფერი არ აკეთო, უბრალოდ ამძიმე დედამიწა“. — ეს საშინელი თვითუარყოფაა. გორკიმ შემდეგში კრიტიკულად შეაფასა თავისი პიესა. 1932 წელს ამ თავის პიესაზე მან სთქვა, რომ ახლა ეს პიესა მოძველებული და შეძლებდა საზიანოც არისო. ასეთი თვითკრიტიკული შეფასება ნაწილობრივ ალბათ იმითიც იყო გამოწვეული, რომ იქ არ იყო ის დადებითი გმირი, რომელიც სიტყვებით კი არა, არამედ საქმით, მოქმედებით უარყოფდა ლუკას „მანუგეშებელი სიცრუის“ ფილოსოფიას. ასეთი გმირები გორკიმ გვიჩვენა „დედაში“ და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში. მიუხედავად ავტორის თვითკრიტიკული შეფასებისა, პიესა „ფსკერზე“ თავისი ღრმა სოციალური პუმანიზმის რეალუბით ახლაც და მომავალშიაც შეინარჩუნებს თავის დიდ მნიშვნელობას.

გორკის მთელი შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი გმირი შრომაა. გორკი უდიდესი მხატვრული სიმართლით გვიჩვენებს, რომ ადამიანის, პიროვნების ძალას განსაზღვრავს მისი დამოკიდებულება შრომასთან. შრომა და მხოლოდ შრომა არის ადამიანის შემოქმედებითი ძალების ერთად-ერთი სამკედლოც და საგანძობიც. გორკის აზრით, რანაირადაც არ უნდა ამახინჯებდეს შრომის აზრს კლასობრივი საზოგადოების ექსპლოატატორული სტრუქტურა, შრომა მაინც ერთად-ერთი წყაროა კაცობრიობის ყველა მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა. შრომა არის თვით ადამიანის შემოქმედი, მისი შემქნელი: ადამიანის ცხოვრების ყველა პროცესი გამომდინარეობს შრომიდან; შრომასთან დამოკიდებულება განსაზღვრავს ადამიანის ტიპის დაქვეითებასა თუ ამაღლებას.

გორკიმ „არტამონოვების საქმეში“ დახატა ბურჟუაზიული ფორმაციის ადამიანის ტიპის დაცემის, პიროვნების რღვევის გრანდიოზული სურათი. უფროსი ილია არტამონოვი კაპიტალიზმის დაწყებითი სტადიის წარმომადგენელია — დაწყებული ექსპლოატატორია. განვითარების ამ საფეხურზე „არტამონოვების საქმე“ მოითხოვს თვით პატრონის — ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის შრომასა და აქტიურ მოქმედებას. ილია არტამონოვიც მოქმედებს, შრომობს. იგი მხნე და ჯანსაღი პიროვნებაა. იგი აღსავსეა „საქმიანი გულმოდგინებით“. ილია არტამონოვი შეკრული და მთლიანი პიროვნებაა, როგორც კაპიტალისტური სიმდიდრის მომხვეჭელი და დამაგროვებელი. იგი ჯერ კიდევ თავის საქმის ცენტრში დგას, იგი აძლევს მიმართულებას თავის საქმეს. ფაბრიკა იზრდება: კაპიტალი გროვდება, „არტამონოვების საქმე“ საკუთარი ინერციის ძალას იხვეჭს. ადამიანთა ურთიერთობა წარმოებაში უფრო ღრმად ეხვევა ნივთების ურთიერთობის მოჩვენებითს ქურქში, ადამიანის ნებისყოფა ნელ-ნელა ადგილს უთმობს წარმოების განვითარების შინაგან იმპულსებს. „არტამონოვების საქმის“ ახალი პატრონი — პეტრე არტამონოვი უკვე ის აღარ არის, რაც მამამისი იყო. მისი შრომა, მისი ხელმძღვანელობა „საქმისადმი“ თითქმის ზედმეტი ხდება. რადგან „საქმე, როგორც ობი სარდაფში, — თავისი ძალით იზრდება“ შრომა, რომელიც როგორც საქმის პატრონს, ჯერ კიდევ თითქოს კისრად აწევს პეტრე არტამონოვს, მისთვის მძიმე მთვალეობად იქცევა: მისი ნებისყოფა

დუნდება. ილია არტამონოვს შრომა ახარებდა; მისი ნაშეიერისათვის კი უცხო-
ნობია შემოქმედებითი შრომით დაბადებული სიხარული. პეტრეს სულში
იქცისა და ბუნდოვანი შიშის ჭია ძვრება. დროდადრო იგი ვრძნობს ნიადა-
ვის საშინელ რყევას, კატასტროფის მოახლოებას. ძლიერდება კვებულის-
ტური სიმდიდრის დაგროვება, მცირდება ადამიანის შეგნებულობა. მუშაობის
ფის როლი კაპიტალისტურ წარმოებაში, მეპატრონის შრომა თანდათან
ზედმეტი ხდება და ირღვევა, იშლება ბურჟუაზიული ფორმაციის ადამიანი,
ქვეითდება ბურჟუაზიული კულტურა.

თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე კაპიტალისტური წარმოება
უკვე ის ცეცხლისთვალეზიანი ურჩხულია, რომელიც საცხებით ნთქავს ერ-
თეული ადამიანების ნებისყოფას, ნთქავს ადამიანების აქტიურ როლს, იგი
ყლაპავს თვით ადამიანს. და აი სწორედ „არტამონოვების საქმის“ მწვერ-
ვალზე იბადება არტამონოვების მოდგმის ყველაზე გამოფიტული და უმაქ-
ნისი ადამიანი. იაკობ არტამონოვი უკვე აშკარა პარაზიტია. იგი არ შრო-
მობს. მასში შემოქმედებითი ძალების ყოველივე ნასახი წაშლილია. იგი სო-
ციალური ორგანიზმის ხორცმეტა, მაგრამ ამავე დროს მთელი დაგროვი-
ლი სიმდიდრის პატრონი. მისი ცხოვრების შინაარსია ფუფუნება, ავხორ-
ცობით ტკობა და „ყელთამდე მიძრობა, რაც ყოველივე სურვილს გამო-
ქვითავს“: ბურჟუაზიული ტიპის დაქვეითების, ადამიანის რღვევის ამავე
პროცესის თავისებურ გზებს გვიჩვენებს გორკი არტამონოვების გვარის
სხვა შტოების ხაზითაც. არტამონოვების გვარიდან ამ რღვევას გადარჩა
მხოლოდ უმცროსი ილია არტამონოვი იმიტომ, რომ, როგორც ვხედავთ,
იგი განუდგა თავის კლასს და რევოლუციურ პროლეტარიატს მიეკედლა.

პროლეტარიატი მთელი საზოგადოების სიმდიდრის შემქნელი შრომის ძი-
რითადი წარმომადგენელია. შრომა კი ადამიანის ტიპის ამაღლების ნიადა-
გია. ამიტომაც იყო, რომ მაქსიმ გორკიმ ადამიანის ტიპის ამაღლების ყვე-
ლაზე დიდი და ძლიერი პოტენცია მუშათა კლასში დაინახა. მუშათა კლა-
სის ცხოვრებისა და მსოფლშეგრძნების ნიადაგზე იბადებოდა ადამიანის მა-
ღალი ტიპი. ეს იყო მშრომელი, მებრძოლი, შეგნებული კოლექტივისტი
ადამიანი.

გორკიმ დახატა ადამიანის ტიპის აღდგენის, ახალი ადამიანის ფორმირე-
ბის პროცესი მთელ რიგ თავის თხზულებებში და კერძოდ კი „დედაში“.
კრონოლოგიურად ღედა „არტამონოვების საქმეზე“ ადრე დაიწერა. მაგრამ
იგი სწორედ ახალი ფორმაციის ადამიანის ტიპის ამაღლებას გვიხატავს
წინააღმდეგ ბურჟუაზიული ფორმაციის ადამიანის ტიპის რღვევისა, რაც
მან „არტამონოვების საქმეში“ გვიჩვენა. თუ არტამონოვების სოციალური
პრაქტიკა იწვევს ადამიანის ტიპის ვარღვევად დაქვეითებას, მუშათა კლასის
სოციალური პრაქტიკა, სწორედ იმიტომ რომ ეს შრომითი პრაქტიკაა, წარ-
მოდგენს ადამიანის წელში გამართვის, ადამიანის ტიპის ამაღლების ნია-
დაგს. ისე, როგორც „არტამონოვების საქმეში“, „დედაშიაც“ მოცემულია
თაობათა ცვლა. მაგრამ აქ უკვე თაობათა ცვლა აღმავლობითი ხაზით მი-
დის. „დედა“ იწყება არსებითად კაპიტალის ტყვეობაში მყოფი შრომის ვი-
თარების ჩვენებით. შრომა — ადამიანობისა და ადამიანის ეს დიადი საწყი-
სი — ამ ტყვეობაში დამაზინჯებელი, გათხვრილი და გამურულია. იგი ადა-
მიანის შემოქმედებითი ძალების აყვავების ფაქტორიდან ქცეულია ამ ძა-
ლების დაჩლუნგებისა და დაღუნების ფაქტორად. და აი მოქანცული, დუხ-
ქირი ცხოვრებით გამწარებული და გაბოროტებული ადამიანების სულს

ვანგვიით ეკიდება სხვადასხვა მანკიერებანი: ლოთობა, გაუტანლობა, ერთ-
მანეთის ლანძღვა და ჩხუბი არაადამიანური სიმკაცრე, შეიღუბისა და ცო-
ლების ცემა-ტყუება და სხვ. ამ საშინელი სინამდვილის მასალით არის აგე-
ბული მუშა-ზენკალის მიხეილ ვლასოვის ხასიათი. იგი დუხჭყრი ცხოვრების
სიძიმით გაქყლებული ხასიათია. პირქუში, მიუკარებელი, უღმრთო, უგულუ.
იგი არავის არ უყვარს, მასაც დიდად არ აწუხებს სხვების სიყვარული. მიხეი-
ლი არაადამიანურად ეპყრობა თავის ცოლს პელაგია ნილოვნას. პელაგია
ნილოვნა ამ დროს კი ნაღვლიანი მორჩილი, მძიმე შრომით და არაადამიან-
ური მოპყრობით წელში გაწყვეტილი უღონო არსებობდა. ეს არის მუშათა
ცხოვრების სტიქიის სურათი. შრომას ამ საშინელ პირობებში მანაც შერ-
ჩენია ძალა სოციალური უმპყნისობიდან იხსნას ადამიანები. და ამიტომ ეს
არ არის „ფსკერი“. მაგრამ არის აქ ორი შესაძლებელი გზა: გზა „ფსკერი-
საკენ“ და გზა ადამიანის ტიპის ამალღებისაკენ. „ფსკერისაკენ“ დაქანები-
სათვის საკმაოა თვით ამ არყის სუნით გაელენთილი დუხჭყრი ცხოვრების
სტიქიის ბიძგი, ხოლო ადამიანის ამალღების გზა უნდა გაიკვალოს. ამისა-
თვის საჭიროა გარედან მოსული ძალის დახმარება. ეს ძალა კი არის ის
მაღალი იდეალები, რაც კაცობრიობის მოწინავე ადამიანებს გამოუმუშავე-
ბიათ, ეს არის მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება. ეს მოძღვრება უკა-
ფავს გზას ადამიანის ტიპის ამალღებას.

მიხეილ ვლასოვის ვაჟი პავლე ვლასოვი — შთამომავლობითი მუშა — თავის
ცხოვრებას იწყებს ისე, როგორც ყოველი ახალგაზრდა მუშა. იგი მიყ-
ვება მუშათა ცხოვრების სტიქიას. შრომობს, გრძნობს კაპიტალისტური
წარმოების სულისშემხეთავე ატმოსფეროს, გრძნობს მუშათა ტანჯვას, ერ-
თობა სხვა ახალგაზრდა მუშებთან ერთად, ხშირად ითვრება და ყოველთვის
ძალიან იტანჯება არყისაგან. იგი ეძებს გამოსავალს ცხოვრების აუტანე-
ლი პირობებიდან. პავლე ვლასოვი უკავშირდება რევოლუციური ინტელი-
გენციის არალეგალურ წრეებს. რევოლუციური მოძღვრების თესლი ეცემა
შესაფერ ნიადაგზე. იწყება ადამიანის ტიპის ამალღება — რევოლუციური
ეკორმაციის ადამიანის ფორმირება. პავლეში იღვიძებს მაღალი ინტერესები,
რაც მასში თანდათან აქრობს ცხოვრების სტიქიით აღძრულ ინსტინქტებს. იგი
სწავლობს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონებს. პავლე
მტკიცე რევოლუციონერი ხდება. იგი მამასავით მარტო აღარ არის, მის
იზრდელ თავეს იყრიან რევოლუციური მუშები და ინტელიგენტები. თითო-
ეულ მათგანს აქვს თავისი ინდივიდუალური თვისებები, ხასიათის თავისებუ-
რებანი. მაგრამ მათი მსოფლმეგრძნება საერთოა, ახალია. თვითეული თავი-
სებურად წარმოგვიდგენს ევოლუციურ-ინდივიდუალისტური შეზღუდულობი-
სა და ცრურწმენებისაგან თავისუფალი ნათელი გონებისა და გვირგვინი
ადამიანის სახეს. პავლე აღარ არის მამასავით უგულო, პირქუში, მიუკარე-
ბული და ლოთი. მაღალი ადამიანური შინაარსით ივსება მეგობრობა, სიყ-
ვარული, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა. იბადება ახალი
შეხედულებანი, ახალი ყოფა-ცხოვრება.

ახალი ადამიანის ფორმირების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს პავ-
ლეს დედა — პელაგია ნილოვნა. იგი ყოველთვის გვერდგვერდად დაიბოდა,
ეშინოდა ვინმეს ან რამეს არ გაჰყვროდა, მისი სული ყრუდ იყო დახშული,
მისი ცხოვრება ცარიელი და უმზერო იყო. მის ლოკოკინას ნაჭუჭივით პა-
ტარა სამყაროში ერთად-ერთი შუქი შვილის სიყვარულია და ერთად-ერთი
ყალბი ნუგეში — დეთის რწმენა. მაგრამ იგი ნელ-ნელა, თითქმის მისდა შე-

უმჩვენვლად ებმება შვილის რევოლუციური საქმიანობის ფერხულში, იგი თითქოს წელში იმართება. მაგრამ აპატიმრებენ პავლეს და დედის ცხოვრება ისევ ცარიელი და უღიმღამო ხდება. ჯერ კიდევ ძალიან ვიწრო და პირადულია მის ინტერესთა სამყარო: „არ არის იგი და ადრეადაც არ არის“. დედა განაგრძობს რევოლუციურ საქმიანობას, ავრცელებს რადიკალურ ფურცლებს, ეცნობა ხალხს, ფართოვდება მისი თვალსაწიერი და მისი სული კარებს უღებს ახალ მაღალ ინტერესებს. ჩვენ ვხედავთ, როგორ იწმინდება რევოლუციური საქმიანობით ადამიანი ძველი საზოგადოების ქუქკისაგან. ადამიანში წარიხოცა მონური სული. ამადღდა ადამიანის ტიპი. ნილოვნას ინტერესები სცილდება პირადულის საზღვრებს. იგი მრავალთა ტანჯვის მოზიარე ხდება, მის სულში იზრდება ადამიანის სიყვარული, ახლა შვილი მისთვის საერთო-სახალხო ინტერესის ერთი რგოლია. დედა უსმენს თავის შვილის — პავლე ვლასოვის მგზნებარე სიტყვებს სასამართლოში და იგი ნათლად გრძნობს, რომ ნამდვილად დამნაშავეის სკამზე სხედან არა პავლე და მისი თანამებრძოლები, არამედ თვით ბურჟუაზიულ-თვითმპყრობე-ლური სახელმწიფო მთელი თავისი სასამართლოებითა და ჟანდარმერით. დედას ესმის მთელი სიმაართლე პავლეს სიტყვებისა, რომლებიც მიმართუ-ლია ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ: „... თქვენ ცხოვრებას მოს-წვეტეთ ადამიანი და დაშაღეთ იგი; სოციალიზმი ერთ დიდ მთლიანობაში აერთებს თქვენს მიერ დანგრეულ სამყაროს და ეს იქნება“.

დედა — ნილოვნა, პავლე ვლასოვი, ნახოდკა, მაზინი და სხვები, — რა-ნაირი რომანტიკული საღებავებითაც არ არიან ისინი დახატული მაინც რე-ალური ტიპებია, ადამიანის ამადღებული ტიპები. მაგრამ ამ გმირებით მხოლოდ დაიწყო სოციალისტური ადამიანის ფორმირების რთული და ხან-გრძლივი პროცესი. ამ პროცესს მტკიცე სოციალური და მატერიალური ბაზა ჩაეყარა მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვებით ჩვენს ქვეყანაში. და აქ არის შესანიშნავი, დიდაზროვანი შებრუნება მომწიფებისა და ზრდის კა-ნონის. იქ, იმდენად, რამდენადაც მწიფდება კაპიტალიზმი, იმდენად იფი-ტება მისი ადამიანური შინაარსი; კაპიტალისტური წარმოების ზრდასთან ერთად მცირდება ადამიანის აქტიური როლი წარმოებაში; იმდენად, რამ-დენადაც იზრდება კაპიტალისტური მოგება და ზემოგება, იმდენად პარაზი-ტი ხდება კაპიტალისტი, იმდენად ქვეითდება ადამიანის ტიპი, ირღვევა, იშ-ლება პიროვნება. აქ კი, პირიქით: იმდენად, რამდენადაც იზრდება სოცია-ლიზმი, იმდენად იზრდება და მაღლდება ადამიანთა მატერიალური და სუ-ლიერი დონე; რამდენადაც იზრდება სოციალისტური წარმოება, იმდენად იზრდება ადამიანის აქტიური როლი, ადამიანის შეგნებული ჩარევა წარმო-ების პროცესში; რამდენადაც იზრდება სოციალისტური საზოგადოების სიმ-დიდრე და საერთო-სახალხო კეთილდღეობა, იმდენად მაღლდება ადამიანის ტიპი: მაღლდება ადამიანის აზრი, ინტერესი, გემოვნება; იმდენად იყურ-ნება ადამიანი სიზარბისა, მსუნჯაობისა, შურიანობისა და ეგოიზმის სხვა წვრილმანი ინსტინქტებისაგან. მაგრამ, ცხადია, მას, რაც საუკუნეებმა ჩაჰყე-რეს ადამიანში, თვეები და წლები ვერ აღმოუხვრის. ეს ყველაზე უკეთ ესმოდა გორკის — ადამიანის სულის გენიალურ მცოდნეს — და თავისი სი-ცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შეუწყვეტნია ბრძოლა ძველი საზოგა-დოების სულიერ სიბინძურეთა წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული ფორმაციის ადამიანის — ბურჟუაზიული ინტელიგენტის სულის წყობის სიღამპლის გენიალური მხილება და კრიტიკა მოგვცა ჩვენ

გორკიმ ყოყორა ინდივიდუალისტის, არსებითად სულიერი იმპერატენტის, წერილმანი ეგოისტის, მხდალი და უფერული კლიმ სამგინის ნახიად.

ამვე დროს, ადამიანის ასეთ დაცემულ და დაქვეითებულ ტიპებს გორკი ყოველთვის უპირისპირებს ინტელექტუალურად და მორალურად მდიდრს, პტიცეს და ამაღლებულ ტიპს ადამიანისას. ასეთია ბოლშევიკთა კულტურული „კლიმ სამგინის ცხოვრებაში“, რომლის უკანასკნელი ფურცლები მწერალმა დასწერა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

ახალი ადამიანის თვისებებსა და მათი აღზრდის საშუალებებს გორკი გვიჩვენებდა არა მარტო თავის მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ თავის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებშიც. ახალი ადამიანის აღზრდის მთავარ ნიადაგად გორკი ყოველთვის შრომას თვლიდა. არის ამაში უდიდესი სიბრძნე და სიმართლე. თუ კაცობრიობის გარიყრაჟზე შრომა იყო მამულის გაადამიანების მთავარი ფაქტორი, ახლა — კაცობრიობის ნამდვილი საკუთარი ისტორიის სათავეში — ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალისტური შრომა არის ჰარმონიული სოციალისტური ადამიანის აღზრდის მთავარი ფაქტორი.

ეს სწამდა გორკის, ეს გვითხრა გორკიმ ჩვენ მთელი თავისი შემოქმედებით.

1932 წელს გორკი სწერდა:

„არიან ადამიანები რომელთაც არ სწამთ, რომ შეიძლება ადამიანის ახლად აღზრდა, მისი განთავისუფლება საუკუნებრივი ძალადობის მტერიითა და ტალახით დანაგვიანებისაგან. მათ არ სწამთ, რადგან არ იციან, რომ თვით არიან დანაგვიანებულნი, მაგრამ უკვე იმდენად, რომ არ შესწევთ უნარი იცოდნენ, არ შესწევთ უნარი შეისწავლონ ცხოვრება; დანახონ მისი ჭეჭყიანი სამარცხვინო საშინელება და შემოქმედებითი მრისხანეობით შეიარაღდნენ საშინელებათა ორგანიზატორების წინააღმდეგ საბრძოლველად. ესენი ზარმაცი და გულგრილი ჭკუის ადამიანებია, მათ სურთ იცხოვრონ მშვიდად, და მხოლოდ, ზოგიერთი მათგანი ემალება ცხოვრებას — ეფარება პრიმიტიულ პატარა აზრებს სიკვდილის შესახებ, ამტკიცებს რა მაგალითად, რომ „სიკვდილი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ცხოვრების“ და რომ „ადამიანის ცხოვრების მეორე ნახევარის ნორმალური ფსიქოლოგია არის სიკვდილისათვის შემზადების ფსიქოლოგია“. აი ეს, ალბათ, სიმართლეა, რადგან ლაპარაკია მეშჩანური, მიხრწნილი, მომაცვდავი საზოგადოების ფსიქოლოგიაზე. ჩვენ სიკვდილზე ფიქრის დრო არა გვაქვს, ჩვენ ხელთ ავიღეთ ცხოვრება და ვახდენთ მის გარდაქმნას. — ეს უკიდურესად ძნელი სამუშაოა, რაც მოითხოვს ნებისყოფისა და გონების ყველა ძალის შეუწყვეტელ, გამირულ დაძაბულობას.

სოციალისტური საბჭოების კავშირში იბადება ახალი კაცობრიობა“.

ჩვენ დავინახეთ ამ ახალი კაცობრიობის მრავალი ათასი ადამიანი თავისი სრულიად ახალი გამირული თვისებებით დიდი სამამულო ომის ფრონტზე, ჩვენ ვხედავთ მათ სოციალისტური მშენებლობის ვეებერთელა ფრონტზე. მოდის, მოდის ახალი ადამიანი და მხოლოდ მას მოაყვება მხატვრული ლიტერატურის ნამდვილი შედეგებიც.

მ. ი. ბაძრაძე

ლიბერალურათმცოდნეობა და კავსოსპექციური ბიბლიოგრაფია

(კვლევითი მუშაობის პერსპექტივებისათვის)

ცნობილია, რომ ნამდვილი მეცნიერული კვლევა-ძიების დროს უნდა შევიწავლოთ საკითხი არა მარტო მის აწინდელ ვითარებაში, არამედ მთელი მისი არსებობისა და განვითარების პროცესში, შევიწავლოთ მისი წარმოშობაც და ისტორიაც. აქედან გამომდინარეობს ბიბლიოგრაფიის უდიდესი მნიშვნელობა ყოველი მეცნიერებისათვის და კერძოდ ისეთი დარგისათვის, როგორც ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა. ბიბლიოგრაფიამ რომ ჩვენშიც მოიპოვა ცნობა, ამას სრულიად საქართველოს I ბიბლიოგრაფიული კონფერენციაც (1940 წ.) ამოწმებს¹; ქართული ბეჭდვითი პროდუქციის სრულად ცნობაში მოყვანის შესახებ ამ კონფერენციაზე ნათქვამი იყო, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიების ინტერესები, სოციალისტური მშენებლობისა და კულტურის საჭიროებანი, შემოქმედებითი ძიება ხელოვნებასა და აზროვნების ყველა დარგში დაეინებით მოითხოვენ, რომ მთელი ბეჭდვითი პროდუქცია, როგორც აწინდელი ისე მახლობელი და შორეული წარსულისა, ამომწურავი სისრულით იქნეს აწერილი და სისტემატიზირებული, დეშიფრირებული და ანოტირებული და ასე მთლიანად გადაშლილი თანამედროვე მკვლევარის თვალწინ, რომ შეიძლებოდეს შეტყობა და გამოყენება წარსულში უკვე გაშუქებულისა, გარკვეულისა, ამოხსნილისა და, მასასადამე, მიღწეულისა და მოპოებულისა და, ამ მოპოებულზე დაყრდნობით ან მისი გამოყენებით, შემოქმედებითი აზრის სწორად წარმართვა, ახალი გზების ძიება, შემდგომ საფეხურზე ასვლა.

ამასთანავე ერთად ჩვენში ბევრს საეჭვოდ მიაჩნია ის, რომ ქართული ლიტერატურათმცოდნეობაც მრავალ ათას სტატიასა და გამოკვლევას ითვლის. მხოლოდ მკვლევართა წრეში გაიგონებთ ჩივილს იმაზე, რომ ქართული ბიბლიოგრაფიის მოუგვარებლობა ძალზე აფერხებს საკვლევო მუშაობას, რომ შრომისათვის საჭირო მასალების მოძებნა-თავმოყრას ათჯერ და ასჯერ მეტი დრო და ჯაფა სჭირდება, ვიდრე თვითონ შრომის დაწერასო.

მაგრამ, ჯერ ერთი, რა გამოსავალია აქედან და, შემდეგ, რაგვარია ბიბლიოგრაფიის პრობლემები თუნდაც მარტო ლიტერატურათმცოდნეობის მიმართ? კონკრეტული პასუხი არავის არ მოუცია. ზოგიერთი ოცნებობს ერთს ვრცელ ცნობარზე, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა ყველა ოდეს-

¹ იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941 წ., ტ. II—III, გვ. 31.

მე გამოსული ქართული ბექდური წიგნი (1629 წლიდან 1945 წლამდე) და ყველა დაბეჭდილი ჟურნალის და გაზეთის სტატია და მასალა (1619 — 1945 წ. წ.) ყველა საჭირო საძიებლებით: ჩიხედავლით შიგ და ეროვნულად ამოიკითხავდით ყოველ საჭირო ცნობას... მაგრამ სრულყოფილად ბიბლიოგრაფია არც ერთს ხალხს არ გააჩნია. ყველა მწერლობისმქონე მწიგნობართის ნაცვლად მრავალი სხვადასხვა დროისა და მოცულობის, გვარისა და სახის ბიბლიოგრაფიული წყაროები არსებობს, ზოგი ხარვეზიანი და ზოგი უხარვეზო. ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებში და დასავლეთის ზოგიერთ ქვეყნებში აქვეყნებენ ყველა ასეთი წყაროების სისტემატიზირებულ და ანოტირებულ სიებს „ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიის“ სახელით. მრავალი მაგალითებიდან დავასახელებ ერთს „Библиография советской библиографии за 1939 год“ (Москва, 1941 г. Изд. Всес. Кн. Палаты, 272 стр.). თუ რა სამსახურს უწევს ასეთი სამუშაო აპარატი მკვლევარს, ეს უფრო გასაგები იქნება მაშინ, თუ გაეცხენებთ რომ მხატვრული ნაწარმოებნი, სალიტერატურო სტატიები და წიგნები ჩვენს კავშირში და კავშირის გარეთ ბიბლიოგრაფიული სტატისტიკის თანახმად ყოველწლიურად ასეული ათასობით იბეჭდება და რომ ამას არავითარი შესიერება არ გასწვდება.

მაგრამ ჩვენ ხომ იმდენი მასალა „ქართული ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“ არ მოგვებოვება!

ქართული ლიტერატურული პროდუქცია უდიდესი რაოდენობით უმთავრესად ამ 25—30 წლის განმავლობაში გაიზარდა. საკვლევო დაწესებულებების, სამეცნიერო ბიბლიოთეკებისა და სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ორგანოს — საქართველოს წიგნის პალატის დაარსების შემდეგ ჩვენშიაც გაჩნდა სპეციალური ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა. და ახლა ამოცანა იმაშია, რომ ჯერ ცნობაში მაინც მოვიყვანოთ ლიტერატურის დარგის ყველა ბიბლიოგრაფიული წყაროები და გავარკვიოთ, თუ რა გავაჩნია დღესდღეობით და სად და რაშია ხარვეზები და შემდეგ ისიც, თუ რა კეთდება ამ დარგში დღეს და რა პერსპექტივები გვაქვს მახლობელ მომავალში.

რასაკვირველია, ბიბლიოგრაფიული წყაროები ისტორიული თანმიმდევრობით უნდა განვიხილოთ; ამასთან ჯერ შევეხოთ ქართული მწერლობისა და ლიტერატურათმცოდნეობის წყაროებსა და შემდეგ ნათარგმნი ლიტერატურის წყაროებს.

ძველი ქართული მწერლობა (V — XVIII ს. ს.). ამ დარგში მოგვებოვება ცნობილი მონუმენტალური შრომა, რომელიც მართო მასალების სიმდიდრით თითქმის ზედმეტად ხდის ბიბლიოგრაფიას: კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“. ძველი მწერლობა. მეორე შევსებ. და შესწორებ. გამოცემა. თბილისი. 1941 წ. ტ. I, 725 გვ.; ტ. II, 671 გვ.

დამატებით უნდა დავასახელოთ მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის განთქმული შრომა: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“. წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V — XVIII). თბ. მეორე — მესამე გამოცემა. 1945 წ. სტალინის სახელ. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 448 გვ. და აგრეთვე ს. გორგაძის ვრცელი მიმოხილვა — „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, XI — XIX ს. ს.“ (იხ. ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“, 1923 წ. № 2—3 და № 4—5), რომელშიც ავტორს შეტანილი აქვს „ყველა მნიშვნელოვანი ფილოსოფიუ-

რი ნაწარმოები, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი, როგორც ნაბეჭდი ისე ხელნაწერად არსებული“ (იხ. წინასიტყვაობა).

ძველ ქართულ თხზულებებიდან ბევრი ჩვენს დროში გამოიკა სტამბური წესით. ყველა ეს ბეჭდური გამოცემა, რომელიც კი 1921 წლამდე დაიბეჭდა, აღნიშნულია საქართველოს წიგნის პალატის ბიბლიოგრაფიულ ცნობარში „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია“. ტ. I (1829—1920). ამ ბეჭდურ გამოცემებს კ. კეკელიძე თავის ორტომიან შრომაში ჩვეულებრივად მოკლედ აღნიშნავს ხოლმე. „ქართულ წიგნში“ კი, როგორც ბიბლიოგრაფიულ შრომაში, ისინი უფრო დაწვრილებით, ბიბლიოგრაფიული წესით, არის აწერილი: აღნიშნულია ქვესათაურიც, ვისი რედაქციითაა, ვისი გამოცემაა, გვერდები, ფორმატი და სხვა დეტალები, ამიტომ მკითხველს ხშირად „ქართულ წიგნშიც“ უხდება ხოლმე ჩახედვა. იქვე აღნიშნულია ლიტერატურა ძველ მწერლობაზე.

ძველი მწერლობის შესახებ, ლიტერატურა რომელიც კ. კეკელიძის შრომის შემდეგ (1941) გამოვიდა, მოცემულია წიგნის პალატის „მატიანეებში“ და ზოგიერთს სხვა წყაროში.

მკითხველმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ძველ ქართველ მწერალთა თხზულებანი დღეს ხელნაწერების სახით საქართველოს, რუსეთისა და საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებშია შენახული, ხოლო მათი აღწერილობა ამ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების კატალოგებში და აღწერილობებშია მოცემული. ცნობილია, მაგალითად, ექვთ. თაყაიშვილის რუსულად გამოცემული ორტომიანი აღწერილობა «Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения» Том. I, Вып. 1—4, стр. 726—Тифлис 1902—1904 гг.; Том II, Вып. 1—4, стр. 820, II. Тифлис 1906—1912 гг. Изд. Кавказск. Учебного Округа; ა. ხახანაშვილის „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“ (ეურნ. „მოამბე“ 1898 წ. № 1), აკ. შანიძის: „ქართული ხელნაწერები გრაეში“ („ტფ. უნივერსიტეტის მოამბე“, 1929, ტ. IX) და სხვანი. სულ 40-მდე ასეთი აღწერილობა და კატალოგი არსებობს. ყველა ისინი აწერილი აქვს პროფ. ლ. მელიქიძეთან ერთად. მასალები ქართულ ხელნაწერთა ბიბლიოგრაფიისათვის“, რომელიც მოთავსებულია მისივე რედაქციით გამოცემულ სერიაში „მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“, ნაკვ. II — III. თბ. 1938 წ. საქ. საჯარო ბიბლ. გამოც.¹

გარდა ამისა, ექვთ. თაყაიშვილის „Описание“-თი სარგებლობის გისაადვილებლად აკად. აკ. შანიძეს და პროფ. ალ. ბარამიძეს შედგენილი აქვთ ძველ თხზულებათა, ავტორთა, მთარგმნელთა და გამოჩენილ ისტორიულ პირთა საძიებელი, რომელიც Описание-ს საჭირო დამატებას წარმოადგენს. იგი დასათავსებულია ასე: „საქართველოს მუზეუმის S ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი“ და მოთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთერთ სერიაში — „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“ 1939 წ. ნაკვ. II, 59 გვ.

¹ მელიქიძეთან ერთად „მასალებს“ გამოსვლის შემდეგ კიდევ ერთი აღწერილობა გამოვიდა: Марр, Н. Описание грузинских рукописей синайского монастыря, Л. 1939; „მასალებში“ არ შევიდა აგრეთვე Н. Schuchardt — Georgische Handschriften in Torre de Greco (Beilage z. „Allgem. Zeitung“, 1896, № 101).

ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფო მეზეუმი, სადაც კონცენ-ტრირებულია თბილისის ყველა ძველი მეზეუმის ხელნაწერთა ფონდები (მათ შორის ქ. შ. წ.-კ. გამაყრც. საზოგადოების ფონდიც, რომელსაც აქ S ფონდი ეწოდება), ადგენს ახალს სრულს კატალოგს ყველა ფონდებისას. ამ კატალოგის ბეჭდვა ნაწილობრივად უკვე დაწყებულია და ახლო მომავალში უნდა გამოვიდეს.

XIX და XX ს.ს. ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა ასახულია სამ სხვადასხვაგვარის ბიბლიოგრაფიულ წყაროში: A) წიგნების ბიბლიოგრაფიაში, B) პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში და C) პერიოდიკაში მოთავსებული სტატიების (ე. ი. ანალიტიკურ) ბიბლიოგრაფიაში. ჩვენც ამავე რიგით აეწერთ ყველა არსებულ წყაროებს.

A. წიგნების ბიბლიოგრაფია

1. „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია“. ტ. I (1629—1920). თბ. 1941. საქართველოს სახ. წიგნის პალატის გამოცემა. XL, 559 გვ.

ამ წიგნში ყოველი ქართველი (და აგრეთვე უცხო) ავტორის თხზულება, რომელიც 1629—1920 წლების ფარგლებში დაიბეჭდა, ავტორთა საძიებლით უნდა მოინახოს; ლიტერატურა მწერალთა შესახებ — Personalia საძიებლით; ხალხური სიტყვიერების ნაწარმოები — სათაურთა (ანონიმთა) საძიებლით; გარდა ამისა საგნობრივი საძიებელი (რუბრიკები — ქართული პროზა, ქართული პოეზია, დრამა და სხვ.), რედაქტორთა, მთარგმნელთა, გეოგრაფიული და სხვა საძიებლები ეხმარებიან მკითხველს შესატყვისი წიგნის მოძებნაში.

ცნობილია, რომ „ქართულ წიგნში“ ამომწურავი სისრულით არ არის აღნიშნული 1629—1920 წლებში დაბეჭდილი ყველა ქართული წიგნი. თუ რატომ არ არის, ამის გასაგებად უნდა გვახსოვდეს, რომ „ქართული წიგნი“ I ტ. არსებითად ბიბლიოგრაფია კი არა, შეერთებული კატალოგია (сводный каталог) იმ 18 ბიბლიოთეკისა,¹ სადაც აიწერა წიგნები „ქართული წიგნის“ შესადგენად და გამოსაცემად. „ქართულ წიგნში“ შესულია ყველა ის წიგნები, რაც აღწერის დროს (1938-39 წ.წ.) ამ 18 ბიბლიოთეკას გააჩნდა და არა ის წიგნები, რაც 1629—1920 წლებში საზოგადოდ არის დაბეჭდილი. ზოგიერთი ხარვეზის გამოვლინება თვითონ „ქართული წიგნის“ გულდასმითი გადასინჯვითაც შეიძლება. მაგალითად, იქსულ ვერ იპოვნე იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“, ვ. გუნიას „საქართველოს კალენდრისა“ და რამდენიმე სხვა წიგნის განმეორებითს (შორიგს) გამოცემას. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს განმეორებითი გამოცემანი არც ერთს 18 ბიბლიოთეკას არ გააჩნდა. „ქართულ წიგნის“ გამოსვლის უმაღლეს წიგნის პალატა შეუდგა ხარვეზების შევსებას. კერძო პირებისაგან შესყიდვის გზით და ბიბლიოგრაფიული ძიების მეშვეობით მან დაადგინა 300-ზე მეტი „ახალი“ წიგნი, რომლიც აღწერილობა „ქართულ წიგნს“ აკლია. აი, რამდენიმე მაგალითი პალატის მიერ დადგენილი გამოცემებისა: ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს „შური“, დრამა სამ მოქმედებად. თბ. 1863 წ.; მ ი ხ ე ი ლ ა ს ა თ ი ა ნ ი ს „მტკვრის ბაასი რიონთან“ პოემა. თბ. 1881 წ. „გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი“ ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმ. ესტატი-სა. კონსტანტინეპოლი, ანტუან გვზალიანის სტამბა. 1879 წ.; დ. ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი ს „ქართული გრამატიკა“, СПб. 1855 წ.; „მ ე ფ ე რ ე ე კ ლ ე ს ს ა ხ ს ო-

¹ ამ ბიბლიოთეკების საა „ქართული წიგნის“ შესავალშია მოტანილი (იხ. XXXV გვ.).

ვარი 1798¹. თბ. 1898 წ.; „სასწავლებელი კეთილმსახურებისა“. ნაწ. I, მე-7 გამოცემა (I) პეტერბურდი. 1856 წ.; „ქუთაისის დრამატული საზოგადოების წესდება“, 1917 წ. და მრავალი სხვა.²

მაქსიმალურად სრული ბიბლიოგრაფიის შედგენის მიზნით წიგნის პალატამ 1942 წლიდან დაიწყო XIX და XX ს.ს. ქართული დარუსული ლიტერატურულ და ბიბლიოგრაფიული წყაროებიდან ცნობების ამოკრეფა ყველა ოდესმე გამოცემული ქართული წიგნების შესახებ და შემდეგ შეუდგა ამ გზით თავმოყრილი მასალის გამოსაცემად მზადებას „ქართული წიგნის“ დამატებითი ტომის სახით. თუ რაოდენი სისრულით არის გამოვლინებული ჯერ თვითონ წყაროები და შემდეგ იქ აღნიშნული ქართული გამოცემები, — ამას განახეთ ამ დამატებით ტომში, რომელიც პრესის ცნობით ახლო მომავალში გამოდის და რომელშიც ლიტერატურაც არის ასახული.

2. „წიგნის მატთანე“ — სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ორგანო“, საქართველოს საბ. წიგნის პალატის ყოველთვიური გამოცემა; თუმცა დაიწყო გამოსვლა 1926 წლიდან, მაგრამ მის პირველ ნომერში აღნუსხულია აგრეთვე საქართველოს წინა წლების, 1917-1925 წლების ბეჭდვითი პროდუქცია. „წიგნის მატთანე“ სულ შემდეგ ნომრებად გამოვიდა: 1926 წ. № 1 (ნაწილი ქართული 1917—1925); 1926 №№ 2—5; 1927 №№ 1—12, 1928 წლის ნაკვეთში Bibliogr. Georgica ლიტერატურა სულ არ არის აღნიშნული; 1929—1931 წ.წ. 12 ნაკვეთი წელიწადში; 1932 წ. — ერთ ტომად; 1933 №№ 1—12 (ხუთ ნაკვეთად); 1934 წ. №№ 1—12 (შვიდი ნაკვ.); 1935 და 1936 წლებში — 24 ნაკვ.; 1937 წელში სულ არ გამოვიდა; 1938—1941 წ.წ. 12 ნაკვეთი წელიწადში; 1942—1945 წ.წ. — კვარტალური გამოცემა.

ამრიგად, თავის არსებობის განმავლობაში „წიგნის მატთანე“ სულ 180 ნაკვეთად გამოვიდა და ამ ნაკვეთებში საქართველოს მთელი ბეჭდვითი პროდუქცია არის ასახული (პერიოდიკის გამოწაკლისით) 1917 წლიდან დღემდე. ყოველ ნაკვეთში წიგნები სისტემატური რიგით არის აღნიშნული და ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა ცალკეა გამოყოფილი.

მაგრამ, სამწუხაროდ, „წიგნის მატთანე“ უმეტეს წლებში მცირე ტირაჟით, 150—500 ცალად იცემოდა. დღეს სრული კომპლექტები თითქმის არც ერთ ბიბლიოთეკას არ გააჩნია და მასობრივი სარგებლობისათვის ის აღარ არსებობს. თვითონ წიგნის პალატას კი აქვს:

ა) „მატიანის“ ყველა ნაკვეთებიდან დუბლირებული პირი კარტოთეკის სახით. ეს კარტოთეკა წლების მიხედვით (ქრონოლოგიურად) არის გაწყობილი, ხოლო თვითველი წლის ფარგლებში ავტორთა და სათაურთა ანბანური რიგით. ეგ ის კარტოთეკაა, რომელსაც ხშირად მიმართავენ ხოლმე უშუალოდ ჩვენი მეცნიერი მუშაეები და რომელიც მალე გაცვეთის პროცესში შევა.

ბ) ამავე „მატიანის“ საფუძველზე შედგენილი და გამოსაცემად მომზადებული „საბჭოთა წიგნის ბიბლიოგრაფია 1921—1938“, რომელიც ზემოთაწერილი „ქართული წიგნის 1629—1920“ ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და რომელიც ორ-სამ ფოლიანტად უნდა გამოვიდეს. ეს იქნება სისტემატი-

¹ ეს ცნობები წიგნის პალატის სწავლ. მდივანმა თ. ნაკაშიძემ მოამწოდა.

² არის მხოლოდ აღნიშნული მოკლედი, თუ რა უურნალ-გაზეთები გამოვიდა 1917—26 წლებში.

ზირებული ფოლიანტები, საიდანაც ცნობების ამოკრეფა საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილი წიგნების შესახებ შეუძარებლად უფრო ადვილი იქნება, ელტრე „მატიანის“ 180 ნაკვეთიდან.

„საბჭოთა წიგნის ბიბლიოგრაფიის“ მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად მკარამ დიდი ხანია ამ უძღვრესად საჭირო გამოცემის დამთავრება ვერ ხერხდება. და ეს არის ქართული ბიბლიოგრაფიის ყველაზე მწვავედ საგრძნობი გარღვევა, რომელსაც დუმილით ვერ აფუცლით.

8. „ქართული მხატვრული მწერლობის ბიბლიოგრაფია 1921 წლიდან 1931 წლამდე“. ქრონოლოგიური და ანბანური სია (იხ. ერთდღიური „სალიტერატურო გაზეთი“ 1931 წლის 25 თებერვლის ნომერი, 12 გვ. in F* (ბიბლიოგრაფიული იშვიათობა)).

ეს ბიბლიოგრაფია შედგენილია „წიგნის მათიანის“ 1921-31 წლების ნომრების მეშვეობით; მოცემულია მხოლოდ ავტორებისა და სათაურების ჩამოთვლა.

B. ქართული სალიტერატურო ჟურნალები და გაზეთები

ს. დოდაშვილის ჟურნალიდან დაწყებული დღემდე და მასთან ერთად ყველა ერთდღიური სალიტერატურო გაზეთებიც დაწერილებით აწერილია ნუმს „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში — 1819 — 1945“, რომელიც აწყობის პროცესშია. მაგრამ მასაც „საბჭოთა წიგნის ბიბლიოგრაფიის“ მსგავსად ვერ ეღირსა გამოსვლა (და ეს არის ქართული ბიბლიოგრაფიის მეორე ასევე მწვავედ საგრძნობი ხარვეზი). ამ შრომის გამოსვლამდე მკითხველი იძულებული იქნება მიმართოს იმ ოთხ წყაროს, რომელიც უკვე დაბეჭდილია. თუმცა პერიოდიკა ამ წყაროებში სულ მოკლედ არის აწერილი. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ დავით კარიჭაშვილის „ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა“ (იხ. ჟურნალები „წიგნის მეგობარი“, 1925 წ. წიგნი I — II და „ქართული მწერლობა“ 1929 № 6-7), რომელშიც მოცემულია 1819 — 1905 წ. წ. პერიოდულ გამოცემათა აღწერილობა. თვითელი პერიოდული გამოცემის შესახებ აქტორი გვაძლევს დაწერილებითს ცნობებს, თუ რა მიმართულებისა იყო და რა შინაარსის მასალებს აქვეყნებდა, ვინ იყვნენ უმთავრესი თანამშრომლები, რედაქტორი, გამომცემელი, რამდენი ნომერი თუ ნაკვეთი გამოვიდა, რა მიზეზით დაიხურა და სხვა. დანარჩენ სამ წყაროში აღნიშნულია მხოლოდ ის, თუ რა ჟურნალი და გაზეთი გამოდიოდა, გარკვეულ წლებში, ვინ იყო რედაქტორი და რამდენი ნომერი გამოვიდა. ეს წყაროებია:

1. „წიგნის მათიანის“ 1926 წლის №№ 1-5 და 1927 № 12. ამ ნომრებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩამოთვლილია 1917 წლიდან 1927 წლამდე საქართველოში გამოსული ჟურნალ-გაზეთები.

2. „საქართველოს სს რესპუბლიკის 1935 წლის პერიოდიკა“. შედგენილი გ. ბაქრაძის მიერ. თბ. 1936 წ. საქ. წიგნის პალატის გამოცემა. 80 გვ.

ამ ბიბლიოგრაფიაში აღნუსხულია 225 პერიოდული გამოცემა; ამათგან 10 ქართული სალიტერატურო ჟურნალი და გაზეთი; მათ შესახებ შემდეგი ცნობები: სახელწოდება, პერიოდულობა, ვისი ორგანოა, რედაქციის შემადგენლობა, გამომცემლობა და გამოსულ ნომრების რაოდენობა (ერთი წლას ფარგლებში).

3. „ქართული გაზეთების ბიბლიოგრაფია. 1819—1921 წლის პირველ მარტამდე“ (იხ. ურნ. „პროლეტარული რევოლუცია“ 1943 წ. № 3 (თბ. 1943 წ.) გვ. 151—171).

ამ ბიბლიოგრაფიაში ქრონოლოგიური რიგით აღწესებულია 246 ქართული გაზეთი, მათ შორის ნახევრად-ლიტერატურული „თემი“ (1911—1915), „შადრევანი“ (1914—1915) და ზოგიერთი სხვა. თვითველი გაზეთის შესახებ შემდეგი ცნობებია: სრული სახელწოდება, პერიოდულობა, რედაქტორი, სად და რამდენხანს გამოდიოდა.

С. სტატიების ბიბლიოგრაფია (1819—1945)

როგორც ზემოთდასახელებულ შრომაში („ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819—1945“) მაქვს გამოკვეთული 1819 წლიდან დღემდე საქართველოში სულ 1217 სახელწოდების პერიოდული გამოცემა და 458 ერთდღიურა გამოვიდა, ამთგან 43 სალიტერატურო ურნალი, 31 გაზეთი და რამდენიმე სალიტერატურო ერთდღიურა. სტატიებისა და სხვა მასალების რაოდენობა ყველა ამ გამოცემაში ერთ მილიონს აღემატება. ამ უზარმაზარი მასალის ბიბლიოგრაფირებას და ცნობარების შედგენას დიდი დრო და შრომა სჭირია. ამიტომ იყო, რომ მთლიანად პერიოდიკის ანალიტიკური აღწერის საქმე ბევრჯერ ჩაიშალა და მხოლოდ სულ უკანასკნელ წლებში რამდენიმედ შვეიდრ ნიდაგზე დადგა.

პირველი სამუშაოები ამ დარგში პეტროგრადის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ ჩაატარა განსვენებული აკადემიკოსის ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით. სათვისტომომ შეადგინა 1852—1910 წლებში გამოსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, მაგრამ მოახერხა მხოლოდ მისი ჰუმანიტარული ნაწილის გამოცემა, ისიც ბელეტრისტიკის (ქართული პროზის, აგრეთვე პოეზიის) გამოკლებით. იგი დაიბეჭდა იოსებ ყიფშიძის რედაქციით 1916 წ. შემდეგი რუსული და ქართული სათაურით: „Грузинская библиография. I Указатель к статьям и материалам в грузинской периодической печати (1852—1910)“. „ქართული ბიბლიოგრაფია. ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852—1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების შიჯენებელი. ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ისტორია, ხალხური სიტყვიერება და ძველი მწერლობა. Петроград. 1916 г. Изд. Акад. наук. VIII, 160 გვ.“

მაგრამ „მაჩვენებელი“ თავისთავად არ არის სრული: იქ შესული პერიოდული გამოცემები არ არის აწერილი მთლიანად, მაგალითად, „მოგზაურის“ 1901—1905 წლების კომპლექტიდან აწერილია მხოლოდ 1901—1903 წლების ნომრები, „მნათობის“ 1869—1872 წლების ნაკვეთებიდან მხოლოდ 1871-72 წლების ნაკვეთები და ასე სხვა. დღეს „მაჩვენებელს“ მხოლოდ იმიტომ მიმართავენ, რომ იგი 1910 წლამდეა მიყვანილი: თუ „მაჩვენებელი“ არა, სხვა ბიბლიოგრაფია 1906—1910 წლების პერიოდიკისა ჯერჯერობით არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში — გამოქვეყნებული სახით. გაცილებით უფრო ვრცელია „ქართული ურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 1852—1905 წწ.“ (ტ. ტ. I-III); „მაჩვენებელში“ 2462 სახელწოდებაა, „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ კი — 21692 სახელ-

წოდება. „მაჩვენებელი“ ზედმეტი იქნებოდა, დღეს რომ „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ 1910 წლამდე ყოფილიყო მიყვანილი.

რომ მკაფიოდ იყოს წარმოსადგენი არსებული ხარვეზები ქართული პერიოდიკის ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში საზოგადოდ, ამისათვის მთლიანად უნდა გადავსინჯოთ ყველა დღემდის გამოსული წყარო ქრონოლოგიურ რიგით (პერიოდიკის ზრდასთან შესაბამისად). ამიტომ ჯერ დავასახელებთ პირველი ქართული გაზეთისა და პირველი ქართული ჟურნალის ბიბლიოგრაფიებს (არც „მაჩვენებელში“ და არც „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ პირველი გაზეთისა და ჟურნალის შინაარსი არ არის შესული), შემდეგ ოთხი ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ (1864), „მეურნის“ (1896), „კვალისა“ (მხოლოდ 1894-96 წ. წ.) და „მოამბის“ (1894—1905) საძიებლებს, რომელნიც დამოუკიდებლად არსებობენ და ბოლოს „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (ტ. ტ. I-III).

1. პირველი ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. „საქართველოს გაზეთი“ 1819 №№ 1-43 და „ქართული გაზეთი“ 1820 № 40 და 46 და 1821 № 12 და 37 შემდგენი ტ. კასრაძე თბ. 1942 წ. კ. მარქსის სახელობ. საქ. საჯარო ბიბლ. გამოცემა 79 გვ.

ამ ბიბლიოგრაფიაში აწერილი და სისტემატიზირებულია გაზეთის ზემოაღნიშნულ ნომრებში მოთავსებული სტატიები, განცხადებები და შენიშვნები (278 სახელწ.).

2. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. 1832. „ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია“, წინასიტყვაობით, საძიებლით და შენიშვნებით ს. ხუციშვილისა და ნ. ტატიშვილისა (იხ. ჟურნ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“ წიგნი I (1940 წ.), გვ. 65—98).

ბიბლიოგრაფიაში მოცემულია ჩვენამდე მოღწეული ხუთი ნომრის შინაარსის აღწერილობა მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნით.

3. „საქართველოს მოამბის“ (1863) თორმეტ წიგნში მოთავსებული სტატიების სარჩევი სრულად გადაბეჭდილია პ. გუგუშვილის წიგნში „ქართული ჟურნალისტიკა“, თბ. 1941 წ. (იხ. გვ. 304-308).

4. „მეურნე“ (1896) ქუთაისი; „მეურნის“ 1896 წლის №№ 1-36 შინაარსი (იხ. „მეურნის“ 1896 წლის დეკემბრის (№ 36) ნომერში).

5. „კვალი“ (მხოლოდ 1894—1896 წლების შინაარსი) მოცემულია ამავე წლების უკანასკნელ (დეკემბრის) ნომრებში.

6. „მოამბე“ 1894—1903. „მოამბის შინაარსი წარსულისათვის წლისა—1894—1903“ (იხ. „მოამბე“ 1904 წ. № 1 (იანვარი), დანართი გვერდები I-X XIV).

7. „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“. თბ. 1940—1944 წ. წ. კ. მარქსის სახელ. საქ. საჯარო ბიბლ. გამოცემა.

ნაკვ. I. 1852—1877 წ. წ. X, 272 გვ.

ნაკვ. II. 1877—1892 წ. წ. VIII, 447 გვ.

ნაკვ. III. 1893—1905 წ. წ. XIV, 857 გვ.

ნაკვ. IV. 1906—1920 წ. წ. — ჯერჯერობით შედგენის პროცესშია. ამიტომ მხოლოდ პირველ სამ ნაკვეთს შევეხებით.

ამ სამ ნაკვეთში ასახულია მთელი ის მასალა, რაც დაბეჭდილია ქართულ ჟურნალებში 1852—1905 წლებში, „ცისკრიდან“ დაწყებული და „მოამბი-

თა" (1893 — 1905) და ივ. როსტომაშვილის „მოგზაურით“ (1901 — 1905) გათავებული. ამ სამი ნაკვეთის შინაარსი სქარბობს პეტროგრადში გამოცემულ „მაჩვენებელს“ არა მარტო იმით, რომ ის მხატვრულ ლიტერატურასაც (პოეზიას, პროზას, საბავშვო ლიტერატურას) მოიცავს, არამედ იმიტომ, რომ „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ ყველა დარგია შესული (და არა მარტო 7 დარგი, როგორც „მაჩვენებელში“). გარდა ამისა „მაჩვენებელში“ სულ არ არის შეტანილი „გუთნის დედის“ 1862 — 1876 წლებისა და „საქართველოს სასულიერო მოამბის“ 1864 — 1866 წლების სტატიები. „მაჩვენებელს“ გამოორჩა აგრეთვე „ივერიის“ 1877 წლის № 9 და 1885 წ. № 5 და „ცისკრის“ 1870 წ. № 9 და 1873 № 2 და № 9.¹ „მაჩვენებელს“, როგორც ზემოთ ითქვა, ჯერჯერობით შერჩენილი აქვს არსებობის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ ის 1910 წლამდეა მიყვანილი. „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ IV ნაკვეთის გამოსვლის შემდეგ „მაჩვენებელი“ აღარ იქნება საჭირო.

სამუშაოდ ამ IV ნაკვეთის გამოცემა, როგორც ჩანს, ძლიერ ბრკოლდება იმის გამო, რომ საჯარო ბიბლიოთეკა შეუდგა აგრეთვე გაზეთებში მოთავსებული სტატიების ბიბლიოგრაფიის შედგენას სამ ქრონოლოგიურად თანმიმდევარ ნაკვეთად (1866 — 1885, 1886 — 1896 და 1897 — 1905 წ. წ.) და ახალი ანალიტიკური სერიის მომზადებას, რასაც, უძველესია, არა ნაკლები დრო დასჭირდება, ვიდრე ჟურნალების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას (1936 — 1944 წ. წ.)

გაზეთების რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფია, როგორც ახალი წამოწყება ჩვენში, რასაკვირველია მისასაღმებელია. მაგრამ საჯარო ბიბლიოთეკა იღებს თავის თავზე მხოლოდ 1866 — 1905 წლების გაზეთების აღწერას. მაშასადამე, ლიად რჩება 1906 — 1920 წ. წ. გაზეთების აღწერის საკითხი, თუმცა ამ წლების ასაწერი მასალა (ათიოდე სახელწოდება, თვითუფილი 7-8 წლის კომპლექტად საშუალოდ) დიდი არ არის. გაცილებით უფრო რთულია საბჭოთა პერიოდის ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური აღწერის საქმე. აქ ჩვენ ძალზე რთულ და დიდ მასალასთან გვაქვს საქმე. როდის იქნება ეს გიგანტური მასალა აწერილი?.. მკითხველის განკარგულებაში დღესდღეობით მხოლოდ სულ უკანასკნელ წლების ჟურნალ-გაზეთების სტატიობრივი აღწერაა, საქართველოს წიგნის პალატის ორი პერიოდული ორგანოს სახით — ეს არის: „ჟურნალის სტატიების მატრიანე“ და „გაზეთის სტატიების მატრიანე“.

„ჟურნალის სტატიების მატრიანე“ — სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ორგანო²; გამოდის 1939 წლიდან ყოველთვიურად. „ჟურნალის სტატიების მატრიანეში“ ინუსხება ყველა სტატია და მასალა, რაც საქართველოში იბეჭდება. ქართულ და სხვა ენაზე გამოსულ ჟურნალებში მატრიანეში აღნუსხული სტატიები სისტემატიზირებულია ენებისა და შემდეგ დარგების მიხედვით. დღემდის სულ შემდეგი ნომრები გამოვიდა: 1939 წ. № № 1-12; 1940 წ. № № 1-12; 1941 წ. № № 1-12; 1942 წლიდან კი 12 ნომერი ოთხ ნაკვეთად იბეჭდება.

„გაზეთის სტატიების მატრიანე“ — ანალოგიური გამოცემაა. მას 1934 წლიდან სცემენ. ამ ორგანოში ინუსხება საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური გაზეთების სტატიები და მასალები; 1940 წლიდან

¹ თუმცა ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთსა და არც მეორეში არ არის აწერილი „ცისკრის“ 1870 წ. № 11 და № 12 და 1873 № № 11 — 12. გარდა ამისა „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიასაც“ სრულებით გამოჩნა „გუთნის დედა“ 1868 № № 1 — 24 და „საქართველოს სასულიერო მოამბე“, 1864 — 1866 წლების ცალკეული ნომრები.

კი აგრეთვე რაიონული გაზეთებში მოთავსებული სტატიებიც (უმთავრესად მხარეთმცოდნეობის შინაარსისა) იმავე საკლასიფიკაციო სქემით, რაც ეურნალის მატრიანეშია. „გაზეთის სტატიების მატრიანე“ სულ გამოიცა: 1934 წ. № 1-24, შემდეგ 1935, 1936 (1937 წელში სულ არ გამოცემულა) და 1938 წლებში ყოველთვიურად; 1939 და 1940 წლებში ნახევრულ თვეში; 1941 წელში № 1-36 (24 ნაკვეთად); 1942 წლიდან კი ის კვარტალური გამოცემაა.

ამ ორი მატრიანის გარდა პალატა ერთხანად აპირებდა აგრეთვე რეცენზიების მატრიანის გამოცემას. მაგრამ 1939 წლიდან ის ნუსხავს რეცენზიებს „წიგნის მატრიანეში“. 1939 წლამდე დაგროვილი რეცენზიების აღწერილობანი პალატას ცალკე წიგნად აქვს გამოცემული:

„რეცენზიების ბიბლიოგრაფია. 1931—1938. ქართულ პერიოდიკაში 1931—1938 წლებში დაბეჭდილი რეცენზიების ბიბლიოგრაფია. თბ. 1941 წ. 58 გვ.“. ეს ბიბლიოგრაფია წარმოადგენს 488 რეცენზირებული წიგნის და პიესის აღწერილობათა ანბანურ სიას; თვითვე წიგნისა და პიესის აღწერილობის შემდეგ აღნიშნულია ის პერიოდული გამოცემა (წელი, ნომერი, თარიღი), რომელშიც რეცენზია დაიბეჭდა.

ყველა ზემოთაწერილი წყაროს მიმოხილვის შემდეგ შეიძლება საბოლოოდ განვსაზღვროთ საბჭოთა პერიოდის ეურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ხარვეზები. ჩვენ, მასასადამე, სულ არ მოგვეპოვება:

ა) 1921 — 1938 წლების ეურნალეებში მოთავსებული სტატიებისა და მასალების ბიბლიოგრაფია (18 წლის);

ბ) 1921 — 1933 წლების გაზეთებში მოთავსებული სტატიებისა და მასალების ბიბლიოგრაფია (13 წლის);

და, აი ეს არის ქართული ბიბლიოგრაფიის მესამე და მეოთხე მწვავედ საგრძნობი ხარვეზები.

D. სპეციალური ბიბლიოგრაფიები ქართულ მწერლებზე

1921 წლამდე გამოსული მონოგრაფიული ლიტერატურა ჩვენი მწერლების შესახებ საზოგადოდ აღნუსხულია იქვე, სადაც აღნუსხულია მათი თხზულებანი, ცალკე წიგნად გამოცემულნი ე. ი. უკვე დასახელებული „ქართულ წიგნის“ 1629 — 1920 I ტომში (იხ. იქ Personalia საძიებელი), ხოლო 1920 წლის შემდეგ გამოსული „წიგნის მატრიანის“ 1926 — 1945 წლების ნაკვეთებში (რომლებშიც, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, საქართველოს ბეჭდვითი პროდუქცია 1917 წლიდანაა აწერილი).

რაც შეეხება ქართულ საეურნალო და აგრეთვე საგაზეთო ლიტერატურას ჩვენს მწერლებზე, იგი უნდა ვეძიოთ ასევე დასახელებულ „ქართული ეურნალეებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიის“ I-III ტომებში, „მაჩვენებელში“, „ეურნალის სტატიების მატრიანეში“ 1939-1945 და „გაზეთის სტატიების მატრიანეში“ 1934 — 1945. „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიის“ I და II ტომში ეს ლიტერატურა მოყვანილია ბ ზ-ში („ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა“), III ტომში კი ცალკე დიდი რუბრიკის ქვეშ „კრიტიკულ-ბიოგრაფიული ცნობები ცალკე მწერლებზე“.

1906 — 1934 — 1938 წლებისათვის (ე. ი. თითქმის 33 წლისათვის) ჩვენ არავითარი ზოგადი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია არ მოგვეპოვება. არსებობს

მხოლოდ ცალკე მწერლებზე შედგენილი ბიბლიოგრაფიები და ბიო-ბიბლიო-გრაფიები—შოთა რუსთაველზე, ნ. ბარათაშვილზე, ილიაზე, აკაკიზე, ეპაზე, გ. წერეთელზე, ე. ნინოშვილზე, დ. კონჭაძეზე. მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანი არ არის სრული და დამაკმაყოფილებლად შედგენილი, ეს უმთავ-რესად იმ დიდი ხარვეზების ბრალია ჩვენ რომ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში გვაქვს (1906—1938 წ. წ. ჟურნალებისა და 1866—1933 წ. წ. ვახე-თებისა).

მოგვყავს აქ ეს ბიბლიოგრაფიები:

შოთა რუსთაველი

1. მაჭავარიანი, თ. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები. ქრონოლოგიური საძიებელი. (იხ. „ქ. მარჭის სახელ. საქ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“. ტ. IV (თბ. 1938), გვ. 113—23).

2. მაჭავარიანი, თ. შოთა რუსთაველი უცხოეთის ლიტერატურაში (1810—1933 წ.წ.), ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა (იქვე, გვ. 124—151).

3. გაწერელია, აკ. [ვეფხისტყაოსნის] ბიბლიოგრაფია (დართული აქვს კ. ტიკინაძის რედაქციით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“, თბ. 1934 წ. „ფედერაციის“ გამოცემა, იხ. გვ. 671—688). ამ ბიბლიოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემების გარდა მოყვანილია ვრცელი ლიტერატურა პოემის შესახებ.

4. ჯოჯუა, ე. შოთა რუსთაველი ქართულ-რუსულ ენებზე. ბიბლიოგრაფიული საძიებელი შ. ასათიანის რედაქციით, თბ. 1937. განსაკუთრებული გამოცემა. 57 გვ. ეს ბიბლიოგრაფია დამყარებულია აკ. გაწერელიას ბიბლიოგრაფიაზე, ოღონდ ერთი ორად მაინც უფრო ვრცელია (700-მდე სახელწ.); (იხ. მის შესახებ სოლ. ხუციშვილის რეცენზია ვახ. „კომუნისტში“ 1938 წ. 15 მარტი, № 60).

5. შილაქაძე, ივ. მსალები რუსთაველოლოგიური ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის. (იხ. პროფ. შელეიქსეთ-ბეგის რედაქციით გამოცემული სერიის „მსა-ლები ამერკავკასიის ბიბლიოგრაფიისათვის“ მე-V ნაკვეთი (თბ. 1940 წ.), გვ. 1—21. თუმცა სახელწოდება („ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია“) არ შესატყვისება შინაარსს, სამეტიეროდ აეტარს მოჰყავს რამდენიმე ისეთი ლიტერატურული წყარო პოემის შესახებ, რომელიც შემოთამათებელი ბიბლიოგრაფიებში არც კი იხსენიება.

6. იმედაშვილი, ვაიოხ. რუსთაველოლოგია. ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა. თბ. 1941 წ. სტალინის სახელ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა. VIII, 259 გვ წიგნს დართული აქვს (გვ. 189—259) მოკლე „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, რომელშიც შეტანილია მხოლოდ „ისეთი გამოკვლევანი, რომელთაც პირდაპირი ჯნიშვნელობა ჰქონდათ რუსთაველოლოგიის განვითარებისათვის...“ (105 სახელწ.).

ნ. ბარათაშვილი

7. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ბეჭდური გამოცემები. [ბიბლიოგრაფია]. (იხ. ვახ. „საბჭოთა მიწაუღებელი“. 1945 წ. 21 ოქტ. № 14). ამ ბიბლიოგრაფიაში მოცემულია 1876 წლიდან 1939 წლამდე გამოსულ 17 სხვადასხვა ბეჭდური გამოცემის სია ქრონოლოგიური რიგით; თვითუღლის შესახებ ცნობა; სად გამოცა, ვისი გამოცემა, გვერ-დები, ტირაჟი.

დ. მონტაძე

8. ბიბლიოგრაფია დანიელ კონჭაძეზე. (იხ. კონჭაძე, დ. „სურამის ციხე“ დ. მახარაძის წერილით: „დანიელ კონჭაძე და მისი დრო“, თბ. 1932 წ. „ფედერაციის“ გამოც. ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია უმთავრესად ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1860—1928 წლებში დაბეჭდილი წერილები დ. კონჭაძის შესახებ (19 სახელწ.).

ილია ჭავჭავაძე

9. ილიას ბიბლიოგრაფია. 1861—1907 წ.წ. [ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შესახებ ქართულ და რუსულ ენაზე]. ქრონოლოგიური საძიებელი შედგენილი თ. ნაკაში.

ძისა დ. ნ. კორძიას მიერ. (იხ. წიგნი: ილია ქავჭავაძე. საიუბილეო კრებული. თბ. 1939 წ. სტალინის სახელ. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, გვ. 409—427). ბიბლიოგრაფიაში მოყვანილია ძველი (1861—1907 წლებში გამოსული) ლიტერატურა ილიას შესახებ (162 სახელწ.).

ბიბლიოგრაფია
ბიბლიოგრაფია

აქაკი წერითელი

10. აქაკი წერეთლის ნაწარმოებთა გამოცემების ქრონოლოგია. 1874—1940. შედგენილი თ. ნაყაშიძისა და პლ. ხუნდაძის მიერ (იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“ წ. I, (თბ. 1940 წ.), გვ. 164—175). ეს ნამდვილი ბიბლიოგრაფია (რომელიც სწორად არ დასათარგმნეს). ამ „ქრონოლოგიაში“ აკაკის ნაწარმოებთა სრული ქრონოლოგიური სის გარდა აღნიშნულია ყველა განმეორებითი გამოცემანი, აკაკის გამოცემლები და აგრეთვე ქართული მონოგრაფიული ლიტერატურა აკაკის შესახებ (25 სახელწ., 1897—1940 წ. წ.).

11. აქაკი წერეთელი. 1840—1940. მოკლე ბიოგრაფია და ლიტერატურის მიხედვითი ქართულ და რუსულ ენაზე, თბ. 1940 წ. ჯაფარიძის სახელობ. საქალაქო ბიბლიოთეკის გამოცემა.

გიორგი წერითელი

12. გიორგი წერეთლის ნაწერების სია (იხ. საიუბილეო კრებული: გიორგი წერეთელი 1842—1900. (ბიოგრაფია, სიტყვები, წერილები გარდაცვალების გამო). თბ. 1900 წ., ვ. გუნიას სტამბა, 184 გვ. „სიაში“, რომელსაც 15 გვერდი უჭირავს ჩამოთვლილია გ. წერეთლის „დროებაში“ (1866—1880), „კრებულში“ (1871—73) და სხვა ეურნალებში დაბეჭდილი სტატიები. სია სრული არ არისო, ნათქვამია შენიშვნაში, აკლია არქეოლოგიური გამოკვლევანი, „სასაფლო ვახუშთი“ მოთავსებული სტატიები და სხვა ნაწერები. ყველა ეს რომ შეგროვდეს, ორი ამოდენა იქნებოდა“ო.

ვაჟა-ფშაველა

13. ვაჟას [ბიო]ბიბლიოგრაფია (იხ. სოლ. ყუბანეიშვილის წიგნი: „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატინა“. თბ. 1940 წ. სახელგამი, IX, 266 გვ. უზრცელეს ბიბლიოგრაფია (უჭირავს 122 გვერდი); მიყვანალია 1936 წლამდე; დაყოფილია თავებად, ყველაზე მნიშვნელოვანი თავებია: „ვაჟა-ფშაველას გამოცემები ქართულ ენაზე“ (ცალკე წიგნებად გამოცემული, 1889—1936 წ. წ.) და „როდის რა დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველაზე“ (ქართული, რუსული და ნაწილობრივად სომხური ლიტერატურა ვაჟას შესახებ, 1886—1936 წ. წ.). იხ. რეცენზია გ. ბაქრაძისა „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ I წიგნში (თბ. 1940 წ.).

ვ. ნინოშვილი

14. „როდის რა დაიწერა ეგნატე ნინოშვილზე“ (ბიბლიოგრაფია შედგენ. ნიკო კურდღელაშვილის მიერ. იხ. ვ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის მე-III ტ. პუბლიცისტური ნაწერები სიმ. ხუნდაძის რედაქციით. თბ. 1935 წ. გვ. 164—78). ბიბლიოგრაფიაში ჩამოთვლილია 1897—1933 წლებში გამოსული ბროშურები და სტატიები (სულ 281 სახელწ.; მათ შორის 7 რუსულ ენაზე).

სხვა მწერლების, მეტადრე XX საუკუნის მწერლების ბიბლიოგრაფიები არა გვაქვს. მაგრამ შეიძლება ასეთი ინდივიდუალური ბიბლიოგრაფიების შედგენა აღარ იყოს საჭირო, თუ ძალიან არ დაგვიანდა იოსებ იმედი-შვილის მიერ შედგენილი ქართველ მწერალთა ბიოგრაფიული ლექსიკონის გამოცემა, რომელშიც ბიბლიოგრაფიული ნაწილი სათანადო სისრულით არის დამუშავებული. როგორც ცნობილია, ეს ფრიად საჭირო წიგნიც საქ. წიგნის პალატის გამომცემლობის წარმოებაშია. ცნობილია აგრეთვე, რომ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მზადდება გამოსაცემად საბჭოთა პერიოდში გამოსული ქართუ-

ლი სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, რომელშიც უნდა შევიდეს ქართულ მეცლევართა ის შრომებიც, რომელიც საქართველოს გარეთ (სსრკ-ში და უცხოეთშიც) დაიბეჭდა. ამ ბიბლიოგრაფიაში, უპირველად, ლიტერატურათმცოდნეობაც იქნება ასახული.

E. ნათარგმნი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული წყაროები

ბიბლიოგრაფია ძველი ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის ყველა იმ ავტორისა, ვისი თხზულებებიც უთარგმნიათ ქართულ ენაზე ძველად (IV — XVI ს. ს.) შედგენილი აქვს აკად. კ. კეკელიძეს სათაურით „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“. იგი დაიბეჭდა პირველად უნივერსიტეტის „შრომებში“ (1928 წ. ტ. VIII) და მოთავსებულია „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში დამატების სახით (თბ. 1941 წ., გვ. 569 — 698).

ავტორი აღნიშნავს, შრომას „მიზნად აქვს დასახული გადაგვიშალოს თვალწინ ქართულად ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები იმდენად, რამდენადაც მათი ავტორები ცნობილი არიან ან თვით ძეგლებით, ანდა მეცნიერული კვლევა-ძიების წყალობით. საჭირო ცნობები ამოღებულია თითქმის ყველა ღრესღღეობით ცნობილი ხელნაწერიდან, ზოგს შემთხვევაში უშეალოდ, ზოგჯერ კი სხვადასხვა აღწერილობათა და კატალოგების დახმარებით“ (იხ. გვ. 569).

მეორე ამგვარი შრომა აკად. ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის: *Материалы для истории грузинской патристической литературы. А. Переводная литература* (იხ. «Христианский Восток» 1912 г. кн. I. Вып. 1, стр. 6-29). ივ. ჯავახიშვილი ამბობს ამ შრომის შესახებ, იგი კატალოგს წააგავსო („сухой, похожий на каталог этюд“). მას მოჰყავს VIII — XVI ს. ს. საეკლესიო მწერალთა ნაწარმოებნი ქართულ ენაზე ნათარგმნი და შენიშნავს: „*мои материалы не могут претендовать на исчерпывающую полноту*“.

უცხო ენებიდან ქართულად ნათარგმნი და 1629 წლიდან 1921 წლამდე ცალკე წიგნებად დაბეჭდილი ნაწარმოებნი აღნუსხულია „ქართულ წიგნის“ I ტომში (იხ. იქ „ნათარგმნი ლიტერატურის საძიებელი“, გვ. 529 — 540), ხოლო 1920 წლის შემდეგ დაბეჭდილი — „წიგნის მატრიანეში“ 1925—1945 წ. წ.

ის ნათარგმნი ლიტერატურა კი, რომელიც ქართულ ეურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა მხოლოდ ნაწილობრივად არის ასახული ზემოთ უკვე აწერილ „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ სამ ტომში, „ეურნალის სტატიების მატრიანეში“ (1939—45) და „გაზეთის სტატიების მატრიანეში“ (1934—45 წ. წ.). ვამბობთ, ნაწილობრივად, იმიტომ რომ, როგორც მკითხველმა უკვე იცის, ქართული პერიოდიკა უდიდეს თავის ნაწილში არ არის ბიბლიოგრაფირებული.

1. სსრკ ხალხთა მხატვრული ლიტერატურა ქართულ ენაზე. 1920—1940 წ. წ. ბიბლიოგრაფია შედგ. ლ. ეგორაშვილისა და ნ. აკერმანის მიერ. თბ. 1941 წ. კ. მარჭის სახელობ. საქ. საჯარო ბიბლიოთეკის გამომცემა. 121 გვ.

ამ ბიბლიოგრაფიაში ყველაზე დიდი რესული ლიტერატურის განყოფილებაა (71 გვ.), შემდეგ სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, აფხაზური, ლეკური, უკრაინული და ა. შ. მხატვრული ნაწარმოებების გარდა მოყვანილია კრიტიკული ლიტერატურა პეშკინის, ლერ-მონტოვის, ვრიხოვდოვის, ტოლსტოის, გორკის, შაიკოვის, ენენინის, შევჩენკოს, თუმანინის, ჯამბულისა და ზოგიერთი სხვა მწერლის შესახებ.

2. მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები ქართულ ენაზე. ქართულ ენაზე არსებული მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა ანოტაციებით. შემდგ. ვლ. კახიანი, თბ. 1937, საჭ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოც. 23 გვ. ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია შემდეგი შრომების ნაწარმოებნი: შეჭაბირის, ლანტისი, ბოკაჩიოსი, ვოთეისი, დოსტოევსკის, გორკის, ტოლსტოის, სერვანტისის, სტენდალის, სენკევიჩის, სკოტის, პიუგონის, ზოლანის, მეტერლინკის; ანოტაციები — კოვანისა და ქართული რეცენზიებით.

3. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მხატვრული ტექსტები ქართულად (იხ. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის პროგრამა, თბ. 1941 წ. სტალინის სახელ. თბ. უნივერსიტ. გამოც. გვ. 52—53).

4. პუშკინის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია ქართულ ენაზე ასი წლის განმავლობაში (1832—1938 წ. წ.). (იხ. კრებული: ა. ს. პუშკინი საქართველოში საჭ. სს რესპუბლიკანური საიუბილეო კომიტეტის რედაქციით. თბ. 1938 წ. „ფედერაციის“ გამოც. გვ. 223—231. შენიშვნა: თარგმანების სია მოთავსებულია აგრეთვე გაზ. „ხალგაზრდა კომუნისტში“ (იხ. 1937 წ. 11 თებერვ. № 34).

5. მ. ი. ლერმონტოვი. მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობარო შემდგ. ვლ. ჯოჯუა. თბ. 1941 წ. განსაკომის გამოც. 12 გვ.

ცნობარში აღნიშნულია ლერმონტოვის ნაწერებიდან 67 თარგმანი (1891—1941 წ. წ.), აგრეთვე ქართული ლიტერატურა ლერმონტოვის შესახებ, 1939—1940 წლებში გამოსული (36 სახელწ.).

6. ა. მ. გორკი. მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობარო შემდგ. ვლ. ჯოჯუა. თბ. 1941 წ. განსაკომის გამოც. 11 გვ. იმავე გვერდით შედგენილი ცნობარო: აღნიშნულია თარგმანები გორკის ნაწერებიდან (30 სახელწ.) და ქართული ლიტერატურა გორკის შესახებ, გამოსული 1938—39 წლებში.

7. „დავით სასუნელი“ ქართულად. I წირობები და მონოგრაფიები ებოსის შესახებ. II პოემის თარგმანები (ბიბლიოგრაფია) შედგენილი პროფ. ლ. მელიქეთ-ბეგისა და თ. ნაწიშვილის მიერ (იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, წ. I (თბ. 1940 წ.), გვ. 176—184).

ამ ზოგადი ბიბლიოგრაფიული წყაროების გარდა, რომლებზედაც ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ, არსებობს კიდევ სპეციალური ბიბლიოგრაფიები ნათარგმნი ლიტერატურისა. ეს სპეციალური ბიბლიოგრაფიებიც ზოგადი წყაროების მეოხებით არის შედგენილი. ისინიც ჩვენ გარკვეულ დასკვნამდე მიგვიყვანენ და ამიტომ, სისრულისათვის ყველას მათ თავს ეუყრიოთ აქ.

ცნობილია, რომ მცირე გამოჩაყლის გარდა, ეს სპეციალური ბიბლიოგრაფიებიც არ არის სრული და მკითხველმა უკვე იცის, თუ რატომ: თუ წიგნები 1920 წლამდე და საეურნალო სტატიები 1852—1905 და 1939—45 წლებისა ამ ბიბლიოგრაფიებში შედარებით სრულად არის აღწესული (იმიტომ, რომ ამათი წყარო ისევე „ქართული წიგნი“ და სხვა დაბეჭდილი ზოგადი ბიბლიოგრაფიებია) წიგნები 1920 წლის შემდეგ და განსაკუთრებით კი სტატიები 1906—1938 წლებისა მხოლოდ კანტიკუნტად არის წარმოდგენილი (იმიტომ, რომ ამ წლების ზოგადი ბიბლიოგრაფიებიც არ არსებობს).

7. პერსპექტივების შესახებ

აქ წარმოდგენილი ფაქტური მასალის გაცნობის შემდეგ არ შეიძლება დაინტერესებული მკვლევარი და მკითხველი არ დააფიქროს საკითხმა ესოდენ დიდი ხარვეზებისა ბიბლიოგრაფიაში და მასთან ერთად მომავალი მუშაობის პერსპექტივების შესახებ ლიტერატურასა და მრავალ სხვა დარგში.

ქართული რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიის დამუშავების საქმე რამდენიმე დაწესებულებას აქვს თავის თავზე აღებული, მაგრამ გამოურჩეველია რამდენ ხანს ვაგრძელებს საამისო მუშაობა?

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიის 1652 — 1905“ სამი ტომის შედგენასა და გამოცემას ცხრა წელიწადი დასჭირდა, 1936 — 1944 წლები. შეძღვომი წლების, ე. ი. 1906 — 1938 წლების ჟურნალების სტატიობრივ აღწერამ მინიმალური გაანგარიშებით უნდა მოგვეცეს 12 — 15 მოზრდილი ფოლიანტი.¹ მათი შედგენა და გამოცემა აქამდე არსებული ტემპით უეჭველია 10 — 15 წელიწადი გაგრძელდება. ამდენივე უნდა ვიანგარიშოთ თუნდაც მარტო 1906 — 1933 წლების გაზეთების ანალიტიკურ აღწერისათვის (1866 — 1905 წლების აღწერა მხოლოდ ახლახან არის დაწყებული). ამასთანავე ძირითადი შრომები — „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819 — 1945“ და „საბჭოთა წიგნის ბიბლიოგრაფია 1921 — 1938 წ. წ.“ — დაუბოლოებელი სტამბური წარმოების პროცესშია...

ასეთ ტემპებს ჩვენი დრო ვერ შეურიგდება! ეს უდავოდ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წამოწყება, როგორც ქართული რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფია, დაძინებით გვიკარნახებს ისეთივე გამოსავლის გამოძებნას, როგორსაც ჩვეულებრივად მიმართავენ ჩვენში დიდი სარწყავი არხების გაყვანის, გზების გაკეთებისა და სხვა გადაუდებელ სასწრაფო მშენებლობისათვის — ე. ი. კოლექტიური შრომის ორგანიზაციას.

მართლაც! ყველა ეს ზოგადი ბიბლიოგრაფიები, ჩვენ რომ რამდენჯერმე დაეასახელებთ და აეწერეთ უნივერსალური შინაარსისაა. ისინი ყველას სჭირდება: როგორც მკვლევარსა და მწერალს, ისე ჟურნალისტს, მასწავლებელს, ყველა პროფესიის წარმომადგენელს, სტუდენტობას, ყოველ შეგნებულ მკითხველს. ამ ბიბლიოგრაფიებმა თვალწინ უნდა გადაგვიშალონ სისტემატიზირებული სახით მთელი დღემდე გამოსული ქართული ბეჭდვითი პროდუქცია — წიგნები, სტატიები და ყოველგვარი სხვა მასალა ამოშფოთრავი სახით, რაც განსაკუთრებით საჭიროა დღეს უალრესად ინტენსიურ მუშაობაში ჩაბმული მასებისათვის.

ქართული რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიის მოგვარება მოგვეცემს შრომის უდიდეს ნაყოფიერებას — სამეცნიერო, სასწავლო, სამეურნეო და მრავალ სხვა დარგში. დღეს, ხუთწლიანი გეგმების დაზუსტების მომენტში უნდა მოვიგონოთ, რომ საქართველოს I ბიბლიოგრაფიულ კონფერენციაზე განხილული გეგმით რეტროსპექტიულ-ბიბლიოგრაფიული სამუშაოები უნდა შესრულებულიყო საქართველოს ყველა სამეცნიერო ბიბლიოთეკების მიერ კოლექტიური შრომით. ომმა ჩაშალა ეს წამოწყება, მაგრამ დღეს მის განხორციელებას არავითარი სერიოზული დაბრკოლება არ ელობება. ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს ორ-სამ წელიწადში მივიღოთ მთელი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია კარტოთეკის სახით მაინც. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ბიბლიოგრაფიების შექმნის შემდეგ შესაძლო შეიქნება მთელი ქართული ბეჭდვითი პროდუქციის ნამდვილი გამოყენება და მკვლევართა და მკითხველთა მასის სრული დიფერენციული მომსახურება.

¹ საორიენტაციოდ ვაიხსენოთ, რომ „ჟურნალის სტატიების მატრიცის“ ერთი წლის კომპლექტი (თუნდაც არაქართული ნაწილის გამოკლებით) ერთ ტომს უდრის.

ბარბარე ხოსიტაშვილი (ბაბილინა)

იკოლიონ ეპროზვილი

მამაჩვენი იყო „მთავარ-დიაკონი ისაკ ხოსიტოვი“, როგორც თვითონ აწერდა საბუთის ქაღალდებს. შეილებთან მოწერილ წერილს კი იგი ხელს ასე აწერდა, „მამა თქვენი ისაკ ხოსიტოვი“.

6-7 წლისას პირველად წერა-კითხვა მამამ დამაწყებინა. დედა ძალიან პატარა გაეთხოვებინათ, 15 წლისას უკვე პირველი შეილი ჰყოლოდა, წერილ-შეილობაში, საოჯახო მოვალეობით დატვირთულს, ის ანბანიც დავიწყებოდა, რაც ბავშვობაში ესწავლებინათ.

იროდიონს დედა განსაკუთრებით უყვარდა დმ ფსევდონიმადაც დედის სახელი (ევდოკია) ევდოშვილი აირჩია. ტანადად და საბითაც დედას ჰგავდა.

მეხსიერებაში ჩამჩნა: დედა ძალიან ნაღვლობდა შეილების შორს ყოფნის გამო. უფროს ძმას ილარიონს (ილიკოს) და საშუალოს, თომას, საცხენისის სამხედრო სასწავლებელში ესწავლათ. ილიკო მახსოვს იმ დროიდან, როდესაც იგი კაპიტანი იყო, ბოლოს პოლკოვნიკობა მიიღო. ლიბერალი იყო, მეურნეობის მოყვარული, შეილი არ ჰყავდა. ოჯახს საგრძნობლად ეხმარებოდა.

საშუალო ძმა, თომა, საკმაოდ ნაკითხი და განვითარებული იყო. ამიერკავკასიის სხვადასხვა დაბა-ქალაქებში ნამყოფი, დაცოლშვილების შემდეგ სოფელში დარჩა, მაგრამ ალკოჰოლმა გადაიყოლა...

იროდიონი ჩემზე 10-11 წლით უფროსი იყო, მისი ყრმობა-ჰუბუკობიდან ზოგი რამ მახსოვს.

პატარაობისას იროდიონი უფროს ძმას თავისთან პოლკში წაეყვანა, შეიძლება პირველად წერა-კითხვა მანვე შეასწავლა. ერთხანს იროდიონი სიღნაღის სამოქალაქო სკოლაში დადიოდა თურმე, შემდეგ თელავის სასულიერო სასწავლებელში მიებარებინათ. ბოლოს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.

სწორედ ამ დროიდან მახსოვს მისი პირველი „მხატვრული ნაწარმოები“, ეს იყო ვოდევილი, ანუ კომიკური სურათი, სადაც ჩვენი ეკლესიის კრებულის, ე. ი. შლედლის, მთავარ-დიაკონისა და მნათეს საქციელი იყო დასურათებული.

შინაურებსა და ნათესავებსაც იროდიონი განსაკუთრებით გვიყვარდა, რადგან გარეგნობითაც და ხასიათითაც მიმზიდველი იყო. იროდიონს ბავშვობიდან ერთი ფეხი ნალრძობი ჰქონდა, კინალამ დაკოჰლებულიყო საჭანელიდან ჩამოვარდნის გამო. დიდი თითის ზემოთ ამოვარდნილი ძვალი კობიკით გვერდზე ჰქონდა გამომჯდარი. რამდენიმე თვე იწვა თურმე არტახებით ფეხშეკრული, ვიდრე გატეხილი თუ ამოვარდნილი ძვალი შეეზრდებო-

და. დედა ძლივს აჩერებდა ლოგინში მოუსვენარ ახალგაზრდას. წიგნების მარაგი მაშინ ოჯახში ბევრი არ იქნებოდა და წინდას მიაჩნებდა ხელში, „აჰა, თვლების გამოკრება ისწავლე და გაერთობო“.

ჩვენი უბნის ბოლოს ბროწულების ტყე იყო; ერთხელ მეჩობებულ დედა-კაცებს ეჩივლნათ იროდიონზე დედასთან:

— ჩვენი ბროწულები სულ გაუკრეფიათ გოგობიჭებსა და თქვენი იროდიონიც იმათში რეულა. დედა იროდიონს გამოსარჩლებოდა, იროდიონი იმათში არ იქნებოდაო, მაგრამ მეზობლის ქალებს დასამტკიცებლად საბუთი: ქუდის ფუნჯი ხელში ეჭირათ—აბა ასეთი ფუნჯიანი ქუდი სხვას ვისა ხურავს, იროდიონის გარდაო. ალბათ იროდიონს ოსმალური ფესკა თუ ეხურა, უფროსი ძმის ნაფეშქაშევი, და იმისი ფუნჯი თუ შესწყდა ბროწულის კენწეროზე.

ჩვენს სახლში მუდამ იყო ხოლმე „ბერდანის“ თოფი, უფროსი ძმის მოტანილი. ერთხელ, როდესაც იროდიონი, ვკონებ, ჯერ ისევე თელავის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე იყო, საშუალო ძმამ, თომამ, და იროდიონმა თოფი მთლად დაშალეს, გაწმინდეს და როდესაც ისევე აწყობას შეუდგნენ, მისი მრავალი ხრახნილებისა და ნაწილების თავთავის ალაგას მოთავსება გაუჭირდათ, რადგან იროდიონი არ აცდიდა თომას. ამ უკანასკნელმა ის და შოახერხა, რომ მარტოკა ჩაიკეტა მარანში და იროდიონის ჩაურეკლად ააწყო თოფი.

იროდიონს ჭაბუკობიდანვე გატაცებით უყვარდა ნადირობა, თოფი და ძაღლი.

წიგნების მარაგი ჩვენს ოჯახში მაინცდამაინც დიდი არ იყო. გარდა იმისა, რომ მამაჩემს ერთი ყუთი ედგა, სადაც „სამოციქულო“, „უამნი“, „დავითნი“ და „ლოცვანი“ ინახებოდა, მახსოვს კიდევ რამდენიმე წიგნი თახჩაში ან მავიდაზე: ჩუბინაშვილის „ქრესტომატია“ და „ბუნების კარი“ გოგებაშვილისა, აგრეთვე რამდენიმე რუსული და ქართული უსათაურო წიგნი, რომლებიდანაც თომას სათაურებიც და შიგადაშიგ ფურცლებიც პაპიროსის ქაღალდად ამოეხია.

პირადად იროდიონს თელავში სწავლის დროსვე, სახელმძღვანელოებს გარდა საკითხავი წიგნებიც უნდა ჰქონოდა, ან ჩვენი უფროსი ძმისაგან, ან იმ ზირსელაანთ ოჯახიდან, სადაც ის ცხოვრობდა თელავში სწავლის დროს.

ჩვენი უფროსი ძმა ქართული კულტურის მოყვარული იყო. როცა ჩვენს სოფელში ბიბლიოთეკა დაარსდა, ამ უკანასკნელსაც უწერდა „ნაკადულს“ და „ცნობის ფურცელს“, ხოლო ჩვენს სახლში ჩემთვის გზავნიდა: რუსულ საბავშვო ჟურნალს: „ზადუშენოე სლოვოს“, ალბათ იმისათვის, რომ რუსულ ენაში მეეარჯიშნა. კარგად მახსოვს, რომ ეს საბავშვო ჟურნალი მეტისმეტად საინტერესო იყო თავისი შინაარსით. თუმცა რუსულ კითხვა-გაგებაში ძალიან მცირედ ვერკვევოდი, მაგრამ მაინც ვიულ ვერნის სათაგადასავლო საოცარი მოთხრობები, დასურათებით, ახლაც არ დამევიწყებია. აგრეთვე ეგრეთწოდებული „მურზილკები“, ანუ მუცელგაბერილნი ორ ფეხზე შემდგარი, ფრაკში და ცილინდრში გამოწყობილი ბაყაყები.

არც ის მაგიწყდება, როდესაც იროდიონი, არდადეგებზე შინმოსული, დედას წაუკითხავდა ხოლმე ილია ჭავჭავაძის „კაცია აღამიანიდან“ ბუნების დათვლის ამბავს, ან ჩიხირთმა-ბოზბაშის არჩევანს.

იროდიონი გატაცებით კითხულობდა შესაფერი დიქციით, დედაც და აგრეთვე მეზობლის ქალებიც დიდის ინტერესით უსმენდნენ.

მეზობელ ვაჟაკთაგან, იროდიონი ერთგვარ მსმენელთა „აუდიტორიას“ შემოიკრებდა ხოლმე ეზოში. ამგვარად ჭაბუკი „ხალხოსანი“ ამთავ შესაფერ ლიტერატურას უკითხავდა.

ჩვენს ოჯახში ბახუსის კულტის სრული გავლენა იყო, რაშიც ჩვენი ეკლესიის „კრებულს“ საკმაო დამსახურება მიუძღოდა. მღვდელი და დიაკონი მნათეს თანხლებით ქელესსა და ნათლობაში შენაყრების შემდეგ ჩვენს სახლში განაგრძობდნენ ხოლმე სმას. სევამდნენ თიხის ჯამებითა და შემდეგ წიწაყის ან კომპოსტოს წნილს მოითხოვდნენ ხოლმე. მღვდელი ჩვენი სოფლის მოსახლე არ იყო. დიაკონს არა ებადა რა. ჩვენ კი, მამაჩემის შრომითა და უფროსი ძმის დახმარებით, ცოტა რამ გვექონდა. ვენახიდან ორი-სამე ურეში ყურძენი შემოდოდა და ღვინოსაც ოჯახისთვის საკმარის აყენებდნენ.

მამა შრომისმოყვარე, ენერგიული და კარგი მეოჯახე იყო. ეკლესიიდან შინ დაბრუნებისთანავე (მრევლში დაბატიყება-დათრობა არც ისე ზშირი და ბისტემატური იყო საბედნიეროდ) გაიხდიდა ანაფორას, კაბის კალთებს აიკვალთავდა, ქამარში სავაზე დანას გაიყრიდა და მთელი დღე ან ვაზუმს სხლავდა, ან წაღღუნით სარებს ჩეკავდა, ან ეზოს ღობავდა... კვირათქმე დღეებში გაზეთების კითხვა უყვარდა.

ისიც მომხდარა, რომ ღვინით გამობრუებულ დიაკონს ბოღნაში გამოხვეული ოლარი და საცეცხლური წასვლისას იღლიაში აღარ ამოუჩრია. დარჩენია ჩვენს სახლში. აი ამ ატრიბუტებით იროდიონი ისარგებლებდა ხოლმე და წირვა-ლოცვის „წარმოდგენას“ იწყებდა.

თუ მამა შინ არ იყო, იროდიონი ჩაიცვამდა მამის ანაფორას, ოლარს ჩამოიკიდებდა, საცეცხლურს ააჩხაკუნებდა, ან კიდევ ჩვენი ოროთახიანი სახლის შუა კარებში ჩადგებოდა, ხელს ასწევდა და „ასამალლებელს“ წარმოსთქვამდა ისეთი პათეთიკით, რომ ჩვეულებრივ მღვმარეს და მოკრძალებულ ღვდას სიცილი აუტყდებოდა ხოლმე. შეიღის ასეთი ცელქობით გამზიარულეული ღვდა მაინც ეტყოდა:

„კარგი, ცრუო გეყოფა, მამამ არ მოგასწროსო“.

ან კიდევ: „ვგე, ანაფორაც გიხდება და მღვდლობაც მოგიხდებაო“.

„არა, დედი, მე მღვდლობა არ მინდაო“, უპასუხებდა იროდიონი, გაიხდიდა ანაფორასა და ისევ ლურსმანზე ჩამოჰკიდებდა...

„ახა, ვაგლახმე, მღვდლობას აბა რომელი სამსახური სჯობიაო“, შეექვლენოდა დედა, რომელსაც მღვდლები ყველაზე წარჩინებულად მიაჩნდა.

მართლაც, იროდიონმა სემინარია მალე მიატოვა, — მეორე თუ მესამე კლასიდან გამორიცხეს.

იმხანად ჩემმა ძმებმა, უფროსმა და საშუალომ, ცოლები შეირთეს, ეს უნდა მომხდარიყო 1891 წელს, მე შეიდი წლისა ვიქნებოდი, სოფლის სკოლაში დავდიოდი, ამ დროს ჩვენი კოხტა, აივნიანი, თითქმის ახალი სახლი დავანგრეთ და სოფლის ბოლოს „ბაღჩაში“ პატარა ვენახში ჩამოვსახლდით.

„ბაღჩაში“ ჩვენებმა ისევ ოროთახიანი სახლი ააშენეს, მხოლოდ დაბალი ნივით, სახლს გვერდზე სამარნე მოუზომეს და ქვევრები ჩაყარეს. აი ამ

ადგილას მახსოვს იროდიონი, თბილისიდან ჩამოსული, უღვაშაბუსტეზე-
ლი ქაბუკი. ეცვა ლურჯი შევიოტის მოხდენილი ტუფურკა, თეთრი, გახამე-
ბული საყელოთი გაწყობილი. მამა ქვევრების, ქოცოებისა თუ საპალნიანე-
ბის მოცულობაზე ესაუბრებოდა და თეთრი თუ წითელი ლენინის ქაშისკს
ასინჯებდა.

„იროდიონი მოვიდაო“. გავიგონე, საიდანღაც მოვირბინე, იროდიონი და-
იხარა და მაკოცა, მისი თეთვიკივით რბილი უღვაშების ნაზი და სათუთო
შეხება დიდხანს მახსოვდა შემდეგ.

მაგრამ, ვიდრე იროდიონი სოფელში ჩამოვიდოდა, მის შესახებ რაღაც
მყუდროების დამარღვეველი წუხილი ისმოდა ჩვენს ოჯახში.

— იროდიონი იწერება საზღვარს იქით მინდა გადავიდეთ, რა ვიცი, საზ-
ღვარს იქით რა უნდა!—ამბობდა ნაღვლიანად დედა.

მამაჩემისაგან კი შემდეგი სიტყვები გამიგონია:

— იროდიონი შენიშნული ყოფილა ხელმწიფის წინააღმდეგობაში, ბა-
ლიშ-ქვეშ აკრძალული წიგნები ჰქონია, (იროდიონი, ვგონებ, იმ დროს სე-
მინარიის პანსიონში ბინადრობდა), სემინარიიდან გამორიცხვას უპირებენ.
მიეწერე, მოდი ჩემ ადგილზე მოემზადე და მერე მღვდლად ეკურთხე მეთ-
ქი, მაგრამ არ მიჯერებს...

— ეჰ, დედის წინ მარბენალ კვიცაო ან მგელი შეშუპაშ ან...—მოიშვე-
ლიებდა მამა ძველებურ თქმულებას... და ხელს ჩაიქნევდა.

მეც მაშინ „საზღვარს იქით გადასვლა“ ჩემებურად მესმოდა რადგან ჩვე-
ნი ვენახისა და ბიძაშვილების ვენახის შუა ჩამყოლ ბილიკს „საზღვარს“ ვე-
ძახდით, ჩავიბრუნდი ამ საზღვარზე, ერთ ნაბოჯს ბიძაშვილების ვენახისკენ
წავდგამდი და ვებრდღუნებდი:

„იროდიონი საზღვარს იქით უნდა გადავიდეს“.

ეს ქაბუკობის ოცნება იროდიონს ვერ განუხორციელდა, გარემოებამ ხე-
ლი არ შეუწყო.

იროდიონის ჩამოსვლა, თბილისიდან სოფელში, უნდა მომხდარიყო
1891—92 წლებს შუა. მამასადამე, იგი 18—19 წლის ახალგაზრდა იქნებოდა.

მისი პირველი ლექსები: „გუბე“, რომელიც 1893 წელს დაიბეჭდა; „ჩემს
ხანჯალს“, „გავჩუმდე?“ და სხვა, აგრეთვე პოემა: „უკანასკნელი დღე სიყ-
ველით დასასჯელისა“, — სემინარიის მიტოვებისა და საზღვარგარეთ წას-
ვლაზე ოცნების პერიოდში უნდა იყოს დაწერილი.

რადგან უფროსი ძმა იროდიონის სწავლა-განათლებაზე მშობლიურად
ზრუნავდა, რაღა თქმა უნდა, იროდიონის გამორიცხვა სემინარიიდან არც
მას ესაიმოვნებოდა. ზოლო იროდიონი, თავის განზრახვას სწავლის მისაღე-
ბად საზღვარგარეთ წასვლის შესახებ პირველ ყოვლისა უფროს ძმას მის-
წერდა, ან პირადად გაუზიარებდა, რადგან მორალურ და მატერიალურ
ხელშეწყობას მისგან უფრო მოელოდა, მაგრამ აქაც იროდიონს იმედი გა-
უცრუვდა. მართალია, ჩვენი უფროსი ძმა პროგრესის მომხრე და ქართული
კულტურის მოყვარული იყო, მაგრამ როგორც მეფის ჯარის ოფიცერს,
არაფრად მოეწონებოდა მის მზრუნველობაში მყოფ უმცროსი ძმის შეამ-
ბობეობა. პოლკის ოფიცერებს ნადიმები, გართობა, ბანქოს თამაში და ამგავ-
რები წესად ჰქონდათ შემოღებული, რაც საკმაო ხარჯებს მოითხოვდა. ამი-
ტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ძმის ოჯახი (თუმცა უშვილოები იყვნენ) ვე-

ღარ გასწვდებოდა „ხელი შეეწყო“ სემინარიიდან გამორიცხული, ახალი აზრებით გატაცებული ქაბუისათვის. უფროსი ძმა ცოცხალი აღარ არის და მის ოჯახში ძველი მიწერ-მოწერა იროდიონთან აქამდე არ შენახულა. მე იქ მხოლოდ ერთი ღია ბარათი-ლა ენახე იროდიონისა, ისიც უკანასკნელ, ე. ი. 1915 წელს მოწერილი სოხუმიდან. მათ ურთიერთობაზე დანამდევილებით ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ეს კი მახსოვს, რომ იროდიონსა და უფროსი ძმის ოჯახს შორის ადგილი ჰქონდა ერთგვარ კონფლიქტს, ე. ი. უსიამოვნო მიწერ-მოწერას.

„იროდიონისაგან ლანძღვის წერილი მოგვივიდაო“, ეს სიტყვები მაშინ უფროსი ძმის ცოლისაგან გამიგონია, ჩვენს სახლში, ბოდბისხევში.

შესაძლოა იროდიონმა მისწერა: თქვენ განცხრომასა და ფუქსავატ დროსტარებას მისდევთ, ნადიმებსა და ბანქოში ფლანგავთ ფულს და ჩემს წმინდა მისწრაფებას კი ვზას არ აძლევთო. იქნებ ამხილა კიდევ მეფის ოფიცერთა ფუქსავატი უსაქმურობა.

იროდიონის პირველი ლექსის დაბეჭდვის დაახლოებით ოთხი წლის შემდეგ, ე. ი. 1897 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული. ამ კრებულში, სხვათა შორის, მისი პირველი პოემაც არის მოთავსებული. აი, ეს პოემა („უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“) უნდა მივიჩნიოთ პოეტის სულიერი მოძრაობის იმ საჩუქრად, რომელსაც შეუძლიან ზემოაღნიშნული ამოცანა აგვიხსნას.

გასაგებია, რომ იროდიონი უფროსი ძმისაგან უფრო ელოდა თავისი სულიერი მისწრაფების გაგებას, ვიდრე მშობლებისაგან, რომლებიც შედარებით გაუნათლებლნი იყვნენ. მამას ხუცურის კითხვა და აგრეთვე მხედრულის წერა-კითხვაც ჩვენი სოფლის მცხოვრებ დეკანოზთან ჰქონდა შესწავლილი. მახსოვს, მამა ამგვარი შინაარსის წერილებსა სწერდა იროდიონს: წინააღმდეგობას თავი დანებებ (იგულისხმებდა, როგორც სემინარიის რეჟიმის, აგრეთვე მეფის მთავრობის წინააღმდეგობა), აკრძალულ წიგნებს ნუ კითხულობ, სემინარიიდან ნუ გამოხვალო და სხვა. მისახედრია, რომ ამ საჭირბოროტო საკითხებმა პოეტის განცდებში განზოგადოებული ზასიათი მიიღეს, რასაც, სხვათაშორის, ერთერთი ლექსის შემდეგი დამახასიათებელი სტრიქონებიც ადასტურებენ:

„გაქრმდე?! თითქოს ხელთა მქონდეს მე ჩემი გული!
განა თქვენ ძალგიძო დაამშვიდოთ ზღვა აღვზნებულნი?
... მე დროს შეილი ვარ, გამიტარა მან გულს ისარი
და ისარივე პასუხს აძლევს მას ჩემი ქნარი.
... მე დროს შეილი ვარ, მაგრამ ურბო ჩემი მშობლისა,
დავგმობ მე მასში, რაც ღირსია კრულვა-გმობისა!“

იმხანად მეც სოფლის სკოლაში სწავლას თავი მიმანებებინეს, უფროსმა ძმამ და მისმა ცოლმა თან წამიყვანეს დაბა ყაზახში, სადაც მათი პოლკი ზანაკობდა. ეპარქიალურ სასწავლებლისათვის მაშზადებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ იროდიონიც იქ ჩამოვიდა. უფროსი ძმის რჩევით იგი სამხედ-

რო სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდა თითქოს. მას ცალკე ოთახი მიუჩინეს, ერთი მოზრდილი ჩემოდანი ედგა იქ, წიგნებით სავსე, არა მგონია ამდენი წიგნები სულ სამხედრო საგნებისა ყოფილიყო. ამრიგად, როდესაც იროდიონს თავის განზრახვების სისრულეში მოსაყვანად გასაქმანი არ მიეცა, ხოლო მღვდლობაზე ლაპარაკიც მეტი იყო, ეგრე იმყოფებელი ვახდა სამხედრო სასწავლებელში შესვლაზე დათანხმებულიყო, მაგრამ ამბოხებისათვის მოწოდებულმა პოეტმა სიანს მალე ივრძნო სამხედრო სამსახურთან შეუთავსებლობა და ერთი წლის შემდეგ სამხედრო სასწავლებელიც მიატოვა.

როგორც ვიცით, იროდიონის პირველი ლექსები ჟურნალ „კვალის“ გამოქვეყნდა, ვახუთ „ივერიაში“ იბეჭდებოდა. იროდიონი, ვგონებ, თვითონაც მსახურობდა ერთხანს „ივერიის“ რედაქციაში, მაგრამ, მგონია, არა ბაქოდან ჩამოსვლის შემდეგ, როგორც 1916 წელს გამოცემულ მისი ლექსების წიგნშია მოხსენებული, არამედ ბაქოში წასვლამდე, სამხედრო სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ...

1899 წელს, ბაქოდან დაბრუნებული იროდიონი თბილისში დიდხანს არ დარჩენილა, შემიძლია გაეიხსენო, რომ იროდიონი და პოეტი დიმიტრი მაჩხანელი სოფელ მაჩხაანში სათავეში ჩაუდგნენ მაშინ იქ „დებოს“ გახსნას, საურთიერთო (საგლეხო) დამხმარე ბანკის დაარსებას და სხვა. სოფლად „დებოში“ მუშაობის დროს იროდიონმა იქვე სოფელ მაჩხაანში ცოლი შეირთო. ხოლო 1900 წელს, როდესაც ისევ თბილისში დაბრუნდა, პირდაპირ ჟურნალ „კვალში“ დაიწყო თანამშრომლობა, საიდანაც ვახუთ „ივერიის“ რედაქციასა და მის ჯგუფს ოპოზიციაში ჩაუდგა.

1900 — 1901 წლების ჟურნალ „კვალში“ იბეჭდებოდა იროდიონის ჰუმორისტული სტატიები, „პატარა ყარამანიანის“ სათაურით. ამ ჰუმორისტულ სტატიებს იროდიონი ფსევდონიმად აწერდა „რიგოლეტოს“. იმავე ფსევდონიმით იქვე „კვალში“ სხვა საპოლემიკო ჰუმორისტუკაც არის სათაურებით: „სამშობლოს ცაზე“, „საახალწლო ნაპერწკლები“, „ინტელიგენტი ცხვარი“ და სხვ.

1907 — 8 წლებში, ჰუმორისტულ ჟურნალ „ნიშადურში“, საიდანაც იროდიონი „ეშმაკის მათრახის“ თავდასხმას იგერიებდა, მის კალამს შემდეგი ფსევდონიმები ეკუთვნის: ისარი, იელი, ჩახმაზი, წკიპურტი, ლაბლაბო, ჟამანაკი.

ბაქოში ყოფნის დროს, იროდიონს თვითონ შრომაში ჩაბმულსა და საბრძოლოდ განწყობილს, შრომისა და ბრძოლის ფართო სანახაობა ეშლებოდა თვალწინ. მისი ცხოვრების ამ პერიოდს მიეკუთვნება ლექსები რომელნიც იდეოლოგიურადაც და მხატვრულადაც საუკეთესონი არიან. (ლექსი „მეგობრებო, წინ, წინ ვასწით“, „როს ტოლთა შორის“... და სხვანი. პოემებიდან: „ელენე“, „სისხლი აიღო“ და სხვ.).

ერთხანად საშუალო ძმაც (თომა) ბაქოში წავიდა სამუშაოდ, მაგრამ მალე ისევ დაუბრუნდა ოჯახსა და ცოლშვილს.

— აი, ეს იროდიონის ლექსებია, — ამოიღო თომამ სამგზავრო ყუთიდან წიგნი, რომელსაც მაშინვე წავატანე ხელი.

იროდიონს მაშინ ჩემთვის რუსული ენის სახელმძღვანელოც გამოეგზავნა და ძმისთვის დაევალებინა რუსულში მოამზადეო. იროდიონის სურვილი იყო მე ეპარქიალურში მესწავლნა, მაგრამ უფროსი ძმის ცოლის რჩევით ბოდბის წმიდა ნინოს სასწავლებლის პანსიონში მიმამარეს...

როდესაც იროდიონის წიგნს ხელი მოგვიდებოდა, 12 წლისა ვიქნებოდი, დაღამებული იყო, ბუხრის თავზე ლამაზ ბეუტავდა, ტახტზე შევიდნენ ბუხართან კედელს ავეკარ და ისე გამიტაცა ლექსებისა და პოემების შინაარსმა, რომ ვიდრე წიგნი ბოლომდე არ წავიკითხე, — იმ ადგილზე არ მთავრდებოდა, და არ დამიძინია, შუალამეს კარგად გადაცილებულან ჩვენგანდა. დიდი ხანი იყო სახლში მყოფთ ეძინათ.

1897 წლიდან 1899 წლამდე იროდიონი ბაქოში იყო; როგორც შინაურებისაგან გამიგონია, იქაც სამსახურში უფროსებს ვერ შესწოვია. არც საკვირველია, რადგან საწარმოო დაწესებულების ადმინისტრაციასთან იროდიონს მხოლოდ ფიზიკური არსებობისათვის მუშაობის საკითხი აკავშირებდა, ე. ი. იძულებითი შრომა და არა მისთვის საყვარელ-სასურველი საქმე, ამ უკანასკნელისათვის იროდიონს მხოლოდ ღამის საათები-ღა რჩებოდა, როდესაც დღიური შრომის უღლიდან განთავისუფლდებოდა.

ერთ ღამეს, წიგნების კითხვისა თუ წერის პროცესში, ჩასძინებოდა, ლოგინთან მდგარ სკამზე ანთებული სანთელი ჩამწვარიყო, ჯერ ქალაღებმა მოსდებოდა ცეცხლი, მერე ბამბიან საბანს; ღრმა ძილში მყოფი იროდიონი ყინალამ ბოლში ამომღრჩვალყო. გულშეღონებული მხოლოდ გათენებისას გამოეტანათ ბოლით სავსე ოთახიდან და პრიმიტიული საშუალებით მოესტელიერებინათ.

1899 წელს იროდიონი ბაქოდან ქიზიყში ჩამოვიდა. ჩემს სანახავადაც მოვიდა სასწავლებლის პანსიონში. ზამთარი იყო. იროდიონი მშვენიერ თბილ პალატოში და ბეწვიან „კეპკაში“ იყო გამოწყობილი. ჰაბუკობის შემდეგ იგი ახლა დავაუკაცებელი ვნახე.

27 წლისა იქნებოდა, როდესაც მან სოფელ მაჩხაანში ცოლი შეირთო. როგორც ზევეითაც აღვნიშნე ამ სოფელში იროდიონი აქვე დროებით ჩამოსულ ფილიპე მახარაძესთან ერთად და იმ სოფლის მცხოვრებ მაშინ ცნობილ ხალხისან პოეტ დიმიტრი მაჩხანელთან ერთად სამომხმარებლო კოოპერატივ „დეპოს“ დაარსებაში მონაწილეობდა. მალე იროდიონმა ამ საქმესაც ხელი უშვა, მას არ ეხერხებოდა ყველა იმგვარი საქმიანობა, რასაც მხატვრულ შემოქმედებასთან და რევოლუციურ მოძრაობასთან ახლო კავშირი არ გააჩნდა.

1899 წლის შემოდგომაზე იროდიონი უკვე ცოლშვილიანი თბილისში დაბრუნდა და 1899 — 1900 წლებში ჟურნალ „კვალის“ რედაქციაში დაიწყო თანამშრომლობა.

ამ დროს მეც ბოდბის წმიდა ნინოს სასწავლებელი დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი. იროდიონს ეტყობოდა, რომ მესამე დასში და ჟურნალ „კვალის“ რედაქციაში შესაფერ ატმოსფეროში გრძნობდა თავს. როგორც ცნობილია მესამე დასი და ჟურნალი „კვალი“ ილია ჭავჭავაძის გაზეთს „ივერიას“ ოპოზიციაში ჩაუდგა, ამ იდეოლოგიურ დაპირისპირებაში იროდიონსაც არამცირედი მონაწილეობა მიუღია. იმ ხანებში დაიბეჭდა იროდიონის საბოლემიყო ლექსები.

იდეოლოგიური ბრძოლის მახვილ იარაღად იროდიონს ხშირად ჰუმორი მჭონდა მომარჯვებული, ამის ნიმუშს წარმოადგენს 1900 — 1901 წლის „კვალში“ დაბეჭდილი „პატარა ყარამანიანი“, „საახალწლო ნაპერწყლები“, „ბანწყები“, „სამშობლოს ცაზე“, „ინტელიგენტი ცხვარი“ და სხვა. „პატარა ყარამანიანის“ ბეჭდვა 1900 წელს იწყება და 1901 წლის ნომრებშიც

გრძელდება. ეს პაროდია განსაკუთრებით „ივერიის“ ბანაკის ასაკლებად იყო მიმართული.

იმ დროს იროდიონი ცხოვრობდა მთაწმინდაზე „პრიუტის“ ქუჩაზე, იოსებ იმედაშვილის სიმამრის სახლში. აქვე ბინადრობდა თვითონ ^{არ მძებნა} ~~არ მძებნა~~ შაქრიანი. ზაფხულობით იროდიონი ცოლშვილს სოფელში გზავნიდა ^{არ მძებნა} ~~არ მძებნა~~ სიმამრის ოჯახში, სოფ. მაჩხაანში, ან ჩვენსას, სოფ. ბოდბისხევეში.

შემოდგომაზე იროდიონს ჯერ ცოლშვილი არ დაებრუნებინა სოფლიდან, როდესაც მე ჩამოვედი, რადგან სწავლის გაგრძობას ვაპირებდი. ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ დისწული და ძმისწული, მოსწავლე ბავშვები. ზაფხულში მარტოდ დარჩენილი იროდიონი ერთს პატარა ოთახში ცხოვრობდა. რედაქციიდან სახლში დაბრუნებული კარგ გუნებაზე მინახავს მე იგი, ერთგვარი კმაყოფილება ეტყობოდა, მაგრამ მეტწილად კი უფულოდ იყო. სოფლიდან ჩამოტანილი გამხმარი პურითა და ხაზვით ისამხრებდა და თან ღიღინებდა: „ხან მაქვს ხაზვი და პური, და ხან ისიც არა მაქვსო“.

ღლითრი ლუქისა და არსებობის საკითხი იროდიონს კვალდაკვალ სდევდა; მით უფრო, რომ ის მალე დაწვრილშვილდა და ოჯახური მოვალეობით დაიტვირთა. მაგრამ მის სახეზე მკმუნვარება, დარდისა და ნაღვლიანობის ნიშანი არასოდეს არ შეგვიმჩნევია. როდესაც მისი ცხოვრების პირობები მეტად რთულდებოდა, ოხუნჯობას უფრო უმატებდა და დარდიმანდულ გუნებაზე დგებოდა... კაეშანს გულში ინახავდა, და თუ მარტოობის წუთებს იხელთებდა, უმეტესად ღამით, იგი პოეზიას ანდობდა სულის ქარიშხალს.

იროდიონი თავისი დროის მწერლებს შორის ერთერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც პოეზიაში პირველმა ასახა ქალაქის მცხოვრებთა კლასობრივად დაყოფა. მთელი სერია მისი ლექსებისა გვიხატავს ქალაქის პროლეტარიატის მწარე ხედვას. ერთის მხრივ, შრომა, მეორეს მხრივ, ფუფუნება. ერთის მხრივ, ჩაგვრა, მეორე მხრივ, ამბოხება. ლექსები „რას შესცქერ, ძმაო“, „მუშა“, „მატანტალა“, „განკიცხულდი“, „ბიძია ლუკა“ გვიდასტურებენ შემოთქმულს.

მიუხედავად იმისა, რომ წინა თაობის მწერლებსა და მოღვაწეებს იროდიონი თაობიციად ჩაუდგა და იდეოლოგიურად მოპირდაპირე ბანაკიდან ეკამათებოდა, მაინც ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული მათდამი. იროდიონისგან მაქვს გავიხსენი ილია ქაეკავაძის ბრძნული გამოთქმა:

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“. იროდიონის ერთ ლექსს ეპიგრაფად ილიას სიტყვები აწერია:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგანდეს
ვგ ვერაფერი სიყვარულია, —
საქმე ის არის კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“...

ერთხელ თავის ოჯახში შემდეგი ეპიზოდი გვიამბო: ერთ წვეულებაზე მოვხვდი, აკაკი წერეთელიც იქ იყო. იროდიონი მაშინ სულ ახალგაზრდა, დამწყები პოეტი ყოფილა, მასპინძლებსა და სტუმრებს ლექსის წარმოთქმა ეთხოვით იროდიონისათვის, მას თავმდაბლად უარი განუცხადებია.

— სადაც ბუღბულია, იქ სხვა ჩიტები უნდა გაინაბნენო, უთქვამს მას.
— მაგ ჩიტს სხვანაირი ნისკარტი უჩანსო, — ქათინაურითვე უპასუხნია ნასიამოვნებ აკაკის.

თუ იროდიონმა თავისი შემოქმედების პროცესის შემდგომ პერიოდში უკვე გადაძლერება დაიწყო იმისი, რაც პირველ ხანებში ესოდენ ადგნებულ-ლი პათოსით ამოიმღერა, ამის მიზეზი პოეტის რეალური ცხოვრების ხვეუ-ლებში უნდა ვეძიოთ.

საქართველო

იროდიონი დაწერილშვილდა, ოჯახს რჩენა უნდოდა, ახლა სწავლის გაგრძელებაზე ფიქრიც მეტი იყო. ლიტერატურული მუშაობის პირობები დამძიმდა. ლექსა-პურისათვის ბრძოლა და... სულიერი სიმშლი; აღვილა საფიქრებელია, რომ ეს იწვევდა კრიზისის მის შემოქმედებაში.

ჯერ ისევ პირველ აფეთქებიდანვე, როდესაც ბრძოლას ყოყინით აღსაყვ მსეთ ენტუზიასტურ ლექსებსა პქმნიდა, როგორც არის მისი პოპულარული ლექსი: „მეგობრებო, წინ, წინ გასწით...“ საბედისწერო წინათგრძნობით ხედავდა იროდიონი მძიმე დაბრკოლებებით ნახერგილ გზებს (განსაკუთრებით მის პირად ცხოვრებაში იყო გადაულახავი დაბრკოლებანი) და აკი აღფრთოვანება-აღმაფრენას მყისვე უიმედობა, დაეკვება და კაეშანი სცვლის:

„როს ტოლთა შორის, ერთ წუთს, ერთ წამს ვივიწყებ ვარამს
და მოწვეულ ჭიჭას ალაგერდით მივუძღვნი სალამს,
როს ალტაცებით და იმედით აღფრთოვანებულნი,
ერთად დავძახით ხელი-ხელსა გადახვეულნი;
პე, მეგობრებო, შეგვხვდა ვამი შე-ბედ დღიანი, —
ჩვენ უნდა განველოთ უდაბური გზა ეკლიანი,
წინ წავუძღვება სიმათილეი ფარხმალიანი;
დღეს შევლას გენუკაგს დამაშვრალი თვალცრემლიანი;
მაწინ ვით ეღვა, ვით ისარი გამიელის მკერდსა.
გულში გამირბენს ერთი აზრი, მიკიდებს ცეცხლსა,
ფიქრობ, ვინ იცის რამდენს ჩვენგანს სიძნელე გზისა
ძალას მოუკლავს, შეადერხებს და დასცემს ძირსა.
ფიქრობ, რამდენი წაიხოქებს ეკლიან გზაზე
და ვინ აიტანს წამების ჯვარს იქ, გოლგოთაზე.“

პოეტმა იგრძნო, რომ მოსალოდნელი იყო წაჩოქება ეკლიან გზაზე, მაგრამ „წამების ჯვარი“ „გოლგოთაზე“ მან აიტანა...

მე იროდიონის ოჯახში მდმივად არა ებინადრობდი, ხან სხვა ნათესავებთან ვიმყოფებოდი, ხან ცალკე ოთახს ვქირაობდი. ერთხანად (1904—7 წლებს შორის) კონსპირატულ სტამბაში მუშაობის დროს, იქვე ვიყავი ბინითაც...

ერთ ზაფხულს, როდესაც იროდიონს ცოლშვილი სოფელში გაეგზავნა, მე იგი შემდეგნაირ გარემოებაში ვნახე. ნაქირავები პქონდა ბინა ვერაზე (ერთხანად ედოშვილის ქუჩა უწოდეს, ყოფილი წილკნის ქ.). შუშაბანდში ეღვა სამუშაო მაგიდა ზედ მრავალი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ეწყო; კმაყოფილება ეტყობოდა, რომ ძლივს მიეცა შემთხვევა საყვარელ საქმეს დასწავებოდა. იქვე მაღლა დაკიდულ ახალ, კოხტა გალიიდან იაღონის ნარნარი სტვენა ისმოდა, იროდიონი ამ „სულიერ მეგობარს“ სათუთ მზრუნველობას არ აკლებდა...

1902—4 წლებში იროდიონმა სოფლის მეურნეობის წამოწყება სცადა. ვენახის გაკაფვა განიზრახა, ვენახის თავში კალო გვექონდა მისი გაუქმებაც უნდოდა, აპირებდა თაშბაქოს პლანტაციის გაშენებას, მაგრამ საშუალო ძამაც და მამამაც წინააღმდეგობა გაუწიეს. ისიც იძულებული გახდა განზრახვაზე ხელი აეღო.

ქიზიყში იმხანად თამბაქოს წარმოება გაახშირეს, იროდიონიც ბიძაშვილებსა და თამბაქოს სხვა მწარმოებლებს შეუამხანავდა. თამბაქო აღაზანს გაღმა მღვდარე მინდვრებზე მოჰყავდათ და მის ალებ-მიცემობას აწარმოებდნენ. მაგრამ იროდიონმა ამ „ალებ-მიცემობაში“ თავნიც წააგროვდა. სახლში მყოფნი

სოფელში ყოფნის დროს იროდიონს უფროსმა ძმამ ორი მშვენიერი სანადირო ძაღლი გამოუგზავნა (მეძებრები). ერთი თეთრი იყო წითელი ხალებით, მეორე — მოშავო, მეტი წაბლისფერი. პირველს იროდიონმა „როზკა“ დაარქვა, მეორეს „სერაფიმე“. — ვგონებ სემინარიის რექტორისა თუ ინსპექტორის ბერ-მონაზონ სერაფიმეს „საპატიო“ მოსაგონებლად.

იროდიონი მეტად ანტაგინისტურად იყო განწყობილი სემინარიის მღვდლებისადმი, სკოლის ყოფილი ამხანაგებისადმი. იგი მათ აკაზაკებდა, ხალხის მძარცველებად, მატყუარებად და ფარისევლებად იხსენიებდა.

ახლაც გონების თვალწინ მიდგას ის სურათი, როდესაც იროდიონი ახლადმოთოვლილზე სანადიროდ მიდიოდა: მხარზე თოფგადაკიდებული ფეხაკრეფით მიემართება ტყიან ფერდობისაკენ და წვივზე ხელის დაკვრით ეძახის მეძებარს: „სერაფიმე, პოდიოში!“

ხან იროდიონს თავისებური „უცნაურობა“ გამოუჩენია, რაც სხვებისთვის გაუგებარი იყო. ერთხელ სოფელ მაჩხანთან სტუმრები დაებატიყნა: ამაღამ შეიღოს ნათლობა შაქვს და მოდით ბოდბისხევეშიო, სახლში მყოფნი ამის შესახებ წინასწარ არ გაუფრთხილებია. და როდესაც იროდიონმა მოწვეული სტუმრები მოულოდნელად მოიყვანა, მაშინ შეეუღეკით ოჯახში ვახშმის მზადებას. შემდეგ ჩვენებმა სუფრაზე სტუმრებთან მოიბოდიშეს.

იროდიონს სახლში არაფერი უთქვამს, თუ ამ დამით ნათლობას ფიქრობდა, ახალი პურის გამოცხოზა ვერ მოვასწარიო.

იროდიონი კარგა შეზარხოშებულს იყო, როდესაც სტუმრებთან ერთად შემოვიდა სახლში და შინაურებს გამოუტყდა: „ეს ჩემი მეგობრები და ნაცნობები ნათლობაში მყავს მოპატიებულნი“. თუმცა გვიან, მაგრამ მშვენიერი ვახშამი მოეწყო. ახლა მღვდლის შოვნა გაძნელდა. ზამთარი იყო, თოვლიანი. მღვდლებიც ვერ მოიყვანეს. ისინი ეკლესიის სენაკებში არ აღმოჩნდნენ, ალბათ სოფელ მაჩხანში, თავიანთ სახლებში იყვნენ წასულები. არ მახსოვს ვინ დადიოდა მღვდლის მოსაყვანად, როდესაც საქმი გაკირდა, თვითონ იროდიონიც შეჯდა ცხენზე და ორნი წაეიდნენ სოფლის თავში მღვდელთან. შუალამე გადასული იქნებოდა როდესაც შემოიყვანეს თოვლის ფანტელებში ვახევული ყაბალახჩამობურული მოხუცი მღვდელი, რომელსაც ორი შეზარხოშებული ცხენოსანი ყაჩაღებივით სახლში მიუხდნენ, ძალისძაღად ცხენზე შესვეს და წამოიყვანეს. საოცარი უფრო ის იყო, რომ მასპინძელმა (იროდიონმა) თავის სტუმარს, მოხუც მღვდელს კინაღამ შეურაცყოფა მიაყენა. პოეტი კარგად შემთვრალი იყო და აღარაგის ზოგავდა.

— ვაჰრები, სხვისი ოფლითა სცხოვრობთ, ვაჰრობა მძარცველობაა, უსვინდისობაა! — გაცხარებით ეკამათება იროდიონი დიმიტრი მაჩხანელის ძმისწულს, თავის კარგ მეგობარსა და სასურველ სტუმარს, რომელმაც აღარ იცოდა, როგორ ემართლებინა თავი.

— მაშაჩემმა ვაჰრობა მასწავლა და მე თავი დამნაშავედ არ მიმაჩნიაო, — უბასუხებდა იგი გულდამშვიდებით.

მოხუცი მღვდელი, რომელიც იროდიონმა განსაკუთრებით მიზანში ამოიღო იმ სუფრაზე, როგორც შემდეგ გამოირკვა, დიმიტრი ჯანაშვილი ყო-

ფილიყო... ისტორიკოსის ძმა და თვითონაც მწერალი. მას მრევლში აგრეთვე „ინგილო მღვდელს“ ეძახდნენ, რადგან საინგილოდან იყო გადმოყვანილი ბოლბისხევის ეკლესიაში მღვდლად.

— ახლადგადმოყვანილი მღვდელია, ძალიან მოხუცებულია, მაგრამ სქებენ. ხალხის მოყვარულიაო, ის უსათუოდ გამოგყვებათო, ეუბნებოდნენ შინაურები იროდიონს, როდესაც ნათლობისათვის მღვდლის შოვნა გაძნელდა.

სწამდა რომ არც იროდიონმა იცოდა, ვინ იყო ეს ღრმად მოხუცებული მღვდელი, რომელიც ღვინით აფორიაქებულ ახალგაზრდა მასპინძელს ხმრობაში უტარებდა და სულგრძელად უთმენდა ყველაფერს.

არც ქალები დაზოგა ჩვენმა პოეტმა, მისგანვე მოპატიებულ სტუმარ ქალთა შორის ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი იყო. სასიამოვნო გარეგნობისა, ქათინაურებს ჩეუული, მაგრამ იროდიონმა თავისი ყურადღება ამ ქალისადმი ცოტა არ იყოს უკმეხად გამოჰხატა:

— რა ძალიან თავი მოგაქვს, ხანიაც თავის შეგირდს ანა-ბანას ასწავლისო (ხანია ერთი მეღუქნე იყო, იმავე სოფელ მაჩხაანში საიდანაც ეს სტუმრები მოიწვია იროდიონმა).

— რა დავუშავე იროდიონს, რომ ასეთი შეურაცყოფა მომაყენაო! — გადმოსცივდა ცრემლები ბაბალე-მასწავლებელს.

— იროდიონი მთვრალია და ნუ გეწყინება, — ვბოდიშობდით ბაბალესთან შინაურები.

მეორე ოთახშიც გამოვიყვანეთ იროდიონი, ვეხვეწებოდით, თავი დაეწებინა ახირებული კამათისათვის.

ბოლოს მაინც ყველაფერი მშვიდობიანად გათავდა: მხიარული დროს გატარება, სიმღერა, ცეკვა...

1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. იროდიონი, როგორც სათადარიგო ოფიცერი ჯარში გასაწვევად მოიკითხეს. იროდიონი თბილისში ჩამოვიდა და აქ მუშაობაში ჩაება. ამ დროს იყო, რომ ეაგზლის მახლობლად ი. ევლოშვილის სახელითა თუ ინიციატივით გაიხსნა ღვინის სარდაფი, იგივე სასადილო „იმედი“ (ან „ბოლბისხევი“). მისი დანიშნულება იყო საიდუმლო კრებები (სასადილოს ნიღაბით), უმთავრესად რკინიგზის მუშებს შორის პროპაგანდა-აგიტაციის გაწევის მიზნით.

ძმები ვანო და შაქრო ნადირაშვილები, რომლებსაც იმხანად ეაგზლის ქუჩაზე ლუღის პატარა საწარმო ჰქონდათ, ახლაც მოიგონებენ ხოლმე ეპიზოდს აღნიშნულ სარდაფში კრების დროს პოლიციის თავდასხმის შესახებ.

ისაკო ალიხანაშვილი, რკინიგზის ყოფილი მუშა და სარდაფ „იმედის“ თანამშრომელი, დღესაც ცოცხალი მოწამეა იქ მომხდარი ამბებისა. მან მიაპბო:

— პოლიციის თვალისასხვევად იშლებოდა სუფრა. ერთხელ, როდესაც სიმღერა-ქეიფის ნიღაბით კრება ჩაეატარეთ, პროპაგანდისტი რომ წავიდა, იროდიონსაც ვურჩიეთ — წასულიყო, რადგანაც უბეში რამდენიმე რევოლვერი ჰქონდა ამხანაგებისთვის დასარიგებლად, თანაც ოფიცრის ფორმაში იყო გამოწყობილი და ვაფრთხილებდით, პოლიციას არ მოესწრო. მართლაც, წავიდნენ თუ არა პროპაგანდისტი და იროდიონი, პოლიცია თავს დაგვესხა... რევოლვერით დამადგნენ თავზე და მკითხავდნენ: ვინ იყო აქ ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი... ან აქედან სად წავიდაო.

— რა ვიცი ვინ იყო, აქ ბევრი ჩამოდის საქეიფოდ, ხომ ხედავთ სუფრაა გაშლილი-მეთქი, — მანაც წამიყვანეს უანდარმერიაში, თავბირში მერმდინენ, პირში რევოლვერის ლულა ჩამიდეს, მაგრამ რას გამოვტყდებოდი, შემდეგ მეტეხშიაც ჩამსვესო.

ვასო ბერძენიშვილი, იროდიონის ცოლის მამიდაშვილი თანამონაწილე იყო იროდიონის მიერ განჯის ცეიხაუზიდან კონსპირაციულად თბილისში ჩამოტანილი იარაღის გადაძალვისა და შემდეგ მუშათა მოძრაობის ავან-გარდში გაერცელებისაც. ამ ფაქტს მეც შევსწრებივარ იროდიონის ოჯახში თბილისში. ეს იცოდა აგრეთვე იროდიონის მეუღლემ.

ვანო ნადირაშვილი იროდიონთან ძალიან დაახლოვებული ყოფილა 1905 — 7 წლებში და მისი თანამოაზრეც იყო რევოლუციურ საქმიანობაში. მას არაერთხელ უამბნია ჩემთვის სხვადასხვა ეპიზოდი. როდესაც 1904—5 წლებს შორის იროდიონი, როგორც სათადარიგო ოფიცერი, განჯაში იმყოფებოდა და იქ ცეიხაუზის გატეხვასა და იარაღის გამოტაცებას აწყობდა, უქვევლია მას მოკავშირეებიც ეყოლებოდნენ, მაგრამ მათ შორის ერთი გამცემი აღმოჩნდა, რამაც ხელი შეუშალა გეგმის მთლიანად შესრულებას.

იმ დროს იროდიონის ცოლშვილი თბილისში იმყოფებოდა. ყოფილ ალექსანდრეს ქუჩაზე ცხოვრობდნენ. მე სოფლიდან ახლად ვიყავ ჩამოსული და ზოგი რამ ჩემი თვალთ ვნახე. იროდიონი განჯიდან მოულოდნელად ჩამოვიდა, თან რამდენიმე „ბერდანკა“ ჩამოიტანა და აგრეთვე ორიოდე რევოლვერიც. იგი პოლკიდან გამოპარული იყო, რადგან პოლკის უფროსს გაეფრთხილებინა, დაუყოვნებლივ თავს უშველე, თორემ ნაბრძანები მაქვს ამაღამვე დაგატუსალო, რადგან დაბეზღებული ხარო, — საბუთიც ეჩვენებინა.

ვანო ნადირაშვილმა იროდიონის რევოლუციური საქმიანობიდან სხვადასხვა ეპიზოდები მიაგმო.

— იროდიონს ჩემთან იარაღი, არალეგალური ლიტერატურა, ხელთნაწერები და კლიშეები ჰქონდა მობარებულიო, — სთქვა ვანომ, — უცებ მთელ ქუჩას ალყა შემოარტყეს, პოლიცია ჩემს მალაზიას ეზოდანაც კი ყარაულობდა, გაგეჩხრიკეს, მაგრამ იარაღს ვერ მიაგნეს, საქონლის ჭკეშ მქონდა დამალული. წაიღეს მხოლოდ ხელთნაწერები და კლიშეები; კლიშეებს ვერა გაუგეს რა და ისევ დააბრუნესო. მალაზიის მოსამსახურე ბიჭს თურმე ბევრი სცემეს, — აქ იარაღია დამალული და გამოტყდიო, მაგრამ ვერ ვამოსტეხეს.

იროდიონს 1905 წელს დაწერილი აქვს ალეგორიული ლექსები „ავად არის ტარტაროში“, „გაეასვენოთ ჩემი ბიძა“.

ომვე ვანო ნადირაშვილმა ზეპირად გადმომცა იროდიონის ერთი დაუბეჭდავი ლექსის ნაწყვეტი, ეს ლექსი 1905 წლის შემოდგომიდან ხელიდან ხელში გადადიოდა:

„დადგა დრო, დაჰკრა საათმა,
გაეშალათ დროშა თამამი.
მტარვალი ცეცხლით მოიწვეს,
ჩვენც ტყვიით მივეთ სალამი,
ჩვენ მოგეაქვს თავისუფლება
დაკოტრებული ხელებით.
ძირს მეფე, ტახტის მონები, —
აწ აღარ გაეთივლებით.“

გამოდი, მეფე უგანოც,
დასტები, მტარვალო, სისხლითა,
გნახე — ამოსწყდე ერთიან,
ძირიან შეილის-შეილითა.
ძალი გჯობია, ქუჩაში
ის დაღის თავისუფალი.
შენ კი დაეკტილ დარბაზში
ილოცე ცა და უფალი...“



ამ წამთარს ვინახულე ძველი სცენისმოყვარე მუშა-ასოთამწყობა, ივანე ინასარიძე, რომელმაც მითხრა:

იროდიონ ევლოშვილს განჯაში შევხვდი. აკაკი წერეთლის ავადმყოფობის გამო აკაკის სასარგებლოდ წარმოდგენა დავდგით, იროდიონი ამ წარმოდგენის ინიციატორი იყო, საერთოდ მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ საქმეშიო.

განჯიდან ჩამოსვლისას იროდიონმა იქ მომხდარ სომეხ-თათართა ქლეტის შესახებ თავის მეუღლეს შემდეგი უამბო:

— ვიდრე განჯის სადგურზე მივიდოდი, გზაზე ასეთი სურათი დავინახე: აწიოკებულო, გაძარცული სომეხი ქალები, ბავშვები თუ მოხუცი ტირილითა და თავბირის ხოცვით შორი-ახლო მისდევდნენ ნაძარცვით დატვირთულ თათრების ურმებს. მძარცველ ბრბოს ვერ ვესროლე და მხოლოდ კამეჩი მოვუკალი. თათრებმა ურემი მიატოვეს, მუქარითა და ყიყინით რკინიგზის სადგურისკენ წაივინდნენ. სომეხებმა ნაძარცვი დაიბრუნეს, მაგრამ სახლკარი გადამწყვარი ჰქონდათ და სად უნდა წასულიყვნენ, თავშესაფარი აღარ გააჩნდათ, ორმოცამდე სული ღრობებით ყაზარმაში დავაბინავე და მე ისევ სადგურისკენ გამოვეშურეო.

ვანო ნადირაშვილმა ეს ამბავი უფრო ვრცელ და საინტერესო ვარიანტით გადმომცა: ამ უკანასკნელის ნაამბობით იროდიონს ჯარისკაცთა ერთი რაზმეული ჰყოლია თან დაზარალებულ სომეხთა წასამველებლად, თათართა გააფთრებულ ბრბო ორჯერ პაერში სროლით შეუჩერებია, ისინი თურმე აწიოკებულ და გაძარცულ სომეხებისაკენ იწევდნენ მუქარით, როდესაც ეს უკანასკნელი მისდევდნენ ნაძარცვით დატვირთულ ურემს, მისწვნიან და უკანვე დაებრუნებინათ თაიანთი ქონება. რადგან მესამედ სროლის შემდეგ თათრებს ნაძარცვი მიუტოვებიათ, სომეხები გახარებულნი თურმე იროდიონს მადლობით მუხლებზე ეხვეოდნენ. მაგრამ როდესაც იროდიონი რკინიგზის სადგურზე მისულა თბილისში წამოსასვლელად, „გაგულისებულმა თათრებმა კინაღამ მომიმწყვდიეს და შური იძიეს. როგორც იყო თავი დავაღწიე და მატარებელს შევახტეო“.

1904—5 წლიდან იროდიონს თვალყურს ადევნებდა საიდუმლო პოლიცია. ერთ ზამთარს. 1906—7 წელს კიათურაში გააჩიდა თავი ამ მეთვალყურეებს. კიათურის ძველი მუშები იროდიონს საკმაო სიმპატიით იგონებენ.

იროდიონს იმ დროს უკვე ოთხი შვილი ყავდა: ერთი ვაჟი და სამი ქალი. მატერიალურად მძიმე პირობები, პოლიტიკური რეაქცია, იმედების დამშობა, აღბეჭდილია იმხანად დაწერილ მის ლექსებში: „ციხე“, „საფლავიდან“, „ოხ, მოვიღალე“ და სხვ.

იროდიონი მაშინ ჯერ არც ციხეში იყო და რა თქმა უნდა არც საფლავში. მაგრამ შავი რეაქცია თავისუფლებისათვის მებრძოლ პოეტს ციხესა და საფლავს უმზადებდა, რაიც მან აღრევე განჰკრიტა.

„ამას აღზრდენ, რომ კვლავ ცოდვა არ ჩაიდინოს,
იმას ამწყვედვენ, დედამიწა რომ არ წაწყვიდოს.
ზოგს თვალებს სობრიან, ესმინათ რომ არ იტიროს,
ზოგს ამშვიდებენ ბორკილებით, რომ არ ირბინოს“...



მაგრამ შავი რეაქციით სულშეხუთული პოეტი კვლავ მოქმედებისაგან მოუწოდებს დროებით შეფერხებულ იმედებსა და ბრძოლის ტალღებს:

ობ, მოვიღალე, კმარა, ხომალდო,
ამდენხანს დგომა წყნარ ნავთსადგურში,
გასწი, გაეშორდეთ მდორე ნავთსადგურს,
დეე, ფრთა გაპკრას ჩანგს ქარიშხალმა“.

ის „მერცხალი“ წინა წლებში „კვალის“ რედაქციაში რომ მიფრინდა, გაზაფხულის მახარობლად, — 1904-5 წლებში იროდიონს ისევე მოეგლინა. დაუშვებობა... პოეტის გულში აღაგზნო ადრევე განუხორციელებელი ოცნების ალი: უმადლესი ჟურნალები, უნივერსიტეტი, მოსკოვი... მაგრამ ოჯახურ უღელში გაბმულ მგოსანს ოცნების ფრთები მყისვე შეეკეცა.

ამგვარად იროდიონმა თავისი ბუნებრივი ნიჭი ვერ ასაზრდოვა სათანადო განათლებით. იგი განაგრძობდა მუშაობას ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ჰონორარს იშვიათად თუ იღებდა; სისტემატურად მხოლოდ საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“ აძლევდა ჰონორარს, სადაც იროდიონი რამდენიმე წლის განმავლობაში თანამშრომლობდა.

იროდიონის ოჯახი ყოველთვის ბავშვებით იყო ხოლმე ახმურებულო, ნათესავეებიც ხშირად ეკრიბებოდნენ, იროდიონი ჩვენთან ყოველთვის მოღიმარე იყო. ოხუნჯობა, გართობა უყვარდა. ცოტათი გიტარაზედაც უკრავდა. განსაკუთრებით უყვარდა ერთი რომანსიდან დამღერება სიტყვებისა:

„როდესაც მომთხოვ საქმეს საგმიროს,
თუნდ მტრის ლახვარმაც მომკლას, გამგმიროს“.

როდესაც მის ოჯახში ნათესაობა ან მეგობრები მოვიდოდნენ, იროდიონი დარდიმანდობის გუნებაზე დგებოდა. სასმელს ეტანებოდა, მაგრამ შესამჩნევად ნასვამი-მთვრალს ვერაიენ ნახავდა, განსაკუთრებით გარეთ, ქუჩაში. დვინოს მშვენიერად იტანდა, ნასვამი არასოდეს ცუდ გუნებაზე არა ხდებოდა; პირიქით, გეჰმზიარულეზბდა და ტკბილად ლილინებდა ხოლმე: „კოკობო ვარდო, არ დამაგდო“... და სხვა. ცოტას წაიძინებდა და გამოფხიზლდებოდა. დამლამობით კი, როდესაც ყველანი ვწვებოდით დასაძინებლად, იროდიონი საწერ მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა.

1908-9 წლებში იროდიონი ცხოვრობდა იზმაილოვისა და გუნების ქუჩების კუთხეში, ბანკის სახლებში. ჯერ ჭედა საართულში, შემდეგ ზემო საართულში გადავიდა. საწოლი ოთახიდან ირიბი კუთხე, საბარგე კონკრული კედლით იყო გადაყოფილი. იქ ჰაერის მოძრაობა, გაწმენდა მოუხერხებელი იყო თუ საწოლ ოთახიდან კარს არ შეეხსნიდით. ერთხანს იროდიონმა თავისი საწერი მაგიდა იქ დაიდგა, დღისით მუშაობა წამოიწყო და კარი მიიხურა, რომ ოჯახის ხმაურობისაგან განცალკევებულიყო. მაგრამ ორიოდვე საათის შემდეგ თავბრუდასხმული და გადაფიქრებული უკებ გამოვიდა იქიდან და ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა. ხოლო იმ სამკუთხედ კუნძულში, სადაც პატარა საწერი მაგიდა და სკამი ძლივს მოთავსდა, პაპიროსის ბოლი ნისლივით დამდგარიყო.

სანდრო შანშიაშვილი, იმ დროს დამწყები ახალგაზრდა პოეტი, იროდიონ-
თან ხშირად მოდიოდა ხოლმე. იროდიონსაც სანდრო უანსაკუთრებით
უყვარდა და მეტსახელად „ჩაფრა ჩიტს“ ეძახდა.

1909 წელს იროდიონი ამ ბინაზე გაჩხრიკეს და დააპატიმრეს.
თუმცა მუდმივი ბინა იმხანად მე იროდიონის ოჯახში შენონდა, მაგრამ
ჩხრეკასა და დაპატიმრებას არ შევსწრებივარ, რადგან ნათესავთან ვათიე
რამდენიმე დღე.

1909 წლის 21 ოქტომბერს, ნაშუალაშვეს ეანდარებმა იროდიონის ბინას
ალყა შემოარტყეს, გაჩხრიკეს და წაიღეს „ხლებ ი ვოლიას“ თარგმანის
ხელნაწერი. გარდა ამისა წაეღოთ ზოგიერთი წიგნები, ხელნაწერ ლექსთა
რეკულები, წაეღოთ იროდიონის სამხედრო სამსახურიდან შემორჩენილი
ხმალიც კი. იროდიონი იმ ღამეს არ წაუყვანიათ, ეანდარები ეწვივნენ მეო-
რე ღამესაც და დააპატიმრეს იგი.

დანამდვილებით ვიცი, რომ იროდიონი „ხლებ ი ვოლიას“ თარგმნიდა,
წიგნის ნაწილი უკვე გადათარგმნილი და გადაცემული ჰქონდა იმათთვის,
ვინც შეუყვებოდა. დანარჩენის თარგმნას განაგრძობდა.

გამოძიების დროს იროდიონის ძველი საქმეებიც გამოჩხრიკეს, გარდა
„ხლებ ი ვოლიას“ თარგმნის ბრალდებისა, მას ბრალი დასდეს აგრეთვე,
როგორც მეფის მთავრობის ოფიცერს, რომელიც 1905 წელს შეიარაღებუ-
ლი აჯანყებისათვის მზადებაში მონაწილეობდა: იარაღს ავრცელებდა, რეი-
ნიგზის მუშებს შორის, აგიტაციას ეწეოდა სასაღილო „იმედში“ და სხვა. ეს
უკანასკნელი ბრალდება უფრო მძიმე იყო პირველზე და მას ერთი წლით
მეტეხის ციხეში პატიმრობის შემდეგ 3 წლით ციმბირში ვადასახლება მიუ-
საჯეს.

ეანდარმა სამმართველოში დაეთხებაზე დაიბარეს იროდიონის მეუღლე.
დამიბარეს მეც, წიგნები, ხმალი და იროდიონის ლექსების ხელნაწერი რეკ-
ულები დაგვიბრუნეს, დაიტოვეს მხოლოდ „ხლებ ი ვოლიას“ თარგმანი.

1910 წლის გაზაფხულმა იროდიონს მეტეხის ციხეში მოუსწრო. „სახალ-
ხო გაზეთში“ დაიბეჭდა ჩემი პატარა ლექსი სათაურით: „ჩემს ძმას, დატუ-
სალებულს“. ამის საპასუხო გამოძახილია მეტეხის ციხეში დაწერილი ირო-
დიონის ლექსი: „ია“.

დაპატიმრებული შვილის სანახავად დედა სოფლიდან ჩამოვიდა. ამის გა-
შობა დაწერილი იროდიონის ლექსი „დედას“.

„ჩემს ბნელ ციხეში მოულოდნელად
მეწვია დედა მოხუცებული,
დღიდან სიყრმისა აღარ მიგრძენია
ასე შშობლისა მე სიყვარული
...ნუგეში შტირალს, წენ ეს არ ვინდა,—
მომესმა უცებ და ამართოლა,
ვინც საფლავშიაც ცოცხლად ჩავიდა
მას იქაც მართებს ბრძოლა და ბრძოლა“...

ციმბირის სასტიკმა ჰავამ და მძიმე პირობებმა იროდიონის ფილტვებში
უკუჩრებელი სენი, კლექი ჩაასახლა. ექიმების დამოწმებითა და ზოგიერთ
პირთა შუამდგომლობით იროდიონი ვოლოჯდის გუბერნიიდან ასტრახანის
გუბერნიისაში, „ჩორნი იარში“ გადაასახლეს. იქიდან იროდიონმა რამდენიმე
დღით მოახერხა არალეგალურად ჩამოსვლა თბილისში. ამ გამოპარვას იგი

„გადმოფრენას“ ეძახდა. რადგან ცოლშვილის ბინაზე გამოჩენა საზოგადოებრივ იყო, იროდიონმა მეუღლითა და უმცროსი ბავშვით ჩვენთან გაატარა ის დღეები. (სხვა ბავშვები სოფელში იყვნენ გაგზავნილნი, ზაფხულში კი ირადღეების გამო). მე უკვე გათხოვილი ვიყავი, ეცხოვრობდით შიშვენიერებაში; ჩემი მეუღლე ნიკო კურდღელაშვილი (მწერალი ნარკანი) აღრიდგანვე მეგობარი იყო იროდიონისა. ათიოდე დღეში იროდიონმა მოინახულა თავისი ბავშვებიც, ნათესავ-მეგობრებიც და ისევ გადასახლების ადგილზე დაბრუნდა.

სამუდამოდ განთავისუფლება მხოლოდ მაშინ აღირსეს, როდესაც დარწმუნდნენ, რომ მას დიდიხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა. იროდიონი გადასახლებიდან დაბრუნდა 1912 წელს, მაგრამ მისი ფილტვები უკვე იარებით იყო სავსე. წალვერში და სოხუმში მკურნალობამ მას ჯანსაღობა ვერ აღუდგინა. უკანასკნელად მინდა აქ გავიხსენო 1915 წელს დაწერილი ლექსიდან შემდეგი ადგილი:

მე ფერფლი-და ვარ ცეცხლზე დამწვარ საღამურისა,
მე კენესა-ღა ვარ, შევლის კენესა განგმირულისა.
მე ვარ ორბის ფრთა მოტეხილი, მოდუნებული,
მე ვარ ბუჭის ძირს მიგდებული მკვდარი ბუღბული“.

1915 წელს, იმპერიალისტური ომის დროს იროდიონი, როგორც სათადარიგო ოფიცერი, კიდევ მოიკითხეს ჯარში, ამ უსიამოვნო გარემოებამ მისი ავადმყოფი ფილტვებიდან სისხლის ამოქცევა გამოიწვია. იროდიონი იმ დღით „სახალხო ფურცელის“ რედაქციაში იყო. იქიდან გამოსვლისას ყოფილ ერევნის მოედანზე ტრამვაის ვაგონში ასვლის დროს სისხლის ამოქცევამ შელება ცხვირსახოცი. იროდიონმა აფთიაქს მიაშურა, იქ მაშინვე დაწვა, რომ სისხლის ამოსვლა შეჩერებულიყო. ხმის ამოღება არ შეიძლებოდა, ზელებით ანიშნა დამეხმარეთო, როდესაც გამოირკვა, რაშიც იყო საქმე, სწრაფდამხმარე ეტლით სახლში მოიყვანეს.

1916 წლის გაზაფხულზე სოხუმში ყოფნის დროს სიკვდილთან ბრძოლის გადამწყვეტი წუთების მოახლოება იგრძნო და თბილისში დაბრუნება მოითხოვა. თბილისში ჩამოყვანილი ის უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, სულთმობრძავი. ათიოდე დღე კიდევ სუნთქავდა წამებულის უმაგალითო ტანჯვით და 2 მაისს, ღამის 4 საათზე გათავდა მისი წამებაც და სიცოცხლეც. 1873 წლის მაისში იყო დაბადებული და მაისშივე გარდაიცვალა 1916 წელს, დაბადებიდან 43 წლისა.

მისიელ მოგონი

ქართული ხალხური სიმღერები პარიზში 1906 წელს

1905 წლის ნოემბერში, მეფის ცნობილი „მანიფესტის“ შემდეგ, თავი ამოყვეს „ქეშმარიტ რუსებისა“ და „შეერაზმელების“ ბანდებმა. გახშირდა ინტელიგენტთა ხოცვა-ჟლეტა, მაღაზიების ძარცვა, დაწესებულებებისა და კერძო ბინების დარბევა. თბილისის ქუჩებში სიარული არა თუ ღამით, დღისითაც კი არ შეიძლებოდა, სასწავლებლები და თეატრები დაიხურა და, ვისაც შეეძლო, სოფელში გარბოდა.

ამ ამბებმა ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემს მეუღლეზე, მსახიობ ნინო ჩხეიძეზე, იმდენად, რომ ნერვების მწვევე მოშლილობით აედა გახდა. პირველ ხანებში ძალიან დაბნეული ვიყავი. სადმე წაყვანა და მკურნალობა იმ პირობებში შეუძლებელი იყო. კოტე მესხმა მიჩაია:

„თუ რაიმე საშუალება გაქვს, საზღვარგარეთ, პარიზში წაიყვანე. ნუ გავიკვირდება: პარიზს კარგად ვიცნობ, კარგად მოეწყობით, იქ სიმშვიდეა, სამკურნალო პირობებიც ბევრია და კარგია. იქაურ ქართველებს გაეცნობით, მოგივლიან. აქ კი რამდენ ხანს გასტანს ეს საშინელება, ვინ იცის, ვაი თუ ნინოს ავადმყოფობა გაძლიერდეს და ცუდი ბოლო ექნეს. ნუ გეშინია, გაბედე, ახალგაზრდები ხართ და ყველაფერი კარგად იქნება!“

მართლაც, გაბედე! მესამე დღეს უკვე ბათუმში ვიყავით და გეწყობოდი. ფრანგულ გემზე, რომელიც იმერეთის ლობიოთი და კვერცხით იტვირთებოდა.

სტამბულამდე ოთხი დღე ვიმგზავრეთ. ზღვა ისეთი მშვიდი იყო, თითქოს უამრავი ტონა ზეთი დაასხესო. ასეთ ზღვაზე მოგზაურობა ნინოს ძალიან მოუხდა, შევატყვე, რომ მისი მკურნალობის პირველი სეანსი დაიწყო. შემდეგ გავიარეთ: სტამბული, აღმოსავლურად ლამაზი და აღმოსავლურადვე ცხოველი; ვენა, სადაც რამდენიმე ქართველი სტუდენტი ვაგიცნოთ; გერმანიეთის შვეიცარია, რომლის განთქმული სილამაზის დიდ მოლოდინში ვიყავით. მართლაც მთების, ტყეების, ტბების სიდიადე არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, თითქოს მთელი ეს ბუნება ხელოვნური, დიდი არქიტექტორ-დეკორატორის ნახელავი იყო. სოფლები, დაბები, პატარა ქალაქები (მაგალითად, ციურიხი) ძალიან სუფთა, თითქოს ლაქწასმული მაკეტებად მოგვეჩვენა. ყველგან—საქვეითო და საცხენოსნო გზები, სადგურები, ტყის ნაპირები, ვაგონი—აქრელებული იყო წარწყმელობით: „აქრძალუღია“, „ნებადართული არ არის“. ამ ყოველნაირმა შეზღუდვამ ჩვენზე, საკმაოდ „ველურ“ ხალხზე, მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

სულ გვეშინოდა როგორმე წესი არ დაგვერღვია. ხალხი—დინჯა, მძიმე, წარბშეკრული, პირქუში გამოხედვით, უსიცოცხლო. არ გაგვიგონია არც სიცილი, არც ყვირილი, არ დაგვინახავს მომღიმარე სახე, ყველაფერი ძალიან მოსაწყენი იყო. მაგრამ, როდესაც მეორე დღით გერმანეთის მედიცინისა და საფრანგეთის მოსაზღვრე სადგურში მივედი და გერმანული ოთახიდან ფრანგულ ოთახში გადავედი, სასიამოვნოდ გაგვაყრუა ყოველნაირმა ხმაურობამ—ხმამაღალი ლაპარაკი, ყვირილი, სიცილი, ხუმრობა, მომღიმარი სახეები, ცხოველი ექსტიკულაცია, ყოველივე ეს ისე უეცრად დაგვეცა თავს, რომ ნინომ ხუმრობით მითხრა „შესტაფონში ხომ არ მოველითო?“ მართლაც, ფრანგების დამახასიათებელი თვისება, მხიარული სიცხოველე, თვით პარიზამდე ჩვენი თანამგზავრი იყო.

პარიზში ნაშუალამეჭს მივედი და მეორე დღესვე ცენელ ქართულ სტუდენტებსაგან წამოღებული მძამართების დახმარებით მოენახეთ პარიზელი ქართველი სტუდენტები. ორი-სამი დღეც არ გასულა, რომ თითქმის მთელი ქართველი სათვისტომო გავიცანიეთ: მათ შორის იყვნენ ელო ანდრონიკაშვილი—დღეს საქ. რესპ. დამსახურებული არტისტი; მოქანდაკე იაკობ (იაშა) ნიკოლაძე და მრავალი სხვა.

სხვებზე უფრო ელო ანდრონიკაშვილს, არჩილ ავალიშვილს, ზინა ყორღანიას და ანეტა ოქრომჭედლიშვილს შევეთვისეთ.

მოხერხებული ზინა ლათინურ უბანში, კეების საკითხი და საერთოდ ცხოვრების ყოველნაირი წვრილმანი იკისრეს და მოგვიწყვეს ჩვენმა ახალმა მეგობრებმა; რუსული ენის გაკვეთილებიც კი მიშოვნეს რუსეთიდან გადმოხვეწილ შეძლებულ ოჯახებში, ასე რომ მატერიალურად უზრუნველნი გავხდით.

ამის შემდეგ ნინოს მკურნალობის საკითხს შეუდგენ. ამისათვის გაგვაცნეს, ახალგაზრდა ექიმი, ოდესელი რუს-ებრაელი ციკლისი, რომელიც პრაქტიკულ მუშაობას აბარებდა პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში.

გამოკითხა. თუ არა ნინოს ავადმყოფობის ამბავი, ციკლისმა განიზრახა მისი წაყვანა ცნობილ პროფესორ-ნევროპათოლოგ ბრისოსთან. ეს ძალიან ძნელი საქმე იყო, რადგანაც ბრისო ავადმყოფებს სახლში არ იღებდა, მუშაობდა მხოლოდ კლინიკებში და თავის სამეცნიერო კაბინეტში. მასთან არც პროტექცია ვადიოდა, არც პონორარი. ციკლისმა ყოველივე მოახერხა და ბრისომ ნინო არა თუ მიიღო, არამედ განსაკუთრებული ყურადღებით გახიზნა, გამოკითხა, დაუნიშნა შესაფერი რეჟიმი და დაავალა ციკლისს, რომელიც თარჯიმანად იყო, ამ რეჟიმს შესტად დაეცა, პონორარზე კატეგორიული უარი თქვა და მერე ნინოს უთხრა:

„ნამდვილ, წრფელ არტისტებისთვის ნერვები მათი წარმოების სათუთი იარაღია. ძნელი ადვილად ითვისებენ და მწვავედ განიცდიან დიდ მოვლენებსა და ამბებს და ამ განცდებს სცენიურ სახეებში ახორციელებენ, მათთვის ეს აუცილებელია, ეს მათი სპეციალობაა. ამიტომ ნუ გეშინიათ. თქვენმა მოგზაურობამ, ცხედავ, ოღონაედ მაინც დაგამშვიდათ, თავს ხომ უკეთესად გრძნობთ? ამიტომ დამიჯერეთ, ძალიან მალე კარგად იქნებით. შედეგი მაინცნობეთ, თუ კიდევ მოისურვებთ ჩემს ნახვას, მოზრძანდით მოურიდებლად...“

ბრისოს დავალებას წინოს რევიმის შესახებ ციკლისი ზუსტად ასრულდება. შემდეგ, როდესაც წინოს მოლოგინება დასჭირდა, მოაწყო თერაპიულ-ფესორ ტარნიეს კლინიკაში, სადაც მედპერსონალი ისეთი ყურადღებით მოექცა, რომ არც დიდ მარტობას განიცდიდა, არც ფრანგული ენის არცოდნას. საერთოდ, ეს ადამიანი ჩვენი პარიზში ყოფნის დროს, ბევრს გვიწყობდა არა მხოლოდ მეურნალობის საკითხებში, არამედ ცხოვრების წერილმანებშიაც.

ჩვენთვის სრულებით უცხო ადამიანებმაგან ასეთი უანგარო ყურადღება, მზრუნველობა და პატივისცემა ძალიან გვესიამოვნა და თანაც გაგვაკვირვა და გაგვაოცა. ბოლოს და ბოლოს ვერ მოვიტოვინეთ და შევეკითხეთ პარიზელ ქართველებს, თუ რით აიხსნებოდა ეს ამბავი? და აი რა მიაშბეს: ოდესის უნივერსიტეტში მუშაობდა ახალგაზრდა ნიჭიერი ქიმიკოსი საბა კლდიაშვილი. რამდენიმე თვის წინათ ებრაელების დარბევის დროს ქუჩაში გავიდა ებრაელების დასაცავად და შვერაზმელებმა ვერაგულად მოკლეს ეს ნიჭიერი მეცნიერი. ციკლისმა სთქვა:

„ქართველმა ადამიანმა თავი შესწირა ჩემს მოძმეთ. ამ წმინდა ადამიანის სისხლის თვითღული წვეთი ებრაელებს ავალებს ყოველ ქართველს პატივი სცეს და ეს ვალი რითიმე მაინც გადაუხადონ“.



დეკემბრის შუა რიცხვებში გავიგეთ, რომ პარიზში განზრახული იყო „კავკასიური საღამო“. საღამოს მოთავე იყო „პარიზის სოციალური მეცნიერების უმაღლეს სკოლასთან“ არსებული „კავკასიური საზოგადოების“ გამგეობა. სკოლა დაარსებული იყო რუსეთის ცნობილ მოღვაწის, მაქსიმ კოვალევსკის მიერ. მის დაარსებაში სხვა მოღვაწეთა შორის აქტიურ მონაწილეობას იღებდა, საფრანგეთის ცნობილი მწერალი რომენ-როლანი, იმ დროს კი — მუსიკის ისტორიის პროფესორი სორბონში და მუსიკალური ჟურნალის Mercur musical-ის ერთ-ერთი რედაქტორი. ამ სკოლასთან არსებული „კავკასიური საზოგადოება“ მიზნად ისახავდა კავკასიაში დაბადებული და აღზრდილი სტუდენტების მატერიალურად დახმარებას, ჰქონდა ურთიერთდახმარებ საღარო, ბიბლიოთეკა, აწყობდა იაფფასიან სასადილოებს და სხვა. საქმეებს აწარმოებდა გამგეობა, რომლის თავმჯდომარედ იყო მადამ რები (პროფესორ ორიენტალისტის რების მეუღლე, თვითონ ჩამომავლობით ალავერდიანის ქალი დღეშეთიდან). მდივად კი არჩილ ავალიშვილი. ამ გამგეობის სხდომებს პერიოდულად ესწრებოდა უმაღლესი სკოლის გამგეობის ზოგიერთი წევრი, მაგალითად, რომენ-როლანი, რომელსაც აღმოსავლეთის მუსიკა აინტერესებდა, განზრახულ საღამოს პროგრამაში კი კავკასიური მუსიკა (სიმღერები და ცეკვა) იყო შეტანილი.

რევიმსავე საერთო პროგრამა — კონცერტი სამ განყოფილებად, კავკასიური სიმღერებით და ცეკვებით. თითო ეროვნებას — ქართველებს, სომხებს და კავკასიაში დაბადებულ რუსებს — თითო განყოფილება ჩააბარეს. დაწვრილაპითი პროგრამის შემუშავება, გუნდის შეკრება-მომზადება და ცეკვების შესრულება თვითღული ეროვნების ჯგუფს დაავალეს იმ პირობით, რომ ჯგუფი თვითმოქმედების წესით იმუშავებდა. გამგეობა ითვალისწინებდა იმ ინტერესს, რომელიც რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ გამოიწვია ევროპისა და კერძოდ პარიზის საზოგადოებაში. კავკასია კი, პარიზის საშუალო ფენების აზრით, რევოლუციის ნამდვილი ბუდე

იყო. ეს საღამო თავისებური სენსაცია უნდა გამზდარიყო, პარიზისათვის კი ყოველნაირი სენსაცია ყოველთვის გემრიელი ლუკმა იყო, ამიტომ გამგობას თავისი დაძმარე საღამოს გაძლიერების დიდი იმედი ჰქონდა.

მომავალმა საღამო-კონცერტმა ძალიან დაგვიანტერესა ადგილობრივი მუსიკალური ცხოველებით ამ განზრახვის მსვლელობას. სამდღეამდელი მსვლელები მოვიდნენ ელო და არჩილი და გამგობის სახელით გეტხოვეს მონაწილეობა მიგველო კონცერტში.

„რანაირად, რითი?“ შევეკითხეთ.

„ქნ ნინოს ვერ შეეაწუხებთ, ჯერ კარგად არ არის“ — გვითხრა ელომ, „მაგრამ თქვენ, მიხეილ, ხელოვნების მუშაკი ხართ, მუსიკას იცნობთ, მამა თქვენის, ცნობილ მომღერლის და მუსიკალურ მოღვაწის, ქართულ ხალხურ სიმღერების შემკრების, ფილოზონ ქორიძის შვილი ხართ, თქვენ ადვილად შესძლებთ ქართული გუნდის გაწვრთნას და კონცერტისათვის მომზადებას. იქისრეთ ეს საქმე, ჩვენ კი ყოველნაირ პირობებს შეგიქმნით, რომ მუშაობა გაგვიადვილოთ“.

„რა ვქნა“, ვუბასუხე: „განა ლობაზრობისა და ღირიფორობის ნიკი მემკვიდრეობითა? ესეც არ იყო, ამ დარგში თავის დღეში არ მიმუშავნია. არა, არ შემიძლია, რომ დაეთანხმდე კიდევ, ჩემი მხრივ დიდი თავხედობა იქნებოდა: ჩვენს სიმღერებსაც, თქვენს და ჩემ თავსაც შევეარცხვენ, მით უმეტეს — პარიზში, სადაც საზოგადოება განებიერებულია და სადაც ამდენი მკაცრი კრიტიკოსია. ამიტომ კატეგორიული უარი უნდა გითხრათ“.

სამი დღის შემდეგ ელო და არჩილი ისევ მოვიდნენ და მიაშბ ს, რომ ქართულ გუნდს უხელმძღვანელებს ვინმე მულუნია, ახალგაზრდა მონღერალი, პარიზის კონსერვატორიის მოწაფე და თან დასძინეს, რომ მულუნია მიცირეაზიელი სომეხია და ქართული სიმღერები არასოდეს არ გაუგონიაო. უშოვეს საიდგანდაც ზ. ჩხიკვაძის მიერ შედგენილი ქართული სიმღერების სასკოლო კრებული და ამ მიცირე მასალით უნდა ისარგებლოსო. თითონვე წუხს და ამბობს, რომ თუ ვინმე, ქართული სიმღერების ოდნავად მაინც მცოდნე არ დაეხმარება, შესრულებას არა თუ ეროვნული ელფერი ექნება, არამედ სულ არ შესდგებაო.

ამ დროს მადამ რები მოვიდა. ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე პატარა ტანის, შავგვრემანმა, ახალგაზრდა, ენერგიული, ცხოველი და მეტყველი სახის, ქართულად თავისუფლად მოსაუბრე ქალმა. მისეღლისთანავე გამოგვკითხა: „როგორი ამბები მოგვიტანეთ საქართველოდან? როგორ იმგზავრეთ? ახლა თავს როგორა გრძნობთ? პარიზი როგორ მოგწონთ? ხომ არაფერი გჭირდებათო“ და სხვა ამგვარი. შემდეგ გადავიდა კავასიურ საღამოს მოწყობაზე და კერძოდ ქართული გუნდის ხელმძღვანელობაზე. მასაც ისეთივე მტკიცე უარი ვუთხარი, როგორც არჩილსა და ელოს. ეწყინა, მაგრამ არ შემამჩნევინა. მხოლოდ წასეღის დროს იკთხოვა სომხური და ქართული გუნდის რეპერტივებზე ერთხელ მაინც დასწრება-მოსმენა და მულუნიაანის გაცნობა: ძალიან კარგი ყმაწვილია და ნიჭიერი მომღერალიცო. არჩილმა და ელომ შეუშინველად გაუღიმეს ერთმეორეს, თითქოს შეთქმულნი იყვნენ. გიიან გაიგე, რომ რეპერტივიაზე ჩიხი მოწყვევა კოლტურული და ძალიან მოხერხებული ფანდი იყო, რომელიც სწორედ მაშინ დამცა, როდესაც ქართული გუნდის რეპერტივია მოვისმინე.

მართლაც, მეორე დღესვე გავეცანი გუნდის მუშაობასაც და მულუნიაანსაც. ძალიან ცუდ გუნებაზე დავდექი: არც გუნდის შემადგენლობა, არც

ხელმძღვანელობა არ იმდროინდელ იმედს, რომ გუნდი წესიერად მომზად-
დებოდა. თვით მულენიანი წუხდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში სავარ-
და. ძალიან მონდომებული იყო, მაგრამ ცარიელი სურვილით რა გასწ-
ყობდა! არც მასალა ჰქონდა, რომ ჩვენს სიმღერებს საფუძვლიანად გას-
წონებოდა, არც შემთხვევა ჰქონდა — ხეივანი ქართული სიმღერა მოემზადა
სადმე.

„არა, ბატონო, მაღამ რეპისაც, კავკასიურ საზოგადოებასაც დიდ პატივს
ვცემ, მაგრამ არ შემძლია. ეს ჩემს ღონეს აღემატება“, — სასიყარვეთით
ხოტვეა მან.

შიმში გრძობით გავედი რეპეტიციიდან. უბედურება კიდევ ის იყო,
რომ მულენიანისათვის არავითარი დამზარების გაწყვეტა არ შემეძლო მე,
თვითონვე გამოუცდელს ამ საქმეში. არა და, ქართული კონცერტის მომ-
ვალი ჩემთვის ცხადი იყო: მარცხი! თავში ათასნაირი აზრი მიტრიალებდა:
რატომ არ უნდა შესდგეს კონცერტის ქართული ნაწილი? რატომ არ უნდა
მოვასმენინოთ პარიზულ საზოგადოებას ჩვენი, მეტად ორიგინალური და
ლამაზი სიმღერები? ნუ თუ არაინ არ მოიძებნება, ვინც ამ საქმეს იყის-
რებს? რაღა თავი შეგაწყენით, ბოლოს და ბოლოს ვიფიქრე: ვეცდები
დავიწყებ, აქაური ქართველები დამეხმარებიან. ჩვენს სიმღერებს ვიცნობ,
მუსიკალური სმენა მაქვს, მხოლოდ გამოაცდილება მაკლია. თუ ვერ მოვა-
ხერხებ, უკან დახევის დროც მექნება... ვინახულე არჩილი და ელო და
ვუთხარი:

„ოქვენ განიზრახეთ ჩემი ეროვნული სიმები ააქლეროთ. კეთილი, ეგრე
იყოს, მაგრამ უკან დახევის დროს ხმა არ ამოიღოთ!“

„კეთილი, მიხილი, გაბედეთ, ააქლერეთ, ჩვენ კი ბანს გეტყვით!“

რაკი გადაწყვიტე, მაშინვე წინასწარ სამზადისს შევეუღეძე და რამდენ-
იმე ქართველსაგან შემდგარი თათბირი მოვაწყე.

უწინარეს ყოვლისა ქართული გუნდისათვის შესაფერი პროგრამა უნდა
დაგვესაზა. ეს საკითხი საკმაოდ რთული და ძნელი იყო. ამიტომ შემდეგი
მოსაზრებით ეიხელმძღვანელეთ: ერთის მხრივ ქართული გამოუცდელი
გუნდისათვის, შესასრულებლად ადვილი სიმღერები უნდა შეგვეჩრია. მეო-
რეს მხრივ — მხედველობაში გვყავდა ფართო აუდიტორია, რომელიც ევრო-
პულ მელოდისა და პარმონიზაციას იყო აღზრდილი და ამავე დროს
მუსიკალური კონსერვატიზმით იყო გამსჭვალული. ეიცოდით, რომ თუ
ჩვენი რთული და თავდაბური სიმღერები ჩვენ თვითონ მოგვწონს და გვი-
ყვარს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უცხო და უჩვეულ ყურს მოეწონებოდა
და ამიტომ პირველ რიგში დავსახეთ და შევიტანეთ ჯერ „იავ-ნანა, ვარ-
დოე-ნანა“ — მელოდური, ნაზი და მარტივი სიმღერა, და მერე „კახური
ნანინა“. თავისი ორიგინალური და ლამაზი შესავალით. ეს ორი სიმღერა
გუნდისათვის ადვილი იქნებოდა და ევროპულ მსმენელისათვისაც მოსა-
წონი. შემდეგ დავასახელეთ კიდევ ორი სიმღერა „მოყვარს ფაცხა მე მეგ-
რული“ და „შაშვი კაკაბი“. ამ ორი სიმღერის გარშემო აზრი გაიყო: ზოგს
ეშინოდა, რომ ამ სიმღერებს გუნდი ვერ დასძლევს და შევრცხვებითო.
ზოგი ფიქრობდა, რომ ამ სიმღერების თავისებურება უცხო მსმენელს
არ მოეწონებო. მე და არჩილი ავალმწვილი კი ვამტკიცებდით, რომ მი-

რიკით — მთელი დასახული პროგრამა წმინდა ქართული ელფერისა და გუნდს პარიზელი მსმენელისათვის სწორედ ეს ელფერი უნდა შევათვისებინათო. მაგალითად, თავისებური პარმონიული ხმაშეწყობილობა, სიმღერების ორიგინალური დაბოლოება, რომელიც არადასრულებულად ქაზრამ სასიამოვნო ფინალს შთაბეჭდილებას ახდენს; ხალისიანი და სიმღერით საესე ხშირი მოღვლეციები, მინორიდან მაიორზე (მაგალითად, „შაშვი ვაჟები“), ყოველივე ეს უცხოელისათვის ახალიც იქნებოდა, ადვილად მისაღებაც და მოსაწონიც. ასე რომ, თუ გუნდი სერიოზულად და სიყვარულით მოეყიდებოდა სამზადისს, ჩვენი კულტურული ამოცანა შესრულებული იქნებოდა — პარიზელ საზოგადოების ყურსაც და გულსაც მოეინადირებლით და ჩვენი პატარა ქვეყნის პატარა და ლამაზ კუნძულსაც გავაცნობდით.

ბოლოს ჩვენი აზრი მიიღეს და არჩილ ავალიშვილი შეუდგა ტექნიკური მხარის მოგვარებას.

მან დაიჭირავე შავი რეპეტიციებისათვის ცალკე კაბინეტები ორ პატარა რესტორანში სენ მიშელისა და გვი ლუსაქის ქუჩებზე. ეს ცალკე კაბინეტები ჩვეულებრივად რესტორანების ბოლოში იყო მოთავსებული და მათი ფანჯრები ეზოს დაჰყურებდნენ. ასე რომ არც ჩვენ ვაწუხებდით ვისმე, არც რესტორანის ხმაურობა გვიშლიდა ხელს. ყოველ ასეთ კაბინეტს საკმაო ფართობი ჰქონდა და, გარდა ჩვეულებრივი ავეჯეულობისა, იდგა ძალიან შელამძღული პიანინო. ქირა ხელმისაწვდომი იყო.

პირველ რეპეტიციაზე უნდა გამეცნო გუნდის შემადგენლობა. გამოცხადდა ოციოდე ქალ-ვაგი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ გუნდში მხოლოდ ერთი ქართველია, ორი რუსი, დანარჩენი კი რუს-ებრაელები, უმეტესად სხვადასხვა ფაკულტეტების მსმენელები. როცა არჩილს და ელოს შევეკითხე, ქართველები სადღა არიან-მეთქი, მიპასუხეს: უმეტესობას ხმები არა აქვთ, ზოგი მეტად დატვირთულია, ზოგნი კი ქართველურად ზარმაცობენ, ბეჯითი მუშაობა დაეზარებათ და ხელს შეგვიშლიანო. ამ გარემოებამ მეტად დამაფიქრა და შემაწუნა. ვფიქრობდი: როგორ შესძლებს ქართულ გუნდში მონაწილეობა მიიღოს და კონცერტში გამოვიდეს ის ხალხი, რომელსაც ქართული სიმღერა თავის დღეში არ გაუგონია-მეთქი. მზად ვიყავი ამ საქმეზე ხელი ამელო, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა დიმილით მირჩიეს, ჯერ გავეცანით გუნდის შემადგენლობას, დაიწყეთ და მერე ვნახოთო. მართლაც ძალიან მალე დავრწმუნდი, რომ ებრაელები იმდენად მუსიკალური აღამიანები იყვნენ, იმდენად გულხმიერი და მახვილი სმენის პატრონნი, რომ მათთან მუშაობაც და საჯაროდ გამოსვლაც ადვილი იქნებოდა. არც ერთი რეპეტიცია არ გამოუტოვებიათ, არც ერთხელ არ დაუგვიანებიათ. ყველაზე უფრო სასიამოვნო იყო ის სიყვარული, რომელიც მათ ჩვენი საქმის მიმართ გამოიჩინეს. ხანდახან მეგონა, რომ ჩვენს გუნდს შეადგენდნენ მთლიანად ქართველები, რომელნიც თავის საკეთიარ, პატარა ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვაგივე, რომ ეს — ახალგაზრდა ექიმის ციკლისის საქმე იყო: ეს მან შეარჩია და გამოგზავნა ებრაელთა ჯგუფი, რომელიც თითქოს ვალს იხდიდა ქართველებსა წინაშე. გუნდში მხოლოდ ერთი ქართველი იყო — ნადარეიშვილი. ის ჩვენი სიმღერების კარგი მცოდნე იყო: კრინიცი, მალაღბანიცი და დაბალბანიცი ეხერხებოდა. დიდი სიყვარულით მოეკიდა საქმეს და ჩვენი კონცერტის წარმატებას ყოველნაირად ხელი შეუწყო.

პირველ რეპეტიციაზე ნაღარეიშვილმა, არჩილმა და მე შინაურულად ორსააქვერ ეუმღერეთ გუნდს ყველაზე უფრო მარტივი „იე-ნანას“. გუნდს მოეწონა და, ოოდესაც განმეორება დაეწყო, ზოგმა კილო აწლო და შემოგვიერთდა, რასაკვირველია, ჯერ უტექსტოდ. ეს სიმღერა ადვილად შეითვისეს, სამივე ხმა განაწილეს და ბოლოს ჩვენს სიმღერაზე იმღერეს. შესრულება, რა თქმა უნდა, ჯერ-ჯერობით მამე იყო, მაგრამ მუსიკალურად სწორი. როცა ქუჩაში გავედით, გავიგონე: ზოგი მომღერალთაგანი თავისთვის ღიღინებდა „იე-ნანას“ კილოზე.

შემდეგი რეპეტიციისათვის „იე-ნანას“ და „კახური ნანინას“ განაწილებული პარტიები და რუსული ასოებით დაწერილი ტექსტი მოვამზადე. ნოტების დახმარებით საქმე უფრო კარგად წავიდა, რადგანაც ნოტების კითხვა თითქმის ყველამ იცოდა. ხუთი-ექვსი რეპეტიციის შემდეგ ეს ორი სიმღერა შავად უკვე მზად იყო. „კახურ ნანინაში“ დამწყებმა პარტიას ასრულებდა სტუდენტი ქალი — ვინმე რაიმანი. მშვენიერი ნახი, ღირიული ხმა, ნამდვილი ქართულის გარეგნობა ხელს უწყობდა. მის განცდით საესე შესრულებას გუნდიც ადვილად აჰყვა.

მე კი, ახლად გამომცხვარი ლოტბარი ვვარჯიშობდი, ვეჭიდავებოდი კამერტონს და სადირიჟორო ჯოხს. კამერტონმა დამძლია, მაჯობა: კამერტონის „ლა“-დან გუნდისთვის შესაფერი სამი ნოტის მიწოდებას ვერ ვახერხებდი. მაგრამ ბოლოს თვით გუნდმა შემიწყო ხელი: საკმარისი იყო დასაწყისის პირველი ნოტი მიმეცა, რომ სხვებმა უკვე იცოდნენ, თუ რა ნოტით უნდა აჰყოლოდნენ პირველ ხმას. შემდეგში არც ეს გახდა საჭირო, რადგანაც ბერეს, მუსიკალური ალღოს გარდა, აბსოლუტური ყურთა სმენა ჰქონდა. სადირიჟორო ჯოხი კი ადვილად შევითვისე და გამოვიყენე.

მუსიკალური ტემპის, პაუზების, forte და piano-ს, fermato-ს სწორად და ზომიერად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს ნიშნები მთელს ნაწარმოებს გარკვეულს ელფერს აძლევენ. ხალხურ სიმღერებში მუსიკალურ ზომიერებას თვით ავტორი — ხალხი აწესებს და ინახავს. მე ხშირად მომისმენია და ახლაც მესმის ზოგიერთ „ნანინაში“ იმდენად გრძელი fermato, თითქოს ეს ამსრულებლის ფილტვებისა და სუნთქვის სიძლიერის საჯარო დემონსტრაციაა. ან ისეთი სიძლიერის fortissimo, რომელიც არა თუ ბავშვს მიაძინებს, არამედ მკვდარსაც წამოაყენებს. სწორედ ამ სადირიჟორო ჯოხის საშუალებით ვცდილობდი შემენახა და დამეცა ის ზომიერება, რომელიც თვით ავტორმა — ხალხმა შეიმუშავა და გვიკარნახა.

„შაში კაკაბა“ და „ფაცხას“ უფრო მეტი დრო მოვანდომეთ, რადგანაც თავისი ორიგინალობით ეს სიმღერები განსაკუთრებული ხასიათისაა. პირველ ხანებში გუნდს „ფაცხას“ დასაწყისი მელოდიური რეჩიტატივი გაუქირდა. გაუქირდა კიდევ „შაშის“ ერთი ტაეპის ბოლო ნოტის გადაბმა შემდგომი ტაეპის პირველ ნოტთან, როცა მთელი სიმღერა განუწყვეტელ მთლიანს წარმოადგენს. ბოლოს და ბოლოს გუნდმა ესეც დასძლია, ასე რომ 14-15 რეპეტიციის განმავლობაში კარგად შევიმუშავეთ მთელი პროგრამა, რომელშიაც, შუა მუშაობის დროს; შევიტანეთ წმინდა ქალაქური სიმღერა „ვაპ, მეზურნე“. მე თვითონ არ ვიცი, რატომ შევიტანეთ ეს სიმღერა, მით უმეტეს, რომ წმინდა ქართულისა მასში ძალიან ცოტა რამ იყო. მიუხედავად ამისა, კონცერტის დროს ხალხს ის მოეწონა და განმეორება მოითხოვა. დარჩა ერთი რამ, რაც გუნდისთვის დაუძლეველი გახდა: ქართული ტექ-

სტის, ქართული სიტყვების გამოთქმა. „ნანა“, „ვარდო“, „მეგრული“ და ამგვარი არ გაუძნელდათ, ხოლო „პაწაწინა“, „პირიმე“, „კორტრესე“, „გაფურჩქენილო“ და ამგვარი რუსული აქცენტით გამოთქმულ ძალიან მახინჯებდა შესრულებას. ქართველ მსმენელს ეს დამახინჯება შეაწუხებდა, მაგრამ უცხოელის ყური არც კი შეამჩნევდა. ეს გარემოება გვეხსნება და ამიტომ ამ ნაკლს ჩვენ თითქმის არ ვებრძოდით.

ახლა უკვე მზად ვიყავით გენერალური რეპეტიციებისათვის, მაგრამ ცოტა არ იყოს ვღელავდით.

ჩვენი მუშაობა რესტორანის მთავარი დარბაზის მოშორებულ ოთახში წარმოებდა, საშხარეულოს ახლო და ჩვენი ხმაურობა სტუმრებს არ შეაწუხებდა, ხოლო მოსამსახურე პერსონალს (ლაქიებს, დამლაგებელ ქალებს) კარგად ესმოდა და სჩანს ჩვენი სიმღერები აინტერესებდა. ლაქია, რომელიც ჩვენ გვემსახურებოდა და ტკბილი წყალი ან სხვა რამე შემოჰქონდა, თითქმის ყოველთვის შეჩერდებოდა ხოლმე და დიდი ყურადღებით გვისმენდა. ამ გარემოებას ყურადღება მივაქციე. შუა ხნის ადამიანი იყო, დაღლილი და დატანჯული გამომეტყველებისა. მოსმენის დროს გამოცოცხლდებოდა ხოლმე. მის სახეს რბილი ღიმილი ეფინებოდა და ოთახიდან გასვლა თითქოს ავიწყდებოდა.

უქანასკნელი რეპეტიციის შემდეგ, როცა მე, ელო და არჩილი წასვლას ვაპირებდით, გაგვაჩერა და გვეითხა:

„გაეიგე, რომ მეცადინეობა დაგიმთავრებიათ და ჩვენთან აღარ ივლით. ძალიან ვწუხვარ. დიდი სიამოვნებით ვისმენდი თქვენს სიმღერებს. თქვენი დიდი მადლობელი ვარ. გისურვებთ გამარჯვებას!“

„რომელი სიმღერა უფრო მოგეწონათ?“

„ორი, რომელიც ბოლოში იმღერეთ (ეს იყო „კაკაბი“ და „მეზურნე“)“.

„რატომ მაინც და მაინც ეს ორი?“

„ოო, m-eur, იმიტომ, რომ უქანასკნელი სიმღერა, თუმცა მისი სიტყვები არ მესმის, ცოცხალი და მზიარულია, მამხნევებდა და მახალისებდა, მეორე კი ძალიან ძლიერია: მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, თითქოს სადღაც შორის დიდი რაშში საომრად მიდის და ამ რაშში ყველა ვაეკაცია, ყველა ძლიერია და მტერი ვერაფერს დააკლებს. თქვენი ხალხი ალბათ კარგი მეომარია, დიდი ბოდიში, m-eur, ყბედობისათვის, მაგრამ ძალიან მომეწონა და ვერ მოვითმინე, რომ თქვენთვის არ მეტქვა, მე ფრანგი ვარ და მამაკაციც, ფრანგები კი ცოცხალი და მზიარული ხალხი ვართ“, ღიმილით დაათვა მან.

წასვლის დროს მომსახურებისათვის გვინდოდა ფული მიგვეცა მისთვის „pour boire“, ჭიქა ღვინის დასალევად. ეწყინა.

„Non monsieur, par de bénéfice! საჩუქარი არ მინდა. პირიქით, თქვენგან დაეაღებული მე ვარო!“

იმავე რესტორანში მუშაობდა ახალგაზრდა დამლაგებელი ქალი. მიუხედავად თანამდებობისა, ძალიან სუფთად იცვამდა. ერთხელ დაღვრილი წყლის მოსაწმენდად დავეუბახეთ. იმ დროს გუნდი „ივ-ნანას“ უკვე კარგად მღეროდა. ქალმა მოწმინდა თუ არა იატაკი, დარჩა ოთახში და თითქოს კუთხეში მიიმალა. გაკვირვებით დავეინახე, რომ სულგანაბული უსმენდა სიმღერას და ჭეჭყიან ჩვარს გულში იკრავდა, თითქოს აბრეშუმის სუფთა მანდილი იყო. გაეიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გარედან ვილაცამ მკაცრი

ხმით დაუძახა. მის შემდეგ არაერთხელ შემოსულა, ზოგჯერ ესაქმოდ და სიმღერას, უფრო „იაე-ნანას“ უსმენდა. სახე უნათლებოდა და რეპეტები ალერსიანი უზღებოდა, თითქოს რაღაცას, ან ვიღაცას იგონებდა. ერთხელ რეპეტაციის გათავების შემდეგ, მე, ელო და არჩილი დაეჩიოდნენ ერთმანეთს როდ და ოთახის გასანიავებლად ფანჯარა გავაღეთ. უცებ მანვე წამოვიტოვე ქალის ნაზი და გაუბედავი ხმა „იაე-ნანას“ მღერის. გავიხედეთ და დავინახეთ, რომ ჩვენი დამლაგებელი ქალი წყალსადენთან ჩვარს რეცხავს, თან ჩვენ სიმღერას დაჰლივინებს. შევეკითხეთ:

„ძალიან კარგად დაგიხსომიათ ჩვენი სიმღერა! მოგეწონათ?“

„ღიად, ძალიან მომეწონა. ყოველნაირ სიმღერებს ძალიან ადვილად ვითვისებ. ესეც შევითვისე, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი სიტყვები არ მესმის.“

„ეს არის „ნანა“, რომელსაც ჩვენში ძეძუმწოვარა ბავშვებს უმღერაინ დაძინების დროს. ფრანგულად *bercense*“.

„ღიად, ღიად, მეც ასე ვფიქრობდი — *bercense! M-eur*, სოფელში ერთი წლის ბიჭუნა მყავს დატოვებული, და მის თვალებს ცრემლები მოადგა: — თითქმის წელიწადია აქ ვმუშაობ და 200 ფრანკი შევაგროვე. ძალიან მალე დაებრუნდები სოფელში ჩემს ბიჭუნასთან და იქ თქვენი ნანინათი დაეძინებ ხოლმე. სიტყვებს მე თითონ შევთხზავ. მაპატიეთ, რომ ჩემი შინაური ამბით შეგაწუხეთ, მაგრამ — რა ვქნა! დიდი, დიდი მადლობა, *m-eur*, ამ ლამაზი სიმღერისათვის!“ მის თვალებს ისევ ცრემლები მოადგა, მოწყვეტით მიბრუნდა და გაიქცა.

კარგა ხანს ჩუმად ვიყავით. მერე ელომ გაიღიმა და გვითხრა:

„ვინ იცის, რამდენიმე წლის შემდეგ საფრანგეთს ეყოლება მოქალაქე, რომელიც ქართული ნანინათი იქნება აღზრდილი“.

„განა ეს მიღწევა არ არის?“ დაუდასტურა არჩილმა.

მეც დაეუმატე:

„არის კიდევ უფრო დიდი მიღწევა: ჩვენმა სიმღერებმა მოხიბლეს ორი ადამიანი, უბრალო გლეხები, მათი გული და გრძნობა მოინადირეს. ახლა, თუმცა ძალიან მცირერიცხოვანი, მაგრამ ძვირფასი აუდიტორია გყავს!“

ასეთი განწყობილებით ვოცნებობდით მომავალ კონცერტზე.

მალე გამგეობას ეაცნობეთ, რომ გუნდი მზად იყო გენერალური რეპეტაციებისათვის. დაინიშნა ორი რეპეტიცია პარიზის ორ უბანში. ერთი — ლათინურ უბანში, ქალაქის თვითმმართველობის შენობაში, მეორე — მონმარტრის მახლობლად მხატვართა და მოქანდაკეთა კლუბში. ამ რეპეტაციების მიზანი იყო, ერთის მხრივ, რეკლამა, მეორეც — გუნდის საჯაროდ გამოსვლის დაჩვევა.

პირველი რეპეტაციისათვის შენობის მიღება ძალიან გაჭირდა, რადგანაც ქალაქის თვითმმართველობა დარბაზს მხოლოდ თავის სკულთარ მიზნებისთვის იყენებდა, ჩვენ კი მათთვის კერძო და უცხო ამბავი ვიყავით. მაგრამ ჩვენი გამგეობის თავმჯდომარემ მადამ რებიმ და მდივანმა ავალიშვილმა არაჩვეულებრივი ენერგია გამოიჩინეს და თავისი გაიტანეს. დარბაზი ძალიან მოხერხებული აღმოჩნდა. მოსაწვევეი ბარათები დაღვწავნეს ხელოვნების მუშაკებს, მუსიკოსებს, კრიტიკოსებს, პრესის წარმომადგენლებს, მწერლებს,

მწვეულთა შორის იყვნენ რომენ როლანი, ემილ ობრი, კრიტიკოსი, მუსიკალური ჟურნალის რედაქტორი და მუსიკალური ფოლკლორის ცნობილი მცოდნე და სენ-დენი, კომპოზიტორი და მეორე კონსერვატორიის დირექტორი.

გუნდიც, მეც და გამგეობაც ვლელავდით. გვემინოდა მკაცრი კრიტიკისა, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი კარგად ჩატარდა: გუნდიც სათანადო სიმაღლეზე იდგა, დამსწრე საზოგადოებაც ლმობიერი აღმოჩნდა.

ჩვენი განყოფილების შემდეგ გამგეობა გუნდს ჩაით, ნამცხვრებითა და ტკბილეულობით გაუმასპინძლდა. ჩაის დროს ავალიშვილმა მაცნობა, რომ ემილ ობრისა და სენ-დენის ჩემი გაცნობა სურდათ. დამცეცხლა. ეს სპეციალისტები, მგონი, ფიქრობდნენ, რომ მე მართლაც ნამდვილი ლოტბარი ვიყავი, ქართული მუსიკის ზედმიწევნით მცოდნე. დამიწყებენ გამოკითხვას ჩვენი მუსიკის ისტორიის, ჩვენი ხალხური სიმღერების წყობისა და ხასიათის შესახებ, რა უნდა ვუთხრა, რა ეუბამო, მით უმეტეს ჩემი სუსტი ფრანგული ენით? მაგრამ დასახვევ გზა არ მჭონდა: რაკი ამ საქმეში შეეტრამე, მე, ცრუ ლოტბარს, თავი არ უნდა შემერცხვინა.

ობრი, მსხვილი ტანისა და ძალიან სასიამოვნო სახის ადამიანი და კომპოზიტორი სენ-დენი მოვიდნენ, ხელი მაგრად ჩამომართვეს და, როგორც მეტად ზრდილობიანი ფრანგები, გამარჯვება მომილოცეს. მკითხეს, რამდენი ხანია საღიროფორო ასპარეზზე მუშაობთო?

„არც თუ... მაინც და მაინც — დიდი ხანია“... ვუბასუხე და ოფლმა და მასხა.

„ძალიან საინტერესო სიმღერებია“ — სთქვა ობრიმ, თანაც დაუმატა:

„მხოლოდ ეს უკანასკნელი სიმღერა („ვამ მეზურნე“) წმინდა ქართული სიმღერა არ უნდა იყოს. არც ხალხური, უფრო ქალაქურ ელფერს ატარებს. დანარჩენები კი თავისი ორიგინალობით ძალიან მომეწონა, წმინდა ქართული უნდა იყოს, სხვა ხალხების სიმღერებს სრულებით არა ჰგავს!“

და აღნიშნა მათი პარამონიზაცია, ორიგინალური საბოლოო აკორდები, „ნანინას“ თავისებური შესავალი სოლო, და „ფაცხას“ დასაწყისი მელოდიური რეჩიტატივი, ორივე „ნანინას“ სილამაზე და სინაზე. თანაც მკითხავდა, რამდენად ძველია ან ახალი ეს სიმღერები, როგორია მათი წყობის კანონები. აინტერესებდა, თუ რამდენად გამოყენებულა ჩვენი ხალხური მუსიკა ინდივიდუალური შემოქმედების მიერ და სხვა. მე ვუბასუხე, რომ, სამწუხაროდ, ამ საკითხებზე გაკერით ლაპარაკი ჩემი სუსტი ფრანგული ენით ძალიან მიჭირს. მეშინიან, რომ ბევრი შეცდომა მომივა და საკითხს სათანადოდ ვერ გაავსუტებ-მეთქი. იმედი მქონდა, რომ ეს ხერხი მისხსიდა, მაგრამ უარეს ყოფაში ჩავევარდი: მაშინვე წინადადება მომცა მეთანამშრომლმა მის მუსიკალურ ჟურნალში და მითხრა:

„ჩვენი მუსიკალურ საზოგადოებრივობას ძალიან აინტერესებს მუსიკალური ფოლკლორი, კერძოთ საქართველოსი. თქვენი წერილები ქართული ხალხური მუსიკის შესახებ ნაწილობრივად მაინც გააშუქებენ ამ საკითხს და თქვენც, მგონი, კმაყოფილი იქნებით თქვენი ქვეყნის კულტურის ნაწილი გაგვაცნოთო“ და სენ-დენიმ დაუმატა:

„ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედებისათვის საჭირო მასალა, მუსიკალური თემები ამოიწურა. ახლა აღმოსავლეთისაკენ ვიყურებით და იქ უნდა ვიპოვოთ ეს მასალა. ამიტომ ქართული ხალხური მუსიკა განსაკუთრებით

გვიანტერესებს. სამწუხაროა, რომ თქვენი პროგრამა ძალიან მოკლეა. კიდევ რაიმე რომ მოგვესმინა, ძალიან კარგი იქნებოდაო“.

აელიშვილმა მაშინვე ვიოლინჩელო გააჩინა და მე დაუქარი წმინდა ქალაქური რომანსი, ან უკეთ რომ ვთქვათ, სერენადა — „მე, კარგად დავდივარ“. ამ სიმღერაში მრავალი სინკაპებია, რაც ძალიან ახსობაჰქმნის მსმენელნის თვალეზი გაუბრწყინდა და დაიძახა:

„ამ თემაზე მთელი სიმფონია დაიწერება!“

მაშინ ობრიმ მკითხა:

„ხომ არ ჩამოგიტანიათ თან ქართული სიმღერების რაიმე კრებული? ძალიან საინტერესო იქნებოდა მისი გაცნობა. მაშინ უფრო ადვილად დავინახავდით ქართული ხალხური მუსიკის მთლიან. ფართო მასშტაბის სურათს“.

თავი უხერხულად ვივრძენი. ვიცოდი, რომ ასეთი კრებული არ არსებობს, არის მხოლოდ ზ. ჩხიკვაძის პატარა, მოკლე სასკოლო კრებული, რომელიც ამ საქმისათვის არ გამომადგებოდა. ისიც ვიცოდი, რომ ჩვენს მუსიკოსებს ჩვენი სიმღერები ბლომად აქვთ ჩაწერილი, მხოლოდ კრებულის დაბეჭდვისა და გამოცემის საშუალება არც მუსიკოსებს, არც ჩვენს საზოგადოებას არა აქვს. ეს ვუამბე ობრის.

„ოო, ეს ძალიან სამწუხაროა! მიბასუხა ობრიმ. მაშ თუ ასეა, საშუალებას ჩვენ მიეცემათ, მხოლოდ ერთის პირობით: მოგვესენებათ — ხელი ხელს ბანს. გამოიწერეთ საქართველოდან დაახლოებით 40-50 წმინდა ქართული და წმინდა ხალხური, ხელუხლებელი, კომპოზიტორების მიერ დაუმახინჯებელი სიმღერა და მოგვაწოდეთ. ამ სიმღერებს ხელუხლებლად დაებეჭდავთ, გამოვეყმთ და ჩვენი კულტურული მიზნებისათვის გამოვიყენებთ. სამაგიეროდ ჩვენ ამ მდიდრულად გამოცემულ კრებულის 500 ცალს თქვენი ხელით, უსასყიდლოდ მივართმევთ თქვენს ქართველ საზოგადოებას. მე მგონია, თქვენი საზოგადოებაც და ჩვენიც კმაყოფილი ვიქნებით. თანახმა ბრძანდებით?“

ეს წინადადება ძალიან მოსაწონი იყო, რადგანაც ჩვენი ქართველი საზოგადოებისათვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა. რა თქმა უნდა — სიხარულით დაეთანხმდი.

შემდეგ გამგეობის წევრმა, სომხეთის ცნობილმა მწერალმა შირვან-ზადემ და ცნობილმა კომპოზიტორმა კომიტასმა, რომელსაც კონცერტის მუსიკალური ნაწილის მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული, მოულოცეს გუნდს წარმატება.

„ქართულ სიმღერებს კარგად ვიცნობთ და გვიყვარს. გვიხარია, რომ პარიზელი ფართო საზოგადოება თქვენს ლამაზ სიმღერებს სიამოვნებით მოისმენსო“.

კმაყოფილი და აღფრთოვანებული დაებრუნდი შინ და მაშინვე ჩემს მეგობრებს — მუსიკოსებს, ზ. ფალიაშვილს, ზ. ჩხიკვაძეს და მამაჩემსაც, ფილიმონ ქორიძეს მიეწერე ყველაფერი და ვთხოვე საჩქაროდ გამოეგზავნათ სიმღერები და წერილები ქართული მუსიკის შესახებ.

„მახარობელი ვარ! ქართული საზოგადოება დიდ განძს მიიღებს და მეც, შემთხვევითი შუამავალი, თქვენზე არა ნაკლებ მობარული ვიქნები-მეთქი“, — ვწერდი.

ცოტა ხნის შემდეგ შესდგა მეორე საჯარო რეპეტიცია პარიზელ მხატვართა და მოქანდაკეთა კლუბში მონმარტრის უბნის ძახლობუდ. საცმარდ ჯართო დარბაზი, შუშის „ხრილი სახურავით, ვიღაც შეძლებული მხატვარის ყოფილი ატელიე, დიდი გემოვნებით იყო მორთული: იატაკი, დეკორაციები — ნახები და გობელენები, სურათები, მარმარილოს ბიუსტები და ტროპიკული დეკორატიული მცენარეები. ყოველივე ეს ისეთ სასიამოვნო მყუდროებას ქმნიდა, რომ ბოლოს წასვლაც კი არ გვინდოდა. დამსწრე საზოგადოება — ხელოვნების მეშაქნი, სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების ასიოდე ქალ-ვაჟი — ძალიან ხალისიანი და ცოცხალი გამოდგა. არავითარი ოფიციალობა: პირიქით, მაშინვე დამყარდა ამხანაგური განწყობილება, მეგობრულიც კი. ქართული გუნდი, ქართული სიმღერები, საქართველო! ეს ყველას აინტერესებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უმრავლესობამ არა თუ ქართული სიმღერები, არამედ საქართველო სად არის და რას წარმოადგენს, არ იცოდა. ბევრს ეგონა, რომ ქართველი ხალხი ჩერქეზებია ან კაზაკები, საქართველოში კარგი ლეინოა, ლამაზი ქალები, ყველას წელზე ხანჯლები ჰქვიდა და ყველა საკითხს ხანჯლის საშუალებით სწყვეტენ.

უბრალო, მეგობრულმა ატმოსფერომ საშუალება მოგვცა ჩვენი რეპეტიცია წარმატებით ჩაგვეტარებინა. ჩაის დროს ყური მოგვკარი პატარა საუბარს:

„ეს ხომ ძალიან საინტერესო რამე ყოფილა! კულტურული ხალხი ყოფილა! მე მეგონა მათი სიმღერები ველური და მონოტონური იქნებოდა, ნამდვილად კი ძალიან ორიგინალური, შინაარსიანი, მუსიკალურად რთული და ლამაზი ყოფილა. სიამოვნებით კიდევ ერთხელ მოვისმენდი“.

ეს საუბარი ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო რეცენზია იყო.

ამ კლუბში ჩვენი მასპინძელი იყო მოქანდაკე იაშა ნიკოლაძე. ის ჩვენთან ერთად ღელავდა. უამბობდა სტუმრებს საქართველოსა და ქართველების ნამდვილსა და არაგამოგონილ ამბავს, აჯერებდა, რომ მას ხანჯალი თავის დღეში არ უტარებია და არ უხმარია. ღელავდა კიდევ იმიტომ, რომ თავის მასწავლებელს როდენს ელოდებოდა. როდენი არ მოვიდა და ნიკოლაძემ თითქმის ბოდიშით აგვიხსნა, რომ ამჟამად როდენი მეტად დატვირთულია, ახალი იდეით არის გატაცებული და, ალბათ, იმიტომ არ დაგვესწრო.



მოახლოვდა კონცერტის დღეც. ჩვენი ქართველი ქალები მადამ რეზის ხელმძღვანელობით გაფაციცებით აკერინებდნენ ქართულ ტანსაცმელებს გუნდისათვის, განსაკუთრებით ელო ანდრონიკაშვილისათვის, რომელსაც ლეკური უნდა ეცეკვა. პარიზის დიდ მაღაზიებში, მრავალსართულიან უნივერსიტეტებში, შაბათობით ყოველნაირი მასალის — ხავერდის, აბრეშუმის, სირმის, ყაითანის და სხვათა ნარჩენები ნახევარ ფასად და ნაკლებათაღ იყიდებოდა. კერავში ერთი ქართველი ემიგრანტი, თბილისელი თერძი დაგვეხმარა. ეს თერძი იმავე დროს კარგი მეთარეც იყო. ავალიშვილმა იგი პირველ გენერალურ რეპეტიციაზე მოიყვანა და ობრის და სენ-დენის ჩვენი ბაიათები მოასმენინა. რა გარემოებამ აიძულა ეს თერძი ემიგრანტად

წასულიყო პარიზში, ან რა იქნა შემდეგ, არ ვიცი. არც მისი გვარად და სახელი მახსოვს.

კონცერტისათვის გამგეობამ ოტელი „ვაშინგტონ პალასი“ დაიქირავე პარიზის საუკეთესო უბანში, „შანზელიზეში“. ეს იყო შესანიშნავი შემოქმობა. მისი დარბაზი — ოქროთი მოჩუქურთმებული თეთრი მარმარილოა და ლამაზი ქანდარა, პატარა ესტრადა და ოქროს სირმით მოჭარგული თეთრი, მძიმე ნავერდის განზე გადასაშლელად ფარდა — სადღესასწაულო განწყობილებას ჰქმნიდა.

ეს საუცხოო დარბაზი თითქოს გვაგალებდა, რომ ჩვენი საჯარო გამოსვლა მაღალ დონეზე ყოფილიყო. ყველა, რა თქმა უნდა, წინაწინვე ღელავდა, მაგრამ მე, როგორც თეატრის მუშაკმა, ვიცოდი, რომ ამგვარი სპეციფიური, წმინდა თეატრალური მღელვარება სასურველიცაა, რადგან მომეტებულ შემთხვევაში წარმატების საწინდარია. კონცერტის დღეს ეს მღელვარება გაძლიერდა. ფარდის გაშლის წინ მეგობრებმა შემამჩნიეს, რომ გადაფითებული ვიყავი, გუნდსაც ხეირიანად ვერ ვუვლიდი. მაწუხებდა და მიშლიდა ქირით წამოღებული ფრაკი, თეთრი ხელთათმანი, კამერტონი და სადირიფორო ჯოხიც. მზად ვიყავი სადღაც შორს გავქეუულიყავი, მაგრამ გაიხსნა ფარდა, მომესმა სავსე დარბაზის მეტყველი სიჩუმე და თითქოს რაღაც უჩინარმა ძალამ გონს მომიყვანა. ტონი მივეცი და ჯოხი ავწიე. „მიყვარს ფაცხა მე მეგრულის“ პირველი, ჯერ გაუბედავი ტაქტები თანდათან გაძლიერდა, გუნდი რწმენით გაიმსკვალა და ვიგრძენი, რომ ჩვენს სიმღერას დარბაზი ყურადღებით და მგონი, სიამოვნებითაც ისმენს. გათავდა პირველი სიმღერა და მოგვესმა ტაშისცემა. ვერ ვიტყვი, რომ პირველი ტაში მაინცდამაინც ძალიან ძლიერი იყო, ყოყმანი და თითქოს უნდობლობა ეტყობოდა, ვიცოდი, რომ ეს სიმღერა პარიზელი აუდიტორიისთვის ახალი და უცხო ხილია, რომ შემდეგი სიმღერები უფრო დიდი წარმატებით ჩატარდება, ისიც ვიცოდი, რომ ესტრადაზე მყოფი ამსრულებელისათვის აუდიტორიის ტაში, როგორც არ უნდა იყოს, მხურვალე თუ გრილი, მაინც მასიამოვნოა და ძვირფასი: ამსრულებლის ყურთა ყოველთვის ცალმხრივია.

დანარჩენი პროგრამა გადაქარბებული წარმატებით ჩატარდა, განსაკუთრებით ორივე „ნანინა“. საზოგადოების მოთხოვნით ეს სიმღერები დიდი ხალხით გავიმეორეთ. მართლაც გუნდმა ძალიან კარგად შეასრულა მთელი პროგრამა. დიდი ნაკლი იყო ქართული სიტყვების დამახინჯება, მაგრამ აუდიტორიის არაქართულმა ნაწილმა ეს ნაკლი ვერ შეამჩნია, პირაქით — უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ესტრადაზე ნამდვილი ქართველები იყვნენ.

სამწუხარო იყო რომ ჩვენი განყოფილების წინ პატარა მოხსენება ვერ ვაკეთეთ ჩვენი მუსიკის შესახებ.

კონცერტის სომხური და რუსული განყოფილებებიც ძალიან კარგად ჩატარდა, განსაკუთრებით სომხური. კომიტასის საერთო ხელმძღვანელობამ, მულნიანის ლოტბარობამ, შირვან-ზადეს და მაღამ რების ყოველნაირმა ხელისშეწყობამ იმდენად შეამკეს კონცერტის ეს ნაწილი, რომ დამსწრე საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა ყველა ამსრულებელი.

კონცერტს დაესწრო მრავალი ხალხი, თითქმის ყველა ფენების წარმომადგენლები: სტუდენტობა, პარიზისა და რუსეთის შეძლებული ბურჟუაზიის ნაწილი, მრავალი უცხოელი, იტალიელები, ინგლისელები, ამერიკე-

ლები, პარიზის ბოგემა: მხატვრები, მუსიკოსები, სომხები, ქართველები, ზოგი მათგანი პარიზში მუდმივად მცხოვრებნი და მრავალი სხვა.

მთელი ეს მრავალფეროვანი აუდიტორია განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა კონცერტს და უხვი ტაშით აჯილდოვებდა ამსრულდებულს.

კონცერტის შემდეგ დარბაზში გაიმართა ევროპული საერთო ცეკვა. შუა ცეკვის დროს მოეწყო ჩვენი ლეკური. პირველ რიგში იცეკვა, იმ დროს პარიზში მყოფმა რუსეთის სახელგანთქმულმა ბალერინამ პეტიაჰ. მასთან იცეკვა ანტუნის თეატრის სკოლის მოწაფემ კოწო ანდრონიკაშვილმა (დღეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რეჟისორია). პეტიაჰ, შესანიშნავი გარეგნობის ქალი, ევროპულ, უკანასკნელი მოდის ტანსაცმელში, ცეკვავდა საოპერო ბალეტის წესით. მისი ლეკური დიდი ევროპული ოსტატის ლეკური იყო და ეს ოსტატობა მაყურებელს უფრო აოცებდა, ვიდრე იტაცებდა. ჩვენი ლეკური, როგორც არ უნდა იყოს ის, ყველგან და ყოველთვის დიდ აღფრთოვანებას იწვევს. მაშინაც პარიზელმა საზოგადოებამ ეს სახელოვანი მოცეკვავე მხურვალე ტაშით დააჯილდოვა და გამეორებინა ცეკვა. მადლობის ნიშნად გამგეობამ ვეებერთელა თაიგული მიართვა. შემდეგ გამოვიდნენ — ელო და კოწო ანდრონიკაშვილები — ორივე ქართველი, ორივე კახელი, ორივე ახალგაზრდა, ორივე ლეკურის ქართველი ოსტატი. კოწო — მოხდენილი გარეგნობისა და ტანადობის ვაჟკაცი, ლამაზი ჩოხით, და ელო — პატარა, გამხდარი ტანისა და მეტყველი სახის ქალი. თავისი ხელით შეკერილი ქართული კობტა კაბით მშვენიერ სურათს წარმოადგენდნენ. ელოს ყოველივე მოძრაობა, ყოველივე რხევა მორცხვი, თავდაპირვლი და ამავე დროს შინაგანი სიცხოველით იყო სავსე. კოწო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ელოს ბანს აძლევდა. თითქოს საქართველოს მშობლიურმა სიომ დაგვიბერა და ჩვენს წინაშე ორი მიჯნურის მორცხვი და ამავე დროს ძლიერი და უკვდავი მოთხრობა გადაიშალა.

ამ ცეკვამ დამსწრე საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია, სამჯერ გამეორებინეს. მაშინ პეტიაჰ მივიდა ელოსთან, გადააკოცნა და უთხრა:

„ძვირფასო პატარა ქართველო ქალო (გრუზინოჩკა), მაჯობეთ და ძალიან მიხარიათ, რომ მაჯობეთ, რადგანაც თქვენი ცეკვა სინამდვილეა, გულწრფელი განცდაა. ნება მომეცით ეს მშვენიერი თაიგული თქვენ გადმოვცეთ, ეს უფრო თქვენ გეკუთვნით, ვიდრე მეო.“

და ამ სიტყვებით კიდევ გადააკოცნა. ასე მოიქცა დიდი ხელოვანი და ხალხიც ორივეს აღტაცებით მიესალმა. ხოლო ელომ არ იცოდა, სად წასულიყო.

როდესაც ერთი იტალიელი ხელოვანი გაეცნო და წინადადება მისცა იტალიაში წასულიყო თავისი ლეკურით სამოგზაუროდ და კარგი პირობებიც აღუთქვა, ელომ გაიცინა და კატეგორიული უარი უთხრა:

„არა, ბატონო, როგორ შემიძლია! განა ისეთი მოცეკვავე ვარ, რომ ჩემი შინაურული ცეკვით იტალია გავაკვიროვ და ტარანტელას ვაჯობობო?“

ჩვენმა კონცერტმა მიზანს მიადწია: შემოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა, ასე რომ „კავკასიურმა საზოგადოებამ“ ბევრ ხელმოკლე სტუდენტს საგრძნობი დახმარება გაუწია. მიღწეული იყო მეორე მიზანიც: კავკასიური კონცერტის ქართულმა ნაწილმა პარიზის საზოგადოებას ჩვენი კულტურის პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი კუთხე აჩვენა და ქართული ხალხური სიმღე-

რების თავისებურებით და ორიგინალობით დააინტერესა. პრესამაც დადებითად აღნიშნა ეს ამბავი.¹

ჩვენ ყველანი ძალიან კმაყოფილნი და მოხარულნი ვიყავით: გამგეობაც, ებრაელთა გუნდიც და განსაკუთრებით მე, რადგანაც ბედნიერად შევადარე ჩემს სახითათო ლოტბარობას.

ახლა მოუთმენლად ველოდი თბილისიდან პასუხს წერილებზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მუსიკალური ჟურნალისათვის მალე გამომიგზავნიდნენ სიმღერებსაც და წერილებსაც. პატარა ხნის შემდეგ, ან როგორც ამბობენ, ერთ მშვენიერ დღეს ისევ დამცეცხლა: რედაქციისაგან ღია წერილი მივიღე — სადა ხართ თქვენი წერილებითო. ქუჩაში გასვლის შემინოდა — ობრი არ შემხედეს და არა მკითხოს, რატომ აქამდი არ დასწერე დაპირებული წერილებით? გუნებაში ვწყვეტილი ჩემს თბილისელ მეგობრებს, რომ აქამდი პასუხს არ მაძლევდნენ, თუმცა კავშირგაბმულობა რუსეთთან უკვე აღდგენილი იყო. თებერვალი იყო, როდესაც ობრიმ კრებულის გამოცემის წინადადება წამოკა. საკმაო ხანი გავიდა და ვერც ერთი სიტყვა ვერ მივიღე თბილისიდან ჩემი წერილების პასუხად. თბილისში დაბრუნებისას გავიგე, რომ ობრის წინადადებამ ჩვენი მუსიკოსები არ დააინტერესა, ან უკეთ რომ ესთქვათ, არ მოინდომეს, რომ მათი ნაშრომი სხვის ხელში ჩავარდნილიყო, რადგან ეს მათთვის ხელსაყრელი არ იყო. ჩვენ თითონ გამოვეცემით, მაგრამ ვერ გამოსცეს. მოსალოდნელი მუსიკალური კავშირი საქართველოს და საფრანგეთის მუსიკოსებს შორის ვერ მოეწყო და ეს შეტად საინტერესო და კულტურულად საჭირო წამოწყება ავმა ნიავემა წაიღო.²



რამდენიმე ხნის წინათ ჩვენს ცნობილ კომპოზიტორს, სახალხო არტისტს დიმიტრი არაყიშვილს შევხვდი. სხედასხვა საგანზე ვსაუბრობდით და სხვათა შორის პარიზში მოწყობილი ქართული კონცერტის ძველი ამბავი ეუბნებოდა. ძალიან დაინტერესდა და ამ საკითხთან დაკავშირებით მაცნობა შემდეგი:

1920 წელს საფრანგეთში წავიდა ერთი ვინმე მოსულიშვილი, მგონი ვექილი იყო, როგორც არაყიშვილმა დაახასიათა. ეს იყო ძალიან ცოცხალი, ენერგიული ადამიანი, ენტუზიასტიკი კი, ქართული ხალხური მუსიკის (საეროსი და საეკლესიოსი) დიდი მოყვარული და მცოდნე. პარიზში ქართული გუნდის შედგენას შეუდგა, ეროვნული ტანსაცმელების შეკრება მოახერხა, გუნდს ქართული სიმოირები შეასწავლა და გამოდიოდა კონცერტებით პარიზის სხედასხვა უბნებში. არ ვიცი რა ხალხი ჰყავდა გუნდში, არც ის ვი-

¹ ელო ანდრონიკაშვილს გადმოვიცით შემდეგ წელს პარიზის „ხელოვნების სკოლაში“ მოაწყო კონცერტი, რომლის პროგრამაში შეტანილი იყო ჩვენი „იავნანა, ვარდო-ნანა“. მუსიკალური ტექსტი დაიბეჭდა რამდენიმე ათეულ ეკზემპლარად და დიდხანსა და საპატიო სტუმრებს პროგრამებთან ერთად.

² იტალიაშიც იგივე მდგომარეობა იყო: თემები ამოიწერა და მუსიკალური წრეები აღმოსაფრთხილდა, ეფერებოდნენ.

მაშინვე, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილმა შემკრებმა დიდიმონ ჩირიძემ, ეს გარემოება იცოდა: იტალიას კარგად იცნობდა და იქაურ მუსიკოსებთან მ-წარმოწერა ქართული 1911 წელს მან იტალიაში წასვლა განიზრახა. გადაარჩია 40 — 50 სიმღერა და წასვლის წინ ლონის მოსარეფათო ბანკაროზე ავიდა. მისელისთანვე ავიდ ვახტა და გარდაიცვალა. ასე რომ იტალიის მუსიკოსებთანაც კავშირი არ შესდგა.

ცი, რა პროგრამა ჰქონდათ, მაგრამ გავიგე, რომ მის გამოსვლებს პარიზელები ხალისით ესწრებოდნენ, რადგანაც ექვთისტური და არაექვთისტური პარიზს ყოველთვის აინტერესებდა. მუსიკალური წრეები და პრესა კი აღნიშნავდნენ ქართული სიმღერების სიმღიდრეს და პარიზიულ სერჟანტებს.

შემდეგ 1924 წელს პარიზს გაემგზავრა კონსერვატორიამ კონკურსის გამგებ რეზული ახალგაზრდა მომღერალი ქალი ნინო ცაგარისა. მან რადენიმეჯერ მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა კონცერტებში და რუს კომპოზიტორების ნაწარმოებების გარდა, დ. არაყიშვილისა და ზ. ფალიაშვილის რომანსებს ასრულებდა.

ამ გამოსვლების შედეგთა თვალყურის დევნების საშუალება არ მქონდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ქართული მუსიკის ასეთმა პერიოდულმა ჩვენებამ საფრანგეთში მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო და თუ დიდი მასშტაბით არა, ოდნავად მაინც პარიზის მუსიკალური წრეები აქტიურად დაინტერესდნენ იმ პატარა ერის მუსიკით, რომლის შესახებ ბევრმა განათლებულმა ადამიანმაც კი ბევრი არაფერი არ იცოდა.

1929 წელს პარიზის კონსერვატორიამ, სიმღერის პროფესორის გიტისის წინადადებით, გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო ვოკალურ ნაწარმოებებზე. ამ კონკურსში მონაწილეობის წინადადება დაეგზავნა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს. ასეთივე წინადადება მიიღო საქართველომაც დ. არაყიშვილისა და შ. თაქთაქიშვილის სახით.

ვოკალიზები ჩვენშიაც დაიწერა. დ. არაყიშვილმა გამოიყენა და დაამუშავა ერთი გურული სიმღერა, შ. თაქთაქიშვილმაც თავისი თემა დაამუშავა. ორივე ნაწარმოები პარიზს გაიგზავნა.

საკონკურსო კომისიამ ისინი მოიწონა და მიიღო. ავტორებს პრემიად თითოს 500 ფრანკი და დაბეჭდილი ვოკალიზების ეკზემპლარი გამოუგზავნა.

„ამგვარად ორი ქართველი კომპოზიტორი მოცხდით ევროპელ კომპოზიტორთა ოჯახში. მიკვირს, ამ ფრანგებმა საიდან გამოგჩხრიკეს ეს პატარა ხალხი?“ — ამბობდა დ. არაყიშვილი.

მე კი არ მიკვირს: ჩვენი მუსიკა, ორიგინალური, მრავალფეროვანი და შინაარსიანი კარგა ხანია წვეთ-წვეთობით ეონავდა საფრანგეთის ხელოვნების მუსიკალურ შეგნებაში და, როდესაც მოვიგონებ ხოლმე ჩვენს პარიზულ კონცერტს, მოვიგონებ ჩემ „თავხედურ“ ლოტბარობას, მიხარია, რომ ჩემმა „თავხედობამ“ უშედეგოდ არ ჩაიარა.

„თავიგული“

საბლიტბამი, 1946 წ.

საბლიტბამის მიერ ახლახან გამოიცა კრებული „თავიგული“. კრებულს საიუბილეო ხასიათი აქვს მის ტიტულზე აწერია 1921 — 1946 წელი და უნდა ვივლილხმოთ, რომ იგი შეიცავს ქართული საბავშვო ლიტერატურის ყველაზე ღირსშესანიშნავს, იდეურად და მხატვრულად დასრულებულ ნიმუშებს.

კრებული ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველი შეიცავს სკოლამდელ, ხოლო მეორე სკოლის ასაკის ბავშვთათვის შესაფერ მასალას. ჩვენის აზრით, მასალის ასე ასაკობრივად დაუფა ზიანს აყენებს კრებულის მიზანდასახულებას.

გარეგნული შეხედვით მკითხველს ესაიშოვნება ასეთი დიდტანიანი ნობათი ბავშვებისათვის, მაგრამ მისი შინაარსის ახლო ვაკნობით ცხადი გახდება, რომ „თავიგული“ არ შეიცავს მხოლოდ საბავშვო ლიტერატურის ნიმუშებს. ამ კრებულში ყურადღება გამახვილებულია საერთოდ ქართველი თანამედროვე მწერლებისა და პოეტების რიცხვის სიმრავლეზე. ხოლო მათი ნაწერებიდანაც არ არის შერჩეული მალაღობი ღირებულების ნიმუშები. უბრატესობა პრეგნია უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთ. კრებულში გამორჩენილია ბევრი საგულისხმო საბავშვო ნაწარმოები. დაწერილი ათზე მეტი წლის წინათ.

„თავიგული“ იხსნება შიო მღვიმელას ლექსით „მშინა ვარ ბედნიერი!“ ლექსი გამოხატავს ბავშვთანადმი უზომო სიყვარულსა და საბავშვო პოეტის მალაღობი დანიშნულებას. მღვიმელას არაფერი აქვს საერთო სკოლამდელთა განყოფილების ლიტერატურასთან, და თუ კრებული „თავიგული“ ამით ვახსნა, ალბათ ლექსის იდეას მიექცა ყურადღება. ამის შემდეგ მასალა დალაგებულია არა თემატიკისა და რაიმე სისტემის მიხედვით, არამედ მეტანიკურად — მწერლების ალფაბეტის მიხედვით.

დიდი ბელადის სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა უაღრესად საპატიო და შინაგულაღი თემა საბავშვო ლიტერატურისათვის. ოქტომბრის რევოლუციის ბელადების ბიოგრაფია — ეს არის უშესანიშნავესი მაგალითი, რაზედაც უნდა აღიზარდონ ჩვენი ბავშვები. ურყვევი ნებისყოფა, სულგრძელობა, მშრომელთა ხალხის საქმისათვის თავდადება, უაღრეს სისადავე და თავდაბლობა, დიდი კაცობიერება, მალაღობი იდეურობა და ხალხისადმი უანგარო სიყვარული, — ახ ეს მალაღობი თვისებები, რაც უნდა განუვითარონ ბავშვის ბელადებზე დაწერილი ნაწარმოებებმა.

კრებულში შეტანილია დ. კასრაძის „პატარა სოსო“ და პ. კაპანაძის „ბელადის ბავშვობა და ყრობა“. ამ ორმა ნაწარმოებმა დიდი პოპულარობა ჰპოვეს ბავშვთა შორის. მართლაც ორივე წიგნი წარმოადგენს ბრწყინვალე მასალას თავისი მდიდარი ფაქტოლოგიით, ეთნოგრაფიით, ადათებით, რომლითაც ისე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

დ. კასრაძის „პატარა სოსო“ შემოკლებით არის წარმოდგენილი. შეტანილია რამდენიმე ის თემა, სადაც მკვეთრად არის გაშუქებული მშობლიური სიყვარული. სანმუშაო სოსოს დედის თავდადებული მზრუნველობა და გასაოცარი სურვილი აკანში მშოლიარე ბავშვი, ლულუნის დროს, წარმოიდგინოს დაეცაკეებულად და მას ესაბტროს ხმამალა. აქ დედის ტიპი განზოგადოებულ სახეს იღებს. ასეთია ქართველი დედის ბუნება და ასეთი დედა ჰყვება პატარა სოსოსაც.

თითქმის „პატარა სოსოს“ ბუნებრივ გავრცელებას წარმოადგენს პ. კაპანაძის „ბელადი“ ბავშვობა და ყრობა“.

პ. კაპანაძემ მეტად ცოცხალი სახეებითა და სასაუბრო ენით აღადგინა თავისი მოგონებანი იმ დაუფიქრარ წლებზე, რომელსაც „მოწაფეობის წლებს“ უწოდებენ, პ. კაპანაძემ კავაიციკლა მდიდარი ფაქტები იმის შესახებ, თუ ადამიანთა პიროვნების წყობაა, ცდილობს ვისუფლებელი სტალინი, მოწაფეობის პერიოდში ამხანაგებისადმი როგორ იტყნდა გულს-ხშირებდა და დახმარების გრძობებს, როგორ ეხმარებოდა მათ ვაკეეთილების ახსნა-განმარტებაში, როგორ იცავდა მათ ინტერესებს, როგორ მიისწრაფოდა ღრმა ცოდნისაკენ, როგორ ვეკაცუბო გამოხედვებით აწარმოებდა არადეკალური ლიტერატურის კითხვას და როგორ იყო დაჯილდოვებული კონსპირატული ნიჭით. მომავალმა ბელადმა ამით დღისათვის მართლსმითქმელისა და სამართლიანი ადამიანის სახელი, შეექმნა დიდი ავტორიტეტი არა მარტო მოწაფეთა, არამედ მასწავლებელთა წრებშიც. პ. კაპანაძის ამას დასადასტურებლად არა ერთი და ორი შემთხვევა აქვს აღწერილი.

კრებულში შეტანილია სტალინზე დაწერილი ის ლექსები, რომელიც ქართული პოეზიის სიამაყეს შეადგენს და მიეღმა ახალგაზრდობამ ზეპირად იცის. ეს არის გ. ლეონიძის: „დაბადება“, ალიო მაშაშვილის: „დაბადება“, ს. ჩიჭოვანის: „ამ სტალინს — ბელადს და სარდალს“, ამ ლექსებმა კარგა ხანია თავისი მაღალი შეფასება მიიღეს და საბავშვო კრებულშიც კანონიერი უფლება აქვთ იყენონ მოთაყვებულნი. მათ გვერდით მოთაყვებულია პ. აბრამიას: „ბელადი“, რ. გვეტაძის: „ენიც მზესავით ანათებს“, გ. კაკაბიძის: „ბელადის სახლი გორში“, მარიჯანის: „ჩემი სიამაყე“. ამ ლექსებში ბელადის სახელის ზეამაღლებათა ლაპარაკი, დასახლებული ლექსები არ არის დაწერილი პირდაპირ ბავშვებისათვის, მაგრამ ჩვენი ახალი თაობა იმეთი მოწიწების გრძობითა და სიყვარულით არიან გამსჭვალულნი დიდი ბელადისადმი, რომ მასზე დაწერილი თვითთელი პუბლიკისათვის სასტყუარ საუნჯეს წარმოადგენს და გულმხრვალედაც ითვისებენ.

აღ. შანშიაშვილის „დედასერთი ლენინთან“ თითქმის პირველი სტეტიანი ემოციური ნაწარმოებია უკვედ ლენინზე. აღ. შანშიაშვილის ეს ლექსი და ალიო მაშაშვილის „ლენინი“ (საშუაგზარობა, რომ კრებულში არ არის შეტანილი) გართულ პოეზიაში დარბობან, როგორც უძვირფასესი ძველი ოქტომბრის რევოლუციის მებრძობარებზე.

ა. გრიშაშვილმა ლექსში „თბილისის სიხარული“ გულწრფელად გამოხატა ლ. პ. ბერძის ნახვასდამარტულბული მთელი ქართველი ხალხის სიხარული და აღტაცება მისი წინა-საარბენო თათბირზე ჩამოსვლასთან დაკავშარებით. ეს ლექსი ერთი უსაყვარლეს ლექსად გადაიტკა ჩვენი ბავშვებისათვისაც.

უნდა წარმოვიდგინოთ, რომ „თბილისში“ შევიდოდა ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული მასალა, რაც კი დაიწერა სამშულო იმის თემზე. პრაზიდან პირველ რიგში დავსახებლბთ იმ მოთბრობებს, სადაც მოქმედი პირები ბავშვებია. დაიწყოთ ნინო ნავაშიძის: „ჯამბაკურიდან“.

ჯამბაკური გაბედული ბავშვია. მას შეუძლია მეომარებისადმი მიმართული სიტყვა დალაგებით და შეუძლებლად წარბაოსტყვას, მაგრამ ის მაინც უშუალო მაშინ არის, როდესაც დატრბლ მეომარ ზურბათან საუბრობს. ზურბაი აუბნის რომ ცალი ხელი მას მტრის ტყვიამ წაჭლებოდა, ჯამბაკური თმბეა დაღონდა, მაგრამ ბავშვური მიამბტობით მაინც ანუტემა ზურბაბი: „იტნბე ეკიმმა მოგარჩინოსო“ და მოტრბილი ხელისათვის დატრბეა თავისი ხელთათბ. 20. „მნათობი“ № 5 — 6.

მანი, თან ზურაბს დარცხვენით არწმუნებს: დედაც ისე დიდი მომიჯნოვია, რომ ჩემი ხელთათმანი უთუოდ მოგვრგებავ. აქ გამოხატულია ბავშვის ერთგვარი მოწინააღმდეგობის მიმართ, რაც უნდა შეადგენდეს ჩვენი ბავშვების ბუნებრივ თვისებას, მოთხოვნაში ის ადგილები, სადაც ბავშვებს მასწავლებლები ჰქარანაზუნენ, უფრო ხელოვნურია, ხელს იმ სადაც ბავშვები თავისთავს ეკუთვნებიან და უშუალონი არიან, მოთხოვნა უფროს შეაბეჭდვილიღებას სტოვებს.

ნ. ნაკაშიძის მეორე მოთხოვნა „თბილისი“ სამშობლოს სიყვარულთან არის დაკავშირებული. ჩვენმა მეფეებმა გაეცხლებული ბრძოლა იცოდნენ მტრების წინააღმდეგ, სასტიკადაც ექცოდნენ მათ, მაგრამ ზოგჯერ სისასტიკე იკვეთებოდა მტრის ობლად დაჩრდილ ბავშვების მიმართ. ბავშვი მოითხოვს ფაქიზ დამოკიდებულებასა და მფარველობას. ამავე დროს უფროსმა მას დანაშაურობა ბუნებრივად უნდა შეესრულოს. ამ იდეაზე ამოუშენა საჩიროველი ნინო ნაკაშიძემ ისტორიულ ლეგენდას: „თბილისი“. გულთბილად არის დახატული ვახტანგ მეფის დიდებულებებმა, მეფისა და ხალხის ურთიერთპატივისცემა, მადლიერება. თავისებურად არის გაშუქებული თბილისის დაარსების იდეა.

ცქვიტის (ანა ხახუტაშვილის) ორი მოთხოვნა „პატარა მხედარი“, და „რეზოს მხატვრობა“ ბავშვის მიერ სამამულე ომიდან მიღებულ განცდებს გამოხატავს. „პატარა მხედარი“ მოცემულია ახლადგებადგმული ბავშვის განცდის პატარა დეტალი: რამდენად აინტერესებს ბავშვს საომარი თამაშობა და როგორ ელოლიაება საომარ იარაღს. პატარა ზურაბსაც უნდა მისი ძმა ნოდარივით სამხედრო თამაშის მოწყობა. ნოდარი ნერვიულობს, რომ ზურაბს არ უფრთხილდება მის სამხედრო „რამებს“ და ამიტომ ხელისხლებას უკრძალებს. მაგრამ რა წამს ნოდარი წაეც სკოლაში და ზურაბს გამოიღვიძებს, ეს უკანასკნელი სწრაფად მივარდება ნოდარის სამხედრო სათამაშოებს. ზურაბს გამოღვიძება, მისი სამხედრო თამაშის, მოთხოვნის მშვენიერად წარმოადგენს.

მაგრამ ჩვენი ბავშვები ომს მარტო თამაშობით როდი ხატავდნენ. მათ შემეცნებაში შესული ომის საშინელებანი საქმიანობასა და შემოქმედებაში ელინდებოდა. ამის ნიმუშს წარმოადგენს ცქვიტის მეორე მოთხოვნა „რეზოს მხატვრობა“. ამ მოთხოვნაში მარტო ის კი არ არის საინტერესო, რომ მასწავლებლის დავალებით ახლახან წაკითხული პატარა მოთხოვნის ამბები უნდა დაესტრათებინათ, არამედ ხატვისათვის სამხადისის ყველა დეტალი და თვით ხატვის პროცესი, რომელსაც მწერალი იშვიათი სინამდვილით აღწერს. მოთხოვნა გამოხატავს ჩვენი ბავშვის სულიერ მდგომარეობას, მის სიძულვილს მტრისადმი.

კლ. დედეარიაწი წარმოდგენილია მოთხოვნით „დედა“.

კლ. დედეარიაწი სამამულე ომის შემოფარგლული იყო ცხოველებისა და მათი წვრთნის თემატიკით. ამ თავის თემაში რაღაც ისეთს გამოძებნის, რითაც ადასტურებს, რომ ცხოველები რაც უნდა ადამიანებსა და ოთახებს შეეჩვივნენ, თავიანთი ჩვევების შესრულებას მიიწეებებენ. ამ მხრივ არის საინტერესო კლ. დედეარიაწის საბავშვო მოთხოვნებში „დედა“ საბავშვო მოთხოვნა არ არის. სასტრუველი კი იყო კლ. დედეარიაწი საბავშვო მწერლის საკეთარი სახით შესულიყო კრებულში. „დედა“ გრძობით არის დაწერილი ომმა ბევრი დედის გულს მიაყენა ტრილობა. საბჭოთა ტალმა, როგორც მშობელმა და მოტლაქემ, სულგრძელობა და მალალი ზნეობრივი თვისებები გამოამჟღავნა. კლ. დედეარიაწის დედაც ასეთია.

დ. შენგელაიას „მეოთხე ძმა“ საბავშვო არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნაში ბავშვები იღებენ მონაწილეობას. ყველაისათვის ნათელი გახდა, რომ ომმა საბჭოთა ბავშვები გამოაწრთო. ისინი რაც უნდა ონავრობდნენ, ცელქობდნენ, უადგილოდ ეხუმრებოდნენ სახემოდულ უფროსებს, რომელნიც ქვეყნის განსაცდელით, ომის ქარცეცხლით არიან შესფოთებულნი, მიიწე დადგება მომენტა და ეს ბავშვები მიატოვებენ მამიტობას, ბავშვურ გულბრყვილობას და მოსაზრების, მოქმედებისა და გამბედაობის თვისებებით აღიჭურვებიან.

დ. შერეგლასის ონავარიც ასეთია. ის უკრაინის გელმინდერების შვილია. მასში შედუღებულია ონავარობა, ცეცხლობა, ჩემ სურვილთან გახდეს მფრინავი, შევარდენა, გმირი. მაგრამ ვაეკაცობა მართო ბრძოლის ცეცხლში ხომ არ არის შესაძლებელი? ზურგშიც არის, და ონავარიც ვირობას იჩენს მტრის დესანტის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არ. ჩაჩიბაიას „პატარა გმირიც“ უკრაინულია. ის გამოზარდა პარტიზანულ-გამობრძმედილმა ცალთვალა ძია ტარასიმ. თუ ონავარა შინ იბრძვის დედასთან ერთად, ვალოდიას დედის სიყვარული დასძლევს და უნდა დედასთან ერთად გავიდეს პარტიზანებთან. ხატერა მალე შეუსრულდება. ის მრავალ საგმირო საქმეებს ჩადის.

ღამიში მოთხრობაა ელ. პოლემორადინოვის „მერცხალა“. ცხენს ომში ისეთივე ფასი ჰქვს, როგორც სამხედრო საქურველს. უფრო მეტიც. ცხენს შეუძლია ადამიანივით ჭრილობა მიიღოს, ადამიანს დაუმეგობრდეს, ლიბობიერი მოპყრობით შეეჭვიოს და რამდენიმე ხნის შემდეგ იცნოს კიდევაც თავისი პატრონი. ასეთია მერცხალა, — გიშვრივით შავი და კრიალა, გულზე თეთრი ზალით, რომელიც ყოველთვის ქვეშების ძირა გამწვებ წყვილში იდგა. ცხენი საზგერ დაიჭრა, საზგერვე მოაჩინა ყურადღებიანმა ბეითალმა, მაგრამ ცხენსაც უნდა დასვენება, და ამიტომ საბეთილო ნაწილში დასტოვეს იგი. მოთხრობა ბავშვში ანვითარებს ცხოველებისადმი გულისყურიან დამოკიდებულებას.

ჩვენს მიერ დასახელებული სამაჟულო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობები ზურგის ამბებს შეეხება. ზოგიერთს სინტერესო თემაც ვერ იხსნის, რადგან ასეთი იშვიათი შემთხვევით ამბებზე აშენებული მოთხრობები მოითხოვს მალალ ლიტერატურულ დამუშავებას. ძირითადად კი არც ერთ მოთხრობაში არ იგრძნობა ომის ნამდვილო პერი, ნამდვილო ვითარება, ადამიანებისა და ბავშვის გარდაქმნის ფსიქოლოგია, ღრმა განცდები, ბუნებრივი მოქმედებანი და გვაგონებს გაზეთებში მოთავსებულ ცნობებიდან ამოღებულ ფრაგმენტებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ მოთხრობებში ქართველი ბავშვი სრულიად უგულობელყოფილია. ნუთუ ჩვენი მწერლები ომის პერიოდში, უკრაინის ზურგში მყოფი ბავშვების საქმიანობას, მათ სულიერ დოვლათს, განცდებს, თბილისში ყოფნით, უფრო უკეთ იცნობენ და იცნა, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ბავშვებისა? ნუთუ ქართველ ბავშვს ფრონტზე თუ არა, ზურგში ისეთს ღირსშესანიშნავი არადერი გაცუებობა, რომ იგი მწერლის თემის ღირსი ყოფილიყო? ვინც ჩვენი ბავშვის ცხოვრებას ზედმიწევნით იცნობს, ის ბევრს რასმეს დაინახავდა, მაგრამ სიანს ქართველი მწერლები უკეთ სცნობენ მომე რესპუბლიკების ბავშვებს, ვიდრე საკუთარს. ვფიქრობთ ეს ბუნებრივი არ არის და ამიტომ მათ მოთხრობებსაც აკლია გულწრფელობა, ემოციურობა და მხატვრული დამაჯერებლობა.

რაც შეეხება ლექსებს სამაჟულო ომის თემაზე, აღსანიშნავია ალიო მამაშვილის გრძნობით დაწერილი ლექსი: „სისხლი და ცრემლები“. მართლაც, ბევრი ბავშვისათვის გადაიქცა შრობილიერ კერად ბლინდაეები, ხოლო მეომრები-სულიერ ახლობლებად. ეს ბავშვები ზედმეტნი როდი იყვნენ, ისინი მებრძოლნი და საყვარელნი იყვნენ ფრონტისათვის. ამაზე არა ერთი და ორი წიგნი წარმოიშვა, თუნდაც ახლანან სტალინის პრემიით დაჯილდოვებული გ. კატაევის „პოლკის შვილი“. ალიო მამაშვილმა ამ პატარა ლექსში დიდა ებოჟეა მოაქცია, თუმცა მისი გმირი, კობტად შეყერილ წითელარმიულ მხარაში გამოწყობილი დღე-გატელი არ გამოდგა:

როცა რკინის მებრძოლები
ცეცხლში გამოატარა,
მეთაურმა მოიკითხა
მცობარი პატარა.

მას მთართვეს მტრისაგან დაფლეთილი პატარა ბავშვის გვამი:

თოვლში, ქარში და წვიმაში,
ხელში ტყვიით, ვაზნებით,

ისიც თურმე ჯგერს მისდგება,
შიილტოდა აღზნებით.



ახლა კი მეომრებს:

არ ჰყავთ, ვისაც ევლებოდნენ
ვით ნუგეშისმცემლები,
წამწამებზე დაკეიდათ
გაყინული ცრემლები.

ამ ლექსიდან სხვა მასალების დამატებით შეიძლება შეიქმნეს მაღალი, ჰუმანიტური მხატვრული რომანტიკული საბავშვო წიგნი, სადაც ბავშვი განზოგადოებულ სახედ ჩამოყალიბდება.

ა. შენგელიას ლექსში „წერილი მამას“ იგრძნობა ბავშვის სიყვარული ომში წასულ მამის მიმართ. აქ ბავშვის გრძნობა გაძლიერებულია არა მარტო იმის გამო, რომ მამა მასთან არ არის (მას მხოლოდ სიზმარში და ოცნებით ეგულება ლოვინში), არამედ იმიტომ, რომ შეილს სჯერა მამა გმირად დაუბრუნდება და საამაყოფ გაუბდება იგი. ა. შენგელიას ბავშვის გვერდით დგას მ. მრეველიშვილის პატარა ბიჭიკოც, რომელსაც თვითონ უნდა იყოს გმირი. პატარა ბიჭიკოს ნატერა არის მალე გაიზარდოს, ლურჯი ცხენი ჰყავდეს, ხმალი მოწვდილმა გააქენოს და სახლვარ იქით გადარეკოს მოსული მტერი, მხოლოდ ამის შემდეგ მივიდეს ბელადთან და სთხოვოს, კვლავ ფრონტზე გაგზავნა.

„თაიგულში“ გრ. აბაშიძე წარმოდგენილია „ევი ლღავით“. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, გრძელი ლექსი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ომის პერიოდში საავტორიო მხევილს წარმოადგენდა. პოეტს ევი ლღავის სახით წარმოდგენილი ჰყავს გერმანიის თვალხარბი ფაშიზმი, რომლის მტკიცესაც აღარაფერი აესებდა და მისი ორმოსივით გაღებული ხარბი ხახა ყველაფერს ყლაპავდა. მაგრამ მან სხვისი ჩაყლაპვის ნდომით, სხვისი ჩაგვრით თავი დაიღუპა.

შეიძლება ითქვას, რომ გრ. აბაშიძეს „ევი ლღავში“ გამოყენებული აქვს თავისი საბავშვო შემოქმედების შემეცნებითი მასალა, მაინც საბავშვო არ არის ეს ლექსი. სჯობდა გრ. აბაშიძე კრებულში შესულიყო იმ ხალასი საბავშვო პოემებით, რითაც პოეტლარობა მოიპოვებდა მეთხველ ბავშვებში.

დიდი სამაშულო ომამდის საბჭოთა ხალხმა განელო დიდი სამოქალაქო ბრძოლები, რომლიდანაც გამოცდილება და იდეოლოგიური საშუალება მიიღო. სამოქალაქო ომშიც არა ნაკლები გაცაცებით იღებდნენ მონაწილეობას საბჭოთა ბავშვები და ახალგაზრდობა. კრებულში ამ თემაზე წარმოდგენილია რ. ტორქიას საუცუვესო მოთხრობა „მარილის აკვანში“.

რად ტორქია საბავშვო ლიტერატურაში შევიდა იმპერიოლიტიკური და სამოქალაქო ომების თემატიკით.

რ. ტორქიამ თავის საყვარელ თემას სამოქალაქო ომს — მოთხრობების მთელი ციკლი შეიძლება, მაგრამ მათ შორის „მარილის აკვანში“ მხატვრულად დაშავებული და ემოციური.

გარდა ზემოთხსენილი თემატიკისა, „თაიგულში“ შეტანილია ჩვენი ქვეყნის კულტურული მშენებლობისა და ჩვენი თანამედროვე ბავშვის ამსახველი ნაწარმოებებიც, რაზედაც ძირითადად ქართულ საბავშვო ლიტერატურაში მუშაობენ მწერლები და პოეტები, მაგრამ კრებულში წარმოდგენილ მასალაში ქართველი ბავშვი სრულყოფილად მინდა არ არის დახასიათებული. ის მხოლოდ ზოგად სახეობაშია წარმოდგენილი ლექსით მასალაში.

აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ი. გრიშაშვილის საბავშვო პოეზია. ი. გრიშა-

შეიღობიერებდა პოპულარიზაცია და სიყვარულით სარგებლობს სკოლამდელთა და სკოლის ბავშვთა შორის, ის როგორც საბავშვო პოეტი მტკიცედ შევიდა ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში. ი. გრიშაშვილის ძველი პერიოდის საბავშვო პოეზიის ლეიტ-მოტივი ბუნების სიმშვენიერის შეგრძნებაა, რადგანაც პოეტმა იცის, რომ მშენებელ-ბავშვში მძალე მისწრაფებებს აწვითარებს. პოეტი გატაცებული ბუნების სილამაზით დიდი მოვლენებით, პატარა კერძობაა ელამუნება და აქედან მხატვარს მთლიან ლამაზ სურათს; ახალი პერიოდის, ე. ი. საბჭოთა პერიოდის ლექსების იდეა არის საბჭოთა ბავშვისადმი მოწოდება საბჭოთა ეპოქის ნამდვილი შეიღობა და ნამდვილი მოჭალაქობისაკენ. ი. გრიშაშვილზე საბჭოთა ბავშვების მომღერალი პოეტია. ის ყოველთვის პირველი ეხმარება ჩვენი საბჭოთა ბავშვის აღმზრდელობითი საკითხებს ამ თემაზე დაწერილი ლექსები: „ონაგარა“, „ლაზ-ლანდარა“, „ზარმაი“, „გაზაფხულის მოლოდინში“ და სხვა გაგრძელებული ლექსებია ბავშვთა შორის.

კრებულში ი. გრიშაშვილის საბავშვო პოეზიიდან აღებულია პოემა: „გოგია და მურია“, აღმზრდელობითი ხასიათის „გაზაფხულის მოლოდინში“, და ლექსი „მეყიდე“.

ი. გრიშაშვილმა პირველმა შექმნა საბავშვო ბავშვის ცხოვრებისა და შრომის პოემა: „გოგია და მურია“, რომელიც არასოდეს არ ამოვარდება საბავშვო ბავშვის რეპერტუარიდან. ი. გრიშაშვილმა შესძლო საბავშვო ბავშვის ყოველდღიური რეჟიმი თავისებური ელფრითა და მხატვრული საცხოველით წარმოედგინა წლის ოთხი დროის განმავლობაში. ამით მან მოკეთა ის მანერ ტენდენცია, რაც სკოლამდელ წიგნს უჭადა საბავშვო ბავშვის მუშაობის მშრალი, ტრაფარეტული ფორმალურობით. „გოგია და მურია“ პირველი სუეტური პოემაა და აღვსილია ბავშვთა სიცოცხლით, ერთბაშით, თამაშით, შრომითა და შემოქმედებით. აქ წარმოდგენილია ბავშვები: გოგია, შალვა, ნუნუ, ნელი, რეზო ზოგადი ტიპებია, მათი შგავსი ყოველწლიურად თავს იყრიან საბავშვო ბავშვში. ი. გრიშაშვილის პოემა „გოგია და მურია“ ერთი თვალსაზრის მხატვრული შემეცნებითი სკოლამდელი წიგნია, და კრებულში სამართლიანად უყვია საბავშვო იდეალი.

მარჯანი კრებულში წარმოდგენილია ერთი გრძელი ლექსით: „ნელი ცირკში“. ეს წარმოები მრავალმხრივ არის საყურადღებო. ისინი მზავია, რომ ლექსი წიგნად რამდენჯერმე გამოცემული და სწრაფადაც გაგრძელებული. ეს მიუწერება ლექსის შინაარსს. მაგრამ აქ ხაზგასმულია არა მარტო ცირკის სცენის სიცოცხლე, შემოქმედება, არამედ ბავშვის შინაგანი დისციპლინა, ყურადღებებს დაძაბულობა, მოთმენა და ცნობისმოყვარეობა. ცირკში მჯდომი პატარა ნელის ეს თვისებები მკითხველ ბავშვებსზედაც ბუნებრივად გადადის და დადებით შემოქმედებას ახდენს.

ილ. სიხარულიძე ძირითადად სკოლამდელთა პოეტია. მისი ღირსება ბავშვის ზედმიწევნით ცოდნაა. უკანასკნელი ათი წელია თითქმის, რაც ილ. სიხარულიძემ თავისი თემატიკის რკალი გაარღვია და მისმა ბავშვებმა იგრძნეს თავისუფლების ახალი სიო და სხვა თვალის უყურებენ გარემოს, გვეყანას. ისინი რაღაც ახალი განცდებითა და შეგნებით შეხარაიან ცხოვრების თვითველ ამბავს, საზოგადოებრივ მოვლენებს. ილ. სიხარულიძის ლექსთაწყოება მარტივი და სადაა, ბავშვის ლექსიკიდან აღებული, სასიმღერო და ადვილი დასაძლევია.

„თავიჯულში“ შეტანილია სამი, თითქმის ერთნაირი შინაარსის ლექსი: „გულიკოს საუბარი“, „გია“, „გურამიკოს დარდი“. სამივე ლექსში სკოლამდელი ბავშვის ერთი და იმავე განცდებზეა ლამაზაქი: ბავშვს უნდა დიდი იყოს, მალე გაიზარდოს, წაიხდეს საბავშვო ბავშვში. ეფექტობით ილ. სიხარულიძის ლექსებიდან არ არის შერჩეული ის ცხოველი ლექსები, სადაც ბავშვის განცდებთან ერთად, პოეზიის ნაპერწყლებიც არის მიმოხვეული.

დიდია მურცილიძე (მიშქარალი) კრებულში რატომღაც წარმოდგენილია სკოლამდელითა-ფრის ორი ლექსით, რაც სრულიად არ არის დამახასიათებელი საერთოდ მისი პოეზიისათვის. მართალია „ქემი ბურთი“ და „შოთას ღურჯა“ პოპულარული ლექსებია, პირველში ბურ-

თის მოძრაობა სურათოვანია და პერსონალურ ახლავს, „შოთას ლურჯა“ გამოხატავს ბავშვის მხედრობის სურვილს, მაგრამ ეს ლექსები მაინც არ არის პოეტის შემოქმედებაში წაყვანილი, და უკეთესის შერჩევა შეიძლებოდა.

დიდიხანია ლ. ქიაჩელს ბავშვებისათვის ახალი არაფერი დაუწერია. საერთოდაც უკეთესი მოთხრობებში ბავშვის ოცნება-ფანტაზიები სკაბობუნენ. არა სინამდვილეში, არამედ ცხოვრებასთან კავშირი. ლ. ქიაჩელი ბავშვს ბუნების მოვლენებთან აკავშირებს, მის ფაზაში ინტერესს აღვიძებს, მაგრამ ამ ინტერესს ის, ე. ი. ბავშვი საკმაოდ ვერ იყენებს და საზოგადოებრივი ხასიათის მიზნებს ვერ ისახავს. კრებულში შეტანილია მწერლის მოთხრობები „დიტოს ჯარისკაცი“, „ზღვა, მზე და ოთარიკო“. საინტერესოა „ზღვა, მზე და ოთარიკო“. აქ ოსტატურად არის გადმოცემული, თუ როგორია ბავშვის განცდა და წარმოდგენა, როდესაც ის პირველად შეიგრძნობს და შეიქცნობს მზეს, ზღვას, თუმცა მოთხრობაში ეს გადმოცემულია, როგორც სიზმარში ნახული ამბავი. რატომღაც ორივე მოთხრობა მოთავსებულია სკოლამდელთა განყოფილებაში.

გ. ქუჩიშვილის საბავშვო პოეზიის ფორმა მკაცრი და კაცკაცაა, ჯანსაღი გრძობების შემცველი. გ. ქუჩიშვილი კრებულში წარმოდგენილია ოთხი ლექსით. ეს არის: „კიბლას წერილი“, „პაწია მეგობრები“, „წარჩნებული“, „ბიჭიკოს ბარათი“. ოთხივე ლექსი გამოხატავს თანამედროვე ბავშვის სულიერ განცდებს, მისი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებს. ოთხივე ლექსი ერთმანეთს ძლიერ ენათესავება და, ფეიქრობ, შეიძლება და მათი შენაცვლება პოეტის სხვაგვარი ლექსებით.

ე. კალაძის „ენამწარე გოგონაში“ ლექსის მთავარი ღირსება ხალხური პოეზიიდან გამოდინარე მუსიკალობა და სისადაეა. ენამწარე ბებერი ნატრობს ბავშვობას და აღთქმას დებს აღარავის აწყენის. მზის ნათელი ნატრას უსრულებს. მაგრამ ეს ცხრა წლის გოგონა თავისი შინაგანი ბუნებით იგივე ბებერი დარჩა, ის თავის პატარა ამხანაგებს კვლავ ებუზღუნება, კვლავ წყველის და ტუქავს. ავტორი აქ აღმზრდელობითი ზეგავლენის როლს რამდენადმე აქვეთებს, თუ ჰგონია, რომ ადამიანის მანკიერება, ეს ისეთი თანდაყოლილი თვისებაა, რომ მისი გამოსწორება არავითარი საშუალებით არ შეიძლება.

ვ. ჩაჩავამ დიდი ხანი არ არის, რაც საბავშვო ლიტერატურაში დაიწყო მუშაობა. მისი პირველად წიგნად დაბეჭდილი საბავშვო ლექსი „რატომ ვერ ავებს ჩიბიკვი კარგ ბუღებს“ საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა თავისებური ფორმა, სადა ლექსთაწყობა, რითმისა და რიტმის ცხოველობა. ზოგაერთ ტემპში შრომის ტემპი და ლირიკა მაღალ დონეს აღწევს.

პ. კანიშვილი ჩემი და უპრეტენზიო საბავშვო მწერალია. პ. კანიშვილი დაკვირვებით შეუდგა ხალხური ზღაპრების შესწავლას და გამოძენა ისეთი მასალა, რაც კომუნისტური აღზრდისათვის ხელშემწყობი იქნებოდა და ბავშვში ოპტიმისტურ განწყობას შექმნიდა. ამ მიზნით არ ერთდებოდა, თუმცა მოკრძალებით, ხალხური ზღაპრების შესხვიდებებს. „თაიგულში“ შეტანილი პ. კანიშვილის „ბუ“ საინტერესოა ზღაპრით. ავტორმა ზღაპრში აღადგინა ქართული ხალხის შეხედულება ფრინველების ბიოლოგიურ თვისებებზე, მათ ეკოლოგიაზე. ხალხის მიერ ფრინველებისათვის მიწიჭებული ფუნქციები პ. კანიშვილმა სტეპტისათვის გამოიყენა და ამბავი სოციალური შინაარსით გამოკვეთა. ბუ-პატარას მედიდობა დიდხანს ვერ მოცთმინეს თავისუფლებისმოყვარულმა ფრინველებმა და აჯანყებით მოუდეს მას ბოლო. „ბუ“ ბავშვთა შორის პოპულარობით სარგებლობს და კრებულში მისი შეტანა მიზანშეწონილია.

„თაიგულში“ ზოგიერთი პოეტების ნაწერებიდან რატომღაც შერჩეულია მშრალი და დატოხის ლექსები. ასეთებად მიგვჩნია ა. თევზაძის „წიგნები“, ა. ონელის „ისეც სკოლა, ისეც სწავლა“ შეიძლება კრებულში არ შეტანილიყო რ. ქორქიას „შველი“.

აქვე მოთავსებულია დ. სულაშვილის „ჩიკორა“ და ნ. ლორთქიფანიძის „მეგობრები“. სულაშვილის „ჩიკორა“ ცნობილი და შესანიშნავი მოთხრობაა. ის დიდიხანია შეტანილია სასკოლო პროგრამაში, მაგრამ საბავშვო ლიტერატურის საიუბილეო კრებულში მისი

შეტანა სავალდებულო არ იყო. ასევე მიგვაჩნია სიტყვის ოსტატის, განსვენებული მ. ლორთქიფანიძის „მეგობრების“ შეტანაც, ისიც სკოლამდელთა განყოფილებაში.

ს. კლდიაშვილმა ბავშვების ყურადღება მიიქცია მას შემდეგ, რაც მისი „ახნაურ ლაზუნ-დარელის თევგადსავალი“ მათ კუთვნილებად გადაიქცა. ფფიჭრობთ ეს ნაწარმოებთ უნდა შესთლიყო კრებულში და არა „სიზმარა“. ირ. აბაშიძეც არ არის წარმოდგენილი თავისი საბავშვო ლექსებით. „პატარა მეთევზეს“ ნაცვლად კარგი იყო კრებულში შეტანილიყო მისი „ბუნების წიაღში“. შემეცნებითი ღირებულება აქვს ნ. კეცხოველის ცნობილ მოთბრობას: „ცქვიტო დაბრუნდა“. მასში იგრძნობა ბალახების, სურნელება, მთის ჰაერი, ცხოველებისა და მწყემსის ცხოვრება. კარგი მასალაა ლ. ჭიკინაძის: „თელა ბიჭი“ ისტორიულ ქარგაზე ამოკთოვილი და კ. გოგიაშვილის: „კატა თავგს რად ემტრება?“

ჩვენ მოკლედ განვიხილეთ საიუბილეო კრებულ „თაივლში“ მოთავსებული ძირითადი მასალა: შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, ოცდახუთი წლის განმავლობაში თუ როგორ ასახა ჭრთულმა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურამ ჩვენი ეპოქის მნიშვნელოვანი და მღელვარე თემები, რა სოციალურ ვითარებაში იზრდება ჩვენი თანამედროვე ბავშვი, რა ასულდგბურ ლებს მას, რაზე ფიქრობს, რას აკეთებს ის, როგორი მოქალაქეა, რა მორალის მქონე, ან რა ღირსშესანიშნავი ნაწარმოები წარმოიშვა ამ ხნის მანძილზე? ფფიჭრობთ რომ სრულად არა. ასეთი ღირსების ნაწარმოები კი ბევრი მოიპოვება, მაგრამ კრებულში შეტანილი არ არის. როგორც აღვნიშნეთ კრებულის მასალის თემატიკა შეზღუდულია, შერჩეული ნაწარმოებნი დაწერილია უკანასკნელ წლებში, ზოგიერთი მწერალი და მისი ნაწარმოებები სრულიად უცნობი და შემთხვევითია საბავშვო ლიტერატურისათვის. შეტანილია ისეთი ნაწერები, რომელიც არც უნდა შეტანილიყო და მათ ხარჯზე გამოტოვებულია ჭრთული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოებნი, როგორცაა — ილა მოსაშვილის და შარკია ბარათაშვილის საბავშვო პოემები, ნოე დაფნარელისა და ფრონტზე დაღუპულ სანდრო ფლენტის საბავშვო ლექსები. (ეს ორნი შიო მღვიმელის გზის გამგრძელებლნი არიან), კონსტ. ლორთქიფანიძის, გ. ნახტურიშვილის, ს. მთვარის საბავშვო მოთბრობები, ორი უკანასკნელის საბავშვო დრამატურგიის ნიმუშები და შრავალი სხვა.

ზინაარსი

33

მხატვრული ლიტერატურა

გრ. აბაშიძე — ზარზმის ზმანება (პოემა)	3
აკაკი ბელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა (ნაწილი მეორე)	22
სანდრო შანშიაშვილი — იგავ-არაკები	56
შალვა დადიანი — მენჯი-რობუ (რომანი, გაგრძელება)	62
გიორგი შატბერაშვილი — ლექსები	70
ნიკო ლორთქიფანიძე — მოთხრობები და მინიატურები	74
ნიკოლოზ ჩაჩავა — მერცხალს (ლექსი)	85
იაკინთე ლისაშვილი — სიცოცხლისათვის (რომანი, დასასრული)	86
არჩილ ჩაჩიბაია — დარდი (მოთხრობა)	116
რუსუდან დოდაშვილი — ჭრიჭინობელა (მოთხრობა)	123
ლილია მეგრელიძე — მშობლიურ ცის ქვეშ (რომანი, გაგრძელება)	131
შალვა ამისულაშვილი — ჭაშნიკი (ლექსი)	152
შალვა ფორჩხიძე — ლექსები	154
მიხ. ქვლივიძე — ლექსები	155
ჯეკ ლონდონი — თეთრი ადამიანის გზები (მოთხრობა, თარგმანი კონსტ. კვიციანიძისა)	157
ალექსანდრე ფადეევი — ახალგაზრდა გვარდია (რომანი, თარგმ. პოლიო აბრამიასი)	167
ნდამ მიცკევიჩი — პეშანი ტყეში (ლექსი, თარგმ. იასამანიძისა)	203

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

კონსტანტინე გამსახურდია — ჟურნალ „ზნამიას“ რეცენზენტის სა- პასუხოდ	204
დემნა შენგელაია — ნიკო ლორთქიფანიძე	219
შალვა აფხაიძე — დავით კლდიაშვილი	227
ლავროსი კალანდაძე — ადამიანის საკითხი გორკის შემოქმედებაში	242
გ. ი. ბაქრაძე — ლიტერატურათმცოდნეობა და რეტროსპექტული ბიბ- ლიოგრაფია	257

მეგობრები

ბარბარე ხოსიტაშვილი (ბაბილინა) — იროდიონ ევლოშვილი	272
მიხეილ ქორელი — ქართული ხალხური სიმღერები პარიზში 1906 წელს	288

ბიბლიოგრაფია

ანა ღვინიაშვილი — „თაიგული“	304
---------------------------------------	-----